მანანა ქუთათელაძე გიორგი (გიგი) წერეთელი

თბილისის ტაძრები და რელიგიური ნაგებობები

ძველი თბილისი

Manana Kutateladze George (Gigi) Tsereteli


THE TEMPLES AND RELIGIOUS CONSTRUCTIONS OF TBILISI

OLD TBILISI

Манана Кутателадзе Георгий (Гиги) Церетели

ХРАМЫ И РЕЛИГИОЗНЫЕ ЗДАНИЯ ТБИЛИСИ

СТАРЫЙ ТБИЛИСИ



კონსულტანტები:
დიმიტრი თუმანიშვილი,
სერგო ვარდოსანიძე
Overview:
DIMITRI TUMANISHVILI,
SERGO VARDOSANIDZE
Консультанты:
ДМИТРИЙ ТУМАНИШВИЛИ,
СЕРГО ВАРДОСАНИДЗЕ

რედაქტორები: გიორგი ჭანიშვილი, თეიმურაზ ბერიძე
Editors: GIORGI CHANISHVILI, TEIMURAZ BERIDZE
Редакторы: ГЕОРГИЙ ЧАНИШВИЛИ, ТЕЙМУРАЗ БЕРИДЗЕ

რედაქტორ-კორექტორი: მარინა ლეჟავა
Editor-Proofreader: MARINA LEZHAVA
Редактор-корректор: МАРИНА ЛЕЖАВА

კორექტორები: ანა ფანჯიკიძე, ნაირა ფილაური
Proofreaders: ANNA PANJIKIDZE, NAIRA PILAURI
Корректоры: АННА ПАНДЖИКИДЗЕ, НАИРА ПИЛАУРИ

თარგმანი:
დიმიტრი თუმანიშვილი,
მარინა ლეჟავა, მაია ახვლედიანი
Translation:
DIMITRI TUMANISHVILI,
MARINA LEZHAVA, MAIA AKHVLEDIANI
Перевод:
ДМИТРИЙ ТУМАНИШВИЛИ,
МАРИНА ЛЕЖАВА, МАЙЯ АХВЛЕДИАНИ

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გოგა დავთიანი
Computer layout: GOGA DAVTYAN
Дизайн: ГОГА ДАВТЯН

მხატვარი: ვახტანგ (ტატო) კალანდაძე
Painter: VAKHTANG (TATO) KALANDADZE
Художник: ВАХТАНГ (ТАТО) КАЛАНДАДЗЕ

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს,
ზაზა რუსაძეს და იუნუს კაიას

©

წიგნში გამოყენებულია ს.ჯანაშიას საქართველოს მუზეუმში, გ.ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ი.გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმსა და თბილისის ისტორიის მუზეუმში, დ.ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში, შ.ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში, თბილისის ცენტრალურ საქალაქო არქივში, საისტორიო ცენტრალურ არქივში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კერძო არქივებში დაცული დოკუმენტური და ფოტომასალა.

შ.პ.ს. "გამომცემლობა გრიფონი"
N 978-9941-9235-2-4



„დაიკარგა ძველი სიდიადის ძეგლები, რომლებიც ტფილისის ისტორიას მოგვაგონებდნენ.

დაე, თქმულება მაინც შემორჩეს მათ შესახებ თანამედროვეთა და შთამომავალთა მეხსიერებაში“.

პლატონ იოსელიანი

ავტორებისაგან

თბილისი თავისი არსებობის მანძილზე მრავალჯერ დარბეულა და თავიდან აღორძინებულა, მოსახლეობისაგან დაცლილა და ისევ შევსებულა. საუკუნეთა მანძილზე ინგრეოდა და შენდებოდა ეკლესია-მონასტრები და სალოცავები. დედაქალაქში მტრის შემოსევებს როგორც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრები, ისე სხვა რელიგიური მიმდინარეობების სალოცავებიც ეწირებოდა.

გაჩანაგებული თბილისი კვლავ ფეხზე დგებოდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა. ეთნიკურად განსხვავებულ მოსახლეობას, რომელიც თბილისში ან მის გარეუბანში სახლდებოდა, თან მოჰქონდა თავისი ტრადიციები, კულტურა და რელიგია. ასე გაჩნდა თბილისში ებრაელთა, სომეხთა, ფრანგთა, გერმანელთა უბნები თუ კოლონიები. ისინი თავის უბანში სალოცავს აშენებდნენ, რომელიც მათთვის არა მარტო რელიგიურ, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებმა საქართველოს დედაქალაქში შეძლეს საუკუნეების მანძილზე შეენარჩუნებინათ თავიანთი რელიგია და თვითმყოფადობა - ასე შეიქმნა თბილისის უნიკალური ფენომენი.

უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოში ჩამოსულმა მრავალმა მოგზაურმა, ქართველმა თუ უცხოელმა ისტორიკოსმა დაგვიტოვა ცნობები თბილისის ტაძრების შესახებ. ასევე ბევრი სამეცნიერო კვლევა და ნაშრომი მიეძღვნა მათ, თუმცა ზოგიერთი სალოცავი ყურადღების მიღმა დარჩა.

ჩვენ შევეცადეთ ამ წყაროებზე დაყრდნობით და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეძლებისდაგვარად, სრულად მოგვეწოდებინა ინფორმაცია დედაქალაქში არსებული ყველა რელიგიური ნაგებობის შესახებ. მათ შორის ბევრი აღარ არსებობს, ბევრმა ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევების სახით მოაღწია, ზოგიერთ უძველეს ტაძარში კი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციებია განთავსებული.

მასალის სიუხვემ გადაგვაწყვეტინა ნაშრომი რამოდენიმე ნაწილად გაგვეყო. წარმოდგენილ წიგნში აღწერილია ქალაქის იმ დროინდელ საზღვრებში შემავალი რელიგიური ნაგებობები - თბილისის დედაქალაქად ჩამოყალიბების პერიოდიდან გასაბჭოებამდე. შემდგომი წიგნები მიეძღვნება თბილისს შემოერთებულ დასახლებულ პუნქტებში არსებულ ტაძრებს და დედაქალაქში ახლად აგებულ ეკლესია-მონასტრებს.

მანანა ქუთათელაძე, გიორგი (გიგი) წერეთელი

FROM THE AUTHORS

Throughout its existence Tbilisi suffered devastations over and over, but revived again; not once the natives abandoned the city but people would return again. For many centuries churches, monasteries and temples were destroyed and reconstructed again. Not only the Georgian Orthodox but the temples of other religions suffered from enemy raids.

The ruined Tbilisi would rise, grow and strengthen. On settling down in the city or its outskirts, the newcomers of various ethnic origins brought their customs, cultures, religions. This is how Jewish, Armenian, French, German districts and colonies emerged. They built their prayer houses in their settlements which would serve them not only for their spiritual purposes but also for their involvement in cultural and educational activities. People of various confessions were able to preserve their faith and self-awareness and this gave rise to the unique phenomenon of Tbilisi. Starting from the ancient times many explorers and historians, Georgian as well as those of overseas countries, left their accounts on Tbilisi's temples. Apart from this, numerous scientific researches have been done and many assays have been written on it. Nevertheless, some of the temples were overlooked.

Precisely these researches and assays we have taken as the backbone to rely on in our endeavor and, adding to them our own study, we have accomplished a conclusive presentation of every religious construction in the capital city.

Due to the abundance of the material the book is divided into several parts. In the present edition the churches and prayer houses within the boundaries of the city are described. It covers the period from the formation of Tbilisi as the capital to that of the Soviet rule. The coming volumes will comprise the newly erected temples and religious constructions on the territories joined to Tbilisi.

Manana Kutateladze, George (Gigi) Tsereteli

ОТ АВТОРОВ

Тбилиси на протяжении своего существования был многократно разгромлен и вновь возрожден, опустошался и вновь заселялся. На протяжении веков разрушались и строились церкви, храмы и молельни. Жертвами вражеских нашествий становились как грузинские православные храмы и монастыри, так и молельни других религиозных течений.

Опустошенный и разоренный Тбилиси вновь вставал, рос и развивался. Этнически разнообразное население, которое поселялось в Тбилиси или в его окрестностях, приносило с собой свои традиции, культуру и религию. Так возникли в Тбилиси поселения евреев, армян, французов и колонии немцев. В местах своего поселения они строили молельни, ставшие для них не только религиозными, но и культурно-просветительскими центрами. Представители различных вероисповеданий смогли в столице Грузии на протяжении веков сохранить свою религию и самобытность – так возник уникальный феномен Тбилиси.

Начиная с древних времен, посещавшие Грузию путешественники, иностранные историки, а также грузинские исследователи оставили нам сведения о религиозных сооружениях Тбилиси. Много научных исследований и трудов посвящено им, хотя некоторые из них остались без внимания. Опираясь на эти источники и на основании проведенных нами исследований, мы постарались предоставить информацию о существовавших в столице всех религиозных сооружениях. Среди них многие сегодня не существуют, многие до нас дошли в виде развалин, а некоторые из них использованы в качестве жилых домов или по другому назначению.

Ввиду обилия материала работа разделена на несколько частей. В настоящей книге описаны храмы и молельни, входящие в границы города с периода формирования Тбилиси столицей до советизации. Следующие книги будут посвящены нововозведенным храмам и религиозным сооружениям, находящимся на присоединенных к Тбилиси территориях.

Манана Кутателадзе, Георгий (Гиги) Церетели

თბილისსა თუ თბილისის სიძველეებზე სადღეისოდ ბევრი ვიცით, მაგრამ ბევრ ჩვენთაგანს ისიც კარგად მოეხსენება, რაოდენ ძნელია ნიშანდობლივ რომელიმე საკითხისა ან, ვთქვათ, ნაგებობაზე ამომწურავი ცნობების მოპოვება - ათობით წიგნისა და ნარკვევის გადასინჯვა, რამდენიმე საქმეში ჩახედული პირის შეწუხება და ა.შ. მოგიწევთ.

წინამდებარე წიგნი ამ ხარვეზის გამოსასწორებლად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. აქ თავმოყრილია მონაცემები საქართველოს დედაქალაქის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ ტაძარ-სალოცავზე. წარმოდგენილი მასალა წარმოგასახინებთ ეკლესიების (მართლმადიდებელთა, გრიგორიანთა, კათოლიკეთა, ლუთერანთა), მიზგითების, სინაგოგების ისტორიულ „თავგადასავალს", ხუროთმოძღვრულ სტილთა მონაცვლეობას, აღმსარებლობათა მოღონიერება-შესუსტებისა თუ მათი ურთიერთმიმართების სურათს...

წიგნის შემდგენელნი აბსოლუტურ ცოდნას თუ „საბოლოო სიტყვის" თქმას როდი ჩემულობენ. ზოგი საკითხი ღიად, სამომავლო კვლევისათვისაა დატოვებული, თანამედროვე მეცნიერების დასკვნებთან ერთად კი XIX საუკუნის მწერალ-მოღვაწეთა თუ საბუთების ამონარიდები, ზეპირი გადმოცემებიცაა მოყვანილი. ეს მკითხველს შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა მოსაზრება თავად შეაჯერ-შეაწონოს და წარსულის დანატოვარისადმი მოდგომა-დამოკიდებულების ცვლილებებსაც დააკვირდეს.

სიტყვიერ მონათხრობს უხვი ფოტომასალაც უბამს მხარს, მით უფრო მნიშვნელოვანი, რომ განხილულ ნაგებობათაგან არაერთი გამოუბრუნებლად და უკვალოდ არის გამქრალი. ყველაფერი ერთად კი ჩვენი ქვეყნის და მისი სატახტოს მიერ გამოვლილ გზას გვიხატავს, აღმავლობასა და დაცემას, აღზევებას და დაკნინებას, მრავალთა სასიკეთო ღვაწლსა და მრავალთაც ვერაგობასა და ბოროტებას...

ამ გრძელი ისტორიის ერთი ფურცელი უკვე თვით ეს წიგნიც გახლავთ და იმედია, მას ბევრი სხვაც მოჰყვება ...

TODAY a great amount of information about Tbilisi is accessible, but it is no secret either that to get conclusive data about any specific issue or, let us say, a specific construction is a matter of complex work - you will have to peruse tens of books and assays or seek advice of people with a scientific knowledge of different aspects of it, and so on.

The book you have opened is one more step made to clear this drawback. Information about all the temples and prayer houses in the capital city of Georgia, whether well-known or unknown have been collected in it. While reading it, you will get a glimpse of historical paths of Orthodox, Gregorian, Catholic, Lutheran churches, mosques and synagogues. It will show you the alternation of architectural styles and give you a clear picture of how the confessions lived when strengthened or in times of weakening, or how they related to each other.

The authors of the book do not claim to have total knowledge or to have said a decisive word on the subject. Some of the issues are left open-ended for the future researches. But, everything we suggest here is based on the conclusions of contemporary scholars together with extracts from the works of the 19th century authors and statesmen, citations from the documents of those times; we have also supplied the book with oral history. All this will enable the reader to compare diverse viewpoints and opinions and observe the changes in the approaches and attitudes to the heritage of the past.

The narration is abundantly supplied with photographs, particularly indispensable to depict the structures which have vanished traceless. All this in complex shows the path our capital city has followed, its rise and fall, the height of glory and decline, the good labor of many and the vice and wickedness of many...

This book is only one leaf of a long story and we hope, will be succeeded by others...

Dimitri Tumanishvili

СЕГОДНЯ мы многое знаем о Тбилиси и его древностях, но всем хорошо известно насколько трудно получить исчерпывающую информацию о том или ином сооружении – предстоит пересмотреть десятки книг или очерков, побеспокоить многих сведующих в этом деле лиц и т.д.

Настоящая книга еще один шаг в исправлении этого недостатка. Здесь собраны сведения о всех боле-менее известных храмах и молельнях столицы Грузии. Представленный материал дает возможность проследить историю церквей (православных, григорианских, католических, лютеранских), мизгитов, синагог, преемственность архитектурных стилей, картину усиления и ослабления вероисповеданий и их взаимоотношений....

Составители книги не претендуют на абсолютные знания или «окончательное слово». Некоторые вопросы остаются открытыми для дальнейшего исследования в будущем. Наряду с заключениями современных ученых в ней приведены выдержки из сочинений писателей и деятелей XIX в., соответствующие документы и устные предания. Это дает читателю возможность самому сравнить и проанализировать разные мнения и проследить изменения подходов и отношений к наследию прошлого.

К устному повествованию приложен и богатый фотоматериал, тем более значимый, так как среди рассмотренных сооружений многие безвозвратно и бесследно исчезли. А всё вместе рисует нам путь, пройденный нашей страной и ее столицей, ее подъем и падение, расцвет и упадок, много добрых деяний и много коварства и зла...

Одной из страниц этой длинной истории является уже сама эта книга и надеемся что за ней последуют и многие другие....

Дмитрий Туманишвили

წინასიტყვაობა

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქთა რიგს განეკუთვნება. მისი, როგორც ქალაქის არსებობა ისტორიული წყაროების მიხედვით დამოწმებულია ახ.წ. IVს-დან. არქეოლოგიური გათხრებით კი ძველი თბილისის მაღლობებზე გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებიც არის დადასტურებული.

პირველი უცხოური ისტორიული წყარო სადაც თბილისი გვხვდება, რომაელი გეოგრაფის, კასტორიუსის მიერ ახ.წ. IVს-ში შედგენილი საგზაო რუკაა. ისტორიკოსთა აზრით ამ რუკაზე აღნიშნული დასახლებული პუნქტი ფილადო, თბილისი უნდა იყოს.

თბილისს ქალაქად მოიხსენიებს ასევე ქართული ისტორიული წერილობითი წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ" როდესაც ამ ქრონიკაში IVს-ის 60-იანი წლების მოვლენებზეა ლაპარაკი: „მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ-ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახშმი, ტფილისად ქალაქად, ციხედ" - ეკითხულობთ ამ უძველეს მატიანეში.

ქართული ისტორიული წერილობითი წყაროების მიხედვით Vს-ის მეორე ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა მცხეთადან თბილისში გადმოიტანა სამეფოს სატახტო ქალაქი და ამ დროიდან თბილისი კავკასიის და მიმდებარე რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი ხდება.

ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებთან ერთად თბილისს დედაქალაქად მოიხსენიებს თეოფანე ბიზანტიონელიც: „ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო" - გვაუწყებს იუსტინე II იმპერატორის მმართველობის დროს (565-578) მოღვაწე ეს ბიზანტიელი ისტორიკოსი.

უეჭველია თბილისის გადედაქალაქების შემდეგვე უნდა დაწყებულიყო ქალაქის ძირითადი პარამეტრების განვითარება მდინარე მტკვრის ორსავე ნაპირზე იმგვარად, როგორც ამას გვაუწყებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ". „მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდებოდა". უკვე ამ დროს ჩანს ჩამოყალიბებული თბილისში რამდენიმე ურბანული მონაკვეთი. ეს იყო საკუთრივ ტფილისი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, წავკისისწყლის შესართავთან - დღევანდელი აბანოთუბანი იმავე ნაპირის ფერდობებზე შეფენილი იყო უბანი კალა, შემოზღუდული გალავნით და დაცული სალალაკის ქედზე აღმართული კალას - ნარიყალას ციხით. მდინარის მარცხენა მაღალ ნაპირზე კი, დღევანდელ მეტეხის პლატოზე, მეორე ციხესიმაგრე იდგა, მის უკან მდებარე სოღდებილით (საგოდებელი) ანუ სამაროვნით. კეთილდღეობის დროს ქალაქი გალავნის მიღმაც ვითარდებოდა და მტკვრის მარჯვენა ნაპირის აღმა, მდინარე ვერეს შესართავამდეც კი აღწევდა. თუმცა თბილისის ხვედრი უფრო ხშირად ძნელბედობა იყო, მტრის გამუდმებული შემოსევების გამო მოსახლეობა ქალაქის ზღუდის შიგნით იკეტებოდა და გალავნის გარეთა უბნები თითქმის მთლიანად ნადგურდებოდა.

ამგვარად თბილისი უკვე ადრექრისტიანული ხანის პირველსავე ეტაპზე ქვეყნის დედაქალაქი ხდება და იმ დროისთვის ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ სახელმწიფოს ახალ დედაქალაქში ეკლესიათა მშენებლობის დაწყება ბუნებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ თბილისში ქრისტიანულ ტაძრებთან ერთად თავიდანვე სხვა რელიგიათა სალოცავებიც შენდებოდა, რისი მაგალითიც არის არდეულ შუა საუკუნეებში აგებული ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი - ათეშგა კლდისუბანში და მომდევნო პერიოდის მუსულმანური მეჩეთები. გარკვეულ წილად ეს მტრის მოძალებით იყო თავსმოხვეული. თუმცა მოგვიანებით მართლმადიდებლურ ტაძრებთან ერთად სხვა სალოცავთა არსებობა მტრისგან განთავისუფლებულ და კვლავ ქრისტიანულ სახელმწიფოს დედაქალაქ თბილისისთვისაც ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა. თბილისის მცხოვრებთა თუ ქალაქის მესვეურთა შემწყნარებლობა სხვა რელიგიათა და კონფესიათა მიმართ არაერთხელ აღუნიშნავთ თბილისში ნამყოფ უცხოელთა - მტერსა თუ მოყვარეს. ეს გარემოება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და დღესაც, თბილისს ისეთ ტოლერანტულ ქალაქთა შორის აყენებს, როგორიც არის ძველი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქალაქები - იერუსალიმი, კონსტანტინეპოლი, ანტიოქია, ალექსანდრია, რომი და სხვა. ამიტომ დღესაც თბილისში გვერდიგვერდ თანაარსებობენ სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანული ეკლესიები, ებრაული სინაგოგები და მუსულმანური მეჩეთები.

სამწუხაროდ, ადრე შუა საუკუნეების ისტორიული წყაროებით დამოწმებული ცნობები თბილისში ეკლესიების VIIს-დე მშენებლობის შესახებ არ შემორჩენილა. თუმცა მოგვიანო წყაროები თბილისში რამდენიმე ეკლესიის მშენებლობას ვახტანგ გორგასალსაც მიაწერენ. ამასთან, დვინის 506 წლის საეკლესიო კრებაზე მონაწილე სხვა მღვდელმთავრებთან ერთად „ეპისტოლეთა წიგნში" თბილელი ეპისკოპოსის მოხსენიება, თბილისში საეპისკოპოსო ტაძრის არსებობის უცილობელ საბუთად უნდა მივიჩნიოთ უკვე VIIს-ის დასაწყისში. VIIს-ში და შემდეგ კი, თბილისში ეკლესიათა მშენებლობის შესახებ ცნობები უკვე ბევრ ისტორიულ წყაროში გვხვდება.

თბილისის, როგორც ქალაქის განვითარება და მასთან სატაძრო მშენებლობის ინტენსივობა უშუალოდ იყო დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაზე. ამ მიმართებით შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე პირობითი ქრონოლოგიური მონაკვეთი.

I ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს თბილისის ქალაქად ჩამოყალიბების საწყისი საუკუნეები, ვახტანგ გორგასლის მეფობიდან არაბების ქართლში გაბატონებამდე - V-VII სს;

II ეტაპი თბილისში არაბობის ბატონობის პერიოდს მოიცავს VIII-XI სს;

III ეტაპი ქვეყნის გამთლიანება-გაძლიერების და თბილისის კვლავ ერთიანი საქართველოს დედაქალაქობის ეპოქაა XII-XIII სს;

IV ეტაპი თბილისის ისტორიაში გვიან შუა საუკუნეებს მოიცავს XIV-XVIII სს;

V ეტაპი კი რუსული მმართველობის ხანაა - XIX ს.

ადრე შუა საუკუნეებში (V-VIIსს) აგებულად თბილისში მხოლოდ რამდენიმე ეკლესია შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეს ტაძრებია - თბილისის სიონი, ანჩისხატი, ზედა ბეთლემი, კლდისუბნის წმ. გიორგი, მეტეხი, ჯვარის მამა, წმიდათა ორმეოცეთა, მამადავითი და მთავარნგელოზთა ეკლესია.

მათგან თავდაპირველი სახით შემორჩენილია მხოლოდ ანჩისხატი (და ისიც ტაძრის მარტო ქვედა ნაწილი). ადრეული ეკლესიის ფრაგმენტები შემორჩენილია ასევე მოგვიანებით გადაკეთებულ სიონის ტაძარშიც ზემო ბეთლემისა და კლდისუბნის ეკლესიების ინტერიერში კი თავდაპირველი ეკლესიების ნაშთები დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებით, ხოლო წმიდათა ორმეოცეთა ეკლესიის საძირკველში გამოვლენილია დავით აღმაშენებლის დროს (XI-XIIსს) მეორედ აგებული ტაძრის იატაკი. ყველა ამ და დანარჩენი ეკლესიების თავდაპირველი ნაგებობების ადრეულობა ისტორიული წყაროებით არის დადასტურებული სამწუხაროდ ყველა მათგანი რამდენჯერმე არის გადაკეთებული და სხვადასხვა სამშენებლო ფენისგან შედგება. ამის მიზეზი მტრის მიერ ქალაქის არაერთგზის დარბევა და ნაგებობათა ნგრევა იყო. ამ ეკლესიათაგან მეტეხი ხელმეორედაა აგებული XIIIს-ის ბოლოს, ჯვარის მამა - XVIს-ში, მამადავითი - XIXს-ში. მთავარანგელოზთა ეკლესია კი საერთოდ აღარ არსებობს. არქეოლოგიური გათხრებისა და საფუძვლიანი კვლევის გარეშე მათი თავდაპირველი სამშენებლო ფენების დადგენა ძნელია.

ჩვენს მიერ გამოყოფილ II ეტაპზე, არაბობის დროს, ეკლესიების მშენებლობის შესახებ თბილისში არაფერი ვიცით და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მუსულმანური მმართველობის პერიოდში ქალაქში ქრისტიანული ტაძრების აგება არ უნდა ყოფილიყო წახალისებული. თუმცა იმავე დროის ეკლესიები მრავლადაა თბილისის შემოგარენში და მთლიანად საქართველოში. იმ დროს თბილისში ალბათ მეჩეთებიც შენდებოდა, მაგრამ მათ შესახებაც არაფერია ცნობილი. ეს ეპოქა შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ. თავდაპირველად არაბები შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ და საეკლესიო ნაგებობებს არ ანგრევდნენ, რისი საბუთიც არის თბილისის ეკლესიების მოხსენიება წმიდა „ჰაბოს წამებაში". არაბობის მეორე ნახევარში კი ადრეული ეკლესიები დაინგრა, ახალი კი არ შემატებია.

III ეტაპზე, თბილისის კვლავ ერთიანი საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ, იწყება არაბობის დროს დანგრეული და გაუქმებული ეკლესიების აღდგენა და ახალი ეკლესიების მშენებლობა. ამ დროს არის აგებული დიდუბისა და ნარიყალას ციხის თავდაპირველი და მეტეხისა და ლურჯი მონასტრის დღევანდელი ეკლესიები. XIII ს-ის დასაწყისში ისტორიული წყაროების მიხედვით თბილისში 100 000 ადამიანი ცხოვრობდა და ამ მოცულობის ქალაქში სადაც 65 გოგირდის აბანო იყო, გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო რამდენიმე ათეული ეკლესიის არსებობა. ამავე დროს თბილისში მეჩეთებიც იყო მუსულმანური მოსახლეობისათვის. სამწუხაროდ თბილისისათვის კეთილდღეობის ეს ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა და ჯერ მონღოლების, შემდეგ კი თემურ ლენგის ლაშქრობებმა ქალაქის წინსვლა დიდი ხნით შეაჩერა.

IV ეტაპი გვიან შუა საუკუნეებს მოიცავს (XIV-XVIIIსს). ამ დროსაც ვითარება არაერთგვაროვანი იყო. ჯერ გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) და შემდეგ ალექსანდრე I დიდმა (1412-1442), მოახერხეს მტრისგან მიყენებული ჭრილობების მოშუშება და მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა XVს-ში ჯეჰან-შაჰის და შემდეგ უზუნ-ჰასანის ლაშქრობებმა საბოლოოდ წელში გატეხა დასაუსტბული საქართველო და ერთიანი სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. XVIს-დან კი სპარსეთისა და ოსმალეთის მომძლავრებამ ქვეყანა ჩიხში მოაქცია და ევროპული ცივილიზაციის განვითარებას ჩამოაშორა. დაკნინდა თბილისის მნიშვნელობაც. ქვეყანა და თბილისი წელში ოდნავ როსტომ მეფის დროს გასწორდა (1633-1658). თუმცა გამაჰმადიანებული მეფე იძულებული იყო მშვიდობიანობის სანაცვლოდ ქვეყნის განვითარება სპარსულ ყაიდაზე მოეწყო. საგულისხმოა, რომ იმ დროს როდესაც როსტომი თბილისში რამდენიმე მეჩეთს აშენებს, მისი თანამეცხედრე მარიამ დედოფალი კარის ეკლესიის მშენებლობით და დანგრეულ ეკლესიათა აღდგენით არის დაკავებული. კეთილდღეობის უკეთესი წლები თბილისს უკვე ქრისტიანი მეფეების თეიმურაზ II (1744-1762) და მისი ვაჟის ერეკლე II დროს ჰქონდა (1762-1798). თუმცა აღა-მაჰმად ხანის ლაშქრობამ (1795) თბილისს უდიდესი ზიანი მიაყენა და დასუსტებული ქვეყანა დედაქალაქითურთ რუსეთის იმპერიის „კლანჭებში" აღმოჩნდა.

გვიანი შუა საუკუნეების დამახასიათებელი მოვლენა იყო დანგრეული ტაძრების აღდგენა და ძველ ნაფუძვარზე ახალ ეკლესიათა მშენებლობა. ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. დანგრეული მართლმადიდებლური ტაძრების აღდგენა მტრის შემოსევების შემდეგ მშვიდობიანობის და ეკონომიკური მოძლიერების მოკლე პერიოდებში ხდებოდა. ამ დროისთვის დანგრეულ და მიტოვებულ ეკლესიებს ხშირ შემთხვევაში საქართველოში გადმოსახლებული თუ ლტოლვილი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ეუფლებოდნენ და მათ ადგილას ახალ ნაგებობებს აშენებდნენ. ამ გარემოებას ხშირად ეკონომიკური ინტერესიც ედო საფუძვლად რასაც, მაგალითად, თბილისში ვაჭრობის გაცხოველების მიზნით იმდროინდელი მმართველობაც უწყობდა ხელს. ეს პროცესი XVIს-დან იღებს სათავეს. მისი ინტენსივობა XVII-XVIIIსს-ში მატულობს, ხოლო განსაკუთრებით XIX ს-ში იჩენს თავს. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ხშირ შემთვევაში ეს ეკლესიები ადრეულ მართლმადიდებლურ ეკლესიების საფუძვლებზე ან ნაეკლესიარებზეა აგებული. მათი უმრავლესობა ძირიდანვე შენდებოდა და გათხრების გარეშე ვერ ხერხდება მათში თავდაპირველი სამშენებლო ფენების გამორჩევა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გვიან შუა საუკუნეებში სხვადასხვა კონფესიის და აღმსარებლობის ეკლესიები და სალოცავები გვხვდება თავიდანვე აგებულიც, თავისსავე ცარიელ ადგილზე

მათ შორის გვიანი შუა საუკუნეების თბილისში რამდენიმე კათოლიკური ეკლესიაც არსებობდა. ზოგი მეცნიერის მოსაზრებით კათოლიკე პატრები და კათოლიკური ეკლესია თბილისში უკვე XIIს-დან ჩნდება. მნიშვნელოვანია, რომ რომის პაპის სპეციალური ბულით 1329წ. თურქების მიერ შევიწროებული კათოლიკური საეპისკოპოსო სმირნადან თბილისში გადაიტანეს. თუმცა წერილობითი წყაროებით კათოლიკე ბერების მისიის არსებობა თბილისში XVIIს-დან არის დადასტურებული და იმავე პერიოდში უნდა დაწყებულიყო კათოლიკური ეკლესიების მშენებლობაც.

თბილისის და თბილისელების საყოველთაოდ აღიარებული ტოლერანტული ბუნების მიუხედავად, გვიან შუა საუკუნეებში გვხვდება ცნობები სხვადასხვა რელიგიურ თუ კონფესიურ უთანხმოებათა შესახებაც, თუმცა ეს უთანხმოებები ძირითადად ყოფითი ხასიათისა იყო და მკვეთრ და მტრულ დაპირისპირებაში არასდროს არ გადაზრდილა. სხვადასხვა აღმსარებლობის თბილისელები როგორც წესი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ.

ჩვენს მიერ გამოყოფილ V ეტაპზე, რუსული მმართველობის დროს (XIXს), გარეგნული მშვიდობიანობის ფონზე არანაკლები ზიანი მიადგა თბილისის მართლმადიდებლურ ტაძრებს. დანგრეული ეკლესიების შეკეთების და ბევრი ახლის მშენებლობის მიუხედავად, 1811 წლიდან რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იყო და სწორედ ამ პერიოდში უპატრონოდ დარჩენილ ეკლესიებს ახალი მფლობელი უჩნდებოდა.

რამდენიმე სიტყვით უნდა ვახსენოთ თბილისის ეკლესიებისა და სალოცავების არქიტექტურის სტილისტური რეპერტუარი. თბილისში სხვადასხვა აღმსარებლობის მრავალი ეკლესია და სალოცავია და ყველა მათგანს თანადროული ხუროთმოძღვრული ეპოქის ბეჭედი ადევს.

ქრისტიანული არქიტექტურის განვითარება საქართველოს მთელ მიწა-წყალზე ერთგვაროვნად მიმდინარეობდა და ამ მხრივ არც თბილისი ყოფილა გამონაკლისი. პირველი ეკლესიები საქართველოში დარბაზული ან სამნავიანი ბაზილიკის ტიპისა იყო და თბილისის თავდაპირველი ტაძრებიც, ანჩისხატის მსგავსად, სავარაუდოდ ბაზილიკური უნდა ყოფილიყო. ამის კარგი მაგალითია ზემო ბეთლემისა და კლდისუბნის ეკლესიები. ზემო ბეთლემის ეკლესიის საფუძვლების შესწავლისას გამოვლინდა ბაზილიკური გეგმარების მქონე თავდაპირველი ტაძრის ქვედა ნაწილები, ხოლო კლდისუბნის ეკლესიაში - დარბაზული ტიპის ადრეული ნაგებობის ნაშთები.

VIს-დან უკვე გუმბათიანი ეკლესიების ტიპიც ვითარდება, შიდა ტიპოლოგიური ვარიაციებით და შემდგომში თბილისისათვის დამახასიათებელი ხდება გუმბათიან ეკლესიათა სიმრავლე.

აქვე უნდა გავიხსენოთ სალაღაკის ქედის ფერდობზე შემორჩენილი „ათეშგა". იგი გვიან შუასაუკუნეებში მეჩეთად გადააკეთეს, თავდაპირველად კი ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარს წარმოადგენდა, ამ ტიპის ირანულ ტაძართა შესაბამისი გეგმარებითა და სტრუქტურით.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს თბილისური საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციულობა. აღსანიშნავია, რომ საერო არქიტექტურისაგან განსხვავებით საეკლესიო არქიტექტურაში ნაკლებად შეაღწია ირანულმა გაელენამ და ზოგად ქართული, თუმცა თვითმყოფადი თბილისური სტილი დამახასიათებელი იყო როგორც მართლმადიდებლური, ასევე მოგვიანებით აგებული გრიგორიანული ტაძრებისთვისაც. მკვეთრად გამოვლენილი ირანული გაელენა აქვს მხოლოდ 1675 წელს აგებულ ანჩისხატის სამრეკლოს.

XIXს-დან თბილისში შემოდის რუსული კლასიცისტური და აღმოსავლეთ ევროპული არქიტექტურული ესთეტიკა და ეკლესიათა და სალოცავთა გარეგნული იერიც მყისიერად ეპასუხება უკვე სწრაფად მიმდინარე სტილისტურ ცვალებებს. თუმცა ის რაც უცვლელი დარჩა ეს იყო თითქმის ყოველთვის ლანდშაფტურ გარემოსთან მორგებული და ერთიან მასშტაბს დაქვემდებარებული არქიტექტურულ-გეგმარებითი კომპოზიციები. იქნება ეს ქართული და რუსული მართლმადიდებლური, გრიგორიანული თუ კათოლიკური ეკლესიები, გერმანული კირხა, ებრაული სინაგოგა თუ სუნიტური მეჩეთი.

სწორედ ეს ღირსება ანიჭებდა განუმეორებელ ხიბლს თბილისურ ეკლესიებსა და სალოცავებს - რთულ ლანდშაფტურ გარემოში ჩაწერილ მოცულობით სტრუქტურებს, რომლებიც შესაბამისი მასალის ფაქტურითა და ტონების მხატვრული სინთეზით განაპირობებდნენ ქალაქის სილუეტის არქიტექტურულ ესთეტიკას.

ვია ჟანიშვილი

FOREWORD

Tbilisi is among the world's most ancient cities. Its existence as of a town is testified by historical sources related to the 4th century BC. But, the archeological excavations in the hilly areas of old Tbilisi identify settlements of as early a period as Late Bronze. The first foreign historical source, in which Tbilisi is depicted, is a map of roads drawn by Castorious, a Roman Geographer (the 4th c. AD.). Apart from it, the Georgian chronicle "Moktsevai Kartlisai" ("The Conversion of Kartli") mentions Tbilisi as a town in a context of events related to the 60s of the 4th century.

Other Georgian historical records recount a replacement of Mtskheta by Tbilisi as the capital city of Georgia in the second half of the 5th century by King Vakhtang Gorgasali. Since then it became one of the significant political and economical centers of the Caucasus and the areas beyond. The account of this source is confirmed by Theophanous Byzantine, a contemporary historian of the Emperor Justinian II (565-578). "And the capital of the Iberians was then Tbilisi"- he writes.

Thus, at the initial stage of the early Christian period, Tbilisi was already the capital of the country. The erection of churches in the new capital of one of the first Christian kingdoms of those times would have been an event of the natural order of things. But, in this city even as early as that, not only Christian churches but the temples of other religions were constructed, too. Good examples of it are Ateshga and Mosques. To some extent, this process originated due to frequent enemy invasions. However, subsequently the coexistence of the latter with Orthodox ones was discerned by people as natural for the capital city of the land which had already been liberated from the subjection to enemies. And today also, Christian churches of various confessions, Jewish synagogues and Muslim mosques continue in Tbilisi.

Regrettably, no records of the Early Middle Ages testifying that people built churches in the 6th century have survived. Nevertheless, some sources of a later period ascribe to King Vakhtang Gorgasali the erection of a few in the capital city.

Besides, the Church Council of Dvin held in 506 names the Bishop of Tbilisi in its "Book of Epistles" as a representative at the Council. It, of course, allows us to accept the statement as an infallible testimony of the presence of an Episcopal cathedral in Tbilisi.

The process of the development of Tbilisi as a city with its concomitant intensive erection of temples was directly linked with the political history of the country In this respect several chronological stages could be highlighted.

The early centuries of the town's formation can be considered as the initial stage. It was the period from King Vakhtang Gorgasali's reign to the Arab rule of the 5th – 7th centuries inclusive. We can only name a few churches in the city related to that time. They are the Sioni Church of Tbilisi, Anchiskhati, Upper Bethlehem Church, Metechi Church, Jvarismama, Holy Forty Martyrs of Sabaste Church and St. Archangels Church. Of all these temples only the lower part of Anchiskhati and a few fragments left from the former Sioni Cathedral have survived intact.

As for the interior of Kldisubani and Upper Bethlehem churches, archaeological excavations have identified the remains of former constructions. Furthermore, in the basement of the Holy Forty Martyrs of Sabaste church was found the floor of the reconstructed temple which is attributed to the 11th-12th centuries (the age of King David the Builder (Agmashenebeli)). Regrettably, all these temples have been rebuilt not once, and therefore, consist of several structural tiers. Metechi was reconstructed at the end of the 13th century, Jvarismama - in the 16th century, but St. Archangels Church has not survived at all.

The second stage extends over the 7th-8th centuries. The chronicles are silent about the building of churches during this period and it was within the natural course of things for under Muslim rule the construction of Christian temples wouldn't have been encouraged. This stage can be studied as consisting of two parts of which the first is the time when the Arabs presented themselves in a good light, as merciful and did not cause any injury to religious structures; the hagiographical book "The Martyrdom of St. Abo," in which several temples of Tbilisi are mentioned, bears witness to this. But, in the second half of the Arab rule the early constructions were destroyed while not a single new one was added.

The third stage (the 12th – 13th cc.) is the age of Georgia's reunification and consolidation when she revived. Tbilisi once again became the capital city of the land. The reconstruction of ruined and closed churches and erection of new ones started in the city. According to historical sources early in the 13th century Tbilisi grew into a city of 100 000 residents and 65 sulphury baths. Presumably, the town of this size would have had several tens of churches. Sadly, Tbilisi did not prosper long, rather its welfare ceased due to the Mongol conquest and its subsequent Tamerlane's incursions. A gap of long span in the life of the city stopped its development.

The fourth stage covered the 14th-17th centuries in the history of Tbilisi. The circumstances were heterogeneous as King Giorgi the Magnificent (1314-1346) and later, King Alexander I (1412-1442) could improve matters and heal the wounds afflicted to the land, but in the 15th century frequent enemy campaigns caused utter destruction to the country and finally Georgia disintegrated into several principalities. In the 16th century Persian and Turkish aggressions forced the country into a deadlock and hindered its development as part of the European civilization. The significance of Tbilisi was devalued. Under King Rostom (1633-1658) Georgia and its capital city Tbilisi once again gained a little strength. It is worth noting that while King Rostom built several mosques, his spouse Queen Mariam focused her attention on the erection of Christian churches and reconstruction of the ruined However, better years of prosperity Tbilisi saw during the reign of King Teimuraz II (1744-1762) and his son King Erekle II (1762-1798). But, the 1795 incursion of Aga-Mohammed-Khan caused extensive damage to Georgia and the devastated country found herself in the hands of Russia.

The reconstruction of destroyed structures and erection of the new on the basement of the old collapsed temples was the characteristic feature of the late medieval period. Here should be underscored that the restoration of ruined Orthodox churches took place only in brief periods of peace and economical growth which would alternate with the outbreaks of wars. Frequently, at such times migrants or refugees in Georgia took possession over the destroyed and abandoned structures and built new temples on their foundations. In most cases this occurred against the economical backdrop and was encouraged by the authorities, since their goal was to help increase commerce in the city. This process makes its start from the 16th century and intensifies in the 17th and 18th centuries becoming most conspicuous in the 19th century. It is noticeable, that most of these constructions had been built on the remains of early Orthodox churches. in most of the cases, churches were built right from the basement of the former ones and it rules out the archaeological study which would reveal the tiers of initial structures. Several Catholic temples of the late medieval period existed in Tbilisi, too.

The fifth stage is already the age of Russian rule. The peaceful façade of the 19th century concealed not a little damage caused to the Georgian temples. The autocephaly of the Georgian Church was abolished in 1811 and since then new proprietors were allowed access to the churches which were left out of the supervision of their owners.

Here, we ought to give a brief survey of the architectural style of the Tbilisi churches and prayer houses. Many temples of various confessions can be seen in this city and all of them bear marks of their contemporary structural design. The homogeneity in the evolution of the Christian architecture throughout the country extended on to Tbilisi as well. The first churches in Georgia represented the type of hall structure and that of three-nave basilica. From the 6th century emerged and evolved the dome structure with typological variations of the interior which subsequently became the prevailing type of churches found in many in the city. In the Tbilisi of the 19th century Russian classical and Eastern European architectural esthetics were introduced and the facades of temples rapidly responded to the stylistic changes of the day. However, solely remained unchanged the layout of compositions which almost always blended in with their surroundings and correlated with the overall scale of the hole landscape. This, precisely, is the asset which gave unique magnificence to the churches and temples of Tbilisi, to the large structures set in complex surroundings, which, together with the patterns of the building material and artistic synthesis of shades, determined the architectural esthetics of the silhouette of the whole city.

GIA CHANISHVILI

ПРЕДИСЛОВИЕ

Тбилиси один из древнейших городов мира. Согласно историческим источникам, существование его как города подтверждено еще в IVв., а в результате археологических раскопок на возвышенностях старого Тбилиси были обнаружены и селища позднебронзового периода. Первым зарубежным историческим источником, где встречается Тбилиси, является путевая карта, составленная в Iв. римским географом Касториусом. Город Тбилиси упоминается также в грузинском письменном источнике «Мокцеваи Картлисаи», где говорится о событиях 60-ых годов IVв.

Согласно грузинским историческим письменным источникам, в Vв. грузинский царь Вахтанг Горгасали из Мцхеты в Тбилиси перенес тронный город царства и с тех пор Тбилиси становится одним из значительных политических и экономических центров Кавказа и всего прилегающего региона. Наряду с грузинскими письменными историческими источниками Тбилиси столицей упоминает Феофан Византийский: «А столицей иберов был тогда Тбилиси», - сообщает живущий во время правления императора Юстиниана II (565-578) этот византийский историк.

Таким образом, Тбилиси уже на первом этапе раннего христианства становится столицей, и к этому периоду начало строительства церквей в новой столице одного из первых христианских государств было вполне естественным. Здесь же следует отметить, что в Тбилиси наряду с христианскими храмами с самого начала возводились и молельни других религий, примером чего служат мечети и храм огнепоклонников – Атешга. Определенным образом это обуславливалось нашествиями врагов. Хотя позднее существование наряду с православными храмами других молелен воспринималось для освобожденной от врагов столицы естественным явлением. И сегодня в Тбилиси мирно сосуществуют христанские церкви различных конфессий, еврейские синагоги и мусульманские мечети.

К сожалению, подтвержденные историческими источниками раннего средневековья сведения о строительстве в Тбилиси церквей в IVв. не сохранились. Хотя поздние источники возведение в Тбилиси нескольких церквей приписывают и царю Вахтангу Горгасали. При этом, упоминание в «Книге епистолей» тбилисского епископа вместе с участвующими в Двинском церковном соборе в 506 году архиепископами безусловно подтверждает существование в Тбилиси епископского храма.

Как и развитие города Тбилиси, так и интенсивность его церковного строительства непосредственно зависили от политической истории страны. В этом плане можно выделить несколько условно хронологических отрезков.

I этапом можно считать начальные века становления Тбилиси городом, со времен царствования Вахтага Горгасали до господства арабов в Восточной Грузии V-VIIвв. В этот период в Тбилиси были возведены лишь несколько церквей. Это – тбилисский Сиони, Анчисхати, Вифлеемская церковь, Кадисубанская церковь св. Георгия, Метехи, Джварис мама, церковь святых сорока мучеников и церковь архангелов.

Из них в первоначальном виде сохранились только нижняя часть Анчисхати и фрагменты ранней церкви Сионского храма. В интерьере Вифлеемской и Кадисубанской церквей остатки первоначального строения подтверждены археологическими раскопками, а в фундаменте церкви сорока мучеников выявлен пол храма, вновь возведенного во время Давида Строителя (XI-XIIвв.). К сожалению, все из них не раз переделывались и состоят из разных строительных слоев, в том числе Метехи заново был построен в конце XIIIв., Джварис мама – в XVIв., а церковь архангелов больше не существует.

II этап охватывает VII-XIвв. арабского господства. Неизвестно строились ли в этот период в Тбилиси церкви, и это естественно, так как во время мусульманского правления возведение в городе христианских храмов не поощрялось. Эпоху эту можно разделить на две части. В начале своего правления арабы проявляли терпимость и не разрушали церковные сооружения, о чем свидетельствует упоминание тбилисских церквей в «Мученичестве святого Або». Во II половине арабского правления ранние церкви разрушались, а новые не возводились.

III этап (XII-XIIIвв.) - эпоха объединения и усиления государства. Тбилиси вновь становится столицей единой Грузии. Начинается восстановление и строительство новых церквей. Согласно историческим источникам, в начале XIII века в Тбилиси проживало 100000 человек, и в таком городе, где было 65 серных бань, не исключалась возможность существования нескольких десятков церквей. К сожалению, эта благополучная для Тбилиси пора была кратковременной и развитие города на долгое время было приостановлено сначала нашествиями монголов, а затем походами Тамерлана.


IV этап в истории Тбилиси охватывает XIV-XVIIIвв. И в эту пору обстановка была неоднородной. Грузинские цари Георгий V Блистательный (1314-1346), а затем Александр I (1412-1442) смогли залечить нанесенные врагом раны и исправить положение, однако вражеские походы в XV веке сломили ослабленную Грузию и единое государство распалось на отдельные царства и княжества. А в XVI веке усиление Ирана и Османской империи завело страну в тупик и лишило ее возможности развития по пути европейской цивилизации, снизилось и значение города. Государство и его столица смогли подняться лишь в царствование омусульманенного грузинского царя Ростома (1633-1658). Следует отметить, что в то время, когда Ростом в Тбилиси строил мечети, его супруга царица Мариам была занята возведением новых христианских храмов и восстановлением разрушенных церквей. Наилучшие годы у Тбилиси настали во времена христианских царей Теймураза II(1744-1762) и его сына Ираклия II (1762-1798), хотя нашествие ага Махмад хана (1795) нанесло городу величайший урон и ослабленная страна оказалась в руках России.

Характерным явлением позднего средневековья было восстановление разрушенных храмов и строительство новых на старом фундаменте. При этом, следует обратить внимание и на одно обстоятельство. Восстановление разрушенных православных храмов происходило в короткий период мира и экономического подъема, наступавшего после нашествия врагов. Еще в XVIв. разрушенные и заброшенные церкви часто переходили в руки переселенцев или беженцев разных этнических групп. Интенсивность этого процесса возрастает в XVII-XVIIIвв., а особенно проявляется в XIXв. На земельных участках с руинами церквей, возводились новые религиозные сооружения. Это обстоятельство часто имело и экономическую подоплеку, чему часто содействовали правители с целью оживления в Тбилиси торговли. Ввиду того, что эти храмы возводились с основания, или реставрировались, они естественно видоизменялись, и поэтому без соответствующих исследований и раскопок невозможно выявить в них первоначальные строительные слои. В Тбилиси позднего средневековья существовали и несколько католических церквей.

V этап – пора российского правления. На фоне внешнего спокойствия XIX века не меньший урон был нанесен тбилисским грузинским церквям. С 1811г. была упразднена автокефалия Грузинской православной церкви и именно в этот период у церквей появлялись новые владельцы.

Несколькими словами следует упомянуть архитектурную стилистику тбилисских церквей и молелен. В Тбилиси множество религиозных сооружений разных вероисповеданий и на всех из них лежит печать зодческой эпохи своего времени. Развитие христианской архитектуры на всей территории Грузии происходило однообразно и в этом плане не был исключением и Тбилиси. Первые церкви в Грузии были залные или типа трехнефной базилики. В VIв. развивается уже и тип купольных церквей с внутренними типологическими вариациями, ставшие в дальнейшем для города характерными. В XIXв. в Тбилиси заходит русская классицистическая и восточно-европейская архитектурная эстетика и внешний вид молелен быстро приходит в соответствие с происходящими стилистическими изменениями, хотя неизменными остались всегда сочетающиеся с ландшафтной окружающей средой и подчиненные единому масштабу архитектурно-плановые композиции. Именно это достоинство придавало определенную привлекательность тбилисским церквям и молельням - вписанным в сложную ландшафтную среду объемным структурам, которые фактурой и художественным синтезом соответствующего материала обуславливали архитектурную эстетику силуэта города.

ГИЯ ЧАНИШВИЛИ.



სიონი
ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი

სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის ადგილას მდგარი პირველი ეკლესია აქ ვახტანგ გორგასლის(1) დროს უნდა ყოფილიყო აგებული როგორც საეპისკოპოსო კათედრალური ტაძარი. ამას ადასტურებს ის, რომ დვინის საეკლესიო კრების(2) ერთ-ერთი მონაწილე ყოფილა თბილისის ეპისკოპოსი ისაკი (სააკი). VI საუკუნის 70-იან წლებში "...შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ(3) და მერმე - კურაპალატადცა ...და ტფილისისა მკვიდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს: ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი; და კათალიკოზი იყო ბართლომე(4)". პლატონ იოსელიანის(5) ცნობით: "სიონის ტაძარი 64 წლის განმავლობაში, 575–639 წლებში შენდებოდა". ვ.ბერიძე(6) სიონის მშენებლობის თარიღზე წერს, რომ "აშენებული VI-VII-საუკუნეებში და უეჭველია "მეორედ აღშენებული" განვთარებული შუა საუკუნეების ხანაში".

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის(7) მიერ შედგენილ კატალოგში „მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" სიონის ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: "უპირველესი ტფილისსა შინა არის დიდი ეკკლესია გუმბათიანი სიონად წოდებული ყვითლის ქვით-კირით და ყვითლის თლილის ქვით ნაშენი, სახელსა ზედა ყ¯დწ¯ისა ღ¯ისმშობლის მიცვალებისასა, აგვისტოს იე-სა დღესა ზედა, რომლისაცა საფუძუჱლი დაზდუა 39 მეფემან გურამ ბაგრატოვანმან წელსა ქ¯ესით 589-სა და მერმე შეასრულა ქურივმან ვინმე; და უკანასკნელ 41 მთავარმან საქართველო[ჲ]სამან ადარნასე(8) სრულიად განაშვენა წელსა 631-სა, და მრავალგზის შემუსვრილ ესე მრავალგზის განაახლეს მეფეთა და უკანასკნელ შემუსვრილი განაახლა 94 მეფემან ვახტანგ მეექუსემან წელსა 1710-სა, სადაც აწ ზის ჩლენი უწმინდესისა და უმმართებელესისა სინოდისა, არხიეპისკოპოსი ექსარხი სრულიად საქართველოჲსა ევღენი(9). და ეკკლესია ესე არის საბოროდ და კათედრად საექსახორსოდ დადებული. აქა დაფლულ არს სხეული წმინდისა ყ¯დსამღუდელოჲსა იოანე მანგლელისა, გუაროვნებით სააკაძისა(10). აგვისტოს იე-სა დღესა ამას შინა მოვლენ სრულიად ტფილისში მცხოვრებნი ქართველნი და სომეხნიცა დღესასწაულობად ...აქაც ამასავე ეკკლესიასა შინა სამჴრეთით მხარესა აქუს მიდგმული ქვით-კირით მიშენებული ადრით დროიდგან პატარა კამარა-შეკრული ეგურერი, რომელიცა სახელსა ზედა წმინდისა მთავარანგელოზისა მიხაილისსა და ყოველთა ზეცათა უხორცოთა ძალთა ...დღესა ზედა თვისასა აკურთხა ეკკლესიად 1824-სა წელსა მაღალ ყ¯დუსამღუდელოესმან მიტროპოლიტმან იონამ(11)."

სიონის ტაძარი თავის გეგმით შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში გავრცელებული ტიპის ნიმუშია. იგი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, აღმოსავლეთით შვერილი წახნაგოვანი აფსიდებით. გუმბათი დასავლეთის ორ თავისუფლად მდგომ ჯვარისებური კვეთის სვეტსა და საკურთხევლის კედლებს ეყრდნობა. სამხრეთით წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის, ხოლო

Sioni Cathedral of the Dormition of the Most Holy Theotokos

The former church on the site of Sioni Cathedral of the Dormition of the Most Holy Theotokos was erected in the 5th – 6th centuries under King Vakhtang Gorgasali. By the structural plan it is a central-dome church typical for the Georgian medieval architecture. Having been destroyed many a time Sioni Cathedral consists of various architectural layers. Here, the Cross of St. Nino the Enlightener of Georgia is preserved. Also, many remarkable people of Georgia lie at rest within its walls.

Сионский Кафедральный Храм Успения Пресвятой Богородицы

Первая церковь, стоявшая на месте Сионского кафедрального грузинского православного храма Успения Пресвятой Богородицы, была возведена во времена картлийского царя Вахтанга Горгасали, в V-VI веках. По своему плану храм является образцом церкви центрально-купольного типа, распространенного в средневековой грузинской архитектуре. Многократно разоренный Сионский храм построен из разных строительных слоев. Здесь покоится крест Просвететильницы Грузии Св. Нино и находятся могилы многих исторических личностей.



სიონის ტაძარი აღმოსავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Сионский храм, вид с востока. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Sioni Cathedral. East view. Photo by D.Ermakov End of 19thc..

სიონის ტაძარი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Сионский храм, вид с северо-востока. Фото И.Микадзе, 2009г.
Sioni Cathedral. North-east view. Photo by I.Mikadze, 2009.



სიონის ტაძრის კანკელი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.

Иконостас Сионского храма.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.

The Iconostasis of Sioni Cathedral. Photo by D.Ermakov. End of 19th c..

ჩრდილოეთით წმინდა ვახტანგ გორგასლის ეგვტერია. სიონის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით, ეზოში იდგა 1425 წელს აშენებული ორიარუსიანი სამრეკლო, რომელიც დაინგრა 1795 წლის შემოსევის შედეგად. აღდგენილია 1947 წელს.


ქუჩის მეორე მხარეს, ტაძრის დასავლეთით 1812 წელს აგურით ნაგები სამიარუსიანი სამრეკლო დგას. იგი აშენდა პეტერბურგიდან გამოგზავნილი პროექტის მიხედვით და თბილისში რუსული კლასიციზმის პირველ ნიმუშს წარმოადგენს. სამრეკლოს ზარებისათვის დავით სარაჯიშვილმა(12) მოსკოვიდან გამოიწერა 57 ფუთი ლითონი, ხოლო 102 ფუთი 1824 წელს მიტროპოლიტმა იონამ ეკლესიის ფულით შეიძინა. 1848 წელს მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის(13) თანხმობით ძველი ზარბაზნები ზარებად გადაადნეს.

1226 წელს ჯალალედინმა(14) თბილისი აიღო. მისი ბრძანებით სიონის გუმბათს თავი მოხადეს და იქ მისი ტახტი დადგეს. ამ ტახტზე მჯდარი ადევნებდა იგი თვალს იმ მოწამეებს, რომლებმაც არ შეურაცხყვეს სიონის ტაძრიდან გამოტანილი და მეტეხის ხიდზე დასვენებული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები.

1386 წელს თემურ ლენგმა(15) დაარბია სიონის ტაძრის შენობა, რომელიც განაახლა ალექსანდრე I-მა(16). 1522 წელს შაჰ-ისმაილმა(17) სიონის ღვთისმშობლის ძვირფასი თვლებით შემკული ხატი(18) გაძარცვა და შემდეგ მტკვარში გადააგდეს. XVII საუკუნის დასაწყისში ირანელთა არაერთი შემოსევის შედეგად დანგრეული ტაძარი და XIII საუკუნის ნაწილების შემცველი წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის სამხრეთი ეგვტერი 1657 წელს აღადგინა მთავარეპისკოპოსმა ელისე საგინაშვილმა(19), რომელიც აქვეა დასაფლავებული. მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ მოგვითხრობს საყდრის სამხრეთ კედელზე არსებული წარწერა: "...მე,







ზარების მოხსნა ტაძრებიდან 1930-იანი წლები
Снятие колоколов с храмов. 1930-ые годы.
Removal of bells from churches. 1930s.

ზარის მოხსნა სიონის საკრებულოდან 1931წ 5 თებერვალი
Снятие колокола с Сионской колокольни. 5 февраля 1931г
Removal of the bell from the Sioni Cathedral belfry, 5 February, 1931.

სიონის ტაძარი დასავლეთიდან
დ ერმაკოვის ფოტო XIXს დასასრული
Сионский храм, вид с запада. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Sioni Cathedral. West view. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

თბილელმან ელისე საგინაშვილმან, აღუაშენე გუმბათი ესე სიონისა, ორჯერ სამხრეები და კარისბჭე და დავხატე და შევამკე ყოველთა სამკაულითა...". დღევანდელი ნაგებობა, ძირითადად, მისი შექმნილია.


1668 წელს მიწისძვრამ ისევ დააზიანა ტაძარი. 1710 წელს ვახტანგ VI-მ[20] ტაძრის გარეთა კედლები და გუმბათის ყელი ბოლნისის ტუფის ქვით მოაპირკეთა. ამ მოვლენას გვაუწყებს ჩრდილოეთის ფასადის წარწერა. 1723 წელს კახთა მეფემ[21] კონსტანტინე II-მ ლეკთა ჯარის დახმარებით დაამარცხა ვახტანგ VI და აიღო თბილისი, ლეკთა ლაშქარს ნება მისცა დახმარების სანაცვლოდ ერბიათ და ეთარეშათ თბილისში, რის შედეგადაც სიონის საყდარიც გატიალდა. იესე ტლაშაძეს[22] ეს ამბავი ასე აქვს გალექსილი: "...სიონის ხატი წაიღეს, არავინ იცის სად არი, დატყვევდა დეკანოზიცა, კაცი წმინდათა სადარი". დღეს "სიონის ღვთისმშობლად" წოდებული ხატი ძველის ასლია[23], დამზადებულია 1764 წელს მოსკოვში ვახტანგ VI-ის ძის გიორგის[24] დაკვეთით. ხატის პერანგი XX საუკუნეში დაიკარგა.

1724 წელს თბილისს ოსმალები დაეპატრონნენ, ტაძარი კიდევ ერთხელ

მტკვრის მარჯვენა სანაპირო.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.


Правая набережная Куры.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.

The right bank of the Mtkvari River.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.









სიონის ტაძრის ინტერიერი, საერთო ხედი
გრ გაგარინის ჩანახატი
Интерьер Сионского храма, общий вид. Зарисовка Г.Гагарина.
Sioni Cathedral. Interior. General view. Sketch by G.Gagarin.

სიონის ტაძრის კედლის მხატვრობა,
ჭრილი აღმოსავლეთით. გრ.გაგარინის ჩანახატი.
Стенная живопись Сионского храма.
Разрез на восток. Зарисовка Г. Гагарина
Sioni Cathedral. Frescoes. East section. Sketch by G.Gagarin

სიონის ტაძარი დასავლეთიდან. ი.გოლიაძის ფოტო, 2009წ
Сионский храм, вид с запада. Фото И.Голиадзе, 2009г.
Sioni Cathedral. West view. Photo by I.Goliadze, 2009.

სიონის ტაძრის ინტერიერი,
გუმბათქვეშა სივრცე ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Интерьер Сионского храма,
подкупольное пространство. Фото И.Микадзе, 2009г.
Sioni Cathedral. Interior. The space under the dome. Photo by I.Mikadze, 2009.

სიონის ტაძრის ღვთისმშობლის ხატი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Икона Богоматери Сионского храма. Фото И.Микадзе, 2009г.
The Most Holy Theotokos. The Icon of Sioni Cathedral. Photo by I.Mikadze, 2009.





ააოხრეს. 1727 წელს თურქეთის სულთანმა ქართლის ვეზირს ისაყ-ფაშას სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთება უბრძანა. სასულიერო პირთა თხოვნით თავადმა გივი ამილახვარმა(25) თავისი გავლენა გამოიყენა და ფაშასგან ტაძრის ხელუხლებლობის პირობა მიიღო. 1740 წელს ათანასე თბილელის(26) თაოსნობით მოეწყო სიონის ქონების აღწერა. 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის(27) შემოსევის დროს სიონის საყდარში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა XVII საუკუნის კედლის მხატვრობა და კანკელი. 1804 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს მთავარმართებელმა თავადმა ციციანოვმა(28) სიონის ტაძარი ხელახლა მოახატვინა.

სიონის ტაძარს უძველეს დროში, როგორც ამას წერს პლატონ იოსელიანი, სადიაკვნეში ჰქონია წმიდათა პეტრე-პავლეს ეკლესია, რომელიც პეტრე ციციანოვის თხოვნით წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობაზე აკურთხეს. თუმცა, 1818 წელს მასში შეწყდა ღვთისმსახურება და ეს ფართი სეკლესიო ნივთების შესანახად გამოიყენეს. კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის გადაწყვეტილებით 1851-1855 წლებში თავადმა გრიგოლ გაგარინმა(29) მისივე პროექტით აღადგინა კანკელი და სიონის ტაძარი ახლიდან მოხატა. 1867 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ(30) განახლებული სიონის ტაძარი აკურთხა და საღვთო ლიტურგია აღასრულა.

1802 წლიდან სიონის ტაძარში ასვენია საქართველოში რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ს(31) მიერ დაბრუნებული წმიდა ნინოს







ჯვარი(32), ტაძარში ასევე არის მადლის ქვა(33) და წმინდა თომა მოციქულის თავის ქალა(34).

1978-1979 წლებში ტაძრის დასავლეთი ნაწილი ხელახლა მოიხატა ლ.ცუცქირიძის მიერ. უკანასკნელად ტაძარი 1983 წელს განახლდა. ძველი ქართული ნიმუშების მიხედვით გაკეთდა კანკელი. ახლად შემოსეს XIII საუკუნის ნაწილების შემცველი და XVII საუკუნეში ელისე თბილელის მიერ აღდგენილი სამხრეთი ეგვტერი, აშენდა ჩრდილოეთი ეგვტერი(35). 2001-2003 წლებში სიონის ტაძარს დასავლეთიდან მიუშენდა კარიბჭე.

სიონის ტაძარში არაერთი ღირშესანიშნავი საფლავია. გადმოცემით, ტაძარში დაკრძალულნი არიან მისი მაშენებლები ერისმთავრები გუარამი და ადარნასე. ტრაპეზის ქვეშ დაფლულია წმინდა ევსტათი მცხეთელის ნაწილები. სადიაკვნეს კარის წინ, სამხრეთ კედელთან თეთრი ქვის აკლდამაში ასვენია ეპისკოპოსი იოანე მანგლელი. საკურთხევლის წინ და გუმბათქვეშა ბურჯებთან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების: წმინდა კირიონ II–ის(36), ლეონიდეს(37), ღირსი ამბროსი აღმსარებლის(38), ქრისტეფორეს(39), კალისტრატეს(40), მელქისედეკ III-ის(41), ეფრემ II-ის(42), დავით V-ის(43) საფლავებია. გადმოცემით, აქვე განისვენებენ XII საუკუნის ჰიმნოგრაფი ეპისკოპოსი საბა სვინგელოზი(44), იერუსალიმის წმინდა ჯვრის ქართული მონასტრის წინამძღვარი, მწიგნობარი და დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი(45), პოეტი მიტროპოლიტი იოსებ თბილელი(46). წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეგვტერში დაკრძალულია მისი განმაახლებელი მთავარეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი. დასავლეთ მკლავში - პოეტ ვახტანგ ორბელიანის საფლავია(47). ტაძარში ასევე დაკრძალულია რუსი ეგზარქოსი მოსე(48).

სიონის საკათედრო ტაძარი მდებარეობს სიონის ქუჩის №4–ში.

აგურის სამრეკლო სიონის ტაძრის ჩრდილოეთით.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Кирпичная колокольня на северной стороне Сионского храма.
Фото И.Микадзе, 2009г.
Brick belfry. North of Sioni Cathedral.
Photo by I.Mikadze, 2009.

ნეოკლასიკური სამრეკლო სიონის ტაძრის დასავლეთით.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Неоклассическая колокольня на западной стороне Сионского храма.
Фото Д. Ермакова, конец XIXв.
Neo Classic belfry. West of Sioni Cathedral.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.

სიონის ტაძარი. შ.ლეჟავას ფოტო, 2009წ.
Сионский храм. Фото Ш.Лежава, 2009г.
Sioni Cathedral. Photo by Sh.Lejava, 2009.



ანჩისხატი
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია

ანჩისხატის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია აშენებულია VI საუკუნეში, დაჩი უჯარმელის(49) მეფობის დროს. გ.ჩუბინაშვილის(50) მოსაზრებით, იგი უნდა იყოს „მოქცევაი ქართლისაი" ქრონიკაში მოხსენიებული „...მარიამ წმიდა ეკლესია".

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ანჩისხატის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: "ტფილისსავე შინა არს ეკკლესია ღ¯ისმშობლის შობისა 8-სა დღესა ზედა სეკდემბრისა თთვსასა, აღშენებული ძველადვე სასახლითურთ კათოლიკოსისა ბაბილისაგან(51) წელსა 634-სა, მეტოქედ ანუ ფოდვერიად მცხეთით ტფილისად მოსრულთა კათოლიკოსთათჳს. თუმცა უგუმბათო სიონური, მაგრამ ქვით-კირით კეთილნაშენი და კმად დიდი, და აქვს მაგალითი გუმბათისა შუჱნიერი. აქა ასვენია ხატი მაცხოვრისა(52) იესო ქ¯ესი, დროსა ლეო ისავრისა ხატთმბრძოლისასა დახიზნული კონსტანტინუპოლით საათაბაგოდ ქვეყანასა ანჩეთისასა(53) და მუნით შემდგომად მისვენებული აქა ეკკლესიასა ამას შინა, რომლისაცა სახელითა ვითარცა ხატი ეგრეთ ეკლესია ესე იწოდება ანჩისხატად, და ხატი ესე მარადის და აწცა ჰყოფს მრავალსა კურნებასა სარწმუნოვებით მთხოველთათჳს. ამას ეკკლესიასა შინა ივ აგვისტოს მოვლენ სრულიად ტფილისელნი დღესასწაულობად ხატისა მის. და ეკკლესია ესე არის ქართველთ სობოროდ დადებული...".

გადმოცემით, არაბთა ბატონობის პერიოდში ანჩისხატი იყო საქართველოში ერთადერთი ტაძარი, სადაც ღვთისმსახურთ ეძლეოდათ ზარების დარეკვის უფლება, ამიტომ მას "ზარის ეკლესიასაც" ეძახდნენ. ანჩისხატის ტაძრის ტერიტორიაზე აშენებული იყო საქართველოს კათოლიკოსების სასახლე და ტაძარი, რომელიც მათი სასახლის კარის ეკლესიას წარმოადგენდა. ერეკლე II-ის(54) მეფობაში ანჩისხატთან დაარსდა სემინარია. მუხრანთ უბანში მდებარე ტაძარი ოდითგანვე წარჩინებულ ქართველთა თავშესაყარი იყო. ანჩისხატი გამოირჩეოდა განათლებულ სასულიერო პირთა სიუხვით. მათი სულიერი ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ ქართველი უფლისწულები.

ანჩისხატის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. მიუხედავად გვიანდელი განახლებისა, მან, ძირითადად, შეინარჩუნა პირვანდელი არქიტექტურული კომპოზიცია. თავდაპირველი თლილი ქვით ნაშენი კედლების ქვედა ნაწილი და სამხრეთ კედელთან დაცული სანათლავის ნაშთი VI საუკუნისაა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში დომენტი კათოლიკოსმა ტაძარი საფუძვლიანად შეაკეთებინა (ამ პერიოდისაა აგურით ნაგები სამრეკლოს კედლები) და ეკლესიის დასავლეთით ააგო სამრეკლო, რომლის პირველი სართული ეზოში შესასვლელს წარმოადგენს.

1664 წელს ტაძარში დააბრძანეს ბექა ოპიზარის(55) მიერ XII საუკუნეში მოჭედილი მაცხოვრის ხატი, რომელიც ადრე ანჩის საკათედრო ტაძარში ესვენა. მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი(56) ანჩის ხატზე წერს: "...გადმოასვენეს ანჩიდამ ახალციხეში პირი ღვთის ხატიც სხვა საეკკლესიო სამკაულებთან ერთად. დომენტიმ გორელ ვაჭარს, ამირჯანა ივანგულაშვილს მოატაინა სამცხედამ ათი ხატი–ანჩისა, ნათლისმცემლისა, იოანე მახარებლისა, მთავარანგელოზისა და ექვსი სხვა წვრილი - ორი ათას მარჩილად, ანუ ას ოც თუმნათ 1660 წელს. ესე ხატები გორიდან ჯერ ს.ჭალაში ჩაასვენა იოთამ ამილახვარმან(57) თავის სახლში, მეფე როსტომის(58) სიკვდილამდე; დაძველებული კარები პირი ღვთისა განაახლა იოთამის ძემ გივმა ამილახვარმა. აქედ-

Anchiskhati Church of the Presentation of the Most Holy Theotokos in the Temple

Anchiskhati Church of the Presentation of the Most Holy Theotokos in the Temple was erected in the 6th century under Dachi of Ujarma, King of Kartli. The church represents a three-nave basilica. The architectural composition the temple had from the first is still maintained notwithstanding its later reconstructions. In 1664 a 12th-century icon of the Saviour made by the hand of Beka Opizari was brought to this church. Formerly, the icon had been reposed in the Episcopal Temple of Anchi Diocese, hence the name of the Church. The palace of Georgian Catholicoses was also located on the site of Anchiskhati and a theological academy was founded here too. Anchiskhati was restored several times in the 19th century and its wall painting was renewed. The foremost sacred object of the church, the icon of the Saviour, which is not made by human hand, is now preserved in the State Museum of Arts of Georgia.

Анчисхати, церковь Введения Богородицы во Храм


Анчисхатская грузинская православная церковь введения Богородицы во Храм построена в VI веке, в царствование картлийского царя Дачи Уджармели. Церковь представляет собой трехнефную базилику. Несмотря на позднее обновление, она, в основном, сохранила первоначальную архитектурную композицию. В 1664 году в храм водворили отчеканенную Бекой Опизари в XII веке нерукотворную Икону Христа Спасителя, которая ранее покоилась в епископском храме Анчи. Отсюда и название храма –Анчисхати (Анчийская икона). На территории Анчисхатского храма был построен дворец католикосов Грузии. При Анчисхати была основана духовная академия. В XIX веке храм был несколько раз отремонтирован и вновь расписан. Главная святыня храма – нерукотворная Икона Христа Спасителя – Анчисхати хранится в Государственном музее искусств Грузии.

ანჩისხატის ტაძარი და სამრეკლო ჩრდილო-დასავლეთიდან დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.


Анчисхатский храм и колокольня, вид с северо-запада. Фото Д.Ермакова, конец XIXв.

Anchiskhati Church and belfry. North-west view. Photo by D.Ermakov; End of 19th c.









გან დომენტიმ დიდის ლიტანიით ჩამოასვენებინა მუხრანზედ მცხეთაში და აქედგან ტფილისში. აქ დომენტიმ მშვენიერს კუბოში დაასვენა იმ ადგილს, სადაც დღეს ასვენია; მას აქეთ საკათალიკოზო ყოველად წმიდის ტაძარს დაერქვა ანჩისხატისა".

ასევე საინტერესოა მღვდლის პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ აღწერილი ანჩისხატის ტაძრის ეზო: "ანჩისხატის ტაძრის ეზო ძველად წარმოადგენდა დიდებულს სანახაობას: აქ იყო უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი, აქ იყვნენ თავმოყრილნი საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და მგალობელნი, რომელნიც წირვა-ლოცვის შემდეგ თავისუფალ დროს ახმარებდნენ ყრმათა აღზრდა-სწავლებასა, საეკლესიო წიგნთა გადაწერასა და სხ. აქედგან ეფინებოდნენ საქართველოს ყოველ კუთხეს განსწავლულნი მღვდელნი, დიაკონნი და მეფსალმუნენი-მგალობელნი. ამიტომ ანჩისხატის ტაძარი შეიქმნა პირველი საერო სათაყვანებელი და სალოცავი მთელი ქართველობისა უკანასკნელ დრომდე ...ანჩისხატის ეზოში ძველადგანვე გამართული იყო საკათალიკოზო ბინადრობა: სადგომი სახლი კათალიკოზისა სარდაფით ტაძრის კრებულისა და მოხელეთა, სტამბისა, სემინარიისა და სხ."

"...ნიკოლოზ კათალიკოზმა... დომენტის... ანდერძი შეასრულა: დაასრულა განახლება ანჩისხატის ტაძრისა, ააშენა სახლები და მოაწყო ყოველივე საჭიროებით. შემოიკრიბა საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი, მგალობელნი, ხელოვანნი ...ამისთანა შესანიშნავი განათლებულნი ეკკლესიის მსახურნი იზიდავდნენ ანჩისხატის ტაძარში არათუ მარტო ქართველობას, არამედ სომხობას და თათრებსაც კი. თვით ეზო ტაძრისა მუდამ სიცოცხლით სავსე იყო: თავად-აზნაურობა და სამღვდელოება თავის შვილებს ჩვეულებრივ

მუხრანის ბორანი მტკვარზე. ალ. ენგელის ფოტო. 1903წ
Мухранский паром на р. Куре. Фото А.Энгеля, 1903г.
Mukhrani ferry across the Mtkvari River. Photo by A.Engel, 1903.

მაცხოვარის გამოსახულება ანჩისხატის ტაძრის ღასაკლეთ შესასვლელის ტიმპანზე. ი. მიქაძის ფოტო, 2009წ
Изображение Спасителя на тимпане западного входа Анчисхатского храма. Фото И. Микадзе, 2009г.
Anchiskhati Church. The Saviour's image on the tympanum of the western entrance. Photo by I.Mikadze, 2009




თბილისის ტაძრები


ანჩისხატი
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია

აქ აბარებდნენ სასწავლებლად(61). ანტონ I კათალიკოზი(62) 1744 წლიდგანვე შეუდგა ყრმათა აღსაზრდელ სკოლების გაუმჯობესობასა, შეადგინა სახელმძღვანელო წიგნები კატეხიზმოსი, გრამმატიკისა, გეოგრაფიისა, ანგარიშისა, ლოღიკისა, ფილოსოფიისა და სხ."

1683 წელს კათოლიკოს ნიკოლოზ ამილახვრის დაკვეთით ეკლესია მოიხატა. აღსანიშნავია აბსიდის შუბლზე გამოსახული "იესეს ძირი", რომელიც საქართველოში ბაგრატიონთა გვარის ბიბლიურ წარმომავლობას მიანიშნებს. სივრცეში შემორჩენილია XIX საუკუნის I ნახევრის მოხატულობა, რომელიც 1813 წელს დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის მიერ ტაძრის განახლების შემდეგ არის შესრულებული. იგი შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გარდამავალი ხანის ქართული მხატვრობის ნიმუშია და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ისტორიის სცენების გამოსახვით არის განსაკუთრებით საყურადღებო.

ტაძარი XIX საუკუნეში რამდენჯერმე შეკეთდა და კვლავ მოიხატა. 1958-1960 წლებში სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად მოეხსნა XIX საუკუნის დანამატები. ბევრ ადგილას განახლდა დაზიანებული თავდაპირველი საფასადო წყობა. პირვანდელი სახით შემოინახა საკურთხევლის აფსიდისა და მიმდებარე სათავსების ფართო სარკმელები. შენობის ძველი კედლები შიგნი-







ანჩისხატის ტაძარი და საშრეკლო ჩრდილო–დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Анчисхатский храм и колокольня, вид с северо-запада. Фото Д. Ермакова, конец XIXв.
Anchiskhati Church and belfry. North-west view. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ანჩისხატის ტაძრის საშრეკლო დ. ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Колокольня Анчисхатского храма. Фото Д. Ермакова, конец XIXв.
Anchiskhati Church. Belfry. Photo by D. Ermakov End of 19th c.

ანჩისხატის ტაძრის საშრეკლოს დასავლეთ ფასადში ჩასმული წარწერიანი ფილა
Плита с надписью, встроенная в западный фасад колокольни Анчисхатского храма. Фото М. Чхиквадзе, 2010г.
Anchiskhati Church. The west facade of the belfry with an inscribed Stab fixed in it. Photo by M. Chkhikvadze, 2010.





ანჩისხატის ტაძრის ინტერიერი. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Интерьер Анчисхатского храма. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Anchiskhati Church. Interior. Photo by D.Ermakov. End of 19th c..

ანჩისხატის ტაძრის ინტერიერი. მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2009წ
Интерьер Анчисхатского храма. Фото М.Чхиквадзе, 2009г.
Anchiskhati Church. Interior. Photo by M. Chkhikvadze, 2009..

ანჩისხატის ტაძარი აღმოსავლეთიდან. თ.დოლიძის ფოტო, 2009წ.
Анчисхатский храм, вид с востока. Фото Т.Долидзе, 2009г.
Anchiskhati Church. East view. Photo by T. Dolidze, 2008..

დანაც და გარედანაც სუფთად თლილი მოყვითალო ტუფის დიდი კვადრებითაა ამოყვანილი. XVII საუკუნეში აღდგენილი კამარები, თაღები, ბურჯები, კედლების ნაწილები და კარნიზები აგურისაა. იმავე აღდგენის დროს თავდაპირველი სამი წყვილი ჯვრისებრი ბურჯი ორი წყვილი მრგვალი ბურჯით შეცვალეს.

სამხრეთიდან ეკლესიას ჰქონდა თანადროული ეგვტერი, რომელსაც აღმოსავლეთით ეკვროდა ორი პატარა მართხკუთხა სათავსი. ეგვტერიც და სათავსებიც დანგრეულია, ჩანს მხოლოდ მათი კედლების ძირი. ტაძარში, ძირითადად, ახლად დაწერილი ხატებია, ხოლო ტაძრის მთავარი სიწმინდე – ანჩისხატი, იგივე "პირი უფლისა" საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ანჩისხატის ტაძრის საფლავებიდან აღსანიშნავია კათოლიკოს-პატრიარქის წმინდა ევდემოსის(63) და დავით-გარეჯის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის საფლავები. ჩრდილოეთ-დასავლეთის სვეტსა და დასავლეთის კედელს შუა განისვენებს მეფე არჩილის ასული, ბატონიშვილი მარიამი. ამბიონის მარცხნივ დაკრძალულია დეკანოზი სოლომონ ალექსის ძე მესხი, მარჯვნივ კედელთან – გენერალ-მაიორი დიმიტრი ივანეს ძე ბუჭყიაშვილი.

ანჩისხატის ტაძარი მდებარეობს ი.შავთელის ქუჩის №1–ში.



ჯვარის მამა

პლატონ იოსელიანი ასახელებს ხუთ ეკლესიას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ვახტანგ გორგასლის დროს: სიონი, ანჩისხატი, წმინდა ჯვარის, ბეთლემის და წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის. ასე რომ, გადმოცემის თანახმად, V საუკუნის II ნახევარში ჯვარის მამა ვახტანგ გორგასლის დროს აშენდა და მას "გოლგოთა"(64) ეწოდებოდა.

ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში - "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხულობთ: "ტფილისსა შინა არის ჯუარის ეკკლესია ქვით-კირისა, გუმბათიანი. არა ჰსჩანს დრო აღშენებისა მისისა და არცა აღმაშენებელი. მხოლოდ წერილ არს, რომელ განაახლა იმერლისშვილმან და არის იგი მიწერილ იერუსალიმად წმიდისა საფლავისადმი. ამისთვის უპყრიესთ იგი ბერძენთა საარხიმანდრიტოდ მათდა...".

ჯვარის მამა ყოველთვის ეკუთვნოდა იერუსალიმის სამი ეკლესიის - წმინდა ელიას, წმინდა ჯვრის(65) და წმინდა იაკობის - მონაზვნებს. ვახტანგ ბერიძე წერს: „ეკლესიისათვის ამ სახელის შერქმევა იმით აიხსნება, რომ იგი იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნოდა და იქაური ქართული მონასტრების ბერების მეტოქი იყო. ყველაზე ადრე წერილობით წყაროებში ეს სახელწოდება გვხვდება გიორგი მეფის ერთ წყალობის წიგნში, რომელიც 1678 წელს მიეკუთვნება და ჯვარის მამის მონასტრისადმია ბოძებული: „...გკადრეთ და მოგახსენეთ ცხოველს მყოფელს ჯვარის მონასტერსა მცირე შესაწირავი, ვითარც ქალაქში თქვენის მონასტრის ბერისა და ჯვარის მამას სახელი არა ჰქონდა, შემოგწირეთ ქალაქს გალავანს გარეთ კარის პირდაპირ, მამუკას ნაქონი სასახლე".

პლატონ იოსელიანის თბილისის სიძველეთა აღწერაში თბილისის ჯვარის მამის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: "წმიდა ჯვრის ეკლესია, იერუსალიმის კუთვნილი, რომელსაც 500-ოდე წელია არქიმანდრიტი ჰყავს. ახლანდელი პატრიარქი იერუსალიმისა ათანასე და ამას წინად საბერძნეთში გარდაცვლილი ბეთლემის მიტროპოლიტი ბენედიქტე ამ ეკლესიის წინამძღვრები ყოფილან, პირველი მეფეთა ირაკლი II-ისა და გიორგი XIII-ის(66) დროს, მეორე კი 1824 წლამდე. ეკლესია ფლობს მისთვის ქართველ მეფეთგან შეწირულ გლეხებს, მიწებს და სავაჭროებს თბილისში. თავდაპირველად ის მეფე ვახტანგ გორგასალმა აღაშენა."

მოსე ჯანაშვილი(67) ამ ეკლესიის შესახებ წერდა: "იგი ძველადგანვე ითვლება სადგურად იერუსალიმში მყოფ ქართველთა მონასტრების ბერებისა- წმინდა ჯვრის მონასტრისა, წმინდა მოციქულის იაკობისა, უფლისა და წმინდა წინასწარმეტყველის ილიასი".

Jvarismama

The first Greek church of the Exaltation of the Holy Cross (of Jerusalem) – Jvarismama was built in the second half of the 6th century. Numerous enemy incursions caused its destruction. The present temple was erected in the 16th century. Benedict, a Greek captain of the church, had it repaired in 1825. Jvarismama is a small dome structure built in brick. Recently the church and its site have been restored and the walls inside the church refreshed with new frescoes.

Джварисмама
Церковь Крестовоздвиженская

Первая греческая Крестовоздвиженская (Иерусалимская) церковь - Джварисмама построена во второй половине VI века. Она была разрушена в результате вражеских нашествий. Нынешняя церковь построена в XVI веке. В 1825 году греческий настоятель церкви Бенедикт отремонтировал здание. Церковь Джварисмама - это сложенное из кирпича купольное сооружение малого размера. За последний период в церкви и ее окрестностях проведены реставрационные работы. Её украсили новой настенной росписью. Сегодня в церкви служба ведется на грузинском языке.





ჯვარის მამის ეკლესია სამხრეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული.
Крестовоздвиженская церковь (Джварисмама), вид с юга. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Jvarismama Church. South view. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

ნორაშენის და ჯვარის მამის ეკლესიები დასავლეთიდან. ი.გოლიაძის ფოტო. 2009წ.
Норашенская церковь и Крестовоздвиженская церковь (Джварисмама), вид с запада. Фото И.Голиадзе, 2009 г.
Norasheni Church and Jvarismama Church. West view; Photo by I.Goliadze, 2009





„ამ ტაძარს მეფე სვიმონმა(68) 1611 წელს შესწირა სამღებრო სოფ. დირბს და სხვა მეფეთაგანაც შეწირული ჰქონდა სოფლები, ყმები და ულუფა, ხოლო მისი წინამძღვარი შემოსავალს უგზავნიდა იერუსალიმის ქართველთა ტაძარს, უფლის საფლავის ტაძრად წოდებულს. აზრი ამ შეწირულობათა და თვით სადგურის დაარსება ტფილისში ის იყო, რომ ამ სადგურის მეოხებით საქართველოს ჰქონდა მუდმივი კავშირი პალესტინასთან".

1913 წლის გზამკვლევში „თბილისი და მისი შემოგარენი" ვკითხულობთ: "ეკლესიაში იმყოფება რამდენიმე საგულისხმო გუჯარი".

გაზეთი "ივერია" 1895 წლის 19 აპრილს წერდა: "სიონის ზემოდ არის ქართველთა ეკკლესია, რომელსაც ეწოდება: იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერი. ეს ეკკლესია ქართველთა მეფეებს გაუკეთებიათ V-VI საუკუნეში და გაუმშვენიერებიათ მრავალის შეწირულებით. დღეს ეს ეკკლესია მონასტრად ირიცხება და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძენთა პატრიარქის გამგეობას. მას განაგებს ბერძნის არქიმანდრიტი და რადგან ამ ეკკლესიას ქართველი მრევლი ჰყავს, ამიტომ აქ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდება. ამ ეკკლესიას დიდ-ძალი მამულები აქვს ტფილისს, ქართლსა და კახეთში ქართველ მეფეებთაგან შეწირული და მონასტერს კარგი შემოსავალი აქვს ამ მამულებიდგან, მაგრამ ეს შემოსავალი საბერძნეთში იგზავნება.

თვითონ ეს ძველი ნაშთი-კი ერთობ სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი: გუმბათს რიგიანი ყავრული არ ადგია და სხვადასხვაგვარად ბევრ-რიგად არის შერყეული და შემუსვრილ-შეკონკილი. ამ ძველის-ძველის ტაძრის საქმე თუ ასე წავიდა, ადვილად შესაძლებელია, რომ იგი ძალიან მალე სრულიად შეიმუსროს. განა სამწუხარო არ არის ასეთის ნაშთის ამ ყოფაში ჩაგდება, რომელსაც წელიწადში 30.000 მანეთამდე შემოსავალი აქვს? რიგი და სამართალი მოითხოვს, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს ბერძნის არქიმანდრიტმა და ერთის წლის შემოსავალი მაინც თვით მონასტერშივე მიახმაროს...".

ვახტანგ ბერიძე ჯვარის მამის ეკლესიის შესახებ წერს: „ჯვარის მამა ძველი კალას ფარგლებშია... მას ჩრდილავს მის გვერდით მდებარე ნორაშენის ეკლესიის დიდი მასა... სანამ 1983 წელს ამ ადგილის რეკონსტრუქცია მოხდებოდა, ეკლესია გარშემორტყმული იყო ძველი უსახური საცხოვრებელი სახლებითა და დუქნებით, თვით ეკლესიაში კარგა ხანს იყო წიგნსაცავი. ახლა იქაურობამ სახე იცვალა-ის ძველი შენობები დაანგრიეს, ეკლესია მთლიანად გამოჩნდა, წიგნსაცავიც გადატანილ იქნა და, შეიძლება ითქვას, რომ „ჯვარის მამას" დაუბრუნდა ისტორიული ძეგლის უფლებები."

თბილისის ხედი დერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული
Вид Тбилиси Фото Д.Ермакова, конец XIX в.
View of Tbilisi. Photo by D.Ermakov. End of 19th c.





ამჟამად მდგარი ეკლესიის შენობა XVI საუკუნეში აშენდა და ღოუბნის ორმოც მოწამეთა ტაძრის იდენტურია. 1825 წელს წინამძღვარმა ბენედიქტემ, შემდგომში ბეთლემის ეპისკოპოსმა პალესტინაში, შენობა შეაკეთა და დასავლეთი მხრიდან მინაშენი დაამატა – „სწორკუთხა სათავსი სფერული კამარით სრულდებოდა, მეორე სართულზე სამრეკლო იყო. სათავსი ეკლესიას ფართო თაღით უკავშირდებოდა, ეს მინაშენი დაანგრიეს 1920-იან წლებში." – წერს ნ.გენგიური.

1983 წლის ქალაქის მთავარი არქიტექტორის და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დაიწყო ჯვარის მამის ეკლესიის და მისი მიმდებარე ტერიტორიის რესტავრაცია–რეკონსტრუქცია. მოიხსნა ეკლესიაზე მინაშენი შენობები.

ჯვარის მამა მცირე ზომის, აგურით ნაგები გუმბათოვანი ეკლესიაა. იგი ე.წ. "კუპელჰალეს" გუმბათიანი, დარბაზული ტიპის ნაგებობაა. გუმბათი ეყრდნობა აფსიდის კედლებსა და გრძივი კედლებიდან შვერილ პილონებს. აფსიდის ორსავ მხარეს ვიწრო დამატებითი სათავსებია. კარი ეკლესიას დასავლეთიდან აქვს. გარედან შენობა სადაა. ოთხსავე ფასადზე აგურის წყობაში სამ-სამი ჯვარია გამოყვანილი. გუმბათის თორმეტწახნაგა ყელს, რომელშიც ამდენივე ვიწრო და მაღალი სარკმელია, მსუბუქ ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი თაღნარი შემოწერს. ეკლესიის საკურთხევლის კონქში შემორჩენილია XIX საუკუნის მხატვრობა.


ბოლო პერიოდში ეკლესიას და მის შემოგარენს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, იგი ახალი კედლის მხატვრობითაც შეამკეს. კანკელის ხატები შესრულებულია ხატმწერ დავით ხიდაშელის მიერ. ეკლესიაში განახლდა წირვა-ლოცვა. ეკლესიის დღესასწაული – მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა ჯვარისა, ჯვართამაღლება 14 (27) სექტემბერს აღინიშნება.

ჯვარის მამის ეკლესია მდებარეობს იერუსალიმისა და კ.აბხაზის ქუჩების გადაკვეთაზე №1/41.

ბერძენი ქალები. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Гречанки. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Greek women. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ბერძნები. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს.დასასრული.
Греки. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Greeks. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ჯვარის მამის ეკლესიის კედლის მხატვრობა. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Стенная живопись Крестовоздвиженской церкви (Джварисмама).
Фото И.Микадзе, 2009г.
The Frescoes of Jvarismama Church. Photo by I. Mikadze; 2009 c.





ფეთხაინის სინაგოგა

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანს დღემდე შემორჩა "ფეთხაინის" სახელი. ებრაულ ენაში "ბეთ ხა-ხაიმ" სოცოცხლს სახლს ნიშნავს, ასე უწოდებენ ებრაელები სასაფლაოს. დღევანდელი ბეთლემის უბანში ძველად ებრაული სასაფლაო ყოფილა, სადაც მათი სალოცავიც მდგარა.

ამას ადასტურებს 1782 წელს ჩუიკოს და 1785 წელს რუსი ოფიცრის პიშჩევიჩის მიერ შედგენილი თბილისის გეგმები, რომლებზედაც N44-ით აღნიშნულია სინაგოგა. იგი დაახლოებით დღევანდელი გომის ქუჩის II ჩიხთან იდგა, ბეთლემის მაცხოვრის შობის და კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიებს შორის.

როგორც „მოკლე ებრაულ ენციკლოპედიაში" ვკითხულობთ: „1795 წ. სპარსეთის შახის აღა მახმად ხანის ჯარმა მთლიანად ააოხრა თბილისი და ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყვიტა. იმ დროს სინაგოგაც დაიწვა...".

სინაგოგის არსებობას ასევე ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში "ქართველთ ებრაელნი საქართველოში": "თფილისის ურიები ძველთაგანვე აქ მრავლად სცხოვრობდნენ... ძველად ებრაელნი თფილისში სცხოვრობდნენ სიონის ახლოს, ბეთხაინის აღმართზედ, დღესაც მათი ძველი თორა ამ კუთხეში სძევს. ამბობენ, რომ ძველი ბეთხაინი ამ კუთხეს ერქვაო, რადგან აქეთ ებრაელთა სასაფლავო იყო და ებრაელთა ბეთხაინიც ამას ნიშნავსო".

თუ როდის მოხდა ებრაელი მოსახლეობის კომპაქტურად თბილისში დასახლება, ამის თქმა ძნელია. თბილისში მცხოვრები ებრაელების შესახებ პირველ ცნობას 1153 წლის საჰმად იბნ იუსუფ იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის ისტორიულ წყაროში "თარიხუ ლ-მაიაფარიკანა" ანუ "მაიაფარიკინის ისტორიაში" ვხვდებით.

თბილისში ებრაელების შესახებ შემდგომ ცნობას უკვე 1298-1299 წლებში რუსტიჩელო პიზელის მიერ აღწერილ მარკო პოლოს მოგზაურობაში ვკითხულობთ.

ისტორიკოსი რ.თოფჩიშვილის აზრით: „...ებრაელები საქართველოში ყველაზე ძველად მოსული ერთ-ერთი ეთნიკური ერთობაა, რომლებმაც შეინარჩუნეს ეროვნული სარწმუნოება–იუდაიზმი. თუმცა, 26-საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე ისე შეეწყვნენ ქართველებს, რომ მათ ქართველებისაგან მხოლოდ სარწმუნოება განასხვავებდა. იუდეველების დედა ენა ქართული იყო".

საქართველოში მცხოვრებმა ებრაულმა მოსახლეობამ თავიდანვე ისწავლა ქართული ენა, აითვისა ქართული ხალხური ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები. ისინი მოღვაწეობდნენ და ზრუნავდნენ ქვეყნის განვითარებისა და მომავლისათვის ისევე, როგორც ქართველები. ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „როგორც სჩანს ქრისტეს დაბადების დროს საქართველოში ისრაელნი შეჩვეული ყოფილან ადგილობრივ წეს-წყობილებას და ცხოვრებასთან. ამ გარემოებას ძლიერ აცხოველებდა ის, რომ საქართველოში ებრაელთა რიცხვი მეტად იყო გამრავლებული".

ადრეულ ხანაში ქართველი ებრაელები ტრადიციულად ერთად სახლდებოდნენ ქართლის ქალაქებში, სადაც ისინი ინარჩუნებდნენ თავიანთ საკულტო ცენტრებს, ე.წ. „ებრაულ საკურთხევლებს", რომლებიც პირველ სალოცავებად გამოიყენებოდა.

The Synagogue of Petkhain

Among the population of Georgia, except the Georgians themselves, the Jews are the earliest settlers. According to the ancient Georgian sources their first settlement appeared in Kartli in the 6th century BC. They settled in one of the old areas of Tbilisi which has maintained its old name "Petkhain" to these days. Tradition holds that there also was a Jewish cemetery and a synagogue in this area.

Петхаинская синагога

Евреи в Грузии живут с древнейших времен. Согласно грузинским историческим источникам, первое еврейское поселение в Картли образовалось в VI веке до нашей эры. Евреи поселились в одном из старых уголков Тбилиси, который до сих пор именуется «Петхаин». По преданию, на этом месте находилось еврейское кладбище –Багини Хуриата, где стояла первая тбилисская синагога.

მტკვრის მარჯვენა სანაპირო.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს.დასასრული.
Правая набережная Куры.
Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Thl right bank of the Mtkvari River.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.

ლამაზი ებრაელი ქალი. ქრისტოფორო დე კასტელი. XVIIს. I ნახ.
Красивая еврейка. Христофоро де Кастели, I пол. XVIIв.
A pretty Jewess. Christophoro de Castelli. Early half of 17thc.



ბეთლემი
მაცხოვრის შობის ეკლესია

დღევანდელი თბილისის ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესიის ადგილას VI საუკუნეში აგებული ტაძარი მდგარა. პლატონ იოსელიანის და მოსე ჯანაშვილის ცნობით, იგი ერთ-ერთი იმ ხუთ ეკლესიათაგანია, რომელსაც ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა საფუძველი თბილისში. ამ მოსაზრებას ადასტურებს თ.ბერიძეც(69), რომელიც წერს: "ბეთლემის (ფეთხაინის) მაცხოვრის შობის ზედა ეკლესია, ყოფილი ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია მდებარეობს ...კლდისუბანში ...ეკლესია ადგას ძველ ქრისტიანულ სამლოცველოს". საეკლესიო ტრადიციის მიხედვით ტაძარში წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის დედა და და არიან დაკრძალულნი.

1981 წელს ძეგლზე ჩატარებულმა სარესტავრაციო-კვლევითმა და არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დაადასტურეს ძველი ტაძრის არსებობა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ძველი ეკლესიის ნაშთები. ამჟამად მისგან მხოლოდ აფსიდის ნაწილიღა მოჩანს, ხოლო დანარჩენი კედლები ტაძრის იატაკის ქვეშაა მოქცეული.

გვიანი შუასაუკუნეებიდან ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია სომხების ხელში გადადის. სომხური წყაროები ამ ტაძრის აშენების შესახებ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს შეიცავენ. წყარო, რომელსაც ეყრდნობიან სომეხი მკვლევარები არის 1816 წელს, საქართველოში სომხური ეპარქიის წინამძღოლის ნერსეს აშტარაკეცისათვის(70) სომეხი მღვდლების მიწერილი წერილი. თუმცა, ამ წერილს პ.მურადიანი არ მიიჩნევს სარწმუნო წყაროდ, იგი აღნიშნავს "...რას ეყრდნობოდნენ ამ წერილის ავტორები უცნობია".

მიუხედავად იმისა, რომ ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია სომხების ხელში გადავიდა, ის ქართველი მართლმადიდებელი მრევლისათვის ტრადიციულად წმინდა ადგილად რჩებოდა, რასაც მოწმობს 1740 წელს ქართლის სადროშოს სარდლის გივი ამილახვრის მიერ ეკლესიის თავისი ხარჯით აღდგენა.

"ეკლესიის გარშემო სენაკები იყო მოწყობილი, სადაც ქართველი და სომეხი მრევლი სასწაულებრივი განკურნების მოლოდინში თვეების მანძილზე ცხოვრობდა". - წერს თამაზ გერსამია. ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესიის მეორე სახელი – ფეთხაინი – გვხვდება 1648 წელს შედგენილ განჩინებაში და 1724 წლის გასამყრელო წიგნში.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის გუმბათი ეყრდნობა ორ ბურჯსა და აფსიდის კედლებს. ეკლესიის მკვეთრად წაგრძელებულ დასავლეთ მხარეს დამატებით კიდევ ერთი წყვილი ბურჯი დგას. ეგნატე იოსელიანის ცნობით, აფსიდის ორივე მხარეს ცალკე საკურთხევლები იყო მოწყობილი: სამხრეთით-წმინდა იოანე ნათლისმცემელის, ხოლო ჩრდილოეთით-გრიგოლ განმანათლებლისა.

საკურთხევლის ორ მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა, რომელთა თავზე თითო სათავსია მოწყობილი. ეკლესიას თორმეტწახნაგა გუმბათი ადგას. ეკლესიის ფასადებს ემჩნევა მრავალი შეკეთება–გადაკეთების კვალი. შესასვლელს წინიდან მიდგმული აქვს ორმარშიანი ქვის კიბე. ეკლესიის გუმბათი, ისევე როგორც ჩრდილოეთი და დასავლეთი ფასადები ქვიშა ქვის თლილი ფილებით არის მოპირკეთებული. სამხრეთი და დასავლეთი ფასადები აგურისაა. დღევანდელი ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესიის შენობა პრაქტიკულად XVIII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება.

აღმოსავლეთი ფასადის სარკმელები ორნამენტული საპირეებით და

Bethlehem Church of the Nativity of the Our Saviour


Initially a small chapel stood on the site of the present church. The remains of that first were discovered by archaeologists in 1981. Many incursions of Jalhal-Ad-Din and subsequent Mongol invasions destroyed the old temple. That was the time when the population of Tbilisi noticeably decreased. In 1740 the Church was restored. During Aga-Mohammed-Khan's incursion the temple was destroyed and ravaged. The facades bear marks of manifold structural alterations. Under Communist rule Divine Services ceased and various workshops were arranged in it. The church was disposed to the Patriarchate of Georgia in 1991 and the service has been conducted in it since 1994.

Вифлеемская (Петхаинская) церковь Рождества Христова


Первоначально на месте нынешней церкви стояла маленькая грузинская православная часовня, остатки которой были обнаружены в результате археологических раскопок 1981 года. Старая церковь неоднократно разрушалась нашествиями Джалал ад-Дина в XIII веке, а в последствии и набегами монголов.1740г. церковь восстановили. Во время нашествия ага Махмад хана (1795) церковь была разрушена и разграблена. На фасадах церкви заметны следы многочисленных ремонтов и переделок. В советское время в церкви было прекращено богослужение и в ней разместились различные цеха. В 1991 году церковь передали Патриархии Грузии, а с 1994 года в ней восстановлено православное богослужение.

ბეთლემის (ფეთხაინის) მაცხოვრის შობის ზედა ეკლესია. XXს. II ნახ. ფოტო
Вифлеемская (Петхаинская) верхняя церковь Рождества Христова. Фото II пол. XXв.
Bethlehem (Petkhain) Upper Church of the Nativity of Our Saviour. Late half of 20 c.













მაცხოვრის შობის ეკლესიის სამრეკლო. XXს II ნახ. ფოტო
Колокольня церкви Рождества Христова. Фото II пол. XXв.
Nativity of Our Saviour Church. Belfry. Second half of 20th c.

მაცხოვრის შობის ეკლესიის სამრეკლო ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Колокольня церкви Рождества Христова. Фото И.Микадзе, 2009г.
Nativity of Our Saviour Church. Belfry. Photo by I.Mikadze, 2009

მაცხოვრის შობის ეკლესია და სამრეკლო. ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Церковь Рождества Христова и колокольня. Фото И.Микадзе, 2009г.
Nativity of Our Saviour Church. Belfry. Photo by I.Mikadze, 2009.


ქალების მომლოცველობა ფეთხაინის (ბეთლემის) ეკლესიაში. გრ გაგარინის ნახატი, 1847წ.
Паломничество женщин в церковь Петхаин (Вифлеем). Рисунок Г.Гагарина, 1847г.
Women's pilgrimage in Petkhain (Bethlehem) Church. Sketch by G.Gagarin, 1847



თბილისის ტაძრები

ბეთლემი

მცხეთის ჯვრის ეკლესია



თბილისი, ფეთხაინის უბანი.
დ ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი.
Тбилиси, Петхаин.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Tbilisi. Petkhain area. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

თბილისის ბეთლემის უბანი.
მ.ქუთათელაძის ფოტო. 2008წ.
Старый район Тбилиси – Бетлем (Вифлеем).
Фото М.Кутателадзе, 2008г.
Bethlehem. Bethlehem area.
Photo by M.Kutateladze, 2008



„მიჯაჭული ლომი" მაცხოვრის შობის ეკლესის გუმბათის ყელზე
«Прикованный лев» на барабане купола церкви Рождества Христова.
The chained lion on the dome of Nativity Church.

„ღვთისმშობელი ჩვილედით" მაცხოვრის შობის ეკლესიის გუმბათის ყელზე.
« Богоматерь с младенцем» на барабане купола церкви Рождества Христова.
The Most Holy Theotokos with Christ Child on the dome of Nativity Church.

მაცხოვრის შობის ეკლესის ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Интерьер церкви Рождества Христова. Фото И.Микадзе , 2009г.
Natrvity Church.Interior. Photo by I Mikadze, 2009


ჯვრებით არის შემკული. ჩრდილოეთ ფასადის დასავლეთ განაპირა სარკმლის ზემოთ ჩასმულია ღვთისმშობლის გამოსახულება ყრმით ანგელოზებს შორის შუა სარკმლის ორივე მხარეს ქერუბიმების რელიეფებია. გუმბათის ყელის ჩრდილოეთ წახნაგის ზედა ნაწილში მიჯაჭვული ლომის სკულპტურული გამოსახულებაა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთისაზე გამოსახულია ღვთისმშობელი.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესიაში შეწყდა ღვთისმსახურება და შენობა ბიჟუტერიის საამქროდ გამოიყენებოდა. 1991 წელს ეკლესია გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს და 1994 წლიდან ეკლესიაში აღდგა მართლმადიდებლური ღვთისმსახურება.

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას XVII საუკუნის ორსართულიანი აგურით ნაშენი სამრეკლო, რომელსაც ზემოდან ადგას თლილი ქვის თაღოვანი ფანჩატური. საბჭოთა პერიოდში, როგორც შემორჩენილი ფოტომასალიდან ჩანს, იგი საცხოვრებელ ფართად იყო გამოყენებული. ეკლესიის დასავლეთ მხარეს, შესასვლელთან 2001 წელს აშენებული სატრაპეზოა.

თბილისის ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია მდებარეობს ბეთლემის აღმართის №18-ში.







წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესია



VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი საინტერესო ცნობას გვაწვდის ამავე საუკუნის დამდეგის თბილისის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ: "ხაზარებმა გარემოიცვეს ნებიერი, მოვაჭრე, სახელოვანი დიდი ქალაქი ტფილისი... ქალაქის აღების შემდეგ, ჯერ მოსახლეობა გაულიტეს და შემდეგ ხელი მიჰყვეს საგანძურებს. მთელი სიმრავლე მძიმედ დატვირთული მეომრებისა მიდიოდა თავის ბატონთან და მიჰქონდათ ნადავლის ზვინები და ხვავები. იმდენი მოჰყარეს, რომ თვალს წყალი ელეოდა ოქროსა და ვერცხლის ქანქარების უთვალავი რაოდენობის ცქერაში. ენით უთქმელია თვალმარგალიტით მოოჭვილ საეკლესიო სამკაულ-სამსახურებელის ამბავი, რომელიც წაიღეს."

სომეხი ისტორიკოსი უხტანესი VI საუკუნის დასასრულისა და VII საუკუნის დასაწყისის ისტორიული ამბების აღწერისას თბილისის შესახებ ამბობს: „საოცრად ნაგები და საკვირველი, სახელგანთქმული და გამოჩენილი დიდი ქალაქი ტფილისი".

ასეთი სიმდიდრის ქალაქი ვერ დაეტეოდა მხოლოდ აბანოთუბნის ტერიტორიაზე, რაზედაც ასევე მიგვანიშნებს სიონის საკათედრო ტაძრის მშენებლობა ქალაქის ზღუდის გარეთ, რადგან საეპისკოპოსოები მხოლოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში შენდებოდა. აგრეთვე აღსანიშნავია ამავე პერიოდში აშენებული ანჩისხატის ტაძარი. აქედან შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ თბილისი ძლიერ მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა. ამიტომ არ არის გასაკვირი დღევანდელი ერეკლე მეორის მოედნის მიდამოებში VI-VII საუკუნეებში აგებული წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესიის მშენებლობის დაწყება ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში. სამწუხაროდ, ამ ეკლესიის შესახებ მეტად მწირი ცნობები არსებობს.

პლატონ იოსელიანი "თბილისის სიძველეთა აღწერაში" მთავარანგელოზთა ეკლესიის შესახებ წერს: "ამ ადგილზე ყოფილა ძველისძველი, ტფილისის დაარსების ჟამის ეკლესია წმიდა მთავარანგელოზთა სახელობისა. 1398 წელს თემურმა იგი საფუძვლითურთ მოაოხრა, მასზე მიჯრილი სასახლითურთ. 1640 წელს ახლოს მის ნაშთთაგან როსტომ მეფის ბრძანებით სამი ეკლესია ააშენეს. ასე აღიმართა: ა)წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია როსტომ მეფის სასახლის წინ; ბ)მეფის მოედნის შუაგულში, ხარების სახელობისა და გ)წმინდა გიორგისა, დაუსრულებელი. აქედან ჩანს, რა სივრცისა ყოფილა მთავარანგელოზთა ეკლესია, V საუკუნის ნაგებობა".

Holy Archangels Church

Holy Archangels Church was erected in the 6th-7th centuries. It was ruined in 1393 under Tamerlane's rule. In the 17th century three temples were built on its site.


Церковь святых Архангелов

Церковь святых Архангелов построена в VI-VII веках . Эта церковь была разрушена в 1398 году, во времена Тамерлана. Из ее развалин в XVII веке были возведены три церкви.



თბილისი დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Тбилиси. Фото Д. Ермакова, конец XIX в.
Tbilisi. Photo by D. Ermakov; End of 19th c.

ტფილისის ხედი, ჩერნეცოვის ნახატი 1832წ
Вид Тифлиса. Рисунок Н. Чернецова, 1832 г.
View of Tbilisi. Sketch by Cherentsov; 1832.



წმინდა მამა დავით გარეჯელის ეკლესია

VI საუკუნეში ანტიოქიის ეკლესიიდან(71) საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად მოვიდა საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი. ისტორიულ წყაროებში - „ათსამმეტი ასურელი მამანი"(72). ერთ–ერთი მათგანი იყო მამა დავითი(73), რომელიც VI საუკუნის I ნახევარში შემოვიდა საქართველოში. მან გარეჯის მრავალმთის სანახებში დააარსა მონასტერი, რომლის პირველი წინამძღვარი თვითონვე ყოფილა.

მანამდე მას თბილისშიც უმოღვაწია, მთაწმინდის აღმოსავლეთ კალთის უსახელო კლდეზე სენაკი გამოუქვაბავს. მამა დავითის მიერ ქვაბულის მიტოვების შემდეგ, ქართველმა ხალხმა ქრისტიანული სარწმუნოების დიდი მოღვაწის პატივსაცემად მთას "მამადავითი" შეარქვა. X–XI საუკუნეებში მამადავითის მთას დაარქვეს მეორე სახელი-მთაწმინდა - ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელოვანი სავანის-ათონის წმინდა მთის(74) მიხედვით.

პლატონ იოსელიანი მამადავითის მთაზე პირველი ეკლესიის აშენების თარიღად VI საუკუნის დასასრულს მიიჩნევს, რომლის ასაშენებლად თბილისელმა ქრისტიანებმა წმინდა მამა დავით გარეჯელის წინაშე ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად თითო ასაშენებელი ქვა აიტანეს მთაზე იმის იმედით, რომ ჩადენილი ცოდვა მიეტევებოდათ. პლატონ იოსელიანი წერს: "ჯერ კიდევ წმინდა დავითის ცხოვრებაში აქ ააგეს ეკლესია დავითის მსახურებისათვის. IX საუკუნეში სხვა გაჩნდა, ქვისა, ივერიის ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი და მონასტრად სახელდებული, ათონელი ბერების გამგებლობაში მყოფი."

X საუკუნეში აშენებული ეკლესია დროთა განმავლობაში დაინგრა, 1542 წელს შედგენილი საეკლესიო გუჯარი მიგვანიშნებს, რომ საქართველოს კათოლიკოსს ბერად შემდგარ დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებისათვის მთაწმინდაზე ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების ნება დაურთავს.

ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" მამა დავითის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „გარეთუბანსვე შინა არის ეკკლესია მთაწმინდად წოდებულსა მთასა ზედა, ყ¯დწ¯ისა ღ¯ისმშობელის სახელსა ზედა, დავით და ნიკოლაოს მღუდელმონოზონთა გაბაევთაგან აღშენებული 1542-სა წელსა, და შემდგომად სიძველოითა დაქცევისა მისისა წელსა ჩყშ-სა ტფილისის მცხოვრებთა ქართველთა და სომეხთა დედათ საზოგადოობ გამოსწმინდეს საძირკველი იგი მისი საკუთარითა მათ შორის მოგროვებულითა ხარჯითა მათითა, და წელსა 1810 აღაშენესცა მათვე დედათა ნაწილ-ნაწილად მოკრეფილითა ხარჯითა აწ მყოფი ეკკლესია კირით, გაჯით და აგურით და დაბურეს ხის ჭერით უგუმბათოდ მიმსგავსებითა სახლისათა და აკურთხებინესცა ნებითა უნეტარესისა კათოლიკოსისა ანტონისათა(75) არხიმანდრიტსა ნეოფიტეს, სახელსა ზედა ღირსისა მამისა დავით გარესჯისასა და არს ამას ეკკლესიასა შინა ერთი მღუდელი. და დადებულ არს იგი ვითარცა მონასტერად დედათა. აქა მოილოცავს შეყრილობა ტფილისის მცხოვრებთა, საუფლოსა დღისა ამაღლებისა სწორსა ხუთშაბათსა დღესა, ხოლო მრთელისა წელიწადსა ყოველსა ხუთშაბათსა დაუკლებელად მოილოცავენ დედანი ტფილისისს მცხოვრებნი, ფრიადისა ღუაწლითა და შრომითა მუნ მიმომსვლელნი".

იაკობ ბალახაშვილი ნაშრომში „ძველი თბილისი" წერს: "XVII საუკუნეში, როცა ამ მონასტერს მღვდელი იოსები და მისი მეუღლე ანასტასია ემსახურებოდნენ, სამი დანი: ანა, ბარბარე და მართა შეეხიზნენ. შაჰაბასის ხელქვეითებმა თბილისის აოხრებისას მთაწმინდის ეკლესიას მიაშურეს და ხუთივეს

The Mtatsminda Church of St. Father David of Gareji

In the 6th century Antioch strengthened the Georgian believers with a new spiritual support sending thirteen Syrian fathers to this country. Among them was father David. He hewed a cell in the eastern slope of the Holy Mount. Georgian historians name the 6th century as the time of the construction of father David's first temple (named Mama Daviti). In 1542 the building of another church on the mountain started. The latter was destroyed in 1809 by reason of the accident risk of the structure. On its place a new one built in timber and stone appeared. In 1859 the foundation was laid of the present dome structure. In 1891 a school for parishioner girls under the supervision of the church was opened. Outwardly, the temple is built in Cruciform-dome style typical for the Georgian medieval architecture.

Мамадавити, Мтацминдская церковь святого отца Давида Гареджийского

В VI веке Антиохская церковь придала грузинским верующим новую духовную силу в лице Тринадцати Сирийских отцов, одним из которых был отец Давид. В Тбилиси, на восточном склоне горы Мтацминда он высек келью. Грузинские историки датой построения первой грузинской православной церкви Мамадавити считают конец VI века. В 1542 году началось строительство второй церкви, которую ввиду ее аварийности разрушили в 1809 году и на развалинах старой церкви возвели новую полудеревянную, полукаменную церковь. Фундамент нынешней купольной церкви был заложен в 1859 году. В 1891 году при церкви была основана приходская женская школа. Внешне церковь имеет вид традиционного крестово-купольного сооружения, характерного для грузинской архитектуры средних веков.

მამა დავითის ძველი ეკლესია სამრეკლოთი და მამა დავითის ახალი ეკლესია
დ ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული

Старая церковь с колокольней и новая церковь св.отца Давида Гареджийского (Мамадавити). Фото Д Ермакова, конец XIXв.

Mama Daviti (thoold church) and its belfry. Mama Daviti (The new church). Phuto by D. Ermakov. End of 19th c.

რჯულის გამოცვლა მოსთხოვეს. ხუთივე მოკლულ იქნა უარის თქმისათვის. ხალხმა მთაწმინდაზე დაასაფლავა ისინი".

1809 წელს კათოლიკოს ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით გაბაშვილების მიერ აშენებული ეკლესია დაანგრიეს და ძველი ეკლესიის ნაშთზე ახალი ააგეს. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ქაშვეთის ტაძრის მეორე მღვდელი თომა გრიგორაშვილი(76). ახალი ეკლესია ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით ფერისცვალების სახელობაზე აკურთხა არქიმანდრიტმა ტრიფილემ(77).

მღვდელი ნესტორ მაჭარაშვილის მიერ 1895 წელს გამოცემულ წიგნში "აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამის დავითის ცხოვრებისა" მთაწმინდის ეკლესიის მონაზვნების შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით: "1830-1870 წლებში (ტფილისის) მამა დავითის ეკლესიის გალავანში ცხოვრობდა ორი შესანიშნავი მშრომელი მონაზონი, სალომე ფორაქიშვილის ასული და ანასტასია კობიაშვილის ასული. ის საეკლესიო სახლები, რომლებიც ამ ეკლესიის გალავანშია, იმათი საკუთარი ხარჯით არის აშენებული. მათ სათითაოდ ჰქონდათ სკოლა. შეგირდები ბლომად ჰყოლიათ. სალომე გარდაიცვალა 1861წ., ანასტასია კი 1871წ. არის დღეს ცოცხალი კიდევ ერთი მონაზონი, 95 წლის ნინო (ახვლედიანისა), რომელიც ამ ეკლესიასთან თავის გაკეთებულ ქოხში ცხოვრობს...". მონაზონთაგან შეგირდები, წერა-კითხვა-გალობის გარდა, სწავლობდნენ ჭრას, კერვას, ქსოვას და ქარგვას.

კავკასიის მთავარმართებლის ა.ერმოლოვის(78) დროს, 1817-1818 წლებში სამხედრო მესანგრეებმა გააფართოვეს ეკლესიაში მისასვლელი ძველი გზა. 1850 წლიდან, როდესაც საქართველოში ეკლესიათა რეკონსტრუქცია დაიწყო, დღის წესრიგში დადგა მთაწმინდის ნახევრად ქვისა და ნახევრად ხის ეკლესიის განახლების საკითხი.

ახალ გუმბათიან ეკლესიას საძირკველი 1859 წლის 22 სექტემბერს ჩაეყარა, 1871 წლის 22 სექტემბერს კი ეგზარქოსმა ევსევიმ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ხის გუმბათით გადახურული ეკლესია აკურთხა მამა დავითის სახელზე. 1879 წელს დეკანოზმა იოსებ გრიგორაშვილმა, თომა გრიგორაშვილის ვაჟმა ეკლესიის შენობა გუმბათით დააგვირგვინა. უსახსრობის გამო ეკლესიის კანკელად გამოიყენეს ანჩისხატის ეკლესიიდან წამოღებული კანკელი. 1889 წელს იოსების შვილის, ზაქარია გრიგორაშვილის წინამძღვრობის პერიოდში ეკლესიის კედლები მოიხატა. 1891 წელს ეკლესიასთან დაარსდა სამრევლო საქალებო სკოლა. მტრის თარეშის დროსაც, როცა თბილისში ღვთისმსახურება წყდებოდა, ამ წმიდათა საყდარში ყოველთვის გაისმოდა საეკლესიო გალობა. ეკლესია სიონის საკათედრო ტაძრის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და აქვე ინახებოდა წმინდა დავითის ხატიც. ეს ხატი მამა დავითის ხსენების დღეს გადაჰქონდათ სიონიდან ეკლესიაში, სადაც მთელი დღე მლოცველთა წინაშე იდგა.

პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს ერთ საინტერესო ფაქტს: "არ შეიძლება დავიდუმოთ მლოცველთა ერთი უცნაური ჩვეულების შესახებაც. ეკლესიის ჩრდილოეთ მხარე მთლიანად ადგილობრივი სიპი ქვის კენჭებითაა მოფენილი.




მთაწმინდა და მამა დავითის ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. დასაწყისი.


Мтацминда и церковь св.отца Давида Гареджийского. Фото Д.Ермакова, начало XIXв.


Mtatsminda and Mama Daviti Church. Photo by D.Ermakov. Early 19th c.











მამა დავითის ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Церковь св. отца Давида Гареджийского (Мамадавити). Фото Д. Ермакова, конец XIX в.
Mama Daviti Church. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

მამა დავითის ძველი ეკლესია. ჩანახატი XIXს. I ნახევარი.
Старая церковь св. отца Давида Гареджийского (Мамадавити). Зарисовка I пол. XIXв.
Mama Daviti (the old church). Sketch. First half of 19th c.


მამა დავითის ეკლესია დროებითი გუმბათით. დ.ერმაკოვის ფოტო, 1870–იანი წლები.
Церковь св.отца Давида Гареджийского (Мамадавити) с временным куполом.
Фото Д. Ермакова, 1870-ые годы.
Mama Daviti with an initial dome. Photo by D. Ermakov, 1870-s



მამა დავითის ეკლესია მთაწმინდის ქუჩიდან. XXს. დასაწყისი.
Церковь св.отца Давида Гареджийского (Мамадавити).
Вид с Мтацминдской улицы. Начало XXв.
Mama Daviti Church. View from Mtatsminda.
Early 20th c.

მამა დავითის ეკლესია ჩრდილოეთიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св.отца Давида Гареджийского (Мамадавити),
вид с севера. Фото И.Микадзе, 2009г.
Mama Daviti Church. North view. Photo by I.Mikadze, 2009.

მამა დავითის ეკლესია ჩრდილოეთიდან. XXს. დასაწყისის ფოტო.
Церковь св.отца Давида Гареджийского (Мамадавити),
вид с севера. Фото начала XXв.
Mama Daviti Church. North view. Early 20th c.



ისინი მათ კედელზე ამაგრებდნენ და უკეთ მიკრული კენჭები მათ სურვილის აღსრულების ნუგეშს აძლევს. მაგრამ ამას ბავშვები გასართობად სჩადიან, ქალები კი აგდებულადაც, იქნებ ანგარიშმიუცემელი ჩვევის და არა ცრუმორწმუნოების გამო."

საერთო ასახულობით ტაძარს ქართული ხუროთმოძღვრების ელფერი დაჰკრავს. ასეთია გუმბათის ყელი, მრავალწახნაგა სახურავი, შვერილი ნახევარწრიული აბსიდი, ფრონტონები და მათი გაფორმება, თუმცა ნაგებობა ეკლექტიკური ბუნებისაა და არ გამოირჩევა მაღალი არქიტექტურული ღირებულებებით.

ეკლესია აგურითაა ნაშენი. გარედან ჯვარგუმბათოვანი ფორმა აქვს, თუმცა, ეს სტრუქტურა ეფემერულია და არ აისახება ნაგებობის შიდა სივრცეში, როგორც ეს დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ტრადიციულ ჯვარგუმბათოვან ნაგებობათათვის. გარედან შენობა სადაა, დეკორატიული თაღები ამკობს მხოლოდ ფასადების გრძივი კედლების ზედა ნაწილებს. საკურთხევლის ნახევრადწრიულად შვერილ აბსიდზე შუა მრგვალი სარკმლის ქვეშ აგურის წყობაში ჩართულია მოწითალო ქვის მაღალი ჯვარი. ინტერიერის წაგრძელებულ დასავლეთ მკლავში მოწყობილია ხის პატრონიკე.

მოხატულობაში, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს არის შესრულებული, მომეტებული ადგილი საქართველოს ეკლესიის წმინდანების გამოსახულებებს ეთმობა. იგი თვალსაჩინო ნიმუშია ეროვნული წმინდანებისადმი იმ საგანგებო ყურადღებისა, რაც XIX საუკუნის ქართული საეკლესიო კედლის მხატვრობისათვის არის დამახასიათებელი. საკურთხევლის ორივე მხარეზე მოთავსებულია ღირსი დავით გარეჯელისა და წმიდა ნიკოლოზის ხატები.

XIX საუკუნის ბოლოს ძველი ეკლესიის ადგილზე სამრეკლო ააგეს, რომელშიც ფერისცვალების ეკლესიაა მოქცეული. 1897 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" მოთავსებული სტატიიდან - მთაწმინდის წმ.დავითის ეკკლესიის სამრეკლოს გამო - ვგებულობთ, რომ "მისს ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექზარხოსს ვლადიმერს ნება დაურთავს გაიმართოს ხელის მოწერა მთაწმინდის წმ.დავითის ეკკლესიასთან სამრეკლოს აშენებისთვის საჭირო ფულის შესაკრებად...". ხოლო1899 წლის ამავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ "... კვირას 16 ამ მაისს აკურთხეს წმ. მამა-დავითის ეკკლესიის სამრეკლო კურთხევაზედ მრავალი სამღვდელოება და ხალხი დაესწრო."

ტაძრის მახლობლად აგრეთვე მდებარეობს მამა დავით გარეჯელის სენაკი და საკურნებელი თვისების მქონე წყარო, რომლის შესახებაც იაკობ ბალახაშვილი წერს: „ქალაქის მიტოვების წინ დავითმა, ლეგენდის თქმით, ღმერთს შესთხოვა მთაზე ისეთი წყარო, რომელიც უშვილო ქალებს – მისი დალევით – შვილოსნობას მიანიჭებდა, გადმოცემა დასძენს, განგებამ თხოვნა აუსრულაო". ,ბოლო წლებში წმინდა დავითის წყაროსთანაც აშენდა სამლოცველო.

XIX საუკუნის ბოლოდან ტაძრის ირგვლივ ჩამოყალიბდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი(79).

თბილისის წმინდა მამა დავით გარეჯელის ეკლესია მდებარეობს მთაწმინდის ქუჩაზე.








მთაწმინდის ფერისცვალების ეკლესია. ი.გოლიაძის ფოტო. 2009წ.
Мтацминдская церковь Преображения. Фото И.Голиадзе, 2009г.
Mtatsminda. Transfiguration Church. Photo by I. Goliadze, 2009.

მამა დავითის ეკლესია და სამრეკლო.
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Церковь св. отца Давида Гареджийского (Мамадавити) и колокольня.
Фото Д.Ермакова, начало XXв.
Mama Daviti Church and its belfry.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.





ქაშვეთი
წმინდა გიორგის ეკლესია

დღევანდელი ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია თბილისის გარეუბანი იყო. ამ მიდამოებში დედათა მონასტერი ყოფილა აშენებული. კალისტრატე ცინცაძის ცნობით, „მეხუთე საუკუნის გასულს, თუ მეექვსე საუკუნის დასაწყისში ტფილისის გარეთუბანში იყო აშენებული ტაძარი წმინდა გიორგის სახელობაზე, ამ ტაძრის „გალავანში" იყო აგებული ქრისტიანულ მოღვაწეობის დედათა სენაკები, რომელთა საზოგადო სახელი იყო „მონასტერი", ამ „მონასტერში" დადიოდა ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად ღირსი დავითი და აქ ჰქონდა ადგილი იმ უბედურ შემთხვევას, რომლისა გამო ტფილისის გარეთუბნის წმინდა გიორგის ეკლესიას მიემატა დანართად – ქვაშვეთი."

ქაშვეთის სახელის წარმოშობა უკავშირდება წმინდა მამა დავით გარეჯელს, რომელიც ხუთშაბათობით მთაწმინდის მთიდან თბილისში ჩადიოდა საქადაგებლად. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, მონასტრის ერთ-ერთმა მონაზონმა დაარღვია ქალწულობის აღთქმა და დაორსულდა. ეს ამბავი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს მამა დავითის მტრებმა და ბავშვის მამობა დააბრალეს. ქალიც გააფრთხილეს, თუ ასე იტყვი, ბავშვი გადარჩება, თუ არა-დაიღუპებაო. ქურუმები ხალხს მამა დავითის დასჯას სთხოვდნენ. მაშინ წმიდა მამამ თავისი ჯვრიანი კვერთხი ქალს მუცელზე დაადო და ბავშვს მოსთხოვა ეთქვა ვინ იყო მისი მამა. მოხდა სასწაული, მუცლიდან ყველამ გაიგონა ბავშვის ხმა-მამაჩემი შენ არ ხარ, მჭედელიაო. დავითმა ქალს უთხრა, ამგვარი ცილისწამებისთვის ქვას შობო და ასეც მოხდა. ყოფილმა მონაზონმა ბავშვის მაგივრად ქვა შვა. შემდგომში წმინდა გიორგის ტაძარს, როგორც კალისტრატე ცინცაძე ამბობს, „მიემატა დანართად – ქვაშვეთი".

კალისტრატე ცინცაძე თავის წიგნში "ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" აღწერს აქ სხვადასხვა დროს არსებულ სამ ეკლესიას: "1864 წლამდე ახლანდელი ტაძრის სამხრეთის მალის (ფასადის) აღმოსავლეთი ნაწილის პირდაპირ, 5–6 მეტრის დაშორებით ყოფილა ნახევრად დანგრეული ეკლესია, ჩვეულებრივად ქართული სოფლის ეკლესიის ტიპისა, 8–10 მეტრი სიგრძისა და შესაფერისის განისა. ტაძრის მთლიანი ქვის საყდარი (ტრაპეზი) ხელუხლებელი ყოფილა. 1864 წელს ...მოუსწორებიათ ეზო და ძველი ეკლესიის კედლები დაუნგრევიათ სავსებით, საყდარი (ტრაპეზი) კი მიუყუდებიათ კარიბჭის კედელზე, მაგრამ 1882 წლის შემდეგ ...სადღაც წაუღიათ. ...მნახველთა გადმოცემით, ის ყოფილა ოთხკუთხიანი შენობა, ჰქონია ორი კარი ...შუას ზევით კედლები აღარ ჰქონია ...კანკელის ნასახიც კი აღარ ყოფილა დარჩენილი, არც კედლის მხატვრობისა ...სივრცით პატარა ...საკმაო ასიოდე მლოცველისათვის ...ადრინდელი ტაძრის შესახებ ჩვენ არა გვაქვს არავითარი ცნობა, იძულებული ვართ ის ტაძარი ჩავთვალოთ ქვაშვეთის პირველ ტაძრად".

ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია პირველად გვხვდება 1440 წელს შედგენილ წყალობის წიგნში: "მოგეცით ქაშოეთანა მკუიდრი საყდრის მიწა სავენახე და აშენო ასრე და ამა პირსა". პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერის დროს ამ უძველესი ეკლესიის შესახებ რამდენიმე ცნობას გვაწვდის: "1754 წელზე ადრინდელი ხატები ძველი, მცირე ქაშუეთის ეკლესიისადმია შეწირული, რომელიც ახლის სამხრეთით იხილვებოდა".


ქაშვეთის მეორე ეკლესიის შესახებ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხუ-

St. Giorgi Kashweti Church


St. Giorgi Kashweti Church is first mentioned in the "Donation Book" compiled in 1440. However, the tradition of the Church holds there was another temple in this area as early as in the 6th century. In Father David's time, in the mid-18th century a four-apse-dome structure was erected on the site. It was pulled down by reason of the accident risk of the construction and in 1904-1910 a new dome structure designed by Leopold Bilfeld was built. Today, the temple is replete with icons most of which are attributed to the 18th and 19th centuries.

Кашветская церковь св. Георгия

Кашветская грузинская православная церковь впервые упоминается в Дарственной книге, составленной в 1440 году, хотя по церковному преданию в этих местах монастырь существовал и во время отца Давида - в VI веке. В середине XVIII века здесь возводится Кашветская четырехабсидная купольная церковь. Из-за аварийности церковь разрушили и в 1904-1910 годах по проекту архитектора Леопольда Бильфельда взамен старой церкви возвели новый купольнй храм. Сегодня в храме множество икон, большинство которых, в основном, относится к XVIII-XIX векам.








ქაშვეთის წმ.გიორგის ეკლესია.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Кашветская церковь св. Георгия.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St. Giorgi Kashweti Church.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ქაშვეთის წმ.გიორგის ეკლესია.
მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ.
Кашветская церковь св.Георгия.
Фото М.Кутателадзе, 2008г.
St. Giorgi Kashweti Church.
Photo by M. Kutateladze, 2008

ქაშვეთის წმ.გიორგის ეკლესია
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Кашветская церковь св.Георгия.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St. Giorgi Kashweti Church.
Photo by D. Ermakov, 19th c.











ქაშვეთის წმ გიორგის ეკლესიის ჩუქურთმები
მ.ქუთათელაძის ფოტო 2008წ.
Орнаменты Кашветской церкви св.Георгия.
Фото М.Кутателадзе, 2008г.
of St. Giorgi Kashveti Church. Ornaments.
Photo by M.Kutateladze, 2008

ბარათაშვილების საძვალე ქაშვეთის
წმ გიორგის ეკლესიის ეზოში. ი.მიქაძის ფოტო 2009 წ
Усыпальница рода Бараташвили во
дворе Кашветской церкви св.Георгия.
Фото И.Микадзе, 2009г.
The Baratashvilis' burial-vault in the court of St. Giorgi Kashveti
Church. Photo by I. Mikadze, 2009

ლობთ: „გარეთუბანსვე არის ეკკლესია წმინდისა და ძლევამოსილისა მთავარმოწამისა გიორგისა ქაშოეთად წოდებული, გუმბათიანი... ესე აღაშენა გალავნითურთ წელსა 1742-სა თავადმან გივმან ამილახუაროვმან, შაჰყულიხანად წოდებულმან, ოდეს იგი იყო განმგებლად ქართლისა...“

კალისტრატე ცინცაძე წერს: "დღევანდელი ქაშვეთის ქვემო ტაძრის კარიბჭის მარცხენა კედელში მოთავსებულია მეორე ტაძრიდან ჩამოღებული მარმარილოს ფიცარი, რომელზედაც ლამაზი მხედრულით არის ამოჭრილი: "ჩვენ ამირახორმან გივიმან, ძემან ანდუყაფარ ამირახორისამან და თანამეცხედრემან ჩვენმან ორბელის ძის ასულმან ბანგუამ, აღვაშენეთ ეკლესია ესე ღვაწლით შემოსილისა მთავარმოწამის გიორგისა ზღუდით, ბურჯით და სახელით. ვინც იხილვიდეთ, შენდობასა ბრძანებდეთ. აღეგო მეფობასა






ქაშვეთის წმ გიორგის ეკლესიის კანკელი
ი მიქაძის ფოტო 2009წ
Алтарная преграда Кашветской церкви св.Георгия.
Фото И.Микадзе, 2009г
The iconostasis of St. Giorgi Kashweti Church.
Photo by I.Mikadze, 2009

წარწერა ქაშვეთის წმ გიორგის
ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის იატაკზე
ი მიქაძის ფოტო 2009წ
Надпись на полу южного входа
Кашветской церкви св.Георгия.
Фото И.Микадзе, 2009г.
St. Giorgi Kashweti Church. South the entrance.
An Inscription on floor.
Photo by I. Mikadze, 2009

კეთილმსახურის გვირგვინოსანის თეიმურაზისაჲ, და ძისა მისისა კეთილმსახურის მეფისა ირაკლისსა, ხოლო მამამთავრობასა ანტონი დავითიანისა. განხორციელებისაგან სიტყვისა ღვთისასა ჩღნგ (1753 წელსა)"

კალისტრატე ცინცაძე დასძენს. "გივი ამილახორის მიერ აგებული ტაძარი საქართველოს ეკლესიათა შორის ფრიად იშვიათ შენობას წარმოადგენდა. იგი იყო აგებული ჯვარის სახედ, ჯვარის ბოლოების მომრგვალებით, და სიგრძის (19,20 მეტრი) სიგანეზე (17,07) გადამეტებით. ცენტრალურ კვადრატზედ აღმართული იყო თორმეტსარკმლიანი ყელი, რომელზედაც ეყრდნობოდა გუმბათი." საარქივო ფოტოებზე ჩანს, რომ ეს ეკლესია საფასადო ასახულობით ტეტრაკონქის სტრუქტურის მქონე გუმბათიანი ნაგებობა იყო.

მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, ეკლესიის მოხატვაზე იზრუნა გივი ამილახვრის ძმისწულმა დავითმა, რომელმაც 1755 წელს ქაშვეთის ეკლესიის კედლები ნიკოლოზ აბხაზს[illegible] მოახატვინა, რასაც არ ეთანხმება კ.ცინცაძე: „ჩვენს დრომდე ვერც მხატვრობამ მოაღწია, იგი ნიკოლოზ აბხაზს არ ეკუთვნის, ვეჭვობთ, რომ მას სცოდნოდეს რუსული და რუსული წარწერებით აღენიშნოს სურათების შინაარსი." 1810 წელს გენერალმა ტორმასოვმა ქაშვეთის ეკლესია ისევ მოახატვინა, რამაც ძლიერ დააზიანა ნიკო-





ლოზ აბხაზის მხატვრობა. ვინ იყო ახალი მხატვრობის ავტორი უცნობია.


კალისტრატე ცინცაძე წერს: "...მხატვარი უეჭველად იმყოფებოდა ბარროკოს სტილის გავლენის ქვეშ: ყვავილები, გვირგვინები, ფოთლები, გრეხილები, ვაზები და სხვ. მსგავსნი მათნი იმდენად სჭარბობდნენ სურათებს, რომ თითქმის ჩრდილავდნენ ბიბლიურ–ისტორიულ შინაარსს". ქაშვეთის მეორე ეკლესიის კარიბჭე 1816 წელს საქართველოს პირველ ეგზარქოსს ვარლამს(82) აუშენებია.


ტაძრის კედლები მალე გაიბზარა. 1878 წელს ტაძარი პირველად შეკეთდა, ბზარები შეილესა და ზეთის საღებავით შეიღება, ხოლო 1893 წელს ტაძარი რკინის სალტეებით შეკრეს. 1897 წელს ქაშვეთის ეკლესიაში მსახურობა დაიწყო ახალმა წინამძღვარმა მარკოზ ტყემალაძემ(83), რომელმაც გადაწყვიტა მეორე ეკლესიის დაშლა და ახლის აშენება ამილახვრების სამთავისის ეკლესიის გეგმითა და საფასადო სტრუქტურით.

ახალი ტაძრის აგებამდე "დროებით" აშენდა პატარა ეკლესია ჯორჯაძის ქუჩის მხარეს ეკლესიის ეზოში, რომელიც 1904 წელს აკურთხეს. ეკლესია წარმოადგენდა დიდ დარბაზს, სადაც ახალი კანკელი გაკეთდა. ამ დროებით ეკლესიაში გადმოაბრძანეს ეკლესიის ხატები

ქაშვეთის ეკლესიის წმ გიორგის ხატი ი მიქაძის ფოტო 2009წ
Икона св.Георгия Кашветской церкви. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Giorgi. The icon of Kashweti Church. Photo by I. Mikadze, 2009

ქაშვეთის ეკლესიის წმ გიორგის ხატი ი მიქაძის ფოტო 2009წ
Икона св.Георгия Кашветской церкви. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Giorgi. The icon of Kashweti Church Photo by I. Mikadze, 2009





ქაშვეთის დღევანდელი ტაძარი 1904–1910 წლებში არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის(84) პროექტით აშენდა. ქვაზე კვეთილი ორნამენტაცია არქიტექტორ ედუარდ ანდრეოლეტის(85) ესკიზების მიხედვით შეასრულეს ცნობილმა ქვისმთლელმა ოსტატებმა ნეოფიტე(86), ლავრენტი და ნიკო აგლაძეებმა(87). დღევანდელი შენობა წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ტაძარს. მშენებლობაში გამოყენებულია ალგეთის ქვა, ძეგამის თეთრი ქვა, იტალიური მარმარილო.

შ.კაშმაძე წიგნში „ზაქარია ფალიაშვილი(88)" წერს: „1910 წლის 31ოქტომბერს აკურთხეს თბილისის ქაშუეთის ეკლესია. ზაქარია ფალიაშვილმა ამ დღეს გიმნაზიისა და ფილარმონიის მომღერალთაგან გაერთიანებული ძლიერი გუნდი გამოიყვანა და ეკლესიის დასავლეთი მხარე დაიკავა. ეკლესიაში მოვიდა საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსის რუსული გუნდიც. ეგზარქოსმა მოსთხოვა ზაქარიას ადგილის გათავისუფლება თავისი გუნდისათვის. ზაქარია ფალიაშვილმა არასგზით არ დაუთმო, თავის გუნდს ფეხი არ მოაცვლევინა და იქვე ლოტბარობდა ბოლომდე. უნაყოფო უსიამოვნებისა და შეჯახების შემდგომ ეგზარქოსის გუნდი იძულებული გახდა სხვა ადგილი მოეძებნა. ისინი რუსულად გალობდნენ, ზაქარიას გუნდი კი ქართულად".

1946 წელს ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის საკურთხეველი მოხატა ცნობილმა ქართველმა მხატვრმა ლადო გუდიაშვილმა(89). ცოკოლზე მიშენებული ორმხრივი ღია კიბე ეკლესიის სამხრეთი შესასვლელისაკენ ადის. მეორე კარი ეკლესიას დასავლეთის კარიბჭიდან აქვს. კარიბჭე ეკლესიას 1991 წელს მიაშენეს. ეკლესიის ეზოში 2000 წელს აშენებული ორსართულიანი სამრეკლო დგას.

„აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქაშვეთის გალავნის შიგნით მდებარე თავად ბარათაშვილების საძვალეც, 1899 წელს არქიტექტორ ალექსანდრე როგოის-

ქაშვეთის წმ.გიორგის ეკლესია დასავლეთიდან. მ.ქუთათელაძის ფოტო. 2008წ.
Кашветская церковь св.Георгия, вид с запада. Фото М.Кутателадзе, 2009г.
St. Giorgi Kashweti Church. West view. Photo by M.Kutateladze, 2009

ნაკურთხი წყლის აუზი ქაშვეთის წმ.გიორგის ეკლესიის ეზოში. მ.ქუთათელაძის ფოტო. 2009წ
Бак со святой водой во дворе Кашветской церкви св.Георгия. Фото М.Кутателадзе, 2009г.
The basin with sanctified water in the court of St. Giorgi Kashweti Church. Photo by M. Kutateladze, 2009

ქაშვეთის წმ.მარინეს ეკლესიის კანკელი. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Иконостас Кашветской церкви св.Марине. Фото И.Микадзе, 2009г.
The iconostasis of St. Marine Kashweti Church. Photo by I.Mikadze, 2009

ქაშვეთის ეკლესიის წმ.მარინეს ხატი. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Икона св.Марине Кашветской церкви. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Marine. The icon of Kashweti Church. Photo by I. Mikadze, 2009





კის(90) აშენებული. სფერული გუმბათით გადახურული მინიატურული საძვალის ტექნიკური შესრულების მაღალ ხარისხს... ე.ანდრეოლეტის მარმარილოს მხატვრული დამუშავების სახელოსნოს ოსტატებს უნდა ვუმადლოდეთ", – წერს მაია მანია.

ეკლესია დგას რუხი ბაზალტით მოპირკეთებულ მაღალ ცოკოლზე, რომელშიც მოწყობილია წმინდა მარინეს სამლოცველო. სამლოცველოს იატაკის დონე მანამდე მდგარი ეკლესიის იატაკს ემთხვევა. მასში შემოინახა XIX საუკუნის ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენელთა საფლავები, აქვეა დაკრძალული გრიგოლ ორბელიანი(91) და გადმოსვენებულია დავით სარაჯიშვილის ნეშტი.

პლატონ იოსელიანს აღწერილი აქვს ქაშვეთის ეკლესიის ხატები: „ა)ხატი, რომელზედაც აღნიშნულია შემოწირვის წელი - 1713, ვინმე ინდო გაბაშვილისაგან და მისი მეუღლის დარეჯანისაგან; ბ)ცხენზე მჯდომარე წმინდა გიორგის ხატი სოფელ ენაგეთიდან, მის ქვემოთ არის სომხური წარწერა - სესაკი ჰაჯიმოვი ...1691 წელს; გ)ღვთისმშობლის ორი ხატი, შემოწირული ეკლესიისადმი ზურაბ სახლთუხუცესის მიერ 1665 წელს; დ)ვერცხლის მოოქროვილი



ჯვარი, გადმოტანილი გორის გორიჯვარის ეკლესიიდან, რომელზედაც ორთავიანი არწივია გამოსახული; ე)წმინდა გიორგის ხატი მოოქროვილ ჩარჩოში, შემოწირული უფლისწული დავითის[illegible], საქართველოს ბოლო მეფის გიორგი XIII ვაჟის მიერ; ვ) ბეთანიის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატი. ."

დღეისათვის ტაძარში მრავალი ხატია დასვენებული, რომელთა უმეტესობაც, ძირითადად, XVIII-XIX საუკუნის რუსული ხატებია. ჰ.ჰრინევსკის[illegible] ნახელავია მთავარი სივრცის კანკელის ხატები.

კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცნობით, ქაშვეთში დაცული იყო ორი ჯვარი ცხოველმყოფელი ხით, წმინდა ევსტათის მარჯვენა ხელის ოთხი თითი, დავით გარეჯიდან ჩამოსვენებული წმინდა მოწამეთა ნაწილები, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სისხლი, წმინდა ბასილი დიდის, წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმინდა გიორგის წმინდა ნაწილები, ქრისტეს ცრემლისა და ოფლის ქაღალდი, წმინდა პავლე მოციქულის საფლავის მიწა და სხვა წმინდა ნაწილები.

ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს რუსთაველის გამზირისა და ა.ჯორჯაძის ქუჩის გადაკვეთაზე, №9/2.



ქაშვეთის წმ.გიორგის ეკლესია. ღია ბარათი. XIXს.
Кашветская церковь св.Георгия. Открытка, XIXв.
St. Giorgi Kashweti Church. Postcard, 19th c. .

ქაშვეთის წმ.გიორგის ეკლესიის სამრეკლო ვ.ჯორჯიაშვილის ფოტო. 2009წ.
Колокольня Кашветской церкви св.Георгия. Фото Г.Джорджиашвили, 2009г.
The belfry of St. Giorgi Kashweti Church. Photo by I.Mikadze, 2009



წმინდა დოდოს საყდარი

თბილისში მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მეტეხის ეკლესიის ქვევით, სამხრეთისაკენ არის გამოქვაბული. ეს იყო წმინდა დოდოს დროებითი საცხოვრებელი სენაკი და სამლოცველო. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ცნობით, წმინდა დოდო იყო წმინდა დავით გარეჯელის ერთ-ერთი მოწაფე, კახელი თავადი, გვარად ანდრონიკაშვილი, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ გარეჯელ მამებს შეუერთდა. მან VI საუკუნის პირველ ნახევარში გარეჯის მრავალმთის სანახებში დააარსა მონასტერი, ე.წ. დოდოს რქა.

პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას დოდოს საყდარზე წერს: „მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მეტეხის მთის ძირში სამხრეთით მდებარეობს წმინდა დავითის ეკლესია, ერთ–ერთი 13 მამათთაგანი, რომლებიც მოვიდნენ სირიიდან VI საუკუნეში. ის გამოკვეთილია კლდეში. ქრისტიანები მოდიან თაყვანისსაცემად. არაა ცნობილი იქ ადრე იყო ეკლესია, თუ მხოლოდ სალოცავი".

ამ მტკვრისპირა ქვაბულში, რომელშიც წმინდა მამა დავით გარეჯელი ცხოვრობდა, შემდეგ წმინდა დოდომ დაიდო ბინა. ქვაბულს დროთა განმავლობაში სახელი ეცვალა და „ჯოჯოს საყდარი" ეწოდა. შემორჩენილია გადმოცემა, რომ ამ ადგილზე, ძველ ავლაბარში ცხოვრობდა კაცი, რომელიც თურმე სასწაულებს ახდენდა, ერთი ხელის მოსმით თუ შეხებით ჭორფლს აქრობდაო. შესაძლოა წმინდა დოდოს ამბავი დავიწყებას მისცემოდა, დღესასწაულის სახელი დოდოობა გაუგებარი გამხდარიყო და შეცვლილიყო სიტყვით „ჯოჯოობა", – აღნიშნავს თ.ბერიძე

დღესასწაული „ჯოჯოობა" თბილისში აღდგომის შემდგომ პირველ სამშაბათს ეწყობოდა. თბილისელი ქალები, განსაკუთრებით ქალიშვილები, აიღებდნენ შაქრის რამდენიმე ნატეხს და ქალაქის ძველ უბანში–ავლაბარში, უფრო ზუსტად, ავლაბრის სამხრეთით, მტკვრის ნაპირზე მდებარე ძაღლის უბანში მიდიოდნენ. აქ, მტკვრის კბოდე ნაპირზე იმართებოდა - ჯოჯოობა.

მორწმუნე ქართველი ქალები ლოცულობდნენ და თავიანთი სურვილების შესრულებას შესთხოვდნენ მამა ზეციერს. ლოცვა-ვედრების შემდეგ ისინი თან წაღებულ შაქრის ნატეხებს უყრიდნენ მტკვრის ქარაფიან ნაპირზე ბინადარ ჯოჯოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ რიტუალს - ჯოჯოობას - მრავალი მლოცველი ასრულებდა, მისი წარმოშობა XIX საუკუნის ქალაქელებს აღარ ახსოვდათ. ეს იყო ძველ თბილისელთა ერთ-ერთი იმ მრავალ წესთაგანი, რომელნიც შთამომავლობას სახეცვლილებებით შემოენახა.

St. Dodo Chapel

On the left bank of the Mtkvari River there is a cave which St. Dodo temporarily used as his cell and chapel. Tradition holds that in that cave lived a man who did wonders.

Молельня св. Додо

В Тбилиси, на левом берегу Куры находится пещера, которая являлась временной жилой кельей и молельней св. Додо. Сохранилось предание, что в пещере на берегу Куры жил человек, творивший чудеса.



მეტეხის ტაძარი და წმ.დოდოს საყდარი
მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ.
Метехский храм и церковь св.Додо.
Фото М.Кутателадзе, 2008 г.
Metekhi Church and St. Dodo Chapel. Photo by M. Kutateladze, 2008

მეტეხი და წმ.დოდოს საყდარი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Метехи и церковь св.Додо.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Metekhi Fortress and St. Dodo Chapel.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

მეტეხი
ღვთისმშობლის შობის ეკლესია

მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის აშენების თარიღად ვახუშტი ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი და სხვა მკვლევარები VI საუკუნეს ასახელებენ. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს „იტყვიან ამას აღშენებად გორგასლისაო". მეფე ვახტანგ I–მა გორგასალმა აქ ეკლესია, ციხესიმაგრე და სასახლე აღმართა, რომელიც ასევე მეფის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. ტაძარი სიმბოლურად იერუსალიმის გეთსიმანიის ბაღში ღვთისმშობლის საფლავზე აგებულ ტაძარს მიედარებოდა.

მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის შესახებ ეგნატე იოსელიანი წერს: "ავლაბარსა შინა არის ეკკლესია დიდშენი სახელსა ზედა ღ¯ისმშობელისასა აკათისტოსად წოდებული, მეხუთესა კვირიაკესა დიდ მარხვის შაბათის დღეს ზედა. მაღალსა კლდესა ზედა გუმბათიანი ქვით-კირისა და თლილისა ქვით ნარევად აღშენებული ვახტანგ გურგასლანისაგან 480–სა წელსა. ამა ეკლესიისა კლდის მთისა ძირსა ქვეშე ხიდსა თანა ტფილისისასა არს ნიში მოსალოცველი წმინდისა მოწამისა აბო სპარსისა, რომელიცა ეწამა ქ¯ესთს ადგილსა მას ამის სპარსისაგან 791-სა წელსა და დღესასწაულსა მისსა დღესასწაულობს ქართველთა ეკკლესია იანურის თთვის 8-დღესა. იტყვიან კუალად რომელ ამას ეკკლესიასა შინა იყოს მისვენებული და დაფლული ქ¯ესთს წამებით მოკლული წმინდა მოწამე დედოფალი შუშანიკ, რომელიცა ეწამა წელსა 432-სა ახლად გაკერპმსახურებულისა ქრმისა მისისა ვარქსგენისაგან...".

ტაძრის სახელწოდება ეკლესიაში დასვენებული მეტეხის ღვთისმშობლის ხატს უნდა უკავშირდებოდეს. ისტორიულ წყაროებში ეს ტაძარი „მეტეხნის" ან „მეტეხთას" სახელით იხსენიება. თვით ტაძარს მემატიანე "ისანთას" უწოდებს და არა "მეტეხს". იგი "მეტეხთა ღვთისმშობლის" ხატის "საყოფელად" აუგიათ. ეს, აწ უკვე დაკარგული ხატი, უეჭველია, დიდად სახელმოხვეჭილი და პატივცემული უნდა ყოფილიყო. რაკი ტაძარი ხალხს "მეტეხთა ღვთისმშობლის" ბინად წარმოედგინა, ამ სახელმა ადრევე დაიმკვიდრა ადგილი. აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნემდე ყველა ძველ საბუთში სახელწოდება მრავლობით რიცხვში იხმარება.

ნიკო ჩუბინაშვილის(94) აზრით, სიტყვა მეტეხი ბერძნული "მეტოქისაგან" წარმოსდგება, რაც ნიშნავს "ეპისკოპოსთა ან არქიმანდრიდთტა დროებით სადგომსა ეკლესიითურთ სხვის ეპარქიაში". ზოგი მკვლევარის აზრით, მეტეხი ძველქართულად "არემარეს სასახლის ირგვლივ" ნიშნავს.

არსებობს ლეგენდა მეტეხის დაარსებაზე. ოსთა მთავარს ბაყათარს გაუტაცნია ვახტანგის და, სამი წლის ხვარამზე. მეფემ გადაწყვიტა მისი დახსნა. დამ შეუთვალა: თუ ბაყათართან ბრძოლას მაინც არ დაიშლი, გაითვალისწინე, რომ ის სულ აბჯარასხმული დაიარება, მისი მოკვლა შეიძლება თუ იღლიაში დაჭრიო. ვახტანგმა გაუგზავნა კაცი ბაყათარს. ვახტანგი მტკვარგაღმა იდგა და ელოდა ბაყათარს. ბაყათარმა მას ფიცი ჩამოართვა: სანამ წყალს არ გამოვცდები, ისარი არ მესროლოო და შეაგდო ცხენი წყალში. ვახტანგმა ფიცი გატეხა და ბაყათარს ისარი ესროლა. რადგან მან ფიცი გატეხა, მონანიების

მდ მტკვარი და მეტეხის ციხე დ ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Р. Кура и Метехская крепость. Фото Д Ермакова. Конец XIXв.
TThe Mtkvari River and Metekhi Fortress. Photo by D.Ermakov. End of 19th c..

მეტეხის ტაძარი გ ჯორჯიაშვილის ფოტო, 2009წ
Метехский храм. Фото Г.Джорджиашвили, 2009г.
Metekhi Church. Photo by G. Jorjiashvili, 2008

Metekhi Church of the Nativity of the Most Holy Theotokos

Metekhi Church of the Nativity of the Most Holy Theotokos is one of the most ancient temples in Tbilisi. King Demetre II erected it on the remains of the former one and founded a monastery too. After Georgia's annexation in 1819 the old fortification around the temple was pulled down and a double-circle building was constructed for the purpose of keeping convicts in it. The latter was destroyed after the establishment of the Communist rule. In 1988, with the blessing of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II a new cross was erected upon the church and the service was restored. It is a central dome structure. The most primary of the sanctity in the temple is St. Shushanik's tomb.

Метехи
церковь Рождества Богоматери

Метехская грузинская православная церковь Рождества Богоматери одна из древнейших среди построенных в Тбилиси церквей. В 1289 году грузинский царь Деметре на остатках прежнего здания воздвиг храм и основал монастырь. После присоединения к России, в 1819 году существующую вокруг церкви старую крепость разрушили и здесь для содержания заключенных построили двухъярусное здание, которое было разрушено после установления советской власти. В 1988 году с благословения Католикоса Всея Грузии, Святейшего и Блаженнейшего Ильи II на храм воздвигли новый крест и возобновили службу. Церковь центрально-купольная. Важнейшей святыней храма является могила Святой Великомученицы Шушаник.



მიზნით ააგო ტაძარი მეტეხი, რაც ნიშნავს "მე ვტეხე ფიცი".

ქართულ ისტორიულ წყაროებში მეტეხის კლდე XII-XIII საუკუნეებში მძლავრ გამაგრებულ ციხედ იხსენიება, სადაც ბაგრატოვან მეფეთა პალატები იყო.

„მეტეხი" გვხვდება XII საუკუნის ისტორიულ წყაროებში. 628 წელს ხაზართაგან დანგრეული ტაძრის ნაცვლად ღვთისმშობლის შობის ახალი ტაძარი ააგეს. თამარის(95) ისტორიკოსის ბასილის ცნობით, როცა მეფეს ქართველთა ლაშქარი 1195 წელს შამქორის ბრძოლაში გაუსტუმრებია, თავად ფეხშიშველი მოსულა მეტეხის ტაძარში და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისათვის საქართველო ცრემლებით შეუვედრებია. მეფე რუსუდანის(96) მეფობისას, 1226 წელს მონღოლებმა ისევ დაანგრიეს მეტეხის ღვთისმშობლის შობის ტაძარი.

ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ 1289 წელს ყაენთან წასვლის წინ მეფე დემეტრე II-მ(97) თავდადებულმა "აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღრთისმშობლისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზვარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი...". და მონასტერიც დააარსა. ტაძრის დღევანდელი სახე სწორედ ამ დროს მიეკუთვნება.


1630-იან წლებში აქ მოღვაწეობდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი). შარდენის ცნობით, XVII საუკუნის II ნახევარში მეტეხის ტაძარი მიტოვებული და დაზიანებული ყოფილა. 1660 წელს ეკლესია მეხის დაცემისაგან დაზიანდა. 1661 წელს ვახტანგ V-მ(98) ტაძარი აღადგინა ისნის ციხის გალავანში, მაგრამ თოფისწამლის საწყობად აქცია. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მეტეხის ტაძარში წირვა-ლოცვა აღარ აღესრულებოდა. XVIII საუკუნის I ნახევარში მეტეხის ციხეში ჯერ თურქთა, შემდეგ სპარსთა გარნიზონი იდგა.

1690-იან წლებში მეფე ერეკლე I-მა(99), ნაზარალი-ხანმა მეტეხის ციხესთან ერთად ეკლესიის შენობაც გადასცა სპარსელებს, რომლებიც მას კვლავინდებურად დენთის საწყობად იყენებდნენ. ეკლესია მხოლოდ მას შემდეგ ამოქმედდა, რაც 1748 წელს ერეკლე მეორემ აბდულა-ბეგი დაამარცხა. მან ციხის აღების დროს დაზიანებული ეკლესია შეაკეთა და აღადგინა მისი გუმბათი. ამ ფაქტს გვიდასტურებს ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილი წარწერა.

1795 წელს ტაძარი კვლავ დაზიანდა აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს. 1798-1800 წლებში ეკლესია შეაკეთა მეფე გიორგი XII-მ. 1801 წლის შემდეგ მეტეხის ეკლესია განაგრძობს მოქმედებას. 1819 წელს გენერალ ერმოლოვის ბრძანებით ძველი ციხე-სიმაგრე დააქციეს და აშენდა ორიარუსიანი შენობა (კლდის გარშემო) დამნაშავეთა საპატიმროდ. ამის შემდეგ წინანდელ ისნის ციხეს მეტეხის სატუსაღო დაერქვა, ტაძარი კი სატუსაღოს ეკლესიად გადაიქცა. მეტეხის საერთო არქიტექტურა შეიცვალა: ეკლესიის გარშემო მრავალკოშკებიანი გალავნის ნაცვლად ყაზარმული ტიპის ახალი შენობები გაჩნდა.


„ეხლა მეტეხის ციხეში გამართულია საპყრობილე და მეტეხის ღმრთისმშობლის ეკლესია არის სამლოცველო ტაძარი პყრობილთა და უძლურთა სულთა" - წერს 1884 წელს ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი.





მეტეხის ციხის სატუსაღოს ეზო. XXს. I ნახ ფოტო.
Тюремный двор Метехской крепости. Фото I пол. XX в.
Metekhi Fortress. Prison court. First half of 20th c.

მეტეხის ციხე და მეიდანი. დ ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Метехская крепость и Мейдан. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Metekhi Fortress and Maidan. Photo by D. Ermakov. End of 19th c.





მეტეხის ტაძარი ჩრდილოეთიდან
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Метехский храм, вид с севера. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Metekhi Church. North view. Photo by D. Ermakov. End of 19th c..




წარწერა მეტეხის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე
"შეუმ ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართო ძალათო,
აიღო ჭური ქრისტესი, წინ მიიმძღვარა ჟარადო,
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქეს სახლის კარადო,
ღვთის მოუვარეს ხელმწიფეს ასრე ასჭირს ამის გვარადო.
ღვთის სადიდებლად, მეოხად მეფის ერეკლესია".
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Надпись на восточной стене Метехского храма.
Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Metekhi Palace. An inscription on the eastern wall.
Photo by D. Ermakov. End of 19th c..

მტკვრის მარცხენა სანაპირო და მეტეხის ციხე.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Левая набережная Куры и Метехская крепость.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
The Left bank of the Mtkvari River and Metekhi Fortress.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1934 წელს მეტეხის სატუსაღო გაუქმდა და 1937 წელს ტაძრის გარშემო აშენებული ყაზარმები დაანგრიეს. „დიდი წმენდის" პერიოდში ლავრენტი ბერიას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ეკლესიის დანგრევაც, თუმცა მას ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა. ამ საქმეს მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე მეთაურობდა. ბერიამ შესთავაზა მუზეუმისათვის ეკლესიის რეპლიკის (ასლის) შემცირებული ზომით შექმნა, რასაც მისი წინადადებით თავად დიმიტრი შევარდნაძე უხელმძღვანელებდა, რაზედაც ამ უკანასკნელის მტკიცე უარი მიიღო. შევარდნაძე წინააღმდეგობის გაწევისთვის დაპატიმრებულ და მოგვიანებით სიკვდილით დასჯილ იქნა. მიუხედავად ამისა, ნაგებობის გადარჩენა მაინც მოხერხდა.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ტაძარი უმოქმედო იყო. 1970 წლიდან აქ სპექტაკლებს მართავდა მეტეხის სახელმწიფო ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია. მოგვიანებით ტაძარი მხატვრის სახელოსნოდ გადაიქცა.





1988 წლის მაისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესისს ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარს ახალი ჯვარი დაადგეს და მასში აღდგა მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა. ეკლესიის მრევლმა შეაკეთა გაძარცვული ტაძრის კანკელი.

ეკლესია ცენტრალურ–გუმბათოვანია. მისი კედლების წყობა კლასიკურ ქართულ ტრადიციებს ემყარება. ის თავიდან მთლიანად იყო შემოსილი თლილი მომწვანო-რუხი ქვით. ტაძრის გეგმა წარმოადგენს აღმოსავლეთით შვერილი ნახევარწრიული აფსიდებით დასრულებულ მართკუთხედს, რომლის შუაში აღმართულია ოთხ ბურჯზე დაფუძნებული გუმბათი. აღმოსავლეთის ცენტრალურ შვერილ აფსიდს დიდი ჯვარი და ორი ნატიფად მოჩუქურთმებული რომბი ამშვენებს. ესაა სამთავისის ტაძრის საფასადო მორთულობის ცნობილი კომპოზიცია.

როგორც ცნობილია, მეფე დემეტრემ ტაძარი ადრინდელი შენობის ნაშთზე ააგო, რამაც განაპირობა XIII საუკუნისათვის უჩვეულო არქიტექტურული თავისებურებები: ოთხი გუმბათქვეშა ბურჯი და სამი ნახევარწრიულად შვერილი აფსიდი აღმოსავლეთ ფასადზე. ფასადები, ძირითადად, დემეტრეს დროინდელი სახით არის შემორჩენილი, იმ ხანისაა თლილი ქვის პერანგის მეტი ნაწილი და ტაძრის ორნამენტული შემკულობა.

საუკუნეთა მანძილზე ტაძრის არქიტექტურამ ბევრი ცვლილება განიცადა.

მეტეხის ტაძარი. გ.ჯორჯიაშვილის ფოტო, 2009წ.
Метехский храм. Фото Г.Джорджиашвили, 2009г.
Metekhi Church. Photo by G. Jorjiashvill, 2009

მტკვრის მარცხენა სანაპირო და მეტეხის ტაძარი. ი.გოლიაძის ფოტო, 2009წ.
Левая набережная Куры и Метехский храм. Фото И.Голиадзе, 2009г.
The Left bank of the Mtkvari River and Metekhi Fortress. Photo by G. Jorjiashvill, 2009



ხით არის შემორჩენილი, იმ ხანისაა თლილი ქვის პერანგის მეტი ნაწილი და ტაძრის ორნამენტული შემკულობა.

საუკუნეთა მანძილზე ტაძრის არქიტექტურამ ბევრი ცვლილება განიცადა. XVI-XVII საუკუნეებში აგურითაა აღდგენილი ოთხივე ბოძი, დასავლეთი პატრონიკე, კამარები, გუმბათი და სხვა. ერეკლე მეფის დროსაა აღდგენილი სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი. არის XIX საუკუნის ფენებიც.


ტაძრის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენს წმინდა შუშანიკის საფლავი. VII საუკუნის დასაწყისში სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ კათოლიკოსმა კირიონმა წმინდანის ნეშტი დაბა ცურტავიდან(100) მეტეხის ტაძარში გადმოასვენა. წმინდანი დედოფლის ნეშტი ეკლესიის სადიაკვნეშია. ცნობილია, რომ თამარ მეფემ მოოქროვილი სამოსით შეამკო ნეტარი დედოფლის სხეული და განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას.

ადრე ტაძარს ჰქონდა XVII საუკუნეში მოჭედილი თავისი ხატიც–ჩვილედი ღვთისმშობლისა. მაჯდ-ოს-სალტანე(101) მასთან დაკავშირებით წერს: "1795 წელს, ყიზილბაშების შემოსევის ჟამს დაიკარგა ტაძრის ხატი, რომლის სამაგიერო გამოგზავნა პეტერბურღიდან ბატონიშვილმა სალომემ(102), იულონის(103) მეუღლემ".

ტაძარში, ძირითადად, ახლად შემოწირული ხატებია. შედარებით ძველი ხატებია: კანკელის მაცხოვარი და ღვთისმშობელი, ასევე წმინდა ნიკოლოზი, წმინდა გიორგი, ყაზანის ღვთისმშობელი. კანკელში მოთავსებულია ახლად დაწერილი ხატები ღვთისმშობლის შობისა და წმინდა აბო თბილელის, წმინდა ნინოსი და წმინდა შუშანიკისა. ხატებიდან აღსანიშნავია წმინდა იობის, მთავარანგელოზთა, წმინდათა ზაბულონისა და სოსანას ხატი წმინდა ნინოსთან ერთად.

მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ეკლესია მდებარეობს მეტეხის აღმართის №1–ში.





მეტეხის ტაძრის ღვთისმშობლის ხატი
ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Икона Богородицы Метехского храма.
Фото И.Микадзе, 2009г.
The Most Holy Theotokos. The icon of t Metekhi Church.
Photo by I. Mikadze, 2009

წმ.შუშანიკის ხატი მეტეხის ტაძარში.
ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Икона св.Шушаник в Метехском храме.
Фото и.Микадзе, 2009г.
St. Shushanik. The icon of t Metekhi Church.
Photo by I. Mikadze, 2009







ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესია



წმინდა მარინეს ეკლესია ავლაბარში, დუშეთის ქუჩაზე მდებარეობს. იგი ეზოს სიღრმეშია განთავსებული და საცხოვრებელი სახლებითაა გარშემოტყმული. ის თბილისის უძველეს ეკლესიების რიცხვს მიეკუთვნება. 1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში - "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" წმინდა მარინეს ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „ავლაბარშივე არის ეკკლესია წმინდისა ქალწულმოწამისა მარინას სახელსა ზედა, 17 დღესა ზედა ივლისის თთვისასა, უგუმბათო სიონურად, ქვით-კირით, აღშენებული საბერძნეთით მოსრულთა მღდუელმონაზონთაგან. და არა სადა სჩანს დრო აღშენებისა მისისა და წელსა ჩყკა-სა (1821-სა) მაღალ ყ¯უსაღუდელოესმან მიტროპოლიტმან ექსარხოსმან საქართველოისამ იონამ მეორედ კურთხევითა მისითა შესცუალა იგი ეკკლესიად მირქმისა 2 დღესა ზედა თებერულის თთვისასა. ამას ეკკლესიასა შინა არის ერთი მღდუელი". ავლაბარში, წმინდა მარინეს ეკლესიის გარშემო ქართველთა სასაფლაო იყო, რომელსაც ხოჯა-ვანქის ტერიტორიის ნაწილიც ეკავა.

სამხრეთით, კარის ზემოთ ქვაზე მოცემული ორენოვანი (ქართული და რუსული) წარწერა გვამცნობს, რომ "აღშენდა ეკკლესია ესე წმიდის ქალწულმოწამის მარინაის ღრ¯სა სრულიად როსიის იმპერატორისა ალექსანდრე მეორისასა, ექსარხოსობასა საქართველოსა... მიტროპოლიტის ისიდორესსა, გულისმოდგინებით და საფასის შეკრებითა კეთილმსახურთა ერთგან მღუდლისა პლატონ ელიევისათა 1856 წელსა".

მოსე ჯანაშვილი ეკლესიის შესახებ წერს: "წმინდა მარინეს ტაძარი ავლაბარში, აგებული ძველს დროს და განახლებული 1824 წელს. წმინდა მოწამეს მარინეს დიდად პატივსცემენ ქართველნი. მის საოხად ბევრგან აგებულია ტაძარი...".

The Avlabari St. Marina Church

The present church of St. Marina was built in 1856. However, Georgian historians say that it was built in ancient times and was disposed to the Greek parish. The temple represents a single-nave-hall structure. In the period of the Communist rule a photographer's studio was housed in it. Divine Services were restored in 2009.

Авлабарская церковь св. Марине

Нынешнее здание грузинской православной церкви св. Марине построено в 1856 году, хотя, по сведениям грузинских историков, она «была возведена еще в древнейшие времена» и предназначалась для греческих прихожан. Церковь представляет сооружение зального типа. В советское время в храме была размещена фотолаборатория. Богослужение в церкви восстановлено в июле 2003 года.

თბილისი, ავლაბარი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.

Тбилиси, старая часть города – Авлабар.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.

Tbilisi. Avlabari area.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.







წმ.მარინეს ხატი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Икона св. Марине. Фото И.Микадзе, 2009г.
An Icon of St. Marine. Photo by I. Mikadze, 2009

წმ.მარინეს ეკლესიის კანკელი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Алтарная преграда церкви св.Марине. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Marine Church. Iconostasis. Photo by I. Mikadze, 2009

წმ.მარინეს ეკლესია სამხრეთიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св.Марине, вид с юга. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Marine Church. South view. Photo by I. Mikadze, 2009

1897 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: "ქართული გალობა წმ. მარინეს ეკლესიაში. ფრიად სასიხარულოდ უნდა მივიღოთ ჩვენ ავლაბრელებმა, რომ ქართული გალობა გვესმის წმ.მარინეს ეკკლესიაში. მართალია, დიდი ხანია ქართული გალობა სუფევს ხსენებულ ეკკლესიაში, მაგრამ გამუდმებით კვირა უქმეებში-კი არ ყოფილა გალობა. წმ.მარინეში სულ ათი წელიწადია, რაც ქართული გალობა არის, ე.ი. 1888 წლიდან, სადაც გალობდნენ სამრევლო სკოლის მოწაფეები, თომა ასათიანის მასწავლებლობის დროს. მან სულ ორი სამი წელი გასტანა. შემდეგში ბევრმა სხვებმაც დაიწყეს გალობა და ბოლო ვერავინ გაატარა. აგერ ორი წელიწადია, რაც შეიკრიბნენ ცნობილნი და უცნობი მოსწავლენი და გალობენ რის ვაი-ვაგლახით და მით ხალხის წყურვილს აკმაყოფილებენ, ახლა-კი, ამ ცოტა ხანში, რაც ბ. კავსაძემ ხორო შეადგინა და ლოტბარობა დაიწყო, მათში, ცოტა არ იყოს, შეისწავლეს და გავარჯიშდნენ რამდენიმენი და ახლა ავად არის თუ კარგად, რიგზე მოჰყავთ გალობის საქმე. ლოტბარათაც არის დახელოვნებული ბ. კავსაძესთან გ.გურმაიშვილი და მგალობელთა შორის რამდენიმე სხვა კიდევ გარეშე პირნი, რომელთაც-კი ცოტა რამ იციან გალობისა. სულითა და გულით დიდს მადლობას ვიძღვნით ავლაბრელი ქართველნი, ჯერ მამა მიხ. ბერძენიშვილს, რომ რიგზედ მოაწყო ქართული გალობა და მრევლის წყურვილსაც აკმაყოფილებს და ყოველ კვირა უქმეებში გალობა არ არის მოკლებული ხსენებულს ეკკლესიაში და მერე გ.ურმანიშვილმაც, თავი დაუდო და შესაფერად შრომა-მეცადინეობს ხოროს გაწვთნაზე."

დარბაზული ტიპის ნაგებობა აგურითაა აშენებული. აფსიდა სწორკუხედშია ჩაწერილი და ფასადზე არ გამოიყოფა. შესასვლელი ორი მხრიდან აქვს; ცენტრალური სამხრეთით, ხოლო მეორე, მცირე კარი ჩრდილოეთით. ფასადებზე სარკმლები აგურისავე თაღოვან საპირეებშია ჩასმული, მათ გვერდით, ასეთსავე თაღებში მოქცეული ცრუ სარკმლები მონაცვლეობენ. თითოეული მათგანი მუზარადისებრი მოხაზულობის მქონეა. მათი სიმეტრიული განლაგება თანაბარზომიერ რიტმს წარმოშობს. თაღებს შორის წყობის ჩაღრმავებით საფეხუროვანი ჯვრებია გამოყვანილი.

ინტერიერს სამი საბჯენი თაღი ანაწევრებს, რომელიც მარტივი პროფილის მქონე შვერილ პილასტრებს ებჯინება. ყველა თაღი შეისრულია. დასავლეთის მკლავზე ორქანობა სახურავით გადახურული სამრეკლოა დაშენებული. ფრონტონის ქვეშ, ორსავ მხარეს ჯვრებია მოცემული. ასეთივე ჯვრები ამკობს აღმოსავლეთით დაშენებულ მცირე, სწორკუთხა ფორმის ცრუ გუმბათსაც. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წმინდა მარინეს ეკლესიამ სხვა მრავალი ტაძრის ბედი გაიზიარა, ღვთისმსახურება გაუქმდა და მასში ფოტოლაბორატორია განთავსდა.

კალისტრატე ცინცაძე წერს: "...1849 წელში, ისიდორე ეგზარქოსის დროს მცირე ტაძარი განუვრციათ და უკურთხებიათ ხელახლად წმინდა მარინეს სახელობაზე. ტაძარი მოქმედებდა 1938 წლის თებერვლამდე, როდესაც უკანვე ჩაიბარა 26 კომუნართა სახელობის რაიონულმა საბჭომ, თავის ქონებით." 1991 წელს თბილისის პრეფექტის ბრძანების საფუძველზე წმინდა მარინეს ეკლესია გადაეცა საპატრიარქოს. საბჭოთა დროს გაუქმებული ეკლესია 2003 წლის ივლისში აღდგა არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანი) თაოსნობით.

თბილისის წმინდა მარინეს ეკლესია მდებარეობს ავლაბარში, დუშეთის ქუჩის №12–ში.





ჩულურეთის კვირაცხოვლობის ეკლესია

ჩულურეთის კვირაცხოვლობის, წმინდა მოციქულის თომას ეკლესია თბილისის ერთ–ერთი ძველი ეკლესიათაგანია. ეკლესიის სიძველეს ადასტურებს მოსე ჯანაშვილი, რომელიც წერს, რომ "კვირა-ცხოველი წმინდა თომასი უძველესი ტაძარია. დანგრეული ლანგ თემურისაგან, განახლებულ იქმნა XVII საუკუნეში მთავარეპისკოპოსის ქრისტეფორეს მიერ."

მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი ისტორიულ მიმოხილვაში "ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ.ტფილისში" წერს: „...ანჩისხატის ტაძარზედვე იყო მოწერილი დანგრეული XV საუკუნის ჩულურეთის სასაფლაოს კვირაცხოვლის ეკკლესია, სადაც კვირაცხოვლობას ანჩის-ხატის დეკანოზნი გადიოდნენ ხატით და აგროვებდნენ მლოცველთაგან შესაწირავსა".

კვირაცხოვლის ეკლესია ვახუშტის დატანილი აქვს თბილისის 1735 წლის გეგმაზე. 1800 წლის გეგმაზე კვირაცხოვლის ეკლესია უკვე ნანგრევების სახითაა, 1884 წლის გეგმაზე კი აღნიშნულია „წმინდა გიორგის ეკლესია წითელ გორაზე".

საარქივო ფოტომასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ტაძარს გუმბათი და დასავლეთ მხარეს სამრეკლო ჰქონია. ეკლესიის გარშემო მდებარე შენობებში მონაზვნები და სასულიერო პირები ცხოვრობდნენ. ტაძარს საკმაოდ დიდი ეზო ჰქონდა, რომელიც მაღალი ქვის გალავნით იყო გარშემორტყმული. ამ გალავნის დიდი ნაწილი ამჟამადაც არის შემორჩენილი. ეზოს აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭე ჰქონდა.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია სასაფლაოს ეკავა. დღემდეა შემორჩენი-

თბილისი. დ.ერმაკოვის ფოტო. XXს. დასაწყისი.
Тбилиси. Фото Д.Ермакова, начало XX в.
Tbilisi. Photo by D. Ermakov. Early 20th c.



ლი საფლავის ქვების ნაწილი, რომლებსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. როგორც „საპატრიარქოს უწყებანში“ (2009) ვკითხულობთ: „ერთმა მოსახლემ სარდაფის გათხრისას აღმოაჩინა სასულიერო პირის საფლავი. მას მკერდზე ოქროს ჯვარი ჰქონდა. ჯვარი ერთ-ერთ მუზეუმს გადასცეს, სასულიერო პირის ძვლები კი გაურკვეველ ადგილას გადაიტანეს“.

XIX საუკუნის II ნახევარში თბილისში შემოსვლას იწყებენ ირანიდან დევნილი ასირიელები. გაზეთ "დროებაში" მღვდელი იოსებ ელიევი "აისორ ნესტორიანელებზედ" წერს: "...1870 და 1871 წელში მიიღეს აისორებმა მართლმადიდებლობა თფილისში და თან ჩვენ მთავრობას მიმართეს, რათა მიეცა შემწეობა და შუამდგომლობა სპარსეთის მთავრობასთან, რომ იგინი გამოეყვანათ სპარსეთის ფიცხელი და მკაცრი დევნისაგან... ამ უკანასკნელ დროს ნესტორიანთა ათასობით მიიღეს მართლმადიდებლობა მღვდლის დავით გურგენიძის ხელითა“.

ჩამოსახლებული ასირიელები სახლდებიან კვირაცხოვლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ დაზიანებული კვირაცხოვლობის ეკლესია შეიძინეს და თავისი ხარჯით აღადგინეს.


1898 წლის 17 ივნისის ქართული გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ წერენ: „გუშინ, კვირას, კვირაცხოვლის წმინდა თომას ეკლესიაში (არსენალის წინ) არაჩვეულებრივი ამბავი იყო. ამ დღეს უნდა მიეღოთ მართლმადიდებლობა ტფილისში მცხოვრებ აისორებს, რომელნიც კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნესტორის (430წ.) სწავლას აღიარებდნენ. თუმცა აისორები ქრისტიანები არიან, მაგრამ მათი სწავლა-მოძღვრება მაინც განირჩევა მართლმადიდებელი სარწმუნოებისაგან. მაგალითად, ისინი მარიამს უწოდებენ ქრისტეს მშობელს და არა ღვთისმშობელს; პირჯვარს იწერენ მთელი ხელით და არა სამის თითით და სხვა ამგვარს... სანამ წირვა დაიწყებოდა, კვი-

St. Thomas the Apostle Church of Kviratskhovloba (The Second Sunday after Easter.)

St. Thomas the Apostle Church of Kviratskhovloba is one of the oldest temples in Tbilisi. It has been desecrated and reconstructed many a time. In the 1880s the church was purchased by the Syrians living in Kukia. On its site there was a cemetery too. Under Communist rule in 1924 the Bolsheviks desecrated the temple again, removed its dome, destroyed its belfry and closed it. Today, Kviratskhovloba Church has lost its old structural shape and is being used as a residential building.

Церковь св. апостола Фомы, Квирацховели

Грузинская православная церковь св.апостола Фомы одна из древнейших церквей Тбилиси. Её не раз разоряли и восстанавливали. В 1880-ых годах церковь св.апостола Фомы приобрели и восстановили живущие на Кукии ассирийцы. При церкви было кладбище. В советский период, в 1924 году большевики учинили в церкви погром, сняли с неё купол, разгромили колокольни и закрыли её. Ныне церковь эта утратила свой прежний облик. Она переделана в жилой дом.



რაცხოვლის საყდრის ეზო აისორებით აივსო და მხოლოდ მამაკაცნი იყვნენ. გაისმა ხშირი ზარის რეკვა და მობრძანდა მაღალყოვლადუსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, რომელსაც კარიბჭეში მიეგებნენ არქიმანდრიტი კირიონი და გერმოგენი, წინამძღვარი კვირაცხოვლის ეკლესიისა–დეკანოზი დავით გურგენიძე და სხვა სამღვდელოება. როდესაც ეგზარქოსი შეიმოსა, მასთან გამოვიდა, აღსავლის თანასაწირველად აისორების ეპისკოპოსი სუპურგანეთისა და ურმიისა იონა. შემდეგ მცირედის ლოცვისა გამობრძანდა ეზოსაკენ და კარიბჭეში შესდგა. თან ახლდნენ ეპისკოპოსი იონა და სამღვდელოება. აქ კარების წინ შეკრებილიყვნენ აისორები და საყდარში შესვლის ნებართვას ელოდნენ. ეპისკოპოსმა იონამ აისორულს ენაზედ სიტყვა უთხრა და დარიგება მისცა, რომ მართლმადიდებლობა ეღიარებინათ ისევე, როგორც მე თვითონაო და თქვენებურმავე მღვდელმა მამა გიორგი ბეჯნიანოვმა და მამა სერგეიმაო და სხვა მრავალმა თქვენმა მოძმეებმაო. აისორებმა მართლმადიდებლობის მიღების სურვილი გამოაცხადეს და ეპისკოპოსის მოძღვრების გათავების შემდეგ ყველამ რამდენჯერმე ერთმხრივ დაიძახეს: ამინ! ამის მერე ასურულს ენაზედ მცირე ლოცვები წაუკითხეს, ეგზარხოსმა და ეპისკოპოსმა აკურთხეს აისორები და ყველანი საყდარში შეიყვანეს. შუა წირვაზედ დეკანოზმა გურგენიძემ ქადაგება სთქვა აისორულს ენაზედ, რომელსაც აისორები დიდი ყურადღებით უსმენდნენ. როდესაც წმინდა საიდუმლო გამოასვენეს, დეკანოზმა გურგენიძემ აისორულს ენაზედვე ზიარების ლოცვა ათქმევინა და ეგზარხოსმა კიდევ წმინდა საიდუმლო მიაღებინა.

წირვა გამოვიდა, ეპისკოპოსმა იონამ ხალხი აკურთხა და გასვლა რომ დაიპირა, ხალხი ხელზედ სამთხვევლად შემოეხვია. ამ დროს ეპისკოპოს იონას პირისახე უღიმოდა და ცხადად ეტყობოდა, რომ განუსაზღვრელ სიხარულს მოეცვა მისი ქრისტიანობით აღვსილი გული. ეპისკოპოსი იონა ფრიად ცნობილია თავის ქვეყანაში და იქ დიდი გავლენაცა აქვს ხალხზედ... მოუნათლავს და შეუერთებია მართლმადიდებლობისათვის მრავალი მაჰმადიანი, ნესტორიანი, კათოლიკე და გრიგორიანი; გარდაიცვალა ტფილისის აისორთა ეკლესიის წინამძღვრად ("კრასნაია გორკაზე" ტაძარიც მან ააშენა). იყო კაცი ენატკბილი"






ჩუღურეთი და კვირაცხოველის ეკლესია.
შ.ლეჟავას ფოტო, 2009წ.
Старая часть города- Чугурети и церковь св. апостола Фомы.
Фото Ш.Лежава, 2009г.
Chugureti – an old area. St. Thomas the Apostle Church.
Photo by Sh. Lejava, 2009

კვირაცხოველის ეკლესია.
მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ.
Церковь св. апостола Фомы.
Фото М.Кутателадзе, 2007г.
St. Thomas the Apostle Church.
Photo by M. Kutateladze, 2007

ასირიელები. დ. ერმაკოვის ფოტო.
Асирийцы. Фото Д.Ермакова
Assyrians. Photo by D. Ermakov

მღვდელი მამა დავით გურგენიძე.
Священник отец Давид Гургенидзе.
Priest Father David Gurgenidze.







კვირაცხოველის ეკლესიის სახურავი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Крыша церкви св.апостола Фомы. Фото И.Микадзе, 2009г.
The roof of Kviratskhoveli Church. Photo by I. Mikadze, 2009

საფლავის ქვა. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Надгробный камень. Фото И.Микадзе, 2009г.
Gravestone. Photo by I. Mikadze, 2009

წმ ხარების დედათა მონასტრის ეკლესიის ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Интерьер церкви Женского монастыря св. Благовещания. Фото И.Микадзе, 2009г.
Holy Annunciation Convent. Interior. Photo by I. Mikadze, 2009

დედა მარიამი (რუსუდან როყვა) შვილებთან ერთად.
Матушка Мариам (Русудан Роква) вместе с сыновьями.
Mother Mariam (Rusudan Rokva) with her sons

საბჭოთა პერიოდში, 1924 წელს ბოლშევიკებმა ეკლესია დაარბიეს, მოხსნეს გუმბათი, დაანგრიეს სამრეკლო, ეკლესია დახურეს და მასში არსენალის მუშათა კლუბი განათავსეს. ამ ეკლესიის შესახებ საინტერესო დოკუმენტებია დაცული თბილისის ცენტრალურ არქივში: „გვსურს რა ჩვენ, ტფილისის აისორებს, დავაარსოთ ტფილისის აისორთა რელიგიური საზოგადოება... ჩაგვბარდეს ჩვენ–ჩვენი ერთად ერთი მთელ ტფილისში /აისორების/ ჩამორთმეული კრასნოგორსკის თომის /კვირაცხოვლის/ აისორების ეკლესია თავის კუთვნილებით, სადაც იქნება მოთავსებული საზოგადოება და, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვეცეს ჩვენ ასლი დადგენილებისა ვარის შესახებ თანახმად კანონისა. მოხსენებულ ეკლესიაში ახლა კლუბია მოთავსებული. დავსძენთ, რომ ამ ეკლესიას ჩვენთვის, აისორებისთვის, დიდი ისტორიული და ნაციონალური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აქ 88 წლებიდან წარმოებდა ღვთის მსახურება აისორულ ენაზედ და იგი წარმოადგენს ჩვენთვის ნაციონალურ კერას. სხვა აისორების ეკლესია ტფილისში არ ყოფილა და არც არის. გარდა ამისა, ამ ეკლესიას აქვს საზოგადო არქეოლოგიური მნიშვნელობაც–რადგანაც იგი არის აშენებული თემურლანგის აოხრებულ /13 საუკუნეში/ ეკლესიის ადგილზედ, სადაც აქამდის შენახული ძველებური ერთიანი ქვის ტრაპეზი–კედელზედ მიმდგარი, თანახმად ხუროთ–მოძღვრობისა...". (ფ1: ან4: საქ. 45)

1925 წელს ტფილისის აღმასრულებელ კომისარიატის ადმინისტრაციულმა განყოფილებამ ჩაატარა გამოძიება და დაკითხა ადგილობრივი მაცხოვრებლები. ამ დაკითხვების ოქმებიდან ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ფაქტებს ვგებულობთ. მაგალითად, ვინმე ტკაჩენკო ამბობს, რომ „1878 წელს აისორებმა დაიწყეს ეკლესიის ფუნდამენტის თხრა და ააშენეს აგურის ფუნდამენტი (რომელიც დღემდე დარჩა ისეთი, როგორიც იყო). 1884 წლამდე ისინი არ შედგომიან ეკლესიის მშენებლობას, რადგან საჭირო იყო დიდი თანხა. არსენალის და არტილერიის საწყობის მუშებმა ეკლესიის საძირკვლის წინ ააშენეს ხის პატარა სამლოცველო. 5 წლის შემდეგ ისევ ამ მუშებმა ააშენეს პატარა აგურის ეკლესია, რკინის გალავნით, რომელიც დღემდე არსებობს". ვინმე სოსულინი აღნიშნავს– „1879 წელს ჯერ არ იყო აშენებული ეკლესია, იყო მხოლოდ ქვა, რომელზედაც მოჰქონდათ თომას ხატი". (ფ1.ან61.საქ. 216.).

სოსულინის სიტყვებს ადასტურებს პლატონ იოსელიანი, რომელიც წერს: "წმინდა მოციქულ თომას ეკლესია ერთიანად ნანგრევებადაა ქცეული. ამ ეკლესიის ნანგრევებზე თომას კვირიაკეს ტფილისის ყველა მცხოვრები მიდიან თაყვანსა-

ცემად. აჩისხატის საკრებულო ტაძარი ამის გამო იქ წმინდა ხატს აგზავნის, მას დიდ კვადრატულ ქვაზე დგამენ, რომელიც ალბათ, ტრაპეზის მაგივრობას სწევდა. ასეთი ტრაპეზის მაგიერ ქვებს ახლაც მრავლად ნახავთ მთიანი საქართველოს სოფლის ეკლესიებში.".

უცნობია, გადაეცათ თუ არა იმ პერიოდში მორწმუნეებს ეკლესიის შენობა, მაგრამ ცნობილია, რომ შემდგომ პერიოდში მუშები საცხოვრებლად ამ ეკლესიაში შეასახლეს. მოსახლეობამ საცხოვრებელი ფართის გაზრდის მიზნით ტაძარს მიშენებები გაუკეთა.

მოსახლეთა გადმოცემით, კედლებზე შემორჩენილი იყო ფრესკების ფრაგმენტები, რომლებიც მათ რემონტის დროს ჩამოუფხეკიათ. დღეისათვის კვირაცხოვლობის ეკლესიას დაკარგული აქვს ძველი სახე. თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აღდგომის სწორს ამ ეკლესიასთან კვირაცხოვლობის დღესასწაული იმართებოდა. ეკლესიაში წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის ხელში ჩასაგდებად. მრევლის რწმენით, გამარჯვებულ ჯგუფს მთელი წლის მანძილზე არ მოაკლდებოდა სიუხვე და ბარაქა. ზოგჯერ ბურთს ნაკუწ-ნაკუწად გლეჯდნენ და ინაწილებდნენ, რადგან მისი მაგიური ძალისა სჯეროდათ. კვირაცხოვლის გორას „წითელ გორას – კრასნაია გორკასაც" უწოდებდნენ კვირაცხოვლობის დღეს აქ წითელი კვერცხების დაგორების გამო. ეს წესი რუსმა მართლმადიდებლებმა შემოიტანეს თბილისში.

1969 წელს ფოთიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდა კუჭავების ოჯახი. დედა მარიამი (რუსუდან როყვა) შვილის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ თავის ორ ვაჟთან ერთად თბილისში კვირაცხოვლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დამკვიდრდა. თუმცა, თავდაპირველად ეკლესიის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა და მისთვის არც ის იყო ცნობილი, რომ ამ სახლებში მღვდელთმსახურებსა და ბერ-მონაზვნებს უცხოვრიათ. დედა მარიამი წლების განმავლობაში მსახურობდა საპატრიარქოში, სადაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი იყო უბრალო და სიყვარულით დაჯილდოვებული მონაზონი.

დედა მარიამმა თავისი საცხოვრებელი სახლი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ღვთისმშობლის სავანედ აქცია და მას ეწოდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი, რომლის პირველი კეთილმოწესე და მონაზონი თავად დედა მარიამი გახლდათ. მისი მანტიის ქვეშ ეკურთხა სამი მონაზონი და ერთი მორჩილი. მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა კვირაცხოვლის ეკლესიის არსებობა, იგი ძლიერ განიცდიდა კვირაცხოვლის ტაძრის სავალალო მდგომარეობას და ყოველთვის ევედრებოდა უფალს ეკლესიის აღდგენისათვის. წმინდა ხარების დედათა მონასტერში დედა მარიამის გარდაცვალების შემდეგაც მიმდინარეობს ლოცვა კვირაცხოვლობის, წმინდა თომა მოციქულის ეკლესიის აღდგენისათვის.

2008 წლის 8 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით არქიმანდრიტმა საბამ (კუჭავა), დედა მარიამის ვაჟმა, კვირაცხოვლობის ტაძრის ეზოში აკურთხა სამრეკლოს აღდგენა-აშენებისთვის განკუთვნილი ადგილი. სამრეკლოს პირველ სართულზე განათავსებენ მთავარანგელოზთა მცირე საყდარს, სადაც კვირაცხოვლობის ტაძრის აღდგენამდე წირვა-ლოცვა აღესრულება.

თბილისის კვირცხოვლობის, წმინდა თომა მოციქულის ეკლესია მდებარეობს ჩუღურეთში, ჩაისუბნის ქუჩის №7-ში.





ავლაბრის წმინდა ნინოს ეკლესია



Church of St. Nino Equal of the Apostles and Enlightener of Georgia

The Georgian historian Platon Ioseliani attributes the church to the period of the foundation of Tbilisi; it existed till the second half of the 18th century.

Церковь св. Равноапостольской Нино, Просветительницы Грузии

По сведению грузинского ученого Платона Иоселиани, грузинская православная церковь св. Равноапостольской Нино, Просветительницы Грузии построена еще со времен основания Тбилиси и она просуществовала до второй половины XVIII века.

ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობით, წმინდა მოციქულთასწორის ნინოს, საქართველოს განმანათლებლის ეკლესია: „...აშენებულია თბილისის დაარსების დროიდან ის იყო ბოდბის(104) მიტროპოლიტების კარის ეკლესია, რომელთა რეზიდენცია მდებარეობდა ქიზიყში, ბოდბეში, ქ.სიღნაღიდან 5 ვერსტში სამხრეთით, კახეთში, სადაც დაბრძანებულია წმიდა ნინოს წმინდა ნაწილები. ეკლესია დანგრეულია XVIII საუკუნეში და მას მერე არ აღდგენილა თავისი ნანგრევებიდან ეკლესიის საძირკველის ნაშთები 1840 წელს კიდევ ჩანდა ავლაბრის გზაზე გორის ძირში, ავლაბრის ფერისცვალების ეკლესიის ჩრდილოეთით. ამ ეკლესიის ნანგრევებზე იმავე წელში აშენდა დუქნები".

წმინდა ნინოს ეკლესია მდებარეობდა ავლაბრში, ბარათაშვილისა და ღვინის აღმართების გადაკვეთაზე.

თბილისის ძველი ნაწილი
ღ ერმაკოვის ფოტო, 1900ნ დასაწყისი.
Старая часть города
Фото Д Ермакова, начало 1900-ых годов.
The old part of Tbilisi.
Photo by D. Ermakov. Early 1900s

წმინდა ორმეოცთა ეკლესია

წმინდა ორმოც წამებულ სებასტიელთა ტაძრის ხსენება პირველად გვხვდება იოანე საბანისძის[105] "წმიდა აბოს წამებაში" – ადგილი "სადა-იგი მოჰკვეთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა ორმეოცეთა დაფუძნებული იყო". ამ ნაწარმოების მიხედვით, ეკლესია მდგარა ამირას კარის ახლოს. ამირამ "უბრძანა განყვანება მისი გარე და მოკვეთა თავისა მისისა. ხოლო მსახურთა მათ გამოიყვანეს გარეშე კართა, ეზოსა მას ტაძრისასა, და ...სცეს მას მახვილთა სამგზის...". წმინდა აბოს თავი მოჰკვეთეს 786 წლის 8 იანვარს.

ეკლესიის კუთვნილების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ეგ.იოსელიანი წერს: „მახლობელ აბანოების ხიდისა მიმსვლელისა გზისა არს ეკკლესია, თუმცა არა დიდი, მაგრამ არცა მცირე, და არის გუმბათიანი. ესე აღშენებულ არს ძველისა შენობის გვარითა სახელსა ზედა წმინდისა მთავარანგელოზისასა. ამისთვის იტყვიან, რომ ესე იყოვო ბერძენთაგან აღშენებული ორმეოცთა მოწამეთა სახელსა ზედა, მაგრამ ესე სიტყვა არს პირად თქმული და არა სადა ჰსჩანს წერილსა შინა. ესე განაახლეს და აღაშენეს ტფილისელთა სომეხთა წელსა 1792-სა. ამას საყდარსა უწოდებენ ტფილისელნი პატარად ციხის საყდრად."

ს.კაკაბაძე[106] ადასტურებს წმინდათა ორმეოცთა ეკლესიის აგებას ვახტანგ გორგასალის დროს და მის ბერძნულობას. მისი აზრით V საუკუნეში იყო პირობები ბერძნული ეკლესიის მშენებლობისა, რადგან იმ პერიოდში ქართლს პოლიტიკურად ბიზანტიაზე ჰქონდა აღებული ორიენტაცია. მკვლევარი აღნიშნავს - მხედველობაშია მისაღები იცის, რომ ვახტანგ გორგასლის მეორე ცოლი ბერძენი იყო და მას თბილისში ჰყავდა არცთუ მცირე რაოდენობის ბერძენი მოსამსახურე. ეს კი ბერძნული ეკლესიის აგების საჭიროებას წარმოშობდაო.

ხელოვნებათმცოდნე ქეთევან აბაშიძის აზრით: "ტაძრის არსებობას და მის მართლმადიდებლობას უდაოდ ადასტურებს ვახტანგ გორგასლის მიერ დაფუძნებული იერუსალიმური ღვთისმსახურების წესი, რომელიც X საუკუნის ჩათვლით მოქმედებდა. ამ წესის მიხედვით წმინდანთა ორმოც მოწამეთა ხსენების დღე ერთ-ერთ მთავარ დღესასწაულს წარმოადგენდა, რაც უდაო დასტურია იმისა, რომ ორმოც მოწამეთა ტაძარი იმდროინდელი თბილისის საზღვრებში აუცილებლად იარსებებდა. ეს წმინდა ტაძარი ძველი თბილისის გალავნის აღმოსავლეთ კართან მდებარეობდა და წმინდა 40 მებრძოლ სებასტიელთა ლოცვით იყო დაცული".

იმას, რომ წმინდა ორმეოცთა ეკლესია XV საუკუნეში ქართველ მართლმადიდებელთა ხელში იმყოფებოდა, მოწმობს გიორგი VIII-ის მეფობის დროინდელი, 1449 წლის 30 სექტემბერით დათარიღებული ნასყიდობის წიგნი, რომლშიც ვკითხულობთ: "...გიბოძეთ ქალაქს თქუენგან აშენებული საყდარი და სასაფლაოდ კათოლიკე ეკლესია მისით ხუცებით სახლითა და ორმეოცთ ეკლესიითი რაიცა დღეს აქამდის იმისა საყდრისა ყოფილა მეთურთ ყოველი და თქუენგან ნაყიდი სახლკარი."

ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) აღნიშნავს, რომ ორმოც მოწამეთა ეკლესია იყო მეტოქი ათონის კარის ღვთისმშობლის მონასტრისა. მისი თქმით, ეს ტაძარი დააქცია შაჰ აბას I-მა.

საგულისხმო ცნობაა ისტორიკოს ლეონ მელიქსედ-ბეგის[107] ნაშრომში „თბილისი. მისი დაარსება და მოკლე ისტორიული ნარკვევი", სადაც იგი წერს: „ძველი თბილისის მცოდნისათვის არ არის ძნელი მიხვდეს, რომ „ორმოცი


Holy Forty Martyrs of Sebaste Church


The first datum of Holy Forty Martyrs of Sebaste Church is found in the annals of the 8th century. Scholars say that the church was built since the foundation of Tbilisi. Opinions on the ownership of the temple considerably differ. Indisputably, it was intended for the Greek parish and was built in commemoration of the Forty Martyrs of Sebaste. The Armenian parish took possession of the church previously ruined many a time during enemy incursions. They consecrated it anew in commemoration of the Archangels. The temple was pulled down under Communist rule in 1985. At present a new church is being erected on its site. In 1999 His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of all Georgia Ilia II consecrated its foundation.

Церковь сорока св. мучеников – севастийцев

Церковь сорока святых мучеников Севастийцев впервые упоминается в VIII веке. По мнению историков, церковь, возведена во времена основания Тбилиси. Существуют различные мнения о принадлежности церкви. Бесспорно, что церковь изначально была построена для греческой паствы во имя сорока Севастийских мучеников. В результате неоднократных нашествий разрушенная церковь переходит в руки армянской паствы и ее освещают во имя архангелов. Церковь снесли в советский период, в 1925 году. На фундаменте старой церкви воздвигли новый храм, который в 2009 году освятил Католикос Всея Грузии, Святейший и Блаженнейший Илья II.

წმ ორმეოცთა ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული
Церковь сорока св. мучеников, вид с юга -востока. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Holy Forty Martyrs of Sebaste Church. South-east view. Photo by D. Ermakov. End 19th c.





აბანოთუბანი.
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Район серных бань - Абанотубани.
Фото Д. Ермакова, конец XIXв.
Abanotubani (Sulphur Baths).
Photo by D. Ermakov. End of 19th c.



ბოტანიკური ქუჩის დასაწყისი, დანგრეული წმ.ორმეოცთა ეკლესიის ადგილი. 1920-იანი წლები.
Начало Ботанической улицы, место разрушенной церкви сорока св. мучеников. 1920-ые годы.
The beginning of Botanical Street, the site of the desroyed church of the Holy Forty Martyrs of Sebaste. 1920s.

წმ.ორმეოცთა ეკლესია აღმოსავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. დასასრული.
Церковь сорока св. мучеников, вид с востока. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Holy Forty Martyrs of Sebaste Church. East view. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

თბილისის ტაძრები

წმინდა ორმეოცთა ეკლესია

წმამებულის სახელობის ეკლესია, ...უნდა მდგარიყო ციხის ძირში, იმ ადგილზე, სადაც დღეს დგას სომხური ეკლესია „ხშეტაკაპეტაც", ე.ი. მთავარანგელოზთა." მისი აზრით, მთავარანგელოზთა სომხური ეკლესიის ადგილზე მდგარა ორმოც მოწამეთა ეკლესია.

პლ.იოსელიანი ამ ეკლესიის შესახებ წერს, რომ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დროს პრეტენზია განუცხადებიათ თბილისელ ბერძნებს „...შემდგომ ის დაუთმეს ათონის ივერთა პორტირის მონასტერს. ათონსა და ახლანდელ მფლობელს შორის ხანგრძლივი დავა ცოტა ხნის წინ მმართველმა სინოდმა კერძო მფლობელის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ახლა ძველი სიწმინდის ადგილზე სავაჭროებია აშენებული...". თ.ბერიძე მიიჩნევს, რომ ბერძნების მიერ ეკლესიის მოთხოვნა "...მეტად ყურადსაღებია, ვინაიდან ორმეოცთა ეკლესიას ბერძნულ მართლმადიდებლურ ძეგლად მიიჩნევდნენ და მათი პრეტენზია შეიძლება ძველი ტრადიციის გამოძახილად ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკლესია იდგა ბერძნების უბანში - ბერძენხანაში(108)".


ამასვე მოწმობს მ.ჯანაშვილი - "ეს ტაძარი უძველეს დროს ბერძნების სალოცავი იყო და ჯერ ისევ გიორგი XII-ის დროსაც ისინი ამ ეკლესიისათვის ედავებოდნენ სომხებს".

საგულისხმოა ბ.არველაძის მოსაზრება ეკლესიის კუთვნილების შესახებ: „...რა თქმა უნდა არაბებისათვის სულერთი იყო, მართლმადიდებელი თუ გრიგორიანული ეკლესიის წინ მოკვეთდნენ თავს – მათთვის მთავარი იყო ტაძარი ქრისტიანული ყოფილიყო, მაგრამ მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის იოანე საბანიძისთვის ეს არ იყო სულერთი, არამედ აღთქმული იყო როგორც ძალიან მნიშვნელოვანი რელიგიური ფაქტორი, რადგან აბო მოწამებრივად აღესრულა მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის, და არა გრიგორიანელობისათვის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იოანე საბანისძე აუცილებლად აღნიშნავდა გულისტკივილით, რომ წმინდა აბოს თავი მოკვეთეს სომხურ-გრიგორიანულ, წმინდა ორმოც წამებულთა ეკლესიის წინ. რადგან ასე არ მოხდა, მოიაზრება, რომ ეკლესია იყო მართლმადიდებლური."

საბჭოთა პერიოდში 1925 წელს ორმოც მოწამეთა ეკლესია დაანგრიეს. თავდაპირველად 1979 წელს ჩატარდა მცირე დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები, რომლის დროსაც გამოვლენილ იქნა ეკლესიის ნაშთები, შუასაუკუნეთა ხანის სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები და არამეული წარწერა. საპატრიარქოს თხოვნის საფუძველზე სამუშაოების გასაგრძელებლად შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსა და საპატრიარქოს წარმომადგენელთა ერთობლივი ჯგუფი. კვლევა-ძიებით ძეგლზე დაფიქსირდა მრავალი სამშენებლო კულტურული ფენა გამოვლინდა "გორგასლისეული" გალავნის კედლის ნაშთები, ასევე თავდაპირველი ეკლესიის იატაკის ფრაგმენტები.


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1999 წელს წმინდა ორმოც მოწამეთა ეკლესიის ნანგრევებზე არქიტექტორ რ.ჯანაშიას პროექტით დაიწყო ახალი ტაძრის მშენებლობა. 2009 წლის 23 ნოემბერს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე დამთავრებული ტაძარი საზეიმოდ აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ(109).


წმინდა ორმეოცთა ეკლესია მდებარეობს სამღებროსა და ბოტანიკური ქუჩების გადაკვეთაზე.



თბილისი, აბანოთუბანი. ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Тбилиси. Район серных бань - Абанотубани. Фото Ю.Каиа, 2009г.
Abanotubani (Sulphur Baths). Photo by Y. Kaya, 2009

წმ.ორმოცთა ეკლესია დასავლეთიდან.
მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2010წ.
Церковь сорока св. мучеников с запада.
Фото М.Чхиквадзе, 2010г.
Holy Forty Martyrs of Sebaste Church. West view.
Photo by M. Chkhikvadze, 2010.







სასაფლაოს
წმინდა ბარბარეს ეკლესია

ნავთლუღი ორი სიტყვისაგან შედგება "ნავთი" და "ლუღი", ლუღი ადგილს ნიშნავს (თურქ.). ე.ი. "ნავთლუღი" ნავთის ადგილს, სანავთეს აღნიშნავს. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს თ.ბერიძე: "ქართულ ენაში სიტყვა "ნავთი" გვხვდება იოანე საბანისძის თხზულებაში "მარტვილობაი ჰაბო ტფილელისა". თბილისის ამირას ბრძანებით სიკვდილით დასჯილი აბოს გვამი ურმით გამოიტანეს გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსაც საგოდებელი ეწოდების... და მოიღეს შეშაი და თივაი და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი". ...შეიძლება, თბილისის ამირას მსახურებმა ქრისტეს რჯულისთვის წამებული აბოს ცხედრის დასაწვავად ნავთი ქალაქის სიახლოვიდან, "ნავთლუღიდან" მოიტანეს კიდეც".

მტკვარსა და ორხევს შორის ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XIII-XII სს.) 8 ორმოსამარხი, რომელშიც აღმოჩენილ იქნა იარაღი, სამკაული, სპილენძისა და თიხის საოჯახო ნივთები. ნავთლუღზე გადიოდა აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო კახეთის გზა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში მეფე ერეკლე II-მ აქ ციხე-გალავანი ააგო. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ნავთლუღი უძველესი დასახლებაა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სოფელ ნავთლუღში ეკლესია ადრევე იქნებოდა. ნავთლუღის წმინდა ბარბარეს ეკლესია, გადმოცემის თანახმად, VIII საუკუნეში აუგიათ, თუმცა ის პირველად 1779 წელს მოიხსენიება. საეკლესიო გადმოცემით, ეკლესია თავდაპირველად წმინდა გიორგის სახელობაზედ ყოფილა ნაკურთხი. ეკლესია, როგორც სოფელ ნავთლუღის მფლობელთა და მეპატრონეთა–თავად სუმბათაშვილების საგვარეულო საძვალეც იყო.

მ.ჯანაშვილი წერს: „ტაძარი წმინდა ბარბარესი ქვემო ნავთლუღში, აგებული ძველ დროს, დიდი თაყვანის-საცემელია, დღეობას აქ იკრიბება დიდძალი მლოცველი, წმინდა ბარბარეს მოსალოცად აქ მუდამ მოჰყავთ სახადით მოსარჩენალი ბავშვები". თბილისში არსებობდა უძველესი ტრადიცია, ყველა ოჯახს ბავშვი ამ ეკლესიაში მიყავდა დასალოცად და წმინდა ბარბარეს მამალსაც სწირავდა.

1880-1883 წლებში ეკლესია შეაკეთა და განაახლა მღვდელმა თეოფანე ჩიჯავაძემ. ამჟამად ტაძრის მოძღვრის მამა იესე არხოზაშვილის ინიციატივით მიმდინარეობს გამაგრებითი სამუშაოები. ტაძარი იხატება დავით იმერლიშვილის მიერ. თბილისის წმინდა ბარბარეს (ქვემო) ეკლესიაში დასვენებულია წმინდა ბარბარეს XVI- XVII საუკუნის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც სამი შარავანდედი ადგას თავზე.

წმინდა ბარბარეს (ქვემო) ეკლესია წარმოადგენს ერთნავიან შენობას, რომლისთვისაც მინაშენი მეფე ერეკლეს XVIII საუკუნეში გაუკეთებია. 1903 წლის გაზეთი "ივერია" წერდა, რომ: "4 იანვარს, ნავთლუხში, ნავთლუხის წმინდა ბარბარეს ეკკლესიის მღვდელის მამა იოსებ ჩიჯავაძის მოთავეობით გამართული იქნება საქველმოქმედო საღამო მუსიკალური განყოფილებით. შემოსავალი ამ საღამოსი გაეგზავნებათ ქალაქ ანდიჯანში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ შესაწევრად". ამ სტატიის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად ფართო იყო ამ ეკლესიის საქმიანობის ფარგლები.

წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან გახსნილი იყო სამრევლო სკოლა, რომლის შესახებ1898 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: "8 თიბათვეს

St. Barbara Church

St. Barbara Lower Church is located on the site of the cemetery, in one of the old areas of Tbilisi called Navtlughi. Tradition holds that the temple was built in the 8th century. St.Barbara Church represents a single-nave structure with an extension of a later period. In1880-1883 it was repaired and renewed.

Церковь св. Варвары

Старая (нижняя) грузинская православная церковь св. Варвары возведена в одном из районов Тбилиси, на территории Навтлугского кладбища. Согласно преданию, церковь построена в VIII веке. Церковь св. Вырвары является однонефным зданием с поздней пристройкой. В 1880-1883 годах церковь была отремонтирована и обновлена.


წმ ბარბარეს ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Церковь св.Варвары. Фото Д.Ермакова , конец XIXв.
St. Barbara Church. Photo by D. Ermakov. End 19th c.

წმ ბარბარეს ეკლესია ლ.ტოგონიძის ფოტო. 2007წ.
Церковь св.Варвары. Фото Л.Тогонидзе, 2007г.
St Barbara Church; Photo by L. togonidze, 2007









წმ.ბარბარეს ხატი. მ.ქუთათელაძის ფოტო. 2007წ.
Икона св.Варвары. Фото М.Кутателадзе, 2007г.
The icon of St. Barbara. Photo by M. Kutateladze, 2007

წმ.ბარბარეს ხატის უკანა მხარე. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Оборотная сторона Иконы св.Варвары. Фото И.Микадзе, 2009г.
The reverse of the Icon of St. Barbara. Photo by I. Mikadze, 2009.


ტაძრის მოძღვარი მამა ისა არხოზაშვილი წმ.ბარბარეს ხატთან ერთად.
ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Настоятель храма отец Иса Архозашвили с иконой св.Варвары.
Фото И.Микадзе, 2009г.
Priest Father Isa Arkhozashvili with the Icon of St. Barbara.
Photo by I. Mikadze, 2009.

წმ.ბარბარეს ეკლესია. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Церковь св.Варвары. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Barbara Church. Photo by I. Mikadze, 2009.s

მამა ინსპექტორმა მაღალღირსმა გერმოგენმა, საოლქო ზედამხედველის ბ.ნ.ტატიშვილითურთ და მთავარმა ე.ჯაოშვილმა მოახდინეს გამოცდა ნავთლუღის წმ.ბარბარეს ეკკლესიის სამრევლო სკოლაში. საზოგადოთ კარგა უგებდნენ ბავშვები, მეტადრე საღმრთო წერილს და გალობამ ხომ აღტაცებაში მოიყვანა გამომცდელნი. საზოგადო შთაბეჭდილება კარგი დარჩათ, და დიდი მადლობა განუცხადეს მმართველს სკოლისას მ. იოსებ ჩიჯავაძეს დაუღალავ შრომისათვის, და აგრეთვე მასწავლებელ ქალს ოლღა ბატუსელს. მართლაც, რომ დაუღალავი მშრომელია მ. იოსები, არა მარტო სკოლის საქმეში, როგორც საღმრთო რჯულის მასწავლებელი და გალობისა რუსულისა და ქართულისა, აგრეთვე როგორც მოძღვარი და მამა. ყოველ წლივ არ აკლებს ბავშვებს ბუნდოვან სურათებს, საშობაო ხეს და აგრეთვე სუყველას, რაც კი მოიზიდავს ბავშვს, აღძრავს ხალხში და ბავშვებში ღვთიურს სიყვარულს და ერთმანეთში ბედნიერ ცხოვრებას. იგი დაუღალავია, მისი კარები ყოველთვის ღიაა გაჭირვებულისთვის, არა ერთხელ შეუგროვებია ღარიბთათვის და ღატაკთათვის გაზეთების შემწეობით ფული და უშოვნია, მეტადრე წელს. თითქმის რამდენიმე სახლობა გადმოსახლებულნი მისი შემწეობით და შველით დღეს ფეხზე დგას. იმას ნუღარ იტყვით, რომ იგი საუკეთესო ექიმია, არა მარტო სულიერი, ხორციელიც. მის კარებს მრავალი ხალხი ახვევია ავადმყოფი, და ყველას, არა მარტო დარიგებას, არამედ წამლებსაც და შემწეობასაც უსასყიდლოდ აძლევს. ისეთი საქმე არ იქნება სამრევლოში, რომ მან დარიგება და შემწეობა არ გაიღოს. მისი მეცადინეობით დღეს ნავთლუღში თავისუფლათ ვქშინავთ, თორემ ქალაქი უსუფთაობაში გვპირდება ჩახრჩობას. სასურველია, რომ ბევრი იყვეს ცენში, ამ რიგი მოძღვარი და მამა, მაშინ ხალხიც მორჯულდება და განათლებას უკეთეს ბინას მოიკეთებს ჩვენს ხალხში".

ამ ტაძარში ინახებოდა კიევის წმინდა ვლადიმერის ტაძარში დაბრძანებული წმინდა ბარბარეს ხისგან გამოთლილი ნეკის ასლი, რომელიც მოგვიანებით გადააბრძანეს წმინდა ბარბარეს (ზემო) ეკლესიაში.

წმინდა ბარბარეს ეკლესია მდებარეობს ქინძმარაულის შესახვევში, წმინდა ბარბარეს სასაფლაოზე.



ათონგა
ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი

III-VII საუკუნეებში, სასანიანთა დინასტიის მეფობის ხანაში ირანი ძალით ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოში ირანული სახელმწიფო რელიგიის, ზოროასტრიზმის დამკვიდრებას. ამ დროს ზოროასტრიზმი საქართველოში ქრისტიანობის უძლიერესი კონკურენტი იყო.

თბილისში ადრინდელ ქრისტიანულ ხანაში ზოროატრიზმის გავრცელებაზე ცნობები უხვად შემოგვინახა ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, რომელთა მიხედვითაც, ამ სარწმუნოების მიმდევარნი თბილისში ცხოვრობდნენ.

ქართველობა ცვალებადი წარმატებით, მაგრამ განუწყვეტლივ იბრძოდა ზოროასტრიზმის დანერგვის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის კვალი კარგად ჩანს იმდროინდელ ქართულ წერილობით წყაროებში (შუშანიკის და ევსტათი მცხეთელის მარტვილობები, ლეონტი მროველის(111), ჯუანშერის ცნობები). ამ ბრძოლის მიუხედავად, საქართველოს ქალაქებსა და ზოგან სოფლადაც არსებობდა ზოროასტრიზმის მიმდევარი მოსახლეობა.

თბილისში საქალაქო ცხოვრების დაწყებისთანავე ზოროასტრიზმის გაძლიერებისათვის ხელშემწყობი პირობები შეიქმნა IV-VI საუკუნეებში, როდესაც ქართლი ირანის გავლენის სფეროში მოექცა. მეფის კარზე ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად მოგვთა მეთაურიც იმყოფებოდა, რომელსაც ქართული საისტორიო წყაროები "სპარსთა ეპისკოპოსს" უწოდებენ. თბილისში განსაკუთრებით გაძლიერდა ცეცხლთაყვანისმცემელთა პოზიციები, როდესაც იგი სპარსთა მარზპანის რეზიდენცია გახდა, თუმცა ამ რელიგიამ ფეხი ვერ მოიკიდა საქართველოში, რადგან მისი ზოგიერთი რიტუალი მიუღებელი იყო ქართველი ადამიანისათვის, თუნდაც დასაფლავების წესი(112).

VIII-IX საუკუნეებში თბილისს თავი შეაფარა არაბთაგან დაპყრობილი ირანიდან დევნილ ზოროასტრიზმის მიმდევართა ერთმა ნაწილმა. ამის უეჭველი საბუთია თბილისში, კლდის უბანში დღემდე შემორჩენილი ცეცხლის ტაძრის - "ათეშგას" ნაშთები.

ათეშგაჰი (სპარსული ათეშ-ცეცხლი და გაჰ-ადგილი) ცეცხლის საგზებელ ადგილს ნიშნავს. ტრადიციულად "ათეშგაში" ცეცხლის დასანთებად მხოლოდ ხეხილის შეშას იყენებდნენ, რომელიც წვის დროს სასიამოვნო სურნელს გამოჰყოფდა.

ათეშგა აგურით არის ნაგები. იგი იყო კუბის ფორმის ნაგებობა ტრომპებზე დაფუძნებული ნახევარსფერული, ამჟამად ჩამოშლილი გუმბათით. ნაგებობის კუთხეები პილასტრებით იყო ფლანკირებული, ფასადები კი, აღმოსავლეთ ფასადის გარდა, ორთაღედით იყო მორთული. იგი გაფორმებული იყო ფლანგებზე ნახევარწრიული ნიშებიანი კედლის მაღალი სამთაღედით და შუაში დატანილი თარაზული შესასვლელით, რომელსაც თავზე ჰქონდა თაღოვანი ლუნეტი. ინტერიერის ოთხივე კედელში დატანილი იყო მუზარადის ფორმის თაღით შეკრული თითო მართკუთხა ნიშა. ტრომპებზე დაფუძნებული გუმბათი აგურის წრიული ლავგარდანით იყო შემოზღუდული.

ბოლო პერიოდში „ათეშგას" ჩაუტარდა სარემენტო-გამაგრებითი სამუშაოები, აღადგინეს მასთან მისასვლელი კლდეში გაჭრილი აგურის საფეხურებიანი კიბე. მიუხედავად იმისა, რომ „ცეცხლის ტაძრები" საქართველოს სხვადასხვა მხარეში იყო აგებული, ის მხოლოდ თბილისში შემორჩა.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში შენობაში ფუნქციონირებდა მეჩეთი. ს.კაკაბაძე წერს: "არსებული მოსაზრების თანახმად, ათეშგა 1724 წლიდან თბილისში გაბატონებული თურქების მიერ გადაკეთდა მეჩეთად, ან მის ფუძეზე იქნა აშენებული მეჩეთი და 1735 წელს თურქების თბილისიდან განდევნისას ნადირშაჰის მიერ დანგრეული ორი მეჩეთიდან ერთ-ერთად ეს ნაგებობა უნ-


Ateshga, the Temple of Zoroastrianism

In the 8th-9th centuries a group of Persians persecuted the by Arab conquerors for their loyalty to the religion of Zoroastrianism fled from Persia. They took refuge in Tbilisi. An unquestionable evidence of this fact is the remains of their temple Ateshga. Recently repair work has been carried out in order to strengthen and restore the church.

Атешга, храм огнепоклонников

В VIII-IX веках в Тбилиси нашла укрытие часть последователей зороастризма, гонимая из покоренной арабами Персии. Несомненным доказательством этого являются сохранившиеся до сих пор в Тбилиси остатки храма огня «Атешга». За последний период в нем были проведены ремонтно-укрепительные работы.

ათეშგა
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Атешга.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Ateshga.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.









და ვიგულისხმოთ".

შარდენის(113) 1673 წლის თბილისის ჩანახატზე ათეშგა დაბალყელიანი სფერული გუმბათით დასრულებულ კუბს წააგავს, რომელსაც ირგვლივ შემოზღუდული თავისუფალი ფართობი აქვს. ტურნეფორის(114) 1700 წლის ჩანახატზეც იგი დაახლოებით ასევე გამოიყურება; დღევანდელი ნაგებობის საერთო სახეც ასეთია, ანუ შენობა მისი სავარაუდო გადაკეთებამდე და შემდგომ არსებით სხვაობას არ გვაძლევს. ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ შენობის ფუნქციური დანიშნულების შეცვლა მნიშვნელოვანი გადაკეთების გარეშე მომხდარა და იმდენად მცირე ხანს გაგრძელებულა, რომ თავდაპირველი სახელწოდების დაკარგვა ან შეცვლაც არ გამოუწვევია. წინა საუკუნის უხუცესთა გადმოცემით, "მას, ვითარცა სიძველის ძეგლს, ქართველი მეფეები მფარველობდნენ", – წერს თ.კვირკველია.

პლატონ იოსელიანის ცნობისა და შემორჩენილი ფოტოების მიხედვით ირკვევა, რომ XIX საუკუნეში ათეშგას გუმბათი ისე ჰქონია, რომ კიბეები სახლსა და ათეშგას შორის შექმნილ ბაქანზე ადიოდა. გრ.გაგარინის ჩანახატის მიხედვით, შენობას აგურისავე გალავანი აქვს, ისევე როგორც შარდენის ჩანახატზე. მოგვიანებით შენობა საწყობად, ხოლო XIX საუკუნეში საცხოვრებლად ყოფილა გამოყენებული.


ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი ათეშგა მდებარეობს კლდისუბანში, გომის ქუჩის №3–ში.

ათეშგაში ასასვლელი კიბე. 1950–იანი წლების ფოტო
Лестница на Атешгу. Фото 1950-ых годов.
Staircase leading to Ateshga. 1950-s.

ათეშგა, ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Атешга, интерьер. Фото И.Микадзе, 2009г.
Ateshga. Interior. Photo by I. Mikadze, 2009.

ათეშგა დასავლეთიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Атешга, вид с запада. Фото И.Микадзе, 2009г.
Ateshga. South view. Photo by I. Mikadze, 2009.

ათეშგა, შესასვლელი აღმოსავლეთიდან.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Атешга, вход с востока. Фото И.Микадзе, 2009г.
Ateshga. Eastern entrance. Photo by I. Mikadze, 2009.



მაცხოვრის სამლოცველო



პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა ჩამონათვალში ლაპარაკობს მაცხოვრის სამლოცველოზე: „მეფის მოედნის მახლობლად მდებარე ქუჩაზე, რომელსაც დღეს პოლიციამ „გრიაზნაია“ შეარქვა, ძველად ეკლესია, ხოლო შემდგომში - მაცხოვრის სამლოცველო მდგარა. იგი რუსთავის[115] მთავარეპისკოპოსების მეტოქი ეკლესია იყო. ამ ქუჩას "ღთუაების" ქუჩასაც უწოდებდნენ იმ ხელთუქმნელი ხატის საპატივცემულოდ, რომელიც აქ იყო დასვენებული. ძველი დროიდან ყოველ შაბათ საღამოს ამ სამლოცველოში დადიოდნენ როგორც მართლმადიდებლები, ისე სომეხი-გრიგორიანელებიც. 1818 წელს მიტროპოლიტ თეოფილაქტემ[116] ეს ხატი საზეიმოდ გადაიტანა სიონის ტაძრის ეგვტერში. ამ ადგილზე დღეს კერძო სახლი დგას“.

თ.კვირკველია[117] მაცხოვრის ეკლესიაზე წერს: „ქალაქის შიგნით დიღმისა და კოჯრის კარები ერთმანეთს ღვთაების, იგივე მაცხოვრის (დღევანდელი დიუმას) ქუჩით უკავშირდებოდა. ამ ქუჩაზე მაცხოვრის სახელით აგებული მცირე სამლოცველო იდგა, რომელიც რუსთავის არქიეპისკოპოსის მეტოქს ეკუთვნოდა. XIX საუკუნეში საპოლიციო უწყებამ ქუჩას „Грязная“ შეარქვა. ამ დროს ეს ეკლესია აღარ არსებობდა“.

თბილისის მაცხოვრის სამლოცველოს აშენების თარიღი უცნობია. მაგრამ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ იგი ქალაქის ერთ–ერთი ძველი ეკლესია.

მაცხოვრის ეკლესია მდებარეობდა ალ.დიუმას ქუჩაზე.

Chapel of Our Saviour

Chapel of Our Saviour is one of the oldest churches in Tbilisi. Only scanty data about it is maintained today. According to scholars there had been a church on the site prior to it which did not survive due to numerous invasions. Subsequently, Chapel of Our Saviour was erected. An icon of the Saviour worshiped by both the Georgians and the Armenians was preserved here. The church didn't survive till the 19th century.

Часовня Христа

Часовня Христа одна из древнейших церквей Тбилиси, о ней сохранились весьма скудные сведения. Из записей грузинских историков выясняется, что первоначально здесь стояла церковь, ставшая жертвой многих нашествий, а после разрушения церкви на этом месте была построена колокольня Христа, в которой хранилась икона Христа Спасителя, одинаково почитаемая как грузинами, так и армянами. В XIX веке церковь прекратила свое существование.

თბილისი, დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Тбилиси, Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Tbilisi. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

წმინდა მარინეს ეკლესია

თბილისის მეტეხის უბანი თავისი ადგილმდებარეობის გამო ერთ-ერთი ყველაზე ადრეული დასახლება იყო ქალაქის ტერიტორიაზე. გადმოცემით, ვახტანგ I-მა გორგასალმა აქ ციხე-სიმაგრე აღმართა, რომელიც, აგრეთვე, მეფის რეზიდენციის ფუნქციასაც ასრულებდა. ამ ისტორიულ უბანში მეტეხის ტაძრის აღმოსავლეთით VII-X საუკუნეებში აშენებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იდგა, რომელიც საეკლესიო გადმოცემის თანახმად, წმინდა მარინეს სახელობაზედ იყო ნაკურთხი. სავარაუდოდ, იგი 1235 წლის მონღოლთა შემოსევას შეეწირა.

ჩვენთვის უცნობია მისი შემდგომი ბედი, მაგრამ მართლმადიდებლებით დასახლებულ უბანში აუცილებლად მოხდებოდა დაზიანებული ეკლესიის აღდგენა. 1795 წელს თბილისს მორიგი უბედურება დაატყდა თავს, ერეკლე II-ს კრწანისში დამარცხების შემდეგ აღა მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო და მთლიანად დაანგრია, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამოჟლიტა, 22 ათასი ადამიანი, მეტწილად ქალები და ბავშვები, ტყვედ წაიყვანა. თბილისი ისევ დაცარიელდა ქართული მოსახლეობისაგან.

XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში ავლაბარში სომეხი მოსახლეობა მრავლდება. ისევე როგორც ბევრი ქართული ეკლესია, წმინდა მარინეს ეკლესიაც სომხების ხელში გადადის და იგი სურბ გევორქის სახელზე აკურთხეს, მას ასევე ძორაბაშის ეკლესიასაც ეძახდნენ. 1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში - "მონასტ-

St Marine Church

The Tbilisi Church of St. Marina is thought to have been erected in the 7th-10th centuries. The city was depopulated during Aga-Mohammed-Khan's incursion. Shortly after, the Armenians were granted entry into the country. They settled densely in Avlabari, the area of the location of the temple. They started the reconstruction of the ravaged Georgian church and consecrated it in commemoration of Surb Gevork. Later, the Communists pulled it down. From 1997 the erection of a new church on its remains started. In 2001 the Patriarch of Georgia consecrated it in commemoration of King David the Prophet.


Церковь св. Марине


Тбилисская церковь св.Марине, предположительно, была построена в VII-X веках. В опустошенный от нашествия ага Махмад хана в 1795 году Тбилиси заходит армянское население, которое компактно заселяется в одном из районов города - Авлабаре. Армянское население начинает восстанавливать разрушенную, разграбленную грузинскую церковь и освящает ее во имя Сурб Геворка. В советское время церковь была разрушена коммунистами. С 1997 года на месте разрушенной церкви начинается строительство нового храма, который в 2001 году Патриарх Грузии освятил во имя св. пророка Давида.

სურბ გევორქის ეკლესიის შესასვლელი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Вход церкви Сурб Геворк. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Surb Gevork Church. Entrance. Photo by D. Ermakov, Early 20th c.

მეტეხის კლდე და წმ.დავით წინასწარმეტყველის ეკლესია. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Метехская скала и церковь св. пророка Давида. Фото И.Микадзе, 2009г.
Metekhi cliff and St. David the Prophet Church. Photo by I.Mikadze, 2009









წმ.დავით წინასწარმეტყველის ეკლესიის სამრეკლო და შესასვლელი.
თ.დოლიძის ფოტო, 2009წ.
Колокольня и вход церкви св. пророка Давида.
Фото Т.Долидзе, 2009г.
The belfry and entrance of St. David the Prophet Church.
Photo by T. Dolidze, 2009

წმ.დავით წინასწარმეტყველის ეკლესიის ინტერიერი.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Интерьер церкви св. пророка Давида.
Фото И.Микадзе, 2009г.
St. David the Prophet Church. Interior.
Photo by I.Mikadze, 2009

წმ.დავით წინასწარმეტყველის ეკლესია სამხრეთიდან.
თ.დოლიძის ფოტო, 2009წ.
Церковь св.пророка Давида, вид с юга.
Фото Т.Долидзе, 2009г.
St. David the Prophet Church. South view.
Photo by T. Dolidze, 2009


რები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „ავლაბრის მარჯუნივ აღმართს ასავალსა თავსა თანა გარდასახედავსა მტკვრისა და ბაღებისასა, პირისპირ მეტეხის ციხის დიდის კარებისა, არს საყდარი მცირე გუმბათიანი წმიდისა გიორგისა სახელსა ზედა, ხით დახურვილი, აღშენებული სურბ ნშანის დეკანოზის ტერ-ოჰანნეს ზარაფოვის სახელსაგან წელსა 1775-სა". უკვე სომხური სურბ გევორქის ეკლესია საბჭოთა პერიოდში დაანგრიეს.

1997 წელს დაიწყო დანგრეული ტაძრის ადგილას ახალი ეკლესიის მშენებლობა. ეკლესიის საძირკველი დეკანოზმა თევდორემ (ამბროლაძე) აკურთხა. 2001 წლის 11 ოქტომბერს ახლად აშენებული ტაძარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა დავით წინასწარმეტყველის სახელზედ აკურთხა.

ტაძარი შვერილაბსიდიანი ცალნავიანი ეკლესიაა, გალერეით მტკვრის მხარეს. წმინდა დავით წინასწარმეტყველის ეკლესია ძეგვის ბუნებრივი ფლეთილი ქვით და ძველი ქართული აგურით აშენდა. ნაგებობის გადახურვა ასევე ძველი ქართული კრამიტით შესრულდა. ეკლესიის სამრეკლო ქუჩის მხარეს დგას და მის ქვეშ გალავნის შესასვლელია მოწყობილი. პროექტის ავტორია არქიტექტორი რევაზ ჯანაშია.

წმინდა მარინეს ეკლესია მდებარეობდა ვ.ჯორბენაძის ქუჩის №1-ში








სეიდის
ღვთისმშობლის ეკლესია

თბილისის აღწერისას ვახუშტი ამბობს: „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განაყოფით: კალას(118) - ტფილისსა, ტფილისს - სეიდაბადს(119), და ისნს(120) - ავლაბარს(121), და გარეთუბანი(122) არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი", „აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს...". XVII საუკუნის 30-იან წლებში როსტომ მეფის მიერ სეიდების ჩამოსახლების გამო თბილისის ტერიტორიაზე სეიდების დასახლება გაჩნდა და უბანსაც სეიდების უბანი, ანუ „სეიდაბადი" დაერქვა. პლატონ იოსელიანი თავის სიძველეთა აღწერაში ვახუშტის ეთანხმება, მაგრამ საკუთარ ვარაუდსაც გვამცნობს: „...ამ დროს კი დასახლებაში – სეიდაბადი ჩაგვესმის სეიდნეი, დამახინჯებული სახელწოდება ძველი სიდონისა(123), თავისი კლდოვანი მიდამოთი და ქრისტიანული განწყობით ანტილიბანონის ძველი ხალხისა ჩვენებური სეიდაბადის გარემოს რომ ჰგავს.



ბერძნებს ძველად აქ სეიდნეის ანუ სეიდის ღმრთისმშობლის ეკლესია ჰქონიათ. ფინიკიის სიდონში სეიდის დედაღვთის მონასტერი ახლაც სახელოვანია. ფრანგი მწერალი მიშო(124) ძველი მწერლების თხზულებებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიას, საიდანაც ვიგებთ, რომ იუსტინიანე იმპერატორმა ამ სეიდის ეკლესიას მის მიერ ოდესღაც დატყვევებული 300 ქართველი მიართვა და რომ ახლანდელი სეიდის ყველა მცხოვრები რიცხვით 30000 სული, მათი ჩამომავლები არიან. ამ დასახლებას იქაც, როგორც აქ სეიდ-აბადი ჰქვია.

სეიდაბადის მთელს მიდამოებში არსებული ეკლესიები ქრისტეს სარწმუნოების მტრებმა ააოხრეს. ბოლო ორი საუკუნე აქ მუსლიმები დამკვიდრნენ, ციხის გარნიზონის დანაშთნი, ნასახლარებზე კი ბაღები გააშენეს, რომელთაც სეიდაბადი ეწოდა...". თუ პლატონ იოსელიანის ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, მაშინ ეს ეკლესია, სავარაუდოდ, ქალაქ სიდონის დაქცევამდე, ე.ი. XII საუკუნემდე უნდა აშენებულიყო.

სამწუხაროდ, სხვა ცნობები სეიდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ბერძნული ეკლესიის შესახებ არ მოგვეპოვება.

Seidi Greek Church of the Most Holy Theotokos

Two different presumptions are accepted about Seidabad, one of the old areas of Tbilisi. Prince Vakhushti writes in his Chronicles that the area is named "Seidabad" in connection with the migration of the Seids and settling them in this region conducted by King Rostom. Platon Ioseliani maintains a totally different opinion that in this part of old Tbilisi was located a temple bearing the name of Seidnei or Seidi Church of the Most Holy Theotokos; hence the name of the area. For two centuries the Muslim conquerors were the inhabitants of this part of the town and, supposedly, the temple was destroyed by them.

Сеидская церковь Пресвятой Богородицы

О названии одного из старейших уголков Тбилиси - Сеидабада существуют две различные версии. По мнению Вахушти Батонишвили, этот район в 30-ые годы XVII века из-за переселения сюда царем Ростомом сеидов был назван «Сеидабадом». Платон Иоселиани высказывает совершенно иную точку зрения, - на территории старого Тбилиси стояла греческая церковь Сеиднейской, т.е. Сеидской Богоматери, от которой этот район и получил свое название. На этой территории в течение двух веков укоренились мусульманские завоеватели, предположительно разрушившие церковь.



თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს.დასაწყისი.
Тбилиси, правая набережная Куры. Фото Д.Ермакова, начало XX в.
Tbilisi. The right bank of the River Mtkvari. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

თბილისი, აბანოთუბანი მ.ქუთათელაძის ფოტო, 2006წ
Тбилиси. Район серных бань – Абанотубани. Фото М.Кутателадзе, 2006г.
Tbilisi. Abanotubani (Sulphur Baths site). Photo by M. Kutateladze, 2006

თაბორის ფერისცვალების ეკლესია

„მაჩისი მდებარეობით თბილისი ტაფობს მოგვაგონებს, რომელიც მთა-გორებით არის შემოფარგლული, თითოეული მთის სახელწოდება წინაქრისტიანულ თუ ქრისტიანულ რელიგიასთან არის დაკავშირებული", - წერს თ.ბერიძე. თბილისს სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა მხარეს ეკვრის თაბორის მთა, რომელიც თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განშტოებაა. მთის - თაბორის(125) სახელი ქართულში ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა. ამ მთაზე მოხდა ქრისტეს ფერისცვალება.

თაბორის ციხე წყაროებში პირველად იხსენიება 1045 წელს, როცა მეფე ბაგრატ IV-მ(126) ქალაქი და ციხე-სიმაგრე დაიკავა "...შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამირაოსა დარბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად. აღიხურა კოშკნი კართანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი თვისნი და ერისთავნი".

1630-იან წლებში მეფე როსტომმა აღადგინა 1618 წელს სპარსეთის შაჰის აბას I-ის შემოსევის დროს დანგრეული თაბორის ციხეც და ეკლესიაც. ამის შემდეგ თაბორი დიდხანს აღარ იხსენიება და გვხვდება 1723 წლის ჩანაწერში. თაბორის ციხე კახეთის მეფემ კონსტანტინე II-მ, მაჰმადიყული-ხანმა დაიკავა "შეეპარნენ თაბორსა ჯარი ქართველთა, აიღეს თაბორი, დაესხა მეფე ვახტანგ, დილასა განთიადისასა კახს ბატონსა, ბრძანებითა ღთისათა გაემარჯვნა".

თუმცა, 1735 და 1743 წლებში თაბორის ციხე სპარსელებმა ისევ დაანგრიეს – "დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი". 1747 წლამდე ქართველებს მხოლოდ თბილისი ეკავათ. მისი ციხეები - მეტეხი, ნარიყალა და თაბორი ყიზილბაშებს(127) ეპყრათ. თაბორი მტერს ისე ძლიერად ჰქონდა გამაგრებული, რომ კახეთის მეფემ ერეკლემ გორიდან დიდი ზარბაზანი ჩამოატანინა. ასე შეძლეს ციხის აღება ქართველებმა. ამის შემდეგ მეფე ერეკლემ სწრაფად შემოავლო თაბორის ციხეს გალავანი და შიგ კახთა ჯარი ჩააყენეს. მაგრამ მოღალატეების დახმარებით აღა მაჰმად-ხანმა ისევ აიღო და დაარბია თბილისი და მასთან ერთად თაბორის ციხეც.

1776 წლის წყალობის სიგელში ვხვდებით თაბორის უცხოენოვან თურქულ სახელს "ყორჩი-ყალა" ანუ მცველი ციხე. რუსი მოხელის მიერ შედგენილ 1800 წლის თბილისის გეგმაზე თაბორის ქედზე დგას "გაძარცული ციხე-სიმაგრე ყორჩი-კალა". ციხე საბოლოოდ დაინგრა 1795 წელს სპარსელებსა



The Mount Tabor Church of the Transfiguration

To repel permanent enemy attacks the Georgians built fortresses on the mountains round Tbilisi. The name of each mountain originates from those connected with Christianity and the religion which had existed prior to it in this land. Mount Tabor blocks Tbilisi from the south. The fortification on its top which defended the city is first mentioned in the annals in 1845. Transfiguration Church which stood in its courtyard was ravaged in the battle between the Georgians and the Iranians in 1795. The foundation of a new church of Cruciform-dome style was laid here in 1995.

Таборская церковь Преображения

Для сдерживания беспрерывных вражеских нашествий грузины вокруг Тбилиси на горах строили крепости. Название каждой горы связано с дохристианской или христианской религией. С юга к Тбилиси примыкает гора Табори (Фавор), на которой была построена городская оборонительная крепость. Таборская крепость впервые упоминается в 1045 году. В крепости стояла и грузинская православная церковь Преображения Господня, которая окончательно была разрушена во время произошедшего между грузинами и персами сражения на подступах к Тбилиси. В 1995 году на Таборской горе началось строительство новой крестово-купольной церкви, фундамент которой в 1996 году на празднике Преображения освятил Католикос Всея Грузии, Святейший и Блаженнейший Илья II.

თაბორის წმ.ფერისცვალების ეკლესია. შ.ლონდარიძის ფოტო, 2010წ.
Таборская церковь св.Преображения. Фото Ш.Лондаридзе, 2010г.
The Mount Tabor Church of the Holy Transfiguration. Photo by Sh.Londaridze, 2010

თაბორის ფერისცვალების მამათა მონასტრის კედლის მხატვრობა. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Стенная живопись Таборского мужского монастыря Преображения. Фото И.Микадзе, 2009г.
The Mount Tabor Monastery of the Holy Transfiguration. Wall painting. Photo by I. Mikadze, 2009





და ქართველებს შორის თბილისის მისადგომებთან გამართული ბრძოლის დროს. 1801 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, თბილისი აღარ საჭიროებდა დამცველ ციხეებს, ამიტომ თაბორის ციხე აღარ აღუდგენიათ. ამჟამად მისგან მხოლოდ ციხის საძირკველის ნაშთებია შემორჩენილი.

სამწუხაროდ, თბილისის თაბორის ციხის ეკლესიაზე მცირეოდენი ცნობებია შემორჩენილი. 1392 წელს შედგენილ საბუთში ვკითხულობთ: "...ტფილისის იქით ლეღვის ხევი ჩამოვარდება თაბორის ეკლესიის ჩამოსწვრივ წყლისპირამდისინ...". იხსენიება ის 1429 წლის საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის გუჯარშიც. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის ქალაქის გეგმაზე თაბორის ქედზე ეკლესიაა აღნიშნული.

ფერისცვალების ეკლესიის შესახებ პლატონ იოსელიანი წერდა: „ციხე თაბორისა ანუ ყორჩი-ყალა ტფილისის სამხრეთით არსებულა და იცავდა ქალაქის სამხრეთ ანუ განჯის კარს. დიდების დროსა იგი ქვის კედლებით იყო შემორაგული, მის ბრტყელ მწვერვალზე კი უფლის ფერისცვალების ეკლესია იყო აშენებული. ერთიცა და მეორეც 1618 წელს შაჰ აბას დიდმა ააოხრა. როსტომ მეფის აღდგენილი, ის ნადირ შაჰმა დაანგრია, რომელიც ტფილისს 1735 წელს დაეუფლა. 1743 წელს ეს ეკლესია, მისივე ბრძანებით კვლავ ააშენეს. 1759 წელს მეფე ერეკლემ განდევნა იქიდან მასში გამაგრებული აბდულა-ბეგი(128) და იქვე დიდი ზომის ზარბაზნები დააყენა. აღა მაჰმად ხანმა ეს სიმაგრეც ააოხრა და დაშლილი ეკლესიის ნაშთებიც. ამ ცხოველხატულ მთაზე შენობების არსებობის რაიმე კვალიც არ ჩანს. ასე უჩინარდება თვით ნანგრევებიც! ".

1898 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში" ვკითხულობთ, რომ „...თაბორის მთის ბრტყელ წვერზე, საიდანაც შეიძლება თითქმის მთელი თბილისის დანახვა, იდგა უფლის ფერისცვალების ტაძარი, რომელიც დაანგრია შაჰ აბასმა 1618 წელს, დანგრეული ეკლესიის ნანგრევებიც გაქრა 1795 წელს, აღამაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ. თბილისის ფერისცვალების ტაძარი მეტეხის ტაძარზე იყო მიწერილი."

თაბორის ეკლესიაზე ლაპარაკობს მოსე ჯანაშვილიც: „ტაძარი სახელსა ზედა ყველა ურვეულთა ნუგეშისცემისა თაბორის მთას, ქრისტეს ცხოვრებაში მას თავისი ადგილი უკავია. მთას ფერისცვალების ეკლესიის აშენების შემდეგ შეერქვა თაბორი".

1995 წელს საპატრიარქოს დაკვეთით თაბორის მთაზე დაიწყო ახალი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის მშენებლობა. ახალი, "ნახევრად თავისუფალი ჯვრის" გეგმის მქონე ტაძრის საძირკველი 1996 წელს ფერისცვალების დღესასწაულზე 19 აგვისტოს აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. თაბორის მთაზე ახალი ფერისცვალების მამათა მონასტრის მშენებლობა 2001 წელს დამთავრდა.

თაბორის ფერისცვალების მამათა მონასტრის კედლის მხატვრობა ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Стенная живопись Таборского мужского монастыря Преображения. Фото И.Микадзе, 2009г.
The Mount Tabor Monastery of the Holy Transfiguration. Wall painting. Photo by I. Mikadze, 2009

თბილისი, აბანოთუბანი, თაბორის მთა. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2006წ
Район серных бань Тбилиси – Абанотубани, гора Табори. Фото М.Кутателадзе, 2006г.
Tbilisi. Abanotubani (Sulphur Baths site) and Mount Tabor. Photo by M. Kutateladze, 2006

თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. ი.კაიას ფოტო, 2009წ
Тбилиси, правая набережная Куры. Фото Ю.Каиа, 2009г.
Tbilisi. The right bank of the River Mtkvari. Photo by Y. Kaya, 2009



ლერჩი მონასტერი

გადმოცემით, სოფელ ვერის მამათა მონასტერი VII საუკუნეში დაარსდა. „თუ შემორჩენილი ძველი ნაშთებით ვიმსჯელებთ, გაუქმებული მამათა მონასტერი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ლურჯ მონასტერს" ეძახის, იკავებდა უზარმაზარ ტერიტორიას, რომელზედაც ეხლა ყორღანოვის ორი ქუჩა გაშენდა,"– ვკითხულობთ 1896 წლის „საქართველოს საეკლესიო სასულიერო მოამბეში".

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის დღევანდელი შენობა აგებულია XII საუკუნის ბოლოს ძველი ეკლესიის ადგილზე. გუმბათის ლურჯი შორენკეცით მოპირკეთების გამო მისთვის "ლურჯი მონასტერი" შეურქმევიათ. ტაძრის სამხრეთ კედელში დატანებულ კარის ტიმპანზე არსებულმა ცხრასტრიქონიანმა წარწერამ შემოგვინახა აღმშენებელის ვინაობა. ის ქართლის ყოფილი მთავარეპისკოპოსის ბასილის „ნაცვალსაგებლად" თავისთვის, თავის „საყუარლისა ძმისა" ერისთავთ-ერისთავის, ქართლის ამირთა-ამირის აბულასანისათვის(129) საგვარეულო „საძვლედ" აუგია: "ვაშენე (ტაძარი) ნაცვალსაგებელად ჩემთვის და საყვარლისა ძმისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირასა, რუისთვისა და შვიდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათვის". VII საუკუნეში დაარსებული მამათა მონასტერი XVI საუკუნეში სპარსელების შემოსევას შეეწირა. ამ პერიოდის შემდეგ მონასტერი აღარ აღდგენილა.

ეკლესია XVII საუკუნეში აგურით აღადგინეს. 1745 წელს ვახუშტი მას მოიხსენიებს როგორც წმინდა გიორგის მონასტერს და აღნიშნავს, რომ მასში „მხოლოდ ერთი მღვდელიღაა". ვახუშტი ამ ეკლესიას „ლურჯ მონასტერს" უწოდებს.

დანგრეული ეკლესია კვლავ აღადგინეს, ეკლესიის შენობას ნაწილობრივ შეუნარჩუნეს ძველი თლილპერანგიანი კედლები, საკურთხევლის შვერილი აფსიდი, აქა–იქ მოჩუქურთმებული ქვები, შიგნით – ორი ბურჯი, მაგრამ გუმბათი აღარ ამოუყვანიათ და ეკლესია სამნავიანი ბაზილიკის რიგზე გადახურეს. შენობის ავარიულობის გამო ღვთისმსახურება მალევე შეწყდა. XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ ეკლესიის შენობა დენთის და იარაღის საწყობად აქცია. ვერის სასაფლაოს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელმა გრიგოლ ჭრელაშვილმა ინჟინერ ბიხოლდის დახმარებით შეადგინა ეკლესიის აღდგენის გეგმა. მან თხოვნით მიმართა კავკასიის არმიის მთავარ შტაბს დაეცალათ ეკლესიის შენობა. არმიის ხელმძღვანელობამ სასაწყობო შენობის არქონის გამო უარით უპასუხა. 1867 წლის თბილისის გეგმაზე ეკლესია №136-ით აღნიშნულია ისევ როგორც „საარტილერიო მასალების საწყობი". მხოლოდ 1871 წელს მოხერხდა შენობის გათავისუფლება და იგი გადაეცა სასულიერო უწყებას. 1872 წელს დაამტკიცეს ეკლესიის შენობის აღდგენის გეგმა. 1873 წლის 25 ნოემბერს არქიტექტორ ალექსანდრე ჩიჟოვის(130) პროექტით აღდგენილი ეკლესია საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ აკურთხა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელზე.

რუსულმა საეკლესიო ხელისუფლებამ ტაძრის რესტავრაცია მისი სტილისტური და სამშენებლო თავისებურებების გათვალისწინების გარეშე ჩაატარა. მას ხელმეორედ დააშენეს ქართული არქიტექტურის ტრადიციებისათვის სრულიად უცხო ფორმისა და პროპორციების გუმბათი.

1878 წლის 5 მაისის გაზეთი "დროება" ვერის მონასტერზე წერს: "თფილისის მარცხენა მხარეს, ვერის ხევთან მტკვრის ზემოდამ, ერთს ტრიალსა და პატარა მინდორზე სდგას ერთი დიახ–მშვენიერი ძველი ქართული ეკლესია, რომლის აშენებაზედ როგორც საქართველოს სამოქალაქო, აგრეთვე სასუ-

Blue Monastery or St. Andrew the First-Called Church

St. Andrew the First-Called Church was erected late in the 12th century on the site of an old one which hed been built in the 7th century. After Georgia's annexation by Russia, from the beginning of the 19th century the church was used as a gunpowder depot. In 1873, Russian religious authorities restored the temple. They constructed a new dome upon its roof and started conducting Divine Services in the same year. In the last decades of the Communist rule, before the restoration of the Services, first a sawmill, and later, a museum of Georgian medicine were housed in it. At the end of the 20th century a cone-shaped cupola was constructed upon it. In the 1990s the Divine Services were restored again.

Синий (Лурджи) монастырь, церковь св. Андрея Первозванного

Грузинская православная церковь св. Андрея Первозванного возведена в конце XII века на месте старой церкви, которая, по преданию, была основана в VII веке. После присоединения к России, с начала XIX века церковь использовалась для склада пороха. В 1873 году российские церковные власти реставрировали ее, заново надстроили купол. В этом же году в церкви восстановилось богослужение. В последние десятилетия советского периода, до восстановления богослужения здесь были размещены лесопильня, а затем музей грузинской медицины. В конце XX века храм перекрыли конусным куполом. В 1990 –ые годы в церкви вновь было восстановлено богослужение.

წმ ანდრია პირველწოდებულის და წმ იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიები. XXს II ნახევრის ფოტო.

Церковь св.Андрея Первозванного и церковь св.Иоанна Богослова. Фото II половины XXв.

St. Andrew the First Called Church and St. John the Theologian Church. Photo - second half of 20th c.





წმ.ანდრია პირველწოდებულის ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი
Церковь св. Андрея Первозванного, вид с юго-запада. Фото Д.Ермакова, начало XXв.
St. Andrew the First-Called Church. South-west view. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

წმ.ანდრია პირველწოდებულის ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Церковь св.Андрея Первозванного, вид с юго-запада. Фото И.Микадзе,2009г.
St. Andrew the First-Called Church. South-west view. Photo by I. Mikadze, 2009.

ლიერო ისტორია არაფერს მოგვითხრობს. ვახუშტი კი მოიხსენიებს თავის გეოგრაფიაში, რომ ვერის აქედამ არის ერთი წმინდა გიორგის მონასტერი და სცხოვრობს ერთი ღვდელიო. როგორც გადმომცეს ვერელებმა, აქამდისინ ამ ეკლესიაში მართებლობის განკარგულებით თოფის წამალი ინახებოდაო, და ახლა დაცალეს და სამლოცველოთ გადააკეთეს და რუსულით წირვა-ლოცვა დგებაო. თითონ ეკლესია იქნება სიგრძით ათი საჟენი; ქვითკირის დიდრონი კედლებია ატანილი ჭერამდინ; ძირსაც ჯერაც ისევ ძველებური მშვენიერი დიდრონი ქართული (ჩინურის აგურით არის დაგებული; საკურთხეველი ვიზანტიურ სახეზეა გაკეთებული. ეს საკურთხეველი არის შეზავებული ფერად-ფერად წამლებითა და წარწერები მარჯვენს მხარეს კარებთან შესავალში ...ამ წარწერის ქვეით ეკკლესიის კარების გადიდების გულისთვის ერთი არშინი ჩამოუქცევიათ ქვა და წარწერებიც, რასაკვირველია, დაკარგულა; იმ ქვაზე ქრონიკონი უნდა ყოფილიყოს.

მაგრამ უამისოდაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ეკკლესია მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს არის აშენებული. საქართველოს სასულიერო ისტორიული წერილებიც მოგვითხრობენ, რომ ბასილი ქართლის მთავარ-ეპისკოპოზი მეთერთმეტე საუკუნეში სცხოვრობდა და ებარა "შვიდთა მთეულთაო." ამავე მთავარ-ეპისკოპოზის ძმას "ქართლის ცხოვრებაც" იხსენიებს, რომ ერთი რაღაც მტერზედ ატეხილი და მამულისთვის თავ-გადადებული კაცი იყოვო და თავის სიქველით და სიმხნით ქართლის მეფესაც ძალიან უყვარდაო.

ვახუშტიც ხომ იძახის, მტკვრის ზემოდამ არის ერთი ლურჯი მონასტერი და სცხოვრობს ერთი ღვდელიო, სახელათ ეწოდება ამ მონასტერს წმინდა

მოციქული ანდრიასიო, ეს ღვდელი უნდა იყოს ზაქარია გაბაშვილი – თფილისის სიონის დეკანოზი, რომელმაც და მასთან კიდევ ორმა სხვებმა, ერთმა ზენონ მთავარ–ეპისკოპოზმა და არხი–ეპიზკოპოზმა ნინო–წმიდელმა მაშინ რუსეთის სინოდში იჩივლეს, რომ ანტონ კათალიკოზი ისეთ წიგნებსა სთარგმნის ლათინურიდამ და უკანასკნელს დროსაც სთარგმნა ერთი წიგნი, რომელიც არღვევს მართლ–მადიდებელთ ეკკლესიის წესსა და შემოაქვს კათოლიკე ეკკლესიის რიტებიო და თითქმის მთელი სამღვდელოება მიიმხრო ფრანგების მისიონერების შემწეობით და იმას ქადაგობენ, რომ ეგება ქართველები გავაფრანგოთო. ეს მოხდა 1751 წელსა და იქნება ორი ან სამი წლით ან ადრე ან უკან. მინამდისინ ეს სამი სასულიერო პირნი რუსეთის სინოდიდამ აშტარხნის არხიმანდრიტის ხელმძღვანელობით პასუხს მიიღებდნენ, მინამდისინ ესენი ანტონ კათოლიკოზის ბრძანებით იქნენ განდევნილნი თფილისიდამ: ნინო–წმინდელი მეტეხის უდაბნოში, ზენონ მთავარეპისკოპოზი დავით–გარეჯის მონასტერში და დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი თფილისის მახლობლიე წმინდა ანდრია მოციქულის მონასტერში, სადაც შემდეგ გარდაიცვალა კიდეც და აქავ დასაფლავებულია. ჩვენის ფიქრით, ზაქარია გაბაშვილის შემდეგ ან რუსებისა შეერთების დროს გაოხრებულა ეს ეკლესია.

დასავლეთ მხარეს კედელში ერთი მარმარილოს ქვა ყოფილა, სადაც ქართულად წერილა, რომ ეს ეკლესია ამა–და–ამ საუკუნეში ამა–და–ამ მართველთა მეფობის დროს აშენდაო. შარშან, გადაკეთების დროს ეს ქვა გამოუღიათ, ქართულად ნაწერი წაუშლიათ და რუსულად დაუაღნიშნულიათ, ევსევი ეგზარხის ბრძანებით, რომ ეს ეკლესია განახლდა საქართველოს ღირსი ევსევი ეგზარხოზის დროსაო და სიონის დეკანოზის ბასხაროვის დროსაო!"

XIXს-ის დასასრულის და XXს-ის დასაწყისის თბილისის გეგმებზე აღნიშნულია როგორც წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია. პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას ლურჯ მონასტერს დანგრეული ეკლესიე-



წმ.ანდრია პირველწოდებულის ეკლესია და სამრეკლო.
ღია ბარათი, XX ს. დასაწყისი.
Церковь св.Андрея Первозванного и колокольня.
Открытка, начало XXв.
St. Andrew the First-Called Church and its belfry.
Postcard. Early 20th c.

წმ.ანდრია პირველწოდებულის ეკლესია და ვერის ხიდი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XX ს. დასაწყისი.
Церковь св.Андрея Первозванного и Верийский мост.
Фото Д.Ермакова, начало XXв.
St. Andrew the First-Called Church and Vera Bridge.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.





წმ.ანდრია პირველწოდებულის ეკლესია და ვერის ხიდი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Церковь св.Андрея Первозванного и Верийский мост. Фото Д.Ермакова, начало XXв.
St. Andrew the First-Called Church and Vera Bridge. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

წმ.ანდრია პირველწოდებულის ეკლესია სამხრეთ–დასავლეთიდან.
Церковь св.Андрея Первозванного, вид с юго-запада.
St. Andrew the First-Called Church. South-west view.

ტაძრის ტერიტორია


ბის ჩამონათვალში მოიხსენიებს. იგი ასევე აღნიშნავს, რომ რუსული ხელისუფლების მიერ აღდგენილ ტაძარში მოაწყვეს საარტილერიო მასალების საწყობი.

გიორგი XII-ის დროს თბილისში შავი ჭირი გაჩნდა. მეფის ბრძანებით სასწრაფოდ გაიხსნა საავადმყოფო ქალაქის "მყუდრო და დაცულ ადგილას" – ლურჯი მონასტრის ეზოში. ამ ფაქტის გათვალისწინებით საბჭოთა პერიოდში კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით ლურჯ მონასტერში გაიხსნა ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი.

XX საუკუნის ბოლო წლებში ტაძარს კონუსური გუმბათი დაადგეს, მოეწყო და შემოირაგა ეზო. 1990-იან წლებში ეკლესიაში კვლავ აღდგა წირვა–ლოცვა. ლურჯი მონასტერი "ჩახაზული ჯვრის" ტიპის ეკლესიაა, ნახევარწრიულად შვერილი საკურთხევლის აფსიდით აღმოსავლეთიდან. შესასვლელები ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს.

XII საუკუნის ნაგებობიდან შემორჩენილია თლილი ქვით მოპირკეთებული აფსიდი, მის სარკმელებს მდიდრულად მოჩუქურთმებული აქვს ფართო საპირეები, დასავლეთი და სამხრეთი ფასადების ქვედა ნაწილი. სამხრეთი კარის ჩუქურთმიან ტიმპანში არის ვრცელი ასომთავრული სამშენებლო წარწერა, რომლის შუაშიც ჯვარია გამოსახული. XVII საუკუნის დროინდელია აგურით ამოყვანილი შეისრული თაღები და კამარები, აგრეთვე კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი. გუმბათის ყელი და კედლების ზედა ნაწილები კბილანებიანი კარნიზებით 1873 წელს არის გაკეთებული.

წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებულის ეკლესია მდებარეობს ვერაზე(131), ლეო ქიაჩელის ქუჩის №25-ში.





დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია

გადმოცემის თანახმად, იმ ადგილას, სადაც ახლა დიდუბის(132) ღვთისმშობლის შობის ეკლესიაა აღმართული, კეთილმსახური მწყემსი ფარას აძოვებდა. მას დაესიზმრა ანგელოზი, რომელმაც აუწყა ადგილი, სადაც ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი იყო დასვენებული, და უთხრა, მიდი თაყვანი ეცი და სასწაულს გაჩვენებსო. მეორე დღეს მწყემსმა თანასოფლელებთან ერთად ბრმა წაიყვანა. ღვთისმშობლის დიდებულმა ხატმა მართლაც მოახდინა სასწაული - ბრმას თვალები აეხილა. ეს ორშაბათ დღეს მომხდარა. ამ ადგილას მაშინვე აღუმართავთ ნიში სასწაულმოქმედი ხატისათვის, მოგვიანებით კი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი აუგიათ. XII საუკუნეში თამარ მეფისა და დავით სოსლანის(133) ქორწინებასთან დაკავშირებით ქართულ მატიანეში თბილისის შემოგარენში ჩნდება ადგილი სახელწოდებით "დიდუბე" „... და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა და ტფილისისასა, და მუნ ქმნეს ქორწილი...".

დეკანოზი დ.ღამბაშიძე წერს: „...დიდუბის ეკლესია აგებული იყო აგურით ღვთისმშობლის სახელობაზედ. მოთხრობა არის, რომ თამარის დედა დედოფალი ბერდუხანი(134) მძიმედ შეიქნა, გიორგი მეფემ(135) აღთქმა მისცა ღმერთს, დიდუბეში ეკკლესია აეშენებია, თუ დედოფალი მშვიდობით მორჩა და აი გიორგი მეფემ ამ ადგილას ააგო სასახლე და ეკკლესია". აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიდუბის ეკლესია სასახლის კარის ეკლესია იყო, რომელშიც 1189 წელს დაიწერა ჯვარი თამარ მეფემ დავით სოსლანზე.

დიდუბის ღმრთისმშობლის ეკლესია 1760-იან წლებში ლეკების შემოსევის დროს დაზიანდა. პლატონ იოსელიანი წერს: "...ლეკების შემოსევების გამო სოფელი დაცარიელებულია, მოსახლეობა გადასახლდა კუკიაზე". ეკლესია მალევე იქნა აღდგენილი. 1795 წელს აღა მაჰმად ხანის ლაშქარმა ისევ დაანგრია დიდუბის ეკლესია. მას XIX საუკუნემდე ნანგრევების სახით მოუღწევია. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დიდუბის მამულებს დაეპატრონა ხაზინა. 1827 წელს მამულის ნაწილი გადაეცა თავად ამატუნს, ნაცვლად კუკიაში ჩამორთმეული მამულისა, რომელზედაც მთავრობამ გადმოასახლა უკანასკნელი დიდუბელები.

ეკლესიის აღდგენა დაიწყო სოფელ დიდუბის თბილისთან შემოერთების შემდეგ - XIX საუკუნის 50-იან წლებში. 1872 წელს ექზარქოსმა ევსევიმ მღვდელ პეტრე იმნაძეს და მღვდელ ბესარიონ ზედგენიძეს ნება დართო დიდუბის ეკლესიის განსაახლებლად. მოსე ჯანაშვილი წერს „...ეკლესია, ის შესანიშნავი დიდუბის ეკლესია, რომელშიაც... მეფე თამარმა ჯვარი დაიწერა... ეხლა სამწუხარო მდგომარეობაშია: რამდენიმე წელიწადია ამის განახლება დაიწყეს, მაგრამ ეხლაც სანახევროდ გაუთავებელი უდგათ".

მშენებლობა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიისა, რომელიც აგებულია რუსული არქიტექტურის ზოგადი მახასიათებელი ნიშნებით, 1874 წელს დაიწყო არქიტექტორ ა.ჩიჟოვის პროექტით, დეკანოზ ბესარიონ ზედგენიძისა(136) და პეტრე იმნაძის(137) ძალისხმევით. ცნობილი ქველმოქმედისა და კომერსანტის გიორგი ქართველიშვილის შემომწირველობით 1884 წელს ტაძარი მათ მიერ იქნა აღდგენილი. განახლებული დიდუბის ტაძრის პირველ მნათედ გამწესებულ იქნა გიორგი ქართველიშვილი, რომელიც ამ მოვალეობას 1901 წლამდე, გარდაცვალებამდე ასრულებდა. იგი დასაფლავებულია იქვე, დიდუბის ეკლესიაში.

საეგზარქოსომ დეკანოზ ბესარიონს შესთავაზა ხუთგუმბათიანი, რუსული

The Didube Church of the Nativity of the Most Holy Theotokos

It is presumed that King Giorgi III of Georgia built a temple with a royal palace on the site of the present church in the 12th century. The temple was badly damaged during the Lezgin's raids of the 1760s. In 1795 Aga-Mohammed-khan destroyed it more. Towards the 19th century the temple was only seen in ruins. In the mid-19th century the restoration of the church started again. The Didube Church of the Nativity of the Most Holy Theotokos bears the ordinary characteristic features of the Russian Architecture. It was consecrated in 1884. A wonderworking icon of the Most Holy Theotokos is the greatest of sanctity in the church. A pantheon of outstanding Georgian writers and statesmen is adjoining its courtyard wall.

Дубийская церковь Рождества Богородицы

Предположительно, церковь вместе с дворцом была построена царем Грузии Георгием III в конце XII века. Церковь во время набегов лезгинов в 1760 году была сильно повреждена. В 1795 году войско ага Махмад хана вновь разрушило её. До XIX века она дошла до нас в виде развалин. Восстановление церкви началось в 50-ые годы XIX века. Дидубийская церковь Рождества Богородицы, построенная по характерным признакам общерусской архитектуры, была освящена в 1884 году. Величайшей святыней храма является Чудотворная Икона Богоматери. На территории, примыкающей к Дидубийской церкви Рождества Богородицы, находится Дидубийский пантеон писателей и общественных деятелей.

დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს.დასასრული.

Дидубийская церковь Богоматери. Фото Д.Ермакова, конец XIXв.

The Didube Church of the Most Holy Theotokos. Photo by D. Ermakov. End of 19th c.





ყაიდის ტაძრის პროექტი. ბევრი მცდელობის შემდეგ დეკანოზმა ბესარიონმა ისღა მოახერხა, რომ მასში ცალკეული ქართული დეტალებიც შეეტანა. 1884 წელს ეკლესია ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სახით (ხის გუმბათით) აკურთხეს თანახმად უძველესი ქართული სამშენებლო წესისა, რომელიც ითვალისწინებდა გუმბათის დაშენებას 7 წლის შემდეგ. ტაძარს გუმბათი 1889 წელს დაედგა.

კალისტრატე ცინცაძე დიდუბის ეკლესიის შესახებ წერს: "1890 წელს გაიხსნა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, სპეციალურად სკოლისათვის იმ წელშივე აგებულ შენობაში. სკოლა თავიდანვე ინახებოდა ეკლესიის ხარჯით: მას არა აკლდა რა, ყოველგვარი ხელსაწყოთი სავსე იყო... 1903წ. გაიხსნა მეორე ერთ კლასიანი სკოლა: ერთში სწავლობდნენ ქართველები და ადგილობრივი სომხები, მეორეში–რუსები (მართლმადიდებელნი, მალაკნები, სუბოტნიკები), პოლონელები, გერმანელები და ისეთი სომეხ–აისორები, რომელთაც არ იცოდნენ ქართული).

1894 წელს დაეგო ტომეტის იატაკი და 90 საჟენის სიგრძეზე რკინის ხლართიანი ზღუდე. 1897წ. დაიდგა ახალი კანკელი და ტაძრის კედლები შეიღება ზეთის საღებავით. 1900წ. სამკვეთლოს მიშენდა დერეფანი, აშენდა ღამის სათევად მოსულ მლოცველთათვის ოთახები და მსახურთათვის ბინები... იმავ წელში ა.ნ.თაიროვმა ააშენა (და გადასცა სარგებლობისათვის ეკლესიას) სამლოცველო. ამ სამლოცველოს აშენება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ორშაბათობით დიდძალი წესები იყრიდა თავს: პარაკლისები, პანაშვიდები, ანდერძის აგება, ნათლობები და სხვა. ამის გამო ხდებოდა ხოლმე ხშირად, რომ ერთი მღვდელი პარაკლისს იხდიდა ღვთისმშობლის ხატის წინ, მეორე კი შედარებით პატარა ტაძარში ანდერძს უგებდა მიცვალებულს ან ბავშვს ნათლავდა, რაც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა მლოცველებზე. 1897წ. გარდაიცვალა შეძლებული კომერსანტის ა.ნ.თაიროვის ქალი მარიამი, რომელიც დაასაფლავეს დიდუბის გალავანში. მშობლებმა მოისურვეს ძვირფასი ძეგლის დადგმა თავისი მიცვალებულის საფლავზე, თანაც ითხოვეს, მისცე-

მოდათ მათ სამი საფლავის ადგილი. წინამძღვარმა წინადადება მისცა მათ აეშენებინათ სამლოცველო (ძეგლის მაგიერ) და მის ქვეშ დაემზადებინათ თავიანთვის აკლდამები. თაიროვებმაც სიამოვნებით მიიღეს წინადადება, ააშენეს სამლოცველო, მორთეს იგი ძვირფასი სამკაულით (ხატები დაახატვინეს აკად.მაკოვსკის) და გადასცეს ეკლესიას. სამლოცველო აკურთხა 1900 წლის დეკემბრში ყოვლადსამღვდელოებამ კირიონმა".

დიდუბის ტაძრის ფრესკები შესრულებულია 1978 წელს მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძის(138) მიერ. ტაძარში თანამედროვე ეპოქისა და გასულ საუკუნეში დაწერილი ხატებია, რომელთაგან აღსანიშნავია კანკელის მაცხოვრის ხატი, წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მიერ დაწერილი წმინდა თამარ მეფის ხატი.

ტაძრის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს ღვთისმშობლის შობის სასწაულმოქმედი ხატი. დიდუბელების კუკიაში გადმოსახლების დროს – "მღვდელმა პეტრე იმნაძემ, გადმოყვანილმა დიდუბიდან, თან წამოასვენა ღვთისმშობლის ხატი– დიდუბელების სიწმიდე ...დიდუბელები კავშირს არ სწყვეტდნენ თავის სალოცავის ნანგრევებთან: აქ ისინი ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალებულებს", – წერს კალისტრატე ცინცაძე. ხსენებულმა მოძღვრებმა დიდუბეშივე დააბრუნეს იქიდან წამოსვენებული ადგილობრივი სიწმინდე–ღვთისმშობლის ხატი, საეკლესიო ტრადიციით დიდუბის ეკლესიის მთავარი ღვთისმშობლის ხატი თამარის მიერ არის შეწირული. კალისტრატე ცინცაძე წერს: „დიდუბის ეკლესიის უმთავრეს განძსა და სიწმინდეს წარმოადგენს ტაძრის ხატი ღვთისმშობლისა ჩვილედით, რომელიც, გადმოცემით, ეკუთვნის თამარ მეფის ეპოქას და რომელიც, რაღაც გაუგებრობით, ითვლება ივერიის ხატის პირად. ხატი, რომ არ არის ივერიის ხატის პირი, ეს ცხადია: დიდუბის ხატის ღვთისმშობელს ხელთ უპყრია სკიპტრა, რის მსგავსებაც კი არ მოეპოვება ივერიის ღვთისმშობელს. ვფიქრობთ, საქართველოს პირველ მეფე ქალს დიდებულებმა მიართვეს ჩვენი ქვეყნის მფარველი "დედოფლის" ხატი თვითმპყრობელობის სიმბოლოთი – სკიპტრით ხელში... შესაძლოა ეს მომხდარიყოს ან გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, ან ყუთლუ–არსლანის განდგომის ჩაქრობის შემდეგ. ეჭვს გარეშეა, რომ ხატი იქნებოდა შემკული ძვირფასი სამოსელით და პატიოსანი თვლებით, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნემდე ამ სამკაულს არ მოუღწევია ...დღევანდელი პერანგი და გვირგვინები გაკეთებულია 1890-1900 წლებში პ.ლამაკინის, ო.იგორჩინისა და თულაშვილების გულმოდგინეობით და საფასით".

კალისტრატე ცინცაძე ასევე აღწერს ერთ ძალიან მნიშვნელოვან ხატს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული ეკლესიის ისტორიაში. "...ხატი წმინდა გიორგისა და თამარისა ...დახატულია ფიცარზედ და შემოსილია ემალებით შემკობილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის მაღალის ხელოვნების პერანგით... 1898წ. გარდაიცვალა ტაძრის განახლების მხურვალე მონაწილის გიორგი ქართველიშვილის მეუღლე თამარი, რომელიც დასაფლავებულია ტაძარში. გიორგიმ მოინდომა ძეგლის ნაცვლად ხატის მოთავსება საფლავის მახლობელ კედელზე. შევუკვეთეთ ოვჩინიკოვის ცნობილ ფირმას დაემზადებინა შემდეგი სახის ხატი: ზემოთ დიდუბის ღვთისმშობელი, ქვემოთ მისდა მიმართ ვედრებით მდგომარენი გიორგი და თამარი, როგორც საბინინის "საქართველოს დიდებაშია". ხატი აკურთხა 1901წ. ფლაბიანე ეგზარქოსმა,



დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია
დ.ერმაკოვის ფოტო, 1880–იანი წლები
Дидубийская церковь Богоматери.
Фото Д.Ермакова, 1880-ые годы.
The Didube Church of the Most Holy Theotokos.
Photo D. Ermakov, The 1880s

დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Дидубийская церковь Богоматери.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
The Didube Church of the Most Holy Theotokos.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

გიორგი ქართველიშვილი. XIXს. დასასრულის ფოტო.
Георгий Картвелишвили. Фото конца XIXв.
Giorgi Kartvelisvili. Photo of the end of 19th c.

დიდუბის ეკლესიის ღვთისმშობლის შობის ხატი.
Икона Рождества Богородицы Дидубийской церкви.
The icon of the Nativity of the Most Holy Theotokos in the Didube Church.







რის შესახებ მოთავსებული იყო იმავ თვის 12 "კავკაზში" №240 შესაფერისი წერილი. ამ წერილმა ერთგვარი გავლენა იქონია რუსეთის უწმინდესის სინოდის მიერ თამარის წმინდანთა სიაში შეტანაზე: 1903 წელში ალექსი ექსარხოსმა, უწმინდესის სინოდის განკარგულების თანახმად, დანიშნა კომისია ...რომელთაც უნდა გამოემუშავებინათ ქართველ წმინდანთა სია (პალადი ეგზარქოსის (1887-1892) დროიდან ქართველ წმინდანებს აღარ სცნობდნენ წმიდანებად და მათი სახელების დარქმევა ბავშვებისათვის აკრძალული იყო კანტორის ბრძანებით)".


დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია უკავია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონს(139).

თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს ა.წერეთლის გამზირის №44-ში.

დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Дидубийская церковь Богоматери. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
The Didube Church of the Most Holy Theotokos. Photo by D. Ermakov. End of 19th c

ილია II წმ.თამარ მეფის ფრესკის მოხატვის დროს. 1978წ.
Илья II во время росписи фрески царицы Тамар
Ilia II paints Queen Tamar's fresco, 1978

დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Дидубийская церковь Богоматери. Фото И.Микадзе, 2009г.
The Didube Church of the Most Holy Theotokos. Photo by I. MIkadze, 2009.







წმინდა ეკატერინეს ეკლესია

ბერძნების მასობრივი შემოსვლა საქართველოში 1461 წლიდან ხდება, როდესაც დაეცა კონსტანტინოპოლი. ბერძნებმა თან მოიტანეს თავისი ტრადიციები, ლეგენდები, წეს-ჩვეულებები და კულტურა. ისინი, როგორც თბილისის მოსახლეობის ნაწილი, XVII-XVIII საუკუნეებიდან საკმაოდ მომრავლებული იყვნენ. ამაზე მიგვითითებს თბილისში ბერძნებით დასახლებული ტერიტორია „ბერძენხანა" და, პლატონ იოსელიანის თქმით, შვიდი ბერძნული ეკლესია.

„ბერძენხანა" მდებარეობდა თბილისის ქვემო უბნის ტერიტორიაზე, რომელიც ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან თათრის (დღევ. ვახტანგ გორგასლის) მოედანი, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შეითან-ბაზარი (ვახტანგ გორგასლისა და აბანოს ქუჩები), დასავლეთიდან სამღებროს ქუჩა.

ამ უბანში იდგა წმინდა ეკატერინეს ეკლესია და ბერძენთა არქიმანდრიტის სასახლე. წმინდა ეკატერინეს ეკლესიის აშენების სხვადასხვა თარიღი სახელდება. პლატონ იოსელიანი ეკლესიის აგებას მიაწერს დავით აღმაშენებელს, რომელმაც იერუსალიმში, სიონის მთაზე ააშენა წმინდა ეკატერინეს ეკლესია, რომელსაც თვითონ ინახავდა. იერუსალიმში ეკლესია მოამარაგა წიგნებით, დააყენა ეპისკოპოსი და ამ ეკლესიის მეტოქად მანვე თბილისში, ბერძენხანაში ააშენა იგივე წმინდანის სახელზე ეკლესია. ამის შესახებ წერდა გეოგრაფი კუვერი 1595 წელს.

ძველი ეკლესია დაუნგრევია თემურლენგს, 1430 წელს აღუდგენია საქართველოს მეფეს ალექსანდრე I-ს. სპარსელებმა ისევ დაანგრიეს ეკლესია და მისი შემოგარენი. თუმცა, ბერძნებმა მალევე ააშენეს პატარა ზომის ეკლესია. 1861 წელს აღდგენილი პატარა ეკლესია დაანგრიეს, რადგან იგი მრევლს ვეღარ იტევდა, და მის ადგილზე აშენდა დიდი ეკლესია, რომელიც ხელახლა აკურთხეს.



თბილისი. მეიდანი და წმ ეკატერინეს ეკლესია
დ.ერმაკოვის ფოტო, 1905წ.
Тбилиси. Мейдан и церковь св.Екатерины.
Фото Д.Ермакова, 1905г.
Tbilisi. Meidan (square) and St. Catherine Church.
Photo by D. Ermakov, 1905.

თბილისი. მეიდანი და წმ ეკატერინეს ეკლესია
XXს დასაწყისი
Тбилиси. Мейдан и церковь св.Екатерины.
Фото Начало XXв.
Tbilisi. Meidan (square) and St. Catherine Church.
Eerly 20th c

St. Catherine Greek Church

A mass migration of the Greeks to Georgia starts from 1461. 'Berdzentkhana' is the name of the area in Tbilisi populated by them. St. Catherine Church and the palace of the Greek Archimandrite were located here. Different dates are given as the time of the erection of the temple. The old church was ravaged by Tamerlane which later, in 1430, was reconstructed by a Georgian king. Again it was destroyed by Aga-Mohammed-Khan in 1795. On its ruins a small church was erected which was pulled down by reason of the reconstruction of the square in 1930.

Греческая церковь св. Екатерины

С 1461 года наблюдается массовое вхождение в Грузию греков. В Тбилиси заселенную греками территорию называют «бердзенхана». В этом районе находились церковь св. Екатерины и дворец архимандрита греков. Называются разные даты построения церкви св. Екатерины. Старая церковь была разрушена Тамерланом и в 1430 году восстановлена грузинским царем. В 1795 году церковь стала жертвой вторжения ага Махмад хана. На ее руинах вновь была построена маленькая церковь, которую снесли в связи с реконструкцией площади в 1930 –ые годы XX века.

პლატონ იოსელიანი წერს: „სინაის მთის წარმომადგენელმა არქიმანდრიტმა იოსებმა დაანგრია მართლმადიდებელ ბერძენთა ძველი პატარა სამრევლო ეკლესია და უკეთესი, უფრო დიდი ეკლესია ააგო. ამჟამად მასვე ეკუთვნის ეკლესიის ირგვლივ სამეურნეო ნაგებობებათა ნაწილი, რომელთა შემოსავალი სინაის მთის საძმოს ხმარდება."

ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში - "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხულობთ: „ტფილისსა შინა არის ეკკლესია სახელსა ზედა წმინდისა დიდისა ქალწულმოწამისა ეკატერინასა... ნებითა და ხარჯითა მეფისა ირაკლი მეორისათა აღშენებული საბერძნეთით მოსულისა იღუმენისა იოანიკისაგან წელსა 1780-სა, ქვით-კირით, უგუმბათო; მოსახსენიებლად სულისა მისივე მეფისა ირაკლი მეორისა ძისა ლეონისათვის(140). და ეკკლესია არს შეწირული გარემო ეკკლესიისა მის მყოფთა ადგილებითა სინას მთის მონასტრისადმი და დღესაც არს შეუსრულებელი. აქა ამას შინა არის ერთი დეკანოზი."

პლატონ იოსელიანი წერს: „ჰყავს თავისი საეკლესიო ყმები და აქვს საკუთარი დუქნები თბილისში. აშენებულია ირაკლი მეორის მიერ 1780 წელს, მისი გარდაცვლილი შვილის ლეონის სახელზედ. ეკლესიის პირველი იღუმენი იყო ბერძენი იოანიკი. მსახურება მიმდინარეობს ბერძნულ ენაზე."

წმინდა ეკატერინეს ეკლესია თბილისში ფლობდა სავაჭრო და სახელოსნო დუქნებს თათრის მოედანზე, რომელებიც 1781 წელს ერეკლე II-მ უწყალობა მონასტერს და ბერძენ არქიმანდრიტ იოანიკს. 1795 წელს ეკლესია შეეწირა აღამაჰმად-ხანის შემოსევას. ამ ნანგრევებზე ისევ აშენდა პატარა ეკლესია, რომელიც დაანგრიეს მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 1930-იან წლებში.

თბილისის წმინდა ეკატერინეს ბერძნული ეკლესია მდებარეობდა მეიდანზე, ბერძენხანაში.



თბილისი, მეიდანი და წმ.ეკატერინეს ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო. 1905წ.
Тбилиси. Мейдан и церковь св. Екатерины. Фото Д.Ермакова, 1905г.
Tbilisi. Meidan (square) and St. Catherine Church. Photo by D. Ermakov, 1905.

თბილისი, მეიდანი და წმ.ეკატერინეს ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო. 1905წ.
Тбилиси. Мейдан и церковь св. Екатерины. Фото Д.Ермакова, 1905г.
Tbilisi. Meidan (square) and St. Catherine Church. Photo by D. Ermakov, 1905.



წმინდა ევსტათი მცხეთელის ეკლესია

სოფელი ვერე პირველად XVIII საუკუნეში გვხვდება. იგი აზნაურ გაბაშვილების მამული – საგაბაშვილო იყო. ვერეს ადრინდელი სახელი სკვირეთ-სკორეთი ყოფილა.

1877 წლის 30 იანვრის გაზეთი "დროება" წერდა: "ერთი ვერის მცხოვრებისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა, რომელზედაც ჩვენი არხეოლოგიური საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ: "ვერაზედ, ღენერალ ყორღანოვის სახლების გვერდით, პატარა ტიტლიკანა გორაზე სდგას ერთი რგვალი კედელი, რომელსაც ექნება სიმაღლე საჟენ ნახევარი და სიგანე ირგვლივ სამი საჟენი. აქ მოდიან მრავალი დედაკაცები, ლოცულობენ, სამთელს, საკმეველს და ნაირ-ნაირ ნივთებსა და ფულებს სწირავენ და ვის მიაქვს ყველა ესენი კაცმა არ იცის. ამბობენ, რომ ამ ორმოცი წლის წინათ ამ ალაგას ძველი ეკლესია ყოფილა და ხალხი დადიოდა თურმე და ლოცულობდა. შემდეგ მიწის თხრის დროს კედლები ჩამოუქცევიათ და პატრონობაც აღარავის გაუწევია. აქ ერთი პატარა გათლილი ქვა უპოვნიათ, რომელზედაც წერებულა: "აშენდა ესე წმინდა ესტატეს ეკლესია ღვთისაგან კურთხეულისა და ამაღლებულისა საქართველოს დედოფლის თამარის ბრძანებითა".

პლატონ იოსელიანი ვერეს ეკლესიაზე წერს: „ღვისმშობლის ეკლესია ვერაზე. იგი სამრევლო ეკლესია ყოფილა, რომელიც ძველად წმინდა ანდრია პირველწოდებულის მონასტერს (ლურჯ მონასტერს) ექვემდებარებოდა... ეკლესია იდგა მოსკოვის საგუშაგოსთან, მისი სახელი ჩვენთვის უცნობია, შემორჩენილია მხოლოდ ორი დანგრეული კედელი და ყოფილი ქვის წმიდა ტრაპეზის ძირი". შემდეგ ისტორიკოსი ამბობს, რომ ამ სალოცავის აღდგენა შესაძლებელი და აუცილებელია, რადგან მზარდ მოსახლეობას ამ ადგილებში ეკლესია არა აქვს.

1896 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში" ვკითხულობთ, რომ დღევანდელი ყორღანოვის ქუჩის ბოლოს, ლურჯი მონასტრის ჩრდილოეთით, პოდპოლკოვნიკ გ.ყორღანოვის სახლის გვერდით ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევებია... ეს ეკლესია ლურჯი მონასტრის კომპლექსში შედიოდა. ეკლესიაში ...ინახებოდა წმ.ესტატეს წმინდა ნაწილები, რომლებიც აღა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ ქვათახევის მონასტერში გადააბრძანეს... დღემდე აქ ყოველწლიურად 20 სექტემბერს – წმ.ესტატეს ხსენების დღეს ოცამდე მომლოცველი მოდის. ოდესღაც ეს ღვთისმშობლის ეკლესია იდგა იმ მთის წვერზე, სადაც აღმოჩნდა თიხის საბადო. სანამ თიხის მოპოვება მიმდი-



St. Eustatius of Mtskheta Church

St. Eustatius of Mtskheta church was built in 1897 on the site of an old church. On the Soviet authorities' decision, in 1923 the nuns living in it were compelled to leave the place and the temple ceased functioning. At present the construction is in private ownership.


Церковь св. Ефстафия Мцхетского


Грузинская православная церковь св. Ефстафия Мцхетского была построена на месте старой церкви в 1897 году. По решению советской власти в 1923 году из церкви в принудительном порядке выселили монахинь и она прекратила свое существование. Сегодня это здание является частным владением.

წმ.ესტატეს ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. XXს დასაწყისის ფოტო
Церковь св.Ефстафия, вид с северо-востока. Фото начала XXв.
St. EustatiusChurch. North-east view. Photo of early 20th c.

წმ.ესტატეს ეკლესია. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ
Церковь св. Ефстафия. Фото М.Кутателадзе, 2008г.
St. Eustatius Church. Photo by M. Kutateladze, 2008.

წმ.ესტატეს ეკლესიის ფასადზე შემორჩენილი ჯვრები მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ.
Кресты, сохранившиеся на фасаде церкви св.Евстафия. Фото М.Кутателадзе, 2008г.
The crosses survived on the frontage of St. Eustatheus Church. Photo by M. Kutateladze, 2008.





წმ.ესტატეს ეკლესიის ფასადის ნახაზი.
Чертеж фасада церкви св.Евстафия.
St. Eustatius Church, drawing of the frontage.

წმ.ესტატეს ეკლესია.
თ.დოლიძის ფოტო, 2009წ
Церковь св. Евстафия.
Фото Т.Долидзе, 2009г.
St. Eustatheus Church.
Photo by T. Dolidze, 2009.

ნარეობდა ღვთისმშობლის ეკლესიის მოშორებით, კიდევ იყო იმედი ამ ეკლესიის აღდგენისა. ყორღანოვის ქუჩა დიდი სისწრაფით სახლდებოდა და თიხის მოპოვება ღვთისმშობლის ეკლესიის მხარეს გაგრძელდა. 1866 წელს ეკლესიის კედლებიდან დარჩენილი იყო მხოლოდ აღმოსავლეთი კედელი, აგურის საკურთხეველი და ეკლესიის სამხრეთით ქრისტიანული საფლავები. დანარჩენი კედლები და საფლავები თიხის მოპოვებისას ქვევით ჩაიქცა... და იმ ქრისტიანების ძვლები, რომლებმაც სამუდამო სასუფეველი ეკლესიის კედლებში ჰპოვეს, აგურებისათვის თიხასთან ერთად გამოწვეს.

თ.ბერიძე წერს: "წმინდა ესტათეს ეკლესიის ადრეულ სახელს "ღვთისმშობლის ეკლესია" ვხვდებით 1901 წლის ცნობაში, სადაც აღნიშნულია, რომ ეკლესიაში ინახებოდა წმიდა ესტატეს ნაწილები და რომ ეკლესიაში დაკრძალული იყო მეფე ერეკლე II-ის ასული ქეთევანი. ეკლესია დაინგრა 1795 წელს".

XIX საუკუნის მიწურულს გადაწყდა ახალი ეკლესიის აგება. 1897 წელს გენერალ ყორღანოვმა ეკლესიისათვის მიწის ნაკვეთი შესწირა ბოდბის დედათა მონასტერს, რის შემდეგადაც დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. 1910 წლის გეგმაზე ანასტასიას (გ.ახვლედიანის) და ყორღანოვის (ლ.ქიაჩელის) ქუჩათა შესაყარზე დატანილია ეკლესია. ეს რესპუბლიკის მოედნისა და გ.ახვლედიანის ქუჩის შესაყარზე მდგარი შენობაა, რომლის კედელზეც რელიეფური ჯვრების გამოსახულებებია შემორჩენილი. 1923 წლის სექტემბერში ეკლესიამ ფუნქციონირება შეწყვიტა.


თბილისის ცენტრალურ არქივში 1924 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში წმინდა ევსტათი მცხეთელის ეკლესიის შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობებია დაცული (ფ1.ან4.ს45). დოკუმენტებში ვკითხულობთ: "ტფილისის კომუნალური განყოფილების გამგის წერილს ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარესადმი: "თქვენი ა/წ მომართვაზე, კომუნალური განყოფილება გაცნობებთ, რომ თანახმად შეკრებილი ცნობებისა, ანასტასიევის-ყორღანოვის ქ.კ. N2-სახლი, სადაც წინათ მოთავსებული იყო ბოდბის დედათა მონასტერის განყოფილება, შესდგება სამი სართულისაგან და შეიცავს 7 ოთახს, 1923 წ. 25.09-ს, კომუნალ. განყოფ-ის ყოფ. გამგის ჟღენტის განკარგულებით შეუვალად დარჩა ეკლესია, მხოლოდ დანარჩენი შენობიდან იძულებითი წესით გამოსახლებულ იქმნენ ყველა იქ მცხოვრები მონაზვნები. განთავისუფლებული შენობა კი დაეთმო განათლების სახ.კომისარიატთან არსებულ "მუზო"-ს. ხელშეკრულება ასეთზე მათგან დამოკიდებული მიზეზებით დღემდის არ დადებულა მხოლოდ ფაქტიურად სახლი მათ გამგეობლობაში იმყოფება. ამიტომ პრინციპიალური მოსაზრებით სახლის დემუნიციპალიზაცია არ არის მისაღები, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებით თუ აუცილებელია, რასაკვირველია კომუნალურ განყოფილებას საწინააღმდეგო არა აქვს, მაგრამ ამ გარემოებასთან დაკავშირებით ალბათ სახლის განთავისუფლება საჭირო დარჩება, რამაც შესაძლებელია არასასურველობა შექმნას. გთხოვთ თქვენს განკარგულებას."

ერთ-ერთ დოკუმენტში აღწერილია ეკლესიის შენობა: „დაბლა სართული – სარდაფი: სასებისკვერე; საცხობი, სამზარეულო; საერთო სასადილო; საკუჭნაო. პირველ სართულზე სამლოცველო (ეკლესია) და სამი საცხოვრებელი ოთახი, ხოლო მეორე სართული შეიცავს 4 საცხოვრებელ ოთახს. ყველა ეს ოთახები გამოყენებული იყო მონაზონთა საცხოვრებლად".

ეს ნაგებობა ამჟამად სხვადასხვა მინაშენითა თუ ჩაშენებით გადაკეთებულია საცხოვრებელ სახლად. თუმცა, ქუჩის ფასადის მხარეს შემორჩენილია სარკმელი რელიეფური თავსართით და გუმბათის ზოგადი საფასადო სახე.

წმინდა ევსტათი მცხეთელის ეკლესია მდებარეობს ვერაზე, გ.ახვლედიანის ქუჩის N2-ში.





კათოლიკეთა პირველი ეკლესია თბილისში

საქართველოს ვატიკანთან(141) ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორია აქვს. ეს განპირობებულა იმით, რომ რომიდან როგორც პოლიტიკური და ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო ცენტრიდან ქართველები მოელოდნენ მფარველობასა და ხსნას მაჰმადიანური ქვეყნების აგრესიისაგან. ამიტომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველ მეფე-მთავართა საუკუნოვანი მისწრაფება იყო დაკავშირებოდნენ რომის პაპებს და მათი მეშვეობით სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობა დაემყარებინათ ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან, რათა ქრისტიან მესვეურთაგან მიეღოთ დახმარება ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს რომთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ადრე ფეოდალურ ხანაში ჰქონდა. არსებობს იბერიის კათოლიკოსის კირიონ I-სა(142) და რომის პაპის გრიგორი I დიდის მიმოწერა. აქვე უნდა აღინიშნოს 856 წელს ლაზების მეფის დემეტრე II-ის(143) ელჩობა რომის პაპთან ბენედიქტე III-თან, ილარიონ ქართველის(144) მომლოცველობა რომში.

მიხეილ თამარაშვილის(145) აზრით, 1230 წლამდე "რომისა და საქართველოს სარწმუნოებრივი ერთობა მტკიცედ იყო დაცული, ხოლო ამ ხანების შემდეგ მოხდა განცალკევება".

1054 წელს, როდესაც მოხდა განხეთქილება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებს შორის, ბიზანტია და დასავლეთ ევროპა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საქართველო XIV საუკუნემდე ინარჩუნებდა ერთიანი ეკლესიის ტრადიციებს და "იმთავითვე ეძებდა ეკუმენური გზით კვლავ შეერთებას კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიებისა," - წერს ზვიად გამსახურდია(146).

დავით აღმაშენებელის პერიოდში ახლო ურთიერთობა დამყარდა წმინდა საყდართან. მიიჩნევენ, რომ 1121 წლის დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელს ტამპლიერთა ჯვაროსნული ორდენის წევრები ეხმარებოდნენ.

მიხეილ თამარაშვილი XII საუკუნის მიმოხილვისას წერს: "ქართულ ეკლესიას ახალი ერა დაუდგა. ეს ხანა აღსანიშნავია... იმ პირდაპირი კავშირ-ურთიერთობებით, რაც პაპებთან და დასავლელ მისიონერებთან დაამყარეს ქართველებმა".

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში" გვაწვდის ცნობას თბილისის პირველი კათოლიკური ტაძრის შესახებ: „თბილისის ეკლესიის აშენების ხანი XII საუკუნის დასაწყისს მიეწერება, ზედმიწევნით 1125 წელს, უკეთ რომ ვსთქვათ, უფრო დავით აღმაშენებლის დროს. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ საქართველოში პირველად დავით აღმაშენებლის დროს მოვიდნენ რომიდან ლათინის წესის პატრები. მცირე ხნის შემდეგ ამ პატრების შესახებ დავით აღმაშენებელს და რომის პაპს შორის მიწერ-მოწერაც გაიმართა... თბილისში კათოლიკეთ ეკკლესიის საძირკველის დაარსებას ჩვენ ამ დროს მიტომ ვაწერთ, რადგან ამ დროიდგან საქართველოში ქართველთ შორის კათოლიკეთ სარწმუნოების მაღიარებელთ რიცხვი უკვე სჩანს. XII საუკუნის დასასრულს თბილისში, კათოლიკეთ ეკკლესიის გვერდით ლათინის პატრებიც ისადგურებენ, ჩვენ მხოლოდ არ ვიცით ის, თუ იმ დროს ხსენებულს ეკკლესიას რა სახელი ეწოდებოდა, აწინდელი, თუ რამ სხვა სახელი... ძველად, ანუ XII საუკუნის კათოლიკეების ეკკლესია მდებარეობდა ჯვარის მამის ეკკლესიის მახლობლად, ცოტა ზემოთ, სოლოლაკის(147) მხრით, სადაც დღეს აღარაფერი სჩანს და იქ სახლებია გაკეთებული".

The First Catholic Church in Tbilisi

Georgia has a long history of relationships with the Vatican. These ties were conditioned by the people's hope that Rome as the spiritual centre of the political and the Christian worlds would defend them from the Muslim aggression. The first Catholic temple was built in Tbilisi in 1125. Very few of the historical data about that church is maintained to these days.


Первая католическая церковь в Тбилиси

Ни с одной страной Западной Европы Грузия не имела такой длительной истории взаимоотношений, как с Ватиканом. Это обуславливалось тем, что именно из Рима как духовного центра политического и христианского мира грузины ждали спасение и покровительство от агрессии мусульманских стран. В Тбилиси в 1125 году строится первая католическая церковь, о которой до нас дошли весьма скудные сведения.

ძველი თბილისი გრ გაგარინი 1850-იანი წლები
Старый Тбилиси. Г. Гагарин 1850-ые годы.
Old Tbilisi. G. Gagarin, 1850s.

ქრისტოფორო დე კასტელი ნათლობა ცის ქვეშ
XVII საუკუნის I ნახ
Христофоро де Кастели. Крещение под небом.
I половина XVIIв.
Christophoro de Castelli. Baptising in the open air.
Early 17th c





ჯვრაცხოვლის ეკლესია

კვირაცხოვლობის, წმინდა მოციქული თომას ეკლესიის შესახებ მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის ისტორიულ მიმოხილვაში "ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ.ტფილისში" – ვკითხულობთ: "...ზედ მიწერილი კვირაცხოვლის საყდარი. მცხეთის სამთავარეპისკოპოსოს ეპარხია რომ გააუქმეს 1804წ., ანჩისხატის ტაძარზედ მიაწერეს კვირაცხოვლის საყდარი, აღშენებული 1615წ. მთავარ-ეპისკოპოსის ქრისტეფორესაგან(148) (ამილახვარი, შემდეგ კათალიკოზი) ძველის ეკკლესიის ნანგრევებზედ, რომელიც თემურლენგმა დაანგრია 1401წ. მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე ძმა იყო ანდუყაფარ ამილახვრისა და დედოფალის ანასი და ამათის შემწეობით აქვე აიშენა სახლიც და თავის მეტოქედ გაიკეთა. 1716წ. კვირაცხოვლის საყდარი და სასახლე განაახლა მთავარეპისკოპოსმა რომანოზმა (ერისთავი).

მას აქეთ ანჩისხატის დეკანოზის ხელქვეითად კვირაცხოვლის საყდარს ჰყვანდა საკუთარი კრებული და მხოლოდ 1843წ. იქმნა გაუქმებული და მისი საეკლესიო ქონება ჩაჰბარდა ანჩის-ხატის ტაძარს. კვირაცხოვლის საყდარში დაასაფლავეს 1804წ. მთავარეპისკოპოსი იოანე (ქარუმიძე), რომელსაც უწირა და ანდერძი აუგო კათალიკოზ-პატრიარქმა ანტონ II-მ და ტფილელმა მიტროპოლიტმა არსენმა(ბაგრატიონი). საყდარი დაანგრიეს 1870წ. და ეხლა მისი საძირკველიც ძლივსღა ეტყობა; უწმიდესის სინოდის უქაზისამებრ ნასაყდრალზედ ან ნიში უნდა აშენებულიყო, ან შეღობილიყო და ბაღი გაეშართნათ. მას აქეთ დასავლეთის შესავალი კარები ქუჩიდგან დაიკეტა და აქ ასვენია მრავალი გამურული-გამტვერიანებული წმინდა ხატები. ყოველ შაბათ საღამობით აქ მოდიან ქრისტიანები, ანთებენ წმინდა სანთელსა და არ ივიწყებენ მამა–პაპის სალოცავსა...".

ეგნატე იოსელიანის კატალოგში წმინდა მოციქული თომას ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ „ტფილისსავე შინა არის ეკკლესია წმინდისა მოციქულისა თომას სახელსა ზედა, ქვით-კირისა, უგუმბათო, აღშენებული მთავარეპისკოპოსისა ქრისტეფორე ამილახუაროვისაგან მეტოქედ ანუ ფოდვერიად თვსად წელსა 1703-ს...".

პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას წერს, რომ წმინდა მოციქული თომას, კვირაცხოვლის ეკლესიაზე იყო მიწერილი უფრო მცირე ეკლესია, რომელიც კუკიაზე არსებობდა 1622 წლამდე. ეს უკანასკნელი შაჰ-აბასის დროს დანგრეულა. ამ ცნობის თანახმად, ეგნატე იოსელიანის მიერ კვირაცხოვლობის ეკლესიის აშენების თარიღად 1703 წლის მითითება მცდარია, და ეს ეკლესია თბილისის უძველეს ეკლესიებს უნდა მივაკუთვნოთ.

ამას ადასტურებს მარი ბროსეც(149). როდესაც მან 1848 წელს თბილისის სიძველენი მოინახულა, კვირაცხოვლობის ეკლესია მას გაუქმებული დახვდა. მისი გადმოცემით, ეკლესია აშენებულია ძველის ნაცვლად, რომელიც დაინგრა თემურლენგის შემოსევის დროს, და იგი თბილისის ერთ-ერთი ძველი ეკლესიათაგანია.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა თომას ეკლესია არაა დატანილი არც ვახუშტის და არც პიშჩევიჩის 1800 წლის გეგმებზე, ის ნამდვილად არსებობდა, რადგან აღნიშნულია 1833-1835 წლების გეგმებზე.

ეკლესიას მთავარეპისკოპოსის საყდარსაც ეძახდნენ, რადგან სამთაროს მთავარეპისკოპოსის ადგილსამყოფლად და მის კარის ეკლესიადაც ითვლებოდა. პლატონ იოსელიანი წერს, რომ მთავარეპისკოპოსებს: „...იერარქიული წესით პირველი ადგილი ეკავათ კათოლიკოსისა და ჭყონდიდელი არქიე-

Kviratskhoveli Church of St.Thomas the Apostle

Kviratskhoveli Church of St. Thomas the Apostle was one of the oldest temples in Tbilisi. The annals give extensive data about its destruction during enemy invasions and the restorations that followed. Finally, the temple was pulled down by reason of accident risk in 1870.

Квирацховели, Церковь св. апостола Фомы

Грузинская православная церковь св. апостола Фомы, Квирацховели была одним из древнейших храмов Тбилиси. Существует множество сведений о разрушении церкви во время вражеских нашествий и дальнейшем ее восстановлении. Из-за аварийности церковь окончательно разрушили в 1870 году.



თბილისი დ.ნიკიტინის ფოტო 1864წ
Тбилиси. Фото Д.Никитина. 1864 г.
Tbilisi. Photo by D. Nikitin, 1864

6 და ილ ნაკაშიძეების ქუჩა ი. დოლიძის ფოტო, 2009წ.
Ул. Н. и Ил. Накашидзе. Фото Т. Долидзе 2009г.
N. and I. Nakashidze Street. Photo by T. Dolidze, 2009

პისკოპოსის შემდეგ და ისინი მათი ადგილმონაცვლეები იყვნენ... ამჟამად ეს ეკლესია დანგრევის პირასაა, ხოლო სამთავროს ან მცხეთის არქიეპისკოპოსის კუთვნილი სახლის ადგილას 1825 წელს საქართველო-იმერეთის მხარის სინოდალური კანტორის პროკურორისათვის ორსართულიანი შენობა ააგეს. თითქოს ფიქრობდნენ ამ სახლის შეკეთებასაც ქართველი ვიკარიუსისათვის. ეგებ, თვითონ ეკლესიასაც ახალი სახე მიეღო თავისი ძველი სახელწოდებით, რათა შთამომავლობას შეუნარჩუნდეს უძველესი მღელვარე საუკუნეების სანუკვარი სიწმინდე და იმ მამების ხსოვნა აღდგეს, რომლებიც ასე მედგრად იდგნენ მართლმადიდებლობის სადარაჯოზე და ასე მტკიცედ იცავდნენ მის სანუკვარ სიწმინდეებს."


1798 წელს გიორგი XII-ის თაოსნობით აქ ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელმაც გააუქმა შუა საუკუნეების ორდალის წესები: ჯადოქრების წყალში დახრჩობა, დაწვა, პატიმრების შანთით წამება, ცხელ წყალში ხელის ჩაყოფით სიმართლის დადგენა, ასევე ორთაბრძოლა, როგორც დავის გადაჭრის საშუალება და ა.შ.

თ.კვირკველია კვირაცხოვლის ეკლესიაზე წერს: "XVII საუკუნეში ამ ადგილზე მთავარეპისკოპოსს ქრისტეფორეს (ამილახვრების გვარიდან) აუშენებია მცირე ზომის ახალი ეკლესია. XIX საუკუნეში ეკლესია ანჩისხატზე იყო მიწერილი და სამთავროს ეპისკოპოსის მეტოქედ ითვლებოდა, რამდენიმე წლის წინ ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მიაკვლიეს ეკლესიის საძირკვლებს".

გაზეთ "დროების" კორესპონდენტი 1884 წლის 27 ნოემბერს წერს: "...ჩვენ თვით მივედით ნასაყდრალ ადგილზედ და ჩვენის თვალით ერთხელ-კიდე ვნახეთ: საკუთრად ეკლესიის ნაალაგევზე, გალავანზე მიშენებულია ფიცრული: თავლა, ბოსელი, გომი, საქონლის საბმელი (რაც გნებავთ დაარქვით), სადაც ბ.ს.-ეს ჰბმია მეწველი ძროხა.

საკუთრად ნასაყდრალზე ბაღის ხსენება არც კი არის. გალავანი ძველივეა. უწმიდესი სინოდის უქაზით 1863წ. აგვისტოს 10-დამ, ეკლესია მართალია უნდა დაშლილიყო, მაგრამ ტრაპეზის ადგილზედ ან ნიში (часовня) უნდა აშენებულიყო, ან ჯვარი დადგმულიყო და წმიდად შენახულიყო სრულიად ეკლესიის ეზო. ამ უქაზის შემდეგ გავიდა თითქმის თორმეტ-ცამეტი წელიწადი და ეკლესია არ იქცეოდა. შემდეგ დაიქცა ეკლესია და მის ადგილზედ ძროხის დასაბმელი ფიცრული თავლა აიშენა! უქაზის ძალით შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ ხსენებულს ნასაყრდალზე აგებულ იქმნას ნიში ხატის დასასვენებლად, მით უფრო, რომ საშუალებაც ადვილი მოსაპოვებელია, რადგან დღესაც აუარებელი მლოცველნი მიდიან ყოველ შაბათობით და გალავნის ყრუ კარებზე ანთებენ წმიდა სანთელს და ფულსაც სწირავენ".

კვირაცხოვლის, წმინდა თომა მოციქულის ეკლესია მდებარეობდა კვირაცხოვლის ქუჩაზე, დღევანდელი ნიშნიანიძის შესახვევსა და ნაკაშიძეების ქუჩას შორის, ეკლესიის ადგილზე საბავშვო ბაღია აშენებული.



თბილისი. ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Тбилиси. Фото Ю.Каиа, 2009г.
Tbilisi. Photo by Y. Kaya, 2009





ურწყანისის ღვთისმშობლის ეკლესია

თბილისს სამხრეთით სოფელი კრწანისი ესაზღვრებოდა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო გაშენებული. კრწანისი პირველად 1392 წელს შედგენილ საბუთში გვხვდება. იგი საკათალიკოსო სოფელი იყო. 1429 წელს შედგენილი საბუთით საქართველოს მეფე ალექსანდრე I სვეტიცხოვლის ტაძარს "ხელ ახლად" სწირავს კრწანისს - "მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან თამარ, ძეთა ჩვენთა ვახტანგ, დიმიტრი, გიორგი, ზაალი გაკადრეთ და მოგახსენეთ მცირე ესე შემოსაწირავი ...ქალაქის პირა სოფელი კრწანისი ასე რომელ პირველთა ჩვენსა ჩამომავალთა ხელმწიფეთაგან... შეწირული სვეტსა ცხოველს შესწიროდა და ცოტა ხანსა და ჟამთა ვითარებისაგან მოშლოდა. ახლა მოგვადექით კარსა საქართველოსა პატრიარქი პატრონი თეოდორე და გვიაჯენით ჩვენცა ხელ ახლად ჩვენად სადღეგრძელოდ გაკადრეთ და შემოგწირეთ სოფელი კრწანისი მისი სამართლიანისა სამზღვრებითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა...". 1658 წლის სიგელის მიხედვით კი, მეფე როსტომს კათოლიკოს ქრისტეფორეს თხოვნით ისევ განუახლებია სოფელ კრწანისის სვეტიცხოველისათვის შეწირულობა.

ენციკლოპედიაში "თბილისი" ვკითხულობთ: "ეკლესიის ისტორიის შესახებ ჩვენამდე მეტად მწირი ცნობებია მოღწეული. მეფე დემეტრე II-მ სიბიაში წასვლის წინ (XIIIს. ბოლო) თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა ქალაქისპირა სოფელი კრწანისი. XIV-XVIII საუკუნეებში კრწანისი საქართველოს საკათალიკოსო სოფელი იყო, რომელმაც არსებობის მანძილზე არაერთი ნგრევა-აწიოკება განიცადა...". კრწანისი, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გაშენებული, მტერთა გამუდმებული შემოსევების გამო XVIII საუკუნის მიჯნაზე საგრძნობლად შემცირდა.

კრწანისის(150) სამხრეთით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით, ტაძარი თამარის მეფობაში, XII საუკუნეშია აშენებული, ადგილობრივი მოსახლეობა მას დღემდე თამარის ტაძარს უწოდებს. აქვეა წყარო, რომელსაც თამარის წყაროს ეძახიან.


პლ.იოსელიანი ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ წერდა: „...კრწანისის მთებზე, ადრე არსებული და აწ დაცარიელებული სოფელი, თავისი ძველი შენობების ნაშთებითურთ და მიდამოთი, ყველა ვენახითა და ხეხილნარიანად ქართველ მეფეთაგან ოდითგანვე სიონის ტაძრისადმი იყო შეწირული. ტფილელი მიტროპოლიტები განაგებდნენ ეკლესიასაც და ყველა ნარგავსაც, რომელნიც უმთავრესად საეკლესიო ყმებს ეკუთვნოდათ. როდესაც სოფელი დაღესტნის ველურ მთიელთა შემოსევისას დაინგრა, დაზიანდა ეკლესიაც, რომელმაც თეიმურაზ II-ის მეფობამდე (ასე, 1740 წლამდე) იარსება. აქ დიდხანს ესვენა მეფე თეიმურაზ I-ის(151), ქეთევან წამებულის ძის ნეშთი, რომელიც ასტრაბადში 1663 წელს გარდაიცვალა და აქედან კახელებმა ალავერდის ტაძარში(152) გადაასვენეს დასაკრძალავად. ამ მიდამოს ახალ-უბნის სახელით იცნობდნენ".

The Krstasnisi Church of the Most Holy Theotokos

At present, the Georgian Orthodox Church of the Most Holy Theotokos is being used as a residential building. Supposedly, it was built in the 16th-17th centuries. King Teimuraz, who had died in Astrakhan in 1663, lay at rest within its walls for a period of time. Divine Services ceased in the temple under Communist rule from 1943.

Крцанисская церковь Пресвятой Богородицы

Грузинская православная церковь Пресвятой Богородицы сегодня превращена в жилой дом. Она, предположительно, построена в XVI- XVII вв. В ней временно покоился скончавшийся в Астрабаде в 1663 году грузинский царь Теймураз I. В советское время, с 1943 года в церкви было запрещено богослужение. Ныне она превращена в жилой дом.



კრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია. XXს. II ნახევარი
Крцанисская церковь Богоматери. II половина XXв.
Krtsanisi Church of the Most Holy Theotokos. Late 20th c.

კრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Крцанисская церковь Богоматери. Фото И.Микадзе, 2009г
Krtsanisi Church of the Most Holy Theotokos. Photo by I. Mikadze, 2009



კრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია. XXს. II ნახ
Крцанисская церковь Богоматери. II половина XX в.
Krtsanisi Church of the Most Holy Theotokos. Late 20th c.

კრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდილოეთიდან. მ.ქუთათელაძის ფოტო. 2008წ.
Крцанисская церковь Богоматери, вид с севера. Фото М.Кутателадзе, 2008г.
Krtsanisi Church of the Most Holy Theotokos. Photo by M. Kutateladze, 2008

კრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Крцанисская церковь Богоматери. Фото И.Микадзе, 2009г.
Krtsanisi Church of the Most Holy Theotokos. Photo by I. Mikadze, 2009





XVI-XVII საუკუნეებში თბილისი მორიგი მტრის თამაზ I-ის და აბას I-ის შემოსევების შედეგად ინგრევა. შემოსევების გამო ცარიელდება თბილისი და მასთან ერთად კრწანისიც. იძარცვება და ინგრევა კრწანისის ღვთისმობლის ეკლესიაც.

საბჭოთა პერიოდში ტაძარი ორსართულიან საცხოვრებელ სახლად იქნა გადაკეთებული. დროთა განმავლობაში მოსახლეობამ ეკლესიის შენობას ორივე მხრიდან მინაშენები გაუკეთა. დღეისათვის შენობაში თორმეტი ოჯახი ცხოვრობს, რომლებიც სანაცვლო ფართით დაკმაყოფილების შემთხვევაში მზად არიან დატოვონ ეკლესიის შენობა.

2006 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძრის მიმდებარედ მთაზე დაარსდა გრიგოლ ხანძთელის მამათა მონასტერი. ხოლო ამ ტაძრის მახლობლად კლდეზე 2008 წლიდან განმარტოებულ სენაკში ცხოვრობს მონაზონი თამარი (მაჩიტიძე). მონაზონი სრულად ასრულებს სადღეღამისო საღვთისმსახურო ტიპიკონს (მწუხრი, ცისკრის ჟამნი და სხვა), დაუღალავად ლოცულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენა-განახლებისათვის, რომელიც დღემდე საცხოვრებელი სახლის ფუნქციას ასრულებს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს კრწანისის ქუჩის N82-ში.





ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲗᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ

XIII საუკუნის დასაწყისიდან ურთიერთობა საქართველოსა და რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უფრო ინტენსიურ ურთიერთობებში გადადის. აღსანიშნავია მეფე ლაშა-გიორგისა(153) და რუსუდან მეფის რომის პაპებთან ჰონორიუს III-ისა და გრიგოლ IX-სთან მიმოწერა.

ზაქარია ჭიჭინაძე(154) წიგნში „კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში" წერს: „XII საუკუნის შემდეგ რომის ტახტსა და რუსუდან დედოფალს შუა მიწერ-მოწერა იმართება, ქართველნი პაპის თხოვნით მონაწილეობას იღებენ ჯვაროსანთ ომში, ქართველნი ევროპის ლაშქართან ერთად ომობენ. ბრძოლის შემდეგ საქართველოში ბრუნდებიან, თან შემოაქვთ ბევრი რამ ნარუქები, რაც ევროპელთ ლაშქართან შეესწავლათ. ამის შემდეგ თბილისს ქართველთ კათოლიკობა და ეკკლესია ცნობილი ხდება და საერთოდ მთელს ევროპაში... 1329 წელს თბილისის კათოლიკეთ ეკკლესიას ენიჭება სხვადასხვა უპირატესობა. "

„...იაკობ როგსანელი და მისი თანაძმა მინორიტები ...საქართველოში უნდა მოსულიყვნენ არა უადრეს 1230წ. ...სწორედ ამ წლებიდან იწყება საქართველოში მოსვლა ლათინის მისიონერ-მონაზონებისა და მათ მიერ ტფილისში მონასტრის დაფუძნება... წმინდა დომინიკეს ორდენის მონაზონებმა დააფუძნეს ტფილისში თავიანთი მონასტერი 1240 წელს და ეს მონასტერი შემდეგს საუკუნეებშიაც არსებობდა, შიგ მუდამ უკლებლივ იყვნენ ევროპიდგან მოსული დომინიკიანების ორდენის მონაზონები და საქართველოს ერის გასანათლებლად შრომობდნენ მინორიტების ანუ ფრანჩისკიანთ მონაზონებთან ერთად. ეს უკანასკნელნი დომინიკანელები 10 წლის წინეთ იყვნენ ტფილისში დამკვიდრებულნი." – წერს მიხეილ თამარაშვილი წიგნში "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის".

საქართველოში რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ გამოცემულ მასალაში „საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მოღვაწეობის ეტაპები" და მ.პაპაშვილის წიგნში „საქართველო-რომის ურთიერთობა" აღნიშნულია, რომ დომინიკანელმა მონაზვნებმა თბილისში დააარსეს „წმინდა მარტინის ქართული მონასტერი".

სამწუხაროდ, ამ მონასტრის ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია.

St. Martin Catholic Monastery


Starting from the 13th century interrelations between Georgia and Rome assumed a more intensive character. Members of the Franciscan Order established St. Martin Monastery here in 1240. Regrettably, we do not know the site of the monastery or any subsequent data about it.

Католический монастырь св. Мартина

С начала XIII века взаимоотношения между Грузией и Ватиканом приобретают все более интенсивный характер. Члены францисканского ордена в 1240 году основали в Тбилиси монастырь св. Мартина. К сожалению, дальнейшая судьба и местонахождение этого монастыря нам неизвестны.

ქრისტოფორო დე კასტელი.
მისიონერების ქადაგება ეკლესიასთან. XVII საუკუნის I ნახ.
Христофоро де Кастели.
Проповедь миссионеров около церкви. I половина XVII в.
Christophoro de Castelli. Missionaries preaching near the Church. Early 17th c.

ფრანჩესკო და დომენიკო პიცივანოების საზღვაო რუკა. 1367წ. პარმის ბიბლიოთეკა (პალატინა).
Морская карта Франческо и Доменико Пициган, 1367 г. Библиотека Пармы (Палатина).
Franchesco and Domenico Piziganno's marine chart, 1367. Town of Parma. Library (Palatina).





სურბ გევორქის
ჯათედრალური ტაძარი

თბილისში, სამღებროს ქუჩაზე მდებარე სურბ გევორქის ტაძარი მრავალჯერ იქნა აღდგენილი და რესტავრირებული, რის გამოც რთულია დღევანდელი ეკლესიის შენობის აგების ზუსტი თარიღის განსაზღვრა.

მისი კუთვნილების შესახებ მკვლევარები სხვადასხვა ვარაუდს გამოთქვავენ. ქართველი მეცნიერების აზრით სურბ გევორქის ტაძარი, ან მის ადგილზე მდგარი ნაგებობა თავდაპირველად ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნოდა.

თ.კვირკველია წერს, რომ - "ციხისდიდის ეკლესია იმ ქართულ ტაძართა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შემდეგ სომხური ეკლესია დაეპატრონა. წმინდა გიორგის სახელზე აგებულს ვახუშტის მიხედვით – "ციხის საყდარს" სომხურად "სურფ-გევორქი" ეწოდება. ეკლესია დგას დღევანდელი გორგასლის მოედნის სამხრეთ-დასავლეთით და მას კიბეებით უკავშირდება. ძნელი დასადგენია, თუ როდის აშენდა ამ ადგილზე პირველი ეკლესია. ზოგიერთი ცნობით, ეკლესია მე-13 საუკუნეში განუახლებიათ. ამის შემდეგ ტაძარი რამდენჯერმე დანგრეულა და კვლავ აშენებულა. იგი "დაბალი ციხის" გალავნის შიგნით მდებარეობდა. ციხის კალასაგან გამყოფი კედელი ეკლესიის უშუალო სიახლოვეს, დღევანდელი გორგასლის პირველი შესახვევის ხაზზე გადიოდა. სახელწოდება იმით აიხსნება, რომ ციხის ფარგლებში მცირე მოცულობის სხვა ეკლესიაც იდგა და მას "პატარა საყდარს" უწოდებდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ციხეს სპარსელები ფლობდნენ. სპარსელების განდევნის შემდეგ, მე-18 საუკუნის 50-იან წლებში ერეკლე მეორემ შენობა კვლავ კვლავ სომხურ ეკლესიას დაუბრუნა. დღეს იგი გრიგორიანების საეპისკოპოსო ეკლესიაა. გადმოცემით, ამ ეკლესიის ეზოში მოუკლავთ საიათნოვა."

იმ მოსაზრებას, რომ დღევანდელი სურბ გევორქის ეკლესია ადრეულ პერიოდში ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა ეთანხმება ნ.ბადრიაშვილიც - "სურბ გევორქი, თავდაპირველად ქართული, მოგვიანებით სომხური, აღდგენილი XIII საუკუნეში, შემდგომში არაერთხელ გადაკეთებული".

ბ.არველაძე წერს: "საქართველოს სომეხთა საეპარქიო კათედრალური ტაძარი – სურბ-გევორქი ოდითგან ქართული ეკლესია ყოფილა. რა მიზეზით გახდა სომხური გრიგორიანული ეკლესია გაუგებარია... ქართველთა სატახტო ქალაქში, მის ციხე-სიმაგრესთან მიმდებარე ეკლესია, ბუნებრივია, იქნებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და არა გრიგორიანული. თუ გავითვალისწინებთ "ტრადიციას" სომეხთა მიერ ქართველთა ეკლესიების დაუფლების დაუცხრომელ ლტოლვისას შეიძლება ასე ვიფიქროთ, რომ ძველი ეკლესია იყო ქართული, რაც გადააკეთეს-გადმოაკეთეს, დააშენ-მიაშენეს სომხებმა და აქციეს თავიანთ ტაძრათ."

სამღებროს ქუჩაზე მდგარ ეკლესიას ციხის დიდი საყდარი შეერქვა XVII საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც მეფე როსტომმა ციხის და ქალაქის გამყოფი კედლი ააგო. როგორც 1735 წლის, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზეა აღნიშნული, ტაძარი კედლის იქით, ციხის მხარეს დარჩა.

1782 წლის, რუსი ოფიცრის ჩუიკოს მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე N50-ით ტაძარი აღნიშნულია, როგორც "ციხის წმინდა იოანეს ეკლესია".

1837 წლის ეგ.იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში სურბ გევორქის ეკლესია, კი ღვთისმშობლის სახელობისადაა მოხსენიებული: "ტფილისის ციხის ძირს სავაჭროს მოედანთან არს ეკკლესია გუმბათიანი სახელსა ზედა ყ¯დწმინდისა ღ¯ისმშობელისასა. თუმცა წოდებული ციხის საყდრად...".


Surb Gevork Cathedral


The Tbilisi Surb Gevork Cathedral is the Armenians' Cathedral in Georgia. There are different assumptions about the date of its construction and possession. According to some scholars the church was erected on the basement of a Georgian church, while Armenian researchers consider that the Cathedral was erected in 1251 by a first-class merchant Umek who had come from Armenia. However, there are no official papers which could prove the fact.

Кафедральный храм Сурб Геворк

С 1938 года церковь Сурб Геворк является кафедральным храмом армян Грузии. О его принадлежности и дате построения существуют различные предположения. По мнению некоторых ученых, церковь возведена на на фундаменте грузинской церкви, а по мнению армянских исследователей, эту церковь в 1251 году построил приехавший из Армении первостатейный купец Умек, хотя нет документа, подтверждающего это предположение.

თბილისი, მეიდანი და სურბ გევორქის ეკლესია. XXს. დასაწყისი
Тбилиси. Мейдан и церковь Сурб Геворк. Начало XXв.
Tbilisi. Meidan (square) and Surb Gevork Church. Early 20th c.








თბილისი, მეიდანი და სურბ გევორქის ეკლესია.
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Тбилиси, Мейдан и церковь Сурб Геворк.
Фото Д.Ермакова, начало XXв.
Tbilisi, Meidan (square) and Surb Gevork Church.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.

სურბ გევორქის ეკლესიის გუმბათის ჯვარი. XX ს. I ნახ.
Крест на куполе церкви Сурб Геворка. I половина XX в.
The cross on the dome of Surb Gevork Church. Early 20th c.











ამის შემდგომი წლების (1867, 1884, 1898, 1902, 1903, 1913) თბილისის ყველა რუკაზე ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისადაა მოხსენიებული. როდის და რატომ ეკურთხა იგი სურბ გევორქის სახელზე ჩვენთვის უცნობია.

გადმოცემის თანახმად სურბ გევორქის ეკლესია დავით VII ულუს მეფობის ხანაში, 1251 წელს სომხეთიდან ჩამოსულ დიდვაჭარ უმეკს აუშენებია, თუმცა ამის პირდაპირი არანაირი საბუთი არ არსებობს.

საქართველოში სომხების შემოსვლა ადრეული პერიოდიდან იწყება, რადგან მათ XI საუკუნის შემდეგ სახელმწიფო აღარ ჰქონდათ. სრულიად სომეხთა საპატრიარქოც ოთხასი წლის განმავლობაში ლტოლვილი იყო, სომხეთის საზღვრებს გარეთ, კილიკიაში იმყოფებოდა და მხოლოდ XV საუკუნეში დამკვიდრდა ეჩმიაძინში(155).

მტრისგან შევიწროებული სომხობა სამშობლოს ტოვებდა და უცხო ქვეყნებში აფარებდა თავს. ივ.ჯავახიშვილი(156) წერდა: „საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნეობრივი დევნა არ ყოფილა, და თანაც საქართველოში შემოხიზნულ სომხებს სულ უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ".

1938 წლიდან ეს ეკლესია საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის საკათედრო ტაძარია.

დღევანდელი სურბ გევორქის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის კედლებსა და შვერილ მსხვილ პილონებს. აფსიდის ორსავ მხარეს დამატებითი სათავსებია. შესასვლელები შენობას აქვს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. ეკლესიაში შემორჩენილია XIX საუკუნის მხატვრობა, რომელიც რესტავრირებულია 1976-1977 წლებში.

XIX საუკუნისაა კანკელიც საკურთხევლის აფსიდის წინ. აღმოსავლეთის ფასადზე ორი სამკუთხა ნიშაა შეჭრილი, ხოლო ჩრდილოეთისაზე ჩაშენებულია 1294 წლით დათარიღებული რელიეფის ფრაგმენტი არაბული წარწერით და 1817 წლით დათარიღებული რელიეფი ქართულენოვანი წარწერით.

ეკლესიის ეზოში დასაფლავებულნი არიან XVIII საუკუნის გამოჩენილი პოეტი საიათნოვა(157) და მხატვარი გ.ბაშინჯაღიანი(158). აქვე არიან დაკრძალულნი სომეხი მხედართმთავრები.


სურბ გევორქის ეკლესია – ციხის დიდი საყდარი მდებარეობს სამღებროს ქუჩის №5-ში.

თბილისი, მეიდანი და სურბ გევორქის ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი.
Тбилиси. Мейдан и церковь Сурб Геворк. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Tbilisi. Meidan (square) and Surb Gevork Church. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

რელიეფი სურბ გევორქის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Рельеф на северной стене церкви Сурб Геворк. Фото И. Микадзе, 2009 г.
Relief on the northern wall of Surb Gevork Church. Photo by I. Mikadze, 2009.

არაბულენოვანი ხაჩკარი სურბ გევორქის ეკლესიის დასავლეთ კედელზე. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Хачкар (каменный крест) с арабской надписью на западной стене церкви Сурб Геворк. Фото И. Микадзе, 2009 г.
Khachkar (stone cross) with an Arabian inscription on the western wall of Surb Gevork Church. Photo by I. Mikadze, 2009.

თბილისი. თ.დოლიძის ფოტო, 2009წ.
Тбилиси. Фото Т.Долидзе, 2009г.
Tbilisi. Photo by T. Dolidze, 2009



წმინდა პანტელეიმონის ეკლესია

წმინდა პანტელეიმონის ეკლესია მდებარეობს ვერაზე (ძველად სკორეთი), რომელიც ადრე თბილისის გარეთუბანს ესაზღვრებოდა.

XIII საუკუნეში მეფე დემეტრე თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ მისი მეუღლე, ტრაპიზონის მეფის კომნენოსის ასული „სკორეთის ხევში" დასახლებულა „... დედოფალი ...დაშთა სკორეთს". თ.ბერიძე წერს, რომ „დემეტრე მეფის ცოლის, დედოფლის სკორეთში დარჩენა იმაზე მიუთითებს, რომ აქ სასახლე მეფეთა სადგომი ყოფილა." უდაოა, რომ ქრისტიანობისათვის წამებული მეფის დემეტრე თავდადებულის მეუღლის, დედოფლის სასახლეში ეკლესიაც იდგებოდა. „სკვირეთ-ვერეს ხეობას თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს დაუკარგავს მნიშვნელობა. ვერეზე გადიოდა თრიალეთისაკენ მიმავალი სავაჭრო-საქარავნო გზა... მას იცავდა საგანგებო რაზმი."

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დედოფლის სასახლე ამ გზის მოშორებით აშენდებოდა, რათა თავი დაეცვათ დარბევებისაგან. ჩვენი აზრით, დედოფლის სასახლე ზემო ვერის მთის ფერდობზე იქნებოდა აშენებული.

XIX საუკუნის II ნახევრიდან თბილისის ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთით სოფელ ვერეს მხარეს იზრდება. საუკუნის ბოლოს კი თბილისის საზღვრებმა ვაკეს მიაღწია. 1898 წელს ქალაქის გაფართოების გამო იხურება ვერის ძველი სასაფლაო, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი ვერის პარკის ტერიტორიზე მდებარეობდა. ამავე წელს ახალი სასაფლაოსთვის მიწის ნაკვეთი ზემო ვერაზე გამოიყო.

ახალი სასაფლაოს გახსნამდე ამ ადგილას უკვე არსებობდა ეკლესია, თუმცა იმის დაბეჯითებით თქმა, რომ ეს იყო დედოფლის სასახლის კარის ეკლესია, ჩვენ არ შეგვიძლია. 1856 წელს წმინდა გაბრიელს (ქიქოძე), რომელიც იმ დროს მღვდელი იყო, გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი. მან თავი-

St. Panteleimon Church

Presumably, in the 13th-14th centuries on the site of Vera cemetery stood a Georgian Orthodox church. Late in the 19th century an Armenian temple Surb Khach, the Holy Cross, was erected on its basement. Under Communist rule the church was closed. Eventually, in 1985 the Patriarchate of Georgia conducted reconstructions in it and consecrated it in commemoration of St. Panteleimon.

Церковь св. Пантелеймона


На территории Верийского кладбища, предположительно, в XIII-XIV вв. стояла грузинская православная церковь, на фундаменте которой в конце XIX века была построена армянская церковь Сурб Хач, Святого Креста. Её закрыли в советское время. В 1985 году Патриархия Грузии провела в ней восстановительные работы и освятила во имя св. Пантелеймона.

წმ.პანტელეიმონის ეკლესია. XXს II ნახ.
Церковь св. Пантелеимона, II половина XXв.
St. Panteleimon Church. Late 20th c.

თბილისი. ვერის ძველი და ახალი სასაფლაო.
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს II ნახ.
Тбилиси. Старое и новое Верийское кладбище.
Фото Д.Ермакова, II половина XIXв.
Tbilisi. Old and new Vera cemetery.
Photo by D. Eramkov. Late 19th c.







წმ პანტელეიმონის ეკლესია და ვერის ახალი სასაფლაო. დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. II ნახ.
Церковь св. Пантелеймона и новое Верийское кладбище. Фото Д.Ермакова, II половина XIXв.
St. Panteleimon Church and new Vera cemetery. Photo by D. Eramkov. Late 19th c.

წმ.პანტელეიმონის ეკლესიის სამრეკლო. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ.
Колокольня церкви св. Пантелеймона. Фото М.Кутателадзе, 2008г.
St. Panteleimon Church. Belfry. Photo by M. Kutateladze, 2008.

წმ პანტელეიმონის ეკლესია. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ.
Церковь св. Пантелеймона. Фото М. Кутателадзе
St. Panteleimon Church. Photo by M. Kutateladze, 2008

წმ პანტელეიმონის ეკლესია და ვერის სასაფლაო. შ.ლეჟავას ფოტ. 2009წ.
Церковь св. Пантелеймона и Верийское кладбище. Фото Ш.Лежава, 2009г.
St. Panteleimon Church and Vera cemetery. Photo by Sh. Lezhava, 2009



სი ოჯახი ზემო ვერის ეკლესიასთან დაასაფლავა. ყოვლად გამორიცხულია, რომ ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირს თავისი ოჯახი სომხური ეკლესიის გვერდით დაესაფლავებინა. აქედან გამომდინარე, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ეკლესია ან ეკლესიის ნანგრევები 1856 წელს ქართველ მართლმადიდებლებს ეკუთვნოდა.


ზემო ვერაზე შემდგომში დასახლებული სომხები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნანგრევებზე აშენებენ ვერის წმინდა ჯვრის (ვერაი სურბ ხაჩ) სომხურ ეკლესიას. სომეხი მკვლევარების აზრით, ეკლესია აშენებულია 1850 წელს, თუმცა ამის არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს.

1884 წლის თბილისის გეგმაზე პირველადაა ნაჩვენები სასაფლაო და ეკლესია, რომელიც სომხური ეკლესიების ჩამონათვალში აღნიშნულია როგორც ღვთისმშობლის სახელობისა.

საბჭოთა პერიოდში ეკლესია დაიხურა. მოუვლელობამ დააზიანა მისი ინტერიერი. 1989 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარი ეკურთხა წმინდა პანტელეიმონის სახელობაზედ და აღდგა მართლმადიდებლური ღვთისმსახურება.

ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანია. მისი კედლები აგურითაა ნაშენი. გუმბათი ქვისაა. ტაძარში ახლად დაწერილი ხატები და ფრესკებია. ტაძრის შესასვლელთან მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის ეკლესია განახლებულ და აღდგენილ იქნა უდროოდ გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად მათი მეგობრებისა და ახლობლების შემწეობით. ეკლესიის გვერდით აშენდა ახალი სამრეკლო.

წმინდა პანტელეიმონის ეკლესია მდებარეობს ვერის სასაფლაოზე, რჩეულიშვილის ქუჩის №12-ში.



ნარიყალას
წმინდა ნიკოლოზის ეკლესია



საპარაუდოდ, პირველი დასახლება ნარიყალას ციხის ადგილას გვიანბრინჯაოს ხანაში გაჩნდა. ახ.წ. IV საუკუნის შუა წლებში აქ უკვე იდგა ციხე, რასაც გვიდასტურებს IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილი მსოფლიო საგზაო რუკა, რომელზედაც აღნიშნულია სადგური PHILADO - ფილადო, რაც TPHILADA - ტფილადას დამახინჯებული ფორმაა. მეცნიერების აზრით, ეს სადგური თბილისს უნდა ნიშნავდეს.

ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით, თბილისის ციხე 368 წელს სპარსთა მეფემ პიტიახშმა ქარამ ხუარ ბორზარდმა დააარსა: "და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისად", რასაც ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილი. იგი ამ ციხეს "შურის ციხეს" უწოდებს, ამავე ციხეს "მაღალ ციხედაც" მოიხსენიებდნენ. სახელწოდება - ნარიყალა მხოლოდ XVII საუკუნიდან გვხვდება.

თბილისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ნარიყალაზე თავდაპირველად აშენდა XIII საუკუნეში, წმინდა მეფე დემეტრე თავდადებულის დროს. პლატონ იოსელიანიც თვლის, რომ მეტეხის ეკლესიის პარალელურად აშენდა ნარიყალას ნიკოლოზის კარის ეკლესია. ციხის ეკლესია დატანილია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ 1735 წლის გეგმაზე "მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდის ნიკოლოზისა...". საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ნარიყალამ ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა და 1818 წელს გენერალმა ერმოლოვმა ტაძარი დენთის საწყობად აქცია. დენთის საწყობის მძლავრმა აფეთქებამ ეკლესია თითქმის საძირკვლამდე დაანგრია.

1966 წელს დაწყებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა თლილი ქვით შემოსილი და უხვად მოჩუქურთმებული ტაძრის ნაშთი. გაირკვა, რომ ეს ყოფილა "ჩახაზული ჯვრის" ტიპის ეკლესია საკურთხევლის მხრებსა და ორ მრგვალ ბურჯზე დამყარებული გუმბათით. შიგნით, აგურის ერთ სვეტზე შელესილობის ნაშთი და მოხატულობის კვალი აღმოჩნდა. ტაძარს ემჩნეოდა ძლიერი ცეცხლისა და აფეთქების კვალი.

ნარიყალას ციხის მთავარ შესავლელთან შემოინახა დიდი თლილი ქვებით ნაგები VI საუკუნის კედლის ფრაგმენტი. აღმოსავლეთ კედელში ჩართულია

The Narikhala Fortress Church of St. Nicholas

There is a presumption that the first settlement on the site of Narikhala Castle turned up in the Late Bronze period. Already in the mid-4th century there stood a fortress on its site. St. Nicholas Church was first built here in the 13th century. After Georgia's annexation by Russia, Narikhala was deprived of its significance and from 1818 the temple started to be used as a gunpowder depot. Later the supply of powder blew up causing the church to turn into ruins. In 1996 on its basement the erection of a new St. Nicholas Church began. It was consecrated in 1997.

Нарикальский храм св. Николая

Предположительно, первое поселение на месте Нарикальской крепости появилось в позднебронзовый период. В середине IV века здесь уже стояла крепость. Нарикальская грузинская православная церковь св. Николая первоначально была построена в XIII веке. После присоединения Грузии к России Нарикала утратила прежнее значение и в 1818 году храм превратили в пороховой склад, мощный взрыв которого почти до основания разрушил церковь. В 1996 году на фундаменте старой церкви началось строительство нового храма св. Николая, который был освящен в 1997 году.

ნარიყალას ციხე და წმ ნიკოლოზის ეკლესია.
ი მიქაძის ფოტო, 2009წ.
Крепость Нарикала и церковь св.Николая.
Фото И.Микадзе, 2009г.
Narikhala Castle and St. Nicholas Church.
Photo by I.Mikadze, 2009

ნარიყალას ციხე დ ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Крепость Нарикала. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Narikhala Castle. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ნარიყალას ციხე და წმ ნიკოლოზის ეკლესია
თ დოლიძის ფოტო, 2009წ
Крепость Нарикала и церковь св.Николая. Фото Т.Долидзе, 2009г.
Narikhala Castle and St. Nicholas Church. Photo by T. Dolidze, 2009






ნარიყალას ციხე.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს.დასასრ.

Крепость Нарикалая.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.

Narikhala Castle.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.








Бывшая [illegible]
дзеркви. в [illegible]
2009г.

Крепость Нарикала и церк[illegible]
Фото Г. Джорджишвили, 200[illegible]

Narikhala Castle and St. Nicholas Ch[illegible]
Photo by G. Jorjiashvili,2009



ნარიყალას ციხის გალავანი და ზარები.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Крепостная стена и колокола Нарикальской крепости.
Фото И. Микадзе, 2009г.
Narikhala Castle - fortification wall and bells.
Photo by I. Mikadze, 2009

ნარიყალას წმ.ნიკოლოზის ეკლესია.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Нарикальская церковь св.Николая. Фото И.Микадзе, 2009г.
The Narikhala St. Nicholas Church. Photo by I. Mikadze, 2009

ტფილისის ხედი. ი.აივაზოვსკის ნახატი, 1869წ
Вид Тифлиса. Рисунок И.Айвазовского, 1869 г.
View of Tbilisi. Painted by I.Aivazovski, 1869

ნარიყალას წმ.ნიკოლოზის ეკლესია.
გ.ჯორჯიაშვილის ფოტო, 2009წ.
Нарикальская церковь св. Николая.
Фото Г. Джорджиашвили, 2009г.
The Narikhala St. Nicholas Church. Photo by G. Jorjiashvili, 2009


XVII საუკუნის მრგვალი კოშკი აგურის წყობაში გამოყვანილი რომბებით.

1996 წლის აპრილში თბილისის დედაციხეზე დაიწყო ძველ საძირკველზე წმინდა ნიკოლოზის ახალი ტაძრის მშენებლობა. ახალ ნაგებობაში XIII საუკუნის გადარჩენილი ნაშთებია ჩართული. დედაციხის ტაძარს გეგმით ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობა აქვს, ნაშენია ქართული აგურით და დაკუთხული ქვებით. შენობა გარედან ღია ფერის ქვათლილებითაა შემოსილი და ჩუქურთმებითაა შემკული. ინტერიერი მთლიანად მოხატულია. ტაძრის ახლოს დარჩენილია მეფის სასახლის პირველი სართული, რომლის აღდგენაა განსაზღვრული. რესტავრირებულია გალავანი, საიდუმლო გვირაბები, ციხე-კოშკები.

წმინდა ნიკოლოზის ახალი ტაძარი იკურთხა 1997 წლის ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, საზეიმო წირვა ჩაატარა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.







ივერიის
ღვთისმშობლის ხატის ტაძარი

XII საუკუნეში თბილისთან ახლოს, სოფელ დიდუბეში იდგა მეფის ერთ-ერთი სასახლე და კარის ეკლესია. 1771 წელს გერმანელი მეცნიერის და მოგზაურის გიულდენშტედტის მიერ შედგენილ რუკაზე აღნიშნულია დიდუბის ციხის გალავანი. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ დიდუბე დიდი და მდიდარი სოფელი ყოფილა. იგი ქალაქს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ამარაგებდა. სოფელ დიდუბეში, გარდა სასახლის კარის დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესიისა, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაც იდგა. სამწუხაროდ, ეკლესიის აშენების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკლესია თავდაპირველად XII-XIII საუკუნეებში აშენდებოდა.

1866 წელს პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის შესახებ წერს: "ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში თბილისის მოსახლეობა მოდის წმინდა კვირის ორშაბათს. ეკლესია მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს, დიდუბის ველზე, ორ გერმანელთა კოლონიას შორის. ყოფილი სოფელი დიდუბე ლეკების შემოსევის გამო დაცარიელდა ერეკლე II-ს გამეფებამდე და ამ სოფლის მაცხოვრებლების ნაწილი დასახლდა თბილისის შემოგარენში, ე.წ. კუკიასა და ჩუღურეთში, რომლებიც დღეს თბილისის უბნებს წარმოადგენდნენ. დღეისათვის ამ ეკლესიას არა აქვს გუმბათი".

1870 წლიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყეს დასახლება რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებმა. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ეს ტერიტორია ცალკე უბნად გამოიყო და მას ნაძალადევი(159) ეწოდა.

საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ჩარკვიანის მოთავეობით XIX საუკუნის 90-იან წლებში გუმბათჩამოქცეული ეკლესიის ადგილას იწყება ახალი ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 1899 წლის 25 თებერვალს დამთავრდა. ეკლესიის მშენებლობისთანავე გრიგოლ ჩარკვიანის ინიციატივით ტაძარში საკვირაო სკოლა გაიხსნა.

როგორც ცნობილია, იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია დაკარგული ჰქონდა და რუსეთის ეკლესიას ექვემდებარებოდა, ამიტომ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ეკლესიები რუსეთის ტაძრების მიბაძვით შენდებოდა. ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის ძველი ფოტოს მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია აშენებული იყო ფსევდოკლასიცისტური და ბიზანტიური არქიტექტურის ნაზავი ეკლექტიკური სტილით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ტაძრის წინამძღვარი პროტოპრესვიტერი მიხეილ მახათაძე იყო. კომუნისტებმა თოთხმეტი შვილის მამა განდევნეს ეკლესიიდან, წაართვეს საცხოვრებელი ბინა და ორ ოთახში შეასახლეს. ბოლოს მამა მიხეილი სიონში წირავდა, იგი 100 წლის ასაკში 1951 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკლესია გაუქმდა. 1925 წელს ეკლესიაში განთავსდა წინდების საქსოვი საწარმო. 1927-1929 წლებში ეკლესია გადააკეთეს საზოგადოებრივ აბანოდ.

თბილისის ცენტრალურ არქივში 1928 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში უკვე გაუქმებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის სასაფლაოს შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვკითხულობთ: "11-ტე მილიციის

The Most Holy Theotokos of Iberia Church

In 1899 the erection of the Most Holy Theotokos of Iberia Church was accomplished. A Sunday school under its supervision was also established. After the Communists came to power, the church was closed. In 1927 -1929 a public bath was arranged in it. The reconstruction of the temple began in 1989. On the Great Thursday of 1997 the Divine Service was celebrated in it. At present, all is left from the old church is its eastern wall where the central entrance is located. The dome church of the Most Holy Theotokos of Iberia bears the forms and details of the Georgian and partly of the Byzantine architecture of the Middle Ages.

Храм Иконы Иверской Богоматери

В 1899 году на основании древней грузинской церкви завершилось возведение храма Иконы Иверской Богоматери При храме действовала воскресная школа. После установления в Грузии советской власти церковь упразднили. В 1925 году в церкви разместилось носкоткацкое производство. В 1927 -1929 годы церковь была переделана в общественную баню. В 1989 году началась реставрация церкви. В Великий четверг 1997 года в храме состоялась торжественная служба. Сегодня сохранилась лишь восточная стена старой церкви, где находится главный вход. Купольный храм Иконы Иверской Богоматери построен с учетом форм и и элементов грузинской, а частично и византийской архитектуры средних веков.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია. დ ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Церковь Иконы Иверской Богоматери. Фото Д.Ермакова. начало XXв.
Church of the Most Holy Theotokos of Iberia. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია. XXს. დასაწ.
Церковь Иконы Иверской Богоматери. Фото начало XXв.
Church of the Most Holy Theotokos of Iberia Photo - beginning of the 20th c.







ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის საკურთხეველი.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Алтарь церкви Иконы Иверской Богоматери.
Фото И.Микадзе, 2009г.
Church of the Most Holy Theotokos of Iberia. Altar.
Photo by I. Mikadze, 2009

ივერიის ღვთისმშობლის ხატი
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Икона Иверской Богоматери.
Фото И.Микадзе, 2009 г.
Icon of the Most Holy Theotokos of Iberia.
Photo by I. Mikadze, 2009

ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია.
მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2009 წ.
Церковь Иконы Иверской Богоматери.
Фото М.Чхиквадзе, 2009г.
Church of the Most Holy Theotokos of Iberia.
Photo by M. Chkhikvadze, 2009

ტაძრის ისტორია ივერიის ღვთისმშობლის ხატის


უფროსს გაცნობებთ, რომ ლენინის უბანში მდებარე ეკლესიის ადგილზე ჩვენ ვაშენებთ აბანოს, რომლისათვისაც საძირკველის ჩაყრის გამო საჭირო ხდება იქვე ეკლესიის გალავანში დამარხული მიცვალებულების გვამების გადატანა. ჩვენ უკვე დავიწყეთ ნებართვების გაცემა ჭირისუფლებზე. დღემდე გავეცით ნებართვა ექვსი მიცვალებულის გადასვენებაზე. გევალებათ თვალყური ადევნოთ, რათა უჩვენოთ არც ერთი მიცვალებული არ იქნეს გადასვენებული და თვით გადასვენება ხდებოდეს საღამოობით ყოველივე ხალხის შეკრების და პროცესიების მოწყობის გარეშე." ამ დოკუმენტს ხელს აწერს – კ/მ.ქ/განყოფილების გამგე – სიხარულიძე.

1989 წელს მერაბ კოსტავას და გიორგი ჭანტურიას ინიციატივით დაიწყო ტაძრის რესტავრაცია.

ამჟამად ძველი ეკლესიის მხოლოდ დასავლეთი კედელია შემორჩენილი, საიდანაც ეკლესიის მთავარი შესასვლელია. ეკლესია აგურითაა ნაშენი. დასავლეთის მხრიდან შესასვლელის თავზე მოთავსებულ ქვის ბარელიეფზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში. ივერიის ღვთისმშობლის ხატის გუმბათიანი ტაძარი აშენებულია შუა საუკუნეების ქართული და ნაწილობრივ ბიზანტიური არქიტექტურის ფორმებისა და ელემენტების გათვალისწინებით.

ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში აშენდა წმინდა მთავარანგელოზთა ტაძარი. ახლად აგებული ეკლესია 1990 წლის 23 თებერვალს ეპისკოპოსმა კონსტანტინემ აკურთხა. პირველი წირვა ჩატარდა 25 თებერვალს, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღესასწაულზე.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია მდებარეობს ეროსი მანჯგალაძის ქუჩის №1–ში.



ვანქი
ღვთისმშობლის მამათა მონასტერი

1314 წელს საქართველოს ტახტზე ადის გიორგი V ბრწყინვალე, რომელმაც მოხერხებული დიპლომატიისა და სამხედრო წარმატების წყალობით დამპყრობთაგან სამეფოს დახსნა მოახერხა და მისი ყოფილი ძლიერება აღადგინა. მიუხედავად ბევრი დამანგრეველი შემოსევისა, ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი – თბილისი წინანდებურად ინარჩუნებდა თავის გაბატონებულ მდგომარეობას ამიერკავკასიაში.

ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო(160) ასე აღწერს XIII საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისს: „ამ ქვეყანაში ერთი მშვენიერი ქალაქი არის, სახელად თბილისი, რომელიც გარშემორტყმულია გარეუბნებითა და ურიცხვი სიმაგრეებით. მცხოვრებნი ქრისტიანები არიან: ქართველები და სომხები, არიან აგრეთვე ცოტაოდენი სარკინოზნი და ურიები. აქ ამზადებენ აბრეშუმისა და სხვა ქსოვილებს. ხალხი მისდევს ხელოსნობას, ემორჩილება თათართა ხანს".

ამ პერიოდიდან განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოდაკარგული სომხური მოსახლეობის საქართველოში შემოსვლა. დედაქალაქში შემოსული სომხური მოსახლეობა გარეთუბანში, იწყებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მამათა მონასტრის მშენებლობას რომელსაც თბილისში ვანქს (ვანქი – სომხ. მონასტერი) ეძახდნენ. მისი აშენების თარიღად მკვლევარები სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ.

ლეონ მელიქსედ-ბეგი ნაშრომში „ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის" წერს: "დეკანოზ გიუტ აღაიანცის განცხადება, ვითომ ვანქი დაარსებული იყოს დღეთა გრიგოლ განმანათლებლისა IV საუკუნის დასაწყისში, მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს; აგრეთვე არავითარი საფუძველი არა აქვს მინა მედიჩის(161) განცხადებას დაარსების შესახებ 600 წელს ქრისტესით".

ეგ.იოსელიანის კატალოგში თბილისის ვანქის ყოვლადწმინდა



Vank, Monastery of the Most Holy Theotokos

Early in the 14th century in Tbilisi starts the construction of Vank, Most Holy Theotokos Monastery Complex. Vank was the residence of Archbishop of All Armenians. The precincts of the monastery had a dwelling house for monks and priests, a cemetery where outstanding Armenian clergymen, writers, patrons of the arts were buried and a monastery museum. Today the only survived building is a three-circle belfry. In the 30s of the 20th century the monastery was pulled down in connection with the street reconstruction. We have scanty data concerning the two-storey Armenian church which was located within the same precincts. Supposedly, it was pulled down in the 19th century by reason of accident risk.

Ванк, мужской монастырь св. Богородицы

В начале XIV века начинается строительство Ванкского монастырского комплекса. Ванк был жилищем архиепископа всех армян Грузии, во дворе этого же монастыря располагался жилой дом священников и монахов и находилось кладбище, где были похоронены известные армянские духовные лица, писатели, меценаты и др. Во дворе также был и музей монастыря. Сегодня из Ванкого монастырского комплекса уцелела только трехъярусная колокольня. Монастырь в 30-ые годы XX века снесли в связи с реконструкцией улицы.


ვანქის მამათა მონასტერი.
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Ванкский мужской монастырь.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Vank Monastery. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ვანქის ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათები.
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Купола Ванкской церкви Богоматери.
Фото Д. Ермакова, конец XIXв.
Vank . The domes of Most Holy Theotokos Church.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.



ვანქის უბანი, მათადოვის კუნძული, ჩუღურეთი, რიყე.
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Старая часть Тбилиси-Ванк, остров Матадова,
Чугурети, Пески. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Old part of Tbilisi - Vank area. Matadov island. Chughureti.
Riverside. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ვანქის სამრეკლო. ი.გოლიაძის ფოტო, 2009 წ.
Колокольня Ванкского храма. Фото И.Голиадзе, 2009г.
Vank. Belfry. Photo by I.Goliadze, 2009



ვანქის მონასტრის შესასვლელი.
გუკასოვის მავზოლეუმი და სამრეკლო.
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Вход в Ванкский монастырь, мавзолей Гукасова и колокольня.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Vank monastery curch-porch,
The entrance of Vank Monastery and Gukasov's mausoleum.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ღვთისმშობლის მამათა მონასტრის შესახებ ვკითხულობთ: „პირველი მამათ მონასტერი, სადაცა მჯდომარეობს ეჯმიაწინით წარმოვლენილი ეპისკოპოსი ანუ არხიეპისკოპოსი, წინამძღვრად წოდებული, განმგებელი საქართველოს ჰაოსთა, ამას შინა არს. აღშენებული ქვით-კირით დიდი ეკლესია, ხუთთა სამწირველოთაგან შემდგარი ტრაპეზი. პირველი საშუვალ ეკკლესიისა სახელსა ზედა ყ˜დწმიდისა ღ˜ისმშობელისასა, ხოლო მეორე ჩრდილოეთით ამისსა სახელსი ზედა წმინდათა მოციქულთასა, და მესამე სამხრეთით სახელსა საერთოსა ზედა წმინდისა და განმანათლებლისა გიორგი პართეველისასა ...ესე ყოველი შენობა არს აღშენებული ტფილისის მოქალაქეთა ავსარქისოვისა, ბასტამოვისა, ნაზარბეგოვისა, ოყაანთა და ქართველისა თავადის სოლაღოვისათა, წელსა 1480-სა. ხოლო ესე შენობა განაახლა დიდისა ღუაწლითა ტფილისელმან მოქალაქეთაგანმან დეკანოსმან მისვე ეკკლესიისამან ტერ-ყაზარ ლაზაროვმან წელსა 1800-სა. ამას







ვანქის ღვთისმშობლის ეკლესიის ინტერიერი.
1930-იანი წლები
Интерьер Ванкской церкви Богоматери. 1930-ые годы.
Vank Church of Most Holy Theotokos. Interior. Photo of 1930s

ვანქის ღვთისმშობლის ეკლესიის ინტერიერი
1930-იანი წლები
Интерьер Ванкской церкви Богоматери. 1930-ые годы.
Vank Curch of Most Holy Theotokos. Interior. Photo of 1930s

ვანქის ღვთისმშობლის ეკლესიის ინტერიერი
1930-იანი წლები
Интерьер Ванкской церкви Богоматери. 1930-ые годы.
Vank Curch of Most Holy Theotokos. Interior. Photo of 1930s



ვანქის ღვთისმშობლის ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1930-იანი წლები.
Ванкская церковь Богоматери, вид с юго-востока. 1930-ые годы.
Vank Church of Most Holy Theotokos. South-east view. Photo of 1930s



ვანქის მამათა მონასტერი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Ванкский мужской монастырь. Фото Д. Ермакова, конец XIXв.
Vank Monastery. Photo by D. Ermakov, end of 19th c.

ა.მანთაშევის მავზოლეუმი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Мавзолей А. Манташева. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
A. Mantashev's Mausoleum. Photo by D. Ermakov, end of 19th c.

ვანქის ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათები.
1930-იანი წლები.
Купола Ванкской церкви Богоматери. 1930-ые годы.
Vank Church of Most Holy Theotokos. Domes. Photo of 1930s




ეკკლესიასა შინა ასვენია ნაწილი წმინდისა იაკობ მიწმინდელისა ნისიბის ეპისკოპოსისა. ამას თქმულსა მონასტერსა აქვს ხუთი გუმბათი, ორი მოწვრილო და სამი დიდნი, ესე ეკკლესია არს ოთხსა სვეტსა ზედა მდგომარე და დაბურვილი წითელის კრამიტით. აქვე ორი სამრეკლო დიდმშვენნი, ნაშენნი ძველისა არხიტეკტურობით. და არიან ამას შინა ერთი დეკანოზი და ექსვნი მღვდელნი."

პლ.იოსელიანი ამ მონასტრის შესახებ წერდა: „...თავდაპირველად ეკლესია XV საუკუნის ბოლოს იყო აშენებული... ამ ეკლესიის ნანგრევებზე, 1720 წლის ახლოს, მეფე ვახტანგ VI-ის დროს, ახლანდელი ააშენეს. ასე ირკვევა ეკლესიის სამხრეთი კედლის წარწერებიდან. სხვა წარწერებით ჩანს, რომ გუმბათი სომხური წელთაღრიცხვის 1198 ე.ი. 1750 წელს, ხოლო მთელი ეკლესიის აღდგენა მეფე ერეკლე II-ის დროს, 1237 ე.ი. 1788 წელს მომხდარა. ...საყდარს გარშემო დიდი სასაფლაო ეკვროდა. აქ დასაფლავებულნი იყვნენ გ.სუნდუკიანი(162) და სხვა საზოგადო მოღვაწენი. აქვე არის მავზოლეუმი, სამრეკლო, რომელიც აშენებულია სომეხი მეცენატის ა.მანთაშევის(163) საფლავზე, ამ ეზოშივე არის ეკლესიის მუზეუმი".

1901-1902 წლებში ხუროთმოძღვრის მ.სალამბეკოვის ხელმძღვანელობით ტაძარი განახლდა. ლეონ მელიქსედ-ბეგს სტატიაში „ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის" მოჰყავს დეკანოზ გ.აღაინცის ცნობა: „ეკლესიების განმაახლებელთა ველურ ჩვეულებას, რომელნიც ცდილობდნენ მოესპოთ წინანდელ აღმშენებელთა წარწერები და მათ მაგიერ გამოეჭრათ ახლები, რათა უკვდავყოთ თავიანთი სახელები შთამომავლობისათვის, და, სხვათა შორის, სრული ჭეშმარიტებით აღნიშნავს შემდეგს: „ყველას კარგად გვახსოვს ვანქის განახლების სამწუხარო ისტორია, როდესაც განმაახლებელმა ხუროთმოძრვარმა (მ.სალამბეკოვმა) გაწმინდა და მოსპო როგორც ეკლესიის ძველი წარწერები, ისე ვანქის გალავანში (მყოფი) 400-500 წლის საფლავის ქვები და მათი წარწერები".

დღეს ვანქის სამონასტრო კომპლექსისაგან მხოლოდ სამიარუსიანი სამრეკლოა გადარჩენილი. მონასტერი XX საუკუნის 30-იან წლებში ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით სამ ეტაპად დაანგრიეს.

ვანქის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მამათა მონასტერი მდებარეობდა ათონელის ქუჩაზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს.






წმინდა იაკობის და მაცხოვრის ეკლესია



1802 წლის თბილისის გეგმაზე ვანქის მამათა მონასტრის ტერიტორიაზე აღნიშნულია ორი ეკლესია – №80-ით ღვთისმშობლის მიძინების "დიდი ეკლესია" და №81-ით ყოველთა წმინდათა „გაჩანაგებული" ეკლესია.

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვანქის მამათა მონასტრის აღწერისას ამ ეკლესიის შესახებ აღნიშნულია, რომ ვანქის მამათა მონასტრის „...შინა არს აღშენებული ქვით-კირით... ამასვე დიდსა ეკკლესიასა თანა დასავლეთით მხარეს მიკრვით აღშენებულ არს ორ ატაჟიანი ეკკლესია, ძირის ეკკლესია არს სახელსა ზედა წმინდისა იაკობისასა აწ გაუქმებული და ზეშთი. მეორე სახელსა ზედა მჳსნელისა მაცხოვრისასა ყოველთა. და ესე ყოველი შენობა არს აღშენებული... წელსა 1480-სა". მიუხედავად ეგნატე იოსელიანის ცნობისა, ეს ეკლესია არ არის აღნიშნული 1735 წლის ვახუშტი ბატონიშვილის, 1782 წლის, 1785 წლის პიშჩევიჩის და 1800 წლის თბილისის გეგმებზე. თუმცა, იგი ნათლად ჩანს რუსი პეიზაჟისტის ნიკანორ ჩერენცოვის 1832 წლის თბილისის ჩანახატზე და თბილისის ერთ-ერთ უძველეს ფოტოზე.

ეგნატე იოსელიანის მიხედვით, 1837 წელს „აწ გაუქმებული და ზეშთი" ორსართულიანი წმინდა იაკობის და მაცხოვრის ეკლესია, სავარაუდოდ, დაინგრა ან დაანგრიეს და 1881 წელს მის ადგილზე რუსეთის იმპერიის გენერლის ტერ-გუკასოვის მავზოლეუმი აშენდა.



Church of St. James and Our Saviour

In the courtyard of Vank Monastery a two-storey Armenian church was located. Very little is known about the temple today. Supposedly, it was pulled down due to accident risk.

Церковь св. Иакова и Христа Спасителя

Во дворе Ванкского мужского монастыря стояла двухэтажная армянская церковь, о которой до нас дошли весьма скудные сведения. Предположительно, церковь ввиду ее аварийности разрушили в XIX веке.

ვანქის ღვთისმშობლის და წმ.იაკობის ეკლესიები.
ფოტო XIXს II ნახ
Ванкские церкви Богоматери и св. Иакова.
Фото II половины XIXв.
Vank. Most Holy Theotokos Church and St. James Chureh.
Photo of late 19th c.

თბილისი. ვანქის უბანი. 1870-იანი წლები
Тбилиси, район Ванк. 1870-ые годы.
Tbilisi. Vank area,1870s

„თბილისი ვანქის ტაძარი ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის აირიკის ჩამოსვლა". კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის მინაწერი.
«Тбилисский Ванкский храм. Прибытие Католикоса Всех Армян Аирика.» С припиской Католикоса-Патриарха Грузии Ефрема II.
Tbilisi. Vank Temple. Catholicos of All Armenians Airik's visit to Tbilisi. The postscript of Catholicos-Patriarch Eprem II.

ვანქის უბანი ნ.ჩერენცოვის ნახატი. 1832წ
Тбилиси, район Ванк. Рис Н. Черенцова. 1832г.
Vank area. Painted by Cherentsov,1832





თეთრაშენი წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის შესახებ დ.ხოშტარია 2008 წლის „საქართველოს სიძველეებში" წერს: „ზემო კალას უბანში, სიონის ტაძრის გვერდით ერთ დროს იდგა ეკლესია, რომლისაგანაც დღემდე არაფერი შემორჩა."

1673 წელს თბილისში მყოფი შარდენი წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას თეთრაშენს და დედოფლის ეკლესიას უწოდებს. იგი ეკლესიის აღმშენებლად მარიამ დედოფალს, მეფე როსტომის მეუღლეს მოიხსენიებს. ვახუშტის ცნობიდან ვგებულობთ, რომ ეკლესია როსტომ მეფეს შეუკეთებია: „არს ნათლისმცემლის. გუმბათი მოარღვია პთ მეფემან როსტომ, სხჳთ განაახლა

ულ მეფემან ვახტანგ". როგორც დ.ხოშტარია განმარტავს დედოფალი მარიამი როსტომ მეფის მეუღლე იყო, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ დედოფალი მარიამი ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის ცოლი გახდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ორივე მეფის სახელის უკან დედოფალი მარიამი იგულისხმება.

1772 წელს „ნათლისმცემლის საყდარს" მოიხსენიებს ი.გიულდენშტედტიც. ეს ეკლესია დატანილია თბილისის 1782 წლის გეგმაზე. 1800 წლის კაპიტან ჩუიკოს გეგმაზე წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია აღნიშნულია უკვე როგორც „გაპარტახებული" ეკლესია.

პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს ამ ეკლესიის ერთი ბერის საინტერესო ისტორიას: "აღა-მაჰმად ხანი ტფილისზე მეორედ ლაშქრობისას შუშაში (1797 წლის თებერვალში) მესამე დღეს... ერთ-ერთი მსახურის მიერ ფულის მოპარვის გამო ერთმანეთს წაეკიდნენ სადიყი, ტომით ქართველი, შახთან ყველაზე დაახლოვებული მონა და მეორე მსახური, ხუდად-ფერატი... ხმაურით შეწუხებულმა შაჰმა ორთავეს დაუყოვნებლივ მოკვლა ბრძანა ...შეკის ხანი სადიყ-სალიმმა, შაჰის ბანაკში დაწინაურებულმა დიდებულმა, მათი პატიების თხოვნით მიმართა; მაგრამ ხელმწიფემ უარი უთხრა და მიუგო, რომ რადგან ლოცვისადმი მიძღნილი პარასკევის ღამე დგება, მათ დილით დაასჯევინებს ...სიკვდილმისჯილი მსახურები იმ ბოლო ღამეს ჩვეულებრივი მოვალეობების შესასრულებლად მასთან დარჩნენ. სასოწარკვეთილებამ მათ მეტი სითამამე შთაბერა და როდესაც ხელმწიფეს დაეძინა, ისინი საძინებელში შევიდნენ მესამე, მოწვეულ თანამონაწილესთან ერთად და ხანჯლებით მოაკვდინეს იგი. შაჰის მკვლელი ქართველი ტფილისში ჩამოვიდა, მამა-პაპისეული სარწმუნოება მიიღო და თავისი ცხოვრება სიმყუდროვეში ტფილისში, იოანე ნათლისმცემელის მონასტრის მეტოქში 1800 წელს დაასრულა. იგი მცხეთიდან იყო და მას ანდრია ერქვა... 1839 წელს [მეტოქი] საეკლესიო სახლად აქციეს. მასთან არსებული ბაღიც, სახელგანთქმული სავანის ბერთათვის განკუთვნილი სენაკებიცა და ცხოველი წყლის წყაროც გაქრა...".

თეთრაშენს, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას შარდენის ჩანახატის მიხედვით აღწერს დ.ხოშტარია „...ეს ოქტაგონალური კოშკის მსგავსი ვიწრო და მაღალი ნაგებობაა. ჰორიზონტალური სარტყელი მას ორ იარუსად ჰყოფს. ყოველ წახნაგში ორსავე იარუსზე თითო სარკმელია. შენობას მაღალი პირამიდული სახურავი ადგას. რა თქმა უნდა, ჟ.შარდენის ნახატს ბოლომდე არ შეიძლება ვენდოთ. მაგრამ ისიც ცხადია, რომ თეთრაშენის უცნაური აგებულება მთლად მისი ფანტაზიის ნაყოფი ვერ იქნება... მას მართლა განსხვავებული არქიტექტურული კომპოზიცია ჰქონდა. ჩანს, ეს იყო ცენტრული გეგმის შენობა – გარე ოქტაგონში ჩაწერილი იყო ოთხ ან რვაფსიდიანი სტრუქტურა, ან მოკლემკლავებიანი „მარტივი ჯვარი" ეს კომპოზიციები გვხვდება ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უკვე ძალიან ადრეული ხანიდან... სახელწოდება „თეთრაშენი" და, მითუმეტეს, მისი შარდენისეული განმარტება – თეთრი შენობა მიგვანიშნებს, რომ ეკლესია გარედან ან თეთრი ქვით იყო მოპირკეთებული, ან კირის ხსნარით შელესილი."

წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია იდგა სიონის ტაძრის გვერდით, ჩრდილოეთ მხარეს.

St. John the Baptist Church

On the site adjoining King's Square a Georgian Orthodox church dedicated to St. John the Baptist was located. The date of its erection is unknown. However, we know that it was ravaged under Tamerlane (1398) and reconstructed in 1426. The church was pulled down in 1824 by reason of accident risk.


Церковь св. Иоанна Крестителя

В Тбилиси на территории, примыкающей к Царской площади, была построена грузинская православная церковь Иоанна Крестителя. Точную дату возведения церкви мы не знаем, хотя известно, что церковь, разрушенная в результате нашествия Тамерлана (1398), восстановлена в 1426 году. Ввиду её аварийности церковь снесли в 1824 году.



თეთრაშენი. წმ იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ჟან შარდენის მიხედვით. მხატვარი გრელო, 1671წ
Тетрашени, церковь св. Иоанна Крестителя. Зарисовка по Жану Шардену. Художник Грело, 1671 г.
Tetrashen, Church of St. John the Baptist. A sketch made by an artist Grello after Jean Charden, 1671

მტკვრის მარჯვენა სანაპირო. მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2010წ
Правая набережная р. Куры. Фото М. Чхиквадзе, 2010 г.
The right bank of the Mtkvari River. Photo by M.Chkhikvadze, 2010



ყოვლთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია



გადმოცემის თანახმად, დღევანდელი ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია ბერძნების აშენებული ყოფილა. იგი მოგვიანებით სომხების ხელში გადავიდა და სურბ კარაპეტის (წმინდა იოანე ნათლისმცემლის) სახელობაზედ უკურთხებიათ. პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესიის შესახებ წერს: „იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (სურბ კარაპეტი) მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დაარსებულია 1400 წელს. აღდგენილია 1822 წელს".

All Georgian Saints Church

All Georgian Saints Church is built in the Cruciform-dome style. It was erected in 1400 and was intended for the Greek parish. The temple was consecrated in commemoration of John the Baptist. Tbilisi was exposed to numerous enemy incursions. The churches and monasteries suffered the same devastation. Thus, one of such invasion caused the destruction of this temple and, subsequently, the Armenian parish made possession of it in 1705. Like most of the Tbilisi churches, this one was closed under Communist rule and a handicraft workshop was opened in it. In 1990 the temple was restored and consecrated in commemoration of all Georgian Saints. It was disposed to the Georgian parish.

Храм Всех Святых

Крестово-купольный храм Всех Святых построен в 1400 году греческой паствой и освящен во имя Иоанна Крестителя. В результате многочисленных вражеских набегов Тбилиси не раз уничтожался, грабились и разорялись церкви и монастыри. Не избежал такой участи и этот храм, который в дальнейшем, с 1705 года перешел в руки армянской паствы. Подобно большинству тбилисских церквей, в советский период в нем была прекращена служба и там был открыт кустарный цех. В 1990 году церковь реставрировали и для грузинской паствы освятили во имя Всех Святых грузин.

თბილისი. ჩუღურეთი და არსენალი.
დ. ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Тбилиси, старые районы города - Чугурети и Арсенал.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Tbilisi. Chughureti and Arsenal.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია XX ს. I ნახ. ფოტო.
Церковь всех святых. Фото I половина XXв.
Church of All Georgian Saints. Photo of early 20th c.




ცხრა ეკლესია

ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია

1802 წლის თბილისის გეგმაზე ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია აღნიშნულია როგორც დანგრეული ეკლესია. პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერაში მისი აღდგენის თარიღად 1822 წელს ასახელებს, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ პერიოდიდან ეს ეკლესია სომხების ხელში გადადის და მან ჩვენამდე XIX საუკუნის I ნახევარში აგებული შენობის სახით მოაღწია.


თბილისის უმეტესი ეკლესიების მსგავსად, საბჭოთა პერიოდში აქაც არ მიმდინარეობდა მსახურება. ეკლესიაში გახსნილი იყო თაბაშირის ფიგურებისა და სარკის ჩარჩოების ჩამოსასხმელი კუსტარული საამქრო.

1990 წელს ეკლესიას ჩაუტარდა რესტავრაცია და იგი ქართველი მრევლისათვის ყოველთა ქართველთა წმინდათა სახელზე ეკურთხა. დღევანდელი ტაძრის შენობა წარმოადგენს XIX საუკუნის აგურის ნაგებობას მართლმადიდებლური ეკლესიისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ჯვარ-



თბილისი, ჩუღურეთი და ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Тбилиси, старый район города - Чугureти и церковь всех святых
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Tbilisi Chughureti and Church of All Georgian Saints
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

მტკვარზე გადასასელელი ბორანი ჩუღურეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი.
Паром через Куру из Чугureти. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Chughureti. Ferry across the Mtkvari River.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.





ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь всех святых. Фото И. Микадзе, 2009г.
Church of All Georgian Saints. Photo by I.Mikadze, 2009


ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესია. XXს.I ნახ. ფოტო.
Церковь всех святых. Фото I половины XXв.
Church of All Georgian Saints. Photo of early of 20th c.


ყოველთა ქართველთა წმინდანთა ეკლესიის სამრეკლო. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Колокольня церкви всех святых. Фото И.Микадзе, 2009г.
Church of All Georgian Saints. Belfry. Photo by I.Mikadze, 2009

გუმბათოვანი ფორმებით. თუნუქით გადახურული თორმეტსარკმლიანი გუმბათის ყელი შეულესავი ძველი აგურისაა. დანარჩენი ფასადები შელესილია და დატანილია ნალესი პროფილები. ტაძრის გეგმა წარმოადგენს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით დასრულებულ წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომელშიც გაჭრილია გარეთ შევიწროებული სარკმელი. ეკლესიის იატაკის ქვეშ საძვალე იყო მოთავსებული.

აღდგენილი ეკლესიის საკურთხევლის და გუმბათის ყელის მოხატულობა ეკუთვნის ხატმწერ ლაშა კინწურაშვილს. ტაძარში ახლად დაწერილი ხატებია. კანკელის მარჯვენა მხარეს არის ყოველთა წმიდანთა ხატი (ტაძრის მთავარი ხატი), უდიდეს საუფლო დღესასწაულთა ხატები.

თბილისის ყოველთა ქართველთა წმინდანთა გუმბათიანი ეკლესია დგას ავლაბრისა და ჩუღურეთის(164) საზღვარზე, შემაღლებულ ბორცვზე - ე.ახვლედიანის აღმართის №8–ში.





ჯალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია

წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობდა ქალაქის ისტორიული გარეთუბნის ერთ-ერთ მიკროუბანში–კალოუბანში, ახლანდელ კინოთეატრ "რუსთაველის" ადგილზე. პლატონ იოსელიანი ამ ადგილის სახელთან დაკავშირებით წერს: „მოგვითხრობენ, რომ თბილისში, იმ ადგილას, სადაც არც ისე შორეულ წარსულში იდგა კალოუბნის დანგრეული ეკლესია და მის ირგვლივ მდებარე კალოს ადგილებში, თემურმა ბრძანა თავი მოეყარათ ბავშვებისათვის და გადათელა ისინი ველური ცხენოსანი ჯარით... ეს ამბავი მოგვაგონებს ყრმათა ამოწყვეტის ისტორიას ეფრატის სანაპიროზე მდებარე მცირე აზიის ერთ ქალაქში, სადაც მცხოვრებლებმა თემურის შესახვედრად გაგზავნეს ქალაქის ყველა ბავშვი ყურანით ხელში. მიდიოდნენ ბავშვები საღმთო წიგნებით, რათა ეთხოვნათ დაცვა და სიცოცხლის შენარჩუნება, თან იმეორებდნენ ტაეპებს სამოციქულო წიგნიდან. რა ბღავილია? – იკითხა თემურმა, და როდესაც მას განუმარტეს, რომ ეს მის დიდსულოვნებას მინდობილთა გოდება და ვედრებაა, უბრძანა მან თავის ცხენოსან ჯარს გადაეთელათ ბავშვთა ეს ბრბო. ისინი სრულად ამოწყდნენ თათართა ცხენების ჩლიქების ქვეშ".

კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ 1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხულობთ: „გარეთუბანსვე შინა არის ეკკლესია წმინდისა და ძლევაშემოსილისა მთავარმოწამისა გიორგისა 23-სა დღესა ზედა აპრილის თთვისასა, სახელითა ქალაქისა ამის ძველის სახელით კალოს–უბნისად წოდებულისათა, თუმცა უგუმბათო, მაგრამ რომელიმე ნაწილი ქვით-კირით კამარა-შეკრული, და რომელიმე ნაწილი ხის ჭერით დახურვილი. არსადა ჰსჩანს დრო და აღმაშენებელი მისი და ადგს პატარა სამრეკლო ზარებისა გუმბათიანი ...აქა შეკრბება დღესასწაულობად დიდი ერი, თუმცა არა თჳსა დღესა. აქა სწავლობენ მრავალნი ყრმანი კითხუასა წიგნთასა და წერასა."

კალისტრატე ცინცაძე წერს: "აწინდელი ხახვისთავის მსგავსი გუმბათიანი კალოუბნის ტაძარი აშენებულია 1856 წელს, მისი წინამოადგილე კი აშე-

The Kaloubani Church of St. Giorgi


St. Giorgi Church was built in 1518 in the historical area of Kaloubani. The repair work carried out in 1850 gave the church the shape of Russian temples. A parochial school under the supervision of the church was opened also. In 1934 the temple was pulled down.


Калоубанская церковь св. Георгия

Грузинская православная церковь св. Георгия была расположена в одном из микрорайонов исторической окрестности города - Калоубани. Церковь построили в 1518 году. Обновленная в 1850 году церковь повторяла формы русских храмов. При церкви функционировало и приходское училище. Церковь снесли в 1934 году.

გოლოვინის გამზ. და კალოუბნის წმ გიორგის ეკლესია დ ერმაკოვის ფოტო, 1860-იანი წწ.
Головинский проспект и Калоубанская церковь св. Георгия. Фото Д.Ермакова, 1860-ые годы.
Golovin Avenue and the Kaloubani St. Giorgi Church. Photo by D. Ermakov, the 1860s

თბილისი, გოლოვინის გამზ. დ ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Тбилиси, Головинский проспект. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Tbilisi, Golovin avenue. Photo by D.Ermakov. End of 19th c.





კალოუბნის წმ გიორგის ეკლესია. XXს დასაწყისი.
Калоубанская церковь св. Георгия. Начало XXв.
Kaloubani St. Giorgi Church. Early 20th c.

თბილისი. ცენტრალური ნაწილი. დ ნიკიტინის ფოტო, 1864 წ
Тбилиси. Центральная часть. Фото Д.Никитина, 1864г.
Tbilisi. Central part. Photo by D.Nikitin, 1864

ნებული ყოფილა 1518 წელს, რომ ქაშვეთის ეკლესიის... მომსგავსებით იყო დახატული კალოუბნის ეკლესიის კანკელის აღსავლის კარების ზემოთ მოთავსებული იმავე შინაარსის ხატი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით კანკელი იმა ტაძრისა დამზადებული იყო ქაშვეთის კანკელის მიმსგავსებით. არც გასაკვირველია: დეკანოზი ვასილ ბარნოვი(165), რომლის დროსაც დაიდგა კალოუბნის ეკლესიის კანკელი, წინათ მღვდლობდა ქვაშვეთში".

კალისტრატე ცინცაძის მიერ გადმოცემული ქაშვეთის აღწერილობის მიხედვით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ თუ როგორ გამოიყურებოდა ეს ხატი და კანკელი: "კანკელი შვიდიარუსიანი (სართულიანი) იყო, ოქროთი მოვარაყებულ კორინთული სტილის კაპიტელებიანი პილასტრებით და სხვადასხვა ფიგურებით (ანგელოზთა თავები, ყურძნის მტევნები, ფოთლები, სამკუთხედები, კორონები და სხვ.): პირველ იარუსში მოთავსებული იყო "ადგილობრივი" ხატები, მეორეში–ათორმეტი დღესასწაულები, მესამეში–მოციქულები, მეოთხეში–წინასწარმეტყველები, მეხუთეში–წარღვნის შემდგომნი მამამთავარნი, მეექვსეში–წარღვნის უწინარესნი, ხოლო მეშვიდეში–ექვს ბოლოიანი "ჯვარცმა" წინამდგომარე ღვთისმშობელისა და იოანე ღვთისმეტყველით".

ხატის შესახებ ვკითხულობთ: "...ღვთისმშობლის მიერ წმინდა ნინოსთვის ვაზის ჯვარის გადაცემის ხატი, რომლის შინაარსი ასეთი იყო: მუხლებზე მდგომარე წმინდა ნინოს დედა ღვთისა მარჯვენით აძლევს ჯვარს, ხოლო მარცხენით უჩვენებს გაშლილ გრაგნილზედ მხედრული ასოებით დაწერილ სიტყვას: ივერია, ე.ი. ჩემ წილხვდომილ ქვეყანას, ივერიას, შენ გაბარებ ჯვარცმულის სწავლით გასანათლებლადო."


მ.ჯანაშვილი გადმოგვცემს, რომ „კალოუბნის წმინდა გიორგი აგებულია უძველეს დროს და განახლებულია 1850 წელს მღვდლის იოსებ ნამორაძის(166) მეცადინეობით". კათოლიკოს იოანეს(167) 1688-1703 წლების წყალობის სიგელი სახლთუხუცეს რევაზ მაღალაძისადმი გვამცნობს, რომ კალოუბნის ეკლესიასთან კერამიკული ჭურჭლის გამოსაწვავი სახელოსნო ყოფილა: "შეგიწყალეთ და მეჭურჭლის გიორგის სახლ-კარი, კალოუბნის საყდრის წინ დარბაზი, ოთახები, ეზო, საჭურჭლე და დუქანი ყოვლის მისის შესავლითა, გასავლითა, გზითა და გარშემოთ ...თქვენთვის გვიბოძებია".

პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერის დროს კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ წერს: "წმინდა მოწამისა და ძლევამოსილი გიორგის ეკლესია, კალოუბნისა ვინ ააშენა უცნობია. სიძველე მისი უდავოა და ტფილისის დაარსების ჟამს უნდა სწვდებოდეს. მასთან ძველთაგანვე სამრევლო სასწავლებელიც ყოფილა".

თ.ბერიძის აზრითაც, კალოუბნის ეკლესიის აგება თბილისის ქალაქობის ადრეულ ხანასთანაა დაკავშირებული. „კალოუბანი" გვხვდება 1560 წლის სიგელში. 1715 წლის სიგელით ვიგებთ, რომ კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია თავის მამულიანად ზუმბულიძეთა სამკვიდრო ყოფილა.

1850 წელს აგებული ტაძარი ზოგადი სახით რუსული ტაძრების ფორმას იმეორებდა: კუბური კორპუსი, მრგვალი გუმბათის ყელი, „ხახვისებრი გუმბათი"

ეკლესია აიღეს 1934 წელს კინოთეატრ „რუსთაველის" მშენებლობასთან დაკავშირებით



შაჰ-ისმაილის მეჩეთი

VIII საუკუნეში არაბების მიერ თბილისის დაპყრობას ქალაქში მუსულმანური აღმსარებლობის მოსახლეობის დამკვიდრება მოჰყვა. „სავარაუდებელია, რომ ქართველები პირველად მუჰამედის მოძღვრებას VIII საუკუნეში გაცნობოდნენ, როცა ქვეყანას არაბთა ხალიფატის დამპყრობელი ჯარები მოადგნენ. ბუნებრივია, იმ პერიოდის საქართველოში ცოტა ვინმეს თუ ექნებოდა წარმოდგენა დამპყრობელთა იდეოლოგიური საფანელის, ანუ ისლამის კარდინალურ საკითხებსა და თვით ამ რელიგიის არსზე. VIII საუკუნის შუა ხანებში დადებული ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელით კი ფაქტობრივად იწყება საქართველოსა და მუსლიმური სამყაროს დოკუმენტური ურთიერთობა ...განსაკუთრებით ქართლში ფეხის მყარად მოკიდების მერე, როცა ქვეყნის მმართველად თავიანთი ამირა ჩააყენეს, საკუთარი იდეოლოგიის განმტკიცებაზეც იზრუნეს. IX საუკუნის ელიტა ისე საფუძვლიანად იცნობდა მაჰმადის მოძღვრებას, რომ ამ სჯულის მეცნიერებთან პოლემიკასაც არ ერიდებოდა." – წერს გ.ლობჟანიძე.

ქართლში, კერძოდ თბილისში მუსლიმური სამყაროს გავლენას ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა, რომ – „ყურანი ქართულს ენაზედ უნდა იყოს ნათარგმნი X საუკუნეში და იქნებ, IX საუკუნეში, როცა ქართლსა და კახეთში არავინ იყვნენ მომვლელნი და მფლობელნი ჩვენი სამშობლოსი".

VII-XI საუკუნეებში თბილისში მაჰმადიანთა 400 წლის ბატონობამ ქალაქის გარეგან სახეზეც მოახდინა გავლენა, რის გამოც იგი ატარებდა როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსულმანურ იერს. თბილისი მონაცვლეობით ხან სუნიტი თურქ-ოსმალების ხელში იყო, ხან კი შიიტი ირანელებისა.

მუსლიმანური დღესასწაულების დროს მეფე დავითი და უფლისწული დემეტრე მიდიოდნენ მეჩეთში, ულოცავდნენ დღესასწაულს და ასაჩუქრებდნენ იქაურ მოსახლეობას. 1153-1154 წლებში ჩამოსული ალ-ფარიკი წერს, რომ "მეფემ მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი... მე ვნახე აბხასთა მეფე დიმიტრი... ერთ პარასკევ დღეს იგი მივიდა ჯამეში, დაჯდა ქვის საჯდომზე ხატიბის პირდაპირ და ფეხი არ მოუცვლია, ვიდრე არ ჩაათავეს ხატიბმა და ხალხმა". XIII საუკუნეში არაბი გეოგრაფი ზაქარია ალ-ყაზვინი თბილისზე წერდა: "ალ-ქურის ერთ-ერთ ნაპირზე ლოცვისაკენ მოუწოდებდნენ, მეორეზე კი ზარებს რეკენ". პლატონ იოსელიანის ცნობით, თბილისში ხუთი მეჩეთი ყოფილა. მათგან ორი როსტომ მეფეს აუგია XVII საუკუნეში.

XV-XVI საუკუნეებში თბილისში შიიზმი ვრცელდება, რაც ირანისა და ირანული კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების სიახლოვით იყო განპირობებული. 1522 წელს ირანის შაჰმა ისმაილმა თბილისში შიიტების მეჩეთი ააგო, რომელსაც ცისფერი შორენკეცის გამო „ცისფერ მეჩეთს" ეძახდნენ. გადმოცემის თანახმად, მეჩეთი დანგრეული მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილზე აიგო. მას თბილისის მოსახლეობა "შაჰის მეჩეთსაც" უწოდებდა. ეს შიიტების მეჩეთი ძველ თბილისში ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა იყო.

თბილისში ყოველთვის იმართებოდა სხვადასხვა ხალხური და რელიგიური ხასიათის ზეიმები. ერთ–ერთი დღესასწაული, ნოვრუზ ბაირამი ანუ საახალწლო ბაირამი გაზაფხულზე იმართებოდა. იკრიბებოდნენ მეტეხის ხიდთან შაჰ-ისმაილის მეჩეთში, სადაც დილის 11 საათზე იწყებოდა ზეიმი, რომლის დამთავრების შემდეგ ამქრის დროშებითა და ნიშნებით, ზურნის თანხლებით

Shah-Ismail Blue Mosque of the Shiites


The conquest of Tbilisi by Arabs in the 8th century was followed by the settling of the Muslim population in Tbilisi. In 1522 the Persian Shah Ismail built a Shiite mosque which the inhabitants of the city called also the "Shah's Mosque". The building was one of the most beautiful in old Tbilisi and existed till 1951. It was pulled down in connection with the reconstruction of the city.

Шиитская мечеть шаха Исмаила

Завоевание Тбилиси арабами в VIII веке повлекло за собой укоренение в городе населения мусульманского вероисповедания. В 1522 году персидский шах Исмаил возвел в Тбилиси шиитскую мечеть, которую тбилисское население называло также «мечетью шаха». Она была одним из красивейших сооружений в старом Тбилиси, просуществовавшим до 1951 года. Её снесли в связи с реконструкцией города.


შიიტების მეჩეთი XIXს. დასასრული.
Шиитская мечеть. Конец XIX в.
The Shiite Mosque. Photo of late 19th c.

ავლაბრის ხიდი და შიიტების მეჩეთი დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Авлабарский мост и Шиитская мечеть. Фото Д. Ермакова, конец XIX в.
Avlabari Bridge and the Shiite mosque. Photo by D. Ermakov. Late 19th c









ავლაბრის ხიდი და შიიტების მეჩეთი
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული
Авлабарский мост и Шиитская мечеть.
Фото Д. Ермакова, конец XIX в.
Avlabari Bridge and the Shiite mosque
Photo by D. Ermakov. Late 19th c

ავლაბრის ხიდი და შიიტების მეჩეთის დანგრევა
1950-იანი წ
Авлабарский мост и разрушение Шиитской мечети.
1950-ые годы.
Avlabari Bridge and the destroyed Shiite mosque
Photo of 1950s

ავლაბრის ხიდი და შიიტების მეჩეთი
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული
Авлабарский мост и Шиитская мечеть.
Фото Д. Ермакова, конец XIX в.
Avlabari Bridge and the Shiite mosque.
Photo by D. Ermakov. Late 19th c

მიემართებოდნენ სოლოლაკის უბნისაკენ (ჭონქაძის ქ.), სადაც იმყოფებოდა თბილისში სპარსეთის საკონსულო.

თბილისელ მაჰმადიანებს ჰქონდათ ბაირამის ორი დღესასწაული – ყურბან-ბაირამი და რამაზან-ბაირამი. ყურბან ბაირამი ოთხი დღე გრძელდებოდა, ხოლო რამაზან ბაირამი სამი დღე. ყურბან ბაირამის დროს იკვლებოდა შესაწირი და ხორცს ქალაქში მცხოვრებ ღარიბ ოჯახებს უგზავნიდნენ.

ამ მეჩეთმა 1951 წლის შემოდგომამდე იარსება, იგი დაანგრიეს ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს მეორე არაოფიციალური ვერსიაც – მეჩეთის დანგრევის მიზეზი დღესასწაულის "შაჰსეი-ვაჰსეის"[168] დროს შიიტი მუსლიმების დაღუპვა იყო.

მეჩეთის ნანგრევებში აღმოაჩინეს ვერცხლის მონეტების განძი. ჩვენამდე მოაღწია 434 მონეტამ. მონეტები თბილისის ამირას-ალი იბნ ჯაფარის მმართველობის ხანის ერთადერთი ნივთიერი ძეგლია. მეჩეთიდან შემორჩენილი ორნამენტები და წარწერებიანი ფილები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

თბილისის შიიტების მეჩეთი[169] მდებარეობდა ავლაბრის ძველი ხიდის თავში, მეტეხის ტაძრის მოპირდაპირე მხარეს.



შიიტების მეჩეთი
დ ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Шиитская мечеть. Фото Д. Ермакова, конец XIX в.
The Shiite mosque. Photo by D. Ermakov. Late 19th c




შიიტების მეჩეთი
დ ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Шиитская мечеть. Фото Д. Ермакова, конец XIX в.
The Shiite mosque. Photo by D. Ermakov. Late 19th c





ავლაბრის ხიდი და შიიტების მეჩეთი
ა.ენგელის ფოტო XIXს. დასასრული.
Авлабарский мост и Шиитская мечеть.
Фото А. Энгеля, конец XIX в.
Avlabari Bridge and the Shiite mosque. Photo
by A.Engel. Late 19th c





ახლისუბნის
წმინდა გიორგის ეკლესია

გადმოცემით, კლდისუბნის(170) ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მეფე ვახტანგ გორგასლის მიერაა დაარსებული და იწოდებოდა დედაციხის პატარა ეკლესიად. ჩვენამდე კი ამ ტაძარმა XVIII საუკუნის გეგმით მოაღწია. ამ ეკლესიას ძველ თბილისში "ხიხოს ეკლესიასაც" უწოდებდნენ.


კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ 1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხულობთ: "ტფილისის სამხრეთითვე, კლდისუბანსა შიდა, მაღალსა კედელსა ზედა აღშენებულ არს ეკლესია მცირე მცირისავე გუმბათითა, კეთილ და მშვენიერ სახილველი, სახელსა ზედა წმინდისა გიორგისასა, სადაცა ასვენია ნაწილი წმიდისა გიორგისავე სასწაულმოქმედი. ეკკლესია ესე აღშენებულ არს წელსა 1600-სა საკუთარითა თვისითა მწირისა ვისმე სომეხთა ბერისაგან, რომელიცა აწ არს კრამიტით დახურვილი და იწოდების იგი კლდის ეკკლესიად", თუმცა, რა წყაროს ეყრდნობა ეგნატე იოსელიანი, როდესაც

The Kldisubani Church of St. Giorgi

Tradition holds that the Kldisubani Church of St. Giorgi was built in the period of the foundation of Tbilisi. After one of the enemy incursions the ruined temple passed into the hands of the Armenians. According to the donation inscription it was reconstructed in 1753. In the 19th century the temple was substantially repaired. Several structural layers can be seen within the building. Divine Services ceased under Communist rule. In 1991 the temple was consecrated again and they have been conducted in Georgian since then.

Кладисубанская церковь св. Георгия

По преданию, грузинская православная церковь пострена в пору основания Тбилиси в старом районе города-Кладисубани. Разрушенная в результате вражеских нашествий церковь переходит в руки армян. Согласно ктиторской надписи церкви она восстановлена в 1753 году. Храм основательно был отремонтирован в XIX веке, в церкви заметны несколько строительных слоев. В советский период в храме прекратилось богослужение. С 1991 года храм был передан Патриархии Грузии и был освящен во имя св. Георгия.





კლდისუბნის წმ გიორგის ეკლესია. დ ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Кладисубанская церковь св. Георгия. Фото Д. Ермакова, начало XX в.
The Kldisubani St. Giorgi Church. Photo by D.Ermakov Early 19th c.

კლდისუბნის წმ გიორგის ეკლესიის ცრუ გუმბათი
დ ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი.
Ложный купол Кладисубанской церкви св. Георгия. Фото Д. Ермакова, начало XX в.
The Kldisubani St. Giorgi Church False dome. Photo by D.Ermakov. Early 19th c.

კლდისუბნის წმ გიორგის ეკლესიის დასავლეთი ფრონტონი
მ ქუთათელაძის ფოტო, 2007წ.
Западный фронтон Кладисубанской церкви св. Георгия.
Фото М.Кутателадзе, 2007 г.
The Kldisubani St. Giorgi Church. West pediment. Photo by M. Kutateladze, 2007





წერს „აღშენებულ არს სომეხთა ბერისგან", ჩვენთვის უცნობია. დანგრეული და გაძარცული ქართული ეკლესია, როგორც მრავალი თბილისის მართმადიდებლური ეკლესია, სომხების ხელში გადადის.

1735 წლის ვახუშტის გეგმაზე ტაძრის დასავლეთით, შესასვლელის წინ იდგა სამრეკლო. ტაძარი XIX საუკუნეში საფუძვლიანად შეკეთდა, ცილინდრული კამარით გადახურულ დარბაზული ტიპის ნაგებობას ამავე პერიოდში დაადგეს ცრუ გუმბათი და სამრეკლო დააშენეს. რესტავრაციის კვალის მიმანიშნებელია ქვის წყობაში შერეული აგურის ფენები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე აგურითვე გამოყვანილი ჯვრები და რომბების მწკრივი. ტაძარი აშენებულია ქართული აგურის, აგრეთვე წყობაში ფლეთილი და რიყის ქვების შერეული წყობით. ეკლესიაში შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. თავდაპირველად შენობა გარედან სრულიად სადა იყო.

საბჭოთა პერიოდში ტაძრის ჩრდილოეთის ფასადზე არაკანონიერად მიშენდა საცხოვრებელი ოთახები. ამავე პერიოდში კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოწყობილი იყო თოჯინების და სხვადასხვა საამქროები, კრივის სექცია, მოსახლეობა მას საბანკეტო დარბაზად და სამტრედედაც იყენებდა.

XX საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოს საპატრიარქოს დავალებით დაიწყო ეკლესიის აღდგენა. ტაძარი ხელახლა 1991 წლის 23 ნოემბერს იკურთხა. 2002 წლიდან ეკლესიას ჩაუტარდა მნიშვნელოვანი კეთილმოწყობითი და მცირე გამაგრებითი სამუშაოები, დასუფთავდა, მოპირკეთდა ეზო, მოხდა მისი გამწვანება. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა დღესაც გრძელდება.

კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას. მისი ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები გრძივი კედლების ძლიერი შვერილი პილასტრების ორ წყვილს ეფუძნება. საკურთხევლის გვერდებზე შეისრული კამარებიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა მოწყობილი, რომლებსაც მცირე მეორე სართულებიც აქვთ.


ამ სათავსოებში ასასვლელი მოწყობილია საკურთხევლის კედლებში მაღლა დატანილი მართკუთხა ხვრელებიდან. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, საკურთხევლიდან იყო ჩასასვლელი ქვევითაც. აღმოსავლეთ ფასადთან ნაპოვნია სამარხი. ეკლესიის ახლად დაწერილი ხატების ავტორია ლია კინწურაშვილი.

თბილისის წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს კლდისუბანში, გომის III ჩიხის №5-ში.


კლდისუბნის ეკლესიის წმ.გიორგის ხატი. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ.
Икона св. Георгия Клдисубанской церкви. Фото М. Кутателадзе, 2007 г.
St. Giorgi. The icon of the Kldisubani Church St. Giorgi. Photo by M. Kutateladze, 2007

კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ.
Клдисубанская церковь св. Георгия, вид с северо-запада. Фото М. Кутателадзе, 2007 г.
The Kldisubani St. Giorgi Church. North-west view. Photo by M. Kutateladze, 2007

კლდისუბანი და წმ.გიორგის ეკლესია. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ
Старая часть города – Клдисубани и церковь св. Георгия. Фото М. Кутателадзе, 2007 г.
Kldisubani area and St. Giorgi Church. Photo by M. Kutateladze, 2007







ძველი თბილისის ხედი
ი.მიქაძის ფოტო, 2010წ.

Вид старого Тбилиси.
Фото И. Микадзе, 2010 г.

View of Old Tbilisi.
Photo by I.Mikadze, 2010



წმინდა ილია წინასწარმეტყველის ტაძარი

წმინდა ილია წინასწარმეტყველის (თეზბიტელის) პირველი ეკლესია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, იდგა თბილისის ჩრდილო–აღმოსავლეთით აღმართულ მახათას მთაზე. მისი აგების ზუსტი თარიღი უცნობია. მახათაზე ეკლესიის არსებობის შესახებ ცნობას პირველად ვხვდებით ქართლის მეფის, როსტომის მიერ ხოჯა ბეჰბუდასადმი გადაცემულ ქართულ და სპარსულ ენებზე შედგენილ წყალობის წიგნში. ხოჯა ბეჰბუთას მეფისათვის უთხოვია „მახათას ეკლესიის" ქვემოთ მდებარე ვაკე ადგილი თავისი ახლობლებისათვის სასაფლაოს მოსაწყობად.

რაც შეეხება მის სახელს, პლატონ იოსელიანი ამბობს: "...ამ შემაღლებაზე მდგომ წმინდა ელია წინასწარმეტყველის ეკლესიში, როგორც ნიშნად მისი ზეცად სასწაულებრივი აღსავლისა, მოდიოდნენ და მოდიან წმინდანის დღესასწაულზე, 20 ივლისს. აგურის საფუძველი, მიწის ერთი არშინით აცილებული, ჯერაც მთელია. საქართველოს ეგზარქოსს მოსე მთავარეპისკოპოსს, საყვარელ მღვდელმთავარს საქართველოს ეკლესიისა, სურდა იგი თავისი ხარჯით აღედგინა, მაგრამ ღმერთმა ინება მისი მიწიერი არსებობისათვის ზღვარი დაედო". მ.ჯანაშვილი წერს: „ტაძარი ელია წმინდა, მახათას მთაზე,

აწ დანგრეული". ამ ეკლესიის სახელის მიხედვით მახათას მთაზე დასახლებულმა მოსახლეობამ ამ უბანს ელიას უბანი დაარქვა.

1902 წლის 21 აგვისტოს გაზეთი "ივერია" წერდა: "მახათას მთის ერთი მწვერვალთაგანი ათი დესატინა მიდამოთი თავადების ბებუთაშვილებისგან უყიდია ტფილისის ერთს მემამულეს ბ-ნს კ.ა.ხოზლოვს, რომელსაც დაუყვია 150 პატარ-პატარა ნაჭრებად ეს თავისი მამული და ჰყიდის საჟენს 20-50 კაპ., ვიდრე 5 მანეთამდე. მუშტარი ბევრი აწყდება თურმე, მეტადრე ქართველობა და რუსნი, რადგანაც ბ-ნს ხოზლოვს გადაუწყვეტია და სათანადო ლოცვა-კურთხევა მიუღია კიდეც იმ ძველის ეკლესიების ნანგრევების აღსადგენად, რომლებიც განვლილ საუკუნეებში ყოფილა აგებული ზედ მთის წვერზე. ეკლესია წმინდა ელიას სახელზე იყო აგებული და დღემდის მხოლოდ მიწიდან ორის ადლის სიმაღლე ნანგრევი-ღა დარჩენილა. ნანგრევებში ბ-ნს ხოზლოვს უპოვნია პატარა ჯვარი ხუცურის წარწერით. მთელს ხარჯს, რაც დასჭირდება ეკლესიის აღდგენას, ბ-ნი ხოზლოვი თავად კისრულობს".

1998 წელს დაიწყო წმიდა ილია წინასწარმეტყველის (თეზბიტელის) მეორე - ხის ტაძრის აგება, რომელიც ოთხ თვეში აიგო და საღმრთისმსახუროდ 1998 წლის ბრწყინვალე შვიდეულში გაიხსნა. წაბლის ხით ნაგები ეკლესია მარმარილოთი მოპირკეთებული და სპილენძით გადახურული იყო.

1999 წლის 2 მარტს ღამით ტაძარი დაიწვა. დღეისათვის ელიას მთაზე, სამების საკათედრო ტაძრის ეზოში დგას წმინდა ილია წინასწარმეტყველის ახალი მესამე ეკლესია.

St. Elijah the Prophet Church

The exact date of the erection of St. Elijah the Prophet Church is unknown. The data on the temple is found as late as in the 17th century. People also called after the prophet's name the area of its location. In 1998 the construction of a new timber church started, but in 1999 due to an accident it caught fire and burnt. At present, on mount of Elijah, in the courtyard of Holy Trinity Cathedral stands a new third church dedicated to Elijah the Prophet.

Храм св. Пророка Ильи


Точная дата возведения первой грузинской православной церкви св. Пророка Ильи неизвестна. Сведения о ней впервые встречаются в XVII веке. Район, где стоит церковь, тбилисцы назвали Элией. В 1998 году началось строительство второго деревянного храма св. Пророка Ильи, однако в результате несчастного случая церковь сгорела в 1999 году. Сегодня на горе Элия, во дворе Кафедрального Храма Троицы возведена новая третья грузинская православная церковь св. Пророка Ильи.

წმ ილია წინასწარმეტყველის ხის ეკლესია. ა.მინდიაშვილის ფოტო 1998 წ.
Деревянная церковь св. пророка Ильи, Фото А. Миндиашвили, 1998 г.
The wooden Church of St. Elijah the Prophet. Photo by A.Mindiashvili, 1999

წმ.ილია წინასწარმეტყველის ხის დამწვარი ეკლესია. ა.მინდიაშვილის ფოტო 1999 წ.
Сгоревшая деревянная церковь св. пророка Ильи, Фото А. Миндиашвили, 1999 г.
The burnt wooden church of St. Elijah the Prophet. Photo by A.Mindiashvili, 1999

წმ.ილია წინასწარმეტყველის ეკლესია დასავლეთიდან ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св. пророка Ильи, вид с запада. Фото И. Микадзе, 2009 г.
Church of St. Elijah the Prophet . West view. Photo by I.Mikadze, 2009









როსტომის სამეფო მეჩეთი

XVII საუკუნისათვის თბილისი სპარსელების ხელში იმყოფებოდა. როგორც ჟან შარდენი გადმოგვცემს: "თბილისში არც ერთი მეჩეთი არ არის, მიუხედავად ამისა, რომ ეს ქალაქი მაჰმადიანურ სახელმწიფოს ეკუთვნის... სპარსელები არაფერს იშურებენ იმისათვის, რომ აქ მეჩეთი აეშენებინათ ...ხალხი მაშინვე აღსდგებოდა ხოლმე, იარაღით ხელში ანგრევდა ნაგებობას და სასტიკად უსწორდებოდა მშენებლებს".

ამის მიზეზი მთავართა მუსულმანობის მოჩვენებითობა და სპარსელების სისუსტეც იყო, რის გამოც ისინი ურიგდებოდნენ ასეთ მდგომარეობას. "ისინი - გადმოგვცემს შარდენი - თბილისის ქალაქსა და მთელ საქართველოს სრულ ნებას აძლევდნენ შეინარჩუნონ რელიგიის ყველა გარეგნული ნიშანი. ყველა ეკლესიას სამრეკლოს ზემოთ გაკეთებული აქვს ჯვარი და კიდია ზარები ...სხვა ხორცეულთან ერთად საჯაროდ და დაუფარავად ყოველდღე იყიდება ღორის ხორციც, ხოლო ღვინოს ყველა გზაჯვარედინზე შეხვდებით".

1633 წელს ქართლის სამეფო ტახტზე ადის ქართველი მუსლიმი მეფე როსტომი, რომელიც აღიზარდა ირანში. ქართველები მას ქართლის მეფედ თვლიდნენ, თავად კი თავს ირანის ვასალად აღიარებდა. როსტომის გამეფებით ირანისა და ქართლის ურთიერთობაში ერთგვარი კომპრომისი დამყარდა. როსტომმა ჩამოსვლისთანავე ცოლად ლევან მეორის და მარიამი შეირთო.

როსტომის მეფობის წლებში სამეფო კარზე და მაღალ ფეოდალურ არისტოკრატიაში მაჰმადიანობა და ყიზილბაშური წესჩვეულებანი გავრცელდა. თუმცა, იგი არ ავიწროებდა ქრისტიანებს, ხელს უწყობდა მარიამ დედოფალს დანგრეულ-დაზიანებული ეკლესიების აღდგენასა და ახლების აშენებაში.



მეფე როსტომი თბილისში, მეფის მოედანზე აშენებს მდიდრულ სასახლეს, რომლის შესახებ ვრცელი აღწერა დაგვიტოვა ჟან შარდენმა. ამ სასახლის ტერიტორიაზე როსტომი "სამეფო მეჩეთს" აშენებს. პლატონ იოსელიანი წერს: "...მეფე როსტომის მიერ აშენებული სამეფო მეჩეთი, რომლის მოპირდაპირე მხარეს იდგა ნაღარა-ხანა მეფის ჯარისკაცების მუსიკოსებისათვის. ამ შენობებს შორის გაკეთებული იყო თაღი კარებისთვის, რომლითაც ღამით იკეტებოდა ჭიშკარი მეფის მოედნის მხრიდან, საიდანაც შეიძლებოდა მოხვედრა ბაზარში ან სიონის ქუჩაზე".

ვახუშტის თქმით: „მეფემან როსტომ აღაშენა მეჩეთი... სასახლესა შინათვისსა". მეფე როსტომის მეჩეთი და მინარეთი დაანგრიეს 1783 წელს, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ტრაქტატს მეფე ერეკლე II-სა და რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს შორის. როსტომის ბრძანებით თბილისში რამდენიმე მეჩეთი აშენდა, მათ შორის ერთ-ერთი მთელ ახლო აღმოსავლეთში უმნიშვნელოვანეს მუსულმანურ სამლოცველოდ ითვლებოდა.

როდესაც მაჰმადიანი მეფე თავის სასახლეში ერთ მეჩეთს აშენებდა, დედოფალმი მარიამი ამავე ტერიტორიაზე ორ მართლმადიდებლურ ეკლესიას აგებდა – ღვთისმშობლის ხარებისა და წმინდა იოანე ნათლისმცემლის, აგრეთვე მან წმინდა გიორგის კარის ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო.



The Royal Mosque of King Rostom

By the 17th century Tbilisi was already under Iranian rule. In 1633 King Rostom succeeds to the throne. He was Muslim, brought up in Iran. Nevertheless, he did not restrict the Georgians in their confession. More over, he supported the Queen in conducting the revival of ruined and damaged churches and constructing new ones. King Rostom builds up a magnificent royal palace and 'Royal Mosque' in King's Square. On his order several mosques were built in Tbilisi. One of them was considered as the most significant of the Muslim temples throughout the Near East. Royal Mosque and Minaret were pulled down in 1783.

Мечеть царя Ростома

К XVII веку Тбилиси находился в руках персов. В 1633 году на грузинский царский престол восходит выросший в Иране грузинский царь мусульманского вероисповедания - Ростом. Он не притеснял христиан и содействовал царице Мариам в восстановлении разрушенных и поврежденных церквей, а также в строительстве новых. Царь Ростом на Царской площади в Тбилиси строит богатый дворец и «царскую мечеть». По его приказу в Тбилиси построено несколько мечетей, одна из которых считалась важнейшей мусульманской молельней на Ближнем Востоке. Царскую мечеть и минарет разрушили в 1783 году.

ქრისტოფორო დე კასტელი მეფე როსტომი
XVII საუკუნის I ნახ
Христофоро де Кастели. Царь Ростом. I половина XVII в.
Christophoro de Castelli. King Rostom. First half of 17th c.

ქრისტოფორო დე კასტელი დედოფალი მარიამი
XVII საუკუნის I ნახ
Христофоро де Кастели. Царица Мариам. I половина XVII в.
Christiphoro de Castelli. Queen Mariam. First half of 17th c.

თბილისის ჩანახატი ჟან შარდენის მიხედვით
მხატვარი გრელო, 1671წ
Зарисовка Тбилиси по Жану Шардену. Художник Грелло, 1671 г.
Tbilisi Sketch made by an artist Grello according to Jean Shurden, 1671

თბილისის ჩანახატი ტურნეფორის მიხედვით, 1701 წ
Зарисовка Тбилиси по Турнефору, 1701 г.
Tbilisi Sketch made according to Turnephore, 1701



წმინდა ხარების ეკლესია



რომორც პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, „სამეფო მოედნის შუაგულს", ბატონის მოედნის ცენტრში იდგა წმინდა ხარების ეკლესია, რომელიც 1640 წელს მეფე როსტომის მეუღლეს დედოფალ მარიამს აუგია აქ ადრე არსებული მთავარანგელოზის ეკლესიის შემორჩენილ ნანგრევებზე. იგი დაინგრა 1398 წელს თემურლენგის შემოსევის დროს. ხარების ეკლესიის შესახებ მეტად მწირი ცნობებია ჩვენამდე მოღწეული.

დოკუმენტური მასალით ირკვევა, რომ ეკლესიის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ლარაძეებს. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, "ლარაძეები შთამომავლობით იყვნენ მეგრელები. ძველად გადმოსახლებულნი ქართლში... გიორგი ლარაძე თბილისის ხარების ეკლესიის დეკანოზი ყოფილა... გიორგის შვილებიდან საზოგადო მოღვაწე მხოლოდ პეტრე გახდა. ასეთივე მწიგნობრები, პოეტები და კალიგრაფები იყვნენ მისი ახლობლები ლარაძეთა ოჯახიდან".

1781 და 1793 წლების ერეკლე II-ის მიერ გაცემულ სიგელებში ლარაძეები მოხსენიებული არიან როგორც ხარების ეკლესიის დეკანოზები. ამასავეს ადასტურებს საქართველოს კათოლიკოსის ანტონ II-ის სიგელი.

გიორგი ლარაძის გარდაცვალების შემდეგ ხარების ეკლესიის დეკანოზი გახდა იოანე ლარაძე. კ.კეკელიძე წერს, რომ "ესე აღიზარდა საფილოსოფოსისა სწავლასა და შინა მზეჭაბუკ ორბელიანთან. ესე იოანე იყო მშვენიერი მწერალი და კარგი დიალექტიკოსი. ამან შემდგომად მამისა თვისისა, გიორგი ხარების ეკლესიის დეკანოზისა, მიიღო ადგილი მისი და კეთილად იღვაწა სულისა მისთვის და ესრეთ განვლო წელნი თვისნი". მეფე როსტომის მიერ აშენებული წმინდა ხარების ეკლესიას რუსების მფლობელობის დროს გალავანი ჰქონდა შემოვლებული, თბილისში მას რამდენიმე სახლი და დუქანი ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოს ეზოში აშენდა ახალი ეკლესია, რომელიც ხარების სახელზე ეკურთხა.

წმინდა ხარების ეკლესია მდებარეობდა მეფის მოედანზე, საქართველოს საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

Holy Annunciation Church

In the middle of King's Square stood a church dedicated to the Holy Annunciation which was erected in 1640 on the order of Queen Mary, King Rostom's wife. It was built on the survived ruins of Holy Archangel Church which had been destroyed in the period of Tamerlane's incursion in 1398.

Церковь св. Благовещания

В Тбилиси в середине Царской площади стояла грузинская православная церковь св. Благовещания, построенная в 1640 году супругой царя Ростома царицей Мариам на развалинах ранее существовавшей здесь церкви Архангела, которая была разрушена в 1398 году во время нашествия Тамерлана.

თბილისის ხედი. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Вид Тбилиси. Фото Д. Ермакова, конец XIX в.
View of Tbilisi. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ.ხარების ახალი ეკლესიის რელიეფი.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Рельеф новой церкви св. Благовещания. Фото И. Микадзе, 2009 г.
Holy Annunciation Church. Relief. Photo by I. Mikadze, 2009

წმ.ხარების ახალი ეკლესია საპატრიარქოს ეზოში
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Новая церковь св. Благовещания во дворе Патриархии.
Фото И. Микадзе, 2009 г.
The new Church of the Holy Annunciation in the yard of Patriarchy.
Photo by I. Mikadze, 2009



უფლის ჯვართის ეკლესია



თბილისის უფლის კვართის ეკლესია იდგა მეფე როსტომის სასახლის წინ, მის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს: "1795 წელს გადამწვარი სასახლე, 300 ოთახის, 4 ეკლესიისა და 1 მეჩეთისაგან შედგება. ამ მეჩეთის ნანგრევებზე ახლა დგას სახლი, რომელშიც 1842 წლამდე მოთავსებული იყო სინოდალური კანტორა და სამაზრო-სამრევლო სასულიერო სასწავლებელი, 1832 წლამდე კი სასულიერო სემინარიაც".

მეფე როსტომის სასახლე აშენდა 1638 წელს. შარდენის გადმოცემით, "მეფის სასახლე ქალაქის ყველაზე ლამაზი და დიდებული შენობაა. მასში არის უზარმაზარი დარბაზები, რომლებიც მტკვარს გადაჰყურებენ. აქვეა უზარმაზარი ბაღები. სასახლის პირდაპირ არის ოთხკუთხა მოედანი, სადაც ერთდროულად შეიძლება 1000 ცხენოსანი დაეტიოს". პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას წერს: "სასახლის წინ, მოედანზე იდგა კვართის სახელობის ეკლესია, რომელიც დედოფლის აშენებული. ის სასახლისა იყო და 1804 წელს იქნა დანგრეული. მისი საფუძველი 1864 წელსაც ჩანდა რიყის ქვით მოედნის მოკირწყვლამდე".

დედოფალი როდამი იყო ქართლის მეფე ვახტანგ V – შაჰ-ნავაზის პირველი მეუღლე. როგორც ცნობილია, როსტომის შემდეგ ქართლის ტახტის მემკვიდრედ შაჰ-აბას II-მ ვახტანგ V დაამტკიცა (1658-1675 წწ.). მისი გამეფებით ქართლში დასაბამი მიეცა ბაგრატიონთა უმცროსი შტოს – მუხრანბატონების მეფობას. ბერი ეგნატაშვილის დახასიათებით. "შაჰნავაზ მეფე იყო კაცი საკურველი, ძლიერი საქმითა და გამარჯუებელი. და ამას სჭირდა ოთხნი ესე საქმენი. ბრძენი იყო უპოველი, ბედნიერ იყო საკურველი, სარდალი და მამაცი უამხანაგო, პირად შეუბედავი და გულით მოწყალე უცხოდ". ვახტანგ V – შაჰნავაზის პერიოდში ქართლი მოღონიერდა, მან ჩამოართვა თავად-აზნაურებს მინატაცი საეკლესიო ყმა-მამული და აღადგინა ეკლესია-მონასტრების მფლობელობა. ვახტანგის დროს "განშენდეს წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი და ყოველნივე წესნი ეკლესიათანი გამრავლდეს საქართველოსა შინა".

პლატონ იოსელიანი აქვე დასძენს, რომ უფლის კვართის აღსანიშნავ დღესასწაულს ". .ზეიმობდნენ, ისევე როგორც საქართველოს ქრისტიანობად მოქცევას, 1 ოქტომბერს. ბერძენმა მღვდელმთავარმა საქართველოსამ, ეგზარქოსმა თეოფილაქემ სწორედ ამ მხარისათვის ღირშესანიშნავ დღეს გახსნა ტფილისის სემინარიაც (1817 წლის 1 ოქტომბერს)".

უფლის კვართის ეკლესია აღნიშნულია 1802 წლის თბილისის გეგმაზე №46-ით როგორც "ხელთუქმნელი ხატის სამლოცველო" და იგი მდებარეობდა ვერცხლის ქუჩაზე.

Church of the Lord's Robe

The Tbilisi Church of the Lord's Robe was located in King's Square. Its construction had been carried out by Queen Rodam, the wife of King Vakhtang V Shah-Navaz. The temple was erected in the 17th century as the court church. It was pulled down in 1804.

Церковь Хитона Господня

Тбилисская грузинская православная церковь Хитона Господня находилась на бывшей Царской площади. Ее построила супруга грузинского царя Вахтанга V – шаха Наваза царица Родам в конце XVII века. Церковь была придворной церковью. Её снесли в 1804 году.



თბილისის ხედი ნარიყალას ციხიდან. დ. ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი
Вид Тбилиси с крепости Нарикала. Фото Д. Ермакова, начало XX в.
Tbilisi. View from Narikhala Castle. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

ერეკლე მეფის მოედანი მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ
Площадь царя Ираклия. Фото М. Кутателадзе, 2008 г.
King Erekle II Square. Photo by M.Kutateladze, 2008

მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრში მდებარე სვეტი, რომლის ძირშიც დაფლულია უფლის კვართი დ. ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი
Столп, стоящий в Мцхетском храме Светицховели (Столп Животворящий), в основании которого лежит Хитон Господня. Фото Д. Ермакова, начало XX в.
Svetitskhoveli Cathedral. Underneath the base of this pillar the Lord's Robe is committed to the earth. Photo by D.Ermakov. Early 20th c.



ჯარის წმინდა გიორგის ეკლესია

როსტომ მეფის დროს, დედოფალ მარიამის მიერ დაწყებული წმინდა გიორგის ეკლესია 1710 წელს დაამთავრა მეფე ვახტანგ VI-ს ძმამ ბატონიშვილმა სიმონმა(171) თავისი შვილის გიორგის სახელზე. ვახუშტი თავის 1735 წლის გეგმაზე ეკლესიას "კარის საყდარს" უწოდებს.

ეგნატე იოსელიანის მიერ 1837 წელს შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" გკითხულობთ - "ტფილისსა შინა არის მეფეთ კარის საყდრად ყოფილი ეკკლესია, სახელსა ზედა წმინდისა და ძლევამოსილისა მთავარმოწამისა გიორგისასა, ოც და სამის აპრილის თთვისასა, ქვით-კირისა სიონურად აღშენებული 1712 წელსა მეფის მეექუსის ვახტანგის ძმისა, ბატონიშვილისა სვიმონ ბაგრატოვანისაგან. ამას ეკკლესიასა ზედა ჰსდგას ერთი საჯუარე მცირე გუმბათი და ერთი პატარა სამრეკლო".

პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა ჩამოთვლისას წმინდა გიორგის კარის ეკლესიის შესახებ წერს: "წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XIII-ეს კარისად ჰქონია... აშენებულია 1710 წელს ბატონიშვილი სიმონის, მეფე ვახტანგ VI-ის ძმის მიერ ტფილისის პირველი წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის ადგილზე".

თუმცა, აქვე პლატონ იოსელიანი ამავე ეკლესიას მოიხსენიებს "...ახლა ნანგრევებიღა არსებობს ...ნაშთნი წინანდელი გიორგის კარის ეკლესიისა, რომელიც არსებულა სამოქალაქო გუბერნატორის სახლის წინ მდებარე მოედანზე და რომელშიც სადღესასწაულო და საზეიმო დღეებში იკრიბებოდნენ თავად-აზნაურობა და ტფილისის საპატიო მოქალაქენი მეფესთან ერთად ჟამისწირვაზე დასასწრებად".

1796 წელს მეფე გიორგი XII-მ ბატონიშვილ სიმონის პატარა სასახლე დროებით საცხოვრებლად აღადგინა. ამ შენობამ ეკლესია მოედნის მხრიდან დაფარა. მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წელს ამ სასახლეში ცხოვრობდა მისი მეუღლე დედოფალი მარიამი(172) უფლისწულებთან ერთად, საიდანაც იგი რუსეთში გადაასახლეს.

მაჯდ-ოს-სალტანე "ქალაქ თბილისის აღწერაში" წერს: "მეფის ძის სვიმონის სასახლე ამ გიორგის ეკკლესიითურთ გაოხრებულ იქმნა 1797 წელს. იგი განაახლა გიორგი მეფემ, ამავე სასახლეში მარიამ დედოფალმა მოჰკლა ლაზარევი და აქვე შეიპყრეს იგი და წარგზავნეს რუსეთს."

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთი ყველა ხერხს მიმართავდა, რათა თავისი ხელისუფლება განემტკიცებინა და საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნაშთი გაექრო. რუსეთის იმპერიის მიერ თბილისში გამოგზავნილი გენერალი ლაზარევი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დასაჩქარებლად ყველაზე ვერაგულ და ბინძურ მეთოდებს იყენებდა. მან სახელმწიფო საბჭოს საიდუმლო ინსტრუქციის შესაბამისად ბატონიშვილებს და საერთოდ სამეფო საგვარეულოს ყველა წარმომადგენელს ადგილ-მამულები ჩამოართვა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დასაჩქარებლად ქართველთა მოძულე ლაზარევი ყოველდღე ახალ-ახალ ვერსიებს ქმნიდა, გზავნიდა შიკრიკებს, წერდა ბრძანებებს, აპატიმრებდა და სჯიდა ურჩებს, ყველაზე უფრო სასტიკად მარიამ დედოფალს მოექცნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსებმა ჩამოართვეს თავისი სასახლე და სამკურნალო დაწესებულებას გადასცეს, ხოლო ის სასახლე, სადაც მარიამი გადასახლებამდე ცხოვრობდა, ხაზინამ კერძო პირს მიჰყიდა.

St. Giorgi Court Church

The erection of St. Giorgi Church started in the 17th century and was accomplished in 1710. It was the church of the royal court. Archeological excavations revealed a cultural layer of seven meters' depth on its site. The remains of residential and household buildings, water pipes, remnants of ceramic production, burial grounds, among them sarcophagi and sepulchers were uncovered here. The restorers and archeologists found three tombs attached to the western wall of the church. The most ancient of the archaeological material belong to the 4th -5th centuries.

Придворная церковь св. Георгия

Строительство грузинской православной церкви св. Георгия началось в XVII веке и закончилось в 1710 году. Она была церковью царского двора. В результате археологических раскопок выявился культурный слой глубиной более семи метров. Обнаружены остатки хозяйственных и жилых построек разного времени, водопровода и керамического производства, гробницы, в том числе склепы и саркофаги. Реставраторы и археологи нашли три склепа, пристроенных к западной стене церкви. Древнейшая часть вещественного археологического материала датируется IV-V веками.

კარის წმ გიორგის ეკლესია XXს დასაწყისი.
Придворная церковь св. Георгия. Начало XX в.
St. Giorgi Court Church. Early 20th c.

კარის წმ.გიორგის ეკლესია ი.მიქაძის ფოტო 2009წ.
Придворная церковь св. Георгия. Фото И. Микадзе, 2009 г.
St. Giorgi Court Church. Photo by I.Mikadze, 2009





1950-იან წლებში და 1988 წელს ერეკლე II–ის მოედანზე ი.გრძელიშვილისა და ო.ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა 7 მეტრზე მეტი სიღრმის კულტურული ფენა. აღმოჩნდა სხვადასხვა დროის სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების, წყალსადენებისა და კერამიკული საწარმოს ნაშთები, სამარხები, მათ შორის აკლდამები და სარკოფაგები. რესტავრატორებმა და არქეოლოგებმა მიაკვლიეს ეკლესიის დასავლეთ კედელზე მიშენებულ სამ აკლდამას. ნივთიერი არქეოლოგიური მასალის უძველესი ნაწილი IV-V საუკუნეებით თარიღდება.

ეზოს დასავლეთი ნაწილის გათხრებმა აჩვენა, რომ 4-6 მეტრის სიღრმეზე, ნანგრევების ფენებსა და მათზე წაყრილი მიწის ქვეშ არსებობს ძველი სასახლის ნაშთები. სასახლე აგებული ყოფილა დიდი კარგად ნათალი ოთხკუთხა ქვებისაგან.

ეკლესია ცალნავიანია. კედლების ქვედა ნაწილი ქვაშერეული აგურის წყობითაა ნაგები. ზევით კედლები აგურისაა. მოხატულია თბილისელი მხატვრების - გეგელიძეების მიერ XIX ს-ში. ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა 1990-იანი წლების დასაწყისში (არქიტექტორ-რესტავრატორი რ.ცხადაძე). მოიხსნა ცრუ გუმბათი და ნაგებობას დაუბრუნდა თავდაპირველი სახე.

ეკლესიაში შემორჩენილია თბილისელი ფერმწერების გეგელიძეების მოხატულობა. ეკლესიაში, ძირითადად, ახლად დაწერილი ხატებია, ტაძრის მოხატვაზე მუშაობდა ხატმწერი დ.მორგოშია. ეკლესიის დასავლეთ შესასვლელთან მოწყობილი იყო ჩასასვლელი აგურის კამარიან კრიპტაში. ეკლესიის დასავლეთით 1990-იან წლებში აშენდა აგურის ახალი სამრეკლო. 1992 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით კარის წმიდა გიორგის ახლად რესტავრირებულ ეკლესიაში განახლდა წირვა-ლოცვა.


წმინდა გიორგის კარის ეკლესია მდებარეობს ერეკლე მეორის მოედანზე, შავთელის ქუჩის №4–ში.




კარის წმ.გიორგის ეკლესიის ხატი.
ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Икона придворной церкви св. Георгия.
Фото И. Микадзе, 2009 г.
The icon of St. Giorgi Court Church.
Photo by I.Mikadze, 2009

კარის წმ.გიორგის ეკლესია და სამრეკლო
თ.დოლიძის ფოტო, 2009წ.
Придворная церковь св. Георгия и колокольня.
Фото Т. Долидзе, 2009 г.
St. Giorgi Court Church and its belfry.
Photo by I.Mikadze, 2009

კარის წმ.გიორგის ეკლესიის ახალი სამრეკლო
ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Новая колокольня придворной церкви св. Георгия.
Фото И. Микадзе, 2009 г.
The new belfry of St. Giorgi Court Church.
Photo by I.Mikadze, 2009





ნორაშენი
ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

XVII საუკუნიდან, როსტომის მეფობის ხანიდან იწყება შედარებით ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი, როცა მეფე როსტომსა და მის მემკვიდრე მუხრანელ ბაგრატიონთა შთამომავალ მეფეებს ქვეყანაში ფართო აღმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელების საშუალება მიეცათ.

ამ პერიოდში თბილისში შენდება ნორაშენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი. მისი კუთვნილების და აშენების თარიღის შესახებ სხვადასხვა ვარაუდი არსებობს.

ხელოვნებათმცოდნე ქეთევან აბაშიძის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა ის გარემოება, რომ ჯვარის მამის ეკლესიის უშუალო სიახლოვეს, თანაც ფაქტობრივად ერთ ეზოში თავდაპირველად აშენებულიყო სომხური ეკლესია. ცნობილია, რომ ჯვარის მამა იმ ხუთ ეკლესიათაგანია, რომელიც ვახტანგ გორგასლის პერიოდში აშენდა. ასევე ცნობილია, რომ იგი ყოველთვის იერუსალიმის "ჯვრის მამის" მეტოქი იყო და "გოლგოთად" იწოდებოდა. იმჟამინდელი ლიტურგიის თანახმად, ტაძარს სივრცე, ანუ იერუსალიმური "გაწყობა" ესაჭიროებოდა, რაც მოიცავდა სიწმინდეებს ან წმინდა ადგილებს (უფლის საფლავი, გოლგოთა და სხვა.). ამიტომ გამორიცხულია თავდაპირველად აქ მონოფიზიტური ეკლესია მდგარიყო.



ნორაშენის ღვთისმშობლის და ჯვარის მამის ეკლესიები. დ. ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Норашенская церковь Богоматери и церковь Джварисмама. Фото Д. Ермакова, начало XX в.
Norasheni Church of the Most Holy Theotokos and Jvarismama Church. Photo by D.Ermakov. Early 20th c.


ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთი შესასვლელი. ი. მიქაძის ფოტო. 2009 წ
Западный вход Норашенской церкви Богоматери.
The western entrance of Norasheni Church of the Most Holy Theotokos.
Photo by I.Mikadze, 2009


Norasheni Church of the Most Holy Theotokos

From the 17th century starts a relatively long peaceful time in the life of Tbilisi. This is the period when Norasheni Church of the Most Holy Theotokos was built. There are different presumptions about the ownership of the church and the date of its construction. Some scholars say it was erected on the site of an old Georgian temple since its name conveys the meaning of 'newly built'. After the establishment of the Communist rule it was handed over to the library of the Academy of Sciences of Georgia.

Норашен, церковь св. Богородицы

С XVIIв. начинается довольно длительный мирный период в жизни города Тбилиси. В XVIIIв., строится Норашен, церковь св. Богородицы, которая возведена на месте грузинской православной церкви. Она не раз разрушалась и восстанавливалась. Церковь является возведенной из кирпича церковью типа «вписанного креста». В советский период в церкви прекратилось богослужение и её использовали в различных целях - была продовольственным складом, архивом национальной библиотеки.





ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესია კ.აბხაზის ქუჩიდან XXს. დასაწყისი.
Норашенская церковь Богоматери, вид с улицы К.Абхази. Начало XX в.
Norasheni Church of the Most Holy Theotokos. View from K.Apkhazi Street Photo of early 20th c

ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთი ფასადი ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Южный фасад Норашенской церкви Богоматери. Фото И. Микадзе, 2009 г
Southern frontage of Norasheni Church of the Most Holy Theotokos. Photo by I.Mikadze, 2009

ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთი კარიბჭე. XXს II ნახ ფოტო.
Северные врата Норашенской церкви Богоматери. Фото II половины XX в.
The northern porch of Norasheni Church of the Most Holy Theotokos. Photo of late 20th c.

ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ კარიბჭე. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Южные врата Норашенской церкви Богоматери. Фото И. Микадзе, 2009 г.
The southern porch of Norasheni Church of the Most Holy Theotokos Photo by I.Mikadze, 2009.

ბ.არველაძის აზრით, ნორაშენის ეკლესიის ქტიტორული წარწერა, რომელსაც ეყრდნობიან სომეხი მკვლევარები, – „1467 წელს კაცმა, რომელსაც ნორაშენ სადაბი ერქვა, ააშენა სომხური ეკლესია" – არ არის სარწმუნო წყარო, რადგან ხშირია ახალი სომხური ეკლესიის მშენებლობის დროს ძველი ეკლესიის წარწერებიანი ქვების გამოყენების შემთხვევები. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქტიტორულ წარწერაზე, არ არის აღნიშნული კონკრეტულად რომელი ეკლესიის აშენებაზეა ლაპარაკი. ასე, რომ ეს ქვა ნებისმიერი სხვა ეკლესიის კუთვნილება შეიძლება ყოფილიყო.

ეკლესიის სახელი ნორაშენი - ქართულად ახალშენს ნიშნავს, ანუ ეკლესიის სახელწოდებაც მისი ძველი ეკლესიის საძირკველზე ან ამ ადგილზე „ახალი" ეკლესიის აშენებას მიგვანიშნებს.


თბილისის ისტორიიდან ცნობილია 1226 წელს ჯალალედინის, 1386 წლის თემურ ლენგის და სხვა დამარბეველი ბრძოლები, რომელსაც თბილისის მრავალი ეკლესია შეეწირა. გასაკვირი იქნებოდა, რომ თბილისის ცენტრში,

ნორაშენის ეკლესიის ადგილზე მდგარი ძველი ეკლესია ამ დარბევას გადარჩენოდა.


აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნორაშენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ახალი ეკლესიის მშენებლობის ეტაპი XVII საუკუნის II ნახევარში, მეფე როსტომის მეფობის ხანაში დაიწყო, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა დედაქალაქის კეთილმოწყობასა და აღდგენას. მან ასევე განსაკუთრებულად შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებას. ააგო სასტუმრო–ქარვასლები, ხელსაყრელი და მოხერხებული პირობები შექმნა უცხოელი ვაჭრებისათვის.

ეგ.იოსელიანის კატალოგში სურბ ნშანის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „სამეფოს ფუნდუკის დასავლეთით, კერძოდ ზურგით არის საყდარი ახალშენად წოდებული სახელსა ზედა ღვთისმშობლის მიცვალებისასა, გუმბათიანი, კეთილშენი აგურით და კირით, ოთხსა სვეტსა ზედა დაშენებული. გუმბათსა ხურავს გათლილი შავი ქვის ღორთფინი და სამხროებს











ნორაშენის გუმბათის ჯვარი. XXს. II ნახ. ფოტო.
Купольный крест Норашенской церкви Богоматери.
Фото II половины XX в.
Norasheni Church of the Most Holy Theotokos
. The cross on the top of the dome.
Photo of late 20th c.

ნორაშენის ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის სარკმელი.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Окно над южными вратами
Норашенской церкви Богоматери.
Фото И. Микадзе, 2009 г.
Norasheni Church of the Most Holy Theotokos. The window
of the southern porch. Photo by I.Mikadze, 2009


ნორაშენის ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან.
დ ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Норашенская церковь, вид с юго-запада.
Фото Д. Ермакова, начало XX в.
Norasheni Church of the Most Holy Theotokos. South-west
view. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

ნორაშენის ეკლესიის სამხრეთ ფასადი.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Южный фасад Норашенской церкви.
Фото И. Микадзе, 2009 г.
The southern frontage of Norasheni Church of the Most Holy
Theotokos. Photo by I.Mikadze, 2009.

წითელი აგურის კრამიტი. გარედამ ფრიად მშვენიერი სანახავი ვიდრე შინაგან. დაწყებულ არს საფუძველოითურთ პირველ ხოჯა ნაზარასაგან ვისმე და მერმე მას ზედა აღშენებული და შესრულებული ტფილისის სამრევლოსა დედათა და მამათაგან მოგროვებულითა წარსაგებლითა წელსა 1737-სა და შემდგომდაცა ვიდრე აქამომდე ჯერეთცა შენების. ამას შინა არს ერთი დეკანოზი და ხუთი მღდუელი".

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1925 წელს ხელისუფლებამ ქუჩის რესტავრაციასთან დაკავშირებით ეკლესიის დანგრევა გადაწყვიტა, თუმცა, თბილისელი მოსახლეობის კატეგორიული წინააღმდეგობის გამო ეკლესია დანგრევას გადაურჩა. ამის შემდეგ ეკლესია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას გადასცეს.

ნორაშენის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია "ჩახაზული ჯვრის" ტიპის ნაგებობაა ორი გუმბათქვეშა ბურჯით. აფსიდის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნეა. XIX საუკუნის I ნახევარში ეკლესიის სამხრეთით მიშენებული თლილი ქვით მოპირკეთებული კარიბჭეა. ინტერიერის მოხატულობა შესრულებულია XVIII-XIX საუკუნეებში. თბილისის ნორაშენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია მდებარეობს კ.აბხაზის (ყოფ. კ.ლესელიძის) ქუჩის №41-ში.





ხოჯა - ვანქი
ღვთისმშობლის ეკლესია

XVII საუკუნის II ნახევარში თბილისს ვახტანგ V, შაჰ-ნავაზად წოდებული მეფე მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ირანის უზენაესი ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა და მისი მეფეები გამაჰმადიანებულები იყვნენ, სპარსელები მაინც ერიდებოდნენ რელიგიური ნიშნით დევნას. ამ პერიოდის თბილისის ცხოვრებასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობები მოგვაწოდა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა – „თბილისში სრულად არ არის მიზგითები, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაჰმადიანურ სახელმწიფოს ეკუთვნის და მას მთელი თავისი მიდამოებით მაჰმადიანი მმართველი განაგებს ...ქალაქი თბილისი მჭიდროდაა დასახლებული. აქ იხილავთ უცხოელთა ისეთ სიმრავლეს, რომელსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით ".

XVI საუკუნეში ქართლში ბებუთოვების-ბეიბუთიანების გვარი სომხეთიდან გადმოდის საცხოვრებლად. ისინი XVII საუკუნეში მსხვილი ვაჭრები გახდნენ. XVIII საუკუნის შუა წლებში მეფე თეიმურაზ II-მ აზნაურობა, ხოლო 90-იან წლებში მეფე ერეკლე II-მ მათ თავადობა უბოძა. ისინი მემკვიდრეობით ფლობდნენ თბილისის მელიქ-მამასახლისისა და ნაცვალის სახელოს.

თბილისში, ელიას მთაზე მდებარე ღვთისმშობლის სომხურ ეკლესიას სახელი ხოჯა-ვანქი დაერქვა მისი აღმშენებლის, აშხარბეგ ბეიბუთიანის (ბეჰბუდას) სახელის მიხედვით, რომელიც მსახურობდა მეფე როსტომის კარზე. მას იმ დროისათვის კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, ფლობდა რამდენიმე ენას, აწარმოებდა მეფე როსტომის მიწერ-მოწერას. აშხარბეგს მეფემ ერთგულებისა და კარგი სამსახურისათვის „ბეჰბუთას" ტიტული და 1654 წელს მაშინდელ გარეუბანში, ქალაქის ზღუდის იქით-ავლაბარში საგვარეულო სასაფლაოსათვის მიწაც უბოძა. მან სასაფლაოზე ეკლესიის აშენების უფლებაც მიიღო.

მ.ბერძნიშვილი ხოჯა ბეჰბუდას შესახებ წერს: "თბილისელი მდიდარი ვაჭარი, როსტომ მეფის ზარაფთუხუცესი. მისი წინაპრები თბილისში XVI საუკუნეში ჩამოსახლდნენ. მან კლდისუბანში შეიძინა სასახლე, საგვარეულო სასაფლაოზე ააშენა ხოჯავანქის ეკლესია, ვერეზე ააგო ხიდი და მის ახლომახლო გააშენა ბაღ-ვენახები. აბანოთუბანში ააგო აბანო. ხოჯა ბეჰბუდა გარდაიცვალა 1662 წელს, მისი შთამომავლები ბებუთაშვილებად იწოდებოდნენ".



Most Holy Theotokos Khoja-Vank Church


Most Holy Theotokos Khoja-Vank Church is located on Mount of Elijah. It is an Armenian church and has taken the name after its builder Ashkharbeg Beibutjan. The King had conferred on Ashkhartbeg the title of Khoja for his good service and faithfulness. Also, he had been granted a plot for his family sepulcher. In 1780 Ashkharbeg erected Most Holy Theotokos Church on the plot. In the course of time the Beibutovs' sepulcher turned into a town cemetery. Since 1961 the cemetery has had a status of pantheon.


Ходжа-Ванк, церковь Богоматери

Армянская церковь Богоматери, находящаяся в Тбилиси на горе Элия, была названа Ходжа –Ванк по имени ее строителя –Ахшарбега Бейбутяна. Царь за верность и хорошую службу даровал Ашхарбегу титул «ходжа» и землю для родового кладбища, где он в 1780 году возвел церковь св. Богоматери. С течением времени кладбище Бебутовых превратилось в городское кладбище. С 1961 года Ходжаванкскому кладбищу присвоен статус пантеона. В 1938 году советская власть снесла церковь.

ხოჯა-ვანქის მაშათა მონასტერი XXს დასაწყისი
Ходжа-Ванкский мужской монастырь. Фото начала XX в.
Khoja-Vank Monastery. Photo of early 20th c.

ხოჯა-ვანქის მაშათა მონასტერი XXს დასაწყისი
Ходжа-Ванкский мужской монастырь. Фото начала XX в.
Khodja Vank monastery. Photo taken at the beginning of 20th c.








ახალაბარი. ფოტო დ. ერმაკოვის. XX ს. დასაწყისი
Старая часть города Ахалабар. Фото Д. Ермакова, начало XX в.
Avlabari. Photo by D.Ermakov. Early 20th c

ხიდის ჯიხურის ძველი ბაზისები ხიდისუკანა. XX ს. დასაწყისის ფოტო
Колокольня Ходжа Ванского мужского монастыря. Фото начало XX в.
The belfry of Khoja Vank Monastery. Photo of early 20th c.

ეგნატე იოსელიანის კატალოგში ხოჯა–ვანქის ღვთისმშობლის სომხური ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „გარეთ ავლაბარსა შინა მინდორსა ვაკეს ადგილსა ზედა მცირედრე ავლაბრის მცხოვრებთა თანა მოშორებით არის ეკკლესია დიდშენი გუმბათიანი, ქვით-კირით, გალავან-მოვლებული, სახელსა ზედა ყ¯დწმინდისა პორფიროვანისა ღ¯ისმშობელისასა, წოდებული ხოჯა ბებუდოვის საყდრად, აღშენებული თვთ მათვე თავადთა ბებუთოვთაგან წელსა 1780 და შემდგომითი შემდგომად მრავალგზის განახლებული მათთანვე. ესე ეკლესია არის თვთ აღმაშენებელთა მათ თავადთა ბებუდოვთა სასაფლაოდ."

ამ სასაფლაოსთან არის დაკავშირებული ერთი ძველი თბილისური ტრადიცია, მკითხაობა–ვიჭაკი. „ამაღლების" წინა დღეს თბილისელი ქალები მიდიოდნენ ავლაბარში ხოჯა–ვანქის სასაფლაოზე. ვიჭაკისათვის სასაფლაოს იმიტომ ირჩევდნენ, რომ, თითქოს, მიცვალებულთა სულიც ეხმარებოდათ მომავლის სწორ განსაზღვრაში.

ვიჭაკიც სწორედ ახსნას, გამოცნობას, მკითხაობას ნიშნავს. ვიჭაკით მკითხაობა ძალზე მარტივად ტარდებოდა. მკითხაობაში მონაწილე ქა-



ხოჯა–ვანქის სასაფლაო და მამათა მონასტერი. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Ходжа-Ванкское кладбище и мужской монастырь. Фото конца XIX в.
Khoja-Vank Monastery and its graveyard. Photo by D.Ermakov. End of 19th c

თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო.
დ.ერმაკოვის ფოტო XIXს. II ნახევარი
Тбилиси, левая набережная Куры. Фото Д. Ермакова, II половина XIX в.
Tbilisi. The left bank of the Mtkvari River. Photo by D.Ermakov. End of 19th c







ლიშვილები დილას, მზის ამოსვლამდე დგებოდნენ და უჩუმრად გადიოდნენ სახლიდან, უჩუმრადვე უნდა შემოევლოთ 7 წყარო და ჭურჭელი წყლით აევსოთ. ეს იყო ვიჭაკისათვის საჭირო სამკითხაო წყალი.

ვიჭაკში მონაწილე სხვა ქალები და გოგონები წყლიან ჭურჭელს ფერადი ნაჭრებით რთავდნენ და ყოველი მათგანი შიგ რაიმე ნივთს აგდებდა. ბეჭედს, საყურეს, სათითეს, კენჭს და სხვა. როდესაც ყველაფერი მომზადდებოდა, მაშინ შეეძლო წყლის შემგროვებელს ხმის ამოღება, დალაპარაკება. მოტანილი წყალი უნდა გადაეღვარათ და ისევ ის ქალიშვილი წასულიყო ახალი წყლის მოსატანად. თვით მკითხაობა საღამოს ჟამს, ნასადილევს, სამხარზე იწყებოდა. წყლიანი ჭურჭლიდან ნივთები უნდა ამოეღო საგანგებოდ მოყვანილ პატარა გოგონას, რომელიც თავისი მშობლებისათვის პირველი შვილი იქნებოდა.

ვიჭაკის დროს ვინმეს თურქულად უნდა ემღერა, ამიტომ მკითხაობისას იწვევდნენ თურქული ენის მცოდნეს, რომელიც ნამღერ სტროფებს თარგმნიდა. ვიჭაკში მონაწილენი სხდებოდნენ წრიულად, თითოეული ნამღერი სტროფის შემდეგ გოგონა ხელს ყოფდა წყლიან ჭურჭელში და იქიდან რომელიმე ნივთს იღებდა. სიმღერისათვის ყველას უნდა ეგდო ყური, ვინაიდან მასში ლაპარაკი იყო ბედნიერებაზე, სიყვარულზე, განშორებაზე ... რა სიტყვასაც დაემთხვეოდა ნივთის ამოღება (მაგ. განსაცდელი, სიხარული, ბედნიერება, უბედობა), სწორედ ის ელოდებოდა პატრონს. მკითხაობა მთავრდებოდა ვახშმით, რომელსაც მასპინძელი მართავდა.

დროთა განმავლობაში ბებუთოვების სასაფლაო, ქალაქის სასაფლაოდ გადაიქცა. 1888 წელს გარდაიცვალა სომეხი რომანისტი რაფი, რომელიც ამ სასაფლაოზე დაასაფლავეს. შემდგომ პერიოდში რაფის(173) საფლავის გვერდით კრძალავენ ოვანეს თუმანიანს(174) და გაბრიელ სუნდუკიანს.

1938 წელს ლავრენტი ბერიას(175) ბრძანებით ეკლესიას და სასაფლაოს ანგრევენ „მეგობრობის პარკის" გაშენების მიზნით. დარჩა მხოლოდ საქართველოში მოღვაწე სომეხი მწერლების საფლავები. 1961 წლიდან ამ ადგილს პანთეონის სტატუსი მიენიჭა. 2002 წელს დასრულდა პანთეონის კეთილმოწყობა, რაც საქართველოსა და სომხეთის მთავრობებმა ერთობლივად განახორციელეს.

ხოჯა-ვანქის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობდა ავლაბარში, ელიას მთაზე.

ხაჩკარი ხოჯა-ვანქის მამათა მონასტერში. XXს. დასაწყისი.
Хачкар (каменный крест) в Ходжа-Ванкском монастыре. Фото начала XX в.
Khoja-Vank Monastery. Khachkar inside the church. Photo of early 20th c.

ხოჯა-ვანქის სასაფლაო. XXს დასაწყისის ფოტო.
Ходжа-Ванкское кладбище. Фото начала XX в.
Khoja-Vank graveyard. Photo of early 20th c.

ხოჯა-ვანქის მამათა მონასტერი. XXს დასაწყისის ფოტო.
Ходжа-Ванкский мужской монастырь. Фото начала XX в.
Khoja-Vank Monastery. Photo of early 20th c.



თბილისის კათოლიკური ეკლესია XVII საუკუნეში



ქრისტოფორო დე კასტელი. ნათლობა. XVII საუკუნის I ნახ.
Христофоро де Кастели. Крещение. I половина XVII в.
Christophoro de Castelli. Baptising. First half of the 17th c.

XIV საუკუნის დამდეგიდან საქართველოში კათოლიკობას დიდი წარმატება ჰქონდა, ამიტომ რომის პაპმა იოანე XXII-მ 1328 წელს გიორგი V-ს თხოვნით საეპისკოპოსო კათედრა სმირნიდან თბილისში გადმოიტანა(176) და მომდევნო წელს თბილისი ეპისკოპოსის სატახტო ქალაქად აქცია. თბილისის საეპისკოპო სპარსეთში არსებულ სულთანიეს(177) ეპისკოპოსს დაექვემდებარა.

XV საუკუნის დამლევს და XVI საუკუნის დამდეგს გართულებული პოლიტიკური მდგომარეობისა და ქართული მრევლის შემცირების გამო თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო გაუქმდა. "...1500 წლის შემდეგ არათუ მათი კვალი ჩანს, არამედ მოგზაურებსაც კი ვერ ვხვდებით ...მიზეზი ის იყო, რომ თურქები ...ყოველ მხრიდან გარს ერტყმოდნენ და ევროპის გზებს უღობავდნენ," – წერს მიხეილ თამარაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკეთა შემოსვლა საქართველოში შეზღუდული იყო, მაინც არ წყდებოდა რომის კათოლიკური ეკლესიის ზრუნვა საქართველოზე. ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „...რომში ქართული სტამბა გაიხსნა 1626 წ. და 1629 წ. იქ პირველად ქართული წიგნიც დაიბეჭდა ...ამავე დროს, რომის „კონგრეგაციამ" თვის უმაღლეს სამქადაგებლო სასწავლებელში განაწესა ქართული ენის კათედრა და მასზედ დაინიშნა ქართული ენის პროფესორი ...ქართველი ერის სამსახური ლათინის პატრებისაგან მარტო სტამბის გახსნით და ქართული საჭირო წიგნების ბეჭდვით არ გათავდა. მათ შექმნეს დიდი ძალი წიგნები საქართველოს შესახებ. მათ სწერეს ქართველი ერის და საქართველოს შესახებ ძლიერ ბევრი ისტორიული და ეთნოგრაფიული წერილები".

რომის პაპმა 1633 წლიდან საქართველოს კათოლიკური ეკლესია ისპაჰანის(178) ლათინი ეპისკოპოსის იურისდიქციას დაუმორჩილა. ამავე წლიდან საქართველოში კაპუცინთა ორდენის ბერები შემოდიან. 1663 წელს რომში გაგზავნილ წერილში ისინი წერენ "...ვენახულეთ მეფესა, დედოფალს, კათალიკოსს და სხვა მთავრებსა. დავაარსეთ სახლი და ახალი მისიონი. თუმცა ეს ქართველი მეფე გამაჰმადიანებულია, მაგრამ მაინც ძლიერ კარგად მიგვიღო, ორი სახლი მოგვცა, რათა ერთში ჩვენ დავდგეთ და მეორეში პატარა ეკლესია მოვათავსოთ. ეკლესიაში უკვე ვწირავთ და მთელი ქალაქი ესწრება. ღვთის მსახურების შესრულების დროს ეკკლესია ქალაქის საუკეთესო პირებით ივსება...".

მკურნალი ანდრია ეპიფანე 1663 წელს რომის პაპს წერს, რომ „...რაც შეიძლებოდა, ვეცადე მეფის წინაშე და მოუპოვე მათ ქალაქის შუა ადგილს სახლი და მიწა, საცა მოაწყვეს პატარა ეკკლესია... მეფის მოცემული სახლი ორია, ერთი მეორის პირდაპირ და შუაში გზა არის; ერთი ეკკლესიად გადააკეთეს, მაგრამ პატარაა და ხალხი ვერ დაუტევია: ამიტომ საჭიროა მეზობლისაგან პატარა ადგილის ყიდვა ეკკლესიის გასადიდებლად, რათა აქაური ჩვეულების თანახმად, შიგ ადგილები გაიყოს მამაკაცებისათვის ცალკე და დედაკა-

ცებისათვის ცალკე. მეორე სახლში პადრების სადგომია. ამ სახლისა და ეკკლესიის შუა საჭიროა პატარა ხიდის გაკეთება, გზით გავლა არ დასჭირდეს კაცს და ოთახიდან პირდაპირ ეკკლესიაში გადავიდეს...". ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ეკლესიას გალავანიც ჰქონია შემოვლებული.

1673 წელს თბილისში ჩამოსული ჟან შარდენი მოგვითხრობს, რომ "კაპუცინების ეკლესიაში თბილისში ბევრი ხალხი დადიოდა, მათ იზიდავდა წირვის ორიგინალობა და გუნდი, რომელიც შედგებოდა ოთხი ან ხუთი ხმისაგან, ბარბითის და შპინეტის აკომპანიმენტისაგან... კაპუცინებმა სკოლაც კი დაარსეს".

„მას შემდეგ, რაც მისიონერებმა ისწავლეს ქართული ენა, უფრო ახლობელნი გახდნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებისათვის. გახსნეს სკოლა, სადაც ქართული ენის გარდა ასწავლიდნენ იტალიურს და ლათინურ ენებსაც კი", – წერს მიხეილ თამარაშვილი.

XVII საუკუნეში თბილისის მისიონი ძლიერდება, ქართული და სომხური მოსახლეობის ნაწილი კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადადის, რაც კათოლიკური ეკლესიის დევნის საფუძველი ხდება. განსაკუთრებით დიდი იყო სომხური ეკლესიის მსახურების სიძულვილი კათოლიკების მიმართ.

"...რაც უფრო ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა მისიონი, მით უფრო ძლიერდებოდა სომხების სიძულვილიც. ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა არეულობამ ხელი შეუწყო სომხებს, როგორც კი მისიონერთა მფარველი გიორგი მეფე [გიორგი XI](179) ტახტიდან ჩამოაგდეს, მაშინვე თავს დაესხნენ მისიონს და ერთიანად აიკლეს. ეს იყო მისიონერთა ყველაზე ულმობელი და საკმაოდ ხანგრძლივი დევნა, რასაც დიდად გამოეხმაურა ევროპა".– წერს 1698 წელს პადრე ამადიო ბრეშელი.

მიუხედავად კათოლიკეთა მრავალი მცდელობისა გადაერჩინათ თბილისის ეკლესია, იგი მაინც დაიხურა. მისიონის თავზე დატრიალებული უბედურების შესახებ მოგვითხრობს პატრი ანჯელო პოპიელი: "...1717 წლის სექტემბერში, ჩვენი ტფილისის მისიონი, მშვენიერი და დიდებული ღვთისა და კაცის წინაშე, სომხების სიბრაზით, თუ სულ არ გაოხრდა, უკანასკნელ მდგომარეობაში ჩაყენებულა, ღვთის და რომის საყდრისაგან გადამდგარნი არ დაკმაყოფილდნენ ჩვენის მონასტრის საფუძვლიანად დაქცევას, იმ მონასტრისა, რომელსაც ჰყავდა 13 მონაზონი, არამედ მისცივდნენ ეკლესიასაც. რაკი ის დღე ვერ დააყენეს როგორც სახლს და რადგან შენობა მაგარი იყო, ბევრ ადგილას ცეცხლი წაუკიდეს და გამოწვეს, მერმე გაუჭირვებლად შევიდნენ შიგ, რადგან ამ დროს ორი პატრის მეტი იქ არ იყო. ტრაპეზი ერთიანად დაანგრიეს, ყველა ხატი ნაკუწ-ნაკუწ დასჭრეს, ჯვრები და ჯვარცმები დაამტვრიეს; ერთმა უბოროტესმა ამოიძრო ხმალი და შემოუქნია ერთს მშვენიერს და დიდად ძლიერსა ღვთისმშობლის ხატსა, მაგრამ დახე სასაწაულს, სანამ ხატს მოხვდებოდა, ხმალი შუაზე გატყდა ... ახლა ჩვენი საბრალო პატრები დარჩნენ უმონასტროდ და უეკლესიოდ და დგანან ერთ პატარა სახლში".


„1718წ. ...კათოლიკენი ცრემლით გამოეთხოვნენ თავიანთ ეკკლესიას და სხვა სახლში ლოცულობდნენ ჩუმათ," – წერს ზაქარია ჭიჭინაძე. სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილი არაა თუ ვის სახელობაზედ იყო ეს ეკლესია ნაკურთხი და არც მისი ადგილმდებარეობაა ცნობილი.

The Tbilisi Catholic Church in the 17th century

In the late 15th and early 16th centuries due to a difficult political situation and decreasing number of the Georgians in the congregation the Tbilisi Catholic Diocese was abolished. In 1663 a mission of Capuchins was established here and in the same year the pastors started building a church "in the middle of the city". In the 17th century the Tbilisi Mission gains strength, a large part of the Georgians and the Armenians were converted to Catholicism and the latter became a ground for the persecution of the Catholic Church. Especially profound was the scorn of the Armenian Clergy to the Catholics. Despite their reiterated efforts to save the temples it was eventually closed. "In 1718 the Catholics took leave of their Church and started praying in private at a dwelling house".

Тбилисская католическая церковь в XVII веке

В конце XV и в начале XVI века ввиду осложненного политического положения и сокращения грузинской паствы было упразднено тбилисское католическое епископство. В 1663 году в Тбилиси была основана миссия капуцинов. С этого же года «в середине города» патры начинают строительство церкви. В XVII веке миссия в Тбилиси усиливается и большая часть грузинского и армянского населения принимает католическую веру, что становится основанием преследования католической церкви. Особенно сильной была ненависть к католикам у служителей армянской церкви. Несмотря на многочисленные попытки католиков спасти тбилисскую церковь, она все же закрылась. «С 1718 года католики со слезами простились со своей церковью и продолжили тайно молиться в другом доме».



ღვთისმშობლის ხრების ეკლესია

ღვთისმშობლის კრების ეკლესია იდგა ძველი თბილისის ზემო უბანში(180), ანჩისხატის მახლობლად.

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ამ ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „ტფილისსა შინა არის მცირე სიონური ქვით-კირისა 1690-სა წელსა აღშენებული სარდრის ალექსანდრე ციციანოვის დედის, მეფე ვახტანგ მეხუთისა, შაჰნავაზად წოდებულისა, ასულისა ელენე ბატონიშვილისაგან და შემდგომად მისსა დაქცეული კვალად პირველსავე საძირკველსა ზედა და დაშენებით განახლებული მეფის ირაკლის მეორის ასულისა, მისივე ალექსანდრე ციციანოვის ძისა, ქალაქის მოურავის სარდრის დავით ციციანოვის მეუღლისა, ბატონიშვილისა მარიამისაგან წელსა 1780 წელსა და უკანასკნელ წელსა 1835-სა თავადმა ფარსადან ციციანოვმა დააკერა კედლები და შეასრულა კანკელით და დააფარა კრამიტით, რადგან საყდარი ესე დაჰყვა სახლსა შინა მისსა და ელის კურთხევასა მისსა და არის ეს ტაძარი ღვთისმშობლის კრებისა, კვ-სა დღესა ზედა დეკემბრის თთვისასა, სადაცა არ არის არცა წირვა არცა ლოცვა. "

პლატონ იოსელიანი წერს: „აშენებულია ძველ საძირკველზე ვახტანგ V-ის (შახ-ნავაზის) ასულის დედოფალ ელენეს მიერ 1680 წელს. დარბეული ეკლესია 1775 წელს მცირედ აღადგინა დედოფალმა მარიამმა, მეფე ერეკლე II-ის ასულმა. 1840 წელს განაახლა ქართველმა თავადმა ფარსადან ციციანოვმა უფლის ტაძრებისადმი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით. მაგრამ დღეს ეკლესია გაუქმებულია, დიდი ხანია, რაც ღვთისმსახურება არ ჩატარებულა".

მოსე ჯანაშვილი წერს: "ღვთისმშობლის საკრებულო ტაძარი ძველ ნანგრევებზე აგებულია (1680წ.) ელენეს მიერ, რომელიც იყო ასული მეფე ვახტანგ მე-V-სა. ესეც რომ გაოხრდა, ხელახლა კიდევ განაახლა (1775წ.) ერეკლე II-ს ასულმა მარიამმა. ამ ეკლესიის ახლოს იყო სასახლე კათოლიკოსებისა ანჩის ხატთან, რომელშიაც სპარსთა ბატონობის დროს სცხოვრობდნენ მათი ხანები."

ამ ეკლესიის გვერდით, მდინარე მტკვრზე იყო სასახლე, რომელშიც ცხოვრობდა ანტონ კათალიკოსი და აქვე გვერდით იყო კათალიკოსებისა და მეფეების ოჯახის წევრების სასახლე, რომლისათვისაც ანჩისხატის ტაძარი კარის ეკლესია იყო. პლატონ იოსელიანის ცნობით, სპარსელების ბატონობის პერიოდში ამ სასახლეში ცხოვრობდნენ სპარსელი ხანები. ანტონ კათოლიკოსის დროს ამ სასახლეს ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა იქ მცხოვრები პირველი ხანის სახელი – ხანჯალ- ხანი.

სასახლეს სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ბაგრატიონ-მუხრანბატონების სასახლე, რომელიც ჩადიოდა მტკვრის სანაპირომდე. სასახლე დაინგრა 1795 წელს სპარსელების შემოსევის დროს. პლატონ იოსელიანი წერს–ეხლა დარჩა სასახლის ნანგრევები ეკლესიის საძირკველთან ერთად, რომლის მშენებლობაც დაიწყო ანტონ კათოლიკოსმა და ვერ დაამთავრა 1811 წელს რუსეთში გადასახლების გამო. მას უნდოდა ეს ეკლესია აეშენებინა წმინდა სვიმონ მესვეტეს სახელზე.

1848 წელს მიწის კერძო მფლობელობაში გადასვლის გამო ამ ეკლესიის ნანგრევები და ღვთისმშობლის ეკლესია აღმოჩნდა კერძო პირის საცხოვრებელი სახლის ეზოში. ეკლესიის მნიშვნელობაზე პლატონ იოსელიანი წერს: "ეს ადგილიც და თვითიონ ღვთისმშობლის ტაძარიც, რომელიც მთელი ერისათვის ისტორიის განძსა და სიწმინდეს უნდა წარმოადგენდეს, აღმოჩნდა კერძო სახლის ეზოში".

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კრების ეკლესია მდებარეობდა ანჩისხატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

Synaxis of the Most Holy Theotokos Church

The Georgian Church of the Synaxis of the Most Holy Theotokos was erected in 1690. It was repaired in 1780 and in 1835. As a result of the 1795 Persian incursion the temple was ruined and has never been restored after.

Церковь Собора Пресвятой Богородицы

Грузинская православная церковь Собора Пресвятой Богородицы построена в 1690 году. Церковь обновлялась в 1780 и 1835 годах. В результате нашествий персов в 1795 году церковь была разрушена и больше не восстанавливалась.

თბილისი. მტკვრის მარჯვენა სანაპირო. დ ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.

Тбилиси. Правая набережная Куры. Фото Д. Ермакова Конец XIX в.

Tbilisi. The right bank of the Mtkvari River. Photo by D. Ermakov. Late 19th c.





წმინდანთა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია

წმინდანთა კონსტანტინესა და ელენეს ბერძნული ეკლესიის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს: „მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ავლაბრისკენ გადებული ახალი ხიდის წინ ძველად კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ეკლესია ყოფილა. თემურის დროს დანგრეული, იგი უფრო მცირე ზომით აღადგინეს და შაჰ აბასის დროს დაწვეს. იგი კიკოს კვიპროსულ მონასტერს(181) ექვემდებარებოდა და ახტალის ეპისკოპოსების მეტოქი იყო. ამ მეტოქმა 1824 წლამდე იარსება და მის ორსართულიან შენობებში ცხოვრობდა ახტალის უკანასკნელი ეპისკოპოსი, იოაკიმე ბერძენი, პირველი, ვინც მცხეთაში კი არ ხელდასხეს ამ ხარისხზე, არამედ ტფილისის სიონში (1802 წლის 13 ოქტომბერს). ამ მეტოქის ნანგრევებზე კერძო ქარვასლა გაჩნდა და გაიხსნა ახალი, 1823 წელს აშენებული ხიდისაკენ მიმავალი ქუჩა."

წმინდანთა კონსტანტინესა და ელენეს ბერძნული ეკლესია მდებარეობდა მეიდანზე(182).

SS. Constantine and Helen Greek Church


One of the old Greek churches of Tbilisi dedicated to SS. Constantine and Helen was subordinated to Kykkoy Monastery. Having endured numerous desecrations the monastery survived till 1844.

Греческая церковь св. Константина и Елены

Одна из древних церквей Тбилиси - греческая церковь св. Константина и Елены подчинялась кипрскому монастырю Кико. Многократно разоренная церковь просуществовала до 1824 года.

ავლაბრის ხიდი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Авлабарский мост. Фото Д. Ермакова, начало XX в.
Avlabari Bridge. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

მეიდანი. ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Мейдан. Фото Ю. Каиа, 2009 г.
Meidan (square). Photo by Y. Kaya, 2009.




სურბ ნშანის ეკლესია

დღევანდელი სურბ ნშანის ეკლესიის კუთვნილების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ უდაოა ის ფაქტი, რომ ეკლესია თავდაპირველად ქართველ მართლმადიდებლებს ეკუთვნოდა და იგი წმინდა ნიკოლოზის სახელობაზე იყო ნაკურთხი. ისეთმა "მნიშვნელოვანმა და საიმედო წყარომ" (ვ.ბერიძე) როგორიც ვახუშტია, ეს ეკლესია რუკაზე "მამასახლისის საყდარად" აღნიშნა და არა როგორც "სომხის საყდარი". მიუხედავად იმისა, რომ მამასახლისები და ეკლესიის ქტიტორები ბებუთოვები იყვნენ, ისინი "ქართველ თავადებად" - ბებუთაშვილებად იწოდებოდნენ.

ამავე ვერსიას ამყარებს ეგ.იოსელიანიც, რომელიც ეკლესიას წმინდა ნიკოლოზის სახელით მოიხსენიებს: "წმინდათა ნაწილთა ეკკლესიად წოდებული საყდარი დიდშენი გუმბათიანი, სახელსა ზედა წმინდისა ნიკოლოსისასა, ოთხსა სვეტსა ზედა დაშენებული გუმბათი არის მწვანის აგურით დაბურვილი, ხოლო ეკკლესია და სამხრონი მისნი კრამიტით. ამას შინა არს სამი სამწირვლო, საშუვალ დიდი-სახელსა ზედა წმინდისა ნიკოლაოზისა, ჩრდილოეთით წმინდისა მოციქულისა ანდრეასი და სამხრეთით წმინდისა გიორგისა. აქ არს ხატი წმინდისა ნიკოლოსისა მრავალნაწილოვანი, დიდად სასწაულმოქმედი, რომელსა შინა ასვენია შუბლი მოციქულისა ანდრეასი..."

ეკლესიის ქართულობას ადასტურებს ისტორიკოსი პლ.იოსელიანიც, რომელიც წერს: "სურბ ნშანის ეკლესია, წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელით მართლმადიდებელთა ხელში იყო". იგი ეკლესიის აშენების თარიღად 1701 წელს ასახელებს და აღნიშნავს, რომ ამ ეკლესიაში "...ძველთაგანვე იყო წმინდა ანდრია მოციქულის თავის ქალის ნაწილი".

1802 წლის თბილისის გეგმაზე №64-ით ეს ეკლესია აღნიშნულია ისევ როგორც „წმინდა ნიკოლოზის ეკლესია". ასე რომ, ქართული კვალი ნათლად ჩანს, თუმცა მომდევნო პერიოდის დოკუმენტებში და რუკებზე ქართული



სურბ ნშანის ეკლესია. XXს. I ნახევრის ფოტო
Церковь Сурб Ншан. Фото I половины XX в.
Surb Nshan Church. Photo of late 20th c.

ბარელიეფი სურბ ნშანის ეკლესიის ფასადზე. XXს. I ნახევრის ფოტო
Барельеф на фасаде церкви Сурб Ншан. Фото I половины XX в.
Surb Nshan. The bas relief on the façade of the church. Photo of late 20th c.

Surb Nshan, Holy Cross Church

In Tbilisi especialy increased the share of Armenian population in the 18th century. In the same period Surb Nshan, Holy Cross Church of St. Nshan is built on the basement of the Georgian Orthodox Church of St. Nicholas. The church has been destroyed and then restored several times. The Church is built by bricks and represents a structure of 'Inscribed Cross' style. In Soviet period Divine Services had ceased at the church and the building was used for various purposes - as a warehouse for food products, also as the Archive of the National Library, where the publications on Armenian language where keept. For many decades the church has remained without any refurbishment works and today it is on the verge of destruction.


Церковь Сурб Ншан

В Тбилиси в XVIII веке особенно возросло армянское население. В XVIII в., строится церковь Сурб Ншан, которая возведена на месте грузинской православной церкви св.Николая. Церковь не раз разрушалась и восстанавливалась. Церковь является возведенной из кирпича церковью типа «вписанного креста». В советский период в церкви прекратилось богослужение и её использовали в различных целях - была продовольственным складом, архивом национальной библиотеки, где хранились армяноязычные публикации. Десятилетиями в церкви не проводились никакие ремонтные работы и сегодня церковь на грани разрушения.


ჯვარი სურბ ნშანის ეკლესიის გუმბათზე. XXს. I ნახევრის ფოტო.

Крест на куполе церкви Сурб Ншан. Фото I половины XX в.

Surb Nshan. The cross on the top of the church dome. Photo taken in the first half of the 20th century







წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია სომხური ეკლესიების ჩამონათვალში უკვე სურბ ნშანის სახელით მოიხსენიება.

სურბ ნშანი აგურით ნაგები "ჩახაზული ჯვრის" ტიპის ეკლესიაა მკვეთრად წაგრძელებული დასავლეთი მკლავით. გუმბათი მომწვანო-ცისფერი მოჭიქული ფილებით არის გადახურული. ეკლესიის ფასადში გამოყენებულია ირანული დეკორატიული ელემენტები.

ეკლესიის გალავანში მრავლად იყო ეპიგრაფიკის ნიმუშები, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ან დაზიანდა ან დაფარა შემდგომმა მიშენებებმა. დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ უშუალოდ ეკლესიის შენობაზე ან მასზე მიმაგრებული საფლავის ქვის წარწერები. კლასიცისტური ყაიდის კარიბჭე ჩრდილოეთი შესასვლელის წინ აშენებულია 1820-იან წლებში. სურბ ნშანის ეკლესიას ბოლო რესტავრაცია 1861 წელს ჩაუტარდა.

საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში შეწყდა ღვთისმსახურება და იგი გამოყენებული იყო სხვადასხვა დანიშნულებით – სურსათის საწყობად, ეროვნული ბიბლიოთეკის არქივად. ათეული წლების განმავლობაში ეკლესიას არ ჩატარებია არანაირი სარემონტო სამუშაოები. დღეს იგი დანგრევის პირასაა მისული.

სურბ ნშანის ეკლესია მდებარეობს სულთნიშნის ქუჩის №6-ში.

სურბ ნშანის ეკლესიის ცრუ გუმბათი. XXს I ნახევრის ფოტო.
Ложный купол церкви Сурб Ншан Фото I половины XX в.
The cross on the dome of Surb Nshan Church. Photo of late 20th c.


სურბ ნშანის ეკლესიის გუმბათი. XXს I ნახევრის ფოტო.
Купол церкви Сурб Ншан. Фото I половины XX в.
Surb Nshan Church. Dome. Photo of late 20th c.

ღვთისმშობელი ჩვილედით სურბ ნშანის ეკლესიის ფასადზე XXს I ნახევრის ფოტო.
Богоматерь с младенцем на фасаде церкви Сурб Ншан. Фото I половины XX в.
Surb Nshan Church. Frontage. The Most Holy Theotokos with Christ Child. Photo of late 20th c.











სურბ ნშანის ეკლესიის ჩრდილოეთი ფასადი.
ი მიქაძის ფოტო, 2009წ.
Северный фасад церкви Сурб Ншан. Фото И. Микадзе, 2009 г.
Surb Nshan Church. Northern frontage. Photo by I Mikadze, 2009.

სურბ ნშანის ეკლესიის ჩრდილოეთი შესასვლელი.
ი მიქაძის ფოტო, 2009წ.
Северный вход церкви Сурб Ншан. Фото И. Микадзе, 2009 г.
Surb Nshan Church. Northern porch. Photo by I.Mikadze, 2009.


სურბ ნშანის ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь Сурб Ншан, вид с северо-востока
Фото И. Микадзе, 2009 г.
Surb Nshan Church. North-east view. Photo by I.Mikadze, 2009.

სურბ ნშანის ეკლესიის დასავლეთიდან.
მ ქუთათელაძის ფოტო, 2009წ.
Церковь Сурб Ншан, вид с запада. Фото М. Кутателадзе, 2009 г.
Surb Nshan Church. West view. Photo by M.Kutateladze, 2009.






№ 2207. Военно-Грузинская дорога. Тифлисъ.



стиница „Россія“, на Головномъ проспектѣ.



სუნიტების მეჩეთი

1723 წლიდან 1735 წლამდე თბილისში იწყება "ოსმალობის" პერიოდი. ოსმალებმა თბილისი და ქართლის ყველა ციხე-სიმაგრე დაიკავეს. 1727 წელს მუსლიმი მეფე იესეს გარდაცვალების შემდეგ მას მემკვიდრე არ დაუნიშნეს და ამიტომ ქართლში მეფობა გაუქმდა. ქართლის გამგებლად ისჰაკ-ფაშა დანიშნეს.

1723-1735 წლებში ოსმალებმა ნარიყალას ძირში სუნიტების მეჩეთი ააშენეს, რომელიც ნადირ-შაჰის ბრძანებით მალევე, 1740-იან წლებში სპარსელებმა დაანგრიეს.

1846-1851 წლებში მეჩეთი არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის(183) პროექტით აღადგინეს. მაგრამ XIX საუკუნის ბოლოს, 1895 წელს ბაქოელმა მილიონერმა და მეცენატმა გაჯი ზეინალაბდინ ტაგიევმა მეჩეთი მთლიანად შეაკეთა, რამაც მისი აღმოსავლეთი ნაწილი საგრძნობლად შეცვალა.

აგურით ნაშენი მეჩეთი დამრეც ფერდობზე დგას. გრძივ კედლებზე შიესრულთაღოვანი სარკმელებია. მის არქიტექტურაში შერწყმულია ნეოგოთური და ისლამური ელემენტები. კარიბჭეზე რვაწახნაგა მინარეთია აღმართული, რომელიც შორიდანვე იქცევს ყურადღებას და სხვადასხვა რაკურსიდან განსხვავებულად აღიქმება.

ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებამ საქართველოში მუსლიმური სახელმწიფოების – ირანისა და თურქეთის პირდაპირი ზეგავლენა შეასუსტა. 1819 წლიდან მეფის მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში დაარსდა სუნიტი და შიიტი სასულიერო პირების მოსამზადებელი სასწავლებელი, რომლის მიზანიც რელიგიურ განათლებაზე მეტად მეფის მთავრობის ერთგული შეგირ-

The Sunni Mosque

In 1723-1735 the Turks built a Sunni mosque at the bottom of Narikhala Castle which, shortly after, in 1740, was destroyed by the Persians on the order of Nadir-Shah. In 1846-1851 the mosque was reconstructed according to the Architect Jiovani Scudieri's design.Late in the 19th century, in 1895, the mosque was totally repaired. This repair work completely altered its eastern interior.

Сунитская мечеть

В 1723-1735 годах оттоманцы у подножья горы Нарикала построили мечеть сунитов, которую по приказу Надир шаха вскоре же, в 1740–ые годы разрушили персы. В 1846-1851 годы мечеть восстановили по проекту архитектора Джованни Скудиери. В конце XIX века, в 1895 году мечеть была полностью отремонтирована, что существенно изменило ее восточную часть.

ნარიყალას ციხე და სუნიტების მეჩეთი. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს II ნახევარი.
Нарикальская крепость и суннитская мечеть. Фото Д.Ермакова, II половина XIXв.
Narikhala Castle and the Sunni mosque. Photo by D.Ermakov. Late 19th c.

ნარიყალა და მეჩეთი. ი.კაიას ფოტო. 2009წ
Нарикала и мечеть. Фото Ю.Каиа, 2009г.
Narikhala and the mosque. Photo by Y.Kaya, 2009.





წავკისის ხევი, ნარიყალა და სუნიტების მეჩეთი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. II ნახევარი.

Цавкисский овраг, Нарикала и суннитская мечеть.
Фото Д.Ермакова, II половина XIXв.

Tsavkisi ravine. Narikhala and the Sunni mosque.
Photo by D.Ermakov. Late 19th c.







თბილისის მეჩეთის ინტერიერი. შიიტთა სალოცავი მხარე.
ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Интерьер Тбилисской мечети, часть, где молятся шииты.
Фото Ю.Каиа, 2009г.
The Tbilisi mosque. Interior. A special area for Shiite prayers.
Photo by Y.Kaya, 2009

თბილისის მეჩეთის ინტერიერი, სუნიტთა სალოცავი მხარე.
ი.კაიას ფოტო, 2009წ
Интерьер Тбилисской мечети, часть, где молятся сунниты.
Фото Ю.Каиа, 2009г.
The Tbilisi mosque. Interior. A special area for Sunni prayers.
Photo by Y.Kaya, 2009

თბილისის მეჩეთის დასავლეთი მხარე.
ი.კაიას ფოტო, 2009წ
Западная сторона Тбилисской мечети.
Фото Ю.Каиа, 2009г.
The Tbilisi mosque. Western side.
Photo by Y.Kaya, 2009

ბოტანიკური ქუჩა და სუნიტების მეჩეთი. დ.ერმაკოვის
ფოტო, XIXს. II ნახევარი.
Ботаническая улица и суннитская мечеть.
Фото Д.Ермакова, II половина XIXв.
Botanical Street and the Sunni mosque.
Photo by D.Ermakov. Late 19th c.

თბილისის მეჩეთის მინარეთი.
ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Минарет Тбилисской мечети.
Фото Ю.Каиа, 2009г.
The Tbilisi mosque. Minaret.
Photo by Y.Kaya, 2009

დების აღზრდა წარმოადგენდა.

ამ პერიოდში მუსლიმ სასულიერო პირებს თანამდებობაზე დანიშვნის წინ იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ. გარდა ამისა, მათ ევალებოდათ დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე და სხვა მნიშვნელოვან დღეებში საგანგებო ლოცვები მიეძღვნათ მეფისა და მისი ოჯახის წევრთა კეთილდღეობისათვის. თუ ადრე თურქეთის სულთანი ანდა სპარსეთის შაჰი ითვლებოდა ალაჰისა და მუჰამედის მოადგილედ, ახლა ასეთად ქრისტიანი იმპერატორი მიიჩნეოდა. ამგვარი დამოკიდებულების სანაცვლოდ მეფის მთავრობა ხოჯებს, მოლებსა და შეიხებს ხელფასს უხდიდა.

1907 წელს თბილისში შეიქმნა მუსლიმური პარტია „მუდააფი" (თავდაცვა), რომელიც მიზნად ისახავდა თბილისის გუბერნიის მუსლიმთა შორის რელიგიური აღზრდა-განათლების წარმართვას. ამ პერიოდისათვის თბილისში შიიტი მუსლიმების რიცხვი ქალაქში მცხოვრები აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენლების ხარჯზე იზრდება.

თუმცა, ახალგაზრდა დამოუკიდებელ საქართველოს არ დავიწყებია ქართველი მუსლიმები. 1920 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ნურვინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა... ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს".

თბილისელმა მუსულმანმა სწავლულებმა სახელი გაითქვეს მთელ ახლო აზიაში და მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს მუსულმანური კულტურის ცენტრებთან.


1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად ძალაში შესული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ჩარჩოებში საქართველოს მუსლიმანებისათვისაც ცნეს რელიგიური თავისუფლება.

ამჟამად თბილისში მცხოვრებ მუსულმან მორწმუნეთა ორი ნაწილია – სუნიტები და შიიტები. სუნიტების მეჩეთი თბილისის ერთადერთი მოქმედი მეჩეთია. ის ემსახურება როგორც სუნიტური, ისე შიიტური მიმართულების მუსლიმებს. ისინი ალაჰისადმი ლოცვას ერთად აღავლენენ, რაც არც ისე გავრცელებული ფორმაა მსოფლიოში. თავდაპირველად მეჩეთი გაყოფილი იყო შავი ფარდით, რომლის ერთ მხარეს სუნიტები და მეორე მხარეს შიიტები ლოცულობდნენ. დღეს მეჩეთი ყველასთვის ერთნაირად გახსნილია.

თბილისის მეჩეთში იერარქიული საფეხურებიც გაყოფილია სუნიტებსა და შიიტებს შორის. თბილისის მეჩეთი ექვემდებარება აზერბაიჯანის მუფტის. მეჩეთთან მოქმედებს მედრესე – მუსულმანური რელიგიური სკოლა.

თბილისის მეჩეთი მდებარეობს ბოტანიკური ქუჩის №32-ში.







თბილისის ძველი უბანი.
ი.კაიას ფოტო, 2009წ.

Старая часть Тбилиси.
Фото Ю.Каиа, 2009г.

The old part of Tbilisi.
Photo by Y.Kaya,
2009





წმინდა იოანე ნათლისმცემლის ორი ეკლესია

„ფეოდალური თბილისის კალაში თავისი ზომებით და დანიშნულებით ორი მოედანი გამოიკვეთებოდა. ერთი მათგანი იყო ქვემო უბანში - ციხის ან თათრის მოედანი (დღევანდელი ვახტანგ გორგასლის მოედანი), მეორე კი ბატონის ან მეფის მოედანი ანჩისხატსა და სიონს შორის დაახლოებით ტოლ მანძილზე, ზემოთ მოყვანილი არტერიის შუაწელზე მდებარეობდა ბატონის მოედანი ამ არტერიის ნაწილებს ფუნქციონალურად გამოყოფდა ერთმანეთისაგან. ანჩისხატისა და შავთელის ქუჩის ნაწილები, სამეფო გვარის სასახლეთა კომპლექსი, კათოლიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელები, თავადების სასახლეები მოედანზე გამოდიოდა. ბატონის მოედნის საწინააღმდეგო მხარეზე, ერეკლესა და სიონის ქუჩებზე სავაჭროები, სახელოსნოები და ქარვასლები მდებარეობდა. მოედნის განაშენიანება მთლიანად მოისპო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას. ეს მიდამოები ხელახლა განაშენიანდა XIX საუკუნეში. შუასაუკუნოვანი დაგეგმარებიდან არაფერი შემორჩენილა. ყოფილი ბატონის მოედანი მთლიანად მშენებლობამ დაფარა. იგი დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს." - წერს თ.კვირკველია.

თბილისის მეფის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ბევრი ტაძარი იყო აშენებული. 1782 (№13) და 1802 (№37) წლების თბილისის გეგმაზე აღნიშნულია წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის

კვეთის ეკლესია, რომელიც ამ გეგმების მიხედვით მეფის მოედნის ჩრდილო–აღმოსავლეთ კუთხესთან, მტკვრის პირას, ერეკლე II–ის სტამბის გვერდით იდგა. თბილისის სიძველეთა აღწერისას პლატონ იოსელიანი წერს: "ზარაფხანის დასავლეთით თავს წმინდა იოანე ნათლისმცემლის ძველ დროში აშენებული გუმბათოვანი ეკლესია იწონებდა. ...მის ნაადგილევზე სინოდალური კანტორის ჩრდილოეთი ნაწილი დგას. ეკლესიასთან 10 ოთახში სტამბა იყო განთავსებული, რომელშიც 1709 წლიდან იბეჭდებოდა საღვთისმსახურო და სიტყვაკაზმული ქართული თხზულებები, ხუცური და მხედრული ანბანით. 1398 წელს, თემურლენგის დროს ეს დანგრეული ეკლესია ნათლისმცემლის უდაბნოს ბერებს 1426 წელს, საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის მეფობაში აღუდგენიათ. თბილისის ნათლიცმცემლის ეკლესია უდაბნოს მონასტრის მეტოქი ყოფილა. 1779 წელს ამ ეკლესიაში დაიწერა ჯვარი თავის მეუღლეზე, მარიამ ციციშვილზე მეფე გიორგი XII-მ".

წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ეკლესიის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტის თხზულების გადამწერების – 1813 წელს დავით მესხიშვილის - ქართველი მეცნიერის, მწიგნობარის, პედაგოგის და კალიგრაფის და 1816 წელს დავით დადიანის კარის მღვდლის დავით ინანიშვილის მიერ დატოვებულ ნუსხებში. მათ ჩამატებული აქვთ საკუთარი ცნობები თბილისის ეკლესიების ვახუშტის შემდგომი პერიოდის შესახებ. ამ ნუსხებში ვკითხულობთ, რომ სიონსა და ანჩისხატს შორის ორი ეკლესიაღაა დარჩენილი, ერთი კარის წმინდა გიორგი და „მეორე ნათლისმცემელის თავის კვეთისა. ამას მოარღვიეს ცაი ქვითკირისა რუსთა მიზეზითა დაძვრისათა სიძველის გამო და დახურეს ხითა".

მეორე ეკლესია, რომელიც აქვე ახლოს იდგა, იყო წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესია. მის შესახებ მღვდელი დავით ინანიშვილი 1816 წელს წერს: "არს კიდევ ეკლესია დიდი უგუმბათო შვენიერი ნაშენი შუშნიერსა ადგილსა ნათლისმცემლისა შობისა. რომელი აღაშენა და განაახლა 96 მეფემან ირაკლი მეორემან წელსა 1783. დავითიან ბაგრატოვანმან. და ჰყო კარის საყდრად თვსად. გარნა ესეცა შემუსრვასა ტფილისისასა დაიწვა აღამამადხანისა მიერ".

1782 წლის პიშჩევიჩის თბილისის გეგმაზე კარის წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით (სამხრეთით), ერეკლეს სასახლესა და პირად აპარტამენტებს შორის დატანილია №6–ით „მეფე ერეკლეს სამლოცველო". დავით ხოშტარია წერს: „ეს, ვფიქრობ, არის წმ.იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესია, რომელიც, როგორც დავით ინანიშვილის ზემოთ მოტანილი ცნობა მოწმობს, სწორედ ერეკლეს კარის საყდარი იყო. თუმცა, ამ შემთხვევაში თარიღი კორექციას საჭიროებს – ინანაშვილის ცნობით, ერეკლემ ეს ეკლესია ჰყო „კარის საყდრად თვისად" 1783 წელს, პიშჩევიჩის გეგმა კი ერთი წლით ადრეა შედგენილი. შესაძლოა სწორი იყოს ვახუშტის სხვა გადამწერი ოსე გაბაშვილი, რომელსაც, როგორც ითქვა, ამ ეკლესიის აშენების თუ აღდგენის თარიღად 1744 წელი აქვს მითითებული".

პლატონ იოსელიანის მიხედვით წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესია აგებულია წმინდა მთავარანგელოზთა გრანდიოზული ტაძრის ნანგრევებზე.


St. John the Baptist Churches

On the site adjoining King's Square two Orthodox Georgian churches dedicated to St. John the Baptist were located. The exact date of their erection or any later data about them are unknown.

Две церкви св. Иоанна Крестителя

В Тбилиси на территории, примыкающей к Царской площади, были построены две грузинские православные церкви Иоанна Крестителя. Нам не известна точная дата возведения церквей, о которых до нас дошли весьма скудные сведения.

თბილისი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს I ნახევარი
Тбилиси.
Фото Д.Ермакова, I половина XXв.
Tbilisi.
Photo by D.Ermakov. Early 20th c.



ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია

თბილისის ბეთლემის უბანში ერთმანეთის სიახლოვეს სამი უძველესი ქართული ტაძარი იყო აგებული – კლდისუბნის წმინდა გიორგის, ბეთლემის მაცხოვრის შობის ზემო ეკლესია და დღევანდელი ბეთლემის მაცხოვრის შობის ქვემო ეკლესია.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ქვემო ეკლესიის აშენების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველი ნაგებობა მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობა იქნებოდა. უდაოა, რომ თბილისის გალავანში მოქცეული ქართული მართლმადიდებლური პატარა ტაძარი მუსულმან დამპყრობლების შემოსევებს შეეწირებოდა.

XVIII საუკუნეში ირანიდან თბილისში საცხოვრებლად შემოდის ბებუთოვების გვარი. მათ მეფე თეიმურაზ II-მ XVIII საუკუნის შუა წლებში აზნაურობა უბოძა, ხოლო 90-იან წლებში მეფე ერეკლემ თავადობა. ამის შემდეგ მათ ისინი ბებუთაშვილების გვარით იხსენიებოდნენ და მემკვიდრეობით ფლობდნენ მამასახლისის და ნაცვალის სახელოს.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ბებუთოვების გვარი ბეთლემის მაცხოვრის შობის ქვემო ეკლესიის მიდამოებში სახლდება, რომელსაც XIX საუკუნეში მამასახლისის (მელიქის) უბანს ეძავდნენ. მოგვიანებით კი, დღევანდელი ლ.ასათიანის ქუჩას ბებუთოვის ქუჩა ეწოდებოდა.

ამ ტერიტორიაზე დასახლებული ბებუთოვების გვარი იწყებს დანგრეული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენას. მოგვიანებით კი, 1840-1875 წლებში, იღუმენი გაიანე ბებუთოვას მეშვეობით, ქართული მართლმადიდებლური ძველი ეკლესიის ადგილზე ახალი ტაძარი აშენდა და მასში განთავსდა წმინდა სტეფანოზის დედათა მონასტერი.

დედათა მონასტრის ტერიტორიას გალავანი ჰქონია შემოვლებული, რომელმაც ჩვენამდე ნაწილობრივი დაზიანებით მოაღწია. ეკლესიის შენობას 1910 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია.

საბჭოთა პერიოდში, 1920-იანი წლებიდან ეკლესიაში შეწყდა ღვთისმსახურება და იგი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. ეკლესიის დასავლეთით მდგარი სამონასტრო ნაგებობები საცხოვრებელ სახლებად გადააკეთეს.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია დამრეც ფერდობზე დგას და ჩრდილო–დასავლეთი კუთხით თითქმის ებჯინება მას. აგურით ნაშენები

Lower Bethlehem Church of the Nativity of Our Saviour

The construction of Surb Stephanoz Convent was built on the basis of an old Georgian Church in 1840-1874 years. Mother Superior Gaiane Bebutova conducted its reconstruction. Under Communist rule it was closed. In 1988 the church was disposed to the Patriarchate of Georgia. In 1991-1997 the inside walls were painted with frescoes. The restored church was consecrated and dedicated to the Nativity of Our Saviour.

Вифлеемская (Бетлемская) церковь Рождества Христова

На фундаменте старой грузинской церкви в 1840 1875 годах при содействии игуменьи Гайяне Бебутовой был построен женский монастырь Сурб Стефана. Во время коммунистического строя церковь закрыли для богослужения. С 1988 года церковь была передана Патриархии Грузии. В 1991 1997 годах она полностью была расписана. Восстановленную церковь освятили во имя Рождества Христова.

ბეთლემის ქვ.ეკლესია. ხედი ჩრდილოეთიდან. XXს. I ნახევრის ფოტო

Вифлеемская (Бетлемская) нижняя церковь, вид с севера. Фото I половины XXв.

Lower Bethlehem Church. North view. Photo of early 20th c.

ბეთლემის ქვ.ეკლესია დაუმთავრებელი გუმბათით დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. II ნახევარი.

Вифлеемская (Бетлемская) нижняя церковь с незаконченным куполом. Фото Д.Ермакова, II половина XIX в.

Lower Bethlehem Church with an unfinished dome. Photo by D.Ermakov. Late 19th c.





ე კლესია "ჩახაზული ჯვრის" ტიპისაა. გუმბათი ოთხ ბურჯს ეყრდნობა. ეკლესიის აფსიდი ნახევარწრიულადაა შვერილი. ფასადი დეკორატიული თაღებითა და მაღალი, სწორკუთხა შეღრმავებებითაა დანაწევრებული. გუმბათის სარკმლები თაღებშია ჩაწერილი. მათ ზემოთ კედლის სიბრტყეში მართკუთხა ჩაღრმავებები და ასევე აგურის წყობით გამოყვანილი წრეები გუმბათს სარტყელივით შემოუყვებიან.

ტაძარს შესასვლელი დასავლეთ და ჩრდილოეთ მხრიდან აქვს. ჩრდილოეთ კართან ქვის ფართე, ორმხრივ კიბეს მივყავართ. თაღოვან საპირეში მოქცეული რკინის კარის თავზე, ლუნეტში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ფერწერული გამოსახულებაა.

ბეთლემის ქვემო ეკლესია 1988 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა და იგი ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელზე აკურთხეს. ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, გაიწმინდა მიმდებარე ტერიტორია. 1991-1997 წლებში ტაძარი დ.ხიდაშელისა და მ.ჩაკვეტაძის მიერ მოიხატა. საყურადღებოა, რომ ეკლესიის მოხატვა შესაძლებელი გახდა შვეიცარიელი მართლმადიდებლების, შემოწირულობების მეშვეობით. ეკლესიაში დაბრძანებულია მაცხოვრის შობის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, წმინდა ნინოს და სხვა წმინდანთა ხატები.


ეკლესიასთან ბეთლემის ქუჩა-კიბის მეშვეობით შეიძლება მოხვედრა. ბეთლემის ქუჩა-კიბის პროექტი 1850 წელსაა შესრულებული საგუბერნიო არქიტექტორის ტიმოთე ბელოის(184) მიერ. პროექტის მიხედვით კიბე გადახურული უნდა ყოფილიყო. პროექტი საკუთარი მასალით, უსასყიდლოდ განახორციელეს თბილისელმა ამქრებმა(185). კიბემ მშენებლობის პროცესში არსებითად იცვალა სახე, ვერ მოხერხდა მისი გადახურვა.

თბილისის ბეთლემის მაცხოვრის შობის (ქვემო) ეკლესია მდებარეობს ბეთლემის აღმართის № 3-ში.


ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესიისაკენ მიმავალი ქუჩა-კიბე დ.ერმაკოვის ფოტო. XXს
Улица-лестница, ведущая к Вифлеемской (Бетлемской) церкви Рождества Христова. Фото Д.Ермакова, XXв.
The street leading to the Bethlehem Lower Church of the Nativity of Our Saviour. Staircase Photo by D.Ermakov. Early 20th c.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან XXს II ნახ. ფოტო.
Вифлеемская (Бетлемская) церковь Рождества Христова, вид с юго-востока. Фото II половины XXв.
Bethlehem Lower Church of the Nativity of Our Saviour. South-east view. Photo of late 20th c.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესიის გუმბათი. მ.ქუთათელაძის ფოტო 2008წ
Купол Вифлеемской (Бетлемской) нижней церкви Рождества Христова. Фото М.Кутателадзе, 2008г.
Bethlehem Lower Church of the Nativity of our Saviour. Dome. Photo by M.Kutateladze, 2008









ბეთლემის მაცხოვრის შობის ქვ.ეკლესიის გუმბათის მოხატულობა.

მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ
Роспись купола Вифлеемской (Бетлемской) нижней церкви Рождества Христова.

Фото М.Кутателадзе, 2008г.
Bethlehem Lower Church of the Nativity of Our Saviour. The murals inside the dome

Photo by M.Kutateladze, 2008.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ქვ.ეკლესიის ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Интерьер Вифлеемской (Бетлемской) нижней церкви Рождества Христова. Фото И. Микадзе, 2009г.
Bethlehem Lower Church of the Nativity of Our Saviour. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ქვ.ეკლესიის კანკელი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Алтарная преграда Вифлеемской (Бетлемской) нижней церкви Рождества Христова. Фото И.Микадзе, 2009г.
Bethlehem Lower Church of the Nativity. Iconostasis. Photo by I.Mikadze, 2009.

ბეთლემის მაცხოვრის შობის ქვ. ეკლესია ჩრდილოეთიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Вифлеемской (Бетлемской) нижняя церковь Рожества Христова, вид с севера. Фото И.Микадзе, 2009г.
Bethlehem Lower Church of the Nativity. Northern view. Photo by I.Mikadze,2009.





ქამოაანთ სურბ გევორქის ეკლესია

დღევანდელი რუსთაველის გამზირის და ლ.გუდიაშვილის შესახვევის გადაკვეთაზე, მეტროს სადგურ "თავისუფლების მოედნის" მოპირდაპირე მხარეს მღვდლის გაბრიელ ქამოიანცის ინიციატივით თბილისში შენდება სურბ გევორქის გუმბათიანი ეკლესია, რომელსაც აღმშენებლის გვარის გამო ქამოაანთ ეკლესიასაც უძახდნენ.

ქამოაანთ სურბ გევორქის ეკლესიის აშენების თარიღის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში ამ ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „გარეგან ქალაქისა ტფილისისა არს ეკკლესია გუმბათიანი, აღმაშენებელისასა, სახელითა ქამოაანთ საყდრად წოდებული, სახელსა ზედა წმინდისა გიორგისასა, სიდიდით კმა საყოფელი, წითლის აგურით, ქვით-კირით აღშენებული მოქალაქისა ახუნდოვისა და ტერ-გაბრიელ ქამოოვისაგან წელსა 1727-სა, და დაბურვილი კრამიტით".

ვახუშტის 1735 წლის თბილისის გეგმაზე გარეთუბანში დატანილია "სომხის ტაძარი", რომელიც, სავარაუდოდ, ქამოაანთ სურბ გევორქის ეკლესია უნდა იყოს. თ.ბერიძის ცნობით, ამ ეკლესიას სომხები ტაფთაღის (მინდვრის უბნის) ქამოაანთ სურბ გევორქს და "დასტი ხაჩი" სურბ გევორქსაც (მინდვრის ჯვრის წმინდა გიორგი) უწოდებდნენ.

XIX საუკუნის ჩანაწერებში ეკლესია აღწერილია როგორც ლამაზი, წითელი აგურით ნაშენი მასიური ნაგებობა. ქამოაანთ სურბ გევორქის ეკლესია დაანგრიეს 1927 წელს, რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქციის დროს.

ეს ეკლესია გამოსახულია საარქივო ფოტოებზე. იგი წარმოადგენდა გუმბათიან ნაგებობას ფანჩატურიანი სამრეკლოთი დასავლეთი კარიბჭის თავზე.


ამჟამად ქამოაანთ სურბ გევორქის ეკლესიის ადგილას რუსთაველის გამზირის №1-ში საცხოვრებელი სახლია აშენებული.

Surb Gevork Kamoaant Church

In 1727 on the initiation of priest Gabriel Kamojants, one of the active members of the 18th century Armenian movement for independence, the erection of Surb Gevork Church begins. Eventually, the people of Tbilisi called the temple Kamoaant, in honour of its builder. The annals give a description of the church as a grand and imposing construction built in red brick. Kamoev's Surb Gevork Church was pulled down in 1927 during the reconstruction of the street.

Камоянц церковь Сурб Геворк

По инициативе одного из активных членов армянского освободительного движения XVIII века священника Габриела Камоянца в 1727 году начинается строительство церкви Сурб Геворк, которую в дальнейшем тбилисцы в честь ее строителя назвали церковью Камоянца. В исторических летописях церковь описана как величественное сооружение, возведенное массивным красным кирпичом. Церковь Камоянц Сурб Геворк снесли в 1927 году во время реконструкции улицы.



ქამოევის სურბ გევორქის ეკლესია, დაშლის პროცესი საბჭოთა პერიოდის ფოტო
Церковь Сурб Геворк -Камоянца, в процессе развала. Фото советского периода.
Kamoev Surb Gevork Church. The process of its destruction. Photo of the Soviet period

ქამოევის სურბ გევორქის ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო XXს. დასაწყისი
Церковь Сурб Геворк -Камоянца, вид с северо-запада. Фото Д.Ермакова, начало XX в.
Surb Gevork Kamoev Church. North west view. Photo by D.Ermakov. Early 20th c




Тифлисъ. Лорисъ, Начало Лорисовой улицы и Армянская церковь.



ქამოევის სურბ გევორქის ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან
ღია ბარათი, XXს
Церковь Сурб Геворк -Камояница, вид с северо-запада
Открытка XX в.
Surb Gevork Kamoev Church. North-west view.
Postcard, 20th c.

ქამოევის სურბ გევორქის ეკლესია ჩრდილოეთიდან
ღია ბარათი XXს
Церковь Сурб Геворк -Камояница, вид с севера.
Открытка XX в.
Surb Gevork Kamoev Church. North view.
Postcard. 20th c.

ქამოევის სურბ გევორქის ეკლესია და გოლოვინის პროსპექტი
ხედი სობოროს ტაძრიდან დ ერმაკოვის ფოტო XIXს დასასრული
Церковь Сурб Геворк -Камояница и Головинский проспект,
вид с Собора. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Surb Gevork Kamoev Church and Golovin Avenue. A view from Soboro
Church. Photo by D.Ermakov. Late 19th c.




СЪВЕРНЫЕ

ლათინთ საყდარი



ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში" წერს: „კათოლიკებს კვალად ნება მიეცათ ეკკლესიის აღშენების, ამათ სხვაგან აღაშენეს, ხარების სახელზედ, 1729 წელს ეკკლესია უკვე მზად იყო, რომიდამ საეკკლესიო ნივთები მოიტანეს და ყოველისფრის საჭიროებით შემოსეს".

თუმცა, სომხებმა კათოლიკეთა "უწინდელზე უარესი აწიოკება" კვლავ წამოიწყეს. პადრი ნიკოლო მარია ბორჯოელი რომში გაგზავნილ წერილში წერს: "...საუბედუროდ დავკარგეთ ტფილისის მისიონი, ამ 1742 წელს... მწვალებელმა სომხებმა დაგვიწყეს მკაცრი დევნა. ჩვენი მონასტერი და ეკლესია სპარსეთის თათრებს ერთიან ააკლებინეს, ტფილისში მყოფი მონაზონები დაგვამწყვდიეს, გაგვლახეს და ათასნაირი ტანჯვა მოგვაყენეს... უმოწყალოდ გალახეს ყველა სომხის კათოლიკები, რომელთაც მოინდომეს მტკიცედ დარჩენა წმიდა კათოლიკე სარწმუნოებაში; ბარბაროსულად წაართვეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ; ეს არ აკმარეს, არამედ ბევრის ცემის შემდეგ აღიარებინეს ევტიქეს შემცდარი სარწმუნოება და აწყევლინეს პაპი წმინდა ლეონ დიდი...". „რამდენიმე თვის შემდეგ კაპუცინები თბილისში დაბრუნდნენ და დაეპატრონენ თავიანთ სახლსა და ეკლესიას," - წერს მიხეილ თამარაშვილი.

წმინდა ხარების კათოლიკურ ეკლესიასთან არსებობდა სასწავლებელი, მოხუცთა თავშესაფარი და სასტუმრო სახლი, აგრეთვე მოქმედებდა საძმო „სავარდისი". ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზე ეს კათოლიკური ეკლესია აღნიშნულია როგორც „ლათინთ საყდარი".

ამავე ადგილას მიუთითებს ხარების კათოლიკურ ეკლესიას პლატონ იოსელიანიც: "თბილისში ხარება კათოლიკური ეკლესია მდებარეობდა დღევანდელი ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს." ეს კათოლიკური ტაძარი თბილისის 1782 წლის გეგმაზეა დატანილი. ზაქარია ჭიჭინაძე 1903 წელს წერს, რომ: „აქამდისამ ეკკლესიაში მარილის მაღაზია იყო, ეხლა სხვა ნივთთა საწყობია".

წმინდა ხარების კათოლიკური ეკლესია, "ლათინთ საყდარი" მდებარეობდა დღევანდელი გ.აბესაძის ქუჩის №13-ში, შენობა დღეისათვის საცხოვრებელ სახლადაა გადაკეთებული.

The Catholic Church, the Temple of the Latins

In 1724-1729 the persecution of the Catholic believers ceased. They erected a new Church of the Holy Annunciation and church supplies were specially brought from Rome. The temple was in charge of a school, an adult home and a guest house. Apart from it, there existed the fellowship 'Savardisi', which enabled people to be involved in doing various good deeds. After the construction of a new Catholic church dedicated to the Ascension of the Most Holy Theotokos early in the 19th century, the former started to be used for various purposes.

Католический храм св. Благовещания

В 1724-1729 годах преследование католиков прекратилось. Они опять строят новую церковь св. Благовещания, для обустройства которой церковную утварь привозят из Рима. При церкви существовали училище, приют для стариков и гостинный дом. Также действовало братство «Савардиси», посредством которого можно было совершать много полезных дел. После того, как в начале XIX века была построена новая католическая церковь (церковь Вознесения св. Марии) здание этой церкви использовалось в разных целях.

ეკლესიის შენობა. ნ.კორძახიას ფოტო. 2009წ.
Здание церкви. Фото Н.Кордзахия, 2009г.
The building of the church. Photo by N. Kordzaxia, 2009

ეკლესიის დასავლეთ შესასვლელის შემორჩენილი ფრაგმენტი. ნ.კორძახიას ფოტო. 2009წ.
Сохранившийся фрагмент западного входа церкви. Фото Н.Кордзахия, 2009г.
The west entrance of the church. Survived detail. Photo by N. Kordzaxia, 2009

კედელში ჩაშენებული საფლავის ქვა. ნ.კორძახიას ფოტო. 2009წ.
Встроенный в стену надгробный камень. Фото Н.Кордзахия, 2009г.
A gravestone fixed in the wall. Photo by N.Kordzaxia, 2009



ორბელიანების სასახლის ეკლესია

ბარემუბანში, საასპარეზო მოედანსა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის 1697 წლიდან იდგა ქართლის მაჰმადიანი მეფის ალიყული-ხანის ანუ იესე მეფის(186) სასახლე, რომელსაც მის გარშემო ბაღებიც ეკუთვნოდა. გადმოცემით, ამ ბაღში (ყოფილ ალექსანდრეს ბაღში) თვითონ მეფე იესეა დასაფლავებული.

1704 წლიდან ამ ადგილების შეძენას იწყებენ თავადი ორბელიანები, რომლებმაც საკმაოდ დიდი ტერიტორია დაიკავეს. 1751 წლის 9 იანვრის წყალობის წიგნით თეიმურაზ მეორემ სარდალ რევაზ ორბელიანს და მის შთამომავლებს (სამემკვიდრეოდ) „მეიდნის პირზედ" სასახლის ადგილი უწყალობა. ამ წყალობის წიგნით ორბელიანებს ებოძათ ტერიტორია ალექსანდრეს ბაღისა და მტკვარს შუა. ეს ტერიტორია გალავნით ყოფილა შემოზღუდული. იქ დიდ ქართველ ფეოდალებს სასახლესთან ერთად ედგათ კარის ეკლესია, რომელიც ცალკე ეკლესიის აშენებამდე, სავარაუდოდ, სასახლის ერთ-ერთ დარბაზში იყო განთავსებული.

მოგვიანებით ორბელიანებს ცალკე მდგომი ეკლესია აუგიათ. თბილისის 1867 წლის გეგმაზე დღევანდელ ორბელიანის ქუჩაზე აღნიშნულია წმინდა ფერისცვალების ეკლესია. ამავე სახელით არის აღნიშნული ეს ეკლესია თბილისის მომდევნო გეგმებზეც. თუმცა, კალისტრატე ცინცაძე ამ ეკლესიას წმინდა ნიკოლოზად მოიხსენიებს.

კალისტრატე ცინცაძის ცნობით: "ალექსი ექსარხოსის (1901-1905) განკარგულებით, 1904წ. თებერვლის 27 თარიღით, ქვაშვეთის ეკლესიას მიაწერეს ორბელიანთ წმინდა ნიკოლოზის სახელობის კარის ეკლესია, რომელიც მოთავსებული იყო ორბელიანის ქუჩის ბოლოში, მტკვრის ტოტის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესია თავისთავად წარმოადგენდა საკმაოდ ვრცელ დარბაზს, რომელსაც დასავლეთის მხრივ მიშენებული ჰქონდა (1866წ.) ვითომც კარიბჭე. ეს ეკლესია, საკრებულო უწყებების სიტყვით, არსებობს 1849 წლიდან, მაგრამ ეს ცნობა არ უნდა იყოს სწორი: 1845 წელს ივნისის 6 №1681 განკარგულებით ისიდორე ექზარქოსს ამ ეკლესიისათვის გაუმწესებია მღვდლად "კავკასიის ეპარქიის მღვდელი მიხეილ ბორისოვი, თანახმად ორბელიანთ თხოვნისა" და თანაც უბრძანებია, – ამის იქით ეს ეკლესია აჩვენეთ საკრებულო უწყებებშიო. ბრძანება გამოწვეულია მთავარუხუცესის გრიგოლ ჭარელაშვილის მოხსენებით – წინათ აქ მღვდლად იოანე ბასალოვი იყოო, მაგრამ ამჟამად ის ავად არისო. ზემოაღნიშნულისა გამო უნდა ვიფიქროთ, რომ 1849 წელს აგებულია ის შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო ეკლესია გაუქმებამდე, წინათ კი ტაძარი სხვაგან ყოფილა, შეიძლება თვით საგვარეულო სასახლის ერთ-ერთ დარბაზში".

კალისტრატე ცინცაძე ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის ორბელიანების კარის ეკლესიის ხატის შესახებ, საიდანაც შესაძლებელია ასევე ეკლესიის ადრეული არსებობის დამტკიცებაც: "...იგი იშვიათი და შეიძლება პირდაპირ ითქვას უნიკუმია... ხატი ვერცხლისაა და შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: მას აქვს კარები, რომელთა გახსნის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ ორ ჯვარს, მოთავსებულს ერთს მეორეს ზემოთ; პირველი ჩვეულებრივი ყელის ჯვარის ზომისაა, მეორე კი 14-15 სმ. სიგრძისაა, ორივე ძელი ჭეშმარიტის ნაწილებია და შემოსილია ოქროთი... დიდი ჯვარის გარშემო სიმეტრიულად გაკეთებულია ოთხი სწორკუთხიანი ბუდე, ...რომლებშიც მოთავსებულია ნაწილები: წმინდა ესტატესი, იოანე ნათლისცემელისა (სისხლი), ბასილისა და გიორგისა; იოანე

The Orbelianis' Court Church


In 1704 the Georgian Princes Orbelianis start purchasing plots of land for building a palace. Initially, the grand hall of the palace was assigned to St. Nicholas Church. Later, a detached construction was built which from the first was plotted on the charts of Tbilisi as Church of the Transfiguration. The last datum about the church is dated by 1913.

Придворная церковь Орбелианов

В Тбилиси с 1704 года начинают приобретать земли грузинские князья Орбелиани, которые для жилья строят дворец. В начале большой зал этого дворца был отведен церкви, позднее построили отдельное здание для церкви, которая первоначально на планах Тбилиси указана как грузинская православная церковь св. Преображения. Последние сведения об этой церкви датированы 1913 годом, где она упоминается как церковь св. Николая.

მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ორბელიანების უბანი დერმაკოვის ფოტო XIXს დასასრული
Правая набережная Куры, район Орбелиани. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
The right bank of the River Mtkvari. The Orbelianis' area. Photo by D.Ermakov. Late 19thc.

მიხეილის ხიდი დერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Михайловский мост. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Mikheil's Bridge. Photo by D. Ermakov. Late 19thc.






ოქროპირისა... ეს ხატი 1727 წელს ეკლესიისათვის შეუწირავს ყაფლანის ძის ასლანის შვილს ტფილელ ბოლნელ მიტროპოლიტს დომენტის". ეს ცნობა ადასტურებს, რომ ეკლესია 1727 წელს უკვე არსებობდა.

"ორბელიანთ ეკლესიის პირველ მღვდლად, ცნობათა მიხედვით, უნდა ჩაითვალოს მღვდელი იოანე ბესალოვი. ამ მოძღვრის შესახებ ქაშვეთის საკრებულო უწყებებში არის შეტანილი: შტატგარეშე მღვდელი ი.დ.ბესალოვი, 76 წლისა თუ იყო ორბელიანთ ეკლესიის მღვდლად და უკვე ცხრა წელიწადია, რაც გამოვიდა სამსახურიდან და ავად იმყოფებაო. მაშასადამე, 1841 წ. ის კარგად ყოფილა და მღვდლობდა, ქაშვეთის აღსარების სიაში ჩანს 1836 წლიდან, 1852 წელში გარდაიცვალა."

ეკლესია თავდაპირველად მიწერილი ყოფილა ანჩისხატზე, შემდეგ კუკიის ნიკოლოზის ეკლესიაზე. 1865 წელს აქ გაუმწესებიათ მღვდლად ბესარიონ ზედგენიძე, რომელსაც მოუსურვებია "დამოუკიდებლობა" და ამ მიზნით დაუწყია სამეტრიკო წიგნების წერა, რაც გაგრძელებულა 1865-1887 წლების განმავლობაში. 1888 წლიდან 1893 წლამდე ეს ეკლესია მიწერილი ყოფილა დიდუბის ეკლესიაზე, შემდეგ 1893 წელს მას მიეცა საკუთარი მღვდელი, რომელიც ვალდებული გახადეს მის მიერ შესრულებული ნათლობა – ქორწინება – ანდერძის აგება შეეტანა იმავე დიდუბის ეკლესიის სამეტრიკო დავთარში. 1899 წლიდან ეკლესიამ აღიდგინა "დამოუკიდებლობა" და 1903 წლის დასასრულამდე აწარმოებდა საბუთებს საკუთრად.

"1904 წელს ორბელიანების კარის ეკლესია ქაშვეთს მიაწერეს, ორბელიანების თანხმობით და უსაფრთხოების მიზნით ხატი ქაშვეთში აუბრძანებიათ. ხატი აქ 1904-1913 წლებში ინახებოდა. ხოლო, მას შემდეგ, რაც ორბელიანების კარის ეკლესია დარიის ფერისცვალების მონასტერზე იქნა მიწერილი, ხატი აღნიშნული მონასტრის წინამძღვარს ეპისკოპოს ანტონი გიორგაძეს იქ წაუსვენებია".

ორბელიანების სასახლის ეკლესია მდებარეობდა ორბელიანის ქუჩის ბოლოს. დღეისათვის მხოლოდ ეკლესიის კიბის ნაშთიღაა შემორჩენილი.







მტკვრის მარჯვენა სანაპირო. ორბელიანების უბანი და კარის ეკლესია დ ერმაკოვის ფოტო XIXს დასასრული
Правая набережная Куры, район Орбелиани и придворная церковь. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
The right bank of the River Mtkvari, The Orbelianis' area and Court Church. Photo by D. Ermakov Late 19thc.

მოლნის ორი ეკლესია



თბილისში, პურის მოედნის სიახლოვეს იდგა მოღნის ორი ეკლესია. ჩვენამდე მხოლოდ ერთმა - ღვთისმშობლის დიდმა ეკლესიამ მოაღწია. ამ ორი ეკლესიის კუთვნილების და აშენების თარიღის შესახებ სხვადასხვა ვარაუდი არსებობს.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ზაქარია ქანაქერცის "ქრონიკაში" არის ლეგენდა წმინდა გიორგის წმინდა ნაწილების საქართველოში გადმობრძანების შესახებ. ამ ნაშრომის მიხედვით, წმინდა ნაწილები, რომლებსაც სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდათ, დასვენებული იყო სომხეთის კარიბის ოლქში–ჰოვჰანავანქის მონასტერში. "ქრონიკაში" ვკითხულობთ, რომ XIII-XIV საუკუნეებში, როდესაც კარიბის ოლქი ქართველ მეფეთა გამგებლობაში იმყოფებოდა, უფლისწულს - მეფე დათოს ძეს შეეყარა კანის უკურნებელი სნეულება. მის გადასარჩენად მეფემ ბრძანა წმინდა ნაწილების გადმოსვენება თბილისში, რასაც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მეფე იძულებული გახდა საქართველოდან მძევლებად გაეგზავნა დიდებულთა ბავშვები, რომლებიც დატოვებულ იქნენ სომხეთში. ამ მძევლების შთამომავალი იყო თვით ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერციც. მისი გადმოცემით, კარბელებმა წმინდანის ნეშტიდან მხოლოდ "კბილების ნაწილები და სისხლი" დაიტოვეს, ხოლო სხვა დარჩენილი წმინდა ნაწილები

მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია სამხრეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Могнинская церковь Богоматери, вид с юга. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Most Holy Theotokos Moghni Church. South view. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია სამხრეთიდან დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Могнинская церковь Богоматери, вид с юга. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Most Holy Theotokos Moghni Church. South view. Photo by D.Ermakov. End of 19th c.


მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდილოეთიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Могнинская церковь Богоматери, вид с севера. Фото И. Микадзе, 2009 г.
Most Holy Theotokos Moghni Church. West view. Photo by D.Ermakov. End of 19th c


Two Churches of Moghni

In the 13th century a church built by King David VIII stood on the site of two churches of Moghni. This is proved by the architecture of the temple. We do not know when the Armenians made possession of it. Their sources give data about Moghni Church from the 17th century. Two temples stood on the site; the big one was dedicated to the Most Holy Theotokos and the smaller one was consecrated in commemoration of St.Giorgi. Only the big church badly damaged has survived to these days. It was built in 1751. Its dome collapsed in 2009.

Церкви Могни

На месте Могнинской церкви Богоматери стояла грузинская православная церковь, построенная царем Грузии Давидом VIII, что подтверждается архитектурой храма. Нам незвестно, когда эта церковь оказалась в руках армян. Сведения о Мугнинской церкви в армянских источниках встречаются с XVII века. На этой территории стояли две церкви: большая была освящена во имя Богоматери, а малая во имя Св. Георгия. До нас дошла лишь сильно поврежденная большая церковь, купол которой обвалился в 2009 году.







თბილისში გადმოასვენეს. უფლისწული წმინდა ნაწილების ჩამოსვენებამდე გარდაცვლილა. განრისხებულმა მეფემ დაიტოვა წმინდა ნაწილები და მათთვის თბილისში წმინდა გიორგის ეკლესია ააშენა.

"ქრონიკაში" აღწერილ მოვლენას ისტორიკოსები სხვადასხვა თარიღს და მეფეს უსადაგებენ: 1247-1269 წლებს და დავით ულუს მეფობას, 1298-1311 წლებს და დავით VIII-ის მეფობას, 1505-1525 წლებს და დავით X-ის მეფობას. ჩვენი აზრით, ამ მოვლენასთან დაკავშირებულია საქართველოს მეფე დავით VIII(1871), დემეტრე II–ს ძე, რადგან მისი მეფობის პერიოდში კარბის ოლქი ქართლის სამეფოში შედიოდა, რასაც ადასტურებს თვით ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის სომხურენოვანი წარწერა.

რაც შეეხება ეკლესიის დღევანდელ სახელს "მოღნი", იგი დაკავშირებულია ერევანთან ახლოს მდებარე ამავე სახელის სოფელთან, სადაც ინახებოდა წმინდა გიორგის თავის ქალა, რომელიც შემდგომ პერიოდში მოღნიდან თბილისში გადმოუსვენებიათ. ჟან შარდენის ნაშრომში "მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში" ვკითხულობთ, რომ ეს წმინდა ნაწილები უკვე არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაუბრძანებიათ. დავით ნინიძის აზრით, ეს მოვლენა XV საუკუნის II ნახევარში უნდა მომხდარიყო და თბილისში გადმოიტანეს სომხეთში დარჩენილი კბილები და სისხლის ნაწილი.

რა პერიოდში და რა მიზეზით გადადის მოღნის ეკლესიები სომხური ეკლესიის ხელში ჩვენთვის უცნობია. პლატონ იოსელიანის აზრით, მცირე წმინდა გიორგის ეკლესია საფუძვლიანად გადაკეთდა 1754 წელს, თუმცა იგი დასძენს, რომ ტაძარი "ძველის შთაბეჭდილებას ტოვებს" და წმინდა ნაწილები მისი განახლების დროს იქ იყო დაბრძანებული. ცნობა ეკლესიის "საფუძვლიანად გადაკეთების" შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ზუსტად ამ პერიოდში გადადის იგი სომხების ხელში.

მოღნის წმინდა გიორგის მცირე ეკლესიის გვერდით იდგა უფრო დიდი ზომის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია. 1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" მოღნის ეკლესიების შესახებ ვკითხულობთ: „მახლობელ თავადთა ბებუდოვთა სასახლეთა არს ეკკლესია გუმბათიანი სახელსა ზედა წმინდისა გევორქისა, მოღნინად წოდებული, დგომარე ოთხსა სვეტსა ზედა, გარდა დიდისა. ამის ეკკლესიისა გუმბათისა სამსა მხარესა, ზედა კუთხესა გარედამ ადგს სამი მოწვრილო გუმბათი. ამათ მწვრილთა გუმბათთაგანი ერთი არს ზარებისათვის და ორი ცარიელ, ამას ეკკლესიასა შინა ასვენია ნაწილი წმინდისა გევორქისა. ესე აღშენებულ არს წელსა 1532 სა მოქალაქეთა მანდენოვთა, ბასტაბოვთა და ბაშინჯაღელოვთაგან. შინაგან ფრიად მშვენიერ სახილველი ვიდრე გარეგან... ამავე ეკკლესიისა გალავანსა შინა მახლობელ ხუთსა საჟენისა არს სხვა მეორე ეკკლესია წმინდისავე გევორქისა, იგიცა წოდებული პატარა მოღნინად, გუმბათიანი, ქვით-კირით აღშენებული ძველადვე ტერ-შიმოვანოვთაგან, რომელნიცა იწოდებიან თავადად აბიმელიქოვად. და ესე არს ზედმიწერილი დიდსა მოღნინსა ზედა." ეგნატე იოსელიანს ორივე ეკლესია წმინდა გიორგის სახელით აქვს მოხსენიებული.

პლატონ იოსელიანი 1835 წელს თბილისის სიძველეთა ჩამონათვალში მოღნის ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ წერს: "...ეჩმიაძინის ეკლესიის ნიმუშით 1751 წელს აუშენებიათ".

ძველ თბილისში მოღნის ეკლესია სომხური მოსახლეობისათვის თავისებურ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. 1795 წელს ეკლესია დაარბიეს სპარსელებმა, მაგრამ ამავე ეკლესიის მღვდლის ტერ-გრიგორის მეშვეობით მოხერხდა ნაწილი წიგნებისა და ხელნაწერების გადარჩენა. მათ შორის






თბილისის ცენტრალური ნაწილის ხედი.
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Вид центральной части Тбилиси. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
The view of the central part of Tbilisi. Photo by D.Ermakov. End of 19th c


გრ.გაგარინი. ქალების ცეკვა ბანზე. 1847წ
Г. Гагарин. Танцы на крыше дома. 1847г.
G. Gagarin. Women dancing on a housetop, 1874

მოღნის სურბ გევორქის პატარა ეკლესიის ადგილზე მდგომი ტრანსფორმატორო სადგური. თ.დოლიძის ფოტო. 2009წ
Трансформаторная станция, стоящая на месте малой Могнинской церкви Сурб Геворк. Фото Т.Долидзе, 2009 г.
Power transformation station on the site of the small Surb Gevork Moghni Church. Photo by T.Dolidze,2009

მოღნის ორი ეკლესია. ნ.ჩერნეცოვის ნახატი. 1832წ.
Две церкви Могни. Рисунок Н.Чернецова, 1832г.
Two churches of Moghni. Painted by N. Cherentsov, 1832







მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Могнинская церковь Богоматери, вид с северо-запада. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Most Holy Theotokos Moghni Church. North-west view. Photo by D.Ermakov. End of 19th c

მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან. მ.ქუთათელაძის ფოტო. 2007წ
Могнинская церковь Богоматери, вид с северо-запада. Фото М.Кутателадзе, 2007 г.
Most Holy Theotokos Moghni Church. North-west view. Photo by M. Kutateladze, 2007

მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ი.გოლიაძის ფოტო. 2009წ.
Могнинская церковь Богоматери, вид с северо-востока. Фото И.Голиадзе, 2009 г.
Most Holy Theotokos Moghni Church. North-east view. Photo by I. Goliadze,2009


მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია გუმბათის ჩამოქცევის შემდეგ. ხედი ჩრდილოეთიდან. მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2009 წ.
Могнинская церковь Богоматери после обвала купола, вид с севера. Фото М.Чхиквадзе,2009 г.
Most Holy Theotokos Moghni Church after the collapse of its dome North view. Photo by M. Chkhikvadze, 2009

ყველაზე ძველი 1447 წელს გადაწერილი სახარება ყოფილა, რომელიც დღეს ერევანში, მესროპ მაშტოცის სახელობის უძველეს ხელნაწერთა ინსტიტუტში – მატენადარანში ინახება.

1852 წელს ეკლესია უკვე დაზიანებული იყო და მის აღსადგენად საჭირო იყო დაახლოებით 4500 მანეთი ვერცხლით. 1854 წლიდან 1869 წლამდე გევორქ მანდენიანცმა შეძლო განეხორციელებინა მხოლოდ წინა სარესტავრაციო სამუშაოები. ცნობილია, რომ 1893 წელს ძირითადი აღდგენითი სამუშაოებისათვის შექმნილი იყო საბჭო

საბჭოთა ეპოქაში ორივე ეკლესია დაიხურა და მასში შეწყდა ღვთისმსახურება. მცირე მოღნის ეკლესიის შენობა სატრანსფორმატორო ჯიხურად გადააკეთეს. მის ადგილზე დღესაც ტრანსფორმატორი დგას. მოღნის ღვთისმშობლის დიდ ეკლესიაში 1980 წლამდე მოქმედებდა ხალხური ხელოვნების მუზეუმი. პირველი სერიოზული ბზარები ეკლესიას 1980 წელს გაუჩნდა, ხოლო 1990 წლიდან შენობა ავარიულად ითვლება. 2009 წლის ნოემბერში დაზიანებული ეკლესიის გუმბათი ჩამოიქცა.

თბილისის მოღნის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს ახოსპირელის ქუჩის № 8–ში.



შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესია

თურქი ისტორიკოსი ქუჩუკ ჩელები-ზადეს ცნობით, 1723 წელს ხორციელდება სომეხი მოსახლეობის დიდი ნაწილის იძულებითი გადმოსახლება თბილისში. ავლაბარში სახლდება შამქორიდან ჩამოსახლებული სომხების ჯგუფი. ისინი იწყებენ წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობას, რომელიც სრულდება 1775 წელს. ამ ეკლესიას „კამირ ავეტარან", ანუ „წითელი სახარების" ეკლესიასაც ეძახდნენ.

სომხური მოსახლეობის ჩამოსახლება თბილისში XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის დროს მატულობს, რადგან ერეკლე მეფემ განსაკუთრებული პირობები შეუქმნა თბილისში მცხოვრებ სომხებს.

გურამ მაისურაძე წიგნში „ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში" წერს: „ბოლომოუღებელ ომებში გაუკაცრიელებელი სოფლების, დაქცეული ქალაქებისა და დანგრეული სარეწების აღსადგენად საჭირო ცოცხალი ძალის სიმცირის პირობებში ამ ადგილებში ქრისტიანი სომხების ჩამოსახლება დიდად დაზიანებული ქართული ფეოდალური ეკონომიკისათვის სისხლის გადასხმის თანაბარი ღონისძიება იყო. XV-XVIII საუკუნეების მთელ მანძილზე მწვავედ იდგა შრომითი რესურსების, განსაკუთრებით საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის საჭირო კონტიგენტის მოძიების პრობლემა. ეს ვითარება საკმაო სისრულით აისახა XVIII საუკუნის კანონპროექტთა კრებულებში, სადაც მთელი რიგი შეღავათებია დასახელებული ახალ მოსულთათვის. მაგალითად, XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული „სამოქალაქო სჯულვილებაში" ვკითხულობთ: „...ჩვენს საფარველსა ქვეშე შემოსულთ ათი წელიწადი არაფერი სამეფო ხარჯი არა გამოერთვათ რა, თუ არ წყალობა ჩვენგნით" ან „მათ, ყოველთ უცხოს ქვეყნად შემოსულთ, იმისთანა პატივი და შეწევნა მიეცესთ ჩვენსგნით და ჩვენის ერთგულთ მსაჯულნით, მოხელენით და ანუ სხვაგნით, რომე ამას იქით უცხოს ქვეყნითგან უფრო მრავალნი დახარბდნენ ჩვენს საფარველსა ქვეშე შემოსვლასა". „სამოქალაქო სჯულვილებაში" ცალკე პარაგრაფი გვაწვდის ცნობებს უცხო ქვეყნიდან მოსულთა დასაქმების სფეროთა შესახებ. კანონმდებელი საგანგებო უწყებას ავალებს: „ჰკითხოს, სადიდგან ანუ რომლის ქვეყნიდგან არიან მოსული, ანუ რა ნება აქუსთ: ჰნებავსთ აქ, ჩვენს ქვეყანაში დასახლებისა, რას საქმეზედ უნდათ დგომა – ანუ ვაჭრობაზედ, ანუ ხელოვნობაზედ, ანუ ხვნა-თესვაზე ანუ სხვას სარიშტაზედ; კიდევ ჰკითხოს, ჩვენს საბრძანებელსა შინა რომელსა ქალაქს შინა ჰნებავთ ცხოვრება ანუ რომელს სოფელსა შინა, და ანუ რომელს ხარაბა ადგილსა შინა მდგომარეობა". ქართველ ხელისუფალთა ეს ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ რიგში, სომხურ მოსახლეობას შეეხებოდა.

თბილისში საფრანგეთის კონსული გამბა წერს: „თბილისის მოსახლეობა სულ იზრდება და იზრდება სომხების შემოსვლით, რომლებიც აქ ეძებენ თავშესაფარს თურქების ტირანიისაგნ... ჩვენ არ ვიცით, დაარსებულია თუ არა „წითელი სახარების" ეკლესია შამქორელების თემის მიერ, მაგრამ ის ასე იწოდებოდა, სანამ მას გაუკეთდებოდა ძირფესვიანი რეკონსტრუქცია XIX საუკუნის 50-იან წლებში ეჩმიაძინის ეკლესიასთან ერთად".

სომეხთა კათოლიკოსის ნერსეს აშტარაკეცის დავალებით შედგენილ სომხური ეკლესიების რეესტრში ვკითხულობთ: „შამქორელთა წმინდა ღვთისმშობლის ეკლესია აშენებულია 1809 წელს". აღნიშნული რეესტრი დგებოდა ეკლესიის წინამძღვრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამიტომ ეს თარიღი უფრო სარწმუნოა.

The Most Holy Theotokos Church of the Shamkorians


In 1723 a large number of Armenians were compelled to move to Tbilisi. Avlabari is the area where those from Shamkori settled down. They started constructing a church dedicated to the Most Holy Theotokos. The construction was accomplished in 1775. Starting from 1809 the temple was under repair work several times. In 1900 the first cracks were seen on the walls. On April 14, 1989 the dome of the church collapsed. Today, only the eastern side of the temple and parts of the western and northern walls have survived. The temple was the tallest of the Tbilisi churches.

Церковь св. Богоматери шамхорцев


В 1723 году осуществляется насильственное переселение большой части армян в Тбилиси. В старом районе Тбилиси – Авлабаре поселяется прибывшая из Шамхори группа армян. Они приступают к строительству церкви св.Богоматери, которое завершается в 1775 году. Начиная с 1809 года, церковь несколько раз реставрировалась. В 1900 году на церкви появляются первые трещины. 14 апреля 1989 года обвалился купол церкви. Сегодня сохранилась лишь восточная стена, части западной и северной стен церкви.

შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესია დასავლეთიდან დ. ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული
Церковь Богоматери шамхорцев, вид с запада
Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Most Holy Theotokos Church of the Shamkorians. West view. Photo by D. Ermakov. Late 19th c.









შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესია დასავლეთიდან
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს II ნახევარი
Церковь Богоматери шамхорцев, вид с запада.
Фото Д.Ермакова, II половина XIX в.
Most Holy Theotokos Church of the Shamkorians. West view.
Photo by D. Ermakov. Late 19th c.

შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები.
ხედი დასავლეთიდან. მ.ქუთათელაძის ფოტო. 2008წ
Развалины церкви Богоматери шамхорцев. Вид с запада.
Фото М.Кутателадзе, 2008 г.
Most Holy Theotokos Church of the Shamkorians. Already ruined. West view.
Photo by M. Kutateladze, 2008.

ავლაბარი და შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები.
ხედი ნარიყალას ციხიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Старая часть города-Авлабар и развалины церкви Богоматери шамхорцев.
Вид с Нарикальской крепости. Фото И.Микадзе, 2009 г.
Avlabari. Most Holy Theotokos Church of the Shamkorians. Already ruined.
View from Narikhala Castle. Photo by I.Mikadze, 2009.






შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესიის ფასადის რელიეფის ჩამოვარდნილი ქვა. 1989წ.
Рельефный камень, упавший с фасада церкви Богоматери шамхорцев. 1989 г.
Most Holy Theotokos Church of the Shamkorians. The frontage relief which fell down in 1989.

შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათის ყელის მორთულობა XXს ფოტო
Украшение барабана купола церкви Богоматери шамхорцев. Фото XX в.
Most Holy Theotokos Church of the Shamkorians.The decorations of the dome drum. Photo of 20th c.

შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესიის ფასადის რელიეფის ჩამოვარდნილი ქვა. 1989წ.
Рельефный камень, упавший с фасада церкви Богоматери шамхорцев. 1989 г.
Most Holy Theotokos Church of the Shamkorians. The frontage relief which fell down in 1989.

შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესია. XXს I ნახ. ფოტო
Церковь Богоматери шамхорцев. Фото I половины XIX в.
Most Holy Theotokos Church of the Shamkorians. Photo of early 20th c.





ეგნატე იოსელიანი 1868 წელს შედგენილ კატალოგში ამ ეკლესიის შესახებ წერს: „შიგნით ავლაბარს ერთის შენობის სამვალსა ადგილსა ზედა არს ეკკლესია შამქორელთა წოდებული მრევლთაგან 1775-სა, სახელსა ზედა ღვთისმშობელისა, უგუმბათო და ხით დახურვილი, აღშენებული მრევლთაგან წელსა 1775-სა." ამ ჩანაწერის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შამქორელთა დღევანდელი ეკლესიის ადგილზე ადრე არსებობდა სამლოცველო ან მცირე ეკლესია, რომელიც დღევანდელი ეკლესიის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს.

1840-იანი წლების დასაწყისში სასულიერო პირებს ეკლესიის რესტავრაციის და გალავნის აშენების სურვილი გაუჩნდათ, რისთვისაც მათ ნებართვისათვის გენერალ გოლოვინს მიმართეს. ეკლესიის კედლებზე არსებული წარწერები ადასტურებენ ამ პერიოდში ეკლესიაზე მამა-შვილის გაზარიანცების მიერ ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებზე.

1858 წელს ეკლესია გაიძარცვა, მოიპარეს წმინდა იოანეს წმინდა ნაწილი. დანაშაულზე აღიძრა საქმე, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და საქმე 1873 წელს დაიხურა. 1881 წელს ეკლესიას ისევ ჩაუტარდა რესტავრაცია. 1893 წელს ქალაქის პოლიციამ შენიშნა, რომ ეკლესიის კედლებზე გაჩნდა მსხვილი ბზარები. რუსეთის ხელისუფლებამ 1900 წელს შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ ბზარები არ იზრდება და ამიტომ ის საშიში არ არის მოსახლეობისათვის.

საბჭოთა პერიოდში ეკლესია დაიხურა და მასში განთავსებული იყო სხვადასხვა დანიშნულების ორგანიზაციები. სომხურმა სათვისტომომ ბევრჯერ მიმართა საქალაქო ორგანიზაციებს თხოვნით საკუთარი სახსრებით ეკლესიისათვის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების შესახებ, თუმცა მას ხელისუფლებისაგან არანაირო პასუხი არ მიუღია. 1989 წლის 14 აპრილს, სპიტაკის მიწისძვრის დროს ეკლესიის გუმბათი ჩამოიქცა. სახელმწიფო ორგანოებმა ამის მიზეზად ოთხბალიანი მიწისძვრა დაასახელეს. დღეისათვის დარჩენილია ეკლესიის მხოლოდ აღმოსავლეთი მხარე და დასავლეთი და ჩრდილოეთ კედლების ნაწილები.

შამქორელთა წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიას ჰქონდა მაღალი გუმბათი და მისი ფასადები ორიგინალურად იყო გაფორმებული.

შამქორელთა ეკლესია მდებარეობს ფერისცვალების ქუჩის №21-ში.



ავლაბრის ფერისცვალების ეკლესია

წმინდა ფერისცვალების ეკლესია მეფე ერეკლე მეორის მეუღლემ, დარეჯან დედოფალმა(1788) ააშენა, როგორც მის მიერვე აგებული სასახლის – „საჩინოს "კარის ეკლესია. სასახლის კომპლექსში შედიოდა, ასევე, მისი საცხოვრებელი და სხვადასხვა დამხმარე სათავსები. ეკლესია აგებულია 1770-იან წლებში დარეჯან დედოფლის მიერ შემოზღუდულ ციხე–სიმაგრის კედლებზე, რომლის კოშკები, ბურჯები და კედლები ამოყვანილია რიყის ქვისა და ქართული აგურის შერეული წყობით.

ეგნატე იოსელიანის კატალოგში ვკითხულობთ: „ავლაბარშივე არის ეკკლესია ზედა წმინდათა მოწამეთა ირაკლი და დარიასათა მეცხრესა, ით-სა ზედა დღეთა მარტის თთვისა, აღშენებული ნებითა და წარსაგებლითა მეფის ირაკლი მეორის მეუღლისა დედოფლისა დარიასითა წელსა 1789-სა, ვინადგან სახელებითა ამით იწოდებოდნენ თვთ აქა ხსენებულნი მეფე და დედოფალი, და ამას ეკკლესიასა შინა ასვენიან მრავალნი წმინდათა ნაწილნი და პინაკიცა იგი, რომელიცა დაიდგომოდა წინაშე უფლისა იესოსსა გარდმოტანილი ქუაბათხევის მონასტრით, და ყოვლადუსამღუდელოსმან მიტროპოლიტმან ექზარხოსმან საქართველოისამან იონამან მეორედ კურთხევათა მისითა შესცუალა ესე ტაძრად ფერისცუალებისა წელსა N. ესე არს მონასტერად დადებული, და არიან ამასა შინა მონოზონნი მემხოლოენი".

1795 წელს აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აღებისას ეკლესია და სასახლე დაზიანდა, მაგრამ მალე აღადგინეს. საქართველოს ეგზარქოსმა მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ აქ დააარსა სამრევლო სასწავლებელი და სასულიერო პირთა ბავშვებისათვის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სემინარია.

პლატონ იოსელიანის ცნობით, საქართველოს ეგზარქოსმა მიტროპოლიტმა

ავლაბრის წმ.ფერისცვალების ეკლესია სამხრეთიდან. XXს. I ნახევრის ფოტო
Авлабарская церковь св.Преображения, вид с юга. Фото I половины XX в.
The Avlabari Church of the Holy Transfiguration South view. Photo of early 20th c.


დარეჯანის სასახლე და წმ.ფერისცვალების ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Дворец Дареджан и Авлабарская церковь св.Преображения. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Darejan's Palace and Church of the Holy Transfiguration. Photo by D. Ermakov. End of19th c.

The Avlabari Convent of the Transfiguration

Transfiguration Convent was established in the 19th century. The church in its courtyard was built by Queen Darejan, the wife of King Erekle II in 1776. It was intended as the court church. In 1822 the temple was consecrated and dedicated to the Transfiguration. Under Communist rule the church was first used as a residential building and later a museum was housed in it. Eventually, a theatre took its place. In 1999 repair work was carried out and a refectory was adjoined to its southern wall. In the 1980s the altar was reconstructed and, finally, new frescoes were painted on the walls. Today, a monastery for nuns is functioning on the site of the palace.

Авлабарская церковь св.Преображения

Авлабарская церковь св.Преображения была основана в XIX веке. В 1776 году супруга царя Ираклия II царица Дареджан построила церковь в качестве возведенной ею придворной церкви, которую в 1822 году освятили во имя Преображения. При монастыре были основаны духовная семинария и приходская школа. В советское время церковь изначально была использована в качестве жилого дома, затем музея, а в последний период была переделана в театр. На территории монастыря с 1999 года проводились реставрационные работы. С южной стороны к церкви пристроили трапезную, восстановили алтарь, после чего церковь была расписана. Сегодня на территории дворца действует женский монастырь.





11.827 Тифлисъ. Дарбискій монастырь. Западный фасадъ церкви во имя Спаса Преображенія 306






იონამ წმინდათა ერეკლესა და დარიას ეკლესია ფერისცვალების ეკლესიის სახელზე აკურთხა 1822 წელს.

მოსე ჯანაშვილი მოგვითხრობს: "წმინდა ირაკლისა და დარიას მონასტერი მეტეხის გორაზედ. ეს სასახლე მისის ეკლესიითურთ შეიძინა ექზარხოსმა თეოფილაქტემ და გამართა სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლები. იონა მიტროპოლიტმა 1824 წლის 29 ოქტომბერს ტაძარი აკურთხა მაცხოვრის ფერიცვალების მონასტრად... (დარეჯანი) აქვე სცხოვრობდა შემდეგ ერეკლეს გარდაცვალებისა 1803 წლამდის. ხოლო ამ წელიწადს იგი გადაასახლეს რუსეთს, სადაც აღესრულა 8 ნოემბ. 1807წ. ეს სასახლე მისის ეკლესიითურთ შეიძინა ექსარხოსმა თეოფილაქემ და აქ გამართა სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლები. იონა მიტროპოლიტმა (1824წ 29 ოქტ.) ტაძარი აკურთხა მაცხოვრის ფერიცვალების მონასტრად. მონასტრის უმთავრეს ტაძარში ჰმარხიან: ეპისკოპოსი გორისა ნიკიფორე ჯორჯაძე (1851წ.), მთავარეპისკო-

ავლაბრის წმ.ფერისცვალების ეკლესია
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული
Авлабарская церковь св.Преображения.
Фото Д Ермакова, конец XIX в.
The Avlabari Church of the Holy Transfiguration.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

წმ ფერისცვალების დედათა მონასტერი სამხრეთიდან
მ ჩხიკვაძის ფოტო, 2009წ.
Женский монастырь св.Преображения, вид с юга.
Фото М.Чхиквадзе, 2009 г.
Holy Transfiguration Convent. South view.
Photo by M. Chkhikvadze, 2009.

წმ ფერისცვალების დედათა მონასტრის კედლის მხატვრობა.
ი მიქაძის ფოტო, 2009წ.
Стенная живопись Женского монастыря св. Преображения.
Фото И.Микадзе, 2009 г.
Holy Transfiguration Convent. Wall paintings
Photo by I Mikadze, 2009.



წმ ფერისცვალების ეკლესია დასავლეთიდან. ი მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св. Преображения, вид с запада. Фото И.Микадзе, 2009 г
Holy Transfiguration Church. West view. Photo by I.Mikadze, 2009

წმ.ფერისცვალების ეკლესიის ინტერიერი ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Интерьер церкви св. Преображения. Фото И.Микадзе, 2009 г.
Holy Transfiguration Church. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ ფერისცვალების ეკლესია რიყედან დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს.დასასრული.
Церковь св. Преображения, вид с набережной. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Holy Transfiguration Church. View from the riverside. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

პოსი დოსითეოსი (1829წ.), რომელსაც 1815 წლიდან ებარა სამწყსო თელავისა და კავკასიისა, არქიმ. ევგენი (1832წ.), რექტორი სემინარიისა."

საქართველოს გასაბჭოებისა და მოქალაქეების სტიქიურად შესახლების შემდეგ კომპლექსი არაერთხელ გადაკეთდა, დაემატა მინაშენები. 1970 წლებში დაიწყო საჩინოდან მობინადრეთა გასახლება. ეკლესიაში განთავსებული იყო 26 კომისრის მუზეუმი, შემდეგ ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი.

ეკლესია აგურისა და ქვის შერეული წყობით არის ნაგები. ის დარბაზული ტიპისაა, გადახურულია კამარით, რომელსაც შუაზე საბჯენი თაღი აქვს. ორქანობიანი სახურავი დაბურულია კრამიტით. საკურთხევლის აფსიდი გარედან ნახევარწრიულად არის შვერილი. ფასადებზე აგურის წყობაში გამოყვანილია ჯვრების და რომბების ვერტიკალური მწკრივები. შენობაში გამოყენებულია ირანული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები – დაბალი შეისრული თაღები, აგურის კბილანებიანი წყობის ტიმპანები. XIX საუკუნეში მიაშენეს უყელო გუმბათით გადახურული, სივრცესთან ფართო თაღით დაკავშირებული კარიბჭე, რომელსაც კლასიცისტური ყაიდის შპილიანი სამრეკლო ადგას.

ეკლესიის ინტერიერის მოხატულობა XIX საუკუნის II ნახევრით თარიღდება და ანტონ და დავით გეგელიძეთა მიერ არის შესრულებული. საკურთხევლის აფსიდი 2001 წელს თავიდან მოიხატა.

მონასტრის ტერიტორიაზე 1999 წლიდან არქიტექტორების თეიმურაზ ბერიძისა და ზაზა ციციშვილის პროექტის მიხედვით ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები. მოიხსნა შელესილობა და აღდგა აგურის კედლების თავდაპირველი წყობა. მოიხსნა, ასევე, ცრუ გუმბათი ტაძრის ორქანობიანი სახურავიდან. ეკლესიის სამხრეთ მხარეს აშენდა სატრაპეზო. 1980 – იან წლებში აღადგინეს ეკლესიის საკურთხეველი, რომელიც შემდეგ მოიხატა.

თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერი მდებარეობს ავლაბარში, ურბნისის ქუჩის №1–ში.





ჯვრის ეკლესია

პატარა ჯვრის ეკლესიის შესახებ მღვდლის პოლიევქტოს კარბელაშვილის 1902 წლის ქ. ტფილისის ისტორიულ მიმოხილვაში – "ძველი ანჩისხატის ტაძარი" ვკითხულობთ, რომ: "ანჩის ხატის ეზოში ძველადგანვე გამართული იყო საკათალიკოზო ბინადრობა: სადგომი სახლი კათალიკოზისა სარდაფით ტაძრის კრებულისა და მოხელეთა, სტამბისა, სემინარიისა და სხვა."

"მტკვრის პირად კათალიკოზის სახლთან მრავლად იყვნენ წვრილი ოთახები (კელიები) ბერ-მონაზონთათვის საცხოვრებლად. მთელ ეზოში ირგვლივ, სამრეკლოდან დაწყებული მტკვრის პირამდე, სახლები იყო გამართული. ჯერ ისევ ანტონ I გამართა 1780 წლიდგან მტკვრის პირად კუთხის ოთახში პატარა ჯვრის ეკლესია, რომელშიაც მიიცვალა კიდეც 1788 წ. 29 თებერვალს სამშაბათ საღამოთი. 27 თებერვალს, კვირას ანჩისხატის ტაძარში სწირა ტფილელ მიტროპოლიტმა გერმანემ; წირვა რო გამოვიდა, შემოსილმა გაასვენა ბარძიმი კათალიკოზის საზიარებლად. ანტონი მოემზადა წმინდა საიდუმლოს მისაღებად: დაიბანა პირი, დაივარცხნა თმა, წვერი, ჩაიცვა კაბა ანაფორა და მაჯის ღილები თვითონ შეიკრა. მოხუცებულს გერმანეს გული ამოუჯდა ტირილით, ქვით-ქვითებდა და ვერ მოახერხა ეზიარებინა ავადმყოფი. მაშინ ანტონმა თვით წარმოსთქვა სუსტის ხმით ზიარების ლოცვა „მრწამს, უფალო, და აღვიარებ" და თავის ხელით ეზიარა."

"1795 წ. ყიზილბაშებმა მიანგრ-მოანგრიეს სახლები ანჩისხატის ეზოში და ანტონი I-ის პატარა ჯვარის საყდარიც".

"სპარსთაგან ტფილისის აოხრების შემდეგ (1795წ. სექტემბერს 11-13) ანტონ II კათალიკოზმა მალე განაახლა სემინარიაც და სტამბაც. მაგრამ დიდ-დიდნი უბედურებანი და აღრეულობანი ამ დროს დაატყდნენ თავსა საქართველოს ერსა და ეკკლესიას. ჯერ მიიცვალა მეფე ერეკლე (11 იანვარს 1798წ.) და მერე მეფე გიორგიც (27 დეკემბერს 1800წ.). რაღაც იდუმალმა მანქანებამ არია ქვეყანა და უიმისოდაც წელში გაწყვეტილი ერი ქართველთა გონს ვეღარ ეგებოდა. ამ დროს ვიღას ეცალა საეკკლესიო საქმეებისთვის?

ანტონ კათალიკოზი განაგებდა საეკკლესიო საქმეებსა როგორც კი ამ დროებას შეეფერებოდა. გაიმართა ენა-ტანიობა, ბეზღება, ერთმანეთის დასმენა. გაება დაუბოლოვებელი დავი-დარაბა, აიმღვრა წყალი – და ადვილად იჭერდნენ ალალ-მართალ თევზებსა. ამ აურზაურისა გამო ანტონ II იძულებული იყო გამგზავრებულიყო პეტერბურგისაკენ 10 ივლისს 1811წ. და აღარც მობრუნებულა სამშობლოში; ანტონი მიიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდში 1827წ. დეკემბერში. ანტონის წასვლის შემდეგ დაცარიელდა ანჩისხატის ეზო, დამცირდა თვით ტაძარიც...".

Holy Cross Church

The palace of Georgian Catholicoses was located within the precincts of Anchiskhati temple. In 1780 Catholicos Anton consecrated one of the rooms in it as a church dedicated to the Holy Cross. The palace with the church was destroyed by Aga - Mohammed - Khan in 1795. Later no possibilities were found for its reconstruction.

Церковь Креста

На примыкающей к тбилисской Анчисхатской церкви территории стоял дворец грузинских католикосов. В одной из комнат этого дворца в 1780 году Антон Католикос освятил церковь Креста. Дворец католикосов и церковь были разрушены в результате нашествия Ага-Магомет-хана в 1795 году. Её не удалось восстановить.



ანჩისხატის უბანი
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Анчисхатский район.
Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Anchiskhati area.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ანტონ II კათალიკოსი
Антон II Католикос.
Catholicos Anton II

ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია

Most Holy Theotokos of Kazan Church

In 1856 a regiment of lieutenants and low rank military personnel called from those of various regions of Georgia was established in Tbilisi. It was named "Tbilisi Grenadier's Regiment" and was stationed in a three-storey building on Kakheti Road. On the third floor of the building Most Holy Theotokos of Kazan Church was arranged.

Церковь Иконы Казанской Божией Матери

Созданный из офицеров и низших чиновнов полк в 1856 году стал называться полком гренадеров. Полк разместился в Тбилиси, на Кахетинской дороге в трехэтажном здании, на последнем этаже которого находилась православная церковь Иконы Казанской Божией Матери.



საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის იმპერიაში ჩატარებული სამხედრო რეფორმის შედეგად 1865 წლიდან შიქმნა კავკასიის სამხედრო ოლქი. მის შემადგენლობაში შედიოდა 12 ადმინისტრაციული ერთეული, მათ შორის ტიფლისის გუბერნია. კავკასიის სამხედრო ოლქს ხელმძღვანელობდა მთავარმართებელი, რომლის მთავარი შტაბ-ბინა მდებარეობდა თბილისში.

სხვადასხვა პერიოდში თბილისში განთავსდა კავკასიის გრენადიორთა დივიზიის მეორე ბრიგადის მე-15-ე ტიფლისის და მე-16 სამეგრელოს პოლკები. დღევანდელი ქეთევან წამებულის გამზირზე, მაშინდელ თბილისის გარეუბანში - ნავთლუღში ბინა დაიდო მე-15 გრენადერთა ტფილისის პოლკმა. მღვდელი გიორგი ციტოვიჩი 1913 წელს გამოცემულ წიგნში "არმიის და ფლოტის ტაძრები" ვკითხულობთ: "1726 წელს სხვადასხვა საჯარისო პოლკებიდან გამოჰყვეს ოფიცრები და დაბალი ჩინოსნები, რათა დაეკომპლექტებინათ ჯარი, რომელსაც იმპერატორ პეტრე I-ს მიერ შემოერთებული სპარსეთის პროვინციები ეკავა. სწორედ ამ სამხედროებისგან გენერალ-ანშეფმა მატიუშკინმა ჩამოაყალიბა კურინის ქვეითი პოლკი; 1784 წელს მას ეწოდა ტფილისის პოლკი; 1856წ. 17 აპრილს პოლკს დაერქვა ტფილისის გრენადიორთა პოლკი, ხოლო 1864 წლის 25 მარტს კი, მისი საიმპერატორო უმაღლესობის, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილის, დიდი თავადის კონსტანტინე კონსტანტინის-ძის მე-15 გრენადიორთა ტფილისის პოლკი".

რუსეთის იმპერიის ყველა სამხედრო ნაწილს აუცილებლად გააჩნდა თავისი საკუთარი ეკლესია, რომელიც ხშირად „მოძრავი" იყო და სამხედრო ნაწილს თან დაყვებოდა ბრძოლებში. მე-15 გრენადიორთა ტფილისის პოლკის ეკლესია ყაზანის ღვთისმშობლის სახელობაზე იყო ნაკურთხი.

„პოლკის ეკლესია განთავსებულია საყაზარმო შენობის მე-3 სართულზე. იგი მდებარეობს კახეთის გზატკეცილზე და ეკუთვნის საინჟინრო უწყებას. მოეწყო 1879 წ., იტევს 800 კაცამდე, კანკელი ერთიარუსიანია, მხატვრულად დაწერილი ხატებით (ლონგო).

ეკლესიის ღირშესანიშნაობებია:

1. ყაზანის ღვთისმშობლის პოლკის დასაკეცი ხატი ვერცხლის ჩარჩოში, გაკეთებული 1726 წელს;

2. მხატვრული წერის ღვთისმშობლის ხატი თარიღით: „1764წ.", ვერცხლის ჩარჩოში;

3. მისი უმაღლესობის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულის დროინდელი მცირე წმინდა სახარება. შტატით ეკლესიას ეკუთვნის ერთი მღვდელი." – წერს მღვდელი გრიგორგი ციტოვიჩი.

არსებული საველე ეკლესია თან ახლდა პოლკს ლაშქრობებში:


1) დასავლეთ კავკასიის დაპყრობისას 1864 წელს;

2) თურქეთის ომის დროს 1877-1878 წლებში.

მე-15 გრენადიორთა ტფილისის პოლკში მსახურობდნენ - პეტერბურგში პირველი სრულუფლებიანი საქართველოს მინისტრი, გარსევან ჭავჭავაძის შვილიშვილი, რუსეთის იმპერიის გენერალ–ლეიტენანტი დავით ჭავჭავაძე და გენერალ–ლეიტენანტი მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბი.

1915 წელს დიდი თავადის კონსტანტინე კონსტანტინისძის გარდაცვალების გამო მოხდა პოლკის რეფორმირება.

მე-15 გრენადიორთა ტფილისის პოლკის ყოფილი ყაზარმები ქეთევან დედოფლის პროსპექტის ორივე მხარეს მდებარეობს. ქუჩის ერთ მხარეს, №14-ში საავიაციო ინსტიტუტია განთავსებული, მის მოპირდაპირე მხარეს კი, №25-ში მდებარე ყაზარმების კორპუსები საცხოვრებელ სახლებადაა გადაკეთებული.



გრენადერთა პოლკის ყოფილი ყაზარმა ქეთევან წამებულის გამზ №14, ნ.კორძახიას ფოტო, 2009წ
Бывшая казарма гренадерского полка. Проспект Кетеван Цамебули №14, Фото Н.Кордзахия, 2009г.
The former barracks of Grenadiers' Regiment. Queen Ketevan the Martyr's Avenue,14. Photo by N.kordzakia, 2009.



გრენადერთა პოლკის ყოფილი ყაზარმა ქეთევან წამებულის გამზ №25, ნ.კორძახიას ფოტო, 2009წ.
Бывшая казарма гренадерского полка. Проспект Кетеван Цамебули № 25, Фото Н.Кордзахия, 2009г.
The former barracks of Grenadiers' Regiment. Queen Ketevan the Martyr's Avenue, 25. Photo by N.kordzakia, 2009.

ალექსანდრე II გრენადერთა პოლკის დათვალიერებისას თბილისთან ახლოს, 1871 წლის 20 ოქტომბერს
Александр II при осмотре гренадерского полка вблизи Тбилиси. 20 октября 1871 г
Alexander II inspects Grenadiers' Regiment in the vicinity of Tbilisi 20 October, 1871.



ჯიგრაშენი
ღვთისმშობლის ხარების ეკლესია

ღვთისმშობლის ხარების სომხური ეკლესია იდგა ივერიის (ყოფ. ნახშირის) და კოტე აბხაზის (ყოფ. კ.ლესელიძის) ქუჩების გადაკვეთაზე, გია აბესაძის ქუჩაზე მდგომი კათოლიკური ეკლესიის გვერდით. ეკლესიის სახელმა „ჯიგრაშენი" მრავალი თქმულება წარმოშვა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სომხური ეკლესიის და მისი მრევლის საშუალებით მოხდა წმინდა ხარების კათოლიკური ეკლესიის დარბევა და პატრების განდევნა თბილისიდან. 1903 წელს გამოცემულ წიგნში ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ 1755 წელს მეფე თეიმურაზმა ეკლესია კათოლიკეებს ჩამოართვა და ქართველ მართლმადიდებლებს გადასცა, ხოლო „...შემდეგ ეს ეკლესია ქართველებმა სომხებს მიჰყიდეს, დღეს სომხებს უპყრიათ იგი, და ამ ძველ ეკლესიას სხვა სახელი უწოდეს... და იგი გადაკეთებულია სხვა გეგმით... ეკლესია პატრებს ვეღარ დაუბრუნდათ". ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ კათოლიკეთა წმინდა ხარების ეკლესია სწორედ ჯიგრაშენის ეკლესიის წინამორბედია.

არსებობს სხვა მოსაზრება, რომ ჯიგრაშენის ეკლესია მის სიახლოვეს მდებარე კათოლიკეთა წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის „ჯინაზე", „ჯიგრიანად" აშენდა. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჯიგრაშენის ეკლესია კათოლიკეთა ძველი ეკლესიის ანუ წმინდა ხარების ეკლესიის „ჯინაზე" აშენდა. საგულისხმოა ეკლესიის კიდევ ერთი სახელი – „შურის "ეკლესია.

ჯიგრაშენის ეკლესიის წინამძღვარი სიმეონი 1815 წლით დათარიღებულ ბარათში გვაუწყებს უხუცესთა გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, მღვდლები ბარსეგი და დავითი სურბ ნშანის ეკლესიის მშენებლობისას გამოეყვნენ საეკლესიო ძმობას და დაიწყეს ახალი ეკლესიის – ჯიგრაშენის მშენებლობა. ეკლესიისათვის მიწა გამოყვეს პირგულიანების და ტერ–დანიელიანების გვარმა. იგი ეკლესიის აშენების თარიღად 1654 წელს ასახელებს და აღმშენებლად ეკლესიის მომავალ წინამძღვარს ტერ–ფარსადან მოინოვს მოიხსენიებს. ეკლესიის მშენებლობა 1729 წელს დამთავრებულა.

თავდაპირველად ეკლესიის „კედლები ორი ადამიანის სიმაღლეზე აღმართეს", მაგრამ ეკლესია დიდხანს დაუმთავრებელი რჩებოდა. გორელი ბეჟანბეგის მიერ გამოყოფილმა 60 თუმანმა ეკლესია გუმბათამდე მიაყვანინა. 1777

Jigrasheni Church of the Annunciation

Several versions of the erection of this church are known. The name 'Jigrasheni'- (built on purpose) or 'Shuri' (discord) gave rise to them. One of them suggests that it is a church dedicated to the Annunciation, taken over from the Catholics in 1755. Armenian sources claim that its erection started in 1654 and was accomplished in 1785. Under Communist rule, on the decision of Tbilisi Executive Committee the temple was pulled down in connection with the reconstruction of the street.

Джиграшен, церковь Благовещания Богородицы

Существуют различные версии построения церкви св. Благовещания Богородицы. Ее название «Джиграшен» (построенная назло) и церковь «Шури» (раздора) породили различные версии. По одной из этих версий, это здание является церковью св. Благовещания, отобранной в 1755 году у католиков, а по армянским источникам строительство этой церкви началось в 1654 году и окончательно завершилось в 1785 году. В советский период по решению тбилисского исполкома церковь была снесена в связи с расширением улицы.

ჯიგრაშენის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია. XXს დასაწყისის ფოტო
Джиграшенская церковь Благовещания Богоматери. Фото начала XX в.
Jigrasheni Church of the Annunciation. Photo of early 20th c.

თბილისის ცენტრალური ნაწილი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Центральная часть Тбилиси. Фото Д.Ермакова, начало XX в.
Tbilisi. Central part. Photo by D. Ermakov. Early 20th c.







წელს თბილისში ჩამოსულმა აღა ოვანეს ამატუნმა ჩამოშლის პირას მისული ეკლესიის კედლები დაანგრევინა და ახალი ეკლესიის მშენებლობას შეუდგა.

მის მიერ დაწყებული საქმე მისმა მემკვიდრემ გააგრძელა. დასავლეთ მხრიდან ეკლესია გააფართოვეს ახლად გაკეთებულ საძირკველზე. შვიდი წელი გრძელდებოდა ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 1785 წელს დამთავრდა. გუმბათთან ერთად ეკლესიის მშენებლობაზე 1700 თუმანი დაიხარჯა.

ეგნატე იოსელიანის კატალოგში ამ ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „ეკკლესია ზედა ღვთისმშობლის ხარებობისასა, წოდებული ჯიბრით ანუ შურით აშენებულად, გუმბათიანი, ოთხსა სვეტსა ზედა მდგომარე, წითელის აგურით და ქვით-კირით აღშენებული, კრამიტით დაბურვილი, გუმბათი აქვს ორი, ერთი დიდი და მეორე მცირე. ამას მცირესა გუმბათსა შინა არიან დამოკიდებულ ზარნი. საფუძველი ამისი აღშენებულ არს ტერ-ფარსიღ მოინოვისაგან, რომელიცა იყო დეკანოზი თვით იმავე ტაძრისა, და შემდგომად აღშენებულ და შესრულებულ არს ეკკლესია ესე თავადისა აკოფჯან ამატუნოვისაგან წელსა 1729-სა..."

ჯიგრაშენის გუმბათიანი ეკლესიის ზომები ყოფილა 24,0X14,6 მეტრი, სამრეკლოთი. მისი გუმბათის სიმაღლე 22 მეტრი იყო, ძირითადი შენობის სიმაღლე 14 მეტრი, თორმეტწახმაგა გუმბათის დიამეტრი კი-8 მეტრი.

საბჭოთა პერიოდში უყურადღებოდ მიტოვებულმა და სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებულმა ეკლესიამ კატასტროფული დეფორმაციები მიიღო 1948 წელს თბილისის აღმასკომის გადაწყვეტილებით შემუშავდა "სომხური ბაზრის" (მაშინდელი ლესელიძის) ქუჩის გაფართოების გეგმა.

ამ პროექტის თანახმად, გადაწყდა „არქიტექტურულ – მხატვრული ღირებულებების არმქონე შენობის" – ჯიგრაშენის ეკლესიის დანგრევა, რადგან იგი ხელს უშლიდა გზის გაფართოებას.

თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული საბუთების მიხედვით, ეკლესიის მრევლმა გააგზავნა თხოვნის წერილი "სახკომსაბჭოში," რათა არ დაენგრიათ ეკლესია. პასუხად მიიღეს – "გთხოვთ გამოუცხადოთ სომეხთა ეკლესიის "ჯიგრაშენის" მრევლის საბჭოს, რომ მათ განცხადებაზე ეკლესიის დანგრევის შეჩერების შესახებ უარი ეთქვათ".


ეკლესიის აფეთქების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ იგი აგურ-აგურ დაშალეს. სომხური მრევლის მეშვეობით მოხერხდა ეკლესიის მორთულობის გადარჩენა, ასევე გადაარჩინეს ეკლესიის ზარი, რომელიც სურბ გევორქის კათედრალურ ეკლესიაში გადაიტანეს.

ჯიგრაშენის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია მდებარეობდა გია აბესაძისა და კოტე აბხაზის ქუჩების გადაკვეთაზე.

ჯიგრაშენის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია. XXს დასაწყისის ფოტო
Джиграшенская церковь Благовещания Богоматери. Фото начала XX в.
Jigrasheni Church of the Annunciation. Early 20th c.

ჯიგრაშენის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია. XXს. დასაწყისის ფოტო
Джиграшенская церковь Благовещания Богоматери. Фото начала XX в.
Jigrasheni Church of the Annunciation. Early 20th c.

ჯიგრაშენის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია. XXს. დასაწყისის ფოტო
Джиграшенская церковь Благовещания Богоматери. Фото начала XX в.
Jigrasheni Church of the Annunciation. Early 20th c.





ყოვლადწმინდა სამების ეკლესია

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში – "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" თბილისის სამების ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „გარეთუბანს არის ეკკლესია სახელსა ზედა წმინდისა სამებისასა... უგუმბათო, ტალახით, აგურით და ქვითკირით ნაშენი, ხის ჭერით დახურვილი, აღშენებული პეტრე ყარაულისა აღნიევისაგან საკუთარითა თავისითა ხარჯითა წელსა 1790 სა. 1835-სა წელსა ზედ მიაშენა სამრეკლო კირისა და აგურისა ეკკლესიასა მას მღუდლისი მისისაგან, და იგი – ცა არის უსრულო...".

პლატონ იოსელიანის აზრით, სამების ეკლესია აშენდა ძველი ეკლესიის ნანგრევებზე.

მისი აგება მიეწერება "პეტრე ყარაულას" – დაღესტნელი ლეკებისგან თბილისის უშიშარ დამცველს – პეტრე აღნიაშვილს. ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს შესანიშნავად სცოდნია პეტრე "ყარაულას" სიმამაცის შესახებ და პირადად დაუვალებია მისთვის თბილის-ქალაქის გარშემო დაღესტნელი ლეკების თარეში აღეკვეთა.

პეტრე შიშის ზარს სცემდა მომხდურს და ხალხმა სწორედ ამისთვის შეარქვა მას "ყარაულა". სამშობლოს დამცველს, მრავალ ბრძოლა გადახდილ რაინდს მოთარეშე ლეკთა ზღვა სისხლი დაუღვრია და ღვთისმოშიშ კაცს ამიტომაც გადაუწყვეტია ცოდვათა გამოსყიდვა ტაძრის აგებით. პეტრე "ყარაულა" მის მიერვე აშენებულ ტაძარშია დაკრძალული.

1832 წელს მისმა შვილიშვილმა, ამავე ეკლესიის მღვდელმა შიო (სვიმონ) აღნიაშვილმა სამლოცველოზე სვეტებიანი კარიბჭე და სამრეკლო მიაშენა,



Holy Trinity Church


Holy Trinity Church was built by a defender of Tbilisi Petre Agniashvili in 1790. In 1832 a gate with pillars and a belfry were adjoined to it. In the 70s of the 19th century it was reconstructed in a cruciform-dome structure. The belfry with a dome of the Russian style was replaced by a new one constructed according to the Georgian traditions.


Церковь Пресвятой Троицы

Грузинская православная церковь Пресвятой Троицы в 1790 году была возведена защитником Тбилиси Петре Агниашвили. В 1832 году к церкви были пристроены врата со столбами и колокольня. В 70-ые годы XIX века храму был придан вид крестово-купольной церкви. Поставленный на колокольню купол русского стиля в 1988 году был переделан по традициям грузинского зодчества.

ყოლადწმინდა სამების ეკლესია. XXს. დასაწყისის ფოტო.
Церковь Пресвятой Троицы. Фото начала XX в.
Holy Trinity Church. Photo of early 20th c.


თბილისის ცენტრალური ნაწილი. დ.ნიკიტინის ფოტო. 1864წ.
Центральная часть Тбилиси. Фото Д.Никитина, 1864г.
Tbilisi. Central part. Photo by D.Nikitin, 1864.





თბილისის ცენტრალური ნაწილი. დ. ნიკიტინის ფოტო. 1864წ
Центральная часть Тбилиси. Фото Д. Никитина. 1864г.
Tbilisi Central part. Photo by D.Nikitin. 1864.





რაც კლასიციზმის კვალს ატარებს. XIX საუკუნის 70-იან წლებში შემოწირულობებით და საკუთარი სახსრებით დეკანოზმა პეტრე არდაზიანმა ტაძარს ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის სახე მისცა. გარკვეული დროის განმავლობაში სამრეკლოს რუსული ყაიდის გუმბათი ჰქონდა, რომელიც შემდეგ ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების მიხედვით გადაკეთდა.

"1863 წლის 8 დეკემბერს ხდებოდა წმიდა სამების განახლებული ეკლესიის კურთხევა. აკურთხა იგი სინოდის წევრმა ევსევი მთავარეპისკოპოსმა, ეგზარქოსმა საქართველოსამ." – წერდა პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერის დროს სამების ეკლესიასთან დაკავშირებით. ამ დროისთვის ახალი ტაძრის მშენებლობა დასრულებული არ ყოფილა. მას აკლდა გუმბათი.

სამების ტაძარი XVII-XVIII საუკუნეთა ქართული ტაძრების მიხედვითაა აგებული და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების უკანასკნელი ნიმუშთაგანია. ის "ჩახაზული ჯვრის" ტიპის ნაგებობაა. შემაღლებული პროპორციების გუმბათი ეყრდნობა აფსიდის შვერილებსა და ორ ბურჯს. გუმბათქვეშა თაღები შეისრულია. აღმოსავლეთ ფასადზე შეჭრილია ორი სამკუთხა ნიშა.

ეკლესია აგურით არის ნაშენი. ჯვარი აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმელების სადა საპირეები და საფასადო თაღები ლეკალური აგურითაა გამოყვანილი. შუა საუკუნეების არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სახე აქვს სამრეკლოსაც, რომლის დასავლეთ ფასადზე აგურის წყობაში ჩაღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა. კარიბჭე შედგება მოზრდილი მართხკუთხა სათავისა და ოთხსვეტიანი ღია პორტიკისაგან, რომლის არქიტექტურასაც კლასიციზმის გავლენა ატყვია.

ტაძრის ისტორიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1863 წლის 10 აპრილი, როდესაც აქ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა ილია მართალმა(189) (ჭავჭავაძემ) ჯვარი დაიწერა ოლღა გურამიშვილზე. 1805 წელს ტაძარში დაკრძალეს ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე.

ეკლესიის ინტერიერის თავდაპირველი მოხატულობა გეგელიძეთა მიერ არის შესრულებული. 1890-იან წლებში ტაძარი მოხატა ლუდვიგ ლონგომ. მხატვრობაში დიდი ადგილი ეთმობა ქართველ წმინდანთა გამოსახულებებს. ეკლესიის მოხატულობა მეტ-ნაკლებად სიონის ტაძრის გრ.გაგარინის მხატვრობას იმეორებს. ახალი ხატების ავტორები არიან გ.გაბაშვილი, ალ.ბანძელაძე, რ.ადამია.


თბილისის ყოვლადწმიდა სამების ეკლესია მდებარეობს გრიგოლ აბაშიძის ქუჩის №4-ში.

ჯვარცმა ყოვლადწმინდა სამების ეკლესიაში. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ.
Распятие в церкви Пресвятой Троицы. Фото М.Кутателадзе, 2008 г
Holy Trinity Church. The Crucifixion. Photo by M. Kutateladze,2008.

ყოვლადწმინდა სამების ეკლესიის კანკელი ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Алтарная преграда церкви Пресвятой Троицы Фото И.Микадзе, 2009 г.
Holy Trinity Church. Iconostasis. Photo I. Mikadze, 2009.

ყოვლადწმინდა სამების ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან. თ.დოლიძის ფოტო, 2009წ.
Церковь Пресвятой Троицы, вид северо-запада. Фото Т.Долидзе, 2009 г.
Holy Trinity Church. North-west view. Photo by I. Mikadze,2009.

ყოვლადწმინდა სამების ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს.დასაწყისი.
Церковь Пресвятой Троицы, вид северо-востока. Фото Д.Ермакова, начало XX в.
Holy Trinity Church. North-east view. Photo by D. Ermakov. Early 20th c.



გორხანას მეჩეთი

თბილისი თავისი არსებობის მანძილზე ხშირად იმყოფებოდა მუსლიმი დამპყრობლების ხელში, მათ შორის აღსანიშნავია 736-1122 წლები, როდესაც თბილისი არაბთა სახალიფოს ვასალურ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. თბილისში პერიოდულად შენდებოდა და ინგრეოდა მეჩეთები, მაგრამ მუსლიმური სასაფლაო საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა მდინარე წავკისისწყლის მარჯვენა მხარეზე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი გორხანას უწოდებს.

ბოტანიკური ბაღის და მის გარშემო ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი უძველესი საფლავის ქვები. აღნიშნულ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან არსებობდა „თათრების სასაფლაო", რომელიც აღნიშნულია თბილისის ყველა ისტორიულ გეგმაზე. XVIII საუკუნის ბოლოს სასაფლაოს ტერიტორიას საკმაოდ ვრცელი ადგილი ეკავა. რუსი ოფიცრის პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე მუსულმანთა სასაფლაო სამ ნაწილადაა აღნიშნული.

თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულ 1953 წლით დათარიღებულ დოკუმენტში „მუსლიმანური საფლავების შენობები" ვკითხულობთ: „ბოტანიკური ბაღის აღმოსავლეთით მდებარე ყოფ. მუსლიმანთა სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებული საფლავების მცირე შენობები ე.წ. „გუმბეზები" ნაგებია ქართული აგურისაგან და გადახურულია ფერადი /ფირუზისფერი/ კრამიტებით. მათი ხნიერება ჯერ არავის დაუდგენია..."

სასაფლაოს ტერიტორიაზე აგებული გუმბეზები დროთა განმავლობაში დაინგრა, სასაფლაოს ნაწილზე დღეს საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი შენობებია აშენებული.

თბილისის არც ერთ ისტორიულ გეგმაზე არ არის აღნიშნული სასაფლაოს ტერიტორიაზე მუსლიმური სალოცავი. ჟან შარდენი XVII საუკუნეში წერდა, რომ "თბილისში არც ერთი მეჩეთი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი მაჰმადიანურ სახელმწიფოს ეკუთვნის". აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მოგვიანებით, XVIII-XIX საუკუნეებში აშენდა. სამწუხაროდ, სხვა ცნობების მოძიება ამ მეჩეთის შესახებ ვერ შევძელით.

ჩვენს მიერ მოძიებულ იქნა 1900–იანი წლების ფოტო, რომელზედაც შემორჩენილია მეჩეთის და მინარეთის ნანგრევები.



Gorkhana Mosque

Tbilisi was often ruled by Muslim conquerors during its existence. Mosques were constructed and destroyed periodically but a cemetery for Muslims has existed throughout centuries. To these days ancient tombstones have survived there. A mosque and minaret were located on the site of the cemetery in the past.

Мечеть мусульманского кладбища


Тбилиси на протяжении своего существования часто находился в руках мусульманских завоевателей. В Тбилиси периодически строились и разрушались мечети, однако мусульманское кладбище существовало веками. Здесь до сих пор сохранились древнейшие надгробные камни. На этом кладбище находились мечеть и минарет.

ნარიყალა, მუსულმანური სასაფლაო და მეჩეთი. XXს დასაწყისი
Нарикала, мусульманское кладбище и мечеть. Начало XX в.
Narikhala. Muslim graveyard and mosque. Early 20th c.

ნარიყალა, მუსულმანური სასაფლაოს გუმბაზები. XXს დასაწყისის ფოტო
Нарикала, гумбазы мусульманского кладбища. Фото начала XX в.
Narikala Moslem grave yard gumbazes.
Narikhala. Muslim graveyard gumbazes. Early 20th c.








საფლავის ქვა თბილისის მუსულმანურ სასაფლაოზე
ი.კაიას ფოტო, 2009წ
Надгробный камень на Тбилисском мусульманском кладбище
Фото Ю.Каиа, 2009 г.
Tbilisi. A Muslim cemetery. A tombstone
Photo by Y.Kaya,2009.

ღობეში ჩაშენებული საფლავის ქვა ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Встроенный в ограду надгробный камень. Ю.Каиа, 2009 г.
A tombstone fixed in the wall. Photo by Y.Kaya,2009.

ყოფილი მუსულმანური სასაფლაოს ტერიტორია.
ი.კაიას ფოტო, 2009წ
Территория бывшего мусульманского кладбища.
Фото Ю.Каиа, 2009 г.
The territory of the former Muslim graveyard.
Photo Y.Kaya, 2009.

წავკისის ხევი და მუსულმანური სასაფლაო.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Цавкисский овраг и мусульманское кладбище.
Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Tsavkisi ravine and Muslim graveyard.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.





სურბ გევორქის ეკლესია

თბილისში XVIII საუკუნეში, „ორბელიანთ უბანში" შენდება სომხური სურბ გევორქის ეკლესია. მარი ბროსეს, რომელმაც 1847-1848 წლებში იმოგზაურა საქართველოში, თბილისის ეკლესიების ჩამონათვალში მოხსენიებული აქვს „малая армянская церковь св. Георгия". იგი გადმოგვცემს, რომ ეს ეკლესია აშენებულია თავადი ყაფლანიშვილის მიერ „თავისი ყმა სომეხი მღვდლისათვის". დავითისა და მისი მეუღლის ხაკანის „საფლავის ჯვარზე" მარი ბროსემ წაიკითხა სომეხი ამომტვიფრავის მიერ გამოსახული თარიღი როგორც 1262=1813 წელი, თვით ეკლესიის კედელზე კი მეცნიერმა აღნიშნა საფლავის ქვის ფრაგმენტის არსებობა თარიღით 459, რაც ქორონიკონის ახალი ციკლით შეესაბამება 1771 წელს (1312+459). უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი გამოსახული იყო ქართული ანბანის ასოებით, და სწორედ ამიტომ მარი ბროსემ ეს თარიღი ქორონიკონის სისტემით გამოთვალა."

1802 წლის თბილისის გეგმაზე სომხური ეკლესიების ჩამონათვალში №84-ით „ორბელიანების უბანში" დატანილია წმინდა დიდმოწამე გიორგის ეკლესია.

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში – "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" სურბ გევორქის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „...არს ეკკლესია სახელსა ზედა წმინდისა გიორგისასა ყაფლანიანთ სასახლისად წოდებული, უგუმბათო და მცირე, წელსა 1790 აღშენებული, აწ გარდაცვალებულისა მღვდლისა ტერგრიგურ სანულოვისაგან".

თბილისის სურბ გევორქის ეკლესია მდებარეობდა ფურცელაძის ქუჩის (ყოფ. ბარონის) №30-ში.



თბილისი. დერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Тбилиси. Фото Д Ермакова, конец XIX в.
Tbilisi. Photo D.Ermakov End of 19th c.

თბილისი. ბარონის (ფურცელაძის) ქუჩა
დერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Тбилиси, ул. Барона (Пурцеладзе)
Фото Д Ермакова, конец XIX в.
Tbilisi, Baron (Purtseladze) Street
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

Surb Gevork Church

In 1790 a Georgian Prince Khaplanishvili built a domeless small church within the precincts of his palace in Tbilisi for an Armenian priest Grigor Sanulov, his serf. The church does not exist today.

Церковь Сурб Геворк

В Тбилиси в 1790 году князь Капланишвили (Орбелиани) на территории своего дворца построил своему крепостному армянскому священнику Санулову «маленькую бескупольную» церковь. Сегодня эта церковь не существует.



საჭაპაშენი
წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია მამისა ბერძნიშვილის ცნობით, „მდებარეობდა ნორაშენსა და თათრის მოედანს შორის. ეს ეკლესია ააშენა აბედინაანთ საჰაკამ, ამიტომ მას საჰაკაშენს უწოდებდნენ. ამ საჰაკას შვილის აქიმ ოჰანეზას შვილმა აბედინაანთ აქიმმა სტეფანემ ქართული სარწმუნოება მიიღო და ამ მიზეზით მამა-პაპათაგან მიღებულ დეკანოზობაზე უარი თქვა. მან დეკანოზობა გადასცა ბაინდირაანთ ტერ-ასტურას, თვითონ კი აღა-მაჰმადხანის შემოსევისას დამწვარ ამ ეკლესიის აღდგენას მიჰყო ხელი. ეს ამბავი მოხდა 1799 წელს. ამიტომ აქიმ სტეფანის პაპის საჰაკის მოღვაწეობა და მის მიერ ეკლესიის აგება დაახლოებით XVIII საუკუნის პირველი მეოთხედით უნდა დათარიღდეს".

მ.ბერძნიშვილის და პ.მურადიანის ცნობით, საჰაკაშენის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ვახტანგ VI–ის დავალებით აშენებულა.

ცენტრალურ არქივში დაცული 1779 წლის დოკუმენტში (ფ.1448 N3897) ვკითხულობთ - "...ნებითა და შეწევნითა ღვთისათა მამისა ძისა და სულისა წმიდისათა ოხითა და მეოხებითა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღ¯ის მშობლისა და მარადის ქალწულის მარიამისათა ...მათის მინდობითა და მოწშობითა და თავდადებითა ესე უთოო დრო დაუდებელი და მიზეზ შემოუღებებელი და ყოვლის კაცისაგან უცილვებელი ეს წიგნი დავაწერინე და მოგეცი. მე აბედინან აქიმი საჰაკას შვილის აქიმი ოჰანესას შვილმა აქიმმა სტეფანემ შვილმა და შთამომავალმა ყოველმა შენ საქართველოს მეფის ყმას ბაიდურანთ ტარაცუ ზურაბას შვილს ტერ ასატურას და შვილსა შენსა ოჰანეზას, თომას და დავით და შთამომავალთ თქვენთა ყოველათვე ასე რომ პაპის ჩემის აბედინანთ საჯაკასაგან აშენებული ეკლესია არის ნათლის მცემლისა რომ ეწოდების საჰაკაშენი. ამ თარიღს ოთხ წელიწადს წინ სპარსთ ქალაქი რომ წაახდინეს ეს ეკკლესიაც დაწვეს. ამჟამად აშენება მოვინდომე და მე რადგან ქართველის სარწმუნობებაზედ ვეგე ჩემი შვილი და ჩემი შთამომავალი ქართველის სარწმუნოებაზედ იქმნებიან მაგ ეკლესიაში სომხის მღვდლობას არ იქმრბენ... მე აქიმს სტეფანას ამისი ყაბული მაქვს მე დამიწერინებია". დოკუმენტი დამოწმებულია ბეჭდით "მონა ღვთის სტეფან".

შემდგომ პერიოდში, აღდგენილ ეკლესიაში მართლმადიდებლური ღვთისმსახურება მიმდინარეობდა.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია მხოლოდ 1782 და 1785 წლების თბილისის გეგმებზეა აღნიშნული.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დღევანდელი პურის მოედნის მიდამოებში იდგა.


John the Baptist Church of Sahakasheni

The Tbilisi Church of St. John the Baptist bears the name of its builder Sahaka. The temple was built in the first quarter of the 18th century. In 1795 during the invasion of the Aga Khan Mahmad the church was burned down. In 1799 the it was restored already by Sahak's orthodox desendent. The further information about the church is unknown.

Сахакашен, церковь св. Иоанна Крестителя

Тбилисской церкви св. Иоанна Крестителя название Сахакашен было дано по имени ее строителя Сахака. Церковь построена в первой четверти XVIII века. В 1795 году во время нашествия Ага Махмад Хана она сгорела. В 1799 году церковь восстанавливает, уже православный потомок Сахака. Дальнейшая судьба церкви нам не известна.

თბილისის ცენტრალური ნაწილი
დ ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Центральная часть Тбилиси.
Фото Д.Ермакова, начало XX в.
Tbilisi. Central part.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.





თბილისის ძველი უბანი
ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Старый район Тбилиси
Фото Ю.Каиа, 2009 г.
Tbilisi. Old part.
Photo by Y Kaya, 2009

ჯუჯის
ღვთისმშობლის ეკლესია



სოფელ კუკიაში სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩამოსახლება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. „საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული ხალხის ერთადერთ დამაკავშირებელ და გამაერთიანებელ ძალად XVIII საუკუნეში სომხური ეკლესია გამოდიოდა," – წერს გ.მაისურაძე. კუკიაში ჩამოსახლებული სომხები ერთ პერიოდში იწყებენ ორი ეკლესიის მშენებლობას. მათ შორის პირველი იყო წმინდა ღვთისმშობლის ეკლესია, დღევანდელი ზაარბრუკენის მოედანთან.

სომხები ადგილობრივი მოსახლეობისგან დაცლილ ნასახლარებზე სახლდებოდნენ და ტაძრებსაც, ძირითადად, ნაეკლესიარებზე აგებდნენ. ამ ადგილას ვახუშტის 1735 წლის თბილისის გეგმაზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე დატანილია როგორც ახალსოფლის უგუმბათო, უსახელო ეკლესია. ვახუშტის არა აქვს მითითებული, რომ ეს ეკლესია სომხური იყო, ისე როგორც ამას აკეთებდა სხვა სომხურ ეკლესიებთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, სწორედ მის შესახებ პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას წერს, რომ „წმინდა მოციქული თომას, კვირაცხოველის ეკლესიაზე იყო მიწერილი უფრო მცირე ეკლესია, რომელიც კუკიაზე არსებობდა 1622 წლამდე. ეს უკანასკნელი შაჰ-აბასის დროს დანგრეულა".

ამიტომ სავარაუდოა, რომ სომხებს ეს ეკლესია დაუკავებიათ და XIX საუ-

The Kukia Church of the Most Holy Theotokos

The most of the Armenian population starts settling down in the Village of Kukia from the second half of the 18th century. They started building two churches at a time. The first temple was erected in 1807. It was built on the site of the former one. In 1857 the Armenian Church of the Most Holy Theotokos was substantially reconstructed. It was pulled down in the 20s of the 20th century in connection with the reconstruction of the square and a new residential building replaced it.

Кукийская церковь Пресвятой Богоматери


Заселение большой части армянского населения в село Кукия начинается со второй половины XVIII века. Переселенные в Кукию армяне одновременно начинают строительство двух церквей, среди которых первой была церковь св. Богоматери, возведенная 1807 году на основании ранее существующей здесь церкви. В 1857 году в армянской церкви Богоматери была проведена основательная реконструкция. Церковь снесли в 20-ые годы XX века в связи с расширением площади. На месте церкви построен жилой дом.

კუკიის ღვთისმშობლის ეკლესია სამხრეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი
Кукийская церковь Богоматери, вид с юга.
Фото Д.Ермакова, начало XXв.
The Kukia Church of the Most Holy Theotokos. South view.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.


მიხეილის ხიდი და კუკიის ღვთისმშობლის ეკლესია
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი
Михайловский мост и Кукийская церковь Богоматери.
Фото Д.Ермакова, начало XX в.
Mikheil's Bridge and Kukia Church of the Most Holy Theotokos.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.


მტკვრის მარცხენა სანაპირო
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასრული
Левая набережная Куры. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
The left bank of the River Mtkvari. Photo by D. Ermakov. End of 19th c.





მიხეილის ხიდი და კუკიის ღვთისმშობლის ეკლესია.
დ. ერმაკოვის ფოტო, 1888წ.
Михайловский мост и Кукийская церковь Богоматери.
Фото Д.Ермакова, 1888 г.
Mikheil's Bridge and Kukia Church of the Most Holy Theotokos.
Photo by D. Ermakov, 1888.




1929







მტკვრის მარცხენა სანაპირო.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასრული.
Левая набережная Куры. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
The left bank of the River Mtkvari.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ვორონცოვის (საარბრუკენის) მოედანი. XXს. დასწყისი.
Воронцовская (Саарбрюкенская) площадь. начало XX в.
Vorontsov (Saarbruken) Square. Early 20th c.


მტკვრის მარცხენა სანაპირო.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Левая набережная Куры. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
The left bank of the River Mtkvari. Photo by D. Ermskov. End of 19th c.

კუნის დასაწყისში მის ნაცვლად ახალი ეკლესია აუგიათ. მიუხედავად იმისა, რომ სომხებმა აღდგენილი ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს, მას ათწლეულების განმავლობაში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას უწოდებდნენ. რუსი მოხელეების მიერ 1898 (№57), 1884 („Г") და 1902 (№54) წლებში შედგენილ გეგმებზე აღნიშნულია „წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია". აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოფილ ქართულ ეკლესიას წმინდა ნიკოლოზის სახელი შემორჩა.

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში – "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში", სომხური ეკლესიების ჩამონათვალში კუკიის წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების შესახებ აღნიშნულია: „მტკვრის მხარეს, კუკიად წოდებულსა შენობასა შინა, არის ეკლესია მცირე ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა სახელითა, ქვით-კირით აღშენებული, უგუმბათო და დაბურვილი აგურით, მუნებურთა მრევლისაგან აღშენებული წელსა 1807-სა".

XIX საუკუნის 40-იან წლებში ეს ეკლესია იმდენად დაზიანებულა, რომ საჭირო შექმნილა მისი შეკეთება. 1857 წელს დაიწყო ძველი ეკლესიის ადგილას ახლის აგება, რომელიც დასრულდა XIX საუკუნის ბოლოს. აღმშენებელი ყოფილა აზნაური იაკობ ყორღანოვი. ეს იყო სხვა თბილისური ეკლესიების მსგავსი ჯვარ–გუმბათიანი ნაგებობა.

ეკლესია აიღეს XX საუკუნის 20-იან წლებში ვორონცოვის მოედნის გაფართოებასთან დაკავშირებით. დღეს აქ, საარბრუკენის მოედნის №2–ში ექვსართულიანი შენობა დგას.



ქუკია.
დერმაკოვის ფოტო. XXს. დასაწყისი.
Кукия.
Фото Д.Ермакова, начало XX в.
Kukia area.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.












მუხრანის ხიდი. XIX ს. I ნახ.
Мухранский мост. I половина XX в.
Mukhrani Bridge. First half of 19th c.

ტფილისის ხედი. ჩერნეცოვის ნახატი. 1832წ.
Вид Тифлиса. Рисунок Чернецова, 1832 г.
View of Tbilisi. Painted by Cherentsov, 1832.



ჩულურეთის წმინდა ნინოს ეკლესია

1795 წელს აღა მაჰმად ხანმა თბილისი აიღო და მთლიანად გაანადგურა. უამრავი ადამიანი შეეწირა ამ შემოსევას, ვინც სიკვდილს გადაურჩა ტყვედ წაიყვანეს, თბილისი დაცარიელდა.

„ბერ-მონაზონთაგან ზოგს ყელს ჭრიდნენ, კრავსავით კლავდნენ, ზოგს ატყვევებდნენ და ყიდდენ, აგრეთვე სამღვდელოებისაგან ზოგს ნავთს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, ზოგს კლავდნენ,... და ზოგნი მიჰყავდათ ტყვედ. ასევე ერისკაცთაგან ზოგს თავს ჰკვეთდენ, მიჰქონდათ ეს თავები ბოროტმოქმედთან და თითოეული თავის ფასად 3 თუმანს იღებდნენ... ზოგიერთებს დაღავდნენ სხვადასხვა ტანჯვა-წამებით, გავარვარებული რკინითა და სხვა სატანჯველი იარაღით, ზოგიერთები მიჰყავდათ ტყვედ. ასევე ექცეოდნენ დედაბრებს, ხოლო ყრმა და ახალგაზრდა გოგო-ბიჭები უვნებლად მიჰყავდათ თავიანთი ბილწი გულისთქმისთვის და ძვირფას ნივთად" - წერს სერობი.


ერეკლე მეფემ დაიწყო შემოსევისგან განადგურებული თბილისის აღდგენა. პირველ რიგში, მან მთლიანად ქართლ-კახეთის და კონკრეტულად თბილისის მოსახლეობის გაზრდაზე იზრუნა. ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე II-მ რვა სოფლის მოსახლეობა აყარა და საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ჩაასახლა.

ნახჭევანიდან გადმოსახლებული მდიდარი ამატუნების გვარი იწყებს დანგრეულ სოფელ ჩუღურეთში სომხების მოზიდვას და მოსახლეობის გამრავლებას, რაც თავისთავად ეკლესიების აშენების საჭიროებას ბადებდა. XIX საუკუნის დასაწყისში ჩუღურეთში, ძველი სოფლის ქართული ეკლესიის ნანგრევებზე იწყება წმინდა ღვთისმშობლის სომხური ეკლესიის მშენებლობა, რომელიც დღევანდელ ნინო ჩხეიძის ქუჩაზე მდებარეობს.

ტაძარი წარმოადგენს ცალნავიან აგურის შენობას გვიანი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურიდან და რუსული კლასიციზმიდან მომდინარე მამკობი დეტალებით.

საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში შეწყდა ღვთისმსახურება და





The Chugureti St. Nino's Church


In 1795 Aga-Mohammed-Khan took Tbilisi and demolished it. A lot of people were annihilated during the invasion. Those who survived were taken captive. Tbilisi was desolated. Later, King Erekle II started to revive the destroyed capital city. When he invaded Erevan, he compelled the population of eight villages to settle in different regions of Georgia. In the first half of the 19th century starts the building of a new Armenian Church of the Most Holy Theotokos in Chugureti. Under Communist rule Devine Services ceased in the temple. At first the temple was used as a residential building, later an Art Gallery was housed in it which was finally replaced by a concert hall. In 1989 the temple was disposed to the Georgian Patriarchate. In 1991 the church was consecrated in commemoration of St. Nino.

Чугуретская церковь св. Нино

В 1975 году Ага-Магомет-хана взял Тбилиси и полностью его уничтожил. В результате этого нашествия погибло множество людей, а оставшихся в живых взяли в плен. Тбилиси опустел. Грузинский царь Ираклий начал восстанавливать разоренный от нашествия Тбилиси. Во время похода на Ереван Ираклий II согнал население восьми сел и заселил их в деревни и города Грузии. В первой половине XIX века на развалинах старой грузинской сельской церкви начинается строительство Чугуретской армянской церкви св. Богоматери. В советское время в церкви прекратилось богослужение и она сначала была переделана в жилой дом, а затем там разместили художественную галерею и концертный зал. Храм с 1989 года передан Патриархии Грузии и после его восстановления в 1991 году он был освящен во имя св. Нино.

წმინდა ნინოს ეკლესია XXს დასაწყისის ფოტო
Церковь св. Нино. Фото начала XX в.
St Nino Church. Photo of early 20th c.

წმინდა ნინოს ეკლესია XXს II ნახ. ფოტო
Церковь св. Нино. Фото II половины XX в.
St Nino Church. Photo of second half of 20th c





წმინდა ნინოს ეკლესიის კედლის მხატვრობა
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Стенная живопись церкви св.Нино.
Фото И.Микадзе, 2009г.
St.Nino Church. Wall painting.
Photo by I.Mikadze,2009.

წმინდა ნინოს ეკლესია და სამრეკლო.
თ.დოლიძის ფოტო. 2009წ.
Церковь св. Нино и колокольня.
Фото Т.Долидзе, 2009г.
St Nino Church and its belfry.
Photo by T. Dolidze,2009.

თავდაპირველად ეკლესია საცხოვრებელ სახლად იქნა გადაკეთებული. 1978 1979 წლებში მთავრობამ ტაძრის შენობიდან გამოასახლა მობინადრეები და იგი ჯერ სამხატვრო გალერეას დაუთმო, შემდეგ საკონცერტო დარბაზად აქცია, სადაც, ძირითადად, სასკოლო თვითმოქმედებას წარმოადგენდნენ.

ტაძარი 1989 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა და ამ პერიოდიდან იწყება მისი აღდგენითი სამუშაოები. აიღეს სხვადასხვა დანიშნულების მინაშენები – პურის მაღაზია, ფეხსაცმლის შესაკეთებელი ჯიხური, კერძო მოქალაქეების მიშენებული სახლები. 1991 წელს მერაბ კოსტავას საზოგადოების თაოსნობით დასრულდა ტაძრის აღდგენითი სამუშაოები.

1991 წლის 26 იანვარს აღდგენილი ტაძარი წმინდა ნინოს სახელობაზე აკურთხეს, ხოლო 27 იანვარს ჩატარდა საზეიმო წირვა. ლიტურგიის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პარაკლისი აღავლინა. ტაძრის აღდგენის საქმეს სათავეში ედგა დეკანოზი რევაზ ოთარაშვილი.

ეკლესია რესტავრაციის შემდეგ პირველად 1996 წელს მოიხატა. 2001 წლის მიწისძვრის შედეგად ტაძრის კედლები და შესაბამისად ფრესკებიც ძლიერ დაზიანდა, რის გამოც იგი ხელმეორედ მოხატეს მხატვრებმა ირაკლი ცინცაძემ და გიორგი ტეტენაშვილმა. ფრესკებზე ასახულია უდიდესი საუფლო დღესასწაულები, წმიდა ნინოს ცხოვრების ეპიზოდები, ასურელ და მთაწმინდელ მამათა, ქართველ მეფეთა, მოციქულთა და მოწამეთა ხატები.

თბილისის წმინდა ნინოს ეკლესია მდებარეობს ჩუღურეთში, ნინო ჩხეიძის ქუჩის №32-ში.



წმინდა ხარების კათოლიკური ეკლესია

1746 წელს ირანიდან თბილისში ჩამოვიდა ისპაჰანის ლათინთა ეპისკოპოსი ფილიპე, რომელსაც მისიონერების საქმიანობა უნდა შეემოწმებინა. მან თბილისში თავის მთავარ ვიკარიუსად პატრი ნიკოლო ჯირჯენტელი დანიშნა. „ეს პატრი მაშინვე შეუდგა ტფილისში სხვა ახალი ეკკლესიის აშენებას, რადგან წინანდელი პატარა იყო და ვეღარ იტევდა კათოლოკეებს, რომელთა დღითი-დღე მრავლდებოდა. ეკკლესია დაასრულა 1749 წელს როგორც ბევრი წერილიდან სჩანს, საქართველოში ეს ეკკლესია ერთ საუკეთესო ეკკლესიად ითვლებოდა თურმე, რადგან ძლიერ შვენიერი ყოფილა და მის აშენებაზე დიდი ფული დახარჯულა (ოთხი ათას თუმანზე მეტი). ამ ეკკლესიის დასასრულებლად პატრი ნიკოლას ფულები შემოჰკლებია და ამიტომ, პროპაგანდის დაუკითხავად, ძველი ეკკლესიის მამულები გაუყიდია... ეს ის ეკკლესიაა, რომელიც თეიმურაზ მეფემ ჩამოართვა." – წერს მიხეილ თამარაშვილი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო და იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს. ანტონისა და კათოლიკე ბერების ახლო ურთიერთობით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა. ანტონ I-ს გაკათოლიკება დასწამეს და "მწვალებლად" აღიარეს. ამას დაემატა ჯერ სომხების და, ასევე, ქართველი მართლმადიდებლების დიდი რაოდენობით კათოლიკეებად მოქცევა, რის გამოც 1755 წელს სომხებისა და ბერძნების მიერ წაქეზებულმა მეფე თეიმურაზ II-მ მისიონერებს ეკლესია ჩამოართვა და ისინი სამეფოდან გააძევა, რასაც კათოლიკეთა ყველაზე ულმობელი დევნა მოჰყვა.

თეიმურაზ II-მ კათოლიკეებს წაართვა ტაძარი და გადასცა იგი მართლმადიდებლებს: „ეკკლესიაში საჯაროდ წაიკითხეს თავიანთი პატრიარქის წერილები, დაანგრიეს მთავარი ტრაპეზი, თავიანთებურად ეკკლესია აკურთხეს და ჩააბარეს ერთ ქართველ მღვდელს, რათა მოევლო." – წერს კაპუცინი პატრი იოსებ მოდენაელი. ცნობილია, რომ შემდგომ მეფეს „დაუფასებია თავის ქვეშევრდომისათვის ერთგულება და ეს ეკლესია იქვე მდგარი სასახლითურთ უბოძებია გიორგი ლარაძესთვის". მართლმადიდებლების ხელში ეს ეკლესია წმინდა ხარების სახელობისა ყოფილა. ამასვე წერს 1870-იან წლებში თბილისში მყოფი ი.გიულდენშტედტი: „ხარების ღვთისმშობელი წინად კათოლიკეებისა იყო," – აღნიშნავს იგი თბილისის ეკლესიების აღწერისას.

ზაქარია ჭიჭინაძე დასძენს, რომ კათოლიკეთა წმინდა ხარების ტაძარიც: „კათოლიკეთა საუბედუროდ, არ... დაშთა დიდხანს კათოლიკების ხელში. 1755წ. მეფე თეიმურაზის ბრძანებით, ანტონ კათალიკოზის გამო, კათოლიკენი სდევნეს, ეკკლესია, საეკკლესიო ნივთები წაართვეს, აღარაფერი მისცეს, შემდეგ ეს ეკკლესია ქართველებმა სომხებს მიჰყიდეს, დღეს სომხებს უპყრიათ იგი, და ამ ძველ ეკკლესიას სხვა სახელი უწოდეს... და იგი გადაკეთებულია სხვა გეგმით... ეკლესია პატრებს ვეღარ დაუბრუნდათ".

Holy Annunciation Catholic church

In 1749 the chief vicar of Tbilisi built a new church. In 1755 cautious that the Catholic congregation would be on the increase and persuaded by the Armenians and the Greeks, King Teimuraz II confiscated the missionaries' church and exiled them from the country. This was followed by a most severe persecution of the Catholics. The King disposed the church to the Orthodox parish. According to one of the Georgian historians the Armenians made possession of the church, and the Catholics never got it back.

Католическая церковь св. Благовещания

В 1749 году главный викарий Тбилиси строит новую церковь. Опасаясь возрастания среди местного населения католической паствы, в 1755 году подстрекаемый армянами и греками царь Теймураз II отобрал церковь у католиков и изгнал их из царства, что повлекло самое жестокое преследование католиков. Эту церковь царь передал православным. По сведениям грузинского историка, впоследствии эта церковь перешла в руки армян. Церковь католикам больше не возвращалась



ქრისტოფორო დე კასტელი
ბაზრობა ეკლესიასთან. XVII საუკუნის I ნახევარი.
Христофоро де Кастелли.
Ярмарка у церкви, I половина XVII в.
Christophoro de Castelli. Bazaar near a church.
First half of 17th c..

ქრისტოფორო დე კასტელი
მისიონერები. XVII საუკუნის I ნახევარი
Христофоро де Кастелли.
Миссионеры. I половина XVIIв.
Christophoro de Castelli.
Missionaries. First half of the 17th century.



წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია

ავლაბარი. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Авлабар. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Avlabari area. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

ავლაბრის მთავარანგელოზთა ეკლესია. თ.დოლიძის ფოტო, 2009წ
Авлабарская церковь архангелов. Фото Т.Долидзе, 2009г.
The Avlabari Church of the Archangels. Photo by T. Dolidze, 2009.

პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის შესახებ წერს: "მიქაელ მთავარანგელოზის და ყოველთა ზეცისა უსხეულოთა ძალთა ეკლესია ხელახლა აშენებულია მღვდლების სულხანიშვილების მიერ 1805 წელს."

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში -"მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხულობთ. „ავლაბარსავე შინა არის ეკკლესია სახელსა ზედა მთავარანგელოსისა მიხაილისა და ყოველთა ზეცისა უსხეულოთა ძალთა, 8-სა დღესა ნოემბრის თთვისასა, აღშენებული მეტეხის ეკკლესიის დეკანოზისა ზაქარიას და ძმისა მისისისა მღდუელისა იოსებ სულხანოვთაგან წელსა 1805-სა, და აქომამდე იყო იგი ეკკლესიად სასაფლაოსა და მას შინა არავინ განწესებულებს მღუდელი".

უმოქმედო ეკლესია 1898 წელს მღვდელ დავით იანქოშვილს განუახლებია. მისი დამსახურებების შესახებ 1897 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: "...მრევლმა საქართველოს ექსარხოსის ვლადიმირის ნებართვით და ლოცვა-კურთხევით ძვირფასის თვლებით მორთული გულის-ჯვარი მიართვა თავიანთს მოძღვარს მამა დავით იანქოშვილს. ამ დროს მისი მრევლი ბევრი დაესწრო და ერთმა მათგანმა დაახლოვებით შემდეგი სიტყვა უთხრა მღვდელს რუსულად: მამაო დავით! გულით გილოცავთ როგორც მე, აგრეთვე მრევლიც, დღევანდელს თქვენის ანგელოზის დღეს. თქვენმა სამი წლის მოღვაწეობამ ჩვენს შორის გაგვაბედვინა ჩვენ, მრევლთ, მოგართვათ ეს მცირედი სახსოვარი. თუ არ თქვენი მხნე და დაუღალავი მეცადინეობა, ჩვენ კარგა ხნობამდის ეკკლესიის აშენებას ვერ ვეღირსებოდით და ეხლა კი, დღეს თუ ხვალ, იგი სრულებით დამთავრებული იქნება. თუ არა თქვენ, ჩვენ არ გვეყოლებოდა საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველო, თქვენს მოსვლამდის ამ მრევლს არ გაუგონია არც ერთი აღსნილი ღვთის სიტყვა და ქადაგება. თქვენმა მუდმივმა ქადაგებამ ისე შეაჩვია მრევლი ეკკლესიას,

რომ პატარა ეკკლესიაში ვეღარ ეტევიან და იქნება მომეტებულად ეს არის მიზეზი, რომ მრევლმა მოინდომა უეჭველად მოზრდილი ეკკლესიის აშენება, თქვენი კეთილი დარიგება, ყურადღება ღარიბებისადმი და თავ-მდაბლობა, ეკკლესიის სიფაქიზე და სისუფთავე-ყველა ეს მრევლისათვის ძვირფასი განძია და ამიტომ ნურავის გაუკვირდება, რომ ჩვენ, ეს მცირედი მრევლი, ვაფასებთ თქვენს შრომას. ამაზე მღვდელმა იანქოშვილმა უპასუხა, რომ მე მაგდენი ქების ღირსი არა ვარო, მხოლოდ თუ რასმე ვსცდილობ და ვაკეთებ, ამას ჩემს და ყოველის მოძღვრის მოვალეობადა ვსვლითიო. იმედი მაქვს, ღვთის შეწევნითა და თქვენის დახმარებით, ეკკლესიას დავამთავრებთ და სულ მცირე ხნის განმავლობაში სამრევლო სკოლასაც დავაარსებთო.ჯვარზე იესო ქრისტეა გამოქანდაკებული, მხოლოდ მეორე მხარზედ აწერია: სამის წლის სამაგალითო სამსახურისათვის ავლაბრის მთავარ-ანგელოზის მრევლისაგან მამა დავით იანქოშვილს, ნიშნად განსაკუთრებულის პატივისცემისა 29 მაისს, 1897 წელს. ამგვარი ჯვარი, მრევლისაგან მირთმეული, თბილისში ეხლა მხოლოდ ორთა აქვთ: სამხედრო ტაძრის მოძღვარს მამა ვინოგრადოვს და ზემო-ხსენებულს მ. დავით იანქოშვილს."

ეკკლესიის სამრევლო სკოლის შესახებ 1899 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: "წარსულს კვირას ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მოძღვარმა მ. დავით იანქოშვილმა აკურთხა ამავე ეკკლესიის სამრევლო სკოლა, რომელიც ჯერ-ჯერობით დაქირავებულს კერძო სახლში მოთავსდნენ... დიდ-ძალი მრევლი დაესწრო კურთხევას. როცა წირვა და სამადლობელი პარაკლისი გათავდა, მღვდელმა მ. დავით იანქოშვილმა სწავლა-განათლების შესახებ ისეთი ზედ-გავლენიანი ქადაგება წარმოსთქვა, რომ სომეხ-გრიგორიანელებმაც კი მიაბარეს ბავშვები ...სივიწროვის გამო, მიიღეს მხოლოდ 54 ქალ-ვაჟი. ამათში 28 მართლ-მადიდებელნი არიან და 24 სომეხ-გრიგორიანელი.

აქვე არ შემიძლიან უყურადღებოდ დავსტოვო ღვაწლი და მოუღალავი შრომა პატივცემულის მღვდლის დავით იანქოშვილისა. მე მახსოვს როცა მან სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ, კუკიაში პატარა შინაური სკოლა გახსნა; მეზობლის ბავშვები დიდის ხალისით და სიხარულით მიდიოდნენ მასთან ყოველ დღე, რადგან "ძია-დათიკო", როგორც მას ბავშვები ეძახდნენ, ძალიან ტკბილად ეკიდებოდა და ეს მისი შინაური სკოლა ბავშვების სათამაშო ზალას უფრო წააგავდა, ვიდრე სკოლას... ძველი პატარა ეკკლესია ოცს კაცს ვერც კი დაიტევდა და ეხლა კი ამ სამიოდე წლის განმავლობაში ისეთი დიდი, ფართო და ლამაზი ეკკლესია ააშენა თავის მეცადინეობით, რომ 500-600 სული დაეტევა. ამ კვირას კიდევ სკოლა და სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დავით მღვდელი კვლავ თავის შრომას არ დაზოგავს და ახლად დაარსებულ სკოლას ეკკლესიის გარშემოვლებულს გალავანში საკუთარს შენობას ააგებს."

დღეისათვის ამ შენობას დაკარგული აქვს პირვანდელი სახე და საცხოვრებელ სახლადაა გადაკეთებული. ტაძარი წარმოადგენდა დარბაზულ ეკლესიას ღია ფანჩატურიანი სამრეკლოთი დასავლეთ ფრონტონზე. ეკლესიის თავდაპირველი სახე შემორჩენილია XIX-XX საუკუნეების მიჯნის საარქივო ფოტოებზე.


თბილისის მთავარანგელოზთა ეკლესია მდებარეობს ავლაბარში, მთავარანგელოზის ქუჩის №23-ში.


Archangel Michael and Other Bodiless Powers Church

Archangel Michael and Other Bodiless Powers Church was built on the site of an old temple which was reconstructed by the priests Sulkhanishvilis in 1805. In 1898 it was restored again. Divine Services ceased in the temple under Communist rule. Today the construction is used as a residential building.

Церковь архангела Михаила и всех небесных сил бесплотных

Грузинская православная церковь архангела Михаила и всех небесных сил бесплотных построена на месте старой церкви, которая раньше была кладбищенской церковью. В 1805 году она была обновлена священниками Сулханишвили. В 1898 году церковь обновлялась вновь. В советское время в этой церкви прекратилось богослужение и сегодня она переделана в жилой дом.





წმინდა ალექსანდრე ნეველის სასახლის ეკლესია

კავკასიის მეფისნაცვლის (190) სასახლის პირველი შენობა 1802 წელს აშენდა ღუნიბის მოედანზე, 1807 წელს ის ახლით შეიცვალა. შენობამ მის სრულ გადაკეთებამდე ორჯერ განიცადა ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა ახალი შენობის აგება, გადაწყდა ძველი სასახლის გადაკეთება და გაფართოება. რეკონსტრუქცია, რომლის შედეგადაც შენობას სახე დღემდე არ შეუცვლია, განხორციელდა 1865-1869 წლებში ოტო სიმონსონის(191) პროექტით. მანვე შეადგინა მეფისნაცვლის სასახლის კანდელაბრების, საწოლის, წიგნის კარადების, შირმის, ჭაღების და ბუხრის ესკიზები.

მოედნის სახელწოდება გაჩნდა XIX საუკუნის 60-იან წლებში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1859 წელს შამილის(192) უკანასკნელი ფორპოსტი – ღუნიბის ციხესიმაგრე აიღო. 1897 წელს მოედანზე ააგეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი, რის შედეგადაც ღუნიბის მოედანი გაუქმდა.

1911 წლის გზამკვლევში ვკითხულობთ: "სასახლეში 70-ზე მეტი ოთახი და კარის ეკლესიაც არის. შენობის გარეგნული სახე არაფრით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ შიდა ოთახები მდიდრულადაა მოწყობილი – ერთნი ევროპული გემოვნებითაა, სხვანი კი აზიური, დახვეწილი სპარსული სტილით. განსაკუთრებით შესანიშნავია "სპარსული", "ყვითელი", "პორტრეტების" და ასევე "ცისფერი" და "ჩითისა". სასახლეს აკრავს დიდი შესანიშნავი ბაღი." კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში ეკლესიაც იყო, რომელიც წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობაზე 1834 წელს აკურთხა საქართველოს ეგზარქოსმა არქიეპისკოპოსმა მოსემ.

ეკლესია მდებარეობდა ყოფილი კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში, რუსთაველის გამზირის №6-ში.

გოლოვინის პრ. და მეფისნაცვლის სასახლე. დ.ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Головинский проспект и дворец царского наместника. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Golovin Avenue and Viceroy's palace. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

ღუნიბის მოედანი და მეფისნაცვლის სასახლე. დ.ყორღანოვის ფოტო, 1863წ.
Гунибская площадь и дворец царского наместника. Фото Д.Корганова, 1863г.
Gunib Square and Viceroy's palace. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

მეფისნაცვლის სასახლე ტფილისში. ვ.ტიმი 1830-იანი წლები
Дворец царского наместника. В.Тимм, 1830-ые г.
Viceroy's palace. V Timm; 1830s

ქართველები მეფისნაცვლის საპატიო ყარაულში. დ.ერმაკოვის ფოტო XXს დასაწყისი
Грузины в почетном карауле царского наместника. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Georgians in guard of honor Photo by D. Ermakov. Early 20th c.





Alexander Nevski Court Church

In 1801 Georgia was joined to the Russian Empire. In 1802 the construction of the Viceroy's palace in Tbilisi started. The last repair work was done in the building in 1869. In one of the large halls of the palace a church dedicated to St. Alexander Nevski was arranged. Under Communist rule the building was transferred to the possession of the State.

Придворная церковь св. Александра Невского

В 1801 году Грузия присоединилась к Российской империи. В Тбилиси в 1802 году начинается строительство дворца царского наместника. Последняя реконструкция здания производилась в 1869 году. В одном из больших залов дворца и размещалась придворная православная церковь св. Александра Невского. В советское время здание перешло в собственность государства.





ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ჯათოლიჯური ტაძარი

როგორც უკვე ავღვნიშნეთ, 1755 წელს მეფე თეიმურაზის ბრძანებით კათოლიკეებს წაართვეს წმინდა ხარების ტაძარი და ისინი საქართველოდან განდევნეს. პატრი ფრანჩისკე ანტონ პადუელი 1800 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერს, რომ: „აქ ტფილისში მისიონერები, ვალით სავსენი, სატირელ მდგომარეობაში ვიპოებით, ...დაქირავებულ სახლში ვართ; ამაშივე მოვათავსეთ ეკკლესია, რომელიც მთლად გაშიშვლებულია... არც ნაწილი გვაქვს ტრაპეზზედ დასასვენებლად, არც შარავანდედი ყოვლად წმიდა ზიარების გამოსასვენებლად...".

1802 წელს რუსეთის იმპერიიდან საქართველოს უმაღლეს ხელისუფლად პავლე ციციანოვს აგზავნიან, რომელიც გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო ზრუნავდა მისიონერებზე. 1803 წელს მან თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატორს, რომ მისიონერებისათვის თბილისში ხაზინიდან ეჩუქებინათ ადგილი ეკლესიის ასაშენებლად. მისი აზრით, ამ გზით შესაძლებელი იყო საქართველოს ეპარქიის მოგილევის კონსისტორიისადმი დამორჩილება და ამით დასავლეთთან დამაკავშირებელი გზაც გაწყდებოდა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა კაპუცინთა ორდენის თბილისის პრეფექტს ეკლესიის აშენების ნება დართო და ასევე 6000 მანეთი მისცა ჩამორთმეული ტაძრების საფასურად.

ისარლიშვილების და ზუბალაშვილების გვარის მიერ შეწირულ ადგილზე, „შუა ბაზარში" 1804 წელს ფრა ფილიპო ფორანოელის ხელმძღვანელობით იწყებენ ახალი ეკლესიის მშენებლობას. თუმცა, ერთი წლის შემდეგ კაპუცინები რომში გაგზავნილ წერილში წერენ, რომ 6000 მანეთი და „ეგრეთვე სხვა ფულიც, რაც კი ჰქონდათ" დაუხარჯავთ, მაგრამ ეკლესიის მშენებლობა ვერ დაუმთავრებიათ. წერილში ისინი ითხოვდნენ „გაჰყიდონ თავიანთი ბაღი, ერთი სახლი და ორიც ცარიელა ადგილი" ეკლესიის დასამთავრებლად. პროპაგანდამ ავსტრიის მთავრობას სთხოვა შემწეობა, ამ უკანასკნელმა ეკლესიის დასამთავრებლად 1282 პიასტრი გამოყო. ეკლესიის მშენებლობა 1808 წელს დამთავრდა.



Ascension of the Most Holy Theotokos Catholic Church


In 1801, when Georgia was joined to the Russian Empire, the Georgian Catholics appealed to the Emperor about the construction of a new church. In 1804 they got his consent. The erection of the temple finished in 1808. Further, it was enlarged and restored. In the mid - 19th century a lot of pieces of art were brought from overseas countries and were donated to the church. Among them was a church organ made in Italy. The temple was in charge of a residential house for the members of Capuchin's Order, a school and charity buildings which were located on its site. Under Communist rule, in 1930, the church was confiscated from the Georgian Catholics and was used as a workshop and a gymnasium for years. There was no possibility to save the organ either. In 1996 Church of the Ascension of the Most Holy Theotokos was returned to the Catholic Congregation and at present it is a Cathedral.

Католическая церковь Вознесения Святой Марии

С 1801 года, когда Грузия вошла в состав России, грузинские католики обратились к Российскому императору с просьбой о строительстве новой церкви, на что получили согласие в 1804 году. Строительство церкви закончилось в 1808 году. В дальнейшем церковь была расширена и обновлена. Для церкви из заграницы привезли различную церковную утварь, в том числе и церковный орган итальянской фирмы. При церкви находились жилой дом для представителей ордена капуцинов, училище и дома милосердия. В советский период, в 1930-ые годы церковь отобрали у грузинских католиков и ее использовали в качестве спортивного зала и мастерской. Не удалось спасти также и церковный орган. В 1996 году Тбилисскую католическую церковь Вознесения св. Марии возвратили пастве. Церковь Вознесения Богородицы сегодня является кафедральным епископским храмом.

კათედრალური ტაძარი დასავლეთიდან
დ ერმაკოვის ფოტო XIXს დასასრული
Кафедральный храм, вид с запада
Фото Д Ермакова, конец XIXв.
Cathedral of the Ascension of the Most Holy Theotokos. West view.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

კათედრალური ტაძრის ინტერიერი. ი მიქაძის ფოტო. 2009წ
Интерьер Кафедрального храма. Фото И.Микадзе, 2009г.
Cathedral of the Ascension of the Most Holy Theotokos. Interior.
Photo by I Mikadze. 2009



ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხულობთ: „ტფილისის ა–სა ჩასტსა, გ–სა კვარტალსა შინა მდებარე საყდარი და გარემო მისსა სასახლე დასავლეთის ჰრომის სარწმუნოვებისა, ენისა გამო ლათინად წოდებულთა, პატრთაგან ჩყდ–სა [1804] წელსა ნასყიდთა ადგილთა ზედა აღშენებული ეკკლესია სახელითა... ხარჯითა წარსაგებელითა ყ˘დუავღუსტესტის მონარხისა, ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისა ალექსანდრე პირველისათა, რომელმანცა მიუბოძა ათასი ოქრო წარდგინებითა და შუამავლობითა გარდაცვალებულისა საქართველოს მთავარმმართებლად ყოფილისა თავადის ციციანოვისათა, და თვით მისივე ციციანოვისაგან საკუთართა თავისათა ხუთასის ოქროს შეწევნითა."


პატრი ანდრია, კაპუცინების ორდენის წარმომადგენელი 1808 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერს: "...თვით თავად ციციანოვმა, დახატა გეგმა... ჩვენმა კათოლიკეებმა, რაც კი შეეძლოთ, იღონეს... ორი თვეა, რაც შევედით ეკლესიაში. ძველი ეკლესიიდან ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლო პროცესიით გადმოვასვენეთ გალობით და მუსიკით. პროცესიას აქეთ – იქით რუსის ჯარი ახლდა და წინ მიუძღოდნენ რუსის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო აფიცრები, ქართველები, სომხები, და მთელი ქალაქი უყურებდა. აქაური ქართველების კათალიკოსმა და მათმა მიტროპოლიტმა ეკლესიაში შემოსვლა ინებეს...".

1814 წელს რომიდან „ოცდა მერვე მთავარ უფროსად" პატრი ფილიპე ფორანოელი დაინიშნა, რომლის ძალისხმევითაც ეკლესია 1817 წელს სრულად დამთავრდა, ტაძრის ტერიტორიას ლამაზი გალავანიც შემოარტყეს.

ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ამ განახლებული ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: „ტფილისის ა–სა ჩასტსა, გ–სა კვარტალსა შინა, ჰრომის ეკკლესიის აღმსარებელნი, ლათინთა მათვე წოდებულთა პაპისტთა პატრთაგან ნასყიდთა ადგილთა ზედა წელსა ჩყN-სა – აღშენებული ეკკლესია სახელსა ზედა ყ˘დწ˘ისა ღ˘ისმშობლის მიცვალებისასა, ქვით-კირით, უგუმბათო სიონურად, რომელთაცა წარდგინებითა კნიაზ ციციანოვისათა მოებოძათ იმპერატორისა, კურთხეულისა ალექსანდრე იმპერატორისაგან შეწევნა წარსაგებელისა ხარჯითა, და წარსაგებელითა ყ˘დუავღუსტესისის როსსიის მონარხისა, ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისა ალექსანდრე პირველისაგან წყალობად ბოძებულითა ექვსასისა თუმნისა თეთრის ფულისათა, რომელიცა მოებოძად მათ წარდგინებითა საქართველოს მთავარმმართებლად ყოფილისა კნიაზ ციციანოვისათა, და ეკკლესია ესე არის უგუმბათო სიონური და აქუს ორი პატარა სამრეკლო, რომელთაგანცა ერთსა შინა ეკკლესიისა სასახლეცა, და ამა მიზეზითა სრულიადსა უბანსა და ქუჩასა მას ტფილისისასა შინა ეწოდება ფრანგის ქუჩა ანუ თუ ფრანგთა უბანი".

XIX საუკუნის შუა წლებისათვის ზუბალაშვილების შემწეობით უცხოეთიდან ხელოვნების მრავალი ნიმუში ჩამოიტანეს და ტაძარს შესწირეს, მათ შორის მურილიოს სკოლაში შესრულებული იტალიელ მხატვართა მონუმენტური ფერწერული ტილოები, "ღვთისმშობლის ამაღლების" კომპოზიცია, რომელიც სპეციალურად ტაძრის საკურთხევლისათვის შესრულდა, ულამაზესი ჭაღები. საზღვარგარეთიდან ჩამოიტანეს შესანიშნავი იტალიური ფირმის საეკლესიო ორღანი (იმხანად ერთადერთი მთელს კავკასიაში), რომელზედაც ზაქარია ფალიაშვილი უკრავდა. ეკლესიის საკურთხევლის წინ პეტრესა და პავლეს





ფრესკები იყო დაწერილი, რომელებსაც ქართული წარწერაც ჰქონდათ.

1884 წელს ტაძარი დიმიტრი თუმანიშვილმა განაახლა „წინ მიუდგა თლილის ქვით ნაშენი ნახევარი ეკკლესია, შიგაც კარგად მორთა და შეამკო, გარს გალავანიც გაუკეთა". ფრანგთა ქუჩაზე მან განაახლა კაპუცინების ორდენის წარმომადგენლებისთვის საცხოვრებელი სახლი, სასწავლებელი და სათნოების შენობები, რომელიც თავისივე შედგენილი პროექტის მიხედვით შეცვალა. სასწავლებელს და სათნოების სახლს ეკლესია თავისი ხარჯით ინახავდა. კათოლიკურ სკოლაში ბავშვებს წვრთნიდნენ სარწმუნოებასა და მორჩილებაში, ასწავლიდნენ ლათინურ და იტალიურ ენებს. კაპუცინთა საგანმანათლებლო საქმიანობა მათი წარმატების ერთ-ერთ უმთავრესი საშუალება იყო. ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლად რომში გაგზავნით ისინი უდიდეს სამსახურს უწევდნენ მათ.

მიუხედავად შევიწროებისა, ქართველი კათოლიკეები ეროვნული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ. XIX საუკუნეში კონსტანტინოპოლში მათ პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობით საკუთარი სტამბა და სკოლით აღჭურვილი ქართული კონგრეგაცია დააარსეს, რითაც საქართველოს ავტორიტეტის უცხოეთში ასამაღლებლად აქტიური მუშაობა გააჩაღეს. მსგავსი ცენტრები იყო საფრანგეთსა და ვენეციაშიც.

საბჭოთა პერიოდში, 1937-იან წელს თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასკომმა ეკლესია ჩამოართვა ქართველ კათოლიკეებს. წლების განმავლობაში ტაძარი გამოიყენებოდა სპორტულ დარბაზად, სახელოსნოდ, იგი გაძარცვეს, დაარბიეს. ვერ მოხერხდა ორღანის გადარჩენაც, იგი ნაწილ-ნაწილ დაშალეს, გაანადგურეს და წყალგაყვანილობის მილებად გამოიყენეს. მხოლოდ რამდენიმე ფერწერული კომპოზიცია იქნა გადარჩენილი და გადატანილი

კათედრალური ტაძრის პროექტი.
Проект Кафедрального храма.
Cathedral of the Ascension of the Most Holy Theotokos. Project.

წმ ნინოს ქანდაკება კათედრალურ ტაძარში.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Статуя св.Нино в Кафедральном храме.
Фото И.Микадзе, 2009г.
St Nino's statue in the Cathedral of the Ascension of the Most Holy Theotokos. Photo by I. Mikadze, 2009.

სანათლაო კათედრალურ ტაძარში. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Купель в Кафедральном храме. Фото И.Микадзе, 2009г.
A font in the Cathedral of the Ascension of the Most Holy Theotokos. Photo by I.Mikadze, 2009.





წმინდა პეტრე და წმინდა პავლე მოციქულთა ტაძარში.

1996 წელს თბილისის წმიდა მარიამის ამაღლების კათოლიკური ეკლესია მრევლს დაუბრუნეს. ვატიკანმა მის აღდგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. 1998-1999 წლებში კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორის ჯუზეპე პაზოტოს თაოსნობითა და არქიტექტორ ა.სოლომნიშვილის პროექტით ტაძარი აღადგინეს და წმინდა ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების სახელზე აკურთხეს.

დარბაზული ტიპის ეკლესიაში ერთმანეთს ერწყმის ბაროკოსა და ნეოგოთური ელემენტები. დასავლეთის ფასადის კარიბჭე მთლიანად გოთურ სტილშია გადაწყვეტილი: სამი შეისრული თაღი, სარკმლებს ზემოთ ვიტრაჟიანი ვარდული, ზეაზიდული ფორმები. გრძივი ფასადები და შვერილი აბსიდი პილასტრებითა და განიერი ვიტრაჟებიანი სარკმლებითაა დანაწევრებული. რომიდან ჩამოტანილ იქნა ძვირფასი მარმარილო საკურთხეველისა და იატაკისათვის.


1999-2000 წლებში მოიხატა საკურთხეველი, რომლის ცენტრშიც გამოსახულია ღვთისმშობელის ზეცად აღყვანება. აჟღერდა ახალი ორღანი "მარიამის სახელობის ეს ტაძარი კვლავ აღსდგა, ვითარცა სიმბოლო საქართველოს განახლებული იმედისა," - წერდა უწმინდესი პაპი იოანე პავლე II წმინდა ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ტაძარი დღეს საეპისკოპოსო საკათედრო ტაძარია.

ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების საეპისკოპოსო საკათედრო კათოლიკური ტაძარი მდებარეობს გ.აბესაძის ქუჩის №4-ში.

მოზაიკა კათედრალური ტაძრის სამხრეთ კედელზე. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Мозаика на южной стене Кафедрального храма. Фото И.Микадзе, 2009г
Piece of mosaic. Southern wall. Photo by I.Mikadze. 2009.

კათედრალური ტაძარის სარკმლის ვიტრაჟი. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Витраж окна Кафедрального храма. Фото И.Микадзе, 2009г.
Cathedral of the Ascension of the Most Holy Theotokos. Stained glass window. Photo by I.Mikdze, 2009.

კათედრალური ტაძარი ჩრდილო-დასავლეთიდან. თ.დოლიძის ფოტო. 2009წ.
Кафедральный храм, вид с северо-запада. Фото Т.Долидзе, 2009г.
Cathedral of the Ascension of the Most Holy Theotokos. North-west view. Photo by T.Dolidze. 2009.





ეჩმიაძინელებისს სურბ გევორქის ეკლესია

ეკლესიის მშენებლობის მონაწილე, ამავე ეკლესიის მღვდელი იოანე მარტიროსოვი დაწვრილებით აღწერს სოფელ ეჩმიაძინიდან 200 სომეხი დევნილი ოჯახის შემოსვლას თბილისის უბან ავლაბარში ციციანოვის და არქიეპისკოპოს ოვანესის დახმარებით. იგი წერს, რომ ყველაფერი ეს „ხდებოდა 1806 წელს, ყველა სომეხთა კათალიკოს დანიელის დროს, როდესაც ჩვენ ყველა გადმოსახლებულებს არ გაგვაჩნდა ჩვენი ეკლესია". ეჩმიაძინელები ჩამოსახლებისთანავე ავლაბარში 1806 წელს სურბ გევორქის ეკლესიის მშენებლობას იწყებენ, რომლის მშენებლობა 1808-1809 წლებში დამთავრდა.

როგორც წესი, თავიანთ დედასამშობლოში მიტოვებული ადგილების სახელების უკვდავსაყოფად თბილისში დაარსებულ თავიანთ ახალშენებს მშობლიურ სახელებს არქმევდნენ. ავლაბარში ახლად აშენებულ ეკლესიას მრევლმა ეჩმიაძინელების სახელი უწოდა.

თავდაპირველად ლტოლვილმა სომხებმა ამ ადგილზე დარბაზული ტიპის პატარა ეკლესია ააშენეს. 1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში – "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ვკითხულობთ: „ავლაბრის მარცხნივ, აღმართის ასავალსა თანა, თავს კახეთის კენ მიმავალს გზასა. არს ეკკლესია სახელსა ზედა წმინდისა გიორგისასა ეჯმიაწინისად სახელდებული, უგუმბათო, პატარა, პატარასავე საზარის გუმბათითა, ხით დახურვილი, აღშენებული მრევლთაგან წელსა 1805-სა", თუმცა, აშენების თარიღად 1805 წელს ვერ ჩავთვლით, რადგან ეჩმიაძინელების ჩამოსახლება 1806 წელს მოხდა.

1837 წელს ეკლესია ჯერ კიდევ უგუმბათოდ ყოფილა, პატარა სამრეკლოთი, ხის გადახურვით. შემდგომში მას სერიოზული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და გუმბათი დაედგა.

ყველა ქტიტორული წარწერა 1846 წლითაა დათარიღებული. მთავარი ინიციატორი, როგორც ჩანს, თბილისელი მეცენატი ა.ტაირიანცი, ეკლესიის



The Surb - Gevork Church of the Echmiadzinians'


In 1806 two hundred Armenian families from the Village of Echmiadzin were compelled to immigrate to Tbilisi. As soon as they had settled down, they started to build Surb-Gevork church in Avlabari. Its construction ended in 1808 – 1809. Initially, the Armenian refugees built a small single-nave church. In 1846 it was enlarged and altered into an 'Inscribed Cross' temple which is built in brick. It follows the structural lines of the medieval-century Georgian and Armenian churches.

Церковь Сурб Геворк эчмиадзинцев

В 1806 году 200 армянских семей насильственно переселили в Тбилиси из Армении, села Эчмиадзин. По прибытии они начинают в старом районе Тбилиси-Авлабаре возводить церковь Сурб Геворк, строительство которой завершилось в 1808-1809 годах. Первоначально беженцы из Армении на этом месте построили маленькую церковь зального типа. В 1846 году здание расширили и переделали в построенную кирпичом церковь «вписанного креста», повторяющую в основном структуру средневековых грузинских и армянских церквей.

ეჩმიაძინელების სურბ გევორქის ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. XXს. I ნახევრის ფოტო
Церковь Сурб Геворк эчмиадзинцев, вид с юго-востока. Фото I половины XX в.
Surb Gevork Echmiadzin Church. South-east view. First half of 20th c

ეჩმიაძინელების სურბ გევორქის ეკლესია სამხრეთიდან. მ.ქუთათელაძის ფოტო. 2007წ.
Церковь Сурб Геворка эчмиадзинцев, вид с юга. Фото М.Кутателадзе, 2007 г.
Surb Gevork Echmiadzin church. South view. Photo by M. Kutateladze, 2007.



ავლაბარი. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Старая часть города-Авлабар. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Avlabari. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ეჩმიაძინელების სურბ გევორქის ეკლესია. XXს. დასაწყისი, ღია ბარათი.
Церковь Сурб Геворк эчмиадзинцев, начало XX в. Открытка.
Surb Gevork Echmiadzin Church. Early 20th c, Postcard.


ეჩმიაძინელების სურბ გევორქის ეკლესია აღმოსავლეთიდან.
XXს. დასაწყისის ფოტო.
Церковь Сурб Геворка эчмиадзинцев, вид с востока.
Фото начала XX в.
Surb Gevork Echmiadzin Church. East view. Early 20th c.

მღვდლის იოანე მარტიროსოვის შვილობილი იყო. 1846 წელს შენობა გააფართოვეს და "ჩახაზული ჯვრის" ტიპის ეკლესიად გადააკეთეს, რომელიც აგურითაა აშენებული და იმეორებს შუა საუკუნეების ქართული და სომხური ეკლესიების სტრუქტურას, თუმცა ფასადთა გაფორმებაში და ინტერიერის ცალკეული ფორმების დამუშავებაში ჩანს კლასიციზმის გავლენაც.

აგურის შეულესავი, პილისტრებრი შვერილებით, თაღოვანი ნიშებითა და ქვის საპირეებით მოჩარჩოებულ ეკლესიის ტანს გუმბათი და სამრეკლო აგვირგვინებს. ინტერიერში შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები. ოთხი მრგვალი გუმბათქვეშა ბურჯი კანელიურებით არის დაღარული. შიგნით შენობა მთლიანად შელესილია.

გუმბათის ნახევარსფეროსა და აფრების მოხატულობა შესრულებულია XIX საუკუნის II ნახევარში. ეკლესიას სამი შესასვლელი კარი აქვს. ბოლო პერიოდში სურბ გევორქის ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

თბილისში ეჩმიაძინელების სურბ გევორქის ეკლესია მდებარეობს ავლაბრის მოედანზე, არმაზის ქუჩის №3-ში.





ჩულურეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია



თავდაპირველად ჩუღურეთის პატარა ზომის, ქვითკირით ნაშენი უგუმბათო ეკლესია "ჯუარის გამოჩენის" სახელზე იყო ნაკურთხი. ამ ეკლესიის შესახებ ეგნატე იოსელიანის კატალოგში ვკითხულობთ „ავლაბარსავე ჩუღურეთსა შინა არის ეკკლესია ჯუარის გამოჩენისა, 7-სა დღესა ზედა მაისისა თთვისასა უგუმბათო სიონური პატარა, ქვით-კირისა, რომელიცა აღაშენა ერთა ქრისტიანეთაგან მღდუელობითა აწ გარდაცუალებულისა პეტრე იმნაძისათა ძვლად მყოფსა საძირკველსა ზედა წელსა 1812-სა...". იგი აღნიშნულია თბილისის 1800-იანი წლების გეგმაზე ჩუღურეთის ეკლესიის სახელით.

პლატონ იოსელიანის ცნობით, ეს ეკლესია კუკიაში(193) აშენდა დიდუბიდან ლეკების თარეშის გამო აყრილი მრევლისათვის. ეკლესია აკურთხა საქართველოს პირველმა ექზარქოსმა მიტროპოლიტმა ვარლამმა. 1857-1859 წლებში პეტრე იმნაძის შვილმა იოანე მღვდელმა გადააკეთა ეკლესია და რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის(194) პატივსაცემად ეკლესია – წმინდა ნიკოლოზის სახელზე აკურთხა. 1861-1863 წლებში იოანეს ძემ, დეკანოზმა პეტრე იმნაძემ ეკლესიას გუმბათი დაადგა. სოლომონ შოშიაშვილის თაოსნობით XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ეკლესიასთან დაარსდა სამრევლო სასწავლებელი.



The Chugureti Church of St. Nicholas.

The Chugureti Church of St. Nicholas was built in 1812. It was a small domeless church made of stone and lime. In 1857 – 1859 the temple was renewed and consecrated. It was dedicated to St. Nicholas, in honour of the Emperor of Russia Nicholas II. In 1861 – 1863 a dome was built over the church. Also a parochial school was opened under its charge. In 1901 – 1904 the church was enlarged. This structure is one of the last monuments of old Georgian Dome style. Under Communist rule the church was closed and Devine Services have only been renewed since 1991.


Чугуретская церковь св. Николая

Первоначально сложенная из известкового камня маленькая бескупольная грузинская православная церковь была возведена в 1812 году. В 1857-1859 годы церковь была переделана и в честь Российского императора Николая I освящена во имя св. Николая. В 1861-1863 –ые годы на церковь поставили купол. При ней было основано приходское училище. В 1901-1904 годы церковь расширили. Здание церкви – один из последних памятников грузинского культового церковного зодчества. В первые годы коммунистической диктатуры церковь закрылась и только с 1991 года в храме было возобновлено богослужение.

მტკვრის მარცხენა სანაპირო
დერბაიების ფოტო, XIXს დასასრული
Левая набережная Куры.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
The left bank of the River Mtkvari.
Photo by D. Ermakov, End of 19th c.

წმ ნიკოლოზის ეკლესიის ხატები.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Иконы церкви св.Николая
Фото И.Микадзе, 2009г.
The icons of St.Nicholas Church
Photo by I.Mikadze, 2009.







მიხეილის ხიდი და წმ ნიკოლოზის ეკლესია.
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Михайловский мост и церковь св.Николая.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Mikheil's Bridge and St Nicholas Church.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ ნიკოლოზის ეკლესია სამხრეთიდან.
ი გოლიაძის ფოტო. 2009წ
Церковь св.Николая, вид с юга.
Фото И.Голиадзе, 2009г.
St Nicholas Church. East view.
Photo by I.Goliadze, 2009.







წმ.ნიკოლოზის ეკლესიის კანკელი
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Иконостас церкви св.Николая.
Фото И.Микадзе, 2009 г.
St Nicholas Church. Iconostasis.
Photo by I. Mikadze, 2009.

წმ.ნიკოლოზის ეკლესია ივ.გოლიაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св.Николая. Фото И.Голиадзе, 2009г.
St Nicholas Church Photo by I.Goliadze, 2009.

წმ.ნიკოლოზის ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св.Николая, вид с юго-востока.
Фото И.Микадзе, 2009г.
St Nicholas Church. North-east view.
Photo by I.Mikadze, 2009.

1901-1904 წლებში საქართველოს ეგზარქოსის ალექსი I-ის(195) ნებართვით მრევლიდან შეგროვებული სახსრებით ეკლესია გაფართოვდა. მშენებლობას მოთავეობდა ეკლესიის მოძღვარი სოლომონ შოშიაშვილი. ეკლესია ძველი ქართული გუმბათოვანი საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი გადმონაშთია.

საბოლოო სახით წმინდა ნიკოლოზის ეკლესია წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას. გუმბათი კედლის შვერილებს ეყრდნობა. მისი დადგმის შემდეგ კარიბჭე იქცა დასავლეთ მკლავად, რომელიც ფართო თაღით არის გახსნილი გუმბათქვეშა სივრცისაკენ. თავდაპირველი ვიწრო პასტოფორიების გვერდით 1900-1902 წლებში მიშენებული დამატებითი სათავსებია.


ეკლესიის ძველი ნაწილი აშენებულია ბრტყელი ქართული აგურით. აღმოსავლეთ ფასადზე აგურის წყობაში დიდი ჯვარია გამოყვანილი. სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში დაემატა ეკლესიას, განსხვავებული, ევროპული აგურითაა ნაშენი. მათ გაფორმებაში გამოყენებულია XI-XIII საუკუნის ქართული ეკლესიების საფასადო დეკორის ელემენტები.

მოძღვრის სოლომონ შოშიაშვილის მოწვევით 1901-1902 წლებში ეკლესია მოხატა თბილისელმა თვითნასწავლმა მხატვარმა გიგო ზაზიაშვილმა(196), რომელმაც ეკლესიაში თამარ მეფე და დავით აღმაშენებელი გამოხატა.

კომუნისტური დიქტატურის პირველ წლებში ეკლესია დაიხურა. 1960-იანი წლების დასაწყისში ტაძრის შენობა გამოყენებული იყო ფირფიტების საწყობად, შემდეგ ეკლესია დაიკავა "ფოლკლორის თეატრმა". საკონცერტო სცენა მოწყობილი იყო უშუალოდ საკურთხეველში. 1991 წელს ტაძარში ღვთისმსახურება განახლდა. ეკლესიის რესტავრაცია მოხდა დეკანოზ გრიგოლ გოცირიძის ძალისხმევითა და პირადი დანაზოგით.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესია მდებარეობს ჩუღურეთში, კ.ხეთაგუროვის ქუჩის № 5-ში.






წმ.ნიკოლოზის ეკლესია ჩრდილოეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.

Церковь св.Николая, вид севера.
Фото Д.Ермакова, начало XXв.

St Nicholas Church. North view.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.







ჰოსპიტლის წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია

მეფე ერეკლე II-მ ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩაატარა თბილისის საფორტიფიკაციო სისტემის და ქალაქის მისადგომების გასამაგრებლად. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს ციხე–სიმაგრის აგება ნავთლუღში, რომელსაც ხალხმა "ერეკლეს ციხე" შეარქვა.

1772 წელს თბილისში სტუმრად მყოფი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იოან-ანტონ გიულდენშტედტი იხსენებს ნავთლულს და ერეკლეს ციხეს. ამ დროისათვის სოფელში 50 სახლი და მრავალი მიწური ყოფილა. მისივე ცნობით, სოფლის მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. ოთხკუთხა ციხის სიგრძე 80 ნაბიჯი ყოფილა და მას მრგვალი კოშკი აგვირგვინებდა. ერეკლე მეფის დროს სოფელი ნავთლული გაპარტახებული იყო და ციხის აშენებასთან ერთან მეფეს მოსახლეობის აღდგენაზეც უზრუნია.

XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისში განლაგდა რუსეთის მეფის მმართველობა და ქალაქი გადაიქცა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად, ხოლო 1845-1911 წლებში რუსეთის მეფისნაცვლის რეზიდენციად. დაიწყო მეფის არმიისა და მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკების განსათავსებლად დაიწყო მასიური მშენებლობა.

უკვე 1783 წელს თბილისში იმყოფებოდა რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი. 1803 წლისათვის კი თბილისში განლაგებული იყო ნარვისა და ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ორი ესკადრონი, კავკასიის გრენადერთა პოლკის ერთი ბატალიონი, ეგერთა მე-17 პოლკის ერთი ბატალიონი და სხვა. რუსული სამხედრო კანონების მიხედვით ყველა სამხედრო ნაწილში, სამხედრო სასწავლებელში, ლაზარეთსა თუ სამხედრო სასაფლაოზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო "უძრავი" ან "მოძრავი" რუსული მართლმადიდებლური ეკლესია.

ერთ–ერთი პირველი რუსული "სამხედრო" ეკლესია ჩნდება ნავთლუღის დასახლებაში. თ.კვირკველია წერს: – "ნავთლუღის შესამჩნევი განაშიანება დაიწყო XIX საუკუნის 30-იან წლებიდან. იმ დროს თბილისიდან ჯერ კიდევ მოწყვეტილ უბანში აშენდა სამხედრო ჰოსპიტალი, ჰოსპიტლის მოსამსახურეების და სამხედრო პერსონალის საცხოვრებელი სახლების ინტენსიური მშენებლობა განსაკუთრებით თბილისი-ბაქოს რკინიგზის გაყვანისა და ნავთლუღის სადგურის აგების შემდეგ გაიშალა. აქ აღმოცენდა რკინიგზელების დასახლება."

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I–მა 1816 წელს საქართველოში გამოაგზავნა გენერალი ა.ერმოლოვი, რომელიც დანიშნა ქართული სამხედრო კორპუსის ხელმძღვანელად და კავკასიის სამოქალაქო საქმეების მმართველად. ა.ერმოლოვის ინიციატივით ნავთლუღში, დღევანდელი ნავთლუღის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალი.

ჰოსპიტლის ზედა სართულში, ფასადის მხრიდან განთავსებული იყო წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელზე ნაკურთხი ეკლესია. მღვდელი გრიგორი ციტოვიჩი 1913 წელს გამოცემულ წიგნში "არმიის და ფლოტის ტაძრები" წერს: „ჰოსპიტლის ეკლესიის ზუსტი თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა ამ ეკლესიაში დაცული საბუთების თანახმად, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მოქმედებდა 1812 წლიდან. იმპერატორ ალექსანდრე III-მ ჰოსპიტლის ეკლესიის მონახულებისას ამ ეკლესიას შესწირა სრული სამღვდელო შესამოსელი შინდისფერი ხავერდის წმინდა ტრაპეზის გადასაფარებლით (შენარჩუნებულია დღემდე)". ეკლესია იტევდა 400 ადამიანს. 1860 წელს ეკლესია განახლდა სამხედრო საინჟინრო უწყების მიერ.

აქვე ჰოსპიტლის ტერიტორიაზე გახსნილი იყო სამლოცველო. ეს სამლოცველო აღნიშნულია 1867 წლის თბილისის რუკაზე №5–ით.



ორთაჭალა და ნავთლული
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Ортачала и Навтлуги.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Ortachala and Navtlughi areas.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ჰოსპიტლის ექიმების ჯგუფი
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს. დასაწყისი
Группа врачей госпиталя.
Фото Д.Ермакова. Начало XXв.
Group of hospital doctors.
Photo by D.Ermakov. Early 19th c.


ორთაჭალა და ნავთლული
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Ортачала и Навтлуги.
Фото Д.Ермакова. Конец XIXв.
Ortachala and Navtlughi areas.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.

The Military Hospital Church of St. Alexander Nevski and Chapel


Early in the 20th century the viceroy and magistrates of the Russian Empire settled in Tbilisi. The capital city became the administrative centre of the Caucasus. They started a large scale construction of buildings for the Tsar's army and for a large number of official personnel. New districts emerged in the city. One of the first Russian 'military' churches turns up in Navtlughi, in the building of the military hospital. In the 1810s it was consecrated in commemoration of St. Alexander Nevski.

Госпитальная церковь св. Александра Невского и часовня

С начала XIX века в Тбилиси разместился наместник Российского царя и город стал административным центром Закавказья. Для царской армии и ее многосчисленных чиновников началась массовая застройка города, создавались новые районы и кварталы. В 1810 –ых годах одной из первых появляется русская «военная» церковь в Навтлугском поселке, в здании военного госпиталя. Она была освящена во имя св. Александра Невского







სასულიერო სემინარიის ეკლესიები



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ქართული ეკლესიის გარუსულებას. ამისთვის კი საჭირო იყო რუსეთის სახელმწიფოს სამსახურისათვის შესაფერ მღვდელმსახურთა ახალი კადრების აღზრდა.

ამ მიზნით 1817 წელს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, ხოლო რამდენიმე მაზრაში მისი მოსამზადებელი საფეხურის სკოლები. 1835 წლის 13 აპრილის უმაღლესი ბრძანებულებით გატარდა თბილისის სასულიერო სემინარიის რეფორმა, რომლის თანახმადაც ეს სასწავლებელი იმპერიის შიდა გუბერნიების სემინარიებს გაუთანაბრდა.

1840 წლიდან სემინარია გადავიდა საქართველოს სასულიერო მმართველობის მიერ 1838 წელს შეძენილ შენობაში, რომელიც თავდაპირველად სასტუმრო იყო და ეკუთვნოდა ქართველ მეწარმეს იაკობ ზუბალაშვილს. აქვე იყო განთავსებული სინოდალური კანტორა. შენობის პროექტის ავტორია შვეიცარიელი არქიტექტორი ლუგანოელი ჯუზეპე ბერნარდაჩი(197).

პლატონ იოსელიანი, რომელიც თვითონ იყო ამ სემინარიის კურსდამთავრებული, თბილისის სიძველეთა ჩამონათვალში ამ სემინარიაში არსებულ ორ ეკლესიას ახსენებს:

1. წმინდა ანდრია პირველწოდებულისა.
2. სულიწმიდისა.

მოსე ჯანაშვილი წერს: "წმინდა ანდრია პირველწოდებულისა (სემენარიის კარის ეკკლესია), განახლებული 30 ნოემბერს 1862 წ."

XX საუკუნის დასაწყისში სასულიერო სემინარია გადავიდა 1907 წელს შემოერთებულ უბანში - ვაკეში ახლად აგებულ შენობაში. ძველ შენობაში კი კვლავ სასტუმრო გაიხსნა.

ამჟამად სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმია. შენობას შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი სახე. იგი გვიანი კლასიციზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია თბილისში.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის და სულიწმიდის ეკლესია განთავსებული იყო საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის დღევანდელ შენობაში, ალ.პუშკინის ქუჩის №4-ში.

St. Andrew the First Called and Holy Spirit Church of the Seminary

In the building of the Theological Seminary which was founded in 1818 were arranged two churches. One of them was dedicated to St. Andrew the First – Called and the other was of the Holy Spirit. In 1907 the seminary moved in a new building and today the State Museum of Arts of Georgia is housed in it.

Церкви семинарии

В основанной в 1817 году духовной академии находились две церкви – св. Андрея Первозванного и Святого Духа. В 1907 году семинария перешла в построенное для нее новое здание. Сегодня в бывшем здании семинарии размещен Музей искусств Грузии.



პუშკინის ქ. და სასულიერო სემინარია
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს. დასაწყისი
Ул. Пушкина и Духовная семинария. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Pushkin Street and Theological Seminary.
Photo by D.Ermakov. Early 20th c.

წმ.სამების ეკლესიის საკურთხეველი
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს. დასაწყისი
Алтарь церкви св.Троицы. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Holy Trinity Church. Altar.
Photo by D.Ermakov. Early 20th c.

სასულიერო სემინარიის 1910წ. კურსდამთავრებულები
Выпуск Духовной семинарии 1910г.
Theological Seminary. The graduates of 1910.

თბილისის ლუთერანული ეკლესიები

ქართველი და გერმანელი ხალხის ურთიერთობის ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის. იგი დასავლეთ საქართველოში გოთების პირველი გამოჩენით იწყება და გრძელდება შემდეგ საუკუნეებშიც. ამის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა XII საუკუნის ისტორიული ფაქტი, როდესაც გერმანიის დიდი იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა საქართველოს მეფე თამარს საქმროდ სთავაზობდა თავის ვაჟს, პრინც ფრიდრიხ შვაბელს. შუა საუკუნეების არაერთი ცნობილი გერმანელი მწერალი, პოლიტიკოსი, მეცნიერი თუ მოგზაური დაინტერესებულა საქართველოთი.

XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში აღმოცენდა რელიგიური მოძრაობა, ე.წ. "სეპარატიზმი". ხელისუფლების დევნამ ისინი აიძულა გადასახლებულიყვნენ ამერიკასა და რუსეთში. აღნიშნული მოძრაობა უფრო მეტად შესამჩნევი გახდა ვიურტემბერგში, ბავარიასა და შვეიცარიაში, რასაც ხელი შეუწყო იმ დროს ცნობილი მქადაგებლების ბენგელისა და შტილინგის გავლენამ. ბენგელის გამოთვლით, 1836 წლისათვის მოხდებოდა ქრისტეს მეორედ მოსვლა და ამიტომ მორწმუნეებს სურდათ კავკასიაში, არარატის მთასთან, ნოეს კიდობანთან ახლოს დასახლებულიყვნენ. 1809 წელს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის შვაბიაში მოგზაურობის დროს, მან გერმანელი ოჯახები კავკასიაში მოიპატიჟა.

ამავე პერიოდში ამიერკავკასიაში დაიწყო გერმანელი კოლონისტების მასიური ჩამოსახლება. თავად რუსეთში გერმანელების მოსვლას ხელი შეუწყო მანიფესტებმა, რომელთა მიხედვითაც უცხოელებს სხვადასხვა ქვეყნებიდან იწვევდნენ. რუსეთის მეფის ხელისუფლების წყალობით გერმანელები ჩამოსახლებისთანავე პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათზე არ გაავრცელეს ბატონყმური ურთიერთობა, ხოლო სამხედრო ვალდებულებისაგან ასი წლით გაათავისუფლეს.

საქართველოში გერმანელთა კოლონიზაციას ცარიზმი ხელს უწყობდა პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებით. გერმანელების პირველი ჯგუფი 31 ოჯახის შემადგენლობით თბილისში 1817 წელს ჩამოვიდა, 1818 წელს კი ჩვენს დედაქალაქს გერმანელთა დიდი ტალღა მოაწვა. ისინი თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილას დაასახლეს. მთავრობამ მათ მოსაწყობად ერთდროულად გაიღო 65 ათასი მანეთი ოქროთი. თითოეულ კოლონისტ მუშა მამაკაცზე უნდა გამოეყოთ 35 დესეტინა სახნავი მიწა იმ ადგილებში, სადაც საუკეთესო ჰავა და სასმელი წყალი იყო. გარდა ამისა, მკვიდრ მოსახლეობას აიძულებდნენ მიწები დაეხნათ და საშენი მასალა მიეწოდებინათ ჩამოსახლებული ახალმოშენეთათვის. 1861 წლიდან კოლონისტების სარგებლობაში არსებული მიწები მათ სრულ საკუთრებაში გადაეცათ.

1819 წლის ბოლოს თბილისში ვიურტემბერგელ გერმანელთა პირველი 23 ოჯახი დიდუბის ტერიტორიაზე დასახლდა (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოები). გერმანელებმა თავიანთ დასახლებას რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ს პატივსაცემად ალექსანდერდორფი უწოდეს. კოლონისტები, ძირითადად, სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, ამ პროდუქციით ისინი თბილისის ბაზრებს ამარაგებდნენ.

ალექსანდერდორფი ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა თბილისის მაზრის ავჭალის რაიონს. საქართველოში არსებულ გერმანულ კოლონიებს


The Tbilisi Lutheran Church

The first group of Germans consisting of thirty-one families arrived in Tbilisi in 1817. A year later, in 1818 a larger wave flooded to Tbilisi. They were settled in different places of the Tbilisi district. The major objective of those who settled in Kukia area was to introduce in Tbilisi European handicraft. Initially, the Germans constructed a small building for a chapel. It was built in timber. Eventually, in 1828-1834, in the times of the missionary Johan Bernard Zaltet, they built a small Lutheran Church on the site of the former. It was a beautiful yellow stone church built in neo-Romanesque style decorated with neo-Romanesque pillars. As the congregation increased in 1894-1897, they built SS. Peter and Paul Church in the neo-Gothic style on the same site. Under Communist rule it was closed and the building was used for various purposes. During World War II the church was used as a warehouse for radio sets confiscated from the residents of Tbilisi. In 1946 the authorities of that time made the German hostages pull down the church as though for the purpose of improving their living conditions.

Лютеранские церкви Тбилиси

Первая группа немцев в составе 31 семьи приехала в Тбилиси в 1817 году, а 1818 году в Тбилиси хлынула большая волна немцев, которых расселили в разных местах губернии. Основное значение поселенной на Кукии колонии заключалось в распространение европейского ремесленничества. Первоначально немцы построили маленький деревянный молельный дом, а в последствии в 1828-1834 годы, во время миссионера Иоанна Бернхарда Залтета на месте деревянного молельного дома возвели маленькую, красивую каменную церковь неороманского стиля, окрашенную в желтый цвет и украшенную колоннами. Из-за увеличения количества прихожан в 1894-897 годы на месте ранее существовавшей лютеранской церкви была построена церковь св. Петра и Павла неоготического стиля. Церковь закрыли в советское время и она использовалась в разных целях. Во время второй мировой войны в церкви складировали отобранные у тбилисцев радиоприемники. В 1946 году тогдашнее правительство использовало немецких пленых для разрушения церкви, якобы с целью улучшения их жилищных условий.





თბილისის წმ პეტრე-პავლეს ლუთერული ეკლესია. XXს. დასაწყისი.

Тбилисская лютеранская церковь св. Петра и Павла. Фото начала XXв.

Tbilisi Lutheran Church of SS. Peter and Paul. Early 20th c.




კუკია და გერმანელების ეკლესია. XIXს. დასასრული

Кукия и немецкая церковь. Конец XIX в.

Kukia and church of the Germans. End of 19th c.





შორის იგი ყველაზე ღარიბსა და დანგრეულ კოლონიას წარმოადგენდა, დასახლებაც მცირერიცხოვანი იყო. მიუხედავად ამისა, გერმანელების კოლონია ლამაზი კოტეჯების ორ რიგს ქმნიდა, რომელთა შორის ფართო გზა გადიოდა. სახლების ირგვლივ ბაღები იყო განლაგებული. გერმანელ კოლონისტებზე ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი წერდა: „ქალები, სუფთა ქუდებითა და წელამდე მოსასხამებით, მათი წითური თმებითა და ჭორფლიანი სახეებით მართლაც ვერ შეეცილებოდნენ სილამაზეში თავიანთ შავთვალა და გრძნობიერ მეზობლებს, მაგრამ მათი აკურატული და მოკრძალებული გარეგნობა საკმაოდ გამახალისებელია აღმოსავლელი ქალების უსუფთაო ტანისამოსს შეჩვეული თვალისათვის".

„გერმანელები განსხვავებული წეს-ჩვეულების ცხოვრებას მისდევდნენ. გერმანელი ქალები ტრადიციულად ერიდებოდნენ ურთიერთობას სხვა ეროვნების ქალებთან, რაც მათ კარჩაკეტილ ცხოვრებას იწვევდა. იშვიათი იყო შერეული ქორწინება. ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში გერმანელ მამაკაცს ჰქონდა უფლება განსვენებული მეუღლის და ცოლად მოეყვანა." – წერს ა.სონღულაშვილი.

კოლონისტები თბილისს რძით და კარაქით ამარაგებდნენ. გერმანული კარაქი ორმაგად ფასობდა და თბილისში პურსაც გერმანულს ამჯობინებდნენ. მართალია, მიწა საკმაოდ ნაყოფიერი იყო, მაგრამ სარწყავი წყალი არ იყო, რადგან დასახლებასთან მტკვარს მაღალი ნაპირები ჰქონდა. კოლონიიდან მოსახლეები ნელ-ნელა ქალაქში გადასახლდნენ და ხელობას მიჰყვეს ხელი.

გერმანელი კოლონისტები მტკიცედ იცავდნენ ლუთერანულ ტრადიციებს და მათ ყველა დასახლებაში საკუთარი სამლოცველო სახლი გააჩნდათ. ცნობილია, რომ 1823 წელს ბაზელიდან მისიონერები ჩამოვიდნენ. ერთ-ერთმა მისიონერმა ავგუსტ ჰაინრიხ დიტრიხმა პირველი სინოდი მოიწვია და სამრევლოებს შინაგანაწესი დაუწესა. სამწუხაროდ, ალექსანდერდორფის სამლოცველოს შესახებ სხვა ცნობების მოპოვება ვერ შევძელით

დიდუბიდან გერმანელები 1824 წელს სოფელ კუკიაში დასახლებულ 51 გერმანულ ოჯახს შეუერთდნენ. 1824 წელს გერმანიის ქალაქ ბაზელიდან საქართველოში პირველი პასტორი იოჰან ბერნჰარდ სალტეტი ჩამოვიდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში გერმანელებმა თავდაპირველად კუკიაში პატარა ხის სამლოცველო სახლი ააგეს, ხოლო შემდგომ 1828-1834 წლებში ხის სამლოცველო სახლის ადგილას ქვის პატარა ლუთერანული ეკლესია ააშენეს. იოჰან ბერნჰარდ სალტეტი ვერ მოესწრო მშენებლობის დამთავრებას, იგი 1830 წელს თბილისში ქოლერის ეპიდემიის დროს გარდაიცვალა. მის მიერ აგებული სამლოცველო იყო ღამაზი, ნეორომანული სტილის სვეტებით შემკული, ყვითლად შეღებილი ქვის ეკლესია. საქართველოში აშენებულ ყველა ლუთერანულ ეკლესიაში იყო ორღანი, კედლის ღუმელი, გრძელი სკამები და სამრეკლო ორი ან სამი ზარით.

1837 წელს თბილისში ჩამოსული ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი ლუთერანთა ეკლესიაზე მოგვითხრობს "...მსურდა წირვას დავსწრებოდი მტკვრის გაღმა მხარეს მდებარე ახალი თბილისის გერმანელთა კოლონიის ეკლესიაში... მდინარიდან რამდენიმე მილით დაშორებული სოფლის ბოლოს. უხეში კონსტრუქციის პატარა ეკლესიაში წირვა უკვე დაწყებულიყო. პასტორი უბრალო, მაგრამ განათლებული კაცი, ნათლად და ენერგიულად კითხულობდა საღვთო წერილს. განსაკუთრებით მასიამოვნა სიმღერამ, თავისი მარტივი ჰარმონიით ...". ახალი ეკლესიის აშენების შემდეგ ეკლესიის შენობა საცხოვრებელ სახლად გადაკეთდა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი კოლონისტები მეტწილად კუკიაში ცხოვრობდნენ, მათი გარკვეული ნაწილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გარეთუბანში გადასულა საცხოვრებლად და თავისი სალოცავიც აუგია. 1867 წლის თბილისის გეგმაზე I საპოლიციო უბანში, გარეთუბანში №81-ით და თბილისის 1884 წლის გეგმაზე V საპოლიციო უბანში ასო „Λ"-ით დღევანდელი თაბუკაშვილისა და ვეკუას ქუჩების გადაკვეთაზე ლუთერანული ეკლესიაა აღნიშნული. სავარაუდოდ, იგი XIX საუკუნის I ნახევარშია აშენებული. ლუთერანული ეკლესია შემორჩენილია თბილისის უძველეს ფოტოზე.

1852 წლიდან სოფელი კუკია თბილისს შეუერთდა. მიხეილის ქუჩის ორსავ მხარეს გერმანელმა კოლონისტებმა მცირე ზომის საცხოვრებელი სახლები, ხეხილის ბაღები და ვენახები გააშენეს. მრევლის გაზრდის გამო, 1893 წლის 19 სექტემბერს კირკის და მიხეილის ქუჩების გადაკვეთაზე, ძველი ეკლესიის



თბილისის ცენტრალური ნაწილი და კუკია
დ.ნიკიტინის ფოტო, 1864წ
Центральная часть Тбилиси и Кукия. Фото Д.Никитина, 1864 г.
Tbilisi. Central part and Kukia. Photo by D.Nikitin, 1864.

თბილისის წმ.პეტრე-პავლეს ლუთერული ეკლესია
ღია ბარათი, XXს. დასაწყისი
Тбилисская лютеранская церковь св. Петра и Павла.
Открытка, начало XXв
Tbilisi. The Lutheran Church of SS. Peter and Paul.
Postcard. Early 20th c.







თბილისის წმ.პეტრე-პავლეს ლუთერული ეკლესია. ღია ბარათი, XXს. დასწყისი
Тбилисская лютеранская церковь св. Петра и Павла. Открытка, начало XXв.
The Tbilisi Lutheran Church of SS. Peter and Paul. Early 20th c. Postcard.

ორბელიანების მოედანი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Площадь Орбелиани. Фото И.Микадзе, 2009г.
The Orbelianis' Square. Photo by I.Mikadze, 2009.

პასტორი მაიერი ოჯახთან ერთად 1910-იანი წლები.
Пастор Майер с семьей. Фото 1910-ых годов.
Pastor Mayer with his family. Early 1910s.

თბილისის წმ.პეტრე-პავლეს ლუთერული ეკლესია XIXს. დასასრული.
Тбилисская лютеранская церковь св. Петра и Павла. Фото конца XIXв.
The Tbilisi Lutheran Church of SS. Peter and Paul. Early 20th c.

წინ მდებარე მოედანზე, გალავნის შიგნით, საძირკველი ჩაეყარა ახალ ლუთერანულ ეკლესიას. მისი სიმაღლე პროექტის მიხედვით 68 მეტრი იყო, სიგანე 13 მეტრი, ხოლო სიგრძე 38 მეტრი. „ამ ეკლესიის პროექტის ავტორი თბილისელი არქიტექტორი ოტო იაკობ სიმენსონი იყო, მშენებლობის მეთვალყურეობა კი დაევალა ასევე თბილისელ არქიტექტორს ლეოპოლდ ბილფელდს", – წერს თ. გერსამია. 1897 წლის 18 მაისს შედგა ახალი ეკლესიის კურთხევა წმინდათა პეტრე და პავლეს სახელზედ. ამ ეკლესიის შესახებ მოსე ჯანაშვილი წერს: "გერმანელთ ტფილისში აქვთ ერთი მშვენიერი ეკლესია მიხეილის ქუჩაზე, აკურთხეს 1897 წელს". ეკლესიას გერმანელები „კირჰეს" ეძახდნენ. რის გამოც ქალაქის ამ უბანს ხალხმა "კირიჩნი" შეარქვა.

II მსოფლიო ომის დროს ეკლესია გამოყენებული იყო თბილისის მოსახლეობისაგან ჩამორთმეული რადიომიმღებების საწყობად. 1946 წელს მაშინდელმა მთავრობამ გერმანელ ტყვეებს დაანგრევინა ზემოხსენებული ეკლესია, ვითომდა, გერმანელთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. მ.ჭაბაშვილი წიგნში „მოგონებები" წერს: „...დაიწყო დღევანდელი მარჯანიშვილის მოედნის შექმნა. ამ მიზნით სულ პირველად აიღეს იქ მდებარე გერმანელების კირჰე. ამ გოთიკური სტილის ეკლესიას ჰქონდა დიდი კოშკის საათი, რომლის შავ ციფერბლატზე ლამაზად გამოიყურებოდა ოქროსფერი რომაული ციფრები და ოქროსფერი ისრები. აი სწორედ ეს საათი გამართეს „დინამოს" ახალი სტადიონის კოშკზე, რომელიც აღმართული იყო ჩრდილოეთის ტრიბუნის უკან".

წმინდა პეტრე და წმინდა პავლეს ლუთერანული ეკლესია მდებარეობდა კირიჩნის (დღევანდელი მარჯანიშვილის ქ.) და მიხეილის (დღევანდელი აღმაშენებელის გამზ.) ქუჩების გადაკვეთაზე, დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს ჩოგბურთის კორტებია განლაგებული.





ჯათლიჯების ჯვართამალობის საყდარი

ერეკლე II-ს მეფობაში, მას შემდეგ, რაც კათოლიკეებს შედარებით მშვიდობიანი პერიოდი დაუდგათ, იმატა კათოლიკეთა რიცხვმაც. თუმცა, ისინი ისევ ნაკლებად დასახლებულ უბანს – სოლოლაკს ირჩევენ სამოსახლოდ. ზ.ჭიჭინაძის ცნობით: " XVIII საუკუნეში, როცა ევროპიდამ საბა ორბელიანი საქართველოში დაბრუნდა, თფილისში ქართველი სამღვდელოება ჩაქვავებას უპირებდა. ამიტომ საბა ორბელიანი საბურთალოიდგან სოლოლაკზედ წავიდა და იქ მცხოვრებ ერთს ქართველ კათოლიკეთა ოჯახში შეაფარა თავი. ამ ოჯახის ნათლია იყო და ნათლის დედა ელენე დიდს მფარველობას უწევდა. სოლოლაკზედ რამდენიმე ოჯახი სცხოვრობდა ასეთ ხელოსან და მოქალაქე ქართველ კათოლიკეთა".

თბილისში გადმოსახლება დაიწყეს ახალციხელმა კათოლიკეებმა, მათ შორის იყო ლუკა ისარლიშვილი, რომლის წინაპრები სამცხე-საათაბაგოში კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდნენ. მან თავისი ნიჭისა და განათლების წყალობით მეფე ერეკლეს დიდი ნდობა და პატივიცსემა მოიპოვა. იგი ასევითვე დიდი ნდობით სარგებლობდა ახალციხელი ფაშას და იმერეთის მეფის კარზე.

ლუკა ისარლიშვილმა კარგად იცოდა თბილისელ კათოლიკეთა მძიმე მდგომარეობა, იცოდა რომ არბევდნენ არა მარტო კათოლიკურ ეკლესიებს და კათოლიკეთა სახოვრებელ სახლებს, ასევე იცოდა როგორ არბევდნენ და ბილწავდნენ თბილისის კათოლიკეთა სასაფლაოსაც. მან მეფე ერეკლეს ქართველ კათოლიკეთათვის თბილისის ნაკლებდასახლებულ უბანში, სოლოლაკის ტერიტორიაზე სასაფლაოს ადგილის გამოყოფა სთხოვა. მეფე ერეკლემ ლუკა ისარლიშვილის თხოვნა დააკმაყოფილა და სიგელი უბოძა: "...წყალობითა მღვთისათა და ნებითა და შეწევნითა ქართლისა და კახეთის მეფის ერეკლე მეორის ბრძანებით ებოძათ სიგელი ესე და ადგილი სოლოლაკზედ მდებარე ჩვენს უერთგულეს მსახურს სამცხე-საათაბაგოს აზნაურს ლუკა ერეკლეს ძე ხურსიძე-ისარლიშვილს და მომავალთა შვილთა და შვილისშვილთა მათთა საგვარეულო სამარხად. უცვალებელმა და კაცისაგან ხელ შეუხებელ ჰყოს ღმერთმან ისე სიგელი და ადგილი".

ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „1740 წლამდის კათოლიკების სასაფლავო ქალაქ გარეთ იყო, შორს, რაც დიდათ აწუხებდა პატრებს. სასაფლავოც ყოველთვის მერყეობაში იყო, საფლავები დევნაში. პატრების მეოხებით სასაფლავოს ადგილად მათ მიეცათ სოლოლაკის მხრისაკენ ადგილები, სადაც – კი ამოირჩევდნენ.". თუმცა, ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზე "ფრანგთ საფლავი" მთაწმინდის ქედის ძირშია გამოსახული.

ეს სიგელი ლუკა ისარლიშვილს 1789 წელს გადაეცა და 1790 წელს სასაფლაოსთვის მოინიშნა ადგილი. გადმოცემის მიხედვით, ერეკლე მეფის ელჩად სპარსეთში გაგზავნილი ლუკა ისარლიშვილი, რომელიც იქ გარდაიცვალა, გადმოასვენეს და სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე დაასაფლავეს.

1835 წელს სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე პატრმა ფილიპემ ჯვართამაღლების პატარა საყდარი ააშენა. "საყდარი თავის კვალად ზომიერია, სასაფლაოს შესაფერია. მღვდლები მოქმედებას აქ ხანდიხან ასრულებენ. წელიწადში ერთხელ დღესასწაულიც აქვთ. აქვე დასაფლავებულია თვით მშენებელი ამ საყდრისა პატრი ფილიპე, რომლის საფლავის ქვასაც ქართული და ლათინური წარწერაც აქვს წარწერილი. თვით საყდრის სივრცე შესდგება რამდენიმე საჟენისაგან. მშვენიერს ალაგას სძევს, სუფთასა და მოხდენილ-

The Catholic Church of the Exaltation of the Holy Cross

The Catholic believers were severely persecuted, being compelled to choose uninhabited or not so densely inhabited places for settling. On the maps of Tbilisi of the late 18th century the Catholic cemetery is plotted on a very far away place from the city, Nadzaladevi. Presumably, they also settled there or removed the cemetery to the site out of the danger of being ravaged. In 1789 King Erekle II assigned a plot in Sololaki for a new Catholic cemetery. In 1835 Patre Phillip built a small church dedicated to the Exaltation of the Holy Cross. This event has been celebrated once a year to these days.

Католическая церковь Крестовоздвижения

Ввиду того, что в течение веков в Тбилиси католики подвергались жестокому преследованию, для жилья они выбирали незаселенные или менее заселенные места. На старых картах Тбилиси конца XVIII века кладбище католиков указано на весьма удаленной от города территории. Вероятно католики или поселились на этой территории или перенесли кладбище так далеко от города для того, чтобы спасти могилы от погрома. В 1789 году царь Ираклий выделил грузинским католикам в Тбилиси, на территории Сололаки место для нового кладбища. В 1835 году на Сололакском кладбище католиков патр Филип построил малую церковь Крестовоздвижения, что празднуется раз в год.

კათოლიკური სასაფლაო და ჯვართამაღლების ეკლესია დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული
Католическое кладбище и церковь Крестовоздвижения. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
The Catholic cemetery and Church of the Exaltation of the Holy Cross. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

კათოლიკური სასაფლაო და ჯვართამაღლების ეკლესია დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი
Католическое кладбище и церковь Крестовоздвижения. Фото Д.Ермакова, начало XXв.
The Catholoc cemetery and Church of Exaltation of the Cross. Photo D.Ermakov, beginning of the 20th c.



კათოლიკური სასაფლაოს ჯვართამაღლების ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს.დასასრული
Католическое кладбище и церковь Крестовоздвижения. Фото Д.Ермакова, конец XIXв
The Catholic cemetery and Church of Exaltation of the Holy Cross. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ყოფილი კათოლიკური სასაფლაოდან შემორჩენილი ქვა ნ.კორძახიას ფოტო, 2009წ
Камень с бывшего католического кладбище. Фото Н.Кордзахия, 2009г
A Tombstone survived from the Catholic cemetery. Photo by N. Kordzakhia, 2009

კუკიის სასაფლაოს კათოლიკური ნაწილი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი.
Католическая часть Кукийского кладбища. Фото Д.Ермакова, начало XXв
The Catholic part of Kukia cemetery. Photo by D.Ermakov. Early 20th c



სა,"– წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

იაკობ ბალახაშვილი წერს: "მოსახლეობა გუნდ – გუნდად დასეირნობდა ქალაქში და მიისწრაფოდა ბაღებისაკენ. ხმაური-ხარხარი და გამვლელ–გამოვლელთამი გახუმრება თან ახლდა მათ გასეირნებას. ყველაზე მეტ მოსეირნეს იზიდავდა კათოლიკეთა ახალი სასაფლაო, განთქმული შირაზის ვარდებით. გამბა შენიშნავდა: "კათოლიკეთა ახალი სასაფლაო გადაიქცა სასეირნო ადგილად, სადაც დადიან იმისათვის, რომ დასტკბნენ შირაზის მშვენიერი ვარდებით. ეს ვარდები გამოგზავნა მონსინმა, ინგლისელმა სამხედრო ინჟინერმა, რომელსაც დიდხანს უცხოვრია ინდოეთში". როგორც კი თერთმეტჯერ ჩამოკრავდა შტაბის საათი, მოსეირნეთა გროვა ნელ–ნელა მიეშურებოდა სახლებისაკენ".

1830 წლის 6 მარტს პატრი ფილიპე თბილისიდან რომში აგზავნის ვრცელ მოხსენებას: "...ეკლესიას ქალაქის ახლოს ერთ გორაზე აქვს სასაფლაო ვრცელის მიწით, რომლის ნახევარი სათესავ–სათიბავია. შვიდი წლის წინეთ შემოევლო ღობე და გადაიქცა მშვენიერ ბაღად, რომლის შემოსავალი ეძლევა გლახაკთა. ამ მოწყალების განწესება იქვე ახლად აშენებულის ეკლესიის კედლის ქვაზეა დაწერილი, რაც სათნო საყოფელი შეიქმნა მთავრობისათვის, რაისგამო ამ ბაღს მოსარწყავი წყალი დაეთმო უსასყიდლოდ".

თბილისის კათოლიკეთა სასაფლაოს ჯვართამაღლების საყდარი მდებარეობდა სოლოლაკში, დღევანდელი დ.ჭონქაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.





ეგზარქოსის რეზიდენციის ღვთისმშობლის ეკლესია

საქართველოს ეგზარქოსის საზაფხულო რეზიდენციის ეკლესიის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს: "...ყოველთა ურვეულთა ნუგეშის მცემელის სახელობის, საქართველოს ეგზარქოსის ქალაქგარეთა სახლის კარის ეკლესია. 1836 წელს საქართველოს ეგზარქოსმა, შემდგომ ფსკოვის მთავარეპისკოპოსმა ევგენიმ აკურთხა. სახლისაც და ეკლესიისაც (ძველის, დანგრეულის ადგილზე) საფუძველი საქართველოს ეგზარქოსის მოსე მთავარეპისკოპოსის მიერ 1834 წელს ჩაეყარა... 1849 წელს ეკლესია მსახურებას მოაკლდა და ეგზარქოსების სახლიც უკაცრიელია".

1837 წლით დათარიღებულ ეგნატე იოსელიანის მიერ შედგენილ კატალოგში – "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" ეგზარქოსის რეზიდენციის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ: "ტფილისსა საკათალიკოსოსა ბაღსა შინა არის ეკლესია საზაფხულოსა სასახლესა, რომელიცა იწყო ყ˘დუსამღუდელოესმან ჩლენმან უწმინდესისა სინოდისამან ექსარხმან საქართველოისამან მოსე ჩყლდ-სა წელსა, ქვით კირისა, სახელსა ზედა მწუხარეთა ნუგეშისმცემლისა ღვთისმშობლისასა და შეასრულა იგი და განაწყო აწ მყოფმან უწმინდესისა სინოდისა ჩლენმან მაღალ ყ˘დუსამღუდელოესმან არხიეპისკოპოსმან ექსარხოსმან საქართველოისამან და კავალერმან ევღენი ჩყლვ-სა".

1898 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში" ვკითხულობთ: „იმ ადგილზე, სადაც ამჟამად თბილისის ეპარქიის სანთლის ქარხანა მდებარეობს, იდგა ყველა მწუხარეთა ნუგეშისმცემლის ეკლესია. ამ ადგილას ეგზარქოსმა მოსემ 1834 წელს საძირკველი ჩაუყარა საქართველოს ეგზარქოსების საზაფხულო სახლს და კარის ეკლესიამ თავისი სახელი მიიღო იმ უძველესი ეკლესიიდან, რომელიც ადრე ამ ადგილას იდგა.. ამ ეკლესიაში 1849 წლიდან არ მიმდინარეობდა ღვთისმსახურება."

მოსე ჯანაშვილი წერს: "ტაძარი სახელსა ზედა ყველა ურვეულთა ნუგეშინისმცემელი თაბორის გორაზედ სეიდაბადს კათოლიკოსების საზაფხულო სასახლეში. გაოხრებული ტაძარი განაახლა და აკურთხა (1836 წ.) საქართველოს ექსარხოსმა ევგენიმ. 1849 წლიდან გაუქმდა ეკლესიაცა და კათალიკოსების სასახლეც".

ეკლესიის ადგილმდებარეობის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს: „წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ეკლესია, გუმბათიანი, ააშენა დეკანოზმა ბასილიმ ბერძენთათვის, საქართველოს ეგზარქოსის ქალაქგარეთა სახლის მოპირდაპირედ".

ერთ-ერთ საარქივო ფოტოზე ორთაჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს მართლაც ჩანს მდიდრულ კარიბჭიანი, მაღალი გალავნით შემოზღუდული სახლების კომპლექსი, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის ყოფილი ქალაქგარეთა სასახლე უნდა ყოფილიყო.



The Exarchy Church of the Most Holy Theotokos

In 1837 the Exarch of Georgia builds in Tbilisi a residential summer house and its court church dedicated to the Most Holy Theotokos. The Church and residence were closed in 1849.

Церковь Пресвятой Богоматери резиденции экзарха

В 1837 году экзарх Грузии в окрестности Тбилиси – Ортачала строит летнюю резиденцию и придворную церковь Пресвятой Богородицы. Церковь и резиденцию упразднили в 1849 году.

ორთაჭალა დერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Ортачала. Фото Д.Ермакова, начало XX в.
Ortachala. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

300 არაგველის ბაღი მ.ქუთათელაძის ფოტო 2007წ.
Сад 300 аргвиийцев. Фото М.Кутателадзе. 2007г.
The 300 Aragvians Gardens. Photo by M.Kutateladze, 2007.

საქართველოს ეგზარქოსის საზაფხულო რეზიდენციის ეკლესია წმინდა ღვთისმშობლის ეკლესია ფრაგმენტი დერმაკოვის ფოტოდან XIXს დასასრული
Церковь Пресвятой Богородицы летней резиденции экзарха Грузии. Фрагмент из фотографии Д.Ермакова, конец XIX в.
The Russian Exarchs' summer residence and the Most Holy Theotokos Court Church. Detail from D.Ermakov's photo. End of 19th c.



წმინდა ნიკოლოზის ტაძარი და წმინდა ალექსანდრე ნეველის სამლოცველო

წმინდა ნიკოლოზის სამხედრო ტაძარი და წმინდა ალექსანდრე ნეველის სამლოცველო თბილისის პირველ საზოგადო ბაღში – ალექსანდრეს ბაღში მდებარეობდნენ. ბაღის შესახებ თ.ბერიძე წერს: "გარეთუბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში თავშესაქცევი, სამხედრო ვარჯიშისათვის განკუთვნილი ადგილი ე.წ. ასპარეზი იყო. მოგვიანებით ამ ადგილს ერთ-ერთი გასართობი თამაშის, სროლის გამო "ყაბახი" შეერქვა".

XVIII საუკუნეში ბაღი სასახლესთან ერთად ქართლის მეფის იესეს (ალი ყული-ხანის) საკუთრება იყო. მეფე იესე, რომელიც 1727 წელს გარდაიცვალა, ამ ბაღში დაასაფლავეს, თუმცა, საფლავი არ შემორჩენილა, შემდგომში ეს ადგილი ორბელიანების საკუთრებას წარმოადგენდა.

1859 წელს ბაღი მეფისნაცვალ ბარიატინსკის[198] საკუთრება გახდა. იმავე წელს მეფისნაცვლის ინიციატივით აქ ხეები დაურგავთ და ბაღიც მალე გაშენებულა. ხოლო მის ქვედა გასასვლელში 1880-იან წლებში კავკასიაში მოგზაურობისას საიმპერატორო ოჯახის სასწაულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად დაუდგამთ სამლოცველო. ბაღს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II[199] პატივსაცემად – ალექსანდრეს ბაღი ეწოდა. ბაღი გერმანელმა არქიტექტორმა ოტო იაკობ სიმონსონმა 1859 წელს დააპროექტა. მანვე დაპროექტა "ალექსანდრეს ბაღისათვის" საგამოფენო პავილიონები, მებაღის სახლი, კაფე-რესტორანი, შადრევნები და ტერასები. ბაღის გაშენებას ხელმძღვანელობდა გერმანელი ბოტანიკოსი და ლანდშაფტის არქიტექტორი ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი.

უფრო ადრე, 1848 წელს ალექსანდრეს ბაღში შენდება ჯვარ-გუმბათოვანი წმინდა ნიკოლოზის სამხედრო ტაძარი თავისი სამრეკლოთი. მღვდელი გრიგორი ციტოვიჩი წერს: "ტაძარი მდებარეობს ტფილისის ცენტრში, ალექსანდროვის ბაღში. საძირკველი 1848 წელს ჩაეყარა. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის აშენებამდე მას „კორპუსის ნიკოლოზის სამხედრო ტაძარი" ერქვა. იგი წაგრძელებული ჯვრის ტიპის აგურის შენობაა. აქვს სამრეკლო, იტევს 400 კაცამდე. ტაძრის მრევლს შეადგენენ ტფილისის გარნიზონის სამხედრო ჩინოსნები, რომელთაც არ ჰყავთ თავისი საშტატო მღვდელმსახუ-



ალექსანდრეს ბაღი. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Александровский сад. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Alexander's Gardens. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ.ალექსანდრე ნეველის სამლოცველო. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Часовня св. Александра Невского. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St.Alexander Nevski Chapel. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

St. Nicholas Temple and St. Alexander Nevski Chapel for Military personnel

St. Nicholas Temple and St. Alexander Nevski Chapel both were located in one of the oldest gardens in Tbilisi, Alexander's Gardens. In the 18th century they were the King's property, later the Georgian Princes made possession of them and in 1859 the gardens were disposed to Viceroy Barjatinski who named them in honour of the Russian Emperor Alexander II. In 1848 a church for military personnel dedicated to St. Nicholas was erected here with its belfry. It was built in Cruciform-dome style. The temple was assigned for the personnel serving in Tbilisi. As for the other church, it was built by Emperor Alexander III. The foundation of St. Alexander Nevski Chapel was laid in 1888. Both churches were pulled down under Communist rule.

Военный собор св. Николая и часовня св. Александра Невского

Военный собор св. Николая и часовня св. Александра Невского находились в одном из первых общественных садов Тбилиси – Александровском саду. В XVIII веке сад вместе с дворцом был собственностью картлийского царя, а в 1859 году сад был передан в собственность наместника Российского царя Барятинского, который в честь Российского императора Александра II назвал сад Александровским. В 1848 году для служащих в Тбилиси военных лиц в Александровском саду строится крестово-купольный военный собор св. Николая со своей колокольней, а вторую церковь строит Российский император Александр III. Фундамент часовни св. Александра Невского был заложен в 1888 году. В советский период обе церкви были разрушены.



ბაზრობა წმ.ნიკოლოზის ეკლესიასთან. XIXს. დასასრულის ფოტო.
Ярмарка у церкви св. Николая. Фото конца XIXв.
Bazaar round St.Nicholas Church. Late 19th c.

რები. ტაძარს კი შტატით ეკუთვნის მღვდელი, დიაკვანი და მეფსალმუნე"

"ალექსანდრეს ბაღი" რეგულარულად იყო დაგეგმარებული ევროპული სტანდარტების მიხედვით-ინგლისურ სტილში. ბაღის გაშენება 4 წელი მიმდინარეობდა. თბილისის იმდროინდელი პრესა მას "ევროპული ყაიდის" პირველ ბაღს უწოდებდა.

შარერმა ხეები და სხვა ნარგავები კოჯრიდან, გუსტავ ფივეგის სატყეო მეურნეობიდან ჩამოიტანა.

წმინდა ნიკოლოზის მცირე ზომის სამხედრო კორპუსის ეკლესია თავდაპირველად აშენდა დღევანდელი რ.თაბუკაშვილისა და ა.სობჩაკის ქუჩების გადაკვეთაზე, ხოლო 1888 წლის შემდეგ ეკლესია გადაიტანეს იქვე მახლობლად ალექსანდრეს ბაღის სიღრმეში. ახალი, გადატანილი წმინდა ნიკოლოზის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საძირკველი 1889 წელს ეკურთხა, დამთავრებული შენობა აკურთხეს 1890 წელს. მისი ავტორი იყო არქიტექტორი ბულფრუა.

კალისტრატე ცინცაძის წიგნში „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" ვკითხულობთ, რომ „...1921წ. სამხედრო ტაძარი მიეწერა ვერის ნიკოლოზის ეკლესიაზე."

წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც მდებარეობდა ალექსანდრეს ბაღში, რუსი მაღალი სამხედრო ჩინოსანი პირებისათვის იყო გათვლილი, ხოლო დაბალ ჩინოსნებისათვის იმ ადგილას, სადაც დღეს დგას გიორგი ლეონიძის ძეგლი, აშენებული იყო წმინდა ალექსანდრე ნეველის პატარა სამლოცველო.

ალექსანდრეს ბაღში 1888 წელს საძირკველი ეყრება წმინდა ალექსანდრე ნეველის სამლოცველოს. მაჯდ-ოს-სალტანე "ქალაქ თბილისის აღწერაში": მოგვითხრობს, რომ სამხედრო მუზეუმის უკან იყო პატარა, ძალიან ლამაზი

ბაღჩა, სადაც ეწყობოდა სახალხო გართობები. ბაღში ბევრი ნაძვი და სარო ყოფილა. შიგ შუაგულში ორი ეკლესია იყო გაშენებული: ერთი ძველთაგანვე იდგა იქ (ქაშვეთი), მეორეს შესახებ კი გვამცნობს შემდეგს: "ამ მეორე ეკლესიის აშენების ისტორია ასეთია: ნიჰილისტთა ერთმა ჯგუფმა რკინიგზის ლიანდაგი აჰყარა. მათ თავისი ამოცანა შეასრულეს, თუმცა ლოკომოტივი რომ დაიძრა ადგილიდან და დაეჯახა მთავარ ვაგონებს, რამდენიმე შავი მუშა და იმპერატორის ამალის ზოგიერთი მგზავრი დაიღუპა. თვითონ იმპერატორს და მისი ოჯახის წევრებს არაფერი დაშავებიათ. ამ ფაქტის აღსანიშნავად იმპერატორმა ყოველ ქალაქში გააშენა ეკლესია მადლობის ნიშნად. ამ ბაღშიც ამასთან დაკავშირებით ააგო ეს ეკლესია"- წერს მჯდ-ოს-სალტანე.

გადმოცემის მიხედვით, იმპერატორ ალექსანდრეს ოჯახი მხოლოდ მისმა კოლოსალურმა ფიზიკურმა ძალამ იხსნა. მან თავისი მხრებით დააკავა ვაგონის სახურავი კატასტროფის დროს.

ავტორი აქვე დასძენს, რომ „იმპერატორმა გერმანელი ასულებისათვის ტირის მაღაზია გახსნა აქ. ბაღი სეირნობისა და თავშექცევისათვის იყო გაშენებული. ბაღი მთელი ღამე იყო განათებული და განუწყვეტლივ სეირნობდა ხალხი. ხეების ქვეშ სკამებია განლაგებული, რათა ხალხმა მოისვენოს".

ღუნიბის მოედანზე წმინდა ალექსანდრე ნეველის ახალი ტაძრის აშენების შემდეგ "ძველს სამხედრო ტაძარს, რომელიც ალექსანდრეს ბაღშია, ახალი ტაძრის კურთხევის შემდეგ სამხედრო უწყება გადასცემს მეტეხის საპატიმროს, მხოლოდ ჯარის ძველს დროშებს და სხვადასხვა შემოწირულებას ძველის ტაძრიდან ახალში გადაიტანენ," – წერდა გაზეთი "ივერია".

1925 წელს გამოცემულ აღწერაში "თბილისი და მისი შემოგარენი" ვკითხულობთ, რომ ბაღის ბოლოში მდებარე სამხედრო სამლოცველო მოხსნილია, ხოლო უკრაინული ეკლესია კლუბად არის გადაკეთებული, თუმცა, რატომ არის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია მოხსენიებული როგორც "უკრაინული" ჩვენთვის უცნობია.

XX საუკუნეში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ადგილზე ღია კინოთეატრი იყო მოწყობილი. დღეს ამ ადგილზე მრგვალი თეატრი დგას.




წმ ალექსანდრე ნეველის სამლოცველო
დ ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Часовня св. Александра Невского. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St Alexander Nevski Chapel. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ ალექსანდრე ნეველის სამლოცველო
დ ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Часовня св. Александра Невского. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St Alexander Nevski Chapel. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ ალექსანდრე ნეველის სამლოცველო
დ ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული
Часовня св. Александра Невского. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St Alexander Nevski Chapel. Photo by D.Ermakov. End of 19th c.







წმინდა გრიგორ განმანათლებლის ეკლესია

წმინდა გრიგორ განმანათლებლის სომხური ეკლესია იდგა ავლაბარში, სასტუმრო მეტეხის წინ, „გოგილოს“ აბანოების თავზე. სამწუხაროდ, ეკლესიის აშენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა. ეს ეკლესია პირველად №46-ით დატანილია 1902 წლის თბილისის რუკაზე. ექსპლიკაციებში იგი აღნიშნულია როგორც წმინდა იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია, თუმცა მას სომხური წყაროები მოიხსენიებენ „ლუსავორიჩად“ ანუ წმინდა გრიგორ განმანათლებლის ეკლესიად.

თბილისის ცენტრალურ არქივში მოიძებნა 1930 წლით დათარიღებული დოკუმენტები, გრიფით საიდუმლო, სადაც ვკითხულობთ „...საბინაო ამხანაგობა №16-ტის კომ-ფრაქციის სხდომის №4-ის ამონაწერს – გთხოვთ იქონიოდ მსჯელობა კახეთის №29-ში მდებარე სახლების განტვირთვის მიზნით ც/გაერთიანების ფარგლებში მდებარე ეკლესიათა საცხოვრებელ ბინათ გადაკეთების შესახებ, რათა თქვენის დახმარებით მოგვეცეს უფლება ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის, რადგან ზემოაღნიშნულ სახლთა განტვირთვისათვის სხვა გვარ საშვალებას მოკლებულნი ვართ“, ამ დოკუმენტს ხელს აწერს კომ-ფრაქციის თავმჯდომარე კანანოვი.

საბინაო ამხანაგობამ კომ-ფრაქციის სხდომის მოთხოვნაზე პრეზიდიუმიდან მიიღო პასუხი, რომლის საფუძველზე მათ დაევალათ – „გოგილოს "აბანოსთან მდებარე სომხური ეკლესია გადაეკეთებინათ საერთო საცხოვრებლად და შეესახლებინათ კურსანტები. ეს მოზრდილი გუმბათიანი ეკლესია, სავარაუდოდ, XIX საუკუნეშია აშენებული. ეკლესია საბჭოთა პერიოდში დაანგრიეს.



Lusavorich, St. Grikor the Enlightener Church

The Armenian Church of St. Grikor the Enlightener was supposedly built in the 19th century. It was destroyed under Communist rule.

Лусаворич, церковь св. Грикора Просветителя


Армянская церковь св. Грикора Просветителя, предположительно, построена в XX веке. Её разрушили в советский период.

ლუსავორიჩი და გოგილოს აბანო. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Лусаворич и баня «Гогило». Фото Д.Ермакова, начало XX в.
Surb Gevork Lusavorich Church and Gogilo Baths. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

ლუსავორიჩი აღმოსავლეთიდან დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Лусаворич, вид с востока. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
Surb Gevork Lusavorich Church. East view. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

ლუსავორიჩი სამხრეთიდან და გოგილოს აბანო. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Лусаворич, вид с юга и баня Гогило. Фото Д.Ермакова, начало XX в.|
Surb Gevork Lusavorich Church. South view and Gogilo Baths. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

„გოგილოს“ აბანო და სასტუმრო „მეტეხი შერატონი“. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ.|
Баня «Гогило» и гостиница «Метехи-Шератон». М.Кутателадзе, 2007 г.
Gogilo Baths and Metekhi - Sheraton Hotel. Photo by M.Kutateladze, 2007.







ვერის სასაფლაოს წმინდა ნიკოლოზის ეკლესია

ძველად ვერაზე ხეხილის ბაღები, ვენახები და ბოსტნები ლურჯი მონასტრიდან მდინარე ვერესა და მტკვრის შესართავამდე ვრცელდებოდა. "ვერა – ვკითხულობთ ძველ აღწერაში – ძევს ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. ვერა მდიდარია ვენახებითა და ბაღებით, რომელნიც ქალაქის მცხოვრებთ ეკუთვნით".

შემდეგ ვერის ბაღების ნაწილი სასაფლაოს დაეთმო. ამ სასაფლაოს პლატონ იოსელიანი მოიხსენიებს როგორც "ვერის ძველ სასაფლაოს". სასაფლაო ვერაზე გახსნილა ქაშვეთის ეკლესიის გარშემო მდებარე სასაფლაოს დახურვის შემდეგ. პლატონ იოსელიანი წერს, რომ ქაშვეთის ირგვლივ არსებული საზოგადო სასაფლაო ტფილისის კომენდანტს 1804 წელს მოუშლია სასულიერო მთავრობის თხოვნით და გადაუტანია ვერაზე, სადაც შემდეგში აგებულა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია.

1898 წელს, როდესაც ქალაქურმა განაშენიანებამ ვერისუბნის ნაწილი დაიპყრო, ეგზარქოსის თანხმობით ქალაქის გამგეობამ სასაფლაო გააუქმა და ბაღის განაშენიანება დაიწყო.

კალისტრატე ცინცაძე წიგნში "ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" წერს: "ვერის წმინდა ნიკოლოზის სახ. ეკლესია აშენებულია 1847წ. მარიამ ივანეს ასულის ილინსკაიას მიერ, გავრცობილ – გადიდებულია 1862 და 1907 წლებში, წარმოადგენდა უსვეტებო ორფრთიან სახურავიან დარბაზს მომრგვალებული საკურთხეველით. სასაფლაო სამოციან (1860) წლებში გავსების გამო დაიხურა". 1921 წელში გაიხსნა, მაგრამ 1926წ. კიდევ დაიხურა. ტაძარი არსებობდა 1933 წლის აპრილამდე, როდესაც ტფილისის საბჭოს განკარგულებით აღებულ იქნა. ტაძარი იყო იქ, სადაც დღეს აუზია. სამრევ-



ვერის ძველი სასაფლაო და წმ ნიკოლოზის ეკლესია. XXს დასაწყისის ფოტო
Старое Верийское кладбище и церковь св.Николая. Фото начала XXв.)
Vera district old cemetery and St Nikoloz church. Old Vera cemetery and St Nicholas Church. Early 20th c.

Vera Cemetery Church of St. Nicholas

In 1804, after the closure of the cemetery round Kashveti Church a plot in Vera area was assigned for the city cemetery in its stead. In 1847 St. Nicholas Church was built on its site which was pulled down in 1933 as the cemetery was replaced by gardens.


Церковь св. Николая Верийского кладбища

В 1804 году после закрытия кладбища, находящегося около тбилисской Кашветской церкви, для городского кладбища выделили территорию в одном из районов Тбилиси -на Вере. В 1847 году на территории кладбища построили грузинскую православную церковь св. Николая, которую в 1933 году разрушили из-за преобразования кладбища в сад.



ვერის ძველი სასაფლაო და წმ ნიკოლოზის ეკლესია. XXს დასაწყისის ფოტო
Старое Верийское кладбище и церковь св.Николая. Фото начала XXв.
Vera district old cemetery and St Nikoloz church. Old Vera cemetery and St Nicholas Church. Early 20th c.

ვერის პარკი. დანიელ ჭონკაძის და მისი მეუღლის საფლავები (მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2009წ.)
Верийский парк, могилы Даниила Чонкадзе и его супруги. Фото И.Чхиквадзе, 2009г.
Vera Park. The graves of Daniel Chonkadze and his wife. Photo by M.Chkhikvadze, 2009.



ვერის ძველი სასაფლაო და წმ.ნიკოლოზის ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Старое Верийское кладбище и церковь св.Николая. Фото начала XIXв.
Old Vera cemetery and St Nicholas Church. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

ვერის წმ.ნიკოლოზის ეკლესია. XXს. დასაწყისის ფოტო
Верийская церковь св.Николая, фото начала XXв.
The Vera St. Nicholas Church. Early 20th c.

ლო მიეწერა სიონს."

თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია 1925 წლით დათარიღებული ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის რელიგიური საბჭოს შუამდგომლობა: "ქ.ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს – ვადგენ რა დადგენილებას ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მრევლის და აქვე მდებარე მიცვალებულთა ჭირისუფლების გამოტანილს ამ მდგომარე წლის "5" ივლისს მომხდარ საზოგადო კრებაზე, შუამდგომლობთ კომიტეტის წინაშე რათა მიქცეულ იქმნეს ყურადღება მრევლის მიერ გამოთქმულ სურვილებზე და იქმნეს იგი დაკმაყოფილებული არსებულ კანონებსა და წესების ფარგლებში, რითაც იქმნება პატივცემული რელიგიური სულისკვეთება მრევლისა და მასთან სრულიად აცდენილი იქმნება ის არასასურველი მოვლენა, რომელსაც ჰქონდა ადგილი ამ ერთი წლის განმავლობაში, რასაც მოჰყვა პასუხისგებაში მიცემა გამგის და სხვა და სხვა მითქმა – მოთქმა საზოგადოებაში.

ამით კი დაკმაყოფილდება ყველა ამ საქმეში დაინტერესებული პირი, განსაკუთრებით კი მიცვალებულთა ჭირისუფლები, რომლებიც აღშფოთებულნი არიან გავრცელებული ხმებით – ვითომ სასაფლაო იხურებოდეს და მის ადგილზე უნდა შენდებოდეს სასეირნო ბაღი". შუამდგომლობას ხელს აწერს ტფილისის ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე – დეკანოზი ანთიბაძე.

ამ ეკლესიის სამრევლო სკოლის შესახებ 1897 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: "...9 მარტს, ვერის წმ.ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელმა დეკანოზმა მამა სოლომონ ელიოზიშვილმა და ქვაშვეთის ეკკლესიის მღვდელმა მამა გრიგოლ გამდლიშვილმა აკურთხეს ზემოთხსენებულ ეკკლესიასთან დაარსებული სამრევლო-საკვირაო სკოლა. დეკანოზ სოლ. ელიოზიშვილმა და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ივანე რატიშვილმა სკოლის კურთხევის შემდეგ გრძნობით სავსე სიტყვები წარმოთქვეს და აუხსნეს დამსწრე საზოგადოებას სარგებლობა და საჭიროება საკვირაო სკოლისა. სამოცამდე კაცი ჩაეწერა და სურვილი განაცხადეს სკოლაში ვივლით და ვისწავლითო. ამ სკოლაში მასწავლებლობა იკისრეს სათავად-აზნაური სკოლის მასწავლებლებმა, რომელთაც ისედაც დიდი ამაგი დასდეს ამ სკოლის გახსნის საქმესა."

კალისტრატე ცინცაძე წიგნში "ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" ვერის ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელ–მსახურებზე წერს: "...დეკანოზი სოლომონ ელიოზოვი, აზნაური. 1884-1889 წლებში მსახურობდა. აქვეა დაკრძალული."

"...პროტოპრესვიტერი ანტონ თოთიბაძე – 1918 წელს დანიშნულ იქნა ტფილისის სამხედრო ტაძრის წინამძღვრად და ქართული ლაშქრის უფროს მღვდლად. 1921 წ. სამხედრო ტაძარი მიეწერა ვერის ნიკოლოზის ეკლესიაზე და მ.თოთიბაძეც დანიშნულ იქნა ვერის სამრევლოს წინამძღვრად".

"დეკანოზი გრიგოლ გამდლიშვილი (გიორგიძე) 1899 წელს 8 აგვისტოს გადმოყვანილი იქნა ქაშვეთიდან ვერის ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრად, გარდაიცვალა იქვე 1921 წელს".

"...1928 წელს პროდიაკონი ამბროსი ახობაძე... გამწესებულ იქნა ტფილისის ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში შტატგარეშე დიაკონად."

თბილისის ვერის ძველი სასაფლაოს წმინდა ნიკოლოზის ეკლესია დაანგრიეს 1933 წელს.



ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია



წარჩინებულთ წოდების ქართველთა შვილებისათვის განკუთვნილი კეთილშობილთა სასწავლებელი 1804 წლის 31 მაისს გაიხსნა. სასწავლებელში ამზადებდნენ სამოქალაქო სამსახურის მოხელეებს და თარჯიმნებს. იგი ჯერ ორკლასიანი იყო, ხოლო 1820-იანი წლებიდან ექვსკლასიანი გახდა და სტრუქტურით დაუახლოვდა რუსეთის იმპერიის გიმნაზიებს. სასწავლებელს სამხედრო უწყებებისათვის მოხელეთა მომზადებაც დაეკისრა.

1825 წლიდან აქ ასწავლიდნენ ქართულ, რუსულ, თათრულ (აზერბაიჯანულ), ფრანგულ ენებს, კატეხიზმოს, საღვთო სჯულს, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას, ხატვას, ცეკვას. 1830 წლიდან კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, სადაც ქართული

Most Holy Theotokos of Iberia Church

In 1804 a school for the children of leading Georgian families was opened. In 1830 it was changed into a public school. After the reforms of the 60s of the 19th century it was given the title "Classical School". Before the Communist rule there was also a church dedicated to the Iberian Icon of the Most Holy Theotokos in that school. The reconstructions of 1869-1870 gave the church today's shape. The work was conducted by the architect O.Simonson. After the reconstruction of Secondary School I, damaged in the Tbilisi War of 1991-1992, a decision was taken to restore the church too. Divine Services have been revived since 1998.

Церковь Иконы Иверской Богоматери

В 1804 году открылось предназначенное для детей грузин знатного рода благородное училище. В 1830 году благородное училище преобразовалось в гимназию. После реформ 60-ых годов XIX века училище стало именоваться классической гимназией. Нынешний вид гимназия получила в результате реконструкции, проведенной архитектором О. Симонсоном в 1869-1870 годах. До советского периода в здании гимназии находилась грузинская православная церковь Иконы Иверской Богоматери. После восстановления 1-ой средней школы, разрушенной во время тбилисской войны 1991-1992 годов, решено было восстановить ее церковь, в 1998 году в ней было восстановлено богослужение.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი
დ. ერმაკოვის ფოტო, XIXს. II ნახ. ფოტო

Тбилисское благородное училище
Фото Д.Ермакова, II половина XIX в.

Tbilisi. Public School for the Nobility
Photo by D.Ermakov. Second half of 19th c.



თბილისის I სამუალო სკოლა. XXს. I ნახ ფოტო.
Тбилисская I средняя школа. Фото I половины XX в.
Tbilisi. Secondary school # 1. Early 20th c

თბილისის ძველი სკოლები

ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

ენის სწავლა სავალდებულო იყო ყველასათვის, ხოლო თათრულს (აზერბაიჯანულს) ასწავლიდნენ მათ, ვინც პანსიონში სახელმწიფოს ხარჯზე ირიცხებოდა. XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების შემდეგ სასწავლებელს კლასიკური გიმნაზია ეწოდა.

გიმნაზიის ახალი შენობა აშენდა 1830-იან წლებში. არქიტექტორ ოტო სიმონსონის მიერ 1869-70 წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად შენობამ მიიღო დღევანდელი სახე და შეულესავი აგურის ფასადები კლასიცისტურ ყაიდაზე შეიმოსა. 1899 წელს გიმნაზიას აღმოსავლეთ მხრიდან დაემატა ორი ფლიგელი (არქიტექტორი შიმკევიჩი). XIX-XX სს-ში გიმნაზიის შენობა რამდენჯერმე გადაკეთდა და გაფართოვდა. საბჭოთა პერიოდამდე გიმნაზიის შენობაში იყო ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიაც.

1847 წლის 23 იანვარს გაზეთი "კავკაზი" წერს: "19 იანვარს შედგა ტფილისის გიმნაზიის ეკლესიის ივერიის ღვთისმშობლის სახელზე საზეიმო კურთხევა, რომელიც სხვადასხვა პირების შემოწირულობებით განხორციელდა. **კურთხევის წესსა და საღვთო ლიტურგიას ასრულებდა მისი მაღალუწმინდესობა, საქართველოს ექზარქოსი ისიდორე. ახალშექმნილი ტაძარი... არ არის მდიდარი ნივთებითა და მორთულობით, ამიტომ გიმნაზიის ხელმძღვანელო-**





ბა აგრძელებს შემოწირულობების მიღებას ნივთებითა და ფულით".

1991-1992 წლების თბილისის ომის დროს დანგრეული I კლასიკური გიმნაზიის თავდაპირველი სახით აღდგენის შემდეგ (არქიტექტორ-რესტავრატორები: ი.შარაშენიძე, ნ.ზაზუნიშვილი) გადაწყდა მისი ეკლესიის განახლებაც. სამუშაოებს სათავეში ჩაუდგა მშენებელი დიმიტრი ანდღულაძე. ბატონი დიმიტრის სახსრებითა და ხელმძღვანელობით 1998 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს ივერიის ღვთისმშობლის ტაძრისათვის განკუთვნილი დარბაზის მშენებლობა დასრულდა.

დარბაზის საერთო ფართობი დაახლოებით 180-200კვ. მეტრია. ტაძარში დგას ხის ორიგინალური კანკელი, რომელიც არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანი) ხელმძღვანელობით არის შექმნილი.

ტაძარი განთავსებულია თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, რუსთაველის გამზირის №10-ში.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის კარის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიის კანკელი
დ ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Алтарная преграда домовой церкви Иверской Богоматери
Тбилисского благородного училища.
Фото Д.Ермакова, начало XX в.
Court Church. Iconostasis. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

თბილისის I გიმნაზის კარის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიის კანკელი ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Алтарная преграда домовой церкви Иверской Богоматери
Тбилисской I гимназии. Фото И. Микадзе, 2009 г.)
Public School court church. Iconostasis. Photo by I. Mikadze, 2009.

თბილისის I გიმნაზია ი.გოლიაძის ფოტო. 2008წ
Тбилисская I гимназия. Фото И.Голиадзе, 2008г.
Tbilisi. Public school #1. Photo by I Goliadze, 2008.





სინოდალური ჯანტორის წმინდა ხარების ეკლესია

ქართლის მეფის როსტომის დიდებული სასახლე სპარსელებმა 1795 წელს მთელ თბილისთან ერთად გადაწვეს და დაანგრიეს. 1809 წელს სასახლის ნანგრევებზე დაიწყო რუსეთის წარმომადგენლის, საქართველოს მთავარმართველისათვის შენობის აგება. 1802-1809 წლებში აშენდა გუბერნატორის სახლი და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა.

კავკასიის მეფისნაცვალს, თავად მიხეილ ვორონცოვს, ესმოდა რა ამ ადგილის ისტორიული მნიშვნელობა, არ უნდოდა ეს ადგილი გადასულიყო კერძო მფლობელის ხელში. ამიტომ მან ეს მთლიანი ტერიტორია XIX საუკუნის

50-იან წლებში გადასცა საქართველოს საეგზარქოსოს. ამ ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო საქართველოს ეგზარქოსის სახლი და სინოდალური კანტორა. არქიტექტორმა რიპარდიმ(201) შეძლებისდაგვარად ნაკლები ხარჯით დაგეგმა და ააშენა სახლი სინოდალური კანტორისათვის. შენობაში განთავსდა მართლმადიდებლური რუსული საეკლესიო მმართველობა – საქართველოს ეგზარქოსი და მისი სამსახურები.

პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას წერს: "...დივან-ხანა თურქულად ნიშნავს სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობის მწარმოებელ სახელმწიფო დაწესებულებას. ამ სასამართლოს შენობის ნანგრევებზე 1802 წელს ახალი გუბერნიის შექმნასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა გუბერნიის გამგეობა, სახაზინო პალატა, სამაზრო სასამართლო და სხვ. 1848 წ. ეს სახლი მიყიდეს სასულიერო უწყებას, რომელმაც ფრანგი არქიტექტორის შესანიშნავი გეგმის მიხედვით კიდევ ერთი სართული დააშენა. მასში განთავსდა სინოდალური კანტორა. საქართველოს ეგზარქოსის სახლის ეკლესია ხარების სახელზეა ნაკურთხი. მისი კედლების მოხატულობა თავად გრ.გაგარინის სუსტ მიბაძვას წარმოადგენს.

იმ ადგილას, სადაც ახლა ორსართულიანი საეკლესიო სახლია, აშენებული იყო მეჩეთი მუსლიმი მეფეებისათვის, რომელნიც სიტყვით და არა გულით აღიარებდნენ ისლამს. სახლს ეკვრის ბაღი, მეტ–წილად დიდი ველური ხეებისა, ნაცვლად ბროწეულისა და სხვა ტროპიკული ნარგავებისა, რომლებიც ჩემს ახალგაზრდობაში აქა-იქ იზრდებოდნენ."

ნაგებობამ არაერთგზის განიცადა საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. XX საუკუნის 80-იან წლებამდე აქ იყო განთავსებული საქალაქო მილიციის სამმართველო, შემდეგ საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.

1990 წლიდან შენობში განთავსებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. 1978 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის რეზიდენციაში განთავსებულია წმინდა ილია წინასწარმეტყველის მონასტერი.

წმინდა ხარების ეკლესია მდებარეობდა ერეკლე II-ის მოედანზე, დღევანდელი საქართველოს საპატრიარქოს ადგილზე.



The Holy Annunciation Church of the Synodal Office

In 1795 the Persians devastated and burnt the magnificent palace of King Rostom with the rest of the city. In 1809 on the ruins of the palace started the construction of a residential house for the viceroy of Georgia, the representative of Russia. In the 50s of the 19th century the viceroy transmitted the whole estate to the Exarch of Georgia and on its site a building for the residence of the Exarch and Synodal office was built. In the same building was arranged the Court Church of the Annunciation. In the period of the Communist rule the house was used for various purposes and was substantially reconstructed. Since 1990 it has been disposed to the residence of His Holiness an Beatitude Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II.

Церковь св. Благовещания синодальной конторы

В 1795 году персы вместе с целым Тбилиси сожгли и уничтожили величественный дворец картлийского царя Ростома. В 1809 году на развалинах дворца начали строить здание для представителя России – управителя Грузии. В 50-ые годы XIX века наместник царя на Кавказе передал всю территорию экзархату Грузии. На этой территории был построен дом экзарха Грузии и синодальная контора. В этом же здании разместилась домовая церковь св. Благовещания. В советский период здание использовалось в разных целях. Сооружение не раз претерпело основательную реконструкцию. С 1990 года в здании размещена резиденция Католикоса –Патриаха Грузии, Святейшего и Блаженнейшего Ильи II.

საქართველოს ეგზარქოსის სახლი. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. II ნახ
Дом экзарха Грузии. Фото Д.Ермакова, II половина XIXв.
The residence of the Exarch of Georgia.
Photo by D.Ermakov. Second half of 19th c.

მტკვრის მარცხენა სანაპირო. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. II ნახ.
Левая набережная Куры. Фото Д.Ермакова, II половина XIXв.
The left bank of the River Mtkvari. Photo by D.Ermakov. Second half of 19th c.


მტკვრის მარცხენა სანაპირო. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Левая набережная Куры. Фото Д.Ермакова, II половина XIXв.
The left bank of the River Mtkvari. Photo by D.Ermakov. Second half of 19th c.

წმ.ილია წინასწარმეტყველის ეკლესია საპატრიარქოს შენობაში ლ.ტოგონიძის ფოტო. 2007წ
Церковь св. пророка Ильи в здании Патриархии.
Фото Л.Тогонидзе, 2007г.
St Elijah the Prophet Church in the residence of the Patriarchy.
Photo by L.Togonidze, 2007

საქართველოს პატრიარქის რეზიდენცია ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Резиденция Патриарха Грузии. Фото И.Микадзе, 2009г.
The residence of the Patriarch of Georgia. Photo by I. Mikadze, 2009.



398









წმინდა აბო თბილელის ნიში

პირველად წმინდა აბოს საფლავის შესახებ ინფორმაციას ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის აღწერაში ვხვდებით: „...ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმიდის აბოსი, რომელიც იწამა სპარსთაგან ტფილისს". 1898 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში" ვკითხულობთ, რომ „თბილისის მოსახლეობამ წმინდა აბოს წამების ადგილას ჯვარი დაადგა და შემდგომ სამლოცველოც ააშენა".

1825 წელს გენერალ ერმოლოვმა გამოსცა ბრძანება სამლოცველოს აღდგენის და მასში წმინდანის ხატის დაბრძანების შესახებ. 1848 წელს სენატორმა ს.საფონოვმა თავისი გამოჯანმრთელების სამადლობლად სამლოცველოში კ.გაგარინის მიერ დაწერილი წმინდანის ხატი დააბრძანა. მანვე კლდეში გამოკვეთილ სამლოცველოს შუშებიანი კარი დაჰკიდა. თავადმა პასკევიჩ-ერივანსკიმ(202) სამლოცველო გამოძერწილი ორნამენტებით განამშვენიერებინა. 1850 წელს წმინდა აბოს ნიში საზეიმოდ იკურთხა.1874 წელს ნინო გორსკინამ წმინდა აბოს ნიშის კარებს რკინის მოაჯირი შემოავლო. 1882 წელს მ.საბინინის მიერ დაწერილი წმინდა მოწამის ხატი დაასვენეს ნიშში.

საბჭოთა პერიოდში, 1951 წელს წმინდა აბო თბილელის სამლოცველო მიმდებარე კლდის დიდ ნაწილთან ერთად ააფეთქეს ახალი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით.

თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება მეტეხის პლატოზე მეფის რუსეთის მიერ აშენებული ციხის ადრეული მაკეტი, რომელზეც საგანგებოდ არის აღნიშნული აბო თბილელის ნიში (პორტიკი). ასევე არსებობს დიმიტრი ერმაკოვის(203) ფოტო - "მეტეხის ხიდი", სადაც გადაღებულია აბოს ნიში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გადაწყდა მეტეხის კლდის ძირში, ახალი ხიდის მიმდებარედ წმიდა აბო თბილელის ეკლესიის აშენება. 1996 წლის 17 მარტს, ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაულის დღეს იკურთხა ახალი ტაძრის საძირკველი.

არქიტექტორ რევაზ ჯანაშიას პროექტის მიხედვით ტაძარი წარმოადგენს მცირე ზომის ორნავიანი ტიპის ნაგებობას. ორივე ნავის გადახურვა ცალფერდაა. ტაძარი კლდეს უერთდება და ბუნებრივად გადაიზრდება მასში. ტაძრის ინტერიერში კლდის მონაკვეთი სამხრეთ კედლათაა გამოყენებული და თავისი ბუნებრივი სახითაა დატოვებული, ხოლო ეკლესიის დასავლეთი კედლის საძირკველი და ქვედა ნაწილის დიდი მონაკვეთი, წმინდა ნიშის დღეისათვის შემორჩენილი ნაშთია ხელუხლებლად ჩაყოლებული.

ტაძარი აშენდა დიდი კვადრებით, კირის დუღაბზე. ტაძარს აშენებდნენ მოქანდაკეები-ვახტანგ ბოჭორიშვილი, ზაზა ფანცულაია, დავით გომართელი და გიორგი ხელაძე. წმინდა აბო თბილელის ტაძარი 2007 წლის 13 იანვარს აკურთხა გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ექვთიმემ (ლეჟავა). წმინდა აბოს ტაძარს, რომელიც მეტეხის კლდის ძირში მდებარეობს, ჩრდილოეთიდან ხიდის კედელი, ხოლო სამხრეთიდან მეტეხის კლდე ესაზღვრება.



St. Abo of Tbilisi Church

Chapel of St. Abo, the Patron Saint of Tbilisi was arranged at the bottom of Metechi Rock in 1848. Under Communist rule, in connection with the building of a new bridge, the chapel was blown up. Later, on the blessing of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II, a church was erected on the same place. In 1996 the basement of the latter was consecrated.

Церковь св. Або Тбилели


Церковь святого покровителя Тбилиси была устроена у подножья скалы Метехи в 1848 году. В советский период в связи со строительством нового моста молельню св. Або взорвали. С благословения Католикоса-Патриарха Грузии, Святейшего и Блаженнейшего Илья II было решено построить церковь св. Або Тбилели у подножья Метехской скалы. Фундамент нового храма был освящен в 1996 году.

წმ აბოს საპლოცველო დ ერმაკოვის ფოტო. XIXს დასასრული.
Молельня св.Або. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
St Abo Chapel. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ აბოს ეკლესიის კანკელის მბატერობა.
ი მიქაძის ფოტო. 2009წ
Живопись алтарной преграды церкви св.Або.
Фото И.Микадзе, 2009 г.
St Abo Church. The frescoes on the iconostasis.
Photo by I. Mikadze, 2009.








წმ.აბოს ეკლესია. მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св. Або. Фото М.Чхиквадзе, 2009 г.
St Abo Church. Photo by M.Chkhikvadze, 2009.

წმ.აბოს ეკლესია და მეტეხის ტაძარი. მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св. Або и Метехский храм. Фото М.Чхиквадзе, 2009 г.
St Abo Church and Metekhi Church. Photo by M.Chkhikvadze, 2009.

წმ.აბოს ეკლესია და მეტეხის ტაძარი. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Церковь св. Або и Метехский храм. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St Abo Church and Metekhi Church. Photo by D.Ermakov. End of 19th c.





მოციქულთა თავთა წმინდათა პეტრესა და პავლეს ეკლესია

კალისტრატე ცინცაძის ცნობით, "ავლაბრის პეტრე-პავლეს ეკლესია დეკანოზ გრიგოლ ჭრელაშვილის ხელმძღვანელობით აშენდა 1846-1849 წლებში". ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობა მიუღიათ მართლმორწმუნე ცოლქმარ მაისურაძეებსაც, რომელნიც ტაძარში არიან დაკრძალულნი. გადმოცემის თანახმად, ტაძარი ამ ადგილზე წინასწარმეტყველების შედეგად აიგო.

იატაკის გამოცვლის დროს ფილაქანზე მიაკვლიეს წარწერას. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ტაძრის განახლების თარიღი – 1882 წელი. იატაკის ქვეშ აღმოაჩინეს საკურთხეველი და ამბიონი. უბნის მხცოვანი მოსახლეობის გადმოცემით, საბჭოთა პერიოდში – სარწმუნოების სასტიკი დევნის დროს ამ მიწისქვეშა საკურთხეველში წირვა-ლოცვა ფარულად აღევლინებოდა.

თავდაპირველი ხის ეკლესია მოგვიანებით აგურის სამრეკლოიანმა, "რუსულ" ყაიდაზე შემკულმა ცალნავიანმა ეკლესიამ შეცვალა.

XX საუკუნის ბოლო წლებში ტაძარი ორჯერ გაძარცვეს, წაიღეს უამრავი ხატი, რომელთა უმეტესობა ისევ დაუბრუნდა ტაძარს. 1990-იან წლებში ტაძარი ერთიანად მოიხატა ირაკლი ცინცაძის მიერ. ხატებიდან აღსანიშნავია მისი დაწერილი ღვთისმშობლის ხატი: „შენ ხარ ვენახი", რომელიც დღიდან კურთხევისა უამრავ სასწაულსა და კურნებას აღასრულებს. განსაკუთრებით პატივსაცემია ახლადშექმნილი ღვთისმშობლის ხატი „იღუმენია ათონისა", მაცხოვრის ხატი „სუთ ამისგან ყოველთა" – ქრისტეს ვნებისა და ევქარისტიის გამომხატველი, რომელიც XIX საუკუნის რუმინული ხატის მიხედვითაა შექმნილი.

საქართველოში სქიზმატური მოძრაობის აღზევების დროს შეიქმნა ხატი „საიდუმლო სახე ეკლესიისა". ხატი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი" დაიწერა დუშეთის რაიონის სოფელ დავათის ღვთისმშობლის ტაძარში დაცული ქვის სტელის მიხედვით. ახალი ხატებიდან აღსანიშნავია „ზეციურ მხედრობათა მთავარი მიქაელი-მფარველი მართლმადიდებლობისა", „წმინდა იოანე ნათლისმცემელი" (საკურთხეველში).


მოციქულთა თავთა წმიდათა პეტრესა და პავლეს ეკლესია მდებარეობს ავლაბარში, წმინდა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

SS. Peter and Paul, the Leaders of the Apostles Church

In 1846-1849 on the site of SS. Peter and Paul cemetery a Georgian Orthodox Church was built. Late in the 20th century, while carrying out repair work inside the church, an old altar and ambo were discovered under the floor. The old residents in the vicinity say that during the Communist rule, when the Orthodox Faith was severely persecuted Divine Services never ceased in this underfloor alter.

Церковь апостольских голов св. Петра и Павла

Грузинская православная церковь кладбища св. Петра и Павла была построена в 1846-1849 годах. В конце XX века во время ремонта церкви под полом обнаружили алтарь и амвон. Как передают старожители этого района, в советский период, когда вера жестоко преследовалась, в этом подземном алтаре тайно осуществлялось богослужение.





წმ.პეტრე-პავლეს ეკლესია დასავლეთიდან.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св.Петра и Павла, вид с запада.
Фото И.Микадзе, 2009г.
SS. Peter and Paul Church. West view.
Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.პეტრე-პავლეს ეკლესიის კანკელი.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Алтарь церкви св.Петра и Павла.
Фото И.Микадзе, 2009г.
SS. Peter and Paul Church. Iconostasis.
Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.პეტრე-პავლეს ეკლესიის ხატი.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Икона церкви св.Петра и Павла.
Фото И.Микадзе, 2009г.
SS. Peter and Paul. The icon of the church.
Photo by I.Mikadze, 2009.

პეტრე-პავლეს სასაფლაო.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს.
Кладбище св.Петра и Павла.
Фото Д.Ермакова, XIXв.
SS. Peter and Paul cemetery.
Photo by D.Ermakov, 19th c.





აშჯენაზების "ჯარისკაცთა" სინაგოგა

1801 წლიდან აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის მფლობელობაში გადადის. ამავე პერიოდში იწყება აშკენაზ ებრაელთა შემოსვლა თბილისში. მექუდეები, მკერავები, მეწაღეები და სხვა ხელობის მქონე ებრაელები რუსეთიდან და ევროპული ქვეყნებიდან თბილისში გადმოდიან საცხოვრებლად. როდესაც 1827 წელს პეტერბურგში გამოიცა ბრძანება ებრაელების კავკასიიდან გაძევების შესახებ, თბილისში მყოფი იმდროინდელი რუსეთის მთავრობა წინ აღუდგა ამ ბრძანებას და გაუგზავნა წერილი რუსეთის ხელისუფლებას, რომელშიც აღნიშნავდა, რომ თბილისში მცხოვრებ აშკენაზ ებრაელებს დიდი სარგებლობა მოჰქონდათ ქალაქისათვის და რომ, მოსული აშკენაზი ებრაელების გარდა, თბილისში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ადგილობრივი „ქართველი" ებრაელები.

რუსეთის ხელისუფლებამ 1835 წელს გამოაქვეყნა იმ რეგიონების სიები, სადაც ებრაელებს ეძლეოდათ ჩასახლების უფლება. ამ ჩამონათვალში არ მოხვდა საქართველო. 1836 წელს საქართველოში რუსეთის იმპერიის მთავარმართებელმა გრიგორი როზენმა აღძრა შუამდგომლობა, სადაც საქართველოში ებრაელების ყოფნას შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ეს ხალხი ძალიან სასარგებლო და საჭიროა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ჩინოვნიკებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისაც, რადგანაც ყოველი მათგანი ხელოსანია და, ძირითადად, სათერძო ან წვრილმანი ხელოსნობითაა დაკავებული".

1837 წლიდან ხელოსან ებრაელებს მიეცათ თბილისში დროებითი ცხოვრების უფლება პოლიციის მეთვალყურეობით. ადმინისტრაციის კეთილგანწყობამ ხელი შეუწყო აშკენაზთა თემის ჩამოყალიბებას. თბილისის პოლიციის 1843 წლის მონაცემებით, თბილისში 105 ებრაელი ცხოვრობდა, მათ ჰყავდათ ორი რაბინი და ჰქონდათ თავისი სკოლა. 1864 წლის აღწერის თანახმად კი, თბილისში უკვე 1276 ებრაელი, ხოლო 1897 წლისათვის უკვე 3668 ებრაელი ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობას აშკენაზები შეადგენდნენ.

„XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში გამოჩნდა აშკენაზ ებრაელთა პირველი ნაკადი, ხოლო ამავე საუკუნის II ნახევრიდან იგრძნობოდა აშკენაზ ემიგრანტთა ტალღის ინტენსიფიკაცია (რამდენადაც აღნიშნულ პერიოდში რუსი და ევროპელი ებრაელების ბინადრობის ფარგლებს გარეთ გასვლის საკითხი რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციის მიერ ნაკლებად კონტროლირებადი გახდა). ...კულტურულად დაწინაურებულ აშკენაზ ებრაელთა თემი ესწრაფოდა ყოფის ეროვნულ ყაიდაზე მოწყობას, სულიერ-რელიგიური კერების დაარსებას სინაგოგის სახით", - წერს გაზეთ "მენორაში" ალექსანდრა გეგეჭკორი.

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში დაცულ 1887 წლის №207 გაზეთ "ჰამალაზე" დაყრდნობით იცხაკ დავითი წიგნში „კავკასიაში ებრაელთა ისტორია" ამბობს, რომ თბილისში 1850-იან წლებში უკვე მოქმედებდა „ჯარისკაცთა" სინაგოგა. თბილისის გეგმებზე 1898 წლამდე ეს სინაგოგა არ არის აღნიშნული, თუმცა თბილისის

The Ashkenazi Soldiers' Synagogue, Synagogue I

From 1801 Georgia was subordinated to the Russian rule. In the same period the immigration of the Ashkenazi Jews to Tbilisi started. They began building synagogues in the city from the early 50s of the 19th century. In 1903 they initiated the building of a new larger construction instead of the old synagogue. The work ended in 1918. In 1923 on the order of Tbilisi Police Department the building was confiscated from the Jews and since then various organizations have been housed in it. Today, "The Royal District Theatre" works there.

«Солдатская» синагога, I синагога

С 1801 года Восточная Грузия переходит во владение Российской империи. В этот же период начинается прибытие евреев - ашекензи в Тбилиси. С 1903 года вместо старой синагоги начинают строительство нового, еще большего здания, которое завершилось в 1918 году. В 1923 году по приказу тбилисской полиции здание было отобрано у еврейской паствы и в нем разместились различные организации. Сегодня в этом здании функционирует театр.

ჯარისკაცთა სინაგოგა აღმოსავლეთიდან. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ

Солдатская синагога, вид с востока. Фото И Микадзе, 2009г

Soldiers' Synagogue. East view. Photo by I.Mikadze, 2009.



1898 წლის გეგმაზე უკვე დატანილია ორი სინაგოგა – ძველი (ჯარისკაცთა) და ახალი (დღევანდელი გუმბათიანი სინაგოგის ადგილას).

დროთა განმავლობაში სინაგოგა ვეღარ აკმაყოფილებდა მზარდი თემის მოთხოვნებს და მრევლმა მოინდომა ახალი, უფრო დიდი სინაგოგის აშენება. 1887 წლის 6 თებერვალს გაზეთი "კავკაზი" წერს: „ტფილისის ებრაელებმა ერთმორწმუნეთა შორის შემოწირულობების გზით სამი ათას მანეთამდე შეაგროვეს, რათა გადაეკეთებინათ ტფილისში კათოლიკურ ქუჩაზე მდებარე ძველი სინაგოგა. ებრაელთა საზოგადოება კიდევ ორი ათასი მანეთის შეგროვებას ვარაუდობს. ასეთივე გზით თბილისელი ებრაელები შოულობენ ფულს თავისი ღარიბი წევრების, ძირითადად დედამამით ობლების სარჩენად, რომლებიც ელემენტარულ განათლებას ამ საზოგადოების ხარჯზე იღებენ." ამ ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ებრაელები უკვე არსებული თბილისის "ძველი" სინაგოგის შენობის განახლებაზეც ფიქრობენ.

"ძველი" სინაგოგის ანუ თბილისის I სინაგოგის ადგილას ახალი სინაგოგის მშენებლობა მხოლოდ 1903 წლის მაისში იწყება. 1903 წლის მაისში გაზეთი "ივერია" წერს: "აკიმოვის ქუჩაზე, ფრანგთა ეკლესიის მახლობლად, ებრაელთა სამლოცველოს აშენებენ, რომლის საძირკველი უკვე ჩაჰყარეს კვირას, 11 მაისს. ამ დღეობას მრავალი ებრაელი დაესწრო...".

ამასავე ადასტურებს გაზეთი "ცნობის ფურცელი", რომელიც 1903 წლის 13 მაისს წერს: "11 მაისს კათოლიკეთა ქუჩაზე საძირკველი ჩაჰყარეს ებრაელთა ახალ სამლოცველოსი. ეს სამლოცველო ააგეს უმთავრესად ტფილისში მცხოვრებ ევროპიელ ებრაელთათვის. ასეთი ებრაელი 4000-მდე იქნება ტფილისში...".


1915 წელს გაზეთი "კავკაზსკოე სლოვო" სათაურით "I სინაგოგის ებრაელი მრევლის კრება" წერს, რომ „მშენებლობა ჯერ კიდევ დაუსრულებელია. I სინაგოგის გამგეობის კრება მოეწყო მის მეზობლად მდებარე II (გუმბათოვან) სინაგოგაში – „7 ივნისს დილის 10 საათზე პირველ სამლოცველო სახლში დანიშნულია ტფილისის პირველი სინაგოგის მრევლის მეორე საერთო კრება. მეცადინეობის საგნებია: 1) პირველი სინაგოგის გამგეობის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა; 2) ხაზინადარის ანგარიში, 3) საფინანსო კომისიის თავმჯდომარის ანგარიში; 4) სამშენებლო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება; 5) საფინანსო და სამშენებლო კომისიების წევრთა გადარჩევა და დამატებითი არჩევნები. ხვალიდან ლოცვას თავის ახალ, ნახევრად აშენებულ შენობაში აღავლენენ. ამავდროულად, სამეურნეო გამგეობა სთხოვს თავის მრევლს უარი არ თქვას შემდგომ მატერიალურ დახმარებაზე, შემოიტანოს უკვე ხელმოწერილი თანხები სინაგოგის ასაშენებლად და გადაიხადოს მრევლზე რიცხული გასული წლების დავალიანება..."

სანამ აშკენაზთა „სამხედრო" სინაგოგა აშენდებოდა, მისი მრევლი თბილისის II სინაგოგაში დადიოდა სალოცავად, ამიტომაც ზემოთ აღნიშნული კრება ამ სინაგოგაში ტარდება, რადგანაც იმ პერიოდში აშკენაზთა

ძველი თბილისი. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Старый Тбилиси. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Old Tbilisi. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

ძველი თბილისი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი
Старый Тбилиси. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Old Tbilisi. Photo by D. Ermakov. Early 20th c.





სხვა სინაგოგა თბილისში არ არსებობდა. იმის გამო, რომ 1903 წლიდან 1915 წლამდე აშკენაზთა „სამხედრო" სინაგოგა იყო მშენებარე, ამიტომ ამ პერიოდის არც ერთ რუკაზე ის არ არის დატანილი.

აღნიშნული სინაგოგა 1918 წელს საზეიმოდ გაიხსნა იმ პირობით, რომ მას ეწოდებოდა ებრაელთა საქველმოქმედო სახლი. მაგრამ უკვე 1923 წლის 10 იანვარს თბილისის საბჭოთა მილიციის უფროსის ბრძანებით ებრაელთა სამლოცველო სახლი დალუქეს.

1923 წლის 10 მაისს სინაგოგის კერძო მესაკუთრეებმა საჩივარი შეიტანეს სინაგოგის ჩამორთმევის გამო. წერილს ხელს აწერს სამეურნეო სამმართველოს უფროსი – ი.როიტენბერგი. სამეურნეო გამგეობისა და მრევლის თხოვნში, რომელიც მათ გაუგზავნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, აღნიშნულია: „1923 წლის 13 იანვარს ქალაქ ტფილისის მილიციის უფროსის განკარგულებით დაილუქა I ებრაული სამლოცველო სახლი აკიმოვსკაის ქუჩაზე N10-ში, როგორც რუსი ებრაელების სამხედრო ტიპის სინაგოგა (ყოფილი „ჯარისკაცთა").

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ შინსახკომს, სადაც ჩვენს თხოვნას შემდეგი რეზოლუცია დაადეს: „შინსახკომი თვლის, რომ აღნიშნული სინაგოგა ემსახურებოდა, ძირითადად, თბილისის გარნიზონს, ამიტომ მემკვიდრეობით უნდა ეკუთვნოდეს თბილისის გარნიზონის წითელ არმიას. თავის მხრივ, წითელ არმიას სურს ჰქონდეს იქ არა სამლოცველო სახლი, არამედ კულტურის კლუბი, ამიტომ ყოველგვარი შუამდომლობა ხალხის გონების დაბნელების იარაღად მისი ქცევისა უნდა იყოს აღკვეთილი "... მიგვაჩნია, რომ სამლოცველო სახლის მიმართ გამოყენებული ზომა უმართებულოა და ექვემდებერება გაუქმებას... აკიმოვის №10-ში მდებერე სამლოცველო სახლი შექმნეს იმ ებრაელთა შვილებმა და შვილიშვილებმა, რომლებსაც ადრინდელი ხელისუფლება უფლებას აძლევდა დასახლებულიყვნენ ბინადრობის ფარგლებს გარეთ, ე.წ. „მეფე ნიკოლოზის შთამომავლებმა". სხვათაშორის, სწორედ ამიტომ ერქვა სამლოცველო სახლს „ჯარისკაცთა", და არა იმიტომ, რომ ის მხოლოდ ჯარისკაცებისათვის იყო განკუთვნილი. ნიკოლოზ I-ს დროს 25-წლიანი სამსახურის გავლის შემდეგ ებრაელებს უფლება ეძლეოდათ ეცხოვრათ ბინადრობის ფარგლებს გარეთ და ეს უფლება შთამომავლობით გადადიოდა. ამგვარად, მათ მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ რუსეთიდან თბილისში გადმოსახლებულმა ებრაელებმა და მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა ლოცვა აქაურ (ქართველ) ებრაელებისაგან განცალკევებით დაიწყეს, რადგანაც ქართული ენის არცონდნის გამო მათ არ შეეძლოთ დაეშვათ მათთვის სრულიად უცხო ენაზე წიგნების წარმოება, სხდომების გამართვა ლოცვა და სხვა.

აკიმოვსკაიას ქ.№10-ში ჩამორთმეული სამლოცველო სახლი, რა თქმა უნდა, არანაირად არ უკავშირდება ძველი ხელისუფლების მიერ აშენებულ სამხედრო ნაგებობებს. სამლოცველო სახლი აშენებულია ებრაული საზოგადოების წევრთა კერძო სახსრებით და კერძო ინიციატივით. თანდართული დოკუმენტები უტყუარად ამტკიცებენ, რომ აკიმოვსკაიას ქ.N10-ში

მდებარე უძრავი ქონება ებრაული თემის მრევლის საკუთრებაში გადაცემულია როგორც ნაანდერძევი და შემოწირული მისი ყოფილი მფლობელების მ.ზ.კარლინსკისა და გერშკ შმულევიჩის მიერ და, რომ სამლოცველო სახლი განკუთვნილია ჯარისკაცებისათვის. ამას თან ერთვის შემდეგი საბუთები: 1900 წლის 12 ივლისის ნასყიდობის აქტი, რეესტრი 1877 წელი; 1919 წლის მაისის ნაჩუქრობის ჩანაწერის სანოტარო ასლი; 1906 წლის 25 აპრილის ანდერძი... და კერძო გეგმა. თუ ეს საბუთები თქვენ აღარ გჭირდებათ, გთხოვთ დაგვიბრუნოთ". მიუხედავად მრევლის პროტესტისა, სინაგოგამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

შოთა ბოსტანაშვილის აღწერით „ჯარისკაცთა" სინაგოგის შენობა აგურისაა; მისი გარე ზომებია 16X21 მ., სიმაღლე 10 მ.; მჭიდრო განაშენიანებაში მოქცეულს მას შემორჩა მხოლოდ აგურის შეულესავი და გამოკვეთილი რომანული სტილის ერთი „საკუთარი ფასადი". ამ სტილისათვის დამახასიათებელ ფასადის დიდ წრიულ ღიობს (დიამერტი 2,5 მ.) 1999 წლამდე ექსოგრამის (სინაგოგის უცილობელი ატრიბუტი –დავითის ვარსკვლავი, "მაგენ–დავითი") ვიტრაჟი ავსებდა. ქალაქგეგმარებითი სიტუაციიდან გამომდინარე, ექსოგრამის ვიტრაჟის მიმართულება არ ემთხვევა სამხრეთის ორიენტაციას. ასეთ შემთხვევაში სიწმინდეთა კარადა სამხრეთის კედელთან უნდა მდგარიყო.

1928 წელს სინაგოგაში განთავსდა ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი–"ღარიბკომი". 1930 წლის გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" აღნიშნულია: "დაიქცა ბნელეთის მოციქულთა კერა და ქართველი ახალგაზრდა ებრაელები საბჭოთა სულისკვეთებით აღიზრდებიან."

1932 წელს სინაგოგის შენობა ებრაელების კულტურის სახლად გადაკეთდა, რომელშიც იდგმებოდა სპექტაკლები და იგი ებრაული კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. აკადემიკოს გ.ჩიტაიას მოგონებით: "30–იან წლებში თბილისში სინაგოგასთან გაიხსნა ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი. მუზეუმმა იარსება 10 წელი, გამოიცა რამდენიმე კრებული". ამავე წელს კულტურის სახლს მიანიჭეს ლ.ბერიას სახელი. 1937 წლის შემდეგ შენობა "სარეწაო კავშირს", 1940 წლიდან თბილისის კიროვის რაიონის საბინაო სამმართველოს გადაეცა, 1950 წელს კი იქ N129 სახლმმართველობა იყო განთავსებული. შემდგომში შენობა საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ბალანსზე ირიცხებოდა, რომლის რეორგანიზაციის შემდეგ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა "საქყოფსერვისი". ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის შემდეგ იგი თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად ჩაითვალა.

1997 წლიდან ყოფილი სინაგოგის შენობაში „სამეფო უბნის თეატრი" ფუნქციონირებს. მიუხედავად მრავალი სასამართლო პროცესისა თეტრსა და ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას შორის, სადაო საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.

ყოფილი აშკენაზების ჯარისკაცთა სინაგოგა მდებარეობს დღევანდელი გია აბესაძის ქუჩის №10-ში.



სამეფო თეატრის შესასვლელი.
ლ.ქართველიშვილის ფოტო, 2009წ

Вход в Королевский театр.
Фото Л.Картвелишвили, 2009г.

The entrance of the Royal Theatre.
Photo by L.Kartvelishvili, 2009.

ჯარისკაცთა სინაგოგის აღმოსავლეთი ფასადი.
მ.ჩხეიძის ფოტო 2009წ.

Восточный фасад солдатской синагоги.
Фото М. Чхеидзе, 2009г.

Soldiers' Synagogue. East view.
Photo by M.Chkheidze, 2009



ამაღლების ეკლესია

წიწამურში ამაღლების ეკლესიას საძირკველი ჩაეყარა 1851 წლის 12 მარტს, მშენებლობა დამთავრდა 1852 წლის 23 ნოემბერს. ეკლესიის აგების ინიციატორი იყო ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი. იგი თბილისის სიძველეთა მიმოხილვაში ამ ეკლესიის შესახებ წერს: „...1851 წელს ათენში ეოლის ტაძრის ნიმუშითაა აშენებული...". ეკლესია, რომელიც პლატონ იოსელიანმა ბერიებს ხელოსნებს ააგებინა, იყო აგურით ნაშენი, შელესილი და თეთრად შეღებილი.

პლატონ იოსელიანის მიერ აშენებულ ამაღლების ეკლესიაზე მღვდელი სტეფანე ბაიდოშვილი 1902 წლის 14 ივნისის გაზეთ "ივერიაში" წერს: "ჩვენ დედა-ქალაქ ტფილისში ეხლანდელ სოლოლაკის მხარეს ძველთაგანვე სცხოვრობდა მომეტებული ნაწილი ქართველობა, რომლის ჩამომავლობა ახლაც მრავალია.

სწორედ ამ ქართველებისათვის, აღთქმისამებრ თვისისა, პირველად ააშენა აქ ამაღლების ეკლესია დაუვიწყარმა პლატონ იოსელიანმა, მაგრამ ახლანდელ სოლოლაკის ახალ თაობას რომ შემთხვევით ჰკითხოთ, ეს ეკლესია ვინ აუშენაო? იმედს პასუხს მიიღებთ, რომ იქ პლატონის ხსენებაც კი არ იქნება. ახლა კი მნახველმა როგორ უნდა შეატყოს სოლოლაკის ეკლესიას, რომ მისი საძირკველი ქართველის ხელით იყო ჩაყრილი. – ამის მოწმე მთლოდ ცივი დედა-მიწა-ღაა. ეხლა თვით ეკლესიაში არავითარი წარწერა

არ არის დასამტკიცებლად იოსელიანის შრომისა; ხოლო აქა-იქ მოიპოვება კედლებზე რამდენიმე ჩვენ, ქართველებისათვის, ფრიად საგულისხმო ხატი, რომელიც ჰქონდა იოსელიანს გადმოცემული ქართველთა მეფეების ჩამომავლობისაგან. მაგალითად, მარჯვნივ მხარეს კედელზე კანკელის მახლობლად არის დასვენებული ახლაც მშვენიერი ღვთისმშობლის ხატი წარწერით. ეს წმინდა ხატი არის თვით ის ხატი, რომელიც მეფე თეიმურაზმა, რუსეთში წასვლის გამო, თავისს შვილის-შვილს გიორგის მიულოცა და მისცა მას სკიპტრა ქართლის მეფობისა, გარემოზდვა ას თავისი სამეფო ხმალი, დაჰკიდა მას, ძალი მორწმუნეთა, ჯვარი ძელ-ჭეშმარიტითა ცმული, ოქროს ჯაჭვითა საკიდარი და თვალ-მარგალიტითა შემკული, მცხეთის ეკკლესიასა შინა იოსებ კათალიკოზის თანდასწრებითა (1760).

მარტო ეს წმინდა ნაშთი-ღა ამტკიცებს იოსელიანის შრომას ამაღლების ეკკლესიისას, რომელშიაც განისვენებს მისი მტვერი.

1851 წელს პლ.იოსელიანმა ააშენა ამაღლების ეკკლესია თავის საკუთარის ხარჯით იმ გეგმაზე, რომელიც მან ნახა თავის მოგზაურობის დროს ათინაში აშენებული ეკკლესია ეოლასი. მიზეზი, ამაღლების ეკკლესიისა იყო შემდეგი: პლატონს ჰყავდა ერთად-ერთი შვილი, რომელსაც 1847 წელს გამოაჩნდა ხოლერა და ის-ის იყო პლატონს პირმშო შვილი ხელიდან ეცლებოდა, რომ დაჩოქილი ევედრა უფალს განეკურნა ძე მისი და ნაცვლად მის ლოცვის ყურადღებისა დასვა წერილობითი აღთქმა, რომ სოლოლაკში ღვთის სახლი აღეშენებინა. აღთქმა მისი შესდგება შემდეგის სიტყვებით: "ვაძლევ აღთქმას ღმერთს და ქრისტე ჩემ მაცხოვარს უეჭველად ავაგო ეკკლესია სოლოლაკში. პლატონ იოსელიანი."

როდესაც პლატონ იოსელიანი აქ ეკკლესიის შენებას შეუდგა, მაშინდელი სოლოლაკელი ქართველობა აღტაცებას მიეცა, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ამბავი მივიდა მეფის შვილის ოქროპირამდის(204), რომელსაც იოსელიანის აზრი და დაწყობილება მოეწონა და სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის აშენების შესახებ 22 გიორგობას 1851 წელს ვრცელი წერილი მოსწერა, რომელსაც აქვე ურთავთ სავსებით.

"მოწყალეო ხელმწიფევ, პლატონ იგნატის ძევ!

მე ამ დღეებში გახლდით ჩემ ძმა ირაკლისთან და შემთხვევით გავიგე, რომ თქვენ გნებავთ იქონიოთ ადგილობრივი ხატი ამაღლებისა თქვენის ეკკლესიისათვის. მე მაშინადვე მივმართე გასამზადებლად მალახოვს, იმ ხატთა მწერალს, რომელსაც ჩვენმა ექსარხოსმა მიანდო დასწეროს მისაოთხი ხატი. იგი აკადემიკოსია და მთელ მოსკოვში იდიდება ხელოვნობით. ეს ის არის, რომელმაც დაუწერა კანკელი შუა-მთის მონასტრისა, არ ვიცი, კარგად შეასრულა თუ არა თავისი საქმე მან, მაგრამ მე ვცდილობ გასიამოვნოთ თქვენ.

თქვენ გასაკვირი კაცი ხართ: შემოიარეთ მთელი ოსმალეთი და საბერძნეთი და მის მაგიერ რომ დაგეხარჯათ ფული, შეგინახამთ კიდევ იმდენი, რომ შესდგომიხართ ეკკლესიის აგებას იმ ალაგას, სადაც დიდ სივრცეზე ერთი სამლოცველოც არ იყო და ამისათვის საუკუნოდ იქნებიან თქვენი მადლობელნი სოლოლაკის მცხოვრებნი, რომელთაც ახლო-მახლო არ ჰქონიათ ეკკლესია ღვთისა. უძველესმა ათინამ დაგიხატა თქვენ სახე ეკკლესიისა, რომელიც იყო აგებული ეოლასათვის, მაგრამ თქვენ ბრძნულად აგირჩევიათ ალაგი, თითქოს დასაცინვათ ძველი ღმერთებისა და, რომ შეაღვიროთ მძვინვარე ქარები, თქვენ აღგიმართავთ ეკკლესია ისეთ გორის ძირში, სადაც

Ascension Church

The foundation of Ascension Church was laid in 1851, and the erection of it started in 1852. The temple was built according to the Architectural style of the Temple of Eolie in Athens. Under Communist rule it was pulled down. In 1999 on the decision of Tbilisi City Government a plot on the site of the old one was assigned for the construction of a new temple which would be dedicated to the Ascension of Our Saviour. The latter has been working since 2003.

Церковь Вознесения

Фундамент тбилисской грузинской православной церкви Вознесения был заложен в 1851 году, а строительство завершено в 1852 году. Церковь была построена по образцу афинского храма Эола. В советское время храм был разрушен. С 1999 года по решению тбилисского муниципалитета был выделен земельный участок под строительство на месте старого храма церкви Вознесения, церковь действует с 2003 года.

სოლოლაკი.
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი.
Сололаки.
Фото Д. Ермакова, начало XXв.
Sololaki area
Photo by D. Ermakov. Early 20th c.

კოჯრის გზა.
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Коджорская дорога
Фото Д. Ермакова, начало XXв.
Road to the village of Kojori.
Photo by D Ermakov. Early 20th c.





ამაღლების ახალი ეკლესია დასავლეთიდან
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Новая церковь Возвышения, вид с запада. Фото
И.Микадзе, 2009г.
New Church of the Ascension. West view.
Photo by I.Mikadze, 2009.

ამაღლების ახალი ეკლესიის კარიბჭე
დასავლეთიდან.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Врата новой церкви Возвышения, вид с запада Фото
И.Микадзе, 2009г.
New Church of the Ascension. West porch.
Photo by I.Mikadze, 2009.

ამაღლების ახალი ეკლესიის გალავანი
და სამრეკლო.
თ დოლიძის ფოტო, 2009წ.
Ограда и колокольня новой церкви Возвышения.
Фото Т.Долидзе, 2009г.
New Church of the Ascension. A Stone wall around the
church and belfry. Photo by T.Dolidze, 2009.

მარტოდ დანჯის ზეფირისა ვერ მისწვდება ქარიშხალთა სუნთქვა; ყველაზე უკეთესი–კი იგია, რომ ღმერთმა გაკურთხათ თქვენ გაგენათლებინათ მხარე ყოველისავე გარყვნილობისა და სიპილწისა–სოლოლაკი. მთელის გულით ვისურვებ თქვენთვის ყოველში კეთილ შედეგს.

რაც შემეხება მე, ისეა არეული ჩემი საქმეები, რომ სულ ვიმყოფები მოსკოვში და აქომამდე არ შემიძლიან გავშორდე ჩემი შვილებითურთ. ამასთანავე შემოპეპარა უქეიფობა, ვერ ამიტანია ეს ჰავა. თავი დავანებო, შეძლება არა მაქვს, ვინაიდგან მთელი ჩემი ქონება, მეუღლე და შვილები აქ რჩებიან. მაგრამ იყოს ყველაში ნება უფლისა, დავიხოცებით, სახსოვრად დაგვწერავენ, როგორადაც კუბოზე ერთი მაიორისა: "წაველ როსტოვში". მაგრამ ამისა არ მეშინიან, არამედ მისა, რომ რა მიუგო იმა სოფელსა შინა თუ მკითხავენ: რას აკეთებდი მსოფლიოშიო? შენ იყავ დასაჩუქრებული უხვად სილამაზით ტანისა და ღონით სულისა და რა გააკეთე შენ მათგან მოსახმარებლად? მის ალაგას, რომ წარსულიყავ გზასა გადადებულს სამეფო შენის წინაპრებისა, რომელთაც დასდეს ცხოვრება თვისი სარწმუნოებისათვის და ხალხისა, შენ დამალე უკუნეთსა შინა შენი საჩუქრებანი–ღირსებანი, არ იყავ სასარგებლო თავისა შენისა და აგრეთვეც ხალხისა.

ესეთი არ არის პლატონ ეგნატეს ძე: ემსახურება ღმერთსაც და ხელმწიფესაც. მოაქვს სარგებლობა ხალხისათვისათვისაც და სამშობლოსათვისაც. ჰსაუბრობს მუზებთან და უკმევს ვენერასაც, აკეთებს იმას, რაც ნაჩვენებია: აასრულოს იგი და დააგდოს მეორეც. მე მივიღე ამ ცოტა ხანში წერილი საკუთარის ხელით ნაწერი თ.ვორონცოვიდგან. არ ვიცი რით დავიმსახურე მისი ყურადღება და რით გადავუხადო მადლობა მას, მაგრამ იგი არ ჰსაჭიროებს ჩვენს გულუბრყვილობაზე: საჩუქრად მაგისთანა ხალხისათვის–ისტორიაა, სახსოვარი მაგისი ნაკურთხი იქმნება. მომიკითხეთ თავადი ერისთავი; ნება მიბოძე კიდევ ვისურვო შენთვის ყოველივეში კეთილი აღსრულება. თქვენი მორჩილი მეფის შვილი ოქროპირ".

ასეთი პატივცემული იყო ამშენებელი სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიისა და დღეს იგი სრულად დავიწყებულია სოლოლაკის მრევლთა შორის. დღეს პატივცემული პლატონ იოსელიანი, როგორც ამაღლების ეკკლესიის პირველად საძირკვლის ჩამდგმელი, ორიოდე სოლოლაკელ მოხუცებულებს–ღა ახსოვთ, გვარად რუსიევებს. დანარჩენს ქართველობას აზრადაც არ მოსვლიათ, იყო წინადაც აქ ეკკლესია, თუ არა და ვისი აშენებულია.


ამ ნახევარ საუკუნის წინად აშენებული და არსებული მეცხრამეტე საუკუნემდე ამაღლების ეკკლესია იყო რვა–კუთხიან ვარსკვლავის მსგავსი შიგნიდან და გარედან მშვენივრად შეკეთებული, შესანიშნავი ძველად ნახატის კანკელით და როდესაც სოლოლაკში ხალხი გამრავლდა, ეკკლესია განადიდეს დაწესებულმა ამაშენებელმა კომიტეტმა ეკკლესიისამ, რომელსაც შეადგენდნენ: თავმჯდომარე დ.დ.კრაევიჩი, უსათუო წევრნი მღ. ბარნაბოვი, მთ. დ.ს.ბაიდოშვილი, ხაზინადარი ვ.ი.ბარცოვი და საქმის მწარმოებელი წევრი ა.ი.რიბინი. ამათგან შეგროვებულის 6105 მან. და 71 კაპიკით შეკეთდა ეკკლესია სოლოლაკისა, რასაც ახლა ვხედავთ და იკურთხა ისევ ძველ ამაღლების სახელზედ 28 მარტს 1899 წ. ასე რომ თვითოეულ მრევლთაგანისათვის უნდა დაუვიწყარი იყოს უპირველეს განსვენებული პ.ი.იოსელიანი, რომელმაც პირველად სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის საძირკველი ჩაჰყარა და ზეცად სხვა–და–სხვა აზრთა მნიშვნელოვანი ეკკლესია ააგო. მაინც ნუ დაივიწყებს

მკითხველი, რომ სახსოვრად და პატივის ცემის ნიშნად ბ-ნ იოსელიანისა, სულ უკანა კედელი საკურთხეველისა ისევე შეუცვლელად დარჩენილია... ჟამთა უწყალო ტრიალთა მოწმეო პლატონ! მშვიდობა შენს მტვერს, მოგცეს ღმერთმა ბედნიერი წილი სასუფეველში, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსო მუშაკო ქართველებისავ!"

ამაღლების ეკლესია მდებარეობდა თბილისელი მიტროპოლიტების ბაღის ზედა ნაწილში, კოჯორში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს. ეკლესიის აგების შემდეგ, ეს გზა გააფართოვეს და მას ამაღლების ქუჩა დაარქვეს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1968 წელს ეკლესია დაანგრიეს კოჯრის გზის გაფართოვებასთან დაკავშირებით. 1999 წლის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის გადაწყვეტილებით ამაღლების ქუჩის გასასვლელის №1-ში გამოიყო მიწის ნაკვეთი ამაღლების ტაძრის ასაშენებლად.

ახალი ამაღლების ეკლესიის საძირკველი დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა აკურთხა. 2003 წლის 23 თებერვლიდან ეკლესია მოქმედია. თლილი ქვით შემოსილი ამაღლების ახალი ეკლესიის პროექტის ავტორია არქიტექტორი რევაზ ჯანაშია. ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა, კარიბჭით დასავლეთით და შვერილი აბსიდით.







ორთაჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია

ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘ XIX საუკუნეში ქალაქის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იყო, იოსებ გრიშაშვილის ქუჩის ბოლოში ქალაქის საბაჟო იდგა. 1833 წელს ანატოლიიდან ჩამოსახლებულმა ბერძნებმა 1846-1854 წლებში შეისყიდეს საბაჟოს მიმდებარე ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე არქიტექტორ გრ.ივანოვის(205) პროექტით ააშენეს წმინდა ნიკოლოზის ეკლესია.

კრწანისის შესახებ თ.ბერიძე წერს: "ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში იგი პირველად XIV საუკუნის მიწურულს იხსენიება. ამგვარად იგი საკათალიკოსო მამული ყოფილა". ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ 1735 წლის გეგმაზე ორთაჭალა კრწანისს არის მიკუთვნებული. ავტორი "ორთაჭალას კრწანისის ბაღებს" უწოდებს. კრწანისი ოდითგანვე ხილით და ბოსტნეულით ამარაგებდა თბილისს.

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩასმული ფილების ქართულ-რუსული წარწერებიდან ვიგებთ ტაძრის აგების თარიღს: "ტაძარი ესე წმიდის საკვირველთ-მოქმედისა დაწყებული 1846 წელსა მეფობასა იმპერატორის ნიკოლოზისა პირველისა ნამესტნიკობისა ვორონცოვისასა და ექსარხოსისასა... ქმნა 1854 წელსა შენებასა იმპერატორის ალექსანდრე მეორისასა: საზოგადოებისა შეწირული საფასითა შეკრებილითა დეკანოზისა და ბლაღოჩინია: ვასილ ანდრიანსაგნითა".

ტაძარი აშენდა თბილისის ქართველი და ბერძენი მოსახლეობის მიერ. დასავლეთ კედელზე, კარის მაღლა რუსულ-ბერძნული წარწერაა. ეკლესიის არსებულ წარწერებში ძეგლის აგების სხვადასხვა თარიღია, ქართულში – 1854 წელი, რუსულში – 1856 წელი, მეორე რუსულ წარწერაში – 1853 წელი. პლატონ იოსელიანის ცნობით, „წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ეკლესია, გუმბათიანი, ააშენა დეკანოზმა ბასილიმ ბერძენთათვის, საქართველოს ეგზარქოსის ქალაქგარეთა სახლის მოპირდაპირედ".

ეკლესიის ეზოში რამდენიმე საფლავია. ერთ-ერთი საფლავის ქვაზე არის ეპიტაფია: „პირადი საპატიო მოქალაქე ნიკოლოზ ალექსის ძე გულთაევი (ქტიტორი ამა ეკლესიისა), 13 აპრილი 1864 წ.– 8 იანვარი 1913 წ."

1990 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ღვთისმსახურება განახლდა. აღდგენილი ტაძარი ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა მეუფე კალისტრატემ

The Ortachala Church of St. Nicholas

In 1833 the Greeks who had immigrated from Anatolia purchased a territory for residence within the precincts of the Customs Service, in the East of Tbilisi. Here, they erected St. Nicholas Church in 1846-1854. The temple is built in brick and represents a type of "Free Cross" style. Its altar is rectangular. A 19th century inscription can be read inside the dome. The temple was built by the Greek residents of Tbilisi.

Ортачальский храм св. Николая

В 1833 году прибывшие из Анатолии греки для жилья купили на восточной стороне Тбилиси в районе Ортачала прилегающую к таможне территорию. В 1846-1854 годах на этой территории они построили церковь св. Николая. Сложенная из кирпича церковь относится к типу «свободного креста». Алтарь прямоугольный, в барабане купола сохранилась роспись XIX века.

წმ.ნიკოლოზის ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Ортачальская церковь св.Николая, вид с северо-востока. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
The Ortachala St Nicholas Church. North-east view. Photo by D.Ermakov. Late 19th c.


წმ.ნიკოლოზის ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. თ.დოლიძის ფოტო, 2009წ.
Ортачальская церковь св.Николая, вид с северо-востока. Фото Т. Далидзе, 2009г.
The Ortachala St Nicholas Church. North-east view. Photo by T.Dalidze, 2009.

ორთაჭალა, მნაცაკანოვის ხიდი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Ортачала, мост Мнацаканова. Фото Д Ермакова, начало XXв.
Mnatsakanov Bridge and St Nicholas Church. Photo by D. Ermakov. Early 20th c.



ორთაჭალა და წმ.ნიკოლოზის ეკლესია
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Ортачала и церковь св.Николая.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Ortachala and St Nicholas Church.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.


მწაცაკანოვის ხიდი და
წმ.ნიკოლოზის ეკლესია.
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Мост Мнацаканова и церковь св.Николая.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Mnatsakanov Bridge and St Nicholas Church.
Photo by D. Ermakov. End of 19th c.











ორთაჭალა და წმ ნიკოლოზის ეკლესია დ ერმაკოვის ფოტო, XIXს, დასასრული
Ортачала и церковь св.Николая.
Фото Д Ермакова, конец XIXв
Ortachala and St. Nicholas Church.
Photo by D.Ermakov, end of the 19th century.



ორთაჭალის წმ.ნიკოლოზის ეკლესიის კარიბჭის სამრეკლო.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Колокольня врат Ортачальской церкви св.Николая.
Фото И.Микадзе, 2009г.
The Ortachala St Nicholas Church. Porch belfry.
Photo by I.Mikadze, 2009.

მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ორთაჭალა.
ი.კაიას ფოტო, 2009წ.
Правая набережная Куры, Ортачала.
Фото Ю.Каиа, 2009 г.
The right bank of the River Mtkvari. Ortachala area.
Photo by Y.Kaya, 2009.

ორთაჭალის წმ.ნიკოლოზის ეკლესია დასავლეთიდან.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Ортачальская церковь св.Николая, вид с запада.
Фото И.Микадзе, 2009г.
The Ortachala St Nicholas Church. North view. Photo by I.Mikadze, 2009

(მარგალიტაშვილი) აკურთხა. ტაძრის წინამძღვრად განამწესეს დეკანოზი ბესარიონ მენაბდე.

მამა ბესარიონის ძალისხმევით და მრევლის თანადგომით წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები. ტაძრის ინტერიერს დუღაბი ჩამოაცილეს, დაზიანებული კარ-ფანჯრები ახლით შეცვალეს, მთლიანად დამლილი სარდაფის სართული აღადგინეს და აქ მოეწყო სატრაპეზო ტაძარი ხელახლა გადაიხურა. დასავლეთის მხარეს დაიკიდა მხატვრულად დამუშავებული ხის კარები.

2002 წელს ტაძრის დროებითი კანკელი შეიცვალა ქვის ტრადიციული სტილის კანკელით, რომლის პროექტის ავტორია ნიკოლოზ დადიანი. მისივე პროექტით, ნიკოლოზ და მალხაზ პაპასქირებმა გელათის მონასტრის ტრაპეზის მსგავსად გააკეთეს ახალი, ხუთფეხიანი ტრაპეზი.

ტაძრის ეზო ქოხმახებით იყო ჩახერგილი. 1999 წელს მრევლმა შეძლო აქაურ მობინადრეთა ბინებით უზრუნველყოფა და ტერიტორია მთლიანად განთავისუფლდა. ტერიტორიის გაწმენდას მოჰყვა ტაძრის კიბეების აღდგენა, რის შემდეგადაც შესაძლებელი გახდა ტაძრის გარშემოვლა, ხოლო მთელი ტერიტორია გალავნით შემოიზღუდა.


წმინდა ნიკოლოზის ეკლესია წითელი აგურითაა აგებული და დამრეც ფერდობზე დგას. "თავისუფალი ჯვრის" ტიპის გუმბათიანი ნაგებობის რვასარკმლიანი გუმბათი – ფირუზისფერი ფილებით, ხოლო მკლავები წითელი კრამიტითაა გადახურული. ეკლესიას აქვს ორი – დასავლეთის და ჩრდილოეთის კარი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავებს სამრეკლო აქვს დაშენებული. ეკლესია სადაა, მის არქიტექტურაში გამოყენებულია როგორც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების, ისე ევროპულ-კლასიცისტური ელემენტებიც.

ტაძრის ძირითად მორთულობას ყელის სარკმლების თავსა და გვერდებზე გამოყვანილი სადა ჩუქურთმა და ჩაღრმავებული ჯვრები წარმოადგენს.

საკურთხეველი მართხკუთხაა, უაფსიდო. გუმბათის ყელში შემოინახა XIX საუკუნის მოხატულობა.

წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია მდებარეობს ყოფილი სოფელ ხარფუხის(206) ტერიტორიაზე, მ.ვეზიროვის ქუჩის №3-ში.





წმინდა ბარბარეს ეკლესია

წმინდა დიდმოწამე ბარბარეს (ახალი) ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1856 წლის 18 მარტს, ნავთლუღის ხევის მარცხენა მხარეს დეკანოზ იაკოფ და მღვდელ თეოფანე ჩიჯავაძეების თაოსნობითა და ხარჯით. თავდაპირველად ეკლესია ჯიჯავაძეთა კარის ეკლესიას წარმოადგენდა.

დეკანოზი იაკობ ჩიჯავაძე ეკლესიის შიგნით, საკურთხევლის წინ მეუღლესთან ერთად არის დაკრძალული. საფლავის ქვაზე შემორჩენილია ქართულ-რუსული ეპიტაფია: „აღმშენებელი ამა წმინდა ტაძრისა დეკანოზი იაკოფ მაქსიმეს ძე ჩიჯავაძე. 1819-90წწ." ეკლესიის ეზოში დასაფლავებულნი არიან ჩიჯავაძეების გვარის წარმომადგენლები. ეკლესია 1873 წელის 4 დეკემბერს აკურთხა საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ.


ეკლესია წარმოადგენს ქართული აგურით ნაშენ ნაგებობას დაბალყელიანი გუმბათით, რომელიც აღმართულია ჩრდილო-სამხრეთის ფასადების მსუბუქ შემკლავებაზე. დასავლეთის დაგრძელებულ მკლავზე კი ღია ფანჩატურიანი კარიბჭე-სამრეკლოა. ამ ეკლესიას ექვემდებარებოდა წმინდა ბარბარეს ძველი ეკლესია. კურთხევის დღიდან ეკლესიაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ღვთისმსახურება, რომელიც კომუნისტური წყობილების დროსაც არ შეწყვეტილა. ეკლესიის მრევლი მრავალეროვნულია, მასში ღვთისმსახურება ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობს. უკანასკნელად ტაძარი შეაკეთეს 1981 წელს. დღეისათვის მიმდინარეობს ტაძრის გამაგრებითი სამუშაოები და ეზოს მოპირკეთება.

ეკლესიის მთავარ სიწმინდეს წარმოადგენს წმინდა დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილი, რომელიც 1983 წელს კიევიდან ჩამოაბრძანა მამა გიორგი ხარაზიშვილმა, უკრაინის იმდროინდელი ეგზარქოსის, მეტროპოლიტ ფილარეტის ლოცვა-კურთხევით. საკურთხეველში დაცულ ამ სიწმინდეს ყოველი წლის 4 დეკემბერს წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღეს გამოაბრძანებენ, რათა მორწმუნეები მას ემთხვიონ და ეზიარონ მის მადლს. ასევე ამ ეკლესიაში ინახება წმინდა ბარბარეს ქვემო ეკლესიისდან გადმობრძანებული, კიევის წმინდა ვლადიმერის ტაძარში დაბრძანებული წმინდა ბარბარეს ნეკის ხისგან გამოთლილი ასლი.

ტაძარში დასვენებულია XVIII საუკუნის წმინდა ბარბარეს ხატი, რომელიც საეკლესიო გადმოცემის თანახმად, მეფე ერეკლეს შეუწირავს თავისი ქალიშვილის გამოჯანმრთელებისათვის.

წმინდა ბარბარეს ეკლესია მდებარეობს ბ.ხმელნიცკის ქუჩის №6-ში.





St. Barbara Church

The construction of Great Martyr St. Barbara Church was accomplished in 1873. It is a brick temple of Single-nave style with a belfry and a dome erected in the middle of it. Since the day of its construction Divine Services have not ceased. The main sacred object of the church is a holy relic from St. Barbara's tomb in Kiev which was brought here in 1983.

Церковь св. Варвары

Строительство православной церкви св. Великомученицы Варвары завершилось в 1873 году. Церковь представляет собой построенное из грузинского кирпича здание с куполом. Со дня освящения в церкви непрерывно проводится богослужение. Главной святыней церкви являются привезенные в 1983 году из Киева святые мощи св. Великомученицы Варвары.

წმ ბარბარეს ეკლესია დ ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი
Церковь св.Варвары. Фото Д.Ермакова, начало XXв.
St Barbara Church. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

წმ ბარბარეს ნეკის ხის ასლი. ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Деревянная копия мизинца св.Варвары. Фото И Микадзе, 2009г.
The wooden replica of St. Barbara's little finger. Photo by I Mikadze, 2009.

წმ ბარბარეს ეკლესია თ დოლიძის ფოტო, 2009წ
Церковь св.Варвары. Фото Т.Долидзе, 2009г.
St. Barbara Church. Photo by T.Dolidze, 2009.



წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია

თბილისელი მედიკოსის ა.ლიბუას თაოსნობითა და არქიტექტორ ა.ზალცმანის[207] 1865 წლის პროექტით დავით აღმაშენებლის (ყოფ. მიხეილის) გამზირზე აშენდა ქალაქის საავადმყოფო, რომელიც უკვე აღნიშნულია თბილისის 1867 წლის გეგმაზე. ამ საავადმყოფოს კომპლექსის მშენებლობა ა.ზალცმანის გარდაცვალების (1897წ.) შემდეგაც მიმდინარეობდა, რასაც ხელმძღვანელობდა არქიტექტორი ლ.ბილფელდი. მან 1911-1913 წლებში მთელი ტერიტორიის გადაგეგმარება და რამდენიმე ნაგებობის რეკონსტრუქციაც ჩაატარა. თბილისის საქალაქო საავადმყოფოს 1881 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის პატივსაცემად – მიხეილის საავადმყოფო ეწოდა.

თავდაპირველად ეკლესია მიხეილის საავადმყოფოს შენობაში იყო განთავსებული. სავარაუდოდ, 1893 წელს სწორედ ამ სამლოცველოში აუგეს წესი ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ყაზბეგს[208]. თედო სახოკია[209] წიგნში – „ჩვენი საუკუნის ადამიანები "წერს: „დიმიტრი ყიფიანის[210] შემდეგ საქართველოში ასეთი ამბით მარტო ალექსანდრე ყაზბეგს ეღირსა დასაფლავება! ზღვა ხალხი, ქალი, კაცი შეგროვდა, მწერლობის მსახურნი, საზოგადო მოღვაწენი. კუკიის ხიდთან რომ იყო სამგლოვიარო პროცესიის თავი, ბოლო ისევ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოსთან ჩანდა დიდი მთავრის (ამჟამად კამოს) ქუჩაზე".

თუმცა მალევე, საავადმყოფოს ტერიტორიაზე ეკლესიისათვის ცალკე შენობა აშენდა. მიუხედავად ახალი ეკლესიისა, შენობაში არსებულ სამლოცველოს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია.

1919 წლის 21 ივლისს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სახელით დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წერს: "პატივისცემით გაცნობებთ, რომ საკათალიკოზო საბჭომ ამა წლის 8 ივლისს განიხილა სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანის მოხსენების ასლი ქალაქის მიხეილის საავადმყოფოს შენობაში მართლმადიდებელთა ეკლესიის გაუქმების შესახებ და გამოიტანა შემდეგი განჩინება: ეცნობოს, რომ თუმცა საკათალიკოსო საბჭოს სამწუხაროდ მიაჩნია მიხეილის სახელობის საავადმყოფოში ეკლესიის მოშლა, მაგრამ ვინაიდგან საავადმყოფოს ეზოში აგებულია ახალი ტაძარი, შესაძლებლად სცნობს პირველის ეკლესიის მოშლას და იქ მოთავსებულ სიწმინდეთა ახალ ტაძარში გადასვენებას". სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ვის სახელობაზედ იყო ეს სამლოცველო ნაკურთხი.

საავადმყოფოს ტერიტორიაზე აშენებული ახალი ეკლესია მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე აკურთხეს. ის ცალნავიანია, სამრეკლო-კარიბჭით დასავლეთით. ეკლესია ფსევდო-რუსულ ყაიდაზეა მორთული. მასში განზრახული იყო მიცვალებულთათვის წესის აგება.

გიორგი მაჭარაშვილი 2003 წლის გაზეთ „მადლის" №10-11-ში წერს: "1888-1903 წლებში მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესიაში მსახურობდა დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი[211], შემდგომში ეპისკოპოსი სტეფანე, ქართული გალობის დიდი მოამაგე. დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის მოხსენებითი ბარათით სინოდის ობერპროკურორ სომბლერასადმი ირკვევა, რომ ეკლესიასთან არსებულა დაწყებითი სკოლის შენობა, რომელიც ეგზარქოს პალადის 1889 წლის 21 მარტის განკარგულების საფუძველზე 1889 წლის 12 სექტემბერს გახსნილა. სკოლის გახსნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტა-

St. Michael the Archangel Temple


St. Michael the Archangel Temple of the hospital was built in the second half of the 19th century. The church was assigned for the ministry of the last rites for the deceased. Until the 20s of the 20th century Divine Services did not cease in the temple. But, after that a special building for a laboratory was adjoined to it and an auditorium was arranged inside the temple. The laboratory also consisted of the Chair of Pathological Anatomy of the Medical College and a room for dissection. Early in the 1990s the temple was returned to the Patriarchate. It was consecrated anew in 1996.

Храм св. архангела Михаила

Во второй половине XIX века во дворе тбилисской больницы был построен православный храм св. архангела Михаила. В больничной церкви предусматривалось отпевание покойников. Служба в церкви осуществлялась до 20-ых годов XX века, затем к ней пристроили лабораторию и церковь переделали в аудиторию. В здании лаборатории функционировали прозектура и кафедра патологической анатомии медицинского института. В начале 90-ых годов церковь была возвращена Патриархии. Храм вновь освящен в 1996 году.

წმ მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია და კარიბჭე ი მიქაძის ფოტო. 2009წ.
Церковь св. архангела Михаила и врата. Фото И.Микадзе, 2009г.
Church of St Michael the Archangel. Porch. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ინტერიერი ი მიქაძის ფოტო. 2009წ
Интерьер церкви св. архангела Михаила. Фото И.Микадзе, 2009г.
Church of St Michael the Archangel. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.



ნიათ საავადმყოფოს მთავარ ექიმს მარკ გოლბეკს და მის ქალიშვილს ანას. ეს სკოლა შემდგომში დამწვარა. აღნიშნული მიმართვით დეკანოზი ვასილი თხოულობდა დახმარებას სკოლის აღდგენაში".

ტაძარში წირვა-ლოცვა XX საუკუნის 20-იან წლებამდე აღევლინებოდა. XX საუკუნის 20-იან წლებში ტაძარს ლაბორატორია მიაშენეს, ტაძარი კი აუდიტორიად გადაკეთდა. ლაბორატორიის შენობაში ფუნქციონირებდა პროზექტურა და სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრა.

1990-იან წლების დასაწყისში ეკლესია საპატრიარქოს დაუბრუნდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარს ჩაუტარდა რესტავრაცია. სამუშაოებს დეკანოზი ხვთისო შალიკაშვილი და მამა მიქაელ შაიშმელაშვილი ხელმძღვანელობდნენ. სარესტავრაციო სამუშაოებმა ტაძარს ძველებური იერსახე შეუნარჩუნა.

"ტაძარი ხელახლა ეკურთხა 1996 წლის 19 სექტემბერს წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე. დღესასწაულის წინა დღეს, 18 სექტემბერს, მეუფე ნიკოლოზმა მწუხრის ლოცვა აღავლინა, ზეთი სცხო მრევლს და კურთხევის აღსრულებას შეუდგა. აკურთხა ტაძრის ტრაპეზი, მირონი სცხო მას და სანაწილის წინ ამოკვეთილ ჯვარში წმიდა ნაწილი ჩაასვენა. შემდეგ მირონი სცხო ტაძრის შიდა კედლებს და ტაძარს საზეიმო პროცესიით გარს შემოუარა. ხოლო დღესასწაულის დღეს ტრაპეზს ოდიკი გადააფარა, მირონი სცხო ტაძრის გარე კედლებს... მწუხრის ლოცვისას და ლიტურგიისას განუწყვეტლივ გაისმოდა ზარების რეკვა". („ტაძრის სიცოცხლე", გაზ. „მადლი", 1996 წლის 25 ოქტ. №7-8)

მიხეილ თუმანიშვილის(212) ოჯახმა რეჟისორის კოლექციიდან მისი ანდერძისამებრ წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარს შესწირა მცირე ზარი, რომელიც XIX საუკუნით თარიღდება.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, მართი კუთხით შვერილი საკურთხევლის აბსიდით. ტაძრის სამხრეთ ფასადზე, დასავლეთ კუთხესთან მიშენებულია თაღოვანი კარიბჭე სამრეკლოთი. სამრეკლოზე ასვლა შესაძლებელია სამრეკლოს გარეთა მხრიდან გაკეთებული რკინის კიბით. სამრეკლოს მეორე სართულიდან შესასვლელია დატანილი ტაძრის დასავლეთ მხარეს მგალობელთათვის მოწყობილ პატრონიკეს აივანზე.

საკურთხეველში მაცხოვრის ფრესკა შესრულებულია ი.მოსაშვილის მიერ, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოხატა დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ. ტაძარში როგორც ახლად დაწერილი, ასევე XIX საუკუნის რუსული ხატებია. კარიბჭის თავზე ეზოს შიდა და გარე მხრიდან ჩასმულია მთავარანგელოზ მიქაელის ფერწერული გამოსახულება. ჭიშკრის ალათები ხისაა, რომელზეც წმინდანთა ხატებია ამოკვეთილი. კარები ასევე დამშვენებულია ჯვრებით და სხვა კვეთილი ორნამენტაციით. კარიბჭე დაგვირგვინებულია ჯვრით.

თბილისის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია მდებარეობს დ.უზნაძის ქუჩის №47-ში.



კუკია და მიხეილის სააავადმყოფო. XIXს დასასრული ფოტო. *Кукия и Михайловская больница. Фото конца XIXв Kukia and St Michael hospital. Late 19th c.*

წმ მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ხატი ი.მიქაძის ფოტო, 2009წ *Икона церкви св. архангела Михаила. Фото И.Микадзе, 2009г. St. Archangel Michael the Archangel. The icon of the Church. Photo by I. Mikadze, 2009*

უფლის ფერისცვალების ეკლესია



თბილისში 1864 წლიდან ბინა დაიდო მე-16 გრენადერთა სამეგრელოს პოლკმა. პოლკი განთავსდა სამხედრო საინჟინრო უწყებების ყაზარმულ შენობებში, რომლებიც მდებარეობდა დღევანდელი ალვანის, აბდუშელიშვილის, ლომოურისა და ცუცქირიძის ქუჩებს შორის მოქცეული კვარტალის ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნული პოლკი შეიქმნა 1834 წელს 41-ე და 42-ე ეგერთა ნაწილების, ქართველი გრენადერების და აფშერონის ქვეითი პოლკებიდან. ამ შენაერთებს, რომელსაც ეწოდა მე-16 გრენადერთა სამეგრელოს პოლკი, ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი დიმიტრი კონსტანტინეს ძე რომანოვი.

მღვდელი გრიგორი ციტოვიჩი წერს: „პოლკის მიერ დამსახურებული და მის ფორმირებაში მონაწილე ნაწილების კუთვნილი საბრძოლო წარმატებანია: 1)წმინდა გიორგის საპოლკო დროშა წარწერით „1811 წ. 7-8 დეკემბერს თურქული ციხე-სიმაგრის ახალქალაქის შტურმით აღებისას გამოჩენილი მამაცობისათვის; 1854წ. ჩინგილის სიმაღლეებზე ბრძოლისას გამომჩენილი მამაცობისათვის; კავკასიის ომისა და 1877 წ. 20 სექტემბერს ხაჯი-ვალესთან ბრძოლისათვის; 2)საქუდე ნიშნები 1826-29წწ. სპარსეთთან და თურქეთთან ომისათვის; 3)წმინდა გიორგის ორი ბუკი კავკასიის ომისათვის; 4)წმინდა გიორგის სასიგნალო საყვირი 1864წ. დასავლეთ კავკასიის დაპყრობისათვის; 5)მუნდირზე შტაბს და ობერ-ოფიცრების ყაითნის დანაკერები 1877-1878 წწ. თურქეთის ომისთვის."

მე-16 გრენადერთა სამეგრელოს პოლკს ჰქონდა თავისი მოძრავი რუსული სამხედრო ეკლესია, რომელიც უფლის ფერისცვალების სახელზედ იყო ნაკურთხი. ჩვენთვის უცნობია ყაზარმულ შენობებში ამ ეკლესიისათვის გამოყოფილი იყო თუ არა ცალკე შენობა ან დარბაზი. გრიგორი ციტოვიჩის ცნობით, მასში ერთი მღვდელი მსახურობდა. ეს მოძრავი ეკლესია თან ახლდა სამხედრო ნაწილს 1864 წელს დასავლეთ კავკასიის და 1877 წლის კავკასიისათვის ბრძოლებში. პოლკში პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი. მე-16 გრენადერთა სამეგრელოს პოლკმა იარსება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.


მე-16 გრენადერთა სამეგრელოს პოლკის ყაზარმული შენობების ადგილას დღეს საქართველოს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაა აშენებული.

Transfiguration of the Lord Church

In 1834 the Sixteenth Mingrelian Grenadiers' Regiment was established. It was stationed in Tbilisi. According to tradition the regiment had its own church which in 1864 was consecrated and dedicated to the Transfiguration of the Lord.

Церковь Преображения Господня

Созданный в 1834 году мингрельский 16-ый полк гренадеров обосновался в Тбилиси. Традиционно полк имел свою церковь, которая в 1864 году была освящена во имя Преображения Господня.



საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია.
გ. კობერიძის ფოტო, 2009წ
Резиденция Президента Грузии.
Фото Г.Коберидзе, 2009г.
The residence of the President of Georgia
Photo by G. Koberidze, 2009.

ყოფილი ყაზარმების შენობები.
ნ. კორძახიას ფოტო, 2009წ
Здания бывших казарм.
Фото Н.Кордзахия, 2009г.
The buildings of former barracks.
Photo by N.Kordzakhia, 2009.

ყაზარმის შიდა ხედი
ნ. კორძახიას ფოტო, 2009წ
Внутренний вид казарм.
Фото Н. Кордзахия, 2009г.
Barracks, Interior.
Photo by N.Kordzakhia, 2009.

წმინდა ალექსანდრე ნევსკის ეკლესია

თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია აშენდა ე.წ. გერმანელთა თბილისის კოლონიაში, ალექსანდრეს მოედანზე 1864 წელს, მორწმუნეთა პირადი შენაწირებით და რუსეთის წმინდა სინოდის მიერ გამოყოფილი თანხით.

თავდაპირველად ეკლესია წარმოადგენდა რვანაწილიანი შეკრული კამარით კუბურ ნაგებობას. 1870-1880-იან წლებში ეკლესია გაფართოვდა დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. დასავლეთ მკლავზე დაშენდა გუმბათიანი სამრეკლო. შენობის არქიტექტურა რუსული სტილის ადრეული ნიმუშია. ფასადთა გაფორმებაში გამოყენებულია კლასიციზმის ელემენტებიც.

ეკლესიის ტერიტორიაზე მდებარეობს გუმბათიანი სამლოცველო, რომელიც 1869 წელს აშენდა გლამაზდიანების ოჯახის მიერ. 1886 წელს ჩრდილოეთი, დასავლეთისა და აღმოსავლეთი მხრით მინაშენებმა ტაძარი ორჯერ გაზარდა: აღიმართა ერთიარუსიანი სამრეკლო კარიბჭით და ქვის კიბით. ეკლესიაში ორი ტრაპეზია: წმინდა ალექსანდრე ნეველის და წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედისა. ეს მეორე ტრაპეზი 1900 წელს დაარსდა საკურთხევლის მარჯვნივ მდებარე ეკვდერში – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მირონცხების პატივსაცემად.

აქვე, ეკლესიის ტერიტორიაზე, მარჯანიშვილისა და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობს თეოდორისეული ღვთისმშობლის ხატის სამლოცველო, რომელიც 1913 წელს აშენდა და მიეძღვნა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავს. 1988 წელს ტაძარი ხელახლა შემოიღობა, დაიდგა ახალი კარიბჭე.

ეკლესიის მსახურთა შტატი თავიდანვე ოთხი წევრით განისაზღვრებოდა: წინამძღვარი, მეორე მღვდელი, მესამე მღვდელი და დაიკონი, აგრეთვე-მეფსალმუნე. ტაძრის წინამძღვრები იყვნენ ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწეები: ალექსანდრე რაზუმოვსკი, იოანე სალუნინი, იოანე ჩეპელევი, იოანე ლოზოვოი, იოანე სმირნოვი, მეთოდი გირეკნო, დეკანოზი მიხეილ დიდენკო. არქიმინადრიტი, შემდგომ-

St. Alexander Nevski Church

The Tbilisi Orthodox Russian Church of St. Alexander Nevski was built in 1864. Its architecture is an example of Early Russian style. Two shrines of holy relics repose in the temple.

Церковь св. Александра Невского

Русская православная церковь св. Александра Невского построена в 1864 году, архитектура здания является ранним образцом русского стиля. В церкви находятся две раки со святыми мощами.

წმ.ალ.ნეველის ეკლესია დასავლეთიდან. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ
Церковь св. Ал.Невского, вид с запада. Фото М.Кутателадзе, 2007г.
St Alexander Nevski Church. West view. Photo by M.Kutateladze, 2007.



წმ.ალ.ნეველის ეკლესიის სამლოცველო. გ.ჭანიშვილის ფოტო, 2009წ.
Часовня церкви св.Ал.Невского. Фото Г.Чанишвили, 2009г.
The chapel of St. Alexander Nevski Church. Photo by G.Chanishvili, 2009.



წმ.ალ.ნეველის ეკლესიის სამლოცველო. მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ
Часовня церкви св.Ал.Невского. Фото М.Кутателадзе, 2007г.
The chapel of St. Alexander Nevski Church . Photo by M.Kutateladze, 2007.



ში მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა(213), რომელმაც აღკვეცა ბერად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

ტაძარში 1969 წლიდან მსახურობდა მამა ვიტალი (სიდორენკო)(214), რომელიც ტაძრის ეზოშია დაკრძალული.

ტაძარში დაბრძანებულ ხატთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სმოლენსკის ღვთისმშობლის, წმინდა ალექსანდრე ნეველის, წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის, ღვთისმშობლის საფარველის, წმინდა სერაფიმე საროველის, წმინდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის და სხვათა ხატები.

ტაძარში წმინდა ნაწილთა ორი ლუსკუმაა, რომელშიც ინახება წმინდა მარიამ მაგდალინელის, წმინდა ნინოს, წმინდა ნიკოლოზის, წმინდა შიო მღვიმელის და სხვა დიდ წმიდანთა ნაწილები.


წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია მდებარეობს ჩუღურეთში, ივ.ჯავახიშვილის ქუჩის №69–ში.



წმ.ალ ნეველის ეკლესია დასავლეთიდან. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Церковь св.Ал Невского, вид с запада. Фото И.Микадзе, 2009г./
St Alexander Nevski Church. West view. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.ალ ნეველის ეკლესიის ინტერიერი
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Интерьер церкви св.Ал.Невского.
Фото И Микадзе, 2009г
St. Alexander Nevski Church. Icons.
Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.ალ.ნეველის ეკლესიის ხატები ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Иконы церкви св.Ал.Невского. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Alexander Nevski Church. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.






წმინდა პეტრე და პავლე მოციქულთა კათოლიკური ტაძარი

საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამ მეტად გაართულა კათოლიკეთა ბედი საქართველოში. იმპერიული ხელისუფლება ვერ იტანდა თავის იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას, მათ პირდაპირ კავშირს რომთან. იგი გამუდმებით ეძებდა მიზეზს კათოლიკეთა საქართველოდან გასაძევებლად.

რუსეთის ხელისუფლება პატრებს ნებართვას მისცემდა დარჩენილიყვნენ საქართველოში, თუ ისინი გახდებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომები, შეწყვეტდნენ კავშირს უცხოეთის სასულიერო ხელისუფლებასთან და დაემორჩილებოდნენ მოგილიოვის კონსისტორიას. იმის გამო, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ უარი თქვა შეესრულებინა რუსეთის ხელისუფლების მიერ წამოყენებული პირობები, ისინი 1845 წლის იანვარში გააძევეს თბილისიდან.

თბილისიდან გაძევებული პატრე დამიანე ვიარეჯიელი ტრაპიზონიდან გაგზავნილ წერილში რომის პაპს აღუწერს რუსეთის ხელისუფლების მიერ მათ შევიწროვებას, რომ პატრებს აკრძალული ჰქონდათ წერილების მიწერ-მოწერა წმინდა საყდართან, განსაკუთრებით პროპაგანდასთან. ხელისუფლებას არ მოსწონდა, რომ პატრები დამოკიდებულნი იყვნენ იმ ხელისუფლებაზე, რომლის რეზიდენცია იმპერიაში არ იმყოფებოდა. ამიტომ ისინი ძალით გაყარეს მონასტრიდან, ბადრაგის თანხლებით თურქეთის საზღვრამდე მიიყვანეს და ბარბაროსულად გააძევეს საქართველოდან. მათ აეკრძალათ საქართველოში საეკლესიო მოღვაწეობა.

ისტორიკოსი რ.თოფჩიშვილი წერს: „ევროპელი კათოლიკეების გაძევების შემდეგ ქართველი კათოლიკეების სრული ბატონ-პატრონი სომხურ-კათოლიკური ეკლესია შეიქმნა. აქამდე თუ ქართველი კათოლიკეები ზოგჯერ ახერხებდნენ ლათინური ტიპიკონის გამოყენებას და ლათინურთან ერთად ქართულად წირვა-ლოცვას, ახლა ყველასი და ყველაფრის პატრონად სომხურ-კათოლიკური ეკლესია იქცა თავისი სომხური რიტით. ქართველმა კათოლიკეებმა კი ახალი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა ქართული რიტისათვის.. მაგალითად იკმარებს პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ კონსტანტინოპოლში 1861 წელს დაარსებული ქართული კათოლიკური ეკლესია თავისი ქართული რიტით, სასულიერო სასწავლებლითა და სტამბით. თუმცა, ქართველ კათოლიკეთა ბრძოლა ქართველობისა და ქართული ტიპიკონისათვის ყოველთვის წარმა-



წმ პეტრე და წმ პავლე მოციქულთა ტაძარი
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Храм св. апостолов Петра и Павла. Фото Д Ермакова, конец XIXв.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Photo by D. Ermakov. End of 19th c.

წმ პეტრე და წმ პავლე მოციქულთა ტაძრის ინტერიერი
დ ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Интерьер храма св. апостолов Петра и Павла.
Фото Д Ермакова, начало XXв.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Interior.
Photo by D.Ermakov. Early 20th c.

SS.Peter and Paul Catholic Church

In the 19th century the number of Catholic believers increased in Tbilisi. In 1887 the viceroy of the Caucasus gave his consent on the erection of a new Catholic church and its construction started in 1870. A new organ and two harmoniums were sent from Austria and installed in the church. In 1877 the temple was consecrated. The paintings exposed in the church depict the themes of the Christian religion. In the period of the Communist rule the only working temple in Tbilisi was the Catholic Church of Peter and Paul the Apostles which was subordinated to the Bishop of Lithuania. After Georgia had gained her independence in 1993, the Vatican Embassy was opened and the Apostolic Bishopric of the Latin Catholic rite has revived. For the Catholic congregation the visit of Pope of Rome John II to Tbilisi in the October of 1999 was an event of tremendous significance. He celebrated a Mass for them.

Католическая церковь апостолов св. Петра и Павла

В XIX веке в Тбилиси растет число католиков. Наместник Российского царя на Кавказе в 1867 году положительно решил вопрос строительства новой церкви и в 1870 году приступил к ее возведению. Для церкви из Австрии привезли и установили церковный орган и две фисгармонии. Храм был освящен в 1877 году. Восстановленные в церкви художественные полотна отражают темы христианской религии. В период социализма в Тбилиси действовала только церковь апостолов св. Петра и Павла, которая подчинялась епископу Литвы. После того, как Грузия смогла восстановить независимость, в Тбилиси в 1993 году открылось Посланство Ватикана и вновь было восстановлено апостольское епископство католического, латинского порядка. Для католической паствы важнейшим событием стал визит Папы Римского Иоанна II в Грузию, который в октябре 1999 года провел торжественную мессу в Тбилиси.




წმ.პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძრის ინტერიერი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Интерьер храма св. апостолов Петра и Павла. Фото Д.Ермакова, начало XXв.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Interior. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

წმ.პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძრის ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Интерьер храма св. апостолов Петра и Павла. Фото И.Микадзе, 2009г.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.

ტებული როდი იყო. მათ წინ ცარიზმის ხელისუფლებაც ეღობებოდა. სამწუხაროდ, ქართველ კათოლიკეთა ნაწილი მაინც გასომხდა. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა კათოლიკეებმა, მოწინავე ქართულ საზოგადოებასთან ერთად, დიდხანს იბრძოლეს, რომ თავიანთი ქართველობა დაედასტურებინათ და სომხურ-კათოლიკური ეკლესიის კლანჭებიდან გამოეხსნათ თავი. ქართველ კათოლიკეთაგან ძმები ზუბალაშვილების, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის და მიხეილ თამარათის მოღვაწეობაც იკმარებს. მიხეილ თამარაშვილი ხომ იტალიაში საქართველოს ისტორიის ობიექტურად შესწავლის გამო ჩაახრჩვეს ზღვაში. მისი იტალიიდან საქართველოში ჩამოსვენება კი ეროვნულ მანიფესტაციად იქცა და ამ პროცესიაში მთელი ქართული მართლმადიდებელი სამღვდელოებაც მონაწილეობდა".

თბილისში დარჩნილი სომხური წესის პატრები მოსახლეობამ არ მიიღო და ხელისუფლება იძულებული გახდა პოლონელი მღვდლები მოეწვია. 1848 წელს რომის წმინდა საყდარსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება იმ-





წმ პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძრის პროექტი
Проект храма св. апостолов Петра и Павла.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Project.

წმ.პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძრის გუმბათქვეშა სივრცე. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Подкупальное пространство храма св. апостолов Петра и Павла. Фото И.Микадзе, 2009г.
SS. Peter and Paul the Apostles Church. The space under the dome. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.პეტრეს ქანდაკება წმ.პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძარში. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Статуя св.Петра в храме св. апостолов Петра и Павла. Фото И.Микадзе,2009г.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Statue of St. Peter. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ პავლეს ქანდაკება წმ.პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძარში. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Статуя св.Павла в храме св. апостолов Петра и Павла. Фото И.Микадзе,2009г.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Statue of St. Paul. Photo by I.Mikadze, 2009.

პერიის კათოლიკეთა შესახებ. საქართველოს ყველა კათოლიკე ტირასპოლის ახალი ეპარქიის გამგებლობას დაუქვემდებარეს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეშალა კათოლიკური ეკლესიისათვის, მრევლი მაინც მატულობდა. ეროვნებით პოლონელი მორწმუნეების დიდი ნაწილი შემოვიდა საქართველოში. ჯერ კიდევ 1841 წელს პატრების წინამძღვარმა დამიანე ვიარეჯიელმა ლიონის სარწმუნოების პროპაგანდის საბჭოს წერილი გაუგზავნა, სადაც წერდა: "...თბილისის ეკლესია, რომელსაც სივიწროვისა და უცხო ერის მოზღვავების შედეგად მოსახლეობის საგრძნობლად გაზრდის გამო არ შეუძლია დაიტიოს კათოლიკეთა ნახევარიც კი... ამიტომ ვფიქრობთ, უფრო დიდი ერთი ეკლესია ავაშენოთ...".

კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძეს რომანოვმა(215) 1867 წელს დადებითად გადაწყვიტა ახალი ეკლესიის აშენების საკითხი და კათოლიკეებმა ახალ კუკიაში ნიკოლოზის ქუჩაზე ეკლესიისათვის 400კვ. საჟენი ფართობი მიწის ნაკვეთი მიიღეს. მშენებლობა 1870 წლის 10 მაისს დაიწყო.


ახალი ეკლესიის პროექტი ალბერტ ზალცმანმა 1861 წელს შეადგინა, მას რომაული ბაროკოს სტილის, კერძოდ კი ვინიოლას ილ ჯეზუს ტაძრის ფორმა უდევს საფუძვლად. თბილისელ კათოლიკეთა სინოდმა გადაწყვიტა პეტრე და პავლე მოციქულთა სახელზე ეკურთხებინათ ახალი ეკლესია. მშენებლობას სათავეში ჩაუდგა კათოლიკეთა მრევლის მამასახლისი შტაბს-კაპიტანი სტეფანე ზუბალაშვილი(216).

ალბერტ ზალცმანი ერთდროულად დანიშნულ იქნა მშენებლობის უფროსად. შემოწირებულობანი გაიღეს კუკიაში მცხოვრებმა პოლონელი არისტოკრატიისა და გენერალიტეტის წარმომადგენლებმა. ამ საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართველმა კათოლიკეებმა – თავადმა კ.ერისთავმა, ი.თუმანიშვილმა.

1886 წელს ავსტრიიდან ჩამოიტანეს და ააწყვეს საეკლესიო ორღანი, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ ამიერკავკასიაში. ორღანთან ერთად ორი ფისგარმონიაც დაიდგა. ტაძარი შენდებოდა შვიდი წლის განმავლობაში და მისი კურთხევა 1877 წლის 16 ოქტომბერს შედგა. პირველი მოძღვარი იყო პოლონელი მაქსიმილიან ორლოვსკი. მან გარკვეული ღვაწლი დასდო საეკლესიო ცხოვრებას. მისი მეცადინეობით ითარგმნა და დაიბეჭდა ლოცვათა კრებული ქართულ ენაზე. „სამწუხაროდ მ.ორლოვსკისა და წმ. მარიამის ამაღლების ეკლესიის მღვდელ მიხეილ თამარაშვილს შორის წარმოქმნილი დავა მტრობაში გადაიზარდა", - წერს ნუგზარ ბარდაველიძე.

პატრიოტმა მოძღვარმა, მიხეილ თამარაშვილმა ეკლესიის კათედრა სამშობლოს სადიდებელ ტრიბუნად გადააქცია. მ.ორლოვსკი კი რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელთა მხარეს აღმოჩნდა. ისარგებლა რა თავისი მაღალი სასულიერო წოდებით, აგრეთვე იმით, რომ მის ძმას თბილისის გუბერნატორის პოსტი ეკავა, 1889 წელს მან მიხეილ თამარაშვილი ახალციხეში განდევნა და მღვდელმსახურების უფლება ჩამოართვა. მთავარმართებლის მითითებით "უცხოსა და უცხო იდეების მატარებელს" მღვდელს საქართველოში ცხოვრება აუკრძალეს.

მომდევნო წლებში წმინდა პეტრე და წმინდა პავლეს ეკლესიას დააშენეს







გუმბათი, კედლები შეილესა. ააგეს ლითონის კონსტრუქცია – ბალდახინი "კონფესია", რომის წმინდა პეტრეს ტაძარში მის საფლავზე დადგმულ ბრინჯაოს ნაგებობის მსგავსად. კაკლის ხისაგან გაკეთდა ამბიონი – ამაღლებული ადგილი მღვდელმთავრისათვის, საიდანაც იკითხებოდა სახარება, ფსალმუნი, წარმოითქმებოდა ლოცვანი და ქადაგებანი. გვერდითი საკურთხევლები იტალიური და ქართული მარმარილოსაგან 1906 წელს ააგო საქართველოში ცნობილმა იტალიელმა მშენებელმა და მოქანდაკემ, მარმარილოს სახელოსნოთა მფლობელმა ანჟელო ანდრეოლეტიმ. მოზაიკური იატაკიც მისი მაღალი ხელოვნების ნაყოფია, რასაც ადასტურებს ტაძრის შესასვლელში შესრულებული წარწერა.

ტაძრის მოცულობა, რენესანსული სტილით შესრულებული ფასადების გაწონასწორებული კომპოზიცია და ჰარმონიულად შერწყმული არქიტექტურული დეტალები ქმნიან რელიგიური ნაგებობის დასრულებულ სახეს. შენობის გეგმა წაგრძელებული ოთხკუთხედია. მისი სიგრძეა 36 მ., სიგანე 20 მ. სიმაღლე გუმბათის წვერამდე 24მ. თავისი ზომების მიხედვით ეს ტაძარი წმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის აგებამდე ყველაზე დიდ საეკლესიო ნაგებობას წარმოადგენდა თბილისში კედლები გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკური თვისებებით. ეკლესიაში გამოფენილი მხატვრული ტილოები სახარების თემებს ასახავს.

გალავანი აგებულია 1891 წელს ქართველი კათოლიკე ვაჭრის ივანე ჯიმშერაშვილის და მისი ოჯახის სახსრებით. ეზოში განისვენებს რამდენიმე წინამძღვარი, მათ შორის ემანუელ ვარდიძე და კონსტანტინე საფარაშვილი – რომის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული.

XIX საუკუნის ბოლო წლებში თბილისის კათოლიკურმა ეკლესიამ გააფართოვა თავისი საქმიანობა კულტურულ სფეროშიც: საქველმოქმედო საზოგადოება აწყობდა საღამოებს, იდგმებოდა პიესები. ხუდადოვის ქუჩაზე დაარსებულ "პოლონურ სკოლაში" მოსწავლეთა კონტიგენტის უმრავლესობას შეადგენდნენ ეროვნებით პოლონელი ბავშვები.





XX საუკუნის პირველ ხანებში საქართველოს კათოლიკური საკრებულოები მეტად აქტიურად იღწვოდნენ ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამის დასტურად ზუბალაშვილების(217) მოღვაწეობაც კი კმარა, რომლებიც უდიდეს თანხებს იღებდნენ ქველმოქმედებისა და მრავალი საქვეყნო საქმისათვის.

1918-1921 წლებში საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლებამ უმალ გამოაცოცხლა რომისა და საქართველოს ურთიერთობა. 1918 წელს რომის პაპს ბენედიქტ XV-ის საქართველოს პატრიარქის კირიონ II-ის წერილი გადასცეს. კათოლიკოსი პაპს თავის ხელდასხმას აუწყებდა და ორ ეკლესიას შორის ძველ მეგობრულ კავშირებს შეახსენებდა. გარდა ამისა, საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა უმცირესობის პატივისცემას პირდებოდა.

1920 წლის 19 ნოემბერს რომის პაპმა სპეციალურ აუდიენციაზე საქართველოში გამოსაგზავნად შერჩეული მისიონერები მიიღო. მომდევნო წლის დასაწყისში ისინი აქეთ გამოემგზავრნენ, მაგრამ თბილისამდე ვეღარ ჩამოაღწიეს – ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო. სოციალიზმის პერიოდში, თბილისში მოქმედი იყო მხოლოდ წმინდა პეტრე და წმინდა პავლეს მოციქულთა ტაძარი, რომლის წინამძღვარიც ლატვიის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მრევლი საგრძნობლად შემცირდა პოლონელთა დიდი ნაწილის სამშობლოში დაბრუნების გამო. მაგრამ ეკლესიას, რეპრესიებისა და დევნის მიუხედავად, თავისი საქმიანობა არ შეუწყვეტია. 1937 წლამდე ეკლესიას მზრუნველობას არ აკლებდა გიორგი თუმანიშვილი, რომლის რეპრესირების მერე ეკლესია დახურვისაგან იხსნეს თბილისსა და მის გარეუბანში მცხოვრებმა გერმანელებმა.

მას შემდეგ, რაც საქართველომ შესძლო დამოუკიდებლობის აღდგენა თბილისში 1993 წელს ვატიკანის წმინდა ტახტის სადესპანო გაიხსნა და კვლავ აღდგა ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო საეპისკოპოსო კათოლიკური მრევლისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო რომის პაპის იოანე II-ს ვიზიტი თბილისში, რომელმაც 1999 წლის 9 ნოემბერს საზეიმო მესა აღავლინა. ამ მესას 10 ათასზე მეტი ადამიანი დაესწრო, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა კათოლიკეები იყვნენ.


თბილისის წმინდა პეტრე და წმინდა პავლე მოციქულთა კათოლიკური ტაძარი მდებარეობს ივ.ჯავახიშვილის ქუჩის №55-ში.

წმ პეტრე და წმ პავლე მოციქულთა ტაძრის საქადაგებელი კათედრა. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Кафедра проповедей храма св. апостолов Петра и Павла. Фото И.Микадзе, 2009г.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Pulpit. Photo by I. Mikadze, 2009.

ქრისტეს დატირება წმ პეტრე და წმ პავლე მოციქულთა ტაძარში. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Плач по Христу в храме св. апостолов Петра и Павла. Фото И.Микадзе, 2009г.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Lamentation of the Most Holy Theotokos. Photo by I.Mikadze, 2009.


წმ.პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძარი ივ.გოლიაძის ფოტო. 2009წ.
Храм св. апостолов Петра и Павла. Фото И.Голиадзе, 2009г.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Photo by I.Golidze, 2009

წმ პეტრე და წმ პავლე მოციქულთა ტაძრის ინტერიერი XXს დასაწყისი.
Интерьер храма св. апостолов Петра и Павла. начало XXв.
SS. Peter and Paul the Apostles Church. Interior. Early 20th c.





Wnetrze kościoła św. P. i P. w Tyflisie



ებრაელების "მუნთუნაანთ დარბაზი"

ტრაგიკული მოვლენები არა მარტო თბილისს ანადგურებდნენ, არამედ იწვევდნენ ქალაქის მოსახლეობის ახლიდან დაწყობას, რაც ხშირად ძალიან განსხვავდებოდა წინა პერიოდისაგან. ასევე იყო ებრაელი მოსახლეობაც, ომიანობის პერიოდში მისი გარკვეული ნაწილი ტოვებდა თბილისს, სხვა ახალი ნაწილი კი შემოდიოდა.

ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში ახალი პერიოდი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყება. ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „ქართველთ ებრაელნი საქართველოში" წერს: „XIX საუკუნის დამდეგს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, მაშინ აქ მათი რიცხვი ერთობ მცირე იყო. შემდეგ დროებაში აქ ქართველ ებრაელთა თავი მოიკრიბეს, უმეტესად ახალციხიდამ გადმოვიდნენ, დღეს თფილისში მათი რიცხვი საკმარისია. აქვთ ძველი თორა, ახლის ასაშენებლად ფულს აგროვებენ. ქართველთ ებრაელნი თფილისში ღატაკად სცხოვრებენ, უმეტესად მისდევენ საწვრილმანოს ტარებას, ანუ წვრილმან აღებ-მიცემას. ცოტა მათში მედუქნე-მოვაჭრენიც არიან... ებრაელები საქართველოში ქართულ ენას სულიერად ძველთაგანვე შესჩვევიან. მათ სამშობლო ენას ძველთაგანვე ქართული ენა შეადგენდა, იგინი ერთობ ადვილად ითვისებდნენ ამ ენას. ენის გარდა ესენი ითვისებდნენ ქართულ ტანთსაცმელს, გარეგან ყველა წესებს და ჩვეულებებს: ქალნი-ქალთა და კაცი-კაცთა. საქართველოდამ ებრაელნი საცა კი სახლდებოდნენ, ყველგან თან მიჰქონდათ ქართული ენა, ქართველი ერის ტანსაცმელი და თვით წერილების წერაც კი ქართულად მოაწყეს... ქართველ ურიას საქართველო ძველთაგანვე ისე უყვარდა, როგორც თავისი ქვეყანა, სამშობლო და მისი მფარველობა, სადაც მას თავისუფლად შეეძლებოდა ყოფნა, ცხოვრება და თავის ქონების და ცოლ-შვილის დაფარვა".

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სამეფო ოჯახის წევრები რუსეთში გადაასახლეს. მათ შორის იყო ერეკლე II-ის და დარეჯან დედოფლის ვაჟი, ბატონიშვილი იულონი, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი, რომელიც 1805 წელს გადაასახლეს მოსკოვში. იულონ ბატონიშვილის სასახლე არღუთინსკის ქუჩაზე (შემდგომში-თუმანიანის ქუჩა) მდებარეობდა, მისი მოსკოვში გამგზავრების შემდეგ მისი სახლი სომეხი ვაჭრის მირზოევის საკუთრებაში გადადის.

ერთ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პ.კარბელაშვილი: "წარსული თვის, ოქტომბრის მიწურულში დავესწარ ერთი ჩემი თფილისელი ნაცნობის ქორწილში; ის ცხოვრობს ჯვარის-მამის ვიწრო ქუჩაში, მირზოევის სახლებში, რომლის მდგმურებს თითქმის ჩვეულებათ გადაჰქცევიათ დაიწერონ ჯვარი ძველ ერთ ქართველ ბატონისშვილთაგანის დარბაზში, რომელსაც ეხლა "ბენთუნაანთ დარბაზს" ეძახიან გარშემო მცხოვრებნი, თუმცა დარბაზი ეხლა მირზოევს ეკუთვნის.

მშვენიერია "ბენთუნაანთ დარბაზი". უფრო მშვენიერია იმიტომ, რომ საქართველოს წარსულის ხასიათის მცოდნეს აღტაცების ჟრუანტელს გაუვლებს ტანში მისი შინაგანი შეხედულება. წარმოიდგენთ ქვითკირის დარბაზის თითქმის თექვსმეტ ადლიანი კვადრატი გული აგურით დაგებული.

The Jewish Sanctuary – "Muntunaant Darbazi"

In 1876 the Georgian Jews purchased a hall from a former Georgian Prince and opened a sanctuary – Tora in it. However, according to historical sources the building was located on an inconvenient site and was under accident risk. The authorities of the Tbilisi district took a decision of pulling it down and in 1899 they fulfilled it.


Еврейский молитвенный дом «Мунтунаант дарбази»

Грузинские евреи в 1876 году купили зал бывшего грузинского царевича, в котором открыли молельню «Тора». Хотя, как видно из источников, это здание находилось в «неудобном месте» и было крайне аварийным. Поэтому, по решению губернского правления молельню в 1899 году снесли.

თბილისი XX ს. I ნახ ფოტო
Тбилиси. Фото I половины XXв.
Tbilisi. First half of 20th c.

მქუდეები. ღია ბარათი. XXს
Шапошники. Открытка, XXв.
Hatters. Postcard, 20th c.





კავკასიელი ებრაელები.
ღია ბარათი, XXს.
Кавказские евреи.
Открытка, XXв.
Caucasian Jews.
Postcard, 20th c.

ებრაელი.
ალ.როინაშვილის ფოტო, XXს. I ნახევარი.
Еврей.
Фото Ал.Роинашвили, I половина XXв.
A Jew.
A.Roinashvili. First half of 20th c.

იმერელი რაბინი.
ალ.როინაშვილის ფოტო, XXს. I ნახევარი.
Имеретинский раввин.
Фото Ал.Роинашвили,I половина XXв.
A rabbi from Imereti.
A.Roinashvili. First half of 20th c

მთელი დარბაზის ერდო დამყარებულია ორათ-ორს მაღალ ბოძებზედ; შესაზარავი შეხედვა ბანის გვირგვინში; იმოდენა ბანის გვირგვინი არად მეგულება. იატაკიდამ ბანამდის თითქმის თექვსმეტი ადლი სიმაღლე იქმნება; გვირგვინის სიმაღლე ათ ადლს მეტობს... სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს აკრავს პატარა გუმბათიანი სალოცავი (ეხლა ცარიელია), რომელშიაც სვენებულა რამდენიმე ძვირფასი ხატი, ასვენებულნი სომხებისაგან, ვგონებ, ფეთხაინის საყდარში. შარშან ურიებს თურმე მოენდომებინათ ამ დარბაზის შესყიდვა იმ ჰაზრით, რომ დაექციათ და თორად გადაეკეთებინათ, მაგრამ რაღაც შემთხვევით ვერ მორიგებოდნენ მეპატრონეს (1876 წ. გურჯაანი)". 1850-ანი წლების შემდეგ ამ შენობაში ქართველმა ებრაელებმა სალოცავი „თორა" გახსნეს.

ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „ურიების თორა ამჟამად [1904წ.] იმ სახლში არის გამართული, სადაც წარსულს საუკუნეში [XVIIIს.] ერთი ჩვენი ბატონიშვილი სცხოვრობდა და ამ უკანასკნელს დროს კი სხვების ხელში ვნახეთ, სახელად ამ დარბაზს ადრე „მუნთუნაანთ დარბაზი" ერქვა. დარბაზი მშვენიერი რამ არის თავის შინაგან შენობებით და ხეივნებით, სასიამოვნო სანახავია ჩვენი წარსულის მოყვარეთათვის ეს დარბაზი".

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ქართულ გაზეთებში "დროება", "ივერია", "ცნობის ფურცელი", "სინათლე" მრავლად ვხვდებით ინფორმაციას ქართველ ებრაელთა სალოცავის შესახებ.

1877 წელს: "ბუნთუნაანთ დარბაზი იულონ ბატონიშვილის მიერ აგებული" სარიტუალო დარბაზია". 1892 წელს: "ტფილისის ქართველ ებრაელების სალოცავს (თორას) ბევრნი ემდურებიან: უადგილო ალაგას არის აშენებული და მასთანვე მეტად დაძველებულია კიდეც შენობა. რუსეთის ებრაელთ სალოცავი გაცილებით სჯობია ქართველებისასო, სამშაბათს იწყება მათი პასექი და აქაური ებრაელობა დიდ მზადებაშია".

1893 წლის "კავკასიის კალენდარში" აშკენაზთა მეორე სინაგოგასთან ერთად იხსენიება „ქართველ ებრაელთა ძველი თორა", მდებარე იერუსალიმის ქუჩაზე.

1899 წელს: "კარგი იქნება, რომ ამ ძველს ნაშთს ყურადღება მიაქციონ და მომავალში ქცევა – ნგრევისაგან დაიფარონ. თორემ ბევრს ასეთ ძველ ნაშთს მოჰკლებია უწყალოთ ბოლო. ასეთივეა მდგომარეობა "მუნთუაანთ დარბაზისა", სადაც ძველათ თვით ქართველთ ბატონისშვილებიც კი დაიარებოდნენ და, როგორც იმ დროს სანაქებო შენობაში, ხშირად დროსაც ატარებდნენ. "მუნთუაანთ" დარბაზმა ჩვენ დრომდისაც კი მოაღწია, მას ცხადათ შერჩა ძველი მშვენება, ეხლა კი, ამ ბოლო დროს სხვების ბრძანებით დაუქცევიათ. სამწუხაროა, რომ ასეთ ძველ ნაშთებს ყურადღებას არავინ აქცევს".

1901 წელს: "ებრაელთ შეუკრებიათ 15 ათასი მანეთი ტფილისში ახალი





სინაგოგის ასაშენებლად. ძველი სინაგოგა დანგრეულ იქნა საგუბერნიო გამგეობის განკარგულებით."

1909 წელს: "ამას წინად ტფილისელმა ქართველმა ებრაელებმა შუამდგომლობა აღძრეს თორას შეკეთების შესახებ. ეს თორა მე-5 ნაწილშია, არღუნსკის ქუჩაზე – (შემდგომში თუმანიანის ქ., საიდანაც სინაგოგის მეორე შესასვლელია) და აგებულია ამ ასის წლის წინად. იმის შესაკეთებლად ქართველმა ებრაელებმა შეაგროვეს 25 ათასი მანეთი. როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა".

1911 წელს: "ქართველნი ებრაელნი ყველაზე მეტას სიღატაკეს და უბედურებას თბილისში განიცდიან. აქ მათი რიცხვი მაინდამაინც არ არის დიდი, მაგრამ რაც არის და რასაც შეადგენს, მათაც აქვთ თავიანთი განკერძოებული ცხოვრება ევროპელი ებრაელებისაგან".

1899 წლისათვის "მუნთუაანთ დარბაზი" დანგრეულია საგუბერნიო გამგეობის გადაწყვეტილებით [გაზ. "ივერია" 1901 წ. №35].

იულონ ბატონიშვილის ყოფილი სასახლე, შემდგომში "მუნთუაანთ დარბაზი" მდებარეობდა დღევანდელი იერუსალიმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.





სურბ სარქისის ეკლესია

სურბ სარქისის ეკლესია თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში მდებარეობდა. შაჰ აბასის და შახ სეფის შემოსევების დროს ქალაქის ეს ნაწილი მთლიანად გაერანდა, მოსახლეობისაგან დაცარიელდა და იგი დროთა განმავლობაში გარეუბნად გადაიქცა.

XVIII საუკუნეში ამ ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობა იწყებს ჩამოსახლებას. ეგნატე იოსელიანი 1837 წლით დათარიღებულ კატალოგში – "მონასტრები, ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში" წერს: „აბანოების ხიდს გადაღმა, დიდის შარაგზის აღმართის ასავალის დასრულებაზედ, არის სხვა და სხვა შენობა და სადგომები და მათ შორის ეკკლესია წმინდისა სარგისისა. ეკკლესია ესე არს აღშენებული ტფილისის მეშვიდედ მუხლად აღწერილისა ახალ – შენისა ნორაშენის ეკკლესიის დეკანოზის ტერ-სუქიასისაგან წელსა 1737. ამასავე ეკკლესიას შინა არის ნაწილი წმინდისა სარგისისა სასწაულმოქმედი, და დღესასწაულობენ დღესა ამა წმინდანისასა მეზვერისა და ფარისევლის გვარის შაბათსა დღესა, და მივლენ მას შინა ფრიადი სიმრავლე ერისა და უმეტეს დედათა სიმრავლე".

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩასმულ მარმარილოს ფილაზე ორენოვანი – ქართული და სომხური წარწერაა: "აღვაშენე და შევწირე ოთახი ესე წმინდის სურბ-სარქისის ეკლესიისათვის თელავის მოქალაქე იაგორ არუთინას ძე ოსკანოვი მოსახსენებლად სულის და მშობლებისა ჩემისა". სომხურ წარწერაში თარიღია – 1883 წელი.

1936 წლის 23 მაისს სურბ სარქისის ეკლეისიიდან, 20-25 მეტრის მოშორებით ჩამოინგრა საცხოვრებელი სახლი, რომლის შედეგად მთელი ოჯახი დაიღუპა.

თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულ მასალებში გრიფით "საიდუმლო" 1936 წლის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს უფროსის სულთანიშვილის მიერ მიწერილ წერილში (მიწერა თბილისის



Surb Sarkis Church

Surb Sarkis Church was located in one of the most ancient areas of Tbilisi. Here, in the 18th century Armenian newcomers started settling down. On the eastern wall of the church a marble tablet with a bilingual inscription reads that 1883 is the date of its erection. In 1936 Surb Sarkis Church was pulled down by reason of accident risk. At present only a few walls of it have survived.


Армянская церковь Сурб Саркис

Церковь Сурб Саркис расположена в одном из древнейших утолков Тбилиси. В XVIII веке на этой территории начинает заселяться армянское население. На мраморной плите, вставленной в восточную стену, сделаны грузинские и армянские надписи. В 1936 году церковь Сурб Саркис была снесена из-за её аварийного состояния. Сегодня сохранилось несколько стен церкви.

სურბ სარქისის ეკლესია დ.ერმაკოვის ფოტო. XXს. დასაწყისი.
Церковь Сурб Саркис. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Surb Sarkis Church. Photo by D.Ermakov. Early 20th c.


სურბ სარქისის ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო XIXს. დასასრული.
Церковь Сурб Саркис. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Surb Sarkis Church. Photo by D.Ermakov, Late 19th c.

სურბ სარქისის ეკლესიის შემორჩენილი ოთახის ფოტო, მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2009წ
Сохранившаяся комната церкви Сурб Саркис.
Фото М.Чхиквадзе, 2009г.
Surb Sarkis Church. Survived room.
Photo by M.Chkhikvadze, 2009.









საბჭოს თავმჯდომარეს) ვკითხულობთ: „დიდი საყრდენი კედლის ჩამოშლის შედეგად, რომელიც სურბ სარქისის ეკლესიას ებჯინება, მრევლში გაჩნდა აზრი, რომ თავისუფალ მეეკლესიეთა სომხური საძმოს გამგებლობაში არსებულ ამ ეკლესიას მისი სიძველის გამო, დანგრევის საფრთხე შეექმნა. ეს ვითარება შეიძლება კარგად გამოვიყენოთ სურბ სარქისის ეკლესიის უმტკივნეულო დახურვისათვის, რომელიც როგორც სომეხი, ისე სხვა ეროვნების მორწმუნეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

იმის გათვალისწინებით, რომ სხვა გარემოებებში აღნიშნული ეკლესიის დახურვის საკითხმა შესაძლოა უკმაყოფილება გამოიწვიოს მორწმუნეთა შორის, აუცილებლად მიგვაჩნია გამოვიყენოთ უკვე ყველა მორწმუნესათვის ცნობილი, სასიკვდილო შედეგით დასრულებული, კედლის ჩამოშლის შემთხვევა... დაიხუროს სურბ სარქისის ეკლესია მისი შემდგომი აღებით." (ფ1. ან4 ს.214.1936წ).


თბილისის საბჭოს გადაწყვეტილებით "საჭირო იქნას ცნობილი სუფსარქისის ეკლესიის შენობის აღება მისი დეფორმაციისა და იმის გამო, რომ ეს შენობა ემუქრება დანგრევით ირგვლივ მდებარე სახლებს, რადგანაც მისი დაბლა ნიადაგი ცურდება და ადგილი ჰქონდა ჩამონგრევის შემთხვევებს" (ფ1. ან1. საქ1378. 1936წ.).

დღეს ეკლესიის რამდენიმე კედელია შემორჩენილი, რომლებზეც გვიანი ხანის საცხოვრებელი ოთახია დაშენებული.

სურბ სარქისის ეკლესია.
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს. დასაწყისი.
Церковь Сурб Саркис.
Фото Д.Ермакова, начало XXв.
Surb Sarkis Church.
Photo by D.Ermakov. Early 20th c.

სურბ სარქისის ეკლესიის ქტიტორული წარწერა. მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2009წ
Ктиторская надпись церкви Сурб Геворк. Фото М.Чхиквадзе, 2009г
Surb Sarkis Church. Donator's inscription. Photo by M.Chkhikvadze, 2009.

სურბ სარქისის ეკლესიის შემორჩენილი კედელი. მ.ჩხიკვაძის ფოტო 2009წ
Сохранившаяся стена церкви Сурб Саркис.Фото М.Чхиквадзе, 2009г.
Surb Sarkis Church. Survived wall. Photo by M.Chkhikvadze, 2009.




სურბ სარქისი – სომხების რელიგიური დღესასწაული – თბილისში შემოიტანეს, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეში. სურბ სარქისობა დგება თებერვლის თვეში, როცა ამინდი ჭირვეულია და ძლიერი ქარბუქი ქრის. სარქისი წარმართული რელიგიის ღვთაების სახელია.

ლეგენდის თანახმად, სარქისი თეთრ ცხენზე ამხედრებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიქრის და თან მოყავს მოტაცებული ბერძენი ასული. იგი ლამაზი წარმოსადეგი ჭაბუკია, გამარჯვებული გმირი, მკვირცხლი და შეუპოვარი. მდევარს რომ გზა აუბნიოს, ცხენის ფლოქვებით ბუქს აყენებს, ხოლო წინ თოვლს წმენდს და ნათელს ჰფენს.

ხარფუხი. სურბ სარქისის ეკლესია დერმაკოვის ფოტო XIXს. დასასრული
Харпухи. Церковь Сурб Саркис. Фото Д Ермакова, конец XIXв.
Kharpukhi area. Surb Sarkis Church. Photo by D Ermakov. Early 20th c.

ხარფუხი. სურბ სარქისის ეკლესია.
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Харпухи. Церковь Сурб Саркис.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Kharpukhi area. Surb Sarkis Church.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.





წმინდა ნინოს ეკლესია

კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლემ ელისაბედ ვორონცოვამ 1846 წელს თბილისში დააარსა წმინდა ნინოს კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი თავადაზნაურთა და ოფიცერთა ქალიშვილებისათვის. სასწავლებლის მშენებლობის თანადროულად, სასწავლებელში ტრადიციულად ეკლესიისათვისაც გამოიყო ადგილი.

1850 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში ათონის ივერიის მონასტრის ბერებისადმი კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლე ელისაბედ ვორონცოვა აღნიშნავს, რომ ათონიდან საჩუქრად ჩამოტანილი ივერიის ღვთისმშობლის ხატი შესწირა თბილისის კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის წმინდა ნინოს ეკლესიას.

ეკლესიის ახლანდელი ნაგებობა 1884 წლის 23 სექტემბერს აკურთხეს. ეკლესია ორსართულიანია. ხუროთმოძღვრის ვინაობა უცნობია. აგურით ნაშენი ეკლესია სამნავიანი ბაზილიკის ტიპს მიეკუთვნება. ნავებს ერთმანეთისგან ქვის მრგვალი სვეტების ორი წყვილი ჰყოფს, სვეტისთავებზე ტოლმკლავა ჯვრების რელიეფური გამოსახულებებია. შესასვლელი ტაძარში სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. ამავე მხარეს დაშენებულია სამრეკლო, რომელიც თაღებით გახსნილი ქვის ფანჩატურით გვირგვინდება. სამრეკლოზე მოხვედრა სამხრეთით მიდგმული რკინის ხვეული კიბითაა შესაძლებელი. აბსიდი შვერილია და მის წახნაგებს მძლავრი ნახევარსვეტები მიუყვება. ფასადებზე, ქვედა რეგისტრში წრეში ჩახაზული ტოლმკლავა ჯვრებია აგურითვე გამოყვანილი.

საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში შეწყდა ღვთისმსახურება, მასში ჯერ 47-ე საშუალო სკოლის შრომის კაბინეტი ფუნქციონირებდა, შემდეგ სკოლის სპორტული დარბაზი.

1990 წელს ეკლესიის წინამძღვარმა მღვდელმა თეიმურაზ ჩაჩიბაიამ მრევლთან ერთად აღადგინა შენობის ქვედა ნაწილი. ეკლესიის ქვედა ნაწილი წმინდა მირიანისა და ნანას სახელზე ეკურთხა. 1991 წლის 30 მარტს (ლაზარეს შაბათს) აქ პირველი წირვა შესრულდა. ტაძარში ორი ტრაპეზია: წმინდა ნინოს და წმიდანთა ზაბულონისა და სოსანასი. 1999 წლის 26 მაისიდან ეკლესიაში კვლავ აღდგა მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა.

1998 წელს ეკლესიის ქვეშ აღმოაჩინეს ქართული აგურით ნაშენი შენობა დასავლეთის კედელზე გამოყვანილი თახჩებით. არსებობს ვარაუდი, რომ შენობა წარმოადგენდა ძველ აფთიაქს და შემდეგ ეკლესიის საძირკვლად იქნა გამოყენებული.

წმინდა ნინოს ეკლესიის აღდგენა არქიტექტორ რევაზ ცხადაძის პროექტით მიმდინარეობდა. ეკლესიის შესასვლელი დასავლეთიდან სამხრეთისაკენ გადაანაცვლეს, ბრტყელი ჭერის ნაცვლად კამარა გამოიყვანეს. ამიტომ სამხრეთით ეკლესიას მრევლმა ახალი ფლიგელი მიაშენა, რომელიც ძველი შენობის სტილს იმეორებს. თავდაპირველი ბრტყელი გადახურვა კამაროვანი გადახურვით შეიცვალა.

პლატონ იოსელიანის ცნობით, სასწავლებლის ეკლესიაში დასვენებული იყო ორი შესანიშნავი ხატი. პირველი – წმინდა ნინოს ხატი, რომელიც შეწირა ეკლესიას მისმა აღმატებულებამ რუსეთის იმპერატრიცამ ანა თეოდორეს ასულმა. მეორე – ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც თვითონვე პლატონ იოსელიანმა ჩამოიტანა ათონის მონასტრიდან 1849 წელს.

დღეს ტაძარში ახლად დაწერილი ხატებია. წმიდანთა მირიანის და ნანას ეკლესიის საკურთხევლის ჭერი მამა თეიმურაზის მიერაა მოხატული, მის მიერვეა შესრულებული ეკლესიაში დასვენებული ხატების უმრავლესობა.

წმინდა ნინოს ეკლესია მდებარეობს ჩიტაძის ქუჩის №9-ში.

Church of St. Nino

In 1846 St. Nino School for the daughters of princes, noble families and high rank military officers was opened. Simultaneously, as it was tradition, a plot for the construction of a church was also assigned. The present temple on the site was consecrated in 1884. It is a brick three-nave basilica. Divine Services ceased under Communist rule to be restored later, in 1990.

Церковь св. Нино


В 1846 году в Тбилиси для княжеских, дворянских и офицерских дочерей было основано училище благородных девиц св. Нино. Наряду со строительством училища традиционно на его территории выделили место и под строительство православной церкви. Нынешнее здание церкви освятили в 1884 году. Сложенная из кирпича церковь относится к типу трехнефной базилики. В советский период в церкви прекратилось богослужение, которое было восстановлено в 1990 году.

წმ ნინოს ეკლესია. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Церковь св.Нино. Фото И.Микадзе, 2009г.
St Nino Church. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ ნინოს ეკლესიის ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო. 2009წ
Интерьер церкви св.Нино. Фото И.Микадзе, 2009г.
St Nino Church. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.



სოლოლაკი. წმ.ნინოს სასწავლებელი და ეკლესია.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. 70-იანი წლები.
Сололаки. Училище и церковь св.Нино.
Фото Д.Ермакова, 70-ые годы XIXв.
Sololaki area. St Nino school and Church.
Photo by D.Ermakov, 1870s.





თბილისის ტაძრები

ლუთერანების სასაფლაოს სამლოცველო

გერმანელთა კოლონიის ახლოს, კუკიაზე მდებარეობდა ლუთერანული სასაფლაო, სადაც გერმანელთა მიერ აშენებული სამლოცველო იდგა. ამ სამლოცველოს აშენების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია.

ლუთერანული სასაფლაოს სამლოცველო პირველად აღნიშნულია 1884 წლის თბილისის რუკაზე რუსული ასო „З"– თი. ეს სასაფლაო არსებობდა II მსოფლიო ომის დაწყებამდე. ამ სასაფლაოს ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი ძველი საფლავის ქვები.

II მსოფლიო ომის დროს საბჭოთა რეჟიმმა ბოლო მოუღო გერმანელთა და ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიის შემდგომ განვითარებას საქართველოში. ომის დაწყებისთანავე მოხდა გერმანული მოსახლეობის რუსეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებში დეპორტაცია.

საქართველოში შემორჩენილ მცირერიცხოვან მოსახლეებს მხოლოდ 1991 წელს მიეცათ გაერთიანების შესაძლებლობა. მალევე გაჩნდა მათში ლუთერანული მრევლის აღდგენის სურვილიც. ღვთისმსახურება სხვადასხვა დროებით თავშესაფარში მიმდინარეობდა, სანამ 1997 წელს არ დასრულდა ყოფილი გერმანული სასაფლაოს ადგილზე შერიგების ეკლესიის მშენებლობა.

ახალი ეკლესია აშენდა ქართველი არქიტექტორის გივი მეტრეველის პროექტის მიხედვით. ეკლესიის სამრეკლო დასავლური საეკლესიო ხუროთმოძღვრების ელემენტს წარმოადგენს, ხოლო გუმბათი საკურთხევლის თავზე – აღმოსავლურისას. სადა, საუცხოო აკუსტიკის მქონე დარბაზი დაახლოებით 250 ადამიანს იტევს. ეკლესიაში დგას დიტცინგენში ფირმა "ალბორნის" მიერ დამზადებული ციფრული ორღანი. ეკლესიაში მიმდინარეობს ღვთისმსახურება, იმართება კონცერტები და შეკრებები.

ლუთერანების ყოფილი სასაფლაო და ახალი ეკლესია მდებარეობს ტერენტი გრანელის ქუჩის №17–ში.



The Chapel of the Lutheran's Cemetery

The chapel of the Lutheran's cemetery was first plotted on the map in 1884. Starting from 1941, as World War II broke out, the Germans were deported to Russia and the republics of Middle Asia. In 1997 on the initiation of a small number of the Germans living in Tbilisi a new church was erected on the site of an old cemetery.

Часовня лютеранского кладбища

На лютеранском кладбище была построенна часовня, которая впервые обозначена на карте Тифлиса 1884 года. С 1941 года, с начала второй мировой войны немцев депортировали в Россию и среднеазиатские республики. По инициативе оставшегося в Грузии малочисленного немецкого населения в 1997 году на месте старого немецкого кладбища возвели церковь.




ძველი თბილისი. დ. ერმაკოვის ფოტო. XX ს. დასაწყისი
Старый Тбилиси. Фото Д. Ермакова, начало XX в.
Old Tbilisi. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

ჯვარცმა ლუთერული ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე
Распятие на восточной стене лютеранской церкви
Lutheran church. Interior. The Crucifixion on the eastern wall.

შერიგების ეკლესია. ჩრდილო-დასავლეთიდან. 2009წ. ფოტო
Церковь примирения, вид с северо-запада. Фото 2009г.
Church of the Reconciliation. North-west view. Photo of 2009

შერიგების ეკლესიის ინტერიერი. 2009წ. ფოტო
Интерьер церкви примирения. Фото 2009г.
Church of the Reconciliation. Interior. Photo of 2009



აშჯენაზების გუმბათოვანი სინაგოგა

დღევანდელი დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა ყოფილ სინაგოგას წარმოადგენს. მისი აშენების თარიღი და საზეიმო გახსნის ცერემონია დაწვრილებითაა აღწერილი 1887 წლის გაზეთ "კავკაზში": ოთხშაბათს, 2 სექტემბერს აკიმოვის ქუჩაზე, სომხური ბაზრის მახლობლად გაიხსნა თბილისის ახალი სინაგოგა. სინაგოგის შენობა სრულიად ახალია, არქიტექტურული თვალსაზრისით აშენებულია ძალზე ლამაზად, მასში შეიძლება 500 კაცზე მეტი დაეტიოს. სინაგოგის ირგვლივ პატარა ეზოა, რომელიც ქვიშითა და ღორღითაა მოსწორებული. შიგნით სინაგოგას ორი განყოფილება აქვს: ქალთა და მამაკაცთა. ამასთან, მამაკაცთა განყოფილება უფრო დიდია, ის სინაგოგაში ქვევით მდებარეობს, ხოლო ქალთა განყოფილებისათვის უკანა კედელთან აშენებულია განსაკუთრებული აივანი, რომელსაც თითქმის შენობის ნახევარი უკავია. იგი მეორე სართულს ქმნის. პირდაპირ შესასვლელში, წინა კედელთან მოთავსებულია კივოტი ათი მცნებით და მოწყობილია განსაკუთრებული შემაღლება რაბინისა და მგალობელთა გუნდისთვის. სინაგოგა ნათდება რამდენიმე დიდი ჭაღით და კანდელიაბრით, რომლებიც ნატიფად გამოთლილ ხის დიდ სვეტებზე დგას, და კედელზე დაკიდებული ლამფების რიგით. ქალთა განყოფილებაში ასევე ჭაღები და ლამპრებია. უკვე დილის 9 საათიდან სინაგოგაში დაიწყო უცხო ხალხის შემოსვლა. შემდეგ კი დანიშნული დროისთვის, ანუ 11 საათისთვის არა მხოლოდ სინაგოგის ეზო, არამედ მიმდებარე შესახვევებიც გადაივსო მაყურებლით, ბევრი ხალხი, აგრეთვე, მეზობელი სახლების სახურავებზეც ჩანდა. ზუსტად 11 საათზე სინაგოგაში მობრძანდა თბილისის ვიცე-გუბერნატორი მისი საიმპერატორო უმაღლესობის კამერგერი, თავადი გ დ შერვაშიძე. შესვლისას სინაგოგის მამასახლისმა ბატონმა ტორნერმა ვერცხლის თეფშით მიაწოდა თავადს გასაღები, რომლითაც მისმა ბრწყინვალებამ გააღო სინაგოგის კარი, რის შემდეგ თბილისის ოპერის გუნდის მონაწილეობით დაუყონებლივ დაიწყო გახსნის ცერემონია, რომელსაც უძღვებოდა ბ-ნი ლევინი. გახსნისას ლევინმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა ებრაელების მდგომარეობა წარსულში და აწმყოში და ილაპარაკა ებრაელებისათვის სინაგოგის მნიშვნელობაზე. გახსნის ცერემონიის დამთავრებისას ჩატარდა სამადლობელო ლოცვა და დღეგრძელობა უსურვეს მათ საიმპერატორო აღმატებულებებს მეფის-წულს და მთელ სამეფო სახლს. ლოცვა დასრულდა რუსეთის ჰიმნის შესრულებით. ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ დამსწრენს შესთავაზეს საუზმე, რომელიც აქვე, სინაგოგის ეზოში ნოხებით მორთულ სპეციალურ სათავსოში რამდენიმე მაგიდაზე იყო გაწყობილი. პირველად შეისვა მათი საიმპერატორო უდედებულესობების ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატიცას, მეფისწულისა და კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლის თავად ა.მ.დონდუკოვ-კორსაკოვის სადღეგრძელოები, შემდეგ თბილისის გუბერნატორის, სინაგოგის მშენებლების და ა.შ. საუზმის შემდეგ ბ-ნმა ვიცე-გუბერნატორმა და დამსწრეებმა შიგნიდან დაათვალიერეს სინაგოგა და დღის პირველი საათისთვის სინაგოგის საზეიომო გახსნა დასრულდა."

1887 წელს აშენებულ სინაგოგას ეტყობა სერიოზული პრობლემები გაუჩნდა, რადგან მისი დანგრევა და ახლის აშენება გადაწყვიტეს. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტში (ფ.№204 ს.№1315) „ქ. თბილისში მე-2 ებრაული სამლოცველოს აშენების შესახებ" აღნიშნულია, რომ 1901

Ashkenazi Dome Synagogue


The present Jewish Historical-Ethnographical Museum represents a former synagogue. It was built in 1887 but in the course of time, by reason of serious faults of the construction, it had to be pulled down. In 1914 the building of a new one started in its stead. The synagogue remained a house for prayer till 1940. In the following years it was disposed to the Historical-Ethnographical Museum of the Jews of Georgia which in 1951 was closed under the policy of anti-Semitism of the Communist rule. In 1992 the Jewish museum was restored in the former synagogue.

Купольная синагога ашкеназов

Сегодняшнее здание историко-этнографического музея евреев Грузии является бывшей синагогой. В 1887 году было построено первоначальное здание синагоги, у которой со временем возникли серьезные проблемы, поэтому ее разрушили и возвели новую. Строительство нового здания началось в 1914 году. Синагога действовала до 1940 года. В последующие годы в здании функционировал историко-этнографический музей евреев Грузии, который был упразднен в 1951 году во время развернувшегося в советском союзе антисемитского движения. С 1992 года в бывшей синагоге вновь восстановлен музей евреев.

გუმბათოვანი სინაგოგა სამხრეთიდან
გ ჭანიშვილის ფოტო, 2007წ
Купольная синагога, вид с юга. Фото Г.чанишвили, 2007г.
Dome synagogue. South view. Photo G.Chanishvili, 2007

დღევანდელი სინაგოგის შენობის პროექტი
Проект здания сегодняшней синагоги.
The present synagogue. Project.







წლის 9 აპრილს თბილისის მეორე სინაგოგის მესვეურებს საგუბერნიო მმართველობისათვის გადაუციათ ინჟინერ ანტონოვის მიერ შედგენილი სინაგოგის გადაკეთების პროექტი. პროექტი არ დაუმტკიცებიათ და მეორე სინაგოგის მამასახლისმა შალომ ხადორსკიმ 1903 წლის 17 თებერვალს პროექტი ხელმეორედ გადაუგზავნა სამშენებლო კომისიას. 20 თებერვალს თბილისელ ებრაელებს მისცეს ახალი სამლოცველოს აშენების უფლება, იმჟამად უკვე აღებული სამლოცველო სახლის მაგივრად, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ შენობას თბილისის მეორე სინაგოგის ნაცვლად პირველი სამლოცველო დაერქმევოდა. რა ბედი ეწია ამ პროექტს ცნობილი არ არის.

არქივში დაცული საქმეებიდან ვგებულობთ, რომ 1913 წელს შეუდგენიათ აკიმოვის ქუჩაზე მდებარე სინაგოგის შენობაზე მიშენების პროექტი. არც ეს პროექტი განხორციელებულა, რადგან იგი "არ მოდიოდა შესაბამისობაში სამშენებლო ადგილთან". ამასთან ძველი შენობა იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ მასზე ახლის მიშენება ალბათ ვერც მოხერხდებოდა.

სინაგოგის სამშენებლო კომისიას დაუმუშავებია ადგილზე უფრო მორგებული და უფრო დიდი მოცულობის სინაგოგის პროექტი. სინაგოგის მმართველობის თავმჯდომარე მარკ მაიდილსონს პროექტის განხილვა დაუვალებია ინჟინერ კალგინისათვის. პროექტი მოსწონებიათ და საბოლოოდ საგუბერნიო მმართველობას იგი დაუმტკიცებია 1914 წ. 20 ივნისს. დღემდეა შემორჩენილი ძველი სინაგოგის თაღების ნაშთებიანი აგურის კედელი, რომელიც ახალ სინაგოგას ჩრდილო–აღმოსავლეთი მხრიდან ებჯინება.

სინაგოგის მშენებლობის დაწყების შესახებ 1914 წლის 24 ივნისის გაზეთ "კავკაზში" ვკითხულობთ: „ებრაელთა სინაგოგის საძირკვლის ჩაყრა. კვირას, 22 ივნისს მრავალი ებრაელის თანდასწრებით აკიმოვის ქუჩაზე საძირკველი ჩაეყარა ებრაელთა სინაგოგის შენობას. სინაგოგის ასაშენებლად შეგროვდა შემოწირულობები 32000 მანეთამდე".

ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჭანიშვილის აღწერით: „ნაგებობის გარე აბ-

რისი მრავალკუთხაა, ინტერიერის ცენტრალური სივრცე კი წრიული. ამ წრიული სივრცის თითქმის სრულ პერიმეტრზე 8 წყვილ თავისუფლად მდგომ სვეტზე დაფუძნებულია გუმბათი. ამგვარად შექმნილია მართხკუთხა კორპუსი (აგურის წყობით), რომელსაც უკანა მხრიდან ტეხილი სამკუთხა შვერილი აქვს, ხოლო ცენტრში აღმართულია სიმაღლეში შეწყვილებული ორი გუმბათი (სხმული რკინა-ბეტონით).

ნაგებობის გაბარიტები დაახლოებით 20მ. სიგრძე-სიგანისაა. გუმბათის წვერამდე კი 21 მეტრია. ცალკეა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ნაგებობის გუმბათი და საბჯენი კონსტრუქციები რკინა-ბეტონისაა, რაც ამ ახალი ტექნოლოგიის გამოყენების, განსაკუთრებით კი გუმბათის რკინა-ბეტონით აგების ერთ-ერთი ადრეული მაგალითია არა მხოლოდ თბილისში, არამედ იმ პერიოდის რუსეთის იმპერიასა და ევროპაშიც".

სინაგოგა ფუნქციონირებდა 1940 წლამდე. თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია 1941 წლის 5 მაისით დათარიღებული აქტი „...ქალაქ თბილისის ქვემორე ხელისმომწერნი მოქალაქეები გამოვთქვამთ პირადი ხელმოწერებით დამტკიცებულ სურვილს, რათა რუსი ებრაელების სინაგოგა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ებრაელი მოსახლეობის შორის სიბნელესა და გაუნათლებლობას თესავდა, გაუქმდეს და გადაეცეს გამგებლობაში კიროვის სახელობის რაისაბჭოს, რათა იგი გამოყენებულ იქნეს ებრაული მასის კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით." ამ დოკუმენტს ხელს აწერს 30 ადამიანი. 1941 მაისს ივანიძის ქ. №3-ში მდებარე სინაგოგა გადაეცა კიროვის რაიონის საბჭოს, რომელმაც ეს შენობა გადასცა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. ამ „რუსების" სინაგოგაში არსებული რელიგიური ნივთები გადაეცა „სპარსელი ებრაელების სინაგოგას", რომელიც მდებარეობს ტყავის ჩიხის №13-ში. ამ დოკუმენტებს ხელს აწერენ – კიროვის რაისაბჭოს თავმჯდომარე ი.მუნინი და მუზეუმის დირექტორი ა.კრიხელი.

1951 წელს საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტისემიტური მოძრაობის დროს მუზეუმი გაუქმდა, ფონდებში დაცული ათასობით უნიკალური ექსპონატი გადანაწილდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმსა და საცავში. სალოცავი დარბაზის სივრცე დანაწილდა, სინაგოგა ადაპტირებული იყო ჯერ საერთო საცხოვრებლად, ხოლო 1977 წლიდან კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებად.

1992 წლიდან ყოფილ სინაგოგაში ისევ აღდგა ებრაული მუზეუმი, რომელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით დავით ბააზოვის სახელი მიენიჭა. შენობის ავარიული მდგომარეობა ხელს უშლის მის ფუნქციონირებას. ამჟამად მუზეუმში დაცულია ექსპონატების მცირე ნაწილი. მათ შორის: ებრაული სარიტუალო დანიშნულების ნივთები, დავით ნარინის (XIII ს.) ვერცხლის მონეტა, XIX საუკუნის ვერცხლის რიმონი, ებრაელი ქალის საქორწინო კაბა, ცნობილი ებრაელი მხატვრის შალვა კობოშვილის ფერწერული ტილოები.

თბილისის აშკენაზების გუმბათოვანი სინაგოგა მდებარეობს ანტონ კათალიკოსის ქუჩის №3-ში.




ინჟინერ ანტონოვის მიერ შედგენილი პროექტი.
Проект, составленный инженером Антоновым.
Project designed by the engineer Antonov.

სინაგოგის გუმბათქვეშა სივრცე გ.ჭანიშვილის ფოტო, 2007წ.
Подкупольное пространство синагоги. Фото Г.Чанишвили, 2007г.
The space under the dome of the synagogue. Photo by G. Chanishvill, 2007

ძველი სინაგოგის თაღების ნამთებიანი აგურის კედელი ახალი სინაგოგის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Кирпичная стена с остатками сводов старой синагоги с северо-востока новой синагоги.
Фото И.Микадзе, 2009г.
A brick wall with the remains of the old synagogue arches. North-east view.
Photo I.Mikadze, 2009.



ჰოსპიტლის სასაფლაოს წმინდა ნიკოლოზის ეკლესია



ნავთლუღის დასახლება.
დ. ერმაკოვის ფოტო XXს დასაწყისი.

Навтлугское поселение.
Фото Д. Ермакова. начало XXв.

Navtlughi area. Photo by D.Ermakov.
Early 20th c

მღვდელ გრიგორი ციტოვიჩს ნაშრომში "ფლოტისა და არმიის ტაძრები" აღნიშნული აქვს, რომ ნავთლუღის ხევის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარნიზონის სასაფლაოზე გამოყოფილი იყო ადგილი ჰოსპიტლის სასაფლაოსათვის. იგი წერს, რომ ამ ტერიტორიაზე 1892 წელს აშენებული იყო ქვის წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია, რომელიც აგებულა თბილისის გარნიზონის ნაწილების ხარჯით.

სამწუხაროდ, ამ ეკლესიის შესახებ მეტი ცნობები არ მოგვეპოვება. გარნიზონის სასაფლაო თბილისის XX საუკუნის გეგმებზე აღნიშნულია სამგორის რკინიგზის სადგურის სამხრეთ მიმდებარე ტერიტორიაზე (დღევანდელი ნავთლუღის ბაზარი).

St. Nicholas the Wonderworker Church

On the garrison cemetery a plot was assigned for that of a hospital. In 1892 a stone church dedicated to St. Nicholas the Wonderworker was erected. Its construction was supported from the funds of the garrison. Regrettably, this is the only data known to us about the church which does not exist any longer.

Церковь св. Николая Чудотворца

На гарнизонном кладбище было выделено место для госпитального кладбища. На этой территории в 1892 году возвели каменную православную церковь св. Николая Чудотворца, которая была построена за счет частей тбилисского гарнизона. К сожалению, мы не располагаем другой иформацией об этой церкви, которая сегодня уже не существует.





ირანელების სინაგოგა

XIX საუკუნეში თბილისში განსაკუთრებით მატულობს ებრაელი მოსახლეობის რიცხვი. მათთან ერთად იზრდება სინაგოგებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების რაოდენობაც.

ყველა საქველმოქმედო ორგანიზაციაში მოქმედებდა ებრაული სამლოცველოები. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ასეთი ორგანიზაცია: კრილოვის ქ.№1-ში, კიევის ქ.№10-ში და ათონელის ქუჩაზე. ასევე ცნობილია, რომ ვერცხლის ქუჩაზე მოქმედებდა სინაგოგა, რომლის შესახებ მასალების მოპოვება ვერ შევძელით.

კიდევ ერთი სამლოცველო მდებარეობდა ჩეხოვის ქ.№9–ში. მისი აშენების თარიღი ჩვენთვის უცნობია, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი აშენდა XIX საუკუნის ბოლოს ან XX საუკუნის დასაწყისში. თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტებიდან შევძელით დაგვედგინა, რომ სინაგოგის მფლობელი 1951 წლამდე იყო აგიბეკ მუსა–ოღლი მუხტრეევი, რომელიც ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო გაასახლეს თბილისიდან.

1951 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ აღნიშნულ სინაგოგას „ირანელების სინაგოგად" მოიხსენიებენ და რომ სინაგოგამ ფუნქციონირება 1950 წელს შეწყვიტა მინისტრთა საბჭოს რელიგიური საკულტო საქმეების რწმუნებულის შალუტაშვილის განკარგულებით, სადაც აღნიშნულია "ყოფილი სინაგოგების დაცარიელებულ შენობებში განსაკუთრებით რელიგიურ დღესასწაულებზე, მორწმუნეები იკრიბებიან რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად. ამის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია: 26 კომისრის სახელობის აღმასკომმა, ყოფილი სინაგოგის ორსართულიანი შენობა, რომელიც მდებარეობს ჩეხოვის ქ. №9–ში, გადააკეთოს საცხოვრებელ სახლად".

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1951 წელს მასში შესახლებული ყოფილან ღოღობერიძეები და თაგვარელები, რომლებიც ჩელუსკინელების ქუჩიდან გადმოუსახლებიათ და, ასევე, სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი დადიანი. (ფ1.ა64.საქ.305.1951 წელი).

დღეს ყოფილი სინაგოგის შენობის ადგილას აგებულია სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ავლაბარი.
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს.
დასაწყისის ფოტო.
Авлабар.
Фото Д.Ермакова, начало XXв.
Avlabari area. Photo by D.Ermakov.
Early 20th c.

კიევის ქ. №8. მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2009წ.
Улица Киевская №8. Фото М.Чхиквадзе, 2009г.
Kiev Street, 8. Photo M.Chkhikvadze, 2009.

კრილოვის ქ. №1. მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2009წ.
Улица Крылова №1. Фото М.Чхиквадзе, 2009г.
Kiev Street, 8. Photo M.Chkhikvadze, 2009.

ათონელის ქ. ი.მიქაძის ფოტო. 2010წ.
Улица Атонели. Фото И.Микадзе, 2010г.
Atoneli Street. Photo I.Mikadze, 2010.




The Iranians' Synagogue

Presumably, towards the end of the 19th century the construction of the Iranian Jews' Synagogue started which on the decision of the Soviet authorities was closed in 1950 and was altered into a residential house.

Синагога иранских евреев

Предположительно, к концу XIX века строится синагога «иранских евреев», которая по решению советского правительства была упразднена в 1950 году и переделана в жилой дом.





მისიონერების
ღვთისმშობლის საფარველის I ეპლესია

1811 წელს რუსეთმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გაიწვია, ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულად გამოაცხადა და რუსეთის წმინდა სინოდისადმი დაქვემდებარებული ეგზარქოსობა დააწესა. (სინოდი – უმაღლეს სასულიერო პირთა კრება – რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო, რომელიც რუსეთში შეიქმნა 1721 წელს გაუქმებული საპატრიარქოს ნაცვლად). სინოდმა საქართველოს პირველ ეგზარქოსად დანიშნა ვარლამი, ქსნის ერისთავის ძე, რომელიც ასევე ხდებოდა რუსეთის წმინდა სინოდის წევრი. მის შემდეგ კი ამ სასულიერო თანამდებობაზე მხოლოდ რუსეთიდან გამოგზავნილი მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ. ამგვარად, რუსეთი საქართველოში და მთლიანად კავკასიაში საეკლესიო საქმეებსაც თავად განაგებდა.

რუსეთის ერთ-ერთი არქიეპისკოპოსის იოსების თხოვნით რუსეთის წმინდა სინოდმა ჯერ კიდევ 1745 წელს არქიმანდრიტ პახომის ხელმძღვანელობით კავკასიაში გამოაგზავნა პირველი მართლმადიდებლური მისია. რუსეთიდან გამოგზავნილმა მისიამ 1814 წლიდან, საქართველოში ეგზარქოს თეოფილაქტეს მოღვაწეობის დროს კავკასიის მთიანეთში 40000 ადამიანი აზიარა მართლმადიდებლობას და ააშენა 40 ეკლესია.

მისიონერულმა საქმიანობამ ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწია რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ. თბილისში დაარსდა "კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოება". ამ საზოგადოების ხელშეწყობით კავკასიაში იქნა აღდგენილი ძველი ტაძრები, მრავალი ხელახლა აშენდა, გაიხსნა სკოლები და მოეწყო მონასტრები. იმდენად ძლიერი იყო თბილისის მისიონერთა კავშირი, რომ 1885 წელს საქართველოს ეგზარქოსის წინადადებით იხსნება თბილისის მისიონერთა კავშირთან არსებული ვლადიკავკაზის ფილიალი. 1900 წელს თბილისში მისიონერების კავშირს ჰქონდა გახსნილი რვა სამრევლო სკოლა, რომელშიც 500-ზე მეტი ადამიანი სწავლობდა.

„...ამ საზოგადოების შექმნის იდეა ეკუთვნის სამამულო ისტორიის ორ ბრწყინვალე პიროვნებას – კავკასიის მეფისნაცვალს ალექსანდრე ივანეს-ძე ბარიატინსკის და მის მაღალუწმინდესობას ისიდორეს (ნიკოლსკის)(217), ქართლ-კახეთის მიტროპოლიტს, საქართველოს ეგზარქოსს," – წერს ბერი ანდრეი (მოროზი).

მათ შეიმუშავეს მისიონერულ-საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნის გეგმა. თავადი ალექსანდრე ბარიატინსკი პეტერბურგში კავკასიის კომიტეტისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერს: „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების შექმნა მართლმადიდებლური სახელმწიფოს ვალია. საქმე ეხება საკითხებს, რომლის მამართაც რუსეთი ვერ იქნება გულგრილი, ესენია: მისი უმცროსი ძმების რელიგიური განათლება, რომლებიც ყოველდღიურად შორდებიან ქრისტეს წმინდა საყდრის წიაღს; სიდიადე რუსეთისა, რომელმაც კავკასიაში უნდა დაანგრიოს მიურიდიზმში არსებული მუსულმანური ზიზღით მის მიმართ გამოწვეული წინააღმდეგობა. კერძო პირთა კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმეს, რათა შეინარჩუნოს და გაავრცელოს ქრისტიანობა კავკასიელ ტომებში. მართლმადიდებლობა რუსეთის მთავარი სახალხო ძალაა და, თავის მხრივ, ღვთის იარაღს წარმოადგენს მართლმადიდებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. საჭიროა, რომ ყოველმა რუსმა, რომელიც იღწვის მართლმადიდებლური სარწმუნოების გასავრცელებლად, სამშობლოს სადიდებლად შეძლოს თავისი წვლილის შეტანა. საჭიროა საერთო ძალისხმევა: რასაც ერთი რუსი ვერ შეძლებს, მას მთელი რუსეთი გააკეთებს".

The First Church of Missionaries Dedicated to the Protecting Veil of the Most Holy Theotokos

In 1811, after Georgia's annexation the Georgian Church lost its autocephaly and was subordinated to the Russian Orthodox Church. In 1840 "The Society of Promulgation of Orthodoxy throughout the Caucasus "was founded. On its initiative several churches were built, among which Church of the Protecting Veil of the Most Holy Theotokos was the first. However, it did not have its own building and was arranged in a private house in 1892. Early in the 20th century a big stone temple was erected on the site of the house. Regrettably, this is the only information we have gained about the temple which hasn't survived to these days.

I миссионерская церковь Покрова Богоматери

В 1811 году, после присоединения Грузии к России Грузинская Православная Церковь утратила свою автокефалию и подчинилась Русской Православной Церкви. С 1840 года в Тбилиси сформировалось общество распространения православия на Кавказе, по инициативе которого в Тбилиси строится несколько церквей. Первой среди них была церковь Покрова Богоматери. Так как у церкви не было своего здания, она с 1892 года была размещена в частном доме. В начале XX века на этой территории строится новая большая каменная церковь. К сожалению, мы не располагаем другой информацией об этой церкви, которая сегодня уже не существует.



თბილისი დ. ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული
Тбилиси. Фото Д. Ермакова конца XIXв.
Tbilisi Photo by D.Ermakov. End of 19th c.





რიყე.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Пески.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Riverside.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.

საზოგადოების წესდება რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II–მ დაამტკიცა და 1860 წელს უკვე „მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" საბჭოს პირველი სხდომა ჩატარდა. წესდების მიხედვით, საზოგადოება პირველ რიგში მიზნად ისახავდა რელიგიურ–საგანმანათლებლო საქმიანობას: რელიგიური წიგნების თარგმნას და გამოცემას ადგილობრივ ენებზე, განათლებას, სკოლების მოწყობას, სტიპენდიებს და სხვა. საზოგადოების კიდევ ერთი მიმართულება ეკლესიების მშენებლობა იყო. საზოგადოების არსებობის პირველი დღიდან მისი მფარველი იყო დედოფალი მარია ალექსანდრეს ასული, რომელმაც დიდი შესაწირი გაუკეთა საზოგადოებას.

თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის და საძმოს წევრის მამა ისიდორეს ინიციატივით მისიონერების მოღვაწეობა თბილისში დაიწყო 1891 წლის აგვისტოდან, როდესაც იხსნება მისიონერების ღვთისმშობლის საფარველის პირველი ეკლესია, თბილისის ღარიბ და არაკეთილმოწყობილ უბანში-რიყეზე.

რიყე მდებარეობდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის. აქ გადიოდა რუსეთს მიმავალი გზა – ავჭალის დიდი გზა. XIX საუკუნეში აქ მდებარეობდა ბაზარი, ქარვასლა, მკალავების, ხარაზების და მღებავების სახელოსნოები. მტკვრის ადიდებისას რიყეს ტერიტორია ხშირად იტბორებოდა, წყლის გაბრუნების შემდეგ ქუჩებში ბევრი ლამი რჩებოდა და ამიტომ აქ მცხოვრებლებმა მას "პესკები" შეარქვეს. ამ უბანში ცხოვრობდა მრავალი ეროვნებისა და, შესაბამისად, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანი.

იმის გამო, რომ თბილისის ამ უბანში არ იყო არც ერთი ეკლესია, მართლმადიდებელი მრევლი ადვილად გადადიოდა სხვა აღმსარებლობაზე. რიყეზე საკმაოდ კარგად ჰქონდა ფეხი მოკიდებული ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებების წარმომადგენლებს - მოლოკნებს, სუბოტნიკებს, შტუნდისტებს და სხვა. სწორედ აქედან დაიწყეს მისიონერებმა თავისი მოღვაწეობა თბილისში.

თავდაპირველად მამა ისიდორე ქადაგებდა მოლოკნების სამლოცველო სახლში, ხოლო 1892 წლიდან კი ქადაგება გააგრძელა ციციანოვის აღმართის დასაწყისში, რიყის ქ.№47–ში მდებარე ბრიხნიჩევის სახლის ერთ ოთახში, რომელშიც წირვა მხოლოდ კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში იმართებოდა. მამა ისიდორე (მიხაილოვსკის) თხოვნით კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოყო თანხა ბრიხნიჩევის სახლის მთლიანად ქირაობისათვის და მასში სამლოცველოს მოსაწყობად. უკვე 1892 წლის იანვარში მოხერხდა სამლოცველო სახლის გახსნა, რომელიც ღვთისმშობლის საფარველის სახელობაზედ ეკურთხა და მას მისიონერების პირველი ეკლესია ეწოდა.


1892 წლის 1-ლი სექტემბრის „საქართველოს საეკლესიო უწყებების" სასულიერო მოამბეში" ვკითხულობთ, რომ: „ეკლესია ამ დროისათვის წარმოადგენს ერთ დიდ დარბაზს, რომელიც განათებულია ქუჩის მხრიდან ხუთი ფანჯრით, ხოლო ეზოდან ორით. ქუჩაში გამავალ სახლის აივნის ადგილას მოწყობილია საკურთხეველი. კანკელში ჩადგმულია მაცხოვრის, ღვთისმშობლის და სხვა ხატები, რომლებიც ეკლესიას შესწირა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. კედლებზე სხვადასხვა ზომის შემოწირული ხატებია. დარბაზის შუაში აღმართულია ბიზანტიური სტილის გრანდიოზული გუმბათი, რომელსაც პილასტრებს შორის წაგრძელებული ფანჯრები აქვს. გუმბათი გარედან მოჭედილია თეთრი რკინით, ამიტომ მისიონერების ეკლესია თბილისის სხვადასხვა ადგილიდან მოჩანს.... ეს ეკლესია ყოველთვის სავსეა მომლოცველებით. აქ ვერ შეხვდებით ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ეკლესიის მრევლი მხოლოდ უბრალო ხალხია, ამიტომ ისინი აქ თავს თავისუფ-

ლად, როგორც საკუთარ სახლში გრძნობენ". უკვე 1892 წლის ნოემბერში ეკლესიასთან იხსნება სამრევლო სკოლა ვაჟებისა და გოგონებისათვის.

საქართველოს ეგზარქოსის კურთხევით 1898 წლის 20 ნოემბრიდან ეკლესიაში მსახურებას იწყებს მისიონერი ა.ლევიცკი და სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ს.მურახოვსკი. 1899 წლის შემოდგომიდან ეკლესიის წინამძღვრად ინიშნება ი.სინეოკოვ–ანდრეევსკი, რომლის შემდეგ იწყება ამ ეკლესიის აღორძინება. საძმოს 1908 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ "თვითონ შენობა საკმაოდ უბადრუკად გამოიყურებოდა, იყო ისეთივე ჭუჭყიანი, როგორც მის გვერდით მდებარე შენობები". იმის გამო, რომ ეს ტერიტორია, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ხშირად იტბორებოდა, სამისიონერო საზოგადოებამ გადაწყვიტა მახლობლად ახალი საკუთარი შენობის აგება.

ფოტოგრაფ გორსკის 1910 წლის თბილისის პანორამულ ფოტოებზე კ.ხეთაგუროვის (ყოფ. რიყის), შ.გამცემლიძის და ნ.ჩხეიძის ქუჩებით შემოფარგლულ ტერიტორიაზე მოჩანს რუსული სტილის მრავალგუმბათიანი ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღბეჭდილი XX საუკუნის დასაწყისის საარქივო ფოტოებსა და თბილისის გეგმებზე.


იგი იყო აგურით აგებული, ტიპური რუსული არქიტექტურის იერის მქონე სატაძრო ნაგებობა, მცირე გუმბათებით აქცენტირებული დასახსრული სტრუქტურით, რომელთა შუაში აღმართული იყო ცენტრალური სპეციფიკური ფორმის გუმბათი. ეს ტაძარი პირველად აღნიშნულია თბილისის 1913 წლის გეგმაზე როგორც მისიონერების ეკლესია და 1924 წლის გეგმაზე იგი უკვე აღარ ჩანს. საფიქრელია, რომ ეს მრავალგუმბათიანი ეკლესია სამისიონერო საზოგადოების მიერ 1908-1910 წლებშია აგებული. სავარაუდოა, რომ იგი მალევე დაანგრიეს.



მისიონერების I ახალი ეკლესია ფრაგმენტი დ ერმაკოვის ფოტოდან, XXს. დასაწყისი.
Новая I церковь миссионеров. Фрагмент из фото Д.Ермакова, начало XXв.
Missionaries' first new church.
D.Ermakov's photo, detail. Early 20th c.

თბილისი
ს.პროკუდინ-გორკის ფოტო. 1910-იანი წლები
Тбилиси.
Фото С.Прокудина-Горского, 1910-ые годы.
Tbilisi.
Photo by S.Prokudin-Gorki. 1910s.





რიყე.
დ.ერმაკოვის ფოტო. XIXს. დასასრული.
Пески.
Фото Д.Ермакова, конец XIXв.
Riverside.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.







მისიონერების ყაზანის ღვთისმშობლის ხატის II ეკლესია

მოლოკნებით დასახლებულ უბანში - კუკიაზე, ყოფილი ანდრიას ქუჩისა და მოლოკნების ჩიხის გადაკვეთაზე 1892 წლის 17 ოქტომბერს დიდი პომპეზურობით ჩაუყარეს საძირკველი ყაზანის ღვთისმშობლის ხატის მისიონერების მეორე ეკლესიას. იგი თავდაპირველად განთავსებული იყო ბარაკული ტიპის შენობაში, „ტაძარს ხალხი მიეძალა, თავიდან ცოტა... წირვაზე მეტად ხალხი მისიონერულ საუბრებს ესწრებოდა. ესენი გარეუბნის მცხოვრებნი იყვნენ, მეტწილად მოლოკნები...". - წერს ს.გოროდცევი - "აქ პირდაპირ მიწაზე აგურის იატაკი დააგეს, შემოსასვლელში პატარა ზარი დაკიდეს და შენობა საჭირო ინვენტარით მოამარაგეს".

სულ მალე ეკლესია მლოცველებს ვეღარ იტევდა და ამიტომ კარგ ამინდში წირვა ღია ცის ქვეშ ანდრიას მოედანზე მიმდინარეობდა. უამინდობისაგან დასაცავად პირდაპირ მოედანზე ხის ბოძები ჩაარჭეს და გადახურეს, მაგრამ გაზრდილ მრევლს ვერც ეს დროებითი გადახურვა აკმაყოფილებდა. ამიტომ ახალი დიდი ქვის ეკლესიის აშენება გადაწყდა.

1893 წლის 30 მაისს ს.გოროდცევის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ახალ ქვის ეკლესიას, რომლის პროექტიც შეადგინა ეკლესიის მამასახლისმა, ინჟინერმა ბუტკევიჩმა. მათ მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ თანხის სიმცირის გამო ეკლესიის დამთავრება იმავე წელს ვერ მოხერხდა. შესძლეს მხოლოდ კედლების ამოყვანა და დაშლილი ბარაკიდან შემორჩენილი ფიცრებით სახურავის მოწყობა: „ბარაკის ტიპის ტაძარში ბოლო ღვთისმსახურება შესრულდა და ტაძარი დაშალეს. წმინდა ტრაპეზს მესერი შემოავლეს, შიგნით კი ჯვარი აღმართეს. ტაძრის გაუქმებამ გული დასწყვიტა ხალხს, რომელიც ათი თვის მანძილზე შეეჩვია ამ ეკლესიას. თუმცა, ახლა დროებითის ნაცვლად ახალი მუდმივი ეკლესიის აგება გადაწყვიტეს კუკიის უბანში და ფულიც საკმაოდ შეგროვდა ქვის მუდმივი ტაძრის ასაგებად," – აღნიშნულია ამ ეკლესიისადმი მიძღვნილ სპეციალურ ბროშურაში.

ხის გადახურვა ცუდი დამცველი აღმოჩნდა. წვიმის წყალი დაუსრულებლად ჩამოდიოდა ეკლესიაში: „დიდ შაბათს ისევ ძლიერ წვიმდა და ლიტურგიის დროს ეკლესიაში იმდენი წყალი დადგა, რომ მღვდელს პროცესიის დროს ანაფორის ბოლოები დაუსველდა, დიდი რაოდენობით ხალხი კი წირვის ბოლომდე... ეკლესიაში იმყოფებოდა (ზოგიერთი ქოლგის ქვეშ)", – ვკთხულობთ ბროშურაში. ეკლესიის დამთავრებისათვის საჭირო თანხის ნაწილი კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ გამოყო, ნაწილი წმინდა იოან კრონშტადტელმა გამოაგზავნა. ახალი ქვის ეკლესიის მშენებლობა 1894 წლის სექტემბერში დასრულდა.

როგორც 1897 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში" ვკითხულობთ, ეკლესია „შიგნიდან ჯვრის ფორმისა იყო, ლამაზად გამოყვანილი გუმბათით. დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხრიდან მოწყობილი იყო ქორო. ეკლესიაში ერთდროულად ეტეოდა 800 მლოცველზე მეტი. მის შიგნით დაიდგა მოვერცხლილ-მოჩარჩოებული ლამაზი კანკელი. ეკლესიაში დაბრძანებული იყო ოქროთი და ვერცხლით მოვარაყებულ მუხის ჩარჩოში

კუკია. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი
Кукия. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Kukia area. Photo by D. Ermakov. Early 20th c

მღვდელი ს.გოროდცევი
Священник С.Городцев.
Priest S.Goroatsev

The Second Church of Missionaries Dedicated to the Most Holy Theotokos of Kazan

On the decision of the missionaries' fellowship in 1892 the foundation was laid of another church which was dedicated to the Most Holy Theotokos of Kazan. Initially, the church was housed in barracks, but in 1893 the foundation for a new stone church was laid; its erection was accomplished in 1894. In 1957 the temple was destroyed. At present a new church is built on the same site which was consecrated and dedicated to the Most Holy Theotokos of Kazan.

II миссионерская церковь Иконы Казанской Богоматери

По решению братства миссионеров в 1892 году закладывается фундамент II миссионерской церкви Иконы Казанской Богоматери. Первоначально церковь разместилась в здании барачного типа, а в 1893 году закладывается основа каменной церкви, строительство которой завершилось в 1894 году. В 1957 году церковь разрушили. Сегодня на месте разрушенной церкви Казанской Богоматери построен новый храм, который вновь освящен во имя Казанской Богоматери.





მოთავსებული ყაზანის ღვთისმშობლის ხატი და სხვა შემოწირული ძვირფასი ხატები.

საქართველოს ეგზარქოსის ვლადიმერის ინიციატივით საეპარქიო ქალთა სასწავლებლის სააქტო დარბაზში 1897 წლის 19 ოქტომბერს საზეიმოდ დაფუძნდა მისიონერული სასულიერო–საგანმანათლებლო საძმო, რომელმაც გადაწყვიტა ბინა დაედო ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ტაძარში.

ეკლესიის შენობა საკმარისი არ იყო საძმოს საქმიანობის განსახორციელებლად. ამისათვის გადაწყდა დამატებით სახლის აშენება, რისთვისაც საძმომ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ა.ჯამბაკურ–ორბელიანისაგან შეიძინა მიწის ნაკვეთი. ამ ნაკვეთზე ინჟინერ კ.ბუტკევიჩის პროექტით აშენდა შენობა, რომელშიც საძმო იწყებს თავის საქმიანობას. 1899 წელს საქართველოს ეგზარქოსმა ფლავიანემ(218) აკურთხა ახლად აგებული შენობა, რომელშიც განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. საძმოს დიდ დარბაზში ერთდროულად 800 ადამიანი ეტეოდა. ბიბლიოთეკა უფასო იყო ყველასათვის.

1910 წელს გადაწყდა ეკლესიის შენობის გადაკეთება და პროექტის შედგე-

ნა არქიტექტორ ი.დაცმანს(219) დაევალა. მისი პროექტით აშენებული დამხმარე ნაგებობები დღესაც შემორჩენილია გ.ჩუბინაშვილის ქუჩაზე.

1900 წელს თბილისის მისიონერთა საძმომ გახსნა სამი სამრევლო სკოლა, რომელშიც 300-მდე ადამიანი სწავლობდა. მალე სკოლების რაოდენობა რვამდე გაიზარდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისიონერების მეორე ეკლესიაში შეწყდა ღვთისმსახურება. თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია 1924 წლით დათარიღებული №40 სკოლის გამგის განცხადება. იგი მიმართავს თბილისის სახალხო განათლების განყოფილებას: „ამ დღეებში უნდა ჩავიბარო სკოლის საჭიროებისათვის მისიონერთა ეკლესიის შენობა. მოხსენებულ ეკლესიაში იმყოფება ზოგიერთი ისეთი ნივთი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სკოლისათვის, მაგ. ელსანათის საანგარიშო, ელსანათურები, კიბეები, კამოდი, შკაფი, მაგიდა, სკამები და სხ. ვინაიდან სკოლა ძლიერ ღარიბია ინვენტარით, რაც სახ. გან. განყ. მოეხსენება, ამიტომ გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა... რათა გადმოეცეს სკოლას გამოსადეგარი ნივთები." ამ წერილის საფუძველზე ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების გადაწყვეტილებით სკოლას გადაეცა „...მისიონერთა ეკლესიიდან შუამდგომლობაში აღნიშნული ნივთები, რაც მათ ძლიერ ესაჭიროება." (ფ.15. ან 1. საქ 32.)


თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულ 1935 წელით დათარიღებულ (ფ1. ან64 ს.200) დოკუმენტში „სია ქალაქ ტფილისის ტერიტორიაზე მყოფ სამლოცველოების" მისიონერების ეკლესიის შესახებ ვკითხულობთ, რომ „მიულიტინის და ანდრეევის ქუჩების კუთხეში" არსებული ეკლესია უმოქმედოა და მასში განთავსებულია ტოპოგრაფიული ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელი.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატის მისიონერების მეორე ეკლესია საბჭოთა პერიოდში, 1957 წელს დაანგრიეს და მის ადგილას საშუალო სკოლის სპორტული მოედანი ფუნქციონირებდა.

დღეისათვის დანგრეული ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიის ადგილას 2008 წელს აშენებული ახალი ტაძარია, რომელიც ისევ ყაზანის ღვთისმშობლის სახელობაზე ეკურთხა. ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს დ.კლდიაშვილის ქუჩის N10-ში.

ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესია და სამრეკლო. მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2009წ
Церковь Казанской Божией Матери и колокольня. Фото М.Чхиквадзе, 2009г.
Church of the Most Holy Theotokos of Kazan and belfry. Photo by M.Chkhikvadze, 2009.

ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესია და სამრეკლო. ი.გოლიაძის ფოტო. 2009წ
Церковь Казанской Божией Матери и колокольня. Фото И.Голиадзе, 2009г.
Church of the Most Holy Theotokos of Kazan and belfry. Photo by I.Goliadze, 2009.





ჯუკიის წმინდა ნინოს ეკლესია

თბილისის დღევანდელი კუკიის სასაფლაოზე მეტწილად ჩუღურეთის წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მრევლს ასაფლავებდნენ და ამიტომ ამ სასაფლაოს თავდაპირველად ნეველის სასაფლაოს უწოდებდნენ. მას მერე, რაც ვერის ძველი სასაფლაო გაუქმდა, კუკიის სასაფლაო თბილისის მართლმადიდებლების დასაფლავების ძირითად ადგილად იქცა. ვინაიდან სასაფლაო ქალაქიდან მოცილებით მდებარეობდა, იგი მოუვლელი იყო. ხშირად იქ საქონელი დადიოდა და ახალ სამარხებს ანადგურებდა, იძარცვებოდა საფლავები. სასაფლაოზე გადიოდა მარტყოფის გზა და იგი ყაჩაღების თავშესაფარი იყო.

საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ პირადად დაავალა წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიის დიაკონს იოსებ ბერიძეს მოეხერხებინა სასაფლაოზე დროებითი ეკლესიის აშენება. რამოდენიმე თვეში სასაფლაოს ტერიტორიაზე აშენდა ქვის პატარა, მაგრამ მაღალი ეკლესია ხის გადახურვით, სადაც იოსებ ბერიძე მღვდლად აკურთხეს. სასაფლაოს ჭირდებოდა გალავნის შემოვლება, დარაჯისათვის სათავსოს და ეკლესიის ნივთებისათვის საწყობის აშენება. ამ ყველაფერს ერთი კაცი ვერ გააკეთებდა, ამიტომ ეგზარქოსმა დააარსა ამ ეკლესიის და სასაფლაოს „მზრუნველთა საბჭო". საბჭოს წევრმა, რუსეთის საიმპერატორო კარის გოფმაისტერმა და სენატორმა ს.გონჩაროვმა სასაფლაოს ტერიტორიაზე საძირკველი ჩაუყარა პატარა ეკლესიას და სასაფლაოს გალავანი შემოავლო. მას შემდეგ, რაც ამ საბჭოს სათავეში თავადი ი.ტატიშჩევი ჩაუდგა, დაიწყო ახალი დიდი ეკლესიის ასაშენებლად თანხების შეგროვება.

1891 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში" ვკითხულობთ, რომ "კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ საქართველოს ეგზარქოსის პალადის(220) სურვილით და დეკანოზ იოსებ ბერიძის თაოსნობით დიდი ყურადღება დაუთმო თბილისის კუკიის მართლმადიდებლების სასაფლაოს".

1893 წლის 9 ივლისს გაზეთი "ივერია" წერდა: "ქ. ტფილისის მართლმადიდებელთა კუკიის სასაფლაოს, მოციქულთა სწორ წმინდა ნინოს ეკკლესიის აშშენებელ სამზრუნველომ, შემოავლო – რა ამ მდგომიარე წელს სასაფლაოს ქვით–კირის გალავანი, განიზრახა ააგოს სასაფლაოს ეკკლესიაც, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სახუროთმოძღვრო განყოფილების გამგის თანახმად. ამ ეკკლესიის აშენება ვარაუდით დაჯდება 14 ათას მანეთზედ მეტი. ვინაიდან სამზრუნველოს არ მოეპოვება ტაძრის ასაგები ფული, მიჰმართავს ყველას, ვინც–კი თანაუგრძნობს ამ სასაფლაოს განკარგების საქმეს, არ დაიშუროს თავისის წვლილის შეწირვა და მათ მისცეს სამზრუნველოს საღსარი ეკკლესიის აგებისა".

როგორც ჩანს, დღევანდელი „წმინდა ნინოს ეკკლესიის აღმშენებელმა სამზრუნველომ" მოახერხა საჭირო თანხის შეგროვება და 2 წლის შემდეგ, 1895 წლის 12 იანვარს ეკლესია აკურთხა ეგზარქოსმა ვლადიმერმა(221). წმინდა ნინოს ეკლესიას და სამრეკლოს რუსული ყაიდის გუმბათი დაადგეს. „კანკელი ახალ ტაძარში ორიარუსიანია, სხვადასხვა ჩუქურთმებით, დამზადებულია კაკლის ხისაგან არსენალის სახელოსნოებში და მორთულია საუკეთესო ხატმწერის პ.კოლჩინის ხატებით, რომელსაც ეკუთვნის კანკელის პროექტიც." – ვკითხულობთ 1895 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში".

ეკლესიაში დაბრძანებული იყო ძვირფასი ხატები. სამრეკლოში ეკიდა ზარები, რომელთა შორის ყველაზე დიდი ძველი ზარბაზნებისაგან ჩამოასხეს. ასევე გალავანთან ახლოს აშენდა ორსართულიანი საეკლესიო სახლი და ქალაქიდან

St. Nino Church

St. Nino Church of kukia cemetery was built in 1894 upon the Exarch of Georgia Paladi's wish and with Archpriest Ioseb Beridze's efforts and supervision. The church had a dwelling house too and was in charge of a school. The temple is one of the dome structures with tall windows in the west wall. In recent years repair work has been carried out in the church.

Церковь св. Нино

Грузинская православная церковь св. Нино тбилисского Кукийского кладбища была построена в 1894 году по желанию экзарха Грузии Палади, под началом и усилиями протоиерея Иосифа Беридзе. Церковь купольная с приставленными к западной части высокими окнами. Церковь имела свой дом и приходскую школу. В последний период в церкви были проведены реставрационные работы.

კუკიის სასაფლაოს წმ ნინოს ეკლესია. დ ერმაკოვის ფოტო, XIXს დასასრული.
Церковь св.Нино Кукийского кладбища. Фото Д.Ермакова, конец XIXв.
St. Nino Church in Kukia cemetery. Photo by D.Ermakov. End of 19th c

მამა იოსებ ბერიძე
Отец Иосиф Беридзе
Father Joseph Beridze.





კუკიის სასაფლაოს წმ ნინოს ეკლესია.
დ ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული

Церковь св Нино Кукийского кладбища
Фото Д.Ермакова, конец XIXв.

St. Nino Church in Kukia cemetery.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.



წმ ნინოს ეკლესიის კედლის მხატვრობა.
ლ.ტოგონიძის ფოტო, 2007წ.
Живопись церкви св.Нино. Фото Л.Тогонидзе, 2007г.
St. Nino Church. Murals. Photo by L.Togonidze, 2007.

წმ ნინოს ეკლესიის შესასვლელი დასავლეთიდან.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Западный вход в церковь св.Нино. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Nino Church. Porch. West view. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.ნინოს ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან.
ლ.ტოგონიძის ფოტო, 2007წ.
Церковь св.Нино. Фото Л.Тогонидзе, 2007г.
St. Nino Church. North-west view. Photo by L.Togonidze, 2007.




სასაფლაომდე განიერი და სწორი გზა გაიჭრა. მოსე ჯანაშვილი ეკლესიის შესახებ წერს: "...წმინდა ნინოსი კუკიის სასაფლაოზე, ...აქვს მშვენიერი სასახლე სამრევლო სკოლისათვის".

საბჭოთა პერიოდში ტაძრის ბედზე მოგვითხრობს თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული, 1924 წელით დათარიღებული წმინდა ნინოს ეკლესიის მრევლის განცხადება, რომელიც "ქალაქ ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმს" თხოვნით მიმართავს: "გავიგეთ, რომ ტფილისის აღმასკომის დადგენილებით ყველა საეკლესიო სახლები იქმნა გადატანილი ქალაქის განკარგულება – საკუთრებად... ასევე მღვდლებს შეეწერა გადასახადი სახლის ქირა... შენობები ეხლა გადასულა მუშათა კოოპერატივის ფარგლებში და გამოუცხადებია სამღვდელოთა პირთათვის შვიდი დღის განმავლობაში გასწმინდონ მათ მიერ დაკავებული ოთახები და წავიდნენ ამ შენობებიდან. მუშათა კოოპერატივმა უნდა ანგარიში გაუწიოს მას თუ ვის როგორ მოეპყროს. ყველა ხომ ერთნაირი არაა, თუნდაც სამღვდელოების მხრიდანაც... ეს უბანი ტიტველა ველი წინეთ წარმოადგენდა ხევ-ხუვ გამოუსადეგარ ალაგს. სწორედ ამ ჟამად გამოუჩნდა მას პატრონად იმ ხანად მთავარი იოსებ ბერიძე, ეხლა კი მოხუცი დეკანოზი 68 წლისაა, აავსებინა ხევები, გააშენა ეკლესია, გალავანი შეზღუდა ქვიტკირის 12 დესატინაზედ მეტი, აუშენა ხალხს სკოლა ექვს ოთახიანი და ორი დიდი შენობა ორ სართულიანი საცხოვრებლად, როგორც სამღვდელოების, აგრეთვე ერთათვის. აი სწორეთ ამ მოამაგე ამშენებელს ხვდა წილად გავიდეს თავის სიყმაწვილის ნაამაგდარ ამენებული სახლიდან. სად წავიდეს, ვის მიმართოს, საიდან გადაიხადოს მოხუცმა სახლის ქირა, მეტადრე ამ ჟამს, როდესაც სამღვდელოების პრესტიჟი დაეცა? ...პატივცემულ მოხუცს თავის შრომის ფასი გადაუხადოთ მით, რომ სიკვდილამდის მაინც იდგეს თავის ნაამაგდარ შენობაში მიცემით ორი ოთახისა მაინც ჯერეთ სულ უქირაოდ და თუ მაინც და მაინც ეს შესაძლებელი არ იქნება მცირეოდენი გადასახადით თანასწორ მუშებისა... ვიმედოვნებთ, რომ ამ ჩვენს თხოვნას მუშა – ერთასი მისცემთ სათანადო მსვლელობას... ამ მოხუც დეკანოზს უიმისოდაც დატანჯულ დასაჯულ პირისას, რომელმაც დაკარგა უძვირფასესნი ხუთი ვაჟი... და ამით შეუმსუბუქოთ ჭირვარამის ატანა მოხუცებულობის ხანაში". (ფ.1.ან1.საქ216.)

ცნობილი არ არის დააკმაყოფილა თუ არა "ქალაქ ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა" მრევლის თხოვნა, მაგრამ ღვაწლმოსილმა დეკანოზმა დიდხანს არ იცოცხლა, 4 წლის შემდეგ გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია ტაძარის აღმოსავლეთ კედელთან, მის საფლავზე წარწერაა: "აქ განისვენებს დეკანოზი იოსებ ილიას ძე ბერიძე. ამშენებელი წმინდა ნინოს ეკლესიისა, სასაფლაოს გალავნისა და მისი გარეშემო შენობებისა. დაბადებიდან 72 წლის გარდაიცვალა 1 მარტს 1931წ.".

არკადი ჭოველიძის და ირაკლი ანდრიაძის ძალისხმევითა და შემწეობით ეკლესიას ქართული გუმბათი დაედგა. დავით ანჯაფარიძის დახმარებით ტაძარი სპილენძით გადაიხურა. ტაძარი მოხატულია გ.კიკაბიძის, ზ.ხაბაძის, ე.ჩაჩავასა და გ.ხელაძის მიერ. ტაძარში არსებული ღირსშესანიშნავი ხატებიდან ეკლესიის ოთხჯერ გაძარცვის შემდეგ მცირეოდენიღა შემორჩა.

წმინდა ნინოს ეკლესია მდებარეობს კუკიის სასაფლაოზე, ნორიოს აღმართის №36-ში.





თბილისის გიმნაზიების ეკლესიები

ვაჟთა II გიმნაზიის შენობა.
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.
Здание II мужской гимназии. Фото Д.Ермакова, начало XXв.
The building of Poblic School for Boys II.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.

ვაჟთა II გიმნაზიის დარბაზის კედლის მხატვრობა.
მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2010 წ.
Стенная живопись II мужскаой гимназии.
Фото И.Чхиквадзе, 2010г.
The building of Poblic School for Boys II
Wall paintings. Photo by M.Chkhikvadze, 2010.



რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე 1804 წლიდან იწყება გიმნაზიების დაარსება. თბილისში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იზრდება გიმნაზიათა რიცხვი, რომლებშიც რუსეთის იმპერატორის უმაღლესი ბრძანებულების საფუძველზე სავალდებულო იყო რელიგიის სწავლება. სასულიერო პირები საერო სკოლებში ახორციელებდნენ კონტროლს სასწავლო პროცესზე და ცენზურაში სასწავლო წიგნებსაც კი ატარებდნენ. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში იყო ექვსი ვაჟთა, ხუთი ქალთა და ერთი სათავადაზნაურო გიმნაზია.

1892 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში "ვკითხულობთ, რომ ამ პერიოდისათვის თბილისში 17 კარის ეკლესია იყო, რომელიც სასწავლო დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან არსებობდა.

მოსე ჯანაშვილი წიგნში „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი" მოიხსენიებს თბილისში XIX საუკუნეში აშენებულ „ვაჟების 2-რე გიმნაზიის კარის ეკკლესიას". სამწუხაროდ, ვის სახელობაზედ იყო ნაკურთხი ეს ეკლესია ჩვენთვის უცნობია.

1893 წლის გაზეთი „ივერია" წერდა, რომ „ტფილისის მეორე კლასიკური გიმნაზია პანსიონის დაარსებას აპირებს და საკუთარის შენობის აგებას კიდეც შეუდგა საკუთარს ადგილზედ კუკიაში, ვერის ხიდთან. 5 ოქტომბერს საძირკველი აკურთხეს. კურთხევას დაესწრნენ: სწავლა-განათლების მზრუნველი, გუბერნატორის მოადგილე გრაფი ტიზენგაუზენი, რკინიგზის გამგებელი ბ-ნი ფრიდე, ტფილისის გიმნაზიების დირექტორები, საბჭოს ხმოსნები და სხვ."

1895 წელს გაზეთ "ნოვოე ობოზრენიეში" ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) წერს: „მე მხოლოდ ამას ვინატრი, რომ ქართველთა სწავლულთა პირთა ერთმანეთის სიყვარული ისწავლონ და ერთმანეთის შემწეობით განავრცონ და განამტკიცონ ქართული ენა. ვისურვებ, სახელნი ქართველთა განათლებულთა პირთა აღბეჭდილიყო გორიზონტსა ზედა საქართველოს ის-



ტორიასა. გუშინ, 11 იანვარს მოხდა საზეიმო გახსნა ტფილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის ახლადაშენებული შენობისა. შენობის აშენება დაჯდა 30000 მანეთი, რომელიც შემოსწირეს ძირითადად ამ გიმნაზიის მოწაფეების მშობლებმა. შენობის ოთახები არის ნათელი და პასუხობს ჰიგიენის და ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნებს. გახსნაზე, რომელიც დაიწყო თერთმეტ საათზე, მოვიდნენ მთავარმართებელი ს.შერემეტიევი, ტფილისის გუბერნატორი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ტფილისის პოლიცმეისტერი, გიმნაზიის მთელი პერსონალი და მოსწავლეთა მშობლები. შენობის დარბაზში, სადაც შეგროვდნენ მოწვეულები, გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ჩაატარა საზეიმო წირვა...".

ვაჟთა გიმნაზიის შენობაში დღეისათვის მეცნიერებისა და განათლების სამინისტროა განთავსებული და იგი მდებარეობს დ.უზნაძის ქუჩის N52-ში.

ქალთა და ვაჟთა სწავლება მიმდინარეობდა ცალ-ცალკე. 1872 წლიდან ქალთა სასწავლებლებს ეწოდათ გიმნაზიები. მასში სწავლის უფლება ეძლეოდათ ყველა ფენის და ყველა რელიგიური მიმდინარეობის ქალიშვილებს. ზოგიერთ გიმნაზიაში სწავლების კურსი იგივე იყო, რაც ვაჟთა გიმნაზიაში.

1897 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: "საქალებო I გიმნაზიის ეკკლესიის კურთხევა. გუშინ 27 მარტს, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმერმა, სამღვდელოების თანდასწრებით, ტფილისის I გიმნაზიის ახლად აგებული ეკკლესია აკურთხა. კურთხევას დაესწრნენ მთავარ-მართებელი თავ. გ.ს.გოლიცინი, მზრუნველი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა, დირექტორები ტფილისის ყველა გიმნაზიებისა და სხვანი მრავალნი წარჩინებულნი პირნი, რომელნიც საქალებო გიმნაზიის დირექციიდგან ბილეთებით იყვნენ მოწვეულნი. წირვის შემდეგ მოწვეულთ საუზმე მიართვეს.

1902 წლის თბილისის გეგმაზე გიმნაზიის შენობა აღნიშნულია №138-ით. იგი მდებარეობდა III საპოლიციო უბანში, დღევანდელ ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე. დღეს ამ შენობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებია განთავსებული.

The churches of Tbilisi Public Schools

The church of Tbilisi boys' Pablic School II was built late in the 19th century. Unfortunately, this is the only thing we know about it. Today, the Ministry of Science and Education has occupied the building. The church of Public School for Girls is mentioned in the list of the 19th century churches compiled by the scholar M. Janashvili. The chart of 1902 depicts the temple with number 138. At present the same building which is in Lado Gudiashvili Street is shared by several public organizations.

Церкви тбилисских гимназий

Домовая церковь тбилисской II мужской гимназии была построена в конце XIX века. К сожалению, другими сведениями мы не располагаем. Сегодня в этом здании размещено Министерство науки и просвещения Грузии. Домовую церковь I женской гимназии упоминает грузинский исследователь М.Джанашвили в перечне церквей, построенных в Тбилиси в XIX веке. На плане Тбилиси 1902 года это здание указано под № 138. Сегодня в этом здании на улице Ладо Гудиашвили размещены общественные организации.

ქალთა I გიმნაზია. XIX დასაწყისი.
ღია ბარათი.
I женская гимназия. Открытка, начало XX в.

The building of Girls Public School.
Postcsrd. Early 20th c.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მ.ჩხიკვაძის ფოტო, 2010წ
Министерство просвещения и науки. Фото М.Чхиквадзе, 2010г.
Ministry of Education and Science. Photo by M.Chkhikvadze, 2010.





წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესია

თბილისის სამხედრო სასწავლებლი და წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესია განთავსებული იყო მიხეილის, დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე. ეკლესია აშენებული იყო სასწავლებლის ეზოში და ებჯინებოდა ცენტრალურ კორპუსს. მას ჰქონდა ორი შესასვლელი შიდა–კორპუსიდან და გარეთა–ეზოს მხრიდან. ეკლესია აშენდა სასწავლებლის ხელმძღვანელების პოლკოვნიკების ვ.სახაროვის და ა.კოლიუბაკინის ინიციატივით. მშენებლობას ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ვ.ბოლგარსკი, ხოლო შიდა მოწყობილობის სამუშაოებს – პოდპოლკოვნიკი ი.დიდებულიძე. ეკლესია ზემოდ ჩამოთვლილი პირების ხარჯით და სასწავლებლის ოფიცრებისა და იუნკერების შემოწირულობებით აშენდა.

1893 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა არმიისა და ფლოტის მთავარ მღვდელს ჟელობოვსკის მიმართა თხოვნით: "ოლქის ჯარების სარდლის დავალებით, გთხოვთ, თქვენო მაღალუწმინდესობავ, შეგვატყობინოთ მისი აღმატებულებისათვის მოსახსენებლად შესაძლებელია თუ არა კარის ეკლესიის აშენება თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებლის შენობაში იმ სახით, როგორც ამას სასწავლებლის უფროსი თანდართულ პატაკში (N898) ითვალისწინებს, და თუ ამისათვის წმინდა სინოდის ნებართვაა საჭირო, გთხოვთ არ გვითხრათ უარი და გამოითხოვოთ ეს უფლება."



1896 წლის 8 ნოემბერს ეკლესია საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა მთავარანგელოზ მიქაელის სახელზედ აკურთხა. ეკლესიის შიდა კედლებზე, შავ მარმარილოს დაფებზე ამოტვიფრული იყო 1877-1881 და 1904-1905 წლების ბრძოლებში დაღუპული ოფიცრების და სასწავლებლის ყოფილი იუნკერების სახელები. ეკლესიას ემსახურებოდა ერთი მღვდელი და ერთი მეფსალმუნე. მღვდლის გრიგორი ციტოვიჩის გადმოცემით, ამ ეკლესიაში ეტეოდა 200 კაცი. თბილისის წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას ბრტყელჭერიანი გადახურვით.

საბჭოთა პერიოდში ტაძარს, მრავალ სხვა ეკლესიათა მსგავსად, თავისი ფუნქცია დაკარგული ჰქონდა და სხვადასხვა დანიშნულებით (ძირითადად სამეურნეო) გამოიყენებოდა. 1993 წელს სამხედრო აკადემიის იმდროინდელი ხელმძღვანელობის თაოსნობით ტაძარს კვლავ დაუბრუნდა თავისი პირვანდელი დანიშნულება. 1993-1997 წლებში წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესიას ჩაუტარდა რესტავრაცია. ტაძრის ძირითადი ნაწილი მოიხატა მხატვრების მერაბ ჩაკვეტაძის და დავით ხიდაშელის მიერ, ხოლო ტაძრის მოხატულობა დაასრულეს მხატვრებმა გელა წიკლაურმა და გიორგი ბენაშვილმა.

ტაძარში კანკელზე დაბრძანებულია მაცხოვრის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ივერიის დიდებისა და წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის ხატები. ასევე დაბრძანებულია ხომასურიძეების გვარის წარმომადგენლების მიერ შემონაწირი მაცხოვრის ძველი ხატი. მოხატულობიდან აღსანიშნავია მაცხოვრის შობის, ნათლისღების და სხვა წმინდანთა გამოსახულებები. 1997 წელს ეკლესია აკურთხა ფოთის ეპისკოპოსმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) მთავარანგელოზთა სახელზედ.

წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესია მდებარეობს დ. უზნაძის ქუჩის №117-ში, სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე.

St. Archangels Church

The church was built in 1896 within the precincts of the Military School. The construction was supported by the donations of Lieutenants and Junkers. Inside the church, on the walls were black marble tablets with names of the former students of the school who fell on battlefields. The Tbilisi Archangels Church represents a single-nave-hall structure. Under Communist rule the temple was deprived of its function and was used for various purposes. In 1997 it was returned to its ministry.

Церковь св. Архангелов

Церковь возведена в 1896 году во дворе Тифлисского военного училища, построенного на пожертвования офицеров и юнкеров училища. На внутренних стенах церкви, на плитах черного мрамора высечены были имена погибших в боях офицеров и юнкеров бывшего училища. Тбилисская церковь св. Архангелов является сооружением зального типа. В советское время храм, подобно другим церквям, утратил свою функцию и использовался в разных целях. В 1997 году храму вновь было возвращено свое первоначальное назначение.

წმ მთავარანგელოზთა ეკლესია XXს. I ნახევრის ფოტო
Церковь св.архангелов. Фото I половины XXв.
Church of the Archangels. Photo of first half of 20th c.

წმ მთავარანგელოზთა ეკლესია ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Церковь св.архангелов. Фото И.Микадзе, 2009г.
Church of the Archangels. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ მთავარანგელოზთა ეკლესიის ინტერიერი. ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Интерьер церкви св.архангелов. Фото И.Микадзе, 2009г.
Church of the Archangels. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.





ღვთისმშობლის გამოცხადების ეკლესია

რუსეთის იმპერიის ნიჟეგოროდის პოლკი იყო ერთ-ერთი პირველი სამხედრო ნაწილი, რომელიც საქართველოში 1809 წლიდან შემოვიდა. თბილისში ჩამოსვლისთანავე პოლკმა მონაწილეობა მიიღო სპარსებისა და ლეკების წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებში. 1810 წელს პოლკი შევიდა ქართლში ამბოხებული ოსების დასაშოშმინებლად. 1812 წელს ნიჟეგოროდის პოლკმა მონაწილეობა მიიღო კახეთის აჯანყების ჩახშობაში. შემდეგ წელს პოლკმა ხევსურეთი დალაშქრა. მომდევნო ცამეტი წელი იგი ლეკების ხაზს იცავდა. ამავდროულად, მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ექსპედიციებში მთიულთა წინააღმდეგ. ნიჟეგოროდის პოლკი მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობაში.


თბილისში ნიჟეგოროდის პოლკმა ბინა დაიდო გარეუბანში – ნავთლუღში, დღევანდელი ქეთევან დედოფლის გამზირის №67 და №69-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მღვდელი გრიგორი ციტოვიჩი 1913 წელს გამოცემულ წიგნში "არმიის და ფლოტის ტაძრები" წერს: „პოლკს ბრძოლებში თან ახლდა თავისი მოძრავი ეკლესია, რომელიც თბილისში 1896 წლიდან პოლკის ერთ-ერთი ყაზარმული შენობის მეორე სართულზე მოეწყო. 1901 წელს ეკლესიას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. ღვთისმშობლის გამოცხადების ეკლესიის დარბაზში 300 კაცი ეტეოდა.

პოლკის ეკლესიის ღირშესანიშნაობებია: პოლკის შექმნის დროინდელი (1701წ.) წმინდა სახარება და ტრაპეზის ჯვარი; აგრეთვე ხატი-საჩუქარი მისი საიმპერატორო უმაღლესობის, პოლკოვნიკის პრინც ლუდოვიკო ნაპოლეონისა".

ეკლესიაში ერთი მღვდელი მსახურობდა. საბჭოთა პერიოდში პოლკის ყაზარმული შენობები ეკლესიასთან ერთად დაანგრიეს და მის ადგილზე დღეს საცხოვრებელი კორპუსებია აშენებული.

სხვადასხვა დროს პოლკს ხელმძღვანელობდნენ გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, გენერალ-ადიუტანტი ივანე ამილახვარი. მასში მსახურობდნენ კავკასიის ომის მონაწილე გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ ჯომარჯიძე და გენერალ-მაიორი მიხეილ სუმბათაშვილი.



Apparition of the Most Holy Theotokos Church

In 1896 Church of the Apparition of the Most Holy Theotokos was opened in the building of the Nizhegorod Regiment barracks. In 1901 it was substantially repaired. The whole building was pulled down under Communist rule.

Церковь Явления Богоматери


С 1896 года в Тбилиси в казарменном здании нижегородского полка обосновалась православная церковь Явления Богоматери, в которой в 1901 году был проведен капитальный ремонт. Здание вместе с церковью снесли в советский период.



თბილისი, ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმული შენობები. დ.ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი.
Тбилиси, казармы Нижегородского полка. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Tbilisi. Nizhegorod Regiment barracks. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

გრ.გაგარინის ნახატი. კახეთი. ყარაღაჯი. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მხედართმთავრები. 1841წ
Рисунок Г.Гагарина. Кахети, Карагаджи, полководцы Нижегородского драгунского полка, 1841г.
G. Gagarin's canvas. Kakheti, Karaghaji. Nizhegorod Regiment generals, 1841.

ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმული შენობა. მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2010წ
Казарма Нижегородского полка. Фото М.Чхиквадзе, 2010г.
Tbilisi. Nizhegorod Regiment barracks. Photo M.Chkhikvadze, 2010.



ცხოვრების ხარისხი

ცხოვრების ხარისხი

"საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან ერთად (1864-1871 წწ.) ყმა ებრაელები, გათავისუფლდნენ რა ბატონის უღლისაგან, ძირითადად გადადიან ქალაქებში, სადაც უკვე არსებობს ებრაული თემი, და იწყებენ აღებ-მიცემობას. ებრაული მოსახლეობის შედარებით მცირე რაოდენობა მისდევს ხელოსნობას. ქალები მისდევდნენ ქსოვასა და რთვას, როგორც პირადი საოჯახო საჭიროებისათვის, ასევე საბაზროდაც. ზოგიერთ ებრაულ ოჯახს გააჩნდა საკარმიდამო ნაკვეთი, სადაც ძირითადად მოჰყავდა ყურძენი," – წერს შ.წიწუაშვილი.

ქართველი ებრაელების ყმობისაგან გათავისუფლებამ და ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებამ ხელი შეუწყო ებრაული თემის სტრუქტურის ჩამოყალიბებას. როგორც წესი, ერთი სოფლიდან ებრაელები ჯგუფურად გადადიოდნენ ერთსა და იმავე ქალაქში, სადაც აარსებდნენ სინაგოგას და სახლდებოდნენ მის ირგვლივ. თემი ირჩევდა სინაგოგის ხელმძღვანელს – გაბაის, რომელიც განაგებდა სინაგოგის საქმეებს. ხახამი, რომელიც პასუხისმგებელი იყო თემის რელიგიური ცხოვრების წარმართვაზე, ასრულებდა ასევე რაბინის, ხაზანის (მლოცველის), შოხეტისა (ფრინველისა და საქონლის დამკვლელის) და მოელის (წინდამცვეთის) ფუნქციებს. თითქმის ყველა სინაგოგასთან მოქმედებდა ხედერი – დაწყებითი რელიგიური სასწავლებელი, სადაც ებრაულ ენას, თორასა და ებრაელთა ისტორიას ეუფლებოდნენ.

1890-იანი წლებიდან თბილისში შემოდის ცხინვალელ ებრაელთა ჯგუფი, რომლის სულიერი ხელმძღვანელი ვილნიუსიდან ჩამოსული რაბინი ხვოლეი იყო. მათ თავისი სალოცავი "დიდი ლოცვის" სიახლოვეს, ლესელიძის ქუჩაზე ააშენეს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. ერთ-ერთ მთავარ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სიონისტური მოძრაობის აღმოცენება, რომელიც თავდაპირველად აშკენაზ ებრაელებში იწყება, მაგრამ თანდათანობით მოიცვა ქართველი ებრაელობაც.

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერს საქართველოს დამფუძნებელი კრების ორი ქართველი ებრაელი დეპუტატი: იოსებ ელიგულაშვილი და მოშე დავარაშვილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 5-6 წლის შემდეგ ფართო მუშაობა გაჩაღდა რელიგიის წინააღმდეგ. ანტირელიგიური სააგიტაციო მუშაობა განსაკუთრებით აქტიურდებოდა ებრაელთა დღესასწაულების მოახლოებისთანავე. 1937-1938 წლებში ხელისუფლებამ დიდი დარტყმა მიაყენა ქართველ ებრაელთა რელიგიურ ცხოვრებას. 1937 წელს დააპატიმრეს ცხინვალის ცხრა ხახამი და ყოველგვარი გასამართლების გარეშე სიკვდილით დასაჯეს ციხეში. ცნობილი "ებრაელი ექიმების საქმის" გამო 1953 წელს დახურეს სინაგოგები, დააპატიმრეს ხახამ-რაბინები. ამ ტალღაში მოყვა თბილისის ქართველი ებრაელების სინაგოგებიც. "ახალციხელების ლოცვა" რამდენიმე დღით იყო დაკეტილი, ხოლო "ცხინვალელების ლოცვაში" შეწყდა ღვთისმსახურება. მთავრობამ აღიარა ამ საქმის უსაფუძვლობა, მაგრამ ებრაელებისათვის სალოცავი აღარ დაუბრუნებიათ. სინაგოგის შენობა იდგა კაბხაზის ქუჩის №43-ის ეზოში.


"The Prayer of the Tskhinvalians" of the Jews

Late in the 19th century a large group of the Jews arrived in Tbilisi and settled down in one of the oldest districts of the city. They built a house for prayer and named it "the Tskhinvalians' Prayer". In 1953 in connection with the known "case of Jewish doctors" the synagogues were closed, rabbies imprisoned. This wave involved the Georgian Jews' synagogues too. The prayer ceased in "the Tskhinvalians' Prayer". Later the government authorities acknowledged this had been a groundless action. Nevertheless, the house of prayer has never been returned to the Jews.

Еврейский молитвенный дом цхинвальцев

В конце XIX века в Тбилиси из Цхинвали приезжает большая группа евреев, компактно поселившаяся в старом районе. Там они возвели свою молельню, которую в Тбилиси называли «Молитвой цхинвальцев». В 1953 году в связи с известным делом еврейских врачей синагоги закрыли, арестовали раввинов, под эту волну попали и тбилисские синагоги. В «Молитве цхинвальцев» прекратилось богослужение. Впоследствии правительство признало безосновательность этого дела, однако эту молельню евреям больше не возвращали.

თბილისი, კაბახის ქ. №43 ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Тбилиси, ул.К.Абхази №43. Фото И.Микадзе,2009г
Tbilisi, K.Abkhazi Street, 44. Photo by I.Mikadze, 2009.





წმინდა თეოდორე ჩარნიგოველის ეკლესია

თბილისის მაცხოვრებლების ერთმა ჯგუფმა, რომელიც ეკლიანი ხევის დასახლებაში (დღევანდელი ალ.გრიბოედოვისა და ვ.სარაჯიშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია) ცხოვრობდა, მიმართა თბილისის მმართველობას თხოვნით ყურადღება მიექციათ მათი ქუჩებისათვის, რადგან ამ ტერიტორიაზე განთავსებული იყო უამრავი დუქანი და საეჭვო რეპუტაციის სახლი. დუქნებიდან გამოსული მთვრალი ხალხი ბევრ პრობლემებს უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ შეისმინა მოსახლეობის თხოვნა, მოქალაქეებმა თხოვნა საქართველოს ეგზარქოსს ვლადიმერს გაუგზავნეს, რათა მათ უბანში გახსნილიყო სამლოცველო სახლი. 1896 წლის 8 დეკემბერს ეგზარქოსისაგან მოსახლეებმა კურთხევა მიიღეს წმინდა თეოდორე ჩერნიგოველის სამლოცველო სახლის გახსნაზე.

თბილისელმა ქალბატონმა ზოსიბერგმა უსასყიდლოდ დაუთმო სასულიერო პირებს თავისი სახლის სამი ოთახი, თუმცა ეს სამი ოთახი ძალიან მალე არასაკმარისი აღმოჩნდა მრევლისათვის. ამიტომ ეგზარქოს ვლადიმერის გადაწყვეტილებით ამ სამ ოთახს მიემატა კიდევ ხუთი ოთახი: ერთი მოძღვრისათვის, ერთი ოთახი ბიბლიოთეკისათვის და სამკითხველოსათვის, მესამე ოთახი ხატმწერებისათვის, ბოლო ორი ოთახი უმწეოთა თავშესაფრად და სასადილოდ. ეკლესიის მოძღვრად დაინიშნა იასონ ლაბაძე, რომელიც უსასყიდლოდ ემსახურებოდა მრევლს.

ეკლესია 1899 წლიდან თბილისის ეპარქიის სასულიერო-საგანმანათლებლო საძმოს მფარველობაში გადადის. საძმოს გადაწყვეტილებით სამლოცველოს გაუკეთდა რემონტი. სამივე ოთახი გააერთიანეს და დადგეს კაკლის ხის კანკელი. შენობა გარედანაც შეკეთდა.

1900 წლის 12 ნოემბერს თბილისის სასულიერო სემინარიიდან დაიწყო მსვლელობა, მოაბრძანებდნენ ღვთისმშობლის ხატს, რომელიც საქართველოს ეგზარქოსმა შესწირა წმიდა თეოდორე ჩერნიგოველის ეკლესიას. პროცესიას მოჰყვებოდა უამრავი ხალხი. პირველი წირვა ახლად გარემონტებულ სამლოცველო სახლში აღავლინა გორის ეპისკოპოსმა კირიონმა. ამ პერიოდიდან სამლოცველომ მიიღო კარის ეკლესიის სტატუსი.

ამავე პერიოდიდან იწყება მისიონერების საძმოს ზრუნვა კარის ეკლესიის ახალ დამოუკიდებელ შენობაში გადატანაზე. ახალი დამოუკიდებელი შენობისათვის აირჩა თავად ეკატერინე ხიმშიაშვილის მიწის ნაკვეთი. ხიმშიაშვილებმა თანხმობა განაცხადეს გადაეცათ საძმოსათვის მიწის ნაკვეთი ეკლესიის ასაშენებლად, სანაცვლოდ კი მოითხოვეს ვერის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მათთვის გამოყოფილიყო საგვარეულო საძვალე. 1901 წელს შედგა შეთანხმება და საძმოს გადაეცა მიწის ნაკვეთი ახალი ეკლესიის ასაშენებლად.

ეკლესიის ასაშენებელი თანხები ყოფილი საქართველოს ეგზარქოსის და შემდგომ მოსკოვის მიტროპოლიტის ვარლაამის ინიციატივით შეგროვდა მოსკოვის 27 ეკლესიაში. ასევე ეკლესიის ასშენებლად თანხები გაიღეს მოსკოვში მცხოვრებმა რუსმა დიდგვაროვნებმა. 1904 წელს ინჟინერმა კ.ანტონოვმა შეადგინა ასაშენებელი ეკლესიის პროექტი.

St. Theodor of Chernigov Church

Upon the wish of the Tbilisi residents and on the blessing of the Exarch of Georgia in 1896 a church in commemoration of St. Theodor of Chernigov was opened. Initially, it was a chapel arranged in a private house. Only in 1906 possibilities were found to start the building of a temple which was accomplished in 1910. A Sunday school was also under the supervision of the church where ordinary people's children were taught the rudiments of knowledge and elementary handicraft. In the same year a workshop of iconography was opened too. The temple was closed in the 20s of the 20th century.

Церковь св. Федора Черниговского

По желанию жителей Тбилиси и с благославления экзарха Грузии в 1896 году открывается молельный дом св. Федора Черниговского. Сначала молельня разместилась в частном доме, а с 1906 года стало возможным строительство нового здания церкви, которое завершилось в 1910 году. При церкви была открыта воскресная школа, где детей из бедных семей обучали грамоте и рукоделию. С этого же года при церкви открылась школа иконописи. Церковь прекратила существование в 20-ые годы XX века.

წმ თეოდორე ჩერნიგოველის ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი.

Церковь св.Федора Черниговского. Фото Д.Ермакова, начало XXв.

St. Theodor of Chernigov Church. Photo by D.Ermakov. Early 20th c.





თუმცა, იმ პერიოდში თბილისში არსებული არეულობების გამო ეკლესიის მშენებლობის დაწყება 1905 წლის შემოდგომამდე ვერ მოხერხდა. მშენებლობა დაიწყო 1906 წლის 16 აპრილს. საძირკვლის კურთხევას სამღვდელოებასთან ერთად დაესწრო კავკასიის მეფისნაცვალი თავადი ე. ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ. ეკლესიის მშენებლობას ხელმძღვანელობდა გენერალ – ლეიტენანტი გ.ხიმშიაშვილი და საძმოს თავმჯდომარე ს.გოროდცევი. მაგრამ, სახსრების უქონლობის გამო მშენებლობა მალევე შეჩერდა. ეკლესიის მშენებლობა 1909 წელის 4 ოქტომბერს დასრულდა და ის 1910 წლის 4 აპრილს აკურთხეს. ეკლესიაში ქადაგებდნენ სასულიერო სემინარიის რექტორები არქიმანდრიტები სერაფიმე და გერმოგენი, მღვდლები ი. ლაბაძე, ე. ჯაოშვილი, დ. ბიგულოვი და სხვები.

ეკლესიასთან გახსნილი იყო საკვირაო სკოლა, სადაც ღარიბი ოჯახის ბავშვებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ხელსაქმეს. ამავე წლიდან ეკლესიასთან



გაიხსნა ხატწერის სახელოსნო, რომელშიც ასწავლიდა ხატმწერი ნიკოლაი ანდრეევი. ასევე აღსანიშნავია, რომ ღარიბი ოჯახების ბავშვებისათვის აწყობდნენ ლიტანიობას, დაჰყავდათ სხვადასხვა ეკლესიებში, სიონში, მცხეთის სვეტიცხოველში, აჩვენებდნენ სიწმინდეებს.


ეკლესიამ ფუნქციონირება შეწყვიტა XX საუკუნის 20-იან წლებში. საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში განთავსებული იყო თბილისის ისტორიის მუზეუმი, ჭადრაკის სასახლე და სხვადასხვა ორგანიზაციები.

წმინდა თეოდორე ჩერნიგოველის ეკლესიის შენობა მდებარეობს ვ.სარაჯიშვილის ქუჩის №2-ში.

წმ თეოდორე ჩერნიგოველის ეკლესია
საბჭოთა პერიოდის ფოტო
Церковь св.Федора Черниговского. Фото советского периода.
St. Theodor of Chernigov Church. Photo of the Soviet period.

წმ თეოდორე ჩერნიგოველის ეკლესია.
მ.ჩხიკვაძის ფოტო. 2009წ
Церковь св.Федора Черниговского. Фото М.Чхиквадзе, 2009г. St. Theodor of Chernigov Church. Photo by M.Chkhikvadze, 2009.

წმინდა ალექსანდრე ნევსკის სამხედრო ტაძარი



კავკასიის არმიის მთავარმა დეკანოზმა ს.გუმილევსკიმ მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ რომანოვს თხოვნით აშენებულიყო ალექსანდრეს ბაღში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სამხედრო ტაძარზე უფრო დიდი ტაძარი. მიხეილ რომანოვმა მას თანხმობა განუცხადა და ტაძრის ასაშენებელი ადგილი, ღუნიბის მოედანი თავად აირჩია. მას სურდა, რომ ეს ტაძარი რუსული არმიის გამარჯვებათა და მეფის რუსეთის მიერ კავკასიის სრული დაპყრობის აღსანიშნავად აღმართულიყო.

კავკასიის ომი, რომლის დაწყებაც XIX საუკუნის პირველ წელს ემთხვევა, თითქმის სამოც წელს გრძელდებოდა. ტაძრის პროექტის შესადგენად 1865 წელს გამოცხადდა დახურული კონკურსი, რომელზეც წარმოდგენილი იყო 14 პროექტი. ტაძრის ასაგებად შერჩეულ იქნა ღუნიბის მოედანი. საკრებულოს, ანუ სამხედრო ტაძარს საძირკველი ჩაუყარეს 1871 წლის 28 აპრილს, მაგრამ თურქეთთან დაწყებული ომის გამო რამდენიმე წლით სამშენებლო სამუშაოები შეწყდა და მხოლოდ 1889 წლის ბოლოს განახლდა.

სახელმწიფო საბჭომ ტაძრის ასაშენებლად 380000 მანეთი გამოყო. თავდაპირველი მშენებლობის პროექტი შეიცვალა და ასევე შეიცვალა მისი ასაშენებელი ადგილი, თუმცა ისევ ღუნიბის მოედნის სხვა მონაკვეთი აირჩა. 1891 წელს დამთავრდა ფუნდამენტის მშენებლობა, ხოლო 1897 წლის 13 აპრილს საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა აკურთხა დამთავრებული ტაძარი.

Sobor of Alexander Nevski, the Caucasian Sobor of Military Personnel

In connection with the total conquest of the Caucasus and the victory of the Russian Army a decision was taken to erect a temple for the Militaries. Its construction was accomplished in 1897 and the Exarch of Georgia consecrated it. The temple was pulled down in the 20th century and the Government House took its place. In 1996 a project was worked up for the reconstruction and restoration of the Parliament House in which a chapel in place of the old church was envisaged. The chapel was opened and His Holiness and Beatitude consecrated it.

Собор св. Александра Невского, Кавказский Военный собор

В ознаменование побед российской армии и полного покорения Россией Кавказа было решено в Тбилиси возвести Военный собор. Строительство собора закончилось в 1897 году и его освятил экзарх Грузии Владимир. Собор снесли в 20-ые годы XX века в связи со строительством Дома Правительства Грузии. В 1996 году был разработан проект восстановления и реконструкции парламента, который на основании старой церкви предусматривал и восстановление часовни. В парламенте Грузии начала действовать часовня, которую освятил Католикос-Патриах Всея Грузии, Святейший и Блаженнейший Илья II.



წმ. ალ.ნეველის ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Собор св. Ал.Невского, вид с юга-востока. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
St. Alexander Nevski Church. South-east view. Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ. ალ.ნეველის ტაძარი ჩრდილო-დასავლეთიდან. დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Собор св. Ал.Невского, вид с северо-запада. Фото Д.Ермакова, конец XIX в.
St. Alexander Nevski Church. North-west view. Photo by D.Ermakov. End of 19th c.


აღლუმი მეფისნაცვლის წინაშე. ღია ბარათი, XXს. დასაწყისი
Парад перед наместником. Открытка, начало XXв.
The Viceroy inspects a parade. Postcard. Early 20th c.



ტაძრის სიმაღლე გარედან 18 საჟენი იყო, შიგნით კი მთავარი გუმბათის 13 საჟენი და 1 არშინი. სიგრძე და სიგანე ტაძრის ცოკოლიდან 14 საჟენი და 2 არშინი... ტაძარში შემოვდივართ ბრინჯაოს მორთულობებიანი, მუქი ფერის მუხის მასიური მოხარატებული კარით. ტაძარი კარგადაა განათებული 81 ფანჯრით. ტაძრის მოხატულობა შესრულებულია მხატვრების კოლჩინის და ლონგოს მიერ. კანკელი ერთიარუსიანია, მარმარილოსი, ადგილ-ადგილ მოოქროვილი. კანკელის გლუვი ზედაპირი მორთულია პრიალა ვარდისფერი მარმარილოს ჩუქურთმებით. აღსავლის ცენტრალური მასიური კარი მორთულია ბიზანტიური სტილის მოოქროვილი ბრინჯაოს ჭვირული ჭედურობით ტაძრის კედლები მოხატულია გამოსახულებებით და ორნამენტით", – აღწერდა მღვდელი გრიგორი ციტოვიჩი.

მას ასევე აღწერილი აქვს ტაძრის გარეთა კედლებზე, ფირფიტებზე გაკეთებული წარწერები:

ა) ჩრდილოეთ მხარეს: „დაე თვალნი შენი დღე და ღამ მიპყრობილ იყოს ამ ტაძრისკენ." ტაძრის მშენებლობა დაწყებულა 1889 წ. შემოდგომაზე მთავარსარდალ თავად ა.მ.დუნდუკოვ-კორსაკოვის და ინჟინერთა უფროსის გენე-



წმ. ალ.ნეველის ტაძარი აღმოსავლეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული.
Собор св. Ал.Невского, вид с востока.
Фото Д.Ермакова, конец XIX в.
St. Alexander Nevski Church. East view.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.

წმ. ალ.ნეველის ტაძარი სამხრეთ-დასავლეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIXს. დასასრული
Собор св. Ал.Невского, вид с юго-запада.
Фото Д.Ермакова, конец XIX в.
St. Alexander Nevski Church. South-east view.
Photo by D.Ermakov. End of 19th c.

მედდა მარო მაყაშვილი.
Медсестра Маро Макашвили.
Maro Makashvili. A nurse.



რალ-ლეიტენენტ ა.დ.პოდიშოვის დროს; დამთავრებულა გენერალ-ადიუტანტის ს. ლ. შერემეტიევის დროს, ეკურთხა 1897 წ. 21 მაისს. ტაძრის მშენებელია ინჟინერ-პოლკოვნიკი ვ.პ.გერასიმოვი;


ბ) აღმოსავლეთ მხარეს: „ადიდეთ ღმერთი ყველგან. ეს ტაძარი აგებულია გარდაცვლილი იპერატორის ალექსანდრე II-ს ბრძანებით წმინდა მართლმორწმუნე თავად ალექსანდრე ნეველის სახელზე ღმერთის სადიდებლად და კავკასიის ომის დამთავრების აღსანიშნავად. დაე უკვდავყოფილ იყოს მისი სახელი თაობიდან თაობამდე".

გ) სამხრეთ მხარეს: „მზის აღსავალიდან დასავლეთამდის სახელი ჩემი გაითქვას. კავკასიის ომი დაიწყო 1567 წ. და დამთავრდა ალექსანდრე II-ს მეფობაში, მისი ნაცვალის, დიდი თავადის მიხეილ ნიკოლოზის ძის დროს 1864 წ. 21 მაისს."

დ) დასავლეთ მხარეს: „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან".

ტაძრის უკანა კედელზე, ფარებზე ჩამოთვლილი იყო ის სამხედრო ნაწილე-





წმ ალ.ნეველის დანგრეული ტაძრის ადგილი. XXს. 20-იანი წლების ფოტო.
Место разрушенного Собора св. Ал Невского. Фото 20-ых годов XXв.
The site of the destroyed church of St. Alexander Nevski. Photo of 1920s.

საქართველოს პარლამენტის შენობა. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Здание Парламента Грузии. Фото И.Микадзе, 2009г.
The House of the Parliament of Georgia. Photo by I.Mikadze, 2009.

ბი, რომლებმაც მონაწილეობა კავკასიის დაპყრობით ბრძოლებში მიიღეს.

ტაძრის ეზოში აშენებული იყო ოთხიარუსიანი სამრეკლო. ტაძარს მთლიანად რკინის გალავანი ჰქონდა შემორტყმული. გალავანში დატანილი იყო 3 კარი. ტაძრის ეზოში განლაგებული იყო სხვადასხვა ბრძოლაში მოპოვებული ზარბაზნები.

„ტაძარი სამსაკურთხევლიანია: მთავარი – კეთილმორწმუნე დიდი თავადის ალექსანდრე ნეველის სახელზე, მარჯვენა – არქისტრატეგის მიხეილის (წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის) სახელხზე, მარცხენა კი ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელხზეა", – წერს გრიგორი ციტოვიჩი და ასევე გვაძლევს ჩამონათვალს საეკლესიო ნივთებისა, რომლებიც ალექსანდრეს ბაღში მდებარე წმიდა ნიკოლოზის ტაძრიდან გადმოიტანეს:

1) ძველებური მხატვრობის ხატი, წარწერით: „ეს ხატი მისმა საიმპერატორო უმაღლესობამ, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ შემოწირა თურქეთთან ომში გამარჯვებულ კავკასიის არმიას, ნიშნად მონარქის კეთილგანწყობისა...1877 წ."

2) ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ, კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გადასცა ამ ჯარის ნიკოლოზის ტაძარს მისი სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებისას 1881 წ. ქვევით ვერცხილის ფილაა წარწერით: „1877წ. გამარჯვებულ კავკასიის არმიას. ე.პ.ტარნოვსკაია-ნასჩოკინას საჩუქარი. ეს ხატი იმყოფებოდა დიდ თავადთან თურქეთთან ბოლო ომის დროს 1877-1878წწ.

3) იასპის კიდობანი, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე II-მ არმიის ახალი ტაძრისათვის საჩუქრად გამოუგზავნა კავკასიაში მეფისნაცვალს, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს;

4) მოვერცხლილ-მოოქროვილი ჭურჭელი და წმინდა სახარება, რომელიც ტაძარს გადასცა მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ, მეფისწულმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ, მის მიერ 1850 წ. ამიერკავკასიის მხარის მონახულების სამახსოვროდ;

5) პატარა ვერცხლის ჯვარი მაცხოვრის ჯვრის ხის ნაწილებით და სხვა

თბილისის ტაძრები

წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის სახლებული, საზღვარი ტაძარი





წმინდანების ნაწილებით;

6) წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ხატი მოოქროვებულ-მოვერცხლილ ჩარჩოში – ძღვენი დონის კაზაკთა N1,6,7,8,14 და 18 პოლკების ტაძრისათვის, რომლებსაც მეთაურობდა კავკასიაში არმიის მთავარსარდალი, დიდი თავადი მიხეილ ნილოლოზის ძე;

7) ყურადღების ღირსია: ა) მოვერცხლილ-მოოქრობევული დიდი სანაწილე, რომლის ღირებულება 1100 მანეთია; ბ) ჭედური ნამუშევრის სახარება 1200 მანეთის ღირებულებისა და სხვა."

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ტაძარი მიეკუთვნებოდა მართლმადიდებლური ეკლესიების იმ პომპეზურ ოფიციალურ სტილს, რომელიც "ბერძნულ-ბიზანტიური სტილის" სახელით ხელისუფლების ხელშეწყობით იმდროინდელ რუსეთში ინერგებოდა.

ტაძარი აშენდა არქიტექტორების დ.გრიმისა და რ.გედიკეს პროექტით. მათ მეორე ადგილი ერგოთ ტაძრის ასაგებად გამართულ კონკურსში, თუმცა უპირატესობა მაინც მათ მიანიჭეს, რადგანაც მათი პროექტი განსახორციელებლად უფრო ეკონომიური იყო, ვიდრე პირველი ადგილის მფლობელების არქიტექტორ ვ.შრეტერის და მხატვარ ა.ჰუნის პროექტი.


1921 წლის 23 თებერვალს ტაძარში დაკრძალეს კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლაში დაღუპული ოფიცრები და იუნკერები, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეწირული მედდა მარო მაყაშვილი. ტაძარი აიღეს XX საუკუნის 20-იან წლებში თბილისის მთავრობის სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

1996 წელს შემუშავდა სამოქალაქო ომის დროს დანგრეული პარლამენტის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ძველი ეკლესიის საფუძველზე სამლოცველოს აღდგენასაც ითვალისწინებდა. არქიტექტორების ვახტანგ სუხიშვილის და მერაბ გაგნიძის მიერ შედგინილი პროექტით საქართველოს პარლამენტში ფუნქციონირება დაიწყო სამლოცველომ, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკურთხა.

წმ. ალ. ნეველის სამლოცველო ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Часовня св. Ал.Невского. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Alexander Nevski Chapel. Photo by I. Mikadze, 2009.

წმ. ალ ნეველის სამლოცველოს კანკელი
ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Алтарная преграда часовни св. Ал.Невского.
Фото И.Микадзе, 2009г.
St. Alexander Nevski Chapel. Iconostasis.
Photo I.Mikadze, 2009.

წმ. ალ ნეველის ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Собор св. Ал.Невского, вид с юго-востока.
Фото Д.Ермакова, начало XX в.
St. Alexander Nevski Church. South-east view.
Photo by D.Ermakov. Early 20th c.







წმინდა ნინოს ეკლესია

1796 წელს რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის ბრძანებულებით დედოფალი მარიამი ჩაუდგა სათავეში კეთილშობილ ქალთა სააღმზრდელო საზოგადოებას, რომელსაც ეწოდა დედოფალ მარიამის დაწესებულებათა უწყება. თბილისში XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დაიწყო დედოფალ მარიამის უწყების სასწავლებლების დაარსება, მათ შორის იყო კეთილშობილ ქალთა დახურული სასწავლო-აღმზრდელობითი პანსიონი. აქ სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ წარჩინებული წოდების ახალგაზრდები. პირველი ასეთი სასწავლებელი – პ.ახვერდოვას პანსიონი გაიხსნა 1820 წელს სოლოლაკში, კერძო ბინაზე.

1840 წელს ქალთა პანსიონი გადაკეთდა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად. ინტერნატის ტიპის სამკლასიან სასწავლებელში თავადაზნაურული წარმოშობის 80 ქალიშვილი სწავლობდა. ინსტიტუტში ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულ ენასა და სიტყვიერებას, ფრანგულს, ბუნების მეტყველებას, ისტორიას, გეოგრაფიას, არითმეტიკას, ხატვას, ხელსაქმეს, მუსიკასა და ცეკვას.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი გადავიდა ახალ შენობაში ა.ერმოლოვის ქუჩაზე, დღევანდელი შ.ჩიტაძისა და ვუკ.ბერიძის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც, პლატონ იოსელიანის ცნობით, დაარსდა წმინდა ნინოს ეკლესია.

„ქართული ხუროთმოძღვრული დეკორისა და მკაცრი, თითქმის ყაზარმული იერის არქიტექტურის მოულოდნელი შერწყმის ნიმუშია მთაწმინდის მიმდებარე განაშენიანებაში მსხვილი მასშტაბითა და შეულესავი წითელი აგურის ფასადებით გამორჩეული 1888-1890 წლებში აშენებული ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის (კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის) შენობა," – წერს მაია მანია. პროექტის ავტორია რობერტ გედიკე(222). მშენებლობას ა.ზალცმანი ხელმძღვანელობდა.

როგორც საარქივო ფოტოზე ჩანს, ეკლესია ყოფილა მდიდრულად მორთულ ვრცელ მართკუთხა დარბაზში. ეკლესიაში გამოყოფილი იყო საკურთხეველი, რომელსაც ასევე მდიდრულად მოჩუქურთმებული კანკელი ჰქონდა. სამწუხაროდ, ამ ეკლესიის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

წმინდა ნინოს ეკლესია მდებარეობდა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში, შ.ჩიტაძის ქუჩის №4-ში.

ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებელი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი
Закавказское женское училище. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Transcaucasian Institute for Noble Ladies. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებელი. დ.ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი
Закавказское женское училище. Фото Д.Ермакова, начало XXв
Transcaucasian Institute for Noble Ladies. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებლის წმ.ნინოს კარის ეკლესიის კანკელი
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისი
Закавказское женское училище. Иконостас домовой церкви св Нино
Фото Д.Ермакова, начало XXв
Transcaucasian Institute for Noble Ladies. The iconostasis of the church inside the building.
Photo by D. Ermakov. Early 20th c.

St. Nino Church

Early in the 19th century the establishment of schools under the charge of the Russian Queen Maria's special department started. Among them was a private boarding-school for the daughters of noble families. Here lived and got an education the children of leading families. In 1840 the ladies' school was changed into the Institute for Noble Ladies of Transcaucasia. In the 90s of the 19th century the Institute moved to a new place where St. Nino Church was opened too. Under Communist rule the Institute and the church were closed.

Церковь св. Нино

В Тбилиси в начале XIX века началось основание ведомственных училищ русской царицы Марии, в том числе был и закрытый учебно-воспитательный пансион благородных девиц. Здесь обучались и жили девушки из семей благородного звания. В 1840 году женский пансион был преобразован в Закавказский институт благородных девиц. В 90-ые годы XIX века Закавказский институт благородных девиц перешел в новое здание, в которой была основана православная церковь св. Нино. В советский период наряду с упразднением училища упразднили и церковь.





წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძარი



თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ იგი აშენებულია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, იკურთხა 1901 წლის 13 მაისს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მეფობის მეშვიდე წელს, მთავარმართებელ გოლიცინისა და საქართველოს ეგზარქოსის ფლავიანეს მოღვაწეობის პერიოდში.

1901 წლის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ: "კვირას, 13 მაისს, ყოვლადუსამღვდეოსმა საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ აკურთხა ახლად აგებული ვერაზე, ყორღანოვის ქუჩაზე, წმ.იოანე ღვთისმეტყველის ეკკლესია. კურთხევას დაესწრნენ: მთავარმართებელი თავ. გ.ს.გოლიცინი, მისი თანაშემწე ა.ა.ფრეზე. სამოსწავლო მზრუნველად ნამყოფი კ.პ.იანოვსკი და სხვა საპატიო პირნი, თავ. გ.ს.გოლიცინმა შესწირა 500 მან. ვალის გადასახდელად, რომელიც დაედო ამშენებელ კომიტეტს. გარდა ამისა, იქვე იყო შეგროვილი შეწირულობა 1600 მანეთამდე".

ამავე წლის 15 მაისის „საქართველოს საექზარქოსოს სასულიერო მოამბე-



წმ იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია საბრძოლო-დასაკლეთიდან დ ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Церковь св. Иоанна Богослова, вид с юго-запада. Фото Д Ермакова, начало XXв.
St. John the Theologian Church. South-east view. Photo by D.Ermakov. Early 20th c.

წმ იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია და ცისფერი მონასტერი თ დოლიძის ფოტო, 2009წ
Церковь св. Иоанна Богослова и Лурдъ (Синий монастырь. Фото Т.Долидзе, 2009г.
St. John the Theologian Church and Blue Monastery. Photo by T.Dolidze, 2009.

წმ იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია საბრძოლო-დასაკლეთიდან დ ერმაკოვის ფოტო. XXს დასაწყისი
Церковь св. Иоанна Богослова, вид с юго-запада. Фото Д Ермакова, начало XXв.
St. John the Theologian Church. South-east view. Photo by D.Ermakov. Early 20th c.


St. John the Theologian Temple

The Tbilisi Temple of St. John the Theologian was consecrated on May 13, 1901. The church was initially intended for the Russian parish and its architectural style is based on the Russian tradition. Most of the icons preserved in the church belong to the 19th century. Two Holy of Holies are in the temple; the central altar bears the name of St. John the Theologian while the other belongs to the Most Holy Theotokos. In front of the altar, you can see a marble tablet in which a tiny piece of stone from the Saviour's Tomb is preserved. Divine Services are celebrated in Georgian and in Russian.

Церковь св. Иоанна Богослова

Тбилисская русская православная церковь св. Иоанна Богослова освящена 13 мая 1901 года. Церковь с самого начала была предназначена для прихожан русской национальности, поэтому ее архитектура опирается на русские традиции. В храме, в основном, хранятся русские иконы прошлого века. В церкви два алтаря: главный алтарь – св. Иоанна Богослова, а второй- Пресвятой Богородицы. Перед алтарем в мраморную плиту вставлена большая христианская святыня-часть камня Гроба Господня. Богослужение ведется на русском и грузинском языках.







ში" ვკითხულობთ, რომ „13 მაისს, მისმა უწმინდესობამ ფლობიანემ აკურთხა ახლად აშენებული, ყორღანოვის ქუჩის ბოლოში მდებარე მოციქულის და ევანგელისტის იოანე ღვთისმეტყველის ტაძარი. საქართველოს ეგზარქოსთან ერთად ტაძრის კურთხევაში მონაწილეობდნენ ბერები და თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლები. ტაძრის კურთხევის შემდეგ დალოცეს რუსეთის იმპერატორი, მისი მემკვიდრე და მთლიანად სამეფო ოჯახი, ტაძრის ქტიტორები და ტაძრის ამშენებლები, რის შემდეგადაც შესრულდა საზეიმო ლიტურგია. ტაძრის კურთხევას ესწრებოდა რუსეთის იმპერატორის მეფისნაცვალი თავადი გ. გოლიცინი მეუღლესთან ერთად, მრავალი სტუმარი და მრევლი. ეკლესიის გალავანი მორთული იყო მწვანე ტოტებით და დროშებით. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მშენებლობის დამთავრება შესაძლებელი გახდა მეფისნაცვლის მეუღლის მ.გოლიცინას 4000 მანეთის შემოწირულობის შემდეგ".

ტაძარი თავიდანვე გამიზნული იყო რუსი ეროვნების მრევლისათვის, ამიტომ მისი არქიტექტურა რუსულ ტრადიციებს ემყარება. ტაძრის აღმშენებელნი იყვნენ სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე ა.ფრენკელი, ტაძრის წინამძღვარი მღვდელი ი.მიხაილოვსკი, პორფირი ბელიავსკი, ინჟინერი კ.ანტონოვი. ტაძარში დაცულია გასული საუკუნის რუსული ხატები. ტაძარში ორი საკურთხეველია, მთავარი საკურთხეველი – წმინდა იოანე ღვთისმეტყველისაა, ხოლო მეორე, შედარებით მომცრო – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაა. საკურთხევლის წინ, მარმარილოს ფილაში ჩასმულია დიდი ქრისტიანული სიწმინდე – მაცხოვრის საფლავის ქვის ნაწილი.

თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია მდებარეობს ვერაზე, ლეო ქიაჩელის ქუჩის №21–ში.

წმ.იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის საკურთხეველი ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Алтарь церкви св. Иоанна Богослова.Фото И.Микадзе,2009г.St. John the Theologian Church. Altar. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ინტერიერი ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Интерьер церкви св. Иоанна Богослова.Фото И.Микадзе, 2009г.
St. John the Theologian Church. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ.იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Икона Богоматери церкви св. Иоанна Богослова.
Фото И.Микадзе, 2009г.
St. John the Theologian Church. An icon of the Most Holy Theotokos. Photo by I.Mikadze, 2009.

ბეით რახელი, აშჯენაზების ბეით ქნესეთი

თბილისში გარდა ქართველი და აშკენაზი ებრაელებისა ცხოვრობდნენ სპარსელი ებრაელები, რომლებიც ვაჭრობას მისდევდნენ. ასევე ცხოვრობდა ოსმანური იმპერიიდან შემოსული ებრაელების უმნიშვნელო რაოდენობის ჯგუფი – სეფარდები. 1880 წლიდან თბილისში შემოსვლას იწყებენ ქურთი ებრაელები, რომლებიც, ძირითადად, ირანის აზერბაიჯანიდან და ირანის ქურთისტანიდან შემოდიან.

დღევანდელი აშკენაზების სინაგოგა თავდაპირველად ირანიდან და ქურთისტანიდან შემოსული ებრაელებისათვის აშენდა 1910 წელს. საბჭოთა პერიოდში მოხდა ამ ებრაელების დიდი ნაწილის გადასახლება და ამიტომ ეს სინაგოგა აშკენაზ ებრაელების ხელში გადავიდა.

დროთა განმავლობაში შენობა დაზიანდა. მას პირველი რესტავრაცია 1970-იან წლებში გაუკეთდა, რომლის დროსაც შენობა გაამაგრეს და კოსმეტიკური რემონტი გაუკეთეს. შენობა ძლიერ დაზიანდა 2001 წლის მიწისძვრის დროს და საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს.

2009 წლის ჟურნალ „ერთობაში" ვკითხულობთ: „...აშკენაზ ებრაელთა სალოცავი (ბეით ქნესეთი) დიდი ხანია დანგრევის პირას იყო მისული. იქმნებოდა იმის საშიშროება, რომ საქართველოს დედაქალაქში დარჩენილი ერთადერთი აშკენაზური სინაგოგა საბოლოოდ შეწყვეტდა ფუნქციონირებას, შენობის ავარიულ მდგომარეობაში ყოფნის გამო. არა-და იგი თავისი ისტორიული მნიშვნელობით მეტად ძვირადღირებული იყო.

აუცილებელი გახდა შენობის რეკონსტრუქცია, რაც კოლოსალურ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სინაგოგის აღსადგენად თანხები გაიღეს თბილისსა და მოსკოვში მცხოვრებმა ებრაელებმა... საქართველოს მთავარმა რაბიმ არიელ ლევინმა დახმარებისათვის მიმართა ევრაზიის ებრაულ კონგრესს დ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს. მათი ხელმძღვანელები ბ-ნი ალექსანდრე მაშკევიჩი და ბ-ნი გაბრიელ მირილაშვილი ხელგაშლილად და გულგაშლილად გამოეხმაურნენ ამ თხოვნას. დახმარების ხელი გაუწოდეს სინაგოგის რეკონსტრუქციის კეთილშობილურ საქმეს აგრეთვე ცნობილმა ბიზნესმენებმა ბ-მა თემურ საპირმა (აშშ), და ბ-ნმა დავიდ იაკობაშვილმა".

რომ ჰაშანის წინა დღეებში, 2009 წლის 15 სექტემბერს საზეიმოდ აღინიშნა ახლად რეკონსტრუირებული თბილისის ბეით რახელის, თბილისის აშკენაზების ბეით ქნესეთის გახსნა.

აღდგენილი ბეით-ქნესეთი შედგება სალოცავი და სადღესასწაულო დარბაზებისგან, აგრეთვე საქალებო აივნისაგან. რეკონსტრუირებულ სინაგოგას ეწოდა ა.მაშკევიჩის დედის სახელი – ბეით რახელი, ხოლო სინაგოგის არონ ჰაკოდეშს (სეფერთორების წმიდა სავანეს) – კონგრესის პირველი პრეზიდენტის მიხაელ (მიშიკო) მირილაშვილის სახელი.

თბილისის მოქმედი აშკენაზების სინაგოგა 1910-იან წლებშია აშენებული. სინაგოგის შენობა მოქცეულია შიდა კვარტალურ განაშენიანებაში. თავდაპირველად იგი ერთსართულიანი იყო. რეკონსტრუქციის შედეგად ამოღებულ იქნა მიწა და ქვედა სართულზე განთავსდა სალოცავი, რომელშიც გადააბრძანეს ძველი არონ-ჰაკოდეში, რომელიც თითქმის 150 წლისაა. სინაგოგის შენობას სარკმელებზე გაუკეთდა ფერადი ვიტრაჟები.

შენობა წმინდა კარადით ორიენტირებულია სამხრეთისაკენ, ანუ იერუსალიმისკენ. ეს ტრადიცია ჩვ.წ.აღ. III საუკუნიდან იღებს სათავეს და ე.წ.

The Tbilisi Ashkenazi Prayer, Bait Rachel


From the viewpoint of ethnical culture and language, the Jewish population of Tbilisi was homogeneous. Apart from the Georgian Jews also lived here Ashkenazi, the so called European Jews. The Ashkenazi Synagogue working in Tbilisi was built in 1910. In 2007 a substantial reconstruction of the synagogue started. The basement of the building was deepened and, as a result, it became a two-storey building. On September 15, 2009 was celebrated the opening of the synagogue. The reconstructed one is called Bait Rachel and Aaron A-Kodesh of the synagogue bears the name of Michael Mirelashvili.

Бейт Рахель, ашкеназийская синагога

С точки зрения этнокультуры и языка, тбилисское еврейское население было однородным. Вместе с грузинскими евреями в Тбилиси проживали, так называемые, европейские евреи – ашкенази. Тбилисская действующая ашкеназийская синагога построена в 1910 году. С 2007 года началась основательная реконструкция синагоги, во время которой углубили подвальное помещение, в результате чего синагога стала двухэтажной. 15 сентября 2009 года состоялось ее торжественное открытие. Реконструированная синагога стала называться Бейт Рахель, Арон а-кодешу синагоги присвоено имя Михаэла Мирелашвили.

ბეით რახელი. ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Бейт Рахель. Фото И.Микадзе, 2009г.
Beit Rachel, Beit Kneset of the Ashkenazi of Tbilisi. Photo by I.Mikadze, 2009.

ბეით ქნესეთის ქვედა სალოცავი ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Нижняя молельня Бейт кнессета. Фото И.Микадзе, 2009г.
Beit Kneset. Lower chapel. Photo by I.Mikadze, 2009.







ბეით ქნესეთის ვიტრაჟი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Витраж Бейт кнесет. Фото И.Микадзе, 2009г.
Beit Kneset. Stained glass window. Photo by I.Mikadze, 2009.

ბეით ქნესეთის ზედა სართულის საქალებო.
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Женская часть верхнего этажа Бейт кнесет
Фото И.Микадзе, 2009г.
Beit Kneset. Upper storey gynoecia.
Photo by I.Mikadze, 2009.

ბეით ქნესეთის ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Интерьер Бейт кнесет. Фото И.Микадзе, 2009г.
Beit Kneset. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.


ტრანსიონალურ ტიპს წარმოადგენს. რაც შეეხება სინაგოგის მოკრძალებულ ადგილმდებარეობას და ექსტერიერს – ეს გვიანი ხანის ევროპული ნიშანია, ებრაელთა დევნით და სინაგოგების წართმევით გამოყოლილი ინერცია.

როგორც შოთა ბოსტანაშვილი წერს: „ამ სინაგოგაში ლახლუხებიც ლოცულობდნენ". ლახლუხები სპარსეთის გავლით შემოსული ებრაელები ანუ „ფარსისტანის ებრაელნი. სცხოვრობდნენ მთლად სპარსეთს და ფარსისტანს. ლაპარაკობენ ფარსულად, იცმევენ მათებურად, საქართველოშიაც არიან მცირედ, იციან ქართული ენა და თავს ირჩენენ იარების მკურნალობით. ქართველთ ებრაელთ უადვილესად უახლოვდებიან და ენათესავებიან, ამათ სალოცავშიც დადიან. მაინც აღსანიშნავია, რომ ქართველთ ებრაელნი კავკასიის სხვადასხვა ებრაელთ უფრო ადვილად უახლოვდებიან, ვიდრე ევროპის და რუსეთის ებრაელთ. იშვიათად მოხდება, რომ ქართველ ებრაელმა თავის ქალი ევროპის, ან რუსის ებრაელს მისცეს. ეს მათში დღემდეც კი არ არის, ძლიერ იშვიათად ხდება...". – წერს ზაქარია ჭიჭინაძე.

1890-იან წლებში აშკენაზებმა შექმნეს ორგანიზაცია „ხიბათ ციონი", ხოლო პირველი სიონისტური კონგრესის შემდეგ თბილისელმა კბილის ექიმმა მ.შტრეიხლერმა დააარსა სიონისტური ორგანიზაცია. 1901 წელს თბილისში ჩატარდა კავკასიის სიონისტების პირველი კონფერენცია. ხოლო 1902 წელს თბილისში დაარსდა რელიგიური სკოლა ქართველ ებრაელთა შვილებისათვის, რომელშიც აღზრდა-განათლება სისტემით „ივრითი-ივრითზე" მიმდინარეობდა. სკოლაში პედაგოგები ვილნიდან (ვილნიუსი) მოიწვიეს. 1912 წლისათვის ამ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი 390 აღწევდა, მოსწავლეების უმეტესობა აშკენაზთა ებრაელების წარმომადგენლები იყო.

1910 წლიდან თბილისში მოქმედებდა „ებრაული მუსიკის და ლიტერატურის საზოგადოება", რომლის აქტივისტებმა ზუბალაშვილის სახალხო სახლთან დააარსეს თეატრალური დასი, რომელიც სპექტაკლებს იდიშზე დგამდა. ამ დასმა 1930 წლამდე იარსება.

თბილისის აშკენაზების სინაგოგა მდებარეობს ტყავის შესახვევში.


ראל יהוה אלהינו יהוה אחד

წმინდა დავით აღმაშენებლის ეკლესია



1878 წელს თბილისში დაარსდა "ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება". გამგე კომიტეტმა საზოგადოების წესდების საფუძველზე 1879 წელს გახსნა ვაჟთა პირველი ქართული სათავადაზნაურო დაწყებითი სკოლა, ხოლო 1892 წლიდან იგი ქართულ პროგიმნაზიად გადაკეთდა. 1900 წელს თბილისის ქართული გიმნაზიისთვის არქიტექტორ ს.კლდიაშვილის პროექტით ახალი შენობის აგება დაიწყო ჯერ კიდევ ქალაქის გარეუბანში – ვაკეში. 1900 წლის 14 ოქტომბერს მოხდა პირველი ქართული გიმნაზიის მთავარი შენობის საძირკვლის კურთხევა. პარაკლისი კალისტრატე ცინცაძემ გადაიხადა.

მანანა ლილუაშვილი ნაშრომში „ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში" წერს: „ნიკო ცხვედაძის ძალისხმევითა და ხუროთმოძღვარ სვიმონ კლდიაშვილის მონდომებით 1900 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის ღირშესანიშნავ დღეს, საძირკველი ჩაეყარა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობას. მშენებლობა თითქმის დამთავრებული იყო, როდესაც სამშენებლო კომიტეტის გადაწყვეტილებით საჭიროდ იქნა მიჩნეული შენობის გაფართოება. «ნ. ცხვედაძემ გააფართოებინა სააქტო დარბაზი, გაამრავლებინა კლასები და დაამატებინა ეკლესია ვესტიბიულის თავზე, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, სასპორტო სადგომს ზემოთ, სააქტო დარბაზი. კლუბიც და ეკლესიაც ორშუქიანია და მთელი შენობის სიმაღლეს ავსებს. ყველა სადგომი ამ ცენტრალური ბირთვის გარშემოა განლაგებული, სიმეტრიულ ფრთებში... ეკლესიას უკვე სავსებით დაეკარგა თავდაპირველი სახე: ორსართულად და მრავალ მცირე ოთახად არის დანაწილებული და უწინდელი სივრცის წარმოდგენაც, რა თქმა უნდა, სრულებით აღარ ხერხდება. სულ შენობა გათვალისწინებული იყო 800 მოწაფეზე, პანსიონი 300-ზე, ხოლო ეკლესია კი 800 კაცზე.»

St. David the Builder Church

In 1900 the foundation was laid of the Georgian Public school. In 1918 a Georgian Orthodox church was arranged in its building. The temple was consecrated and dedicated to King David the Builder. Regrettably, the church only survived eighteen months and was closed in 1920. Later the building was used for various purposes.

Церковь св. Давида Строителя

В 1900 году был заложен фундамент здания грузинской гимназии. В 1918 году в этом здании разместилась грузинская православная церковь, которая была освящена во имя св. Давида Строителя. К сожалению, эта церковь просуществовала всего лишь полтора года и закрылась летом 1920 года. В дальнейшем эту церковь использовали в разных целях.

სათავადაზნაურო გიმნაზია XXს დასაწყისის ფოტო.
Дворянская гимназия. Фото начала XXв.
Public School for the Nobility. Photo of early 20th c.

სათავადაზნაურო გიმნაზია XXს დასაწყისის ფოტო.
Дворянская гимназия. Фото начала XXв.
Public School for the Nobility. Photo of early 20th c.







გაზეთი „სახალხო საქმე" 1918 წლის 2 იანვარს წერს: «ვინაიდან დღეს დავით აღმაშენებლის დღეობა არის და ქართული გიმნაზიის ეკლესიაც მის სახელობაზეა აგებული, ამისათვის ეკლესიაში საკათალიკოსო წირვა იქნება შესრულებული. წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პარაკლისი ეკლესიაშივე». სამწუხაროდ, ეკლესიამ მხოლოდ 1920 წლის ზაფხულამდე იარსება.

საწყობად ქცეული უნივერსიტეტის ეკლესიას, რომელიც ხელოვნების მუზეუმად გადაკეთდა, გიორგი ჩუბინაშვილი ნაშრომში „ქართული ოქრომჭედლობა" ასე აღწერს: ყოფილი სამლოცველო, რომელიც შედგება კარგად განათებული დარბაზისაგან, ოთხი მასიური პილონისა და ცენტრში გუმბათისაგან, კაბინეტის არქიტექტორ ნ.პ.სევეროვის მჭიდრო თანამშრომლობით გადაკეთდა სამუზეუმო ექსპოზიციისთვის, დამზადდა დაბალი ქსოვილგადაჭიმული კედლები ექსპონატების გამოსაფენად". მოგვიანებით, სამლოცველოს გუმბათის ქვეშ არსებული სივრცე ორ სართულად გადაკეთდა და მასში 1924 წლიდან ქართული ხელოვნების მუზეუმმა დაიწყო ფუნქციონირება.

უნივერისტეტის ეზოში 1995 წლის 5 სექტემბერს აგებული ახალი ტაძარი ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა აკურთხა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობაზე ახალი ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანია და სამწევრისის ეკლესიის შემცირებულ მოდელს ჰგავს. პროექტის ავტორია არქიტექტორი გიორგი მარსაგიშვილი. ტაძრის ეზოში მდებარეობს V-VI საუკუნეების ბაზალტის სტელა ახალქალაქის ნასოფლარ დანკალიდან. მასზე გამოსახულია წმინდანის ფიგურა, სიცოცხლის ხე და ჯვარი ბოლოებგაფართოებული მკლავებით. ტაძარს აქვს სამრევლო ნაგებობა და აუზი წყალკურთხევისა და ნათლობისათვის.

სათავადაზნაურო გიმნაზია
დ.ერმაკოვის ფოტო, XXს დასაწყისის ფოტო.
Дворянская гимназия. Фото Д.Ермакова, начало XXв.
Public School for the Nobility. Photo by D. Ermakov. Early 20th c.

სათავადაზნაურო გიმნაზია XXს დასაწყისის ფოტო
Дворянская гимназия. Фото начала XXв.
Public School for the Nobility. Photo of early 20th c.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1930-იანი წლების ფოტო
Тбилисский государственный университет. Фото 1930-ых годов.
Tbilisi State University. Photo of 1930s.

წმ.დავით აღმაშენებლის ეკლესია უნივერსიტეტის ეზოში
მ.ქუთათელაძის ფოტო, 2007წ
Церковь св. Давида Агмашенебели (Строителя) во дворе университета. Фото М.Кутателадзе, 2007г.
St David the Builder Church in the yard of Tbilisi State University.
Photo by M.Kutateladze, 1997.



წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია



თბილისს 1907 წელს ახალი უბანი – ვაკე შეუერთდა. ახლად შემოერთებულ უბანში ა.როგოისკის პროექტით შენდება ახალი შენობა, რომელშიც სასულიერო სემინარია გადადის.

1902 წლის 1 სექტემბერს გაზეთი „ივერია" წერდა: "დღეს, 1 სექტემბერს, ნაშუადღევის ორის ნახევარს საათზედ, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი, საქართველოს ექსარხოსი აკურთხებს ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობათა საძირკველს ვერაზედ, საუფლისწულო სარდაფის და სათავადაზნაურო სკოლის ახალ შენობის იქით. როგორც ვიცით, ტფილისის სას. სემინარიის მთავრობამ გადასწყვიტა აღაშენოს სემინარიის ახალი შენობანი შინაურულის ძალ-ღონით".

1903 წლის 14 ნოემბერს გაზეთი „ივერია "წერდა: „როგორც ვიცით, – ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ კარგახანია განიძრახა სემინარიისთვის ახალი შენობის აგება. არჩეულ იქნა რამოდენიმე ადგილი ამ შენობისთვის. სხვათა შორის, შესყიდულ იქნა ადგილი ვერაზე ჯვარის(223) პირდაპირ, იქ, სადაც დღეს ფიქრის გორაა... განიძრახეს ერთხანად სემინრიის შენობის აგება მცხეთიდამ ორი ვერსტის სიშორეზე ბ-ნ პროზოროვსკის მამულში... მაგრამ ამ სემინარიის გამგეობამ უარჰყო აზრი სემინარიის მცხეთაში გადატანისა სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო..." ფიქრის გორაც "არ მოიწონა უწმიდესის სინოდის სამეურნეო გამგეობის დირექტორმა ბ-ნ ოსტროუმოვმან... ამის შემდეგ სემინარიის რექტორად ნამყოფმა, აწ სუმის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო სტეფანემ სემინარიის მასწავლებელთა თანხმობით და მოწონებით იყიდა წყნეთის გზის პირს მდებარე თოთხმეტი დღიური მიწა მანთაშევისეული და ამ ადგილზე გადაწყვეტილ იქნა სემინარიის ახალ შენობათა აგება. ამ შენობათა დაწყება-დამთავრება ხვდა წილად ტფილისის სემინარიის აწინდელს რექტორს არხიმანდიტს ნიკანდრს, რომელიც დიდი მხნეობით სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა ძლევის შემდეგ მოეკიდა ამ დიდმნიშვნელოვანს საქმეს.

მას გვერდით ჩამოუდის საქართველოს ისტორიაში ცნობილი მდინარე ვერულა. ამ მდინარის ნაპირს გამართული იქნება აუზები მოწაფეთა საბანაოდ... აქვე განძრახულია ფერდობზე და მდინარის პირს ბაღის გაშენება. საზოგადოდ სემინარიის მთავრობას კეთილი განზრახვა აქვს მოწაფეთა ცხოვრება

St. Andrew the First-Called Church of the Vake Theological Seminary

In 1907 the new area of Vake joined Tbilisi, where a special building for a Theological seminary was built. Also a church in commemoration of St. Andrew the First-Called was opened in it. In the period of Communist rule the seminary and church were closed. In 2007 the temple was restored on the blessing of His Holiness and Beatitude Patriarch of All Georgia Ilia II.

Церковь св. Андрея Первозванного

В 1907 году к Тбилиси присоединяется новый район –Ваке, где специально для православной духовной семинарии строится здание, в которой освятили церковь св. Андрея Первозванного. В советское время семинарию и церковь упразднили. В 2007 году указанная церковь была восстановлена с благословления Патриарха Грузии, Святейшего и Блаженнейшего Ильи II.

№9 კლინიკური საავადმყოფოს შესასვლელი ი.მიქაძის ფოტო. 2009წ.
Вход в клиническую больницу №9. Фото И.Микадзе, 2009г.
The entrance of hospital 9. Photo by I.Mikadze, 2009.

ვაკის სასულიერო სემინარია. XXს. დასაწყისის ფოტო
Вакийская духовная семинария. Фото начала XXв.
The Vake Theological Seminary. Photo of early 20th c.

წმ ანდრია პირველწოდებულის ეკლესია
Церковь св. Андрея Первозванного.
St Andrew the First - Called Church.







ახალ ადგილას ჰიგიენურ პირობათა მიხედვით მოაწყოს, რათა მოწაფეები გონების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდნენ სხეულის მხრითაც... საღს და წმინდა ჰაერს, კარგს სმა–ჭამას, თავისუფალს გამლილ ადგილებში სეირნობას, გიმნასტიკურს მოძრაობათა, წყლით სარგებლობას ამ მხრით–კი არსებითი და შეუდარებელი სარგებლობა მოაქვს.

სემინარიის ახალ შენობათა გვერდით მდებარე ფართო და გაშლილი ადგილი, ჯერ შევიწროებული შენობათაგან, მოწაფეთათვის მშვენიერი სასეირნო იქნება. დიდ–მნიშვნელოვანია აღზრდისთვის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სემინარიის მასწავლებელნი იცხოვრებენ თავის მოწაფეებთან ახალ სადგომებში, რომელთ საძირკველი ამ წლის 11 გიორგობისთვეს აკურთხეს. მასწავლებელთა სადგომებისათვის ორი ორ–სართულიანი ცალკე შენობა უნდა აგებულ იქნას, ერთი შენობა დანიშნულია ცოლშვილიანი მასწავლებლებისათვის ".

სემინარიის ცენტრალურ დარბაზში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია აკურთხეს. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ეს ეკლესია ფიქსირებულია როგორც ეკლესია-მონასტერი თავისი სამრეკლოთი და სასულიერო სემინარიით. აქვე იყო განთავსებული ლაზარეთი. ყოფილი სემინარიის ეზოში დასაფლავებულნი არიან სასულიერო პირები, რომელთა საფლავის ქვები დღემდეა შემორჩენილი.

საბჭოთა პერიოდში შენობა სასულიერო სემინარიას ჩამოერთვა და მასში თავდაპირველად ქართული სამხედრო სკოლა განთავსდა, მოგვიანებით კი, საავადმყოფო. 2007 წლის 15 მარტს აღნიშნული ეკლესია საპატრიარქომ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აღადგინა და ანდრია პირველწოდებულის სახელობაზედ აკურთხა. წმინდა ანდრია პირველწოდებულის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ეკლესიაში ტარდება წირვები, იკითხება ლოცვები და ინათლებიან ბავშვები.

ყოფილი ვაკის სასულიერო სემინარის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია მდებარეობს ილ.ჭავჭავაძის გამზირის №33-ში.

ვაკე. N:9 კლინიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია. XXს I ნახ. ფოტო
Вake, территория, прилегающая к клинической больнице №9. Фото I половины XXв.
Vake. The environs of hospital 9. Photo of early 20th c.

N:9 კლინიკური საავადმყოფოს შენობა ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Здание клинической больницы №9. Фото И.Микадзе, 2009г.
The building of hospital 9. Photo by I.Mikadze, 2009.

წმინდა მიხეილ ტვერელის ეკლესია





წმიდა მიხეილ ტვერელის ეკლესია აშენდა 1911-1913 წლებში იოჰან დიცმანის პროექტით, იმპერატორ ნიკოლოზ II ძმის, დიდი თავადის მიხეილ რომანოვის ინიციატივით (1878-1918). ტუბერკულოზით დაავადებული დიდი მთავარი აბასთუმანში მკურნალობდა, რის გამოც თბილისში დასახლდა. მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ელისაბედი ყველა საშუალებით, მათ შორის ფინანსურითაც, მონაწილეობას იღებდნენ ტაძრის მშენებლობაში. დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი თავის მფარველ წმინდანად აღიარებდა წმინდა მიქაელ ტვერელს.

1913 წლის ჟურნალ „კავკაზსკი ბლაგოვესტნიკში "სათაურით: „ახალი ტაძარი თბილისში "ვკითხულობთ: „კვირა დღეს, 24 თებერვალს შედგა კურთხევა ახლად აგებული ეკლესიისა. კურთხევის მსახურება წმიდა ლიტურგიასთან ერთად აღასრულა საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა ინოკენტიმ(224), ერევნის ეპისკოპოს პიმენთან და ქალაქის სამღვდელოებასთან ერთად. წირვის დამთავრების შემდეგ მის ბრწყინვალებას, გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულ ვორონცოვა-დაშკოვას გადაეცა სამადლობელი წიგნი საეპარქიო-სამისიონერო-სასულიერო-საგანმანათლებლო საძმოსაგან. ეგზარქოსმა ინოკენტიმ სამადლობელო სიტყვით მიმართა მის ბრწყინვალებას და აკურთხა წმინდა მიხეილ ტვერელისა და ღირსი ანა კაშინსკაიას ხატი თავისი კიოტით". ტაძრის ამოქმედება მიეძღვნა რომანოვების დინასტიის საიმპერატორო მმართველობის 300 წლისთავს.

იმ ადგილას, სადაც ეკლესია დგას, 1903-1904 წლების თბილისის გეგმაზე „ფერხულის გორა" ეწოდება და ზედ ეკლესიის აღმნიშვნელი ჯვარია დასმული. „ფერხულის გორას "მოგვიანებით სახელი შეეცვალა და მას „პურის გორაკი" ეწოდა.

XIX საუკუნეში გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე მდებარეობდა წმინდა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი საიმპერატორო ჯარის ოფიცრებისათვის. წმინდა მიხეილ ტვერელის ეკლესია ააგეს ე.წ. "სემიონოვკაში" დასახლებული დაბალჩინოსანი სამხედრო პირებისათვის.

St. Michael of Tver Church

St. Michael of Tver Church was built in 1913. Its opening was dedicated to the 300th anniversary of the Romanovs' royal dynasty. The temple was intended for low rank military personnel. Divine Services have never ceased in the temple. In its yard former clergyman and outstanding statesmen lie at rest. The walls inside the temple are not covered with paintings. The ornamented gild iconostasis represents an example of Russian Church style. The greatest holy object of the Temple is the holy relic of the devout Prince Michael of Tver.

Церковь св. Михаила Тверского


Русская православная церковь св. Михвила Тверского была построена в 1913 году, задействование церкви совпало с 300- летием императорского правления династии Романовых. Церковь св. Михаила Тверского возвели для низших военных чинов. В этой церкви служба не прекращалась. Во дворе похоронены бывшие служители церкви и выдающиеся своими заслугами светские люди. По русским церковным традициям церковь не расписана. Позолоченный и орнаментированный деревянный иконостас представляет собой образец русского церковного искусства. Главной святыней церкви являются святые мощи благоверного князя Михаила Тверского.

წმ მიხეილ ტვერელის ეკლესია. შ.ლეჟავას ფოტო, 2009წ
Церковь св. Михаила Тверского. Фото Ш.Лежава, 2009г.
St Michael of Tver Church. Photo by Sh Lezhava, 2009.

წმ მიხეილ ტვერელის ეკლესიის გუმბათები მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ
Купола церкви св. Михаила Тверского. Фото М.Кутателадзе, 2008г.
St Michael of Tver Church. Domes. Photo by M Kutateladze, 2008.







ეკლესიასთან მისასვლელი გზა მესანგრეთა ძალებით გაიყვანეს და მას მეფისნაცვლის მეუღლის პატივსაცემად "ელისაბედის პროსპექტი" უწოდეს. საბჭოთა პერიოდში ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა არ შეწყვეტილა. ეზოში დაკრძალულა ამ ტაძრის პირველი წინამძღვარი მღვდელი იოანე და ეკლესიის ყოფილი ღვთისმსახურნი. ზედა ეზოში დაცულია ცნობილი ქართველი მეცენატის სოლომონ ზალდასტანიშვილის საფლავის ქვა შესაბამისი წარწერით.

ხის მოოქროვილი და მოჩუქურთმებული კანკელი წარმოადგენს რუსული საეკლესიო ხელოვნების ნიმუშს და ამაღლებული ზეიმურობითაა აღბეჭდილი. ეკლესიაში წირვა XX საუკუნის 90-იან წლებამდე რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ეკლესიის დიდი სიწმინდეა ტვერის ლავრიდან ჩამოსვენებული კეთილმორწმუნე მთავრის მიქაელ ტვერელის წმიდა ნაწილები.

წმინდა მიხეილ ტვერელის ეკლესია მდებარეობს ვერაზე, ს.ზალდასტანიშვილის ქუჩის №36-ში.

წმ მიხეილ ტვერელის ეკლესიის კანკელი
ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Алтарная преграда церкви св. Михаила Тверского.
Фото И.Микадзе, 2009г.
St. Michael of Tver Church. Iconostasis. Photo by I.Mikadze, 2009.

წმ მიხეილ ტვერელის ეკლესიის კარიბჭე სამხრეთიდან
მ.ქუთათელაძის ფოტო, 2008წ
Южные врата церкви св. Михаила Тверского.
Фото М.Кутателадзе, 2008г.
St. Michael of Tver Church. Porch. South view.
Photo by M.Kutateladze, 2008.

ჯვარცმა. წმ მიხეილ ტვერელის ეკლესია
ი მიქაძის ფოტო, 2009წ
Распятие, церковь св. Михаила Тверского. Фото И.Микадзе, 2009г.
St. Michael of Tver Church. The Crucifixion. Photo by I.Mikadze, 2009.

ახალციხელების სინაგოგა

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ ხელი შეუწყო ქართველი ებრაელების ურბანიზაციას და თბილისში მათი თემის ჩამოყალიბებას. ქართველი ებრაელებისა და აშკენაზების თემის ცხოვრება ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, თითოეულ ეთნოლინგვისტურ ჯგუფს გააჩნდა თავისი ფასეულობები. რელიგიურ რიტუალებში, წეს–ჩვეულებებში, ყოფაცხოვრების წესებში განსხვავებამ, საერთო ენის უქონლობამ და სხვადასხვა კულტურული დონის არსებობამ გამოიწვია საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ქართველ ებრაელთა და აშკენაზთა თემებს შორის. მათ შორის დაახლოება მიმდინარეობდა მძიმედ და ხანგრძლივად.

თავდაპირველად ქართველ ებრაელებში ღვთისმსახურება და რელიგიური რიტუალების ჩატარება ხახამს ჰქონდა დავალებული, მეტრიკული ჩანაწერების წარმოება კი ახალციხის რაბინს ევალებოდა. 1892 წლიდან ქართველი ებრაელების თანხმობით რელიგიური რიტუალების ჩატარება და მეტრიკული საქმისწარმოება დაევალა აშკენაზთა თბილისის რაბინს სიმხე კარაშს. იგი ქალაქის მმართველობამ თბილისის ყველა ებრაელის მთავარ რაბინად აღიარა. რამდენიმე წლის შემდეგ წარმოიშვა გაუგებრობა ქართველ ებრაელებსა და აშკენაზების რაბინს შორის, პრობლემის მოგვარების მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქართველ ებრაელებს უფლება მისცა ჰყოლოდათ თავისი მთავარი რაბინი. თბილისი მრავლდება ახალციხიდან გადმოსული ებრაელების ხარჯზე. მრევლის გაზრდის და „ბენთუნაანთ დარბაზის" შენობის ავარიულობის გამო თბილისელმა ქართველმა ებრაელებმა სინაგოგასთვის ახალი შენობის აგება გადაწყვიტეს.

1897 წლის ქართულ გაზეთში ვკითხულობთ: "ტფილისში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს განუზრახავთ ძველთა ძველი სალოცავის მაგივრად, იერუსალიმის შესახვევში ააგონ ახალი დიდი სალოცავი. ამ საქმეს სათავეში უდგანან ებრაელთა რაბინი ლევინი და აბრამ გორელაშვილი და 3000 მანეთი უკვე შეუკრებიათ ამ საქმისათვის."



Sepharids', the Synagogue of the Jews from Akhaltsikhe

The core of the Jewish community in Tbilisi was the synagogue. Today, there are two of them in the city - that of the Ashkenazi and of the Sepharids. "Akhaltsikhe Prayer" is the name of the synagogue which was built in 1904-1913 by the Jews who had moved to Tbilisi from Akhaltsikhe. Here, in 2000 a school of memorial and specific traditions was opened which also became part of the complex. The exterior of the building is in Romanesque style. Apart from the religious constructions many other praying houses existed in Tbilisi. Regrettably, only scanty data about them is available today. Nevertheless, we considered it preferable to include them in this book in order to suggest a complete picture of the city to the reader.

Синагога сефаридов, ахалцихских евреев

Синагога была центром жизни еврейских общин в Тбилиси. Сегодня в Тбилиси действуют две синагоги: ашкеназов и сефаридов. «Молитвой ахалцихцев» называют до сих пор грузинские евреи тбилисскую синагогу, построенную ахалцихскими евреями в 1904-1913 годах. В 2000 году здесь была основана мемориальная школа передачи грузино- еврейских специфических традиций, вновь ставшая частью комплекса синагоги. Внешний вид здания относится к романскому стилю.

ახალციხელების სინაგოგა. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ
Синагога ахалцихцев. Фото И.Микадзе, 2009г.
The Akhaltsikhians' synagogue. Photo by I.Mikadze, 2009.

ახალციხელების სინაგოგის ინტერიერი
ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Интерьер синагоги ахалцихцев. Фото И.Микадзе, 2009г.
The Akhaltsikhians' synagogue. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.



ახალციხელების სინაგოგის არონ ჰაკოდეში. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Арон а-кодеш синагоги ахалцихцев. Фото И.Микадзе, 2009г.
The Akhaltsikhinans' synagogue. Aaron Hakodesh. Photo by I.Mikadze, 2009.

მენორა, ახალციხელების სინაგოგა. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Менора, синагога ахалцихцев. Фото И.Микадзе, 2009г.
Menora. The Akhaltsikhians' synagogue. Photo by I.Mikadze, 2009.

ახალციხელების სინაგოგის ინტერიერი. ი.მიქაძის ფოტო, 2009წ.
Интерьер синагоги ахалцихцев. Фото И.Микадзе, 2009г.
The Akhaltsikhians' synagogue. Interior. Photo by I.Mikadze, 2009.

გაზეთი "ივერია" 1903 წლის 25 იანვარს წერდა: "დიდიხანია, ტფილისის ეგრედ წოდებულ ქართველთ ებრაელთ განიზრახეს საკუთარის სამლოცველოს (თორის) აგება ტფილისში, მაგრამ დღეს აქომამდე მართლა რომ ქართველური უთაობა აფერხებდა ამ საქმეს; ამ ცოტა ხნის განმავლობაში ქართულ ენაზედ მოლაპარაკე ებრაელებს მიუციათ თხოვნა გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ, რომ ნება დაგვრთეთ ჩვენს შორის შევაგროვოთ ფული საკუთარის თორის ასაგებადაო. გუბერნატორს ებრაელებისათვის ნება დაურთავს იმ პირობით, რომ ხელისმოწერა გაიმართოს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში და ისიც ერთი წლის ვადით, ამასთანავე, გუბერნატორს დაუვალებია პოლიციმაისტერისათვის გამოუცხადოს ქართულად მოლაპარაკე ებრაელებს, რომ შემდეგში არ იწოდებოდნენ ქართველ ებრაელებად, არამედ იწოდებოდნენ ადგილობრივ ებრაელებათ".

1909 წელს გაზეთ "დროებაში" ვკითხულობთ: "ქართველ ებრაელთ თავიანთ სამლოცველოს დამთავრება ტფილისში ძალიან უჭირდებათ, რადგან ასეთ უზარმაზარ შენობას დიდი ფული უნდა. შენობა ლამაზი და საყურადღებოა, გარედან შენობა დაამთავრეს, მხოლოდ შინაგანი მოწყობილობა აკლია... უნდა ააგონ აგრეთვე სკოლის შენობაც, რისთვისაც ქართველ ებრაელნი თავიანთ მორჯულეთაგან მოელიან დახმარებას. ეს დიდი შენობა მთლად ქართველ ებრაელთა წვლილით არის ნაშენი. ევროპიდან ან რუსეთიდან მოსულ ებრაელებს ამათთან კავშირი და მისვლა-მოსვლა არა აქვთ. მოსულ ებრაელებს ტფილისში ორი სინაგოგა აქვს, მაგრამ ქართველი ებრაელები მაინც საკუთარ სინაგოგას აგებენ".

"...ისე დაამთავრეს, რომ დღეს შიგ ლოცვასაც ასრულებენ. შენობა არის ფართო, ვრცელი, მაღალი, სულ აგურით ნაშენი, ამოდენა შენობის აგებაში მათ სხვა რჯულისა არავინ დახმარებია, სულ თავიანთის შრომით და ღარიბის ჯიბით გააკეთეს იგი. ამისათვის მათ მეტად დიდი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ როგორც იქნა დაამთავრეს." – წერს გაზეთი "სინათლე" 1911 წელს.

თბილისის ქართველ ებრაელთა სინაგოგა – "ახალციხელების ლოცვა" წარმოადგენს დიასპორის ებრაული საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციულ კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის: "დიდი ლოცვა" (მთავარი შენობა); "პატარა ლოცვა"; მაცის საცხობი; ფრინველისა და პირუტყვის საკლავი, დაკლული ფრინველის საპუტი; მექვე (რიტუალური განბანვის ოთახი); სამეურნეო სათავსები (ქაშერი ღვინის დასამზადებლად და სხვადასვა დანიშნულებისათვის).

ამავე კომპლექსში 1976 წლამდე შედიოდა რაბინის იმანუელ დავითაშვილის საცხოვრებელი. სინაგოგის კომპლექსში შედიოდა თალმუდ-თორა (ებრაული სკოლა), რომელიც დღევანდელი პატარა ლოცვის მეორე სართულზე იყო განთავსებული. გასული საუკუნის 50-იან წლებში შენობის მეორე სართული ჩამოინგრა და აღარ აღუდგენიათ. ამავე პერიოდში ებრაული სკოლები აიკრძალა საბჭოეთში, მაგრამ ფარული ფორმით და პირადი რისკით ისინი ოჯახებში გადავიდნენ.

შოთა ბოსტანაშვილი აღწერს თბილისის ქართველ ებრაელთა სინაგოგას

-"დიდი ლოცვას", რომელიც იუდაიკის ტრადიციის კვალობაზე იერუსალიმისკენ არის ორიენტირებული გრძივი ღერძით, შემოსასვლელიდან წმინდა კარადის მიმართულებით. შენობა გეგმაში სწორკუთხედია, აშენებულია წითელი აგურით. "დიდი ლოცვა" ორსართულიანია, მეორე სართული ორსინათლიანია. შენობა რთულ რელიეფზეა აშენებული, ამიტომ სინაგოგის მეორე სართული უკანა ფასადით გადის თუმანიანის ქუჩაზე. შენობის პირველი სართული დაყოფილია ოთხ სტრუქტურულ ნაწილად. წინა სივრცე ჰოლს წარმოადგენს – მარჯვნივ სალოცავის კანტორაა, მარცხნივ სამმარშიანი კიბე, რომელიც მეორე სართულის სალოცავ დარბაზს უკავშირდება. დანარჩენ სამ სტრუქტურულ ნაწილს ორი თაღოვანი კონსტრუქციით სალოცავი დარბაზი აერთიანებს. თაღებს შორის, დარბაზის ცენტრში აღმართულია თება, ხოლო შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, განივი კედლის ცენტრში განთავსებულია არონ-ჰაკოდეში.


მეორე სართულის სალოცავ დარბაზს სამ მხარეზე გარს უვლის ტრადიციული ქალთა გალერეა-აზარა, რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს გარედან. არონ-ჰაკოდეშის და თების ადგილმდებარეობა ქვედა სალოცავი დარბაზის ანალოგიურია. მეორე სართულზე თაღოვანი კონსტრუქცია შეცვლილია და მათი ბურჯების გაგრძელებაზე აღმართულია ორ-ორი წყვილი სვეტი, რომლებსაც ეყრდნობა ანტრესოლის სართული – ქალთა გალერეა.

ორივე დარბაზის ინტერიერი, კიბის უჯრედის და შესასვლელის კედლები, ასევე ჭერი მთლიანად მოხატულია. ნახატის თემატიკაა მცენარეული მოტივები, ორნამენტი და ორდერული ვარიაციები. მთელ ამ ჰარმონიაში მონაწილეობს შრიფტის პლასტიკა. ტესქტები გამოყენებულია კედლების მოხატულობასთან სინთეზში. თება და არონ-ჰაკოდეში ორივე დარბაზში ხისაა, რთული პროფილებით და ორნამენტული დამუშავებით. ოსტატური ნამუშევარია ჰეხალის ლურჯი ფარდა ოქროს ძაფით ნაქარგი ლომების გამოსახულებით.

უძველესი ტრადიცია ითვალისწინებს ქალთა გალერეის აქტიურ მხატვრულ გაფორმებას. თბილისის სინაგოგაც ამ ტრადიციას ეხმიანება. ხუროთმოძღვრული სტილების კლასიფიკაციით "დიდი ლოცვა" რომანულ სტილს განეკუთვნება – მისთვის დამახასიათებელი შეულესავი აგურის წყობითა და დეტალებით, ვერტიკალური პილასტრების და კარნიზების ერთიანი სტრუქტურით, ფასადის ცენტრში აგურის წყობით გამოყვანილი დიდი წრიული ღიობით და ფასადის ტრაპეციული დაგვირგვინებით, რომელსაც მაგენდავითის ფერადი ვიტრაჟი ამშვენებს. ამ აღწერით "ახალციხელების ლოცვა" თბილისის ძველი სინაგოგის იდენტურია.

ბოლო ხანებში ლოცვაში ჩატარდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები როგორც ნაგებობის გარემონტების, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობის თვალსაზრისით; მოეწყო რაბინების მემორიალი.

თბილისის ახალციხელების სინაგოგა მდებარეობს კ.აბხაზის (ყოფ. კ.ლესელიძის) ქუჩის №47–ში.





ამ წიგნში წარმოდგენილი რელიგიური ნაგებობების გარდა, თბილისში სხვა სალოცავებიც არსებობდა. სამწუხაროდ, მათ შესახებ ძალზედ მწირი ცნობების მოპოვება შევძელით, მაგრამ სრული სურათის შესაქმნელად საჭიროდ მივიჩნიეთ ისინიც შეგვეტანა ამ ნაშრომში

APART from the religious constructions given in this book, there were other praying houses in Tbilisi too. Regrettably, we were only able to gain scanty data about them. Nonetheless, we considered it necessary to include them in this work to depict a complete picture of the old Tbilisi temples.

КРОМЕ представленных здесь религиозных сооружений, в Тбилиси существовали и другие молельни. К сожалению, найденные о них материалы оказались недостаточными, однако для создании полной картины мы сочли необходимым все же внести эти церкви в нашу книгу.

წმინდა ქრისტინეს ეკლესია

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ანონიმი ავტორის გეოგრაფიულ თხზულებაში "აჯაიბ ად-დუნია" (სამყაროს საკვირველებანი) თბილისის აღწერის დროს ნახსენებია „წმინდა ქრისტინეს ეკლესია".

St.Christine Church

An anonymous author of the Geographical work related to the 12th-13th centuries "Ajaib Ad -Dunia" ("the World's Wonders") gives a description of Tbilisi in which St. Christine Church is mentioned.

Церковь св. Христины

На рубеже XII-XIII веков в географическом сочинении анонимного автора «Аджаиб Ад-Дуниа» (Чудеса вселенной) при описании Тбилиси упомянута церковь св. Христины.

ქრისტეს შობის ტაძარი

თბილისში, ანჩისხატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ დღევანდელი სასტუმრო „ამბასადორის" ადგილზე იდგა ტაძარი, რომელიც თბილისის 1782 წლის და 1785 წლის პიშჩევიჩის გეგმებზე აღნიშნულია №3-ით როგორც „საკათალიკოზო ტაძარი". 1802 წლის რუკაზე იგივე ტერიტორიაზე №44-ით დატანილია როგორც მშენებარე „ქრისტეს შობის" ტაძარი. ტაძარი უძველესი უნდა იყოს და შესაძლოა იგი მტრის შემოსევას ემსხვერპლა.

Nativity Church

Within the precincts of Anchiskhati in Tbilisi, supposedly, on the site of the Hotel Ambassador stood a temple. It is also plotted with number 3 as the "Catholicos's temple" on Pishchevich's chart of 1782 and 1785. On the 1802 map the same church is marked as Nativity Temple being in the process of construction. Its number on the map is 44. The church must have been the most ancient and was, presumably, ruined in one of the enemy incursions.


Храм Рождества Христова

В Тбилиси на территории, прилегающей к Анчисхатскому храму, стоял храм, который на планах Тбилиси 1782 года и 1785 года (Пищевича) указан под №3 как «Храм католикосов». На карте 1802 года на этой же территории под №44 нанесен строящийся храм «Рождества Христова». К сожалению, мы не располагаем иной информацией об этом храме. Храм должен быть древнейшим и, возможно, он стал жертвой вражеских нашествий.

1800 წლის თბილისის გეგმა.

План Тбилиси 1810г.

Plan of Tbilisi, 1810.





იულონ ბატონიშვილის სასახლის კარის ეკლესია


ერეკლე II-ის ვაჟის, იულონ ბატონიშვილის სასახლე დღევანდელი იერუსალიმის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ სასახლის კარის ეკლესიის შესახებ პ.კარბელაშვილი 1876 წელს წერს, რომ სასახლის ცენტრალური დარბაზის „...სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს აკრავს პატარა გუმბათიანი სალოცავი (ეხლა ცარიელია), რომელშიაც სვენებულა რამდენიმე ძვირფასი ხატი, ასვენებულნი სომხებისაგან, ვგონებ, ფეთხაინის საყდარში. შარშან ურიებს თურმე მოენდომებინათ ამ დარბაზის შესყიდვა იმ ჰაზრით, რომ დაექციათ და თორად გადაეკეთებინათ, მაგრამ რაღაც შემთხვევით ვერ მორიგებოდნენ მეპატრონეს". 1805 წელს იულონ ბატონიშვილის რუსეთში გადასახლების შემდეგ სასახლე ჯერ სომეხმა ვაჭარმა მირზოევმა შეისყიდა, შემდგომში კი აქ ებრაელთა ლოცვა „მუნთუნაანთ დარბაზი" განთავსდა. სავარაუდოდ, იულონ ბატონიშვილის სასახლის კარის ეკლესია XVIII საუკუნეში აშენდა.

The Court Church of Prince Iulon's Palace

The palace of Prince Iulon, the son of King Erekle II was located in Jerusalem Street. In 1876 P.Karbelashvili writes that "... a small dome chapel is adjoined to the south-east angle of the central hall (now empty), in which several precious icons had been reposed, later taken to Petkhain Temple by Armenians, supposedly. Last year the Jews wished to purchase the hall intending to pull it down and replace it with Tora, but for some reason they failed to come to an agreement with the owner". In 1805, after Prince Iulon's exile to Russia the palace was purchased by an Armenian merchant Mirzoev. Later, the Jewish Prayer "Muntunaant Darbazi" was opened here. We suppose Prince Iulon's court church was built in the 18th century.

Придворная церковь царевича Юлона

Во дворце сына царя Ираклия II царевича Юлона находилась маленькая придворная купольная церковь. В 1805 году после переселения царевича Юлона в Россию дворец сначала купил армянский торговец, а в дальнейшем там разместилась молельня евреев. Предположительно, придворная церковь дворца царевича Юлона была построена в XVIII веке.



წაღიქ ვანქ, სურბ გევორქის ეკლესია

თ. ბერიძის წიგნში „თბილისის გარეუბნების ისტორია" ვკითხულობთ, რომ ნავთლუღში იდგა წაღიქ ვანქი, ანუ ყვავილის ეკლესია. ამ ეკლესიის შესახებ მხოლოდ თბილისის ცენტრალურ არქივში წავაწყდით 1930 წლით დათარიღებულ ერთ წერილს, რომლითაც კომ-ფრაქციის თავჯდომარე თხოვნით მიმართავს კომუნართა სახელობის რაიონს: „...გიგზავნით საბინაო ამხ-ბა №16-ტის კომ-ფარქციის სხდომის ოქმი №4-ის ამონაწერს - გთხოვთ იქონიოთ მსჯელობა... წინანდალის ქ. №31-ში მდებარე სახლების განტვირთვის მიზნით ჩ/გაერთიანების ფარგლებში მდებარე ეკლესიის საცხოვრებელ ბინად გადაკეთების შესახებ, რათა თქვენის დახმარებით მოგვცეს უფლება ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის, რადგან ზემოაღნიშნულ სახლთა განტვირთვისათვის სხვა გვარ საშუალებას მოკლებული ვართ." როგორც ცნობილია, წინანდლის ქუჩას სახელი არ შეცვლია, მაგრამ ეკლესიის შენობის აღმოჩენა ვერ შევძელით.



კუკიის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

კუკიის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია მდებარეობდა სურამისა და ა.ფოცხვერაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. ეს ეკლესია აღნიშნულია მხოლოდ 1914 წლის ეკლესიების ჩამონათვალში. სავარაუდოდ, იგი XX საუკუნის დასაწყისში აშენდა.

Tsaghik Vank, Surb Gevork Church

In one of the suburbs of Tbilisi - Navtlughi an Armenian church called Tsaghik Vank (Church of a Flower) was located. In the period of Communist rule it was used as a residential house. This is the only datum available about the temple.

Цагик Ванк Церковь Сурб Геворк

В одном из районов Тбилиси - Навтлуги стояла армянская церковь Цагик Ванк, т.е. церковь цветка. В советский период она использовалась в качестве жилого дома. Дальнейшая ее судьба нам неизвестна.

The Kukia St.John the Babtist Church

St John the Baptist Church stood at the junction of Surami and Potskhverashvili Streets. It is included in the 1914 list of churches. Presumably, it was built early in the 20th century.

Кукийская церковь св. Иоанна Крестителя

Кукийская церковь св. Иоанна Крестителя находилась на пересечении улиц Сурамской и А. Поцхверашвили. Эта церковь указана только в перечне церквей 1914 года. Предположительно, она была построена в начале XX века.



Church of the Resurrection of Christ

On the 1913 chart of Tbilisi Church of the Resurrection of Christ is plotted between Tsotne Dadiani Street and Railway Street. The Tbilisi Central Archives have preserved a document of 1935 with the title "A List of Chapels on the Territory of Tbilisi", in which we find the Russian Orthodox Church of the Resurrection among the other temples within the precincts of the Railway. It was built early in the 20th century.

Церковь Воскресения Христа

На плане Тбилиси 1913 года между сегодняшней Железнодорожной улицей и улицей Цотне Дадиани указана «Церковь Воскресения Христова». В Тбилисском центральном архиве хранится документ 1935 года «Список молслен, находящихся на территории города Тбилиси», где в перечне церквей, находящихся на прилегающей к железной дороге территории, упоминается русская православная церковь, которая была построена в начале XX века во имя Воскресения Христова.

სადგურის შენობა. აღ.როინაშვილის ფოტო, XXს. დასაწყისი.

Здание вокзала. Фото Ал. Роинашвили, начало XXв.

The building of Railway. Photo by A.roinashvili. Early 20th c.

ქრისტეს აღდგომის ეკლესია

1913 წლის თბილისის გეგმაზე დღევანდელი რკინიგზის და ცოტნე დადიანის ქუჩებს შორის აღნიშნულია „ქრისტეს აღდგომის ეკლესია". თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია (ფ1. ან4 ს.200) 1935 წლის დოკუმენტი „სია ქალაქ ტფილისის ტერიტორიაზე მყოფ სამლოცველოების", რომელშიც ლენინის რაიონის ეკლესიების ჩამონათვალში მოხსენიებულია „რუსების ეკლესია რკინიგზის ტერიტორიაზე" და აღნიშნულია, რომ იგი გამოიყენება „სარონდო ფარეხათ".

1872 წელს თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის ხაზის გახსნის შემდეგ დიდუბის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო. რკინიგზის გაღმა, აღმოსავლეთით მუშახელი სახლდებოდა. როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, 1899 წელს ამ რაიონში აღდგენილ იქნა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია.

საქართველოს ეგზარქოსმა საჭიროდ ჩათვალა სპეციალურად რკინიგზის მომსახურე პერსონალისათვის ცალკე ეკლესიის გამართვა. 1903 წლის 12 მარტის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ, რომ "საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, რკინის გზის იმ შენობაში, სადაც სასადილოა, შეუდგნენ ეკკლესიის გამართვას. აკურთხებენ ამ ეკკლესიას 25 მარტს. აზრადა აქვთ, წირვა-ლოცვის გარდა, ამ ეკკლესიაში გაჰმართონ ხოლმე ზნეობრივ-სარწმუნოებრივი საუბრები." 9 აპრილს საქართველოს ეგზარქოსმა აკურთხა რკინის გზის სახელოსნოებთან მდებარე სასადილოს შენობაში ქრისტეს აღდგომის ახალი ეკკლესია.

თუმცა უკვე ორი დღის შემდეგ, 1903 წლის 11 აპრილის გაზეთ "ცნობის ფურცელში" ვკითხულობთ, რომ "საქართველოს ექსარხოსს შუამდგომლობა აღუძრავს გზათა სამინისტროს წინაშე. ექსარხოსი თხოულობს ტფილისის რკინის გზის სადგურთან მიწას, სადაც რკინის გზის მომსახურეთათვის უნდა აშენდეს დიდი ეკლესია."

სამწუხაროდ ახალი ეკლესიის აშენების შესახებ ცნობების მოპოვება ვერ შევძელით. სავარაუდოთ "დიდი ეკლესიის" შენობა მალევე აშენდებოდა. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

მალაკნების უბნის ტაძარი

„მალაკნების უბნის ტაძარს" მოიხსენიებს მ.ჯანაშვილი წიგნში „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი".

კავკასიაში მოლოკნების ძალდატანებითი ჩამოსახლება 1840-იანი წლებიდან დაიწყო. ისინი დღევანდელი რკინიგზის სადგურის და ფიროსმანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლდნენ. ამ ადგილს დღემდე შემორჩა „მალაკნების ბაზრის" სახელი, დღევანდელ ფიროსმანის ქუჩას მალაკნების I ქუჩა ეწოდებოდა.

მოლოკნები რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიისაგან გამოყოფილ ჯგუფს წარმოადგენენ. ისინი ცნობენ ბიბლიას, მაგრამ უარყოფენ მღვდელმსახურებს და ეკლესიას. დღემდე მათი ლოცვა თბილისში კერძო სახლებში მიმდინარეობს.

ჩვენი ვარაუდით ეს იყო მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც უბნის მიხედვით „მალაკნების უბნის ტაძარი" შეერქვა. ვინაიდან ეს ეკლესია მხოლოდ 1924 წლის რუკაზეა აღნიშნული, იგი, სავარაუდოდ, XX საუკუნის დასაწყისში იქნებოდა აშენებული. იგი მდებარეობდა გოგოლის და კლდიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, ანუ „მალაკნების უბანში".

წმინდა შუშანიკის, წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის ნიში

1898 წლის თბილისის და მისი შემოგარენის გეგმაზე №29-ით აღნიშნულია "შუშანიკის სამლოცველო".

1898 წლის 25 სექტემბრის გაზეთ ივერიაში ვკითხულობთ: "მეტეხის ციხის ძირში ახლად აშენდა ნიში წმინდათა დედა-ღვთის მშობლისა, შუშანიკისა და ღვაწლ-შემოსილის გიორგის სახელობაზედ. ეს ნიში ამ წლის თიბათვის 4-ს აქეთ ყოველ-დღე ღიაა და შიგ ისყიდება ნამდვილი ფუტკრის წმინდა სანთელი მართლ-მადიდებელ ეკკლესიების სანთლის ქარხანაში დამზადებული. კარგი იქნება, რომ ამ ნიშს ახლო-მახლო ვაჭრებთ და მცხოვრებთ მიაქციონ ყურადღება და საკვირაძალო აქედან იყიდონ ხოლმე სანთელი, თორემ მგონი არც ღვთისთვის იყო სასიამოვნო და არც კაცისთვის სასარგებლო ყალბის სანთლის ყიდვა, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა."

წმინდა შუშანიკის, წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის ნიშზე ამ ცნობის გარდა სხვა ინფორმაციის მოძიება ვერ შევძელით.

The Temple of Molokans

The temple which was located in the area resided by the Molokans is only plotted on the 1924 map of the city. It was erected early in the 20th century. The Molokans were a group of people separated from the Orthodox parish in Russia. They were compelled to immigrate to the Caucasus in the 40s of the 19th century. The area they settled in has maintained the name "Molokans' Bazaar". Taking into consideration that they renounced the clergy and Church, we can presume that it was an Orthodox Church and merely bore this name in connection with its location.

Храм молокан

Храм, находившийся в заселенном молоканами районе города, указан только на карте Тбилиси 1924 года. Он был возведен в начале XX века. Отделившаяся от Русской Православной церкви группа молокан была насильственно переселена на Кавказ в 40-ых годах XIX века. В Тбилиси до сих пор сохранилась название «молоканский базар». Учитывая, что молокане отрицают священнослужителей и церковь, можно предполагать, что это был православный храм, который по своему местонахождению именовался – «храмом молокан».

Chapel of St. Shushanik

On the 1898 chart of Tbilisi and its vicinity "St. Shushanik Chapel" with number 29 is plotted. It was located on the right bank of the River Mtkvari.

Часовня Шушаник

На плане Тбилиси и его окрестностей 1898 года под №29 указана «Часовня Шушаник», находившаяся на правом берегу Куры.



ი.კაიას ფოტოები, 2009წ.

Фото Ю.Каиа, 2009г.

Photo by Y.Kaya, 2009.

თბილისის მეჩეთები

1785 წლის პიშჩევიჩის თბილისის გეგმაზე დატანილია 5 მეჩეთი. მათგან მხოლოდ ორია ჩვენთვის ცნობილი: შიიტების შაჰ-ისმაილის ცისფერი მეჩეთი, რომელიც №48-ითაა აღნიშნული, და №55-ით დატანილი „თურქების ეკლესია", ანუ სუნიტების მეჩეთი ბოტანიკური ქუჩის ბოლოს.

დანარჩენი სამი მეჩეთის აშენების თარიღის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით, მაგრამ ამ გეგმის მიხედვით ცნობილი გახდა მათი ადგილმდებარეობა:

- №16-ით აღნიშნული მეჩეთი მდებარეობდა ერეკლე მეფის ქუჩის დასაწყისში;
- №34-ით აღნიშნული მეჩეთი მდებარეობდა ჯვარის მამის ეკლესიის მახლობლად, დღევანდელი იერუსალიმის ქუჩაზე;
- №38-ით აღნიშნული მეჩეთი კი მდებარეობდა დღევანდელი პურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

თბილისში არსებული სალოცავების სრულად აღწერის მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ მოგაწოდოთ ინფორმაცია კიდევ ერთ მეჩეთზე, რომელიც თბილისში ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გ. ჩიტაიას ინიციატივით აჭარიდან, სოფელ ჩიქუნეთიდან ჩამოიტანეს და დღეისათვის კუს ტბის მიდამოებში 1966 წელს დაარსებულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე დგას.


მეჩეთის აშენების თარიღი ჩვენთვის უცნობია. სოფლის მცხოვრებლების გადმოცემით ამ მეჩეთს სამი ოსტატი სამი წლის განმავლობაში აშენებდა. საბჭოთა პერიოდში შენობა აზოტის საწყობად გადააქციეს. მეჩეთი წლების განმავლობაში ნაწილ-ნაწილ იძარცვებოდა. დღეს მეჩეთი გარედან ჩვეულებრივი სახლის შთაბეჭდილებას ტოვებს, ინტერიერი კი ულამაზესი ჩუქურთმებითაა შემკული.

The Tbilisi Mosques

On Pishchevich's chart of Tbilisi dated by 1785 five Mosques are plotted. Only two of them are known to us: the Shah-Ismail Blue Mosque of Shiites (N 48) and "The Turks' Church" or the Sunni Mosque (N 55) located at the end of Botanical Street. We were not able to find out the dates of the construction of the other three. However, their location is plotted on the chart.

One of the mosques (N16) stood at the beginning of King Erekle II Street; a second mosque (N34) was located near Jvarismama Church, in today's Jerusalem Street; and a third one (N 38) was on the adjoining site of "Puri Square."

Our objective to give a full description of the religious places in Tbilisi will be complete if we provide you with the story of one more mosque; it was brought from the village of Chikuneti in Adjara on the initiative of the Academician





G. Chitaia, the founder of the Georgian ethnographical school. At present the mosque can be seen on the site of the Ethnographical Museum in the vicinity of Turtle Lake. The date of its construction is unknown but the residents of the village say that three masters worked at the building of the temple for three years. In the period of Communist rule the mosque was used as a warehouse. At present it looks like an ordinary country house whereas inside it is decorated with magnificent ornaments and most beautiful carving.



Мечети Тбилиси

На плане Тбилиси 1785 года (Пищевича) указаны 5 мечетей. Из них нам известны только две -шиитская голубая мечеть шаха Исмаила, нанесенная на карту под №55, и «Церковь турков» или суннитская мечеть под №55 в конце Ботанической улицы.

Мы не смогли найти материалы, свидетельствующие о дате возведения остальных мечетей, хотя по вышеуказанному плану нам стало известно их местонахождение:

мечеть под №16 находилась в начале улицы царя Ираклия;

мечеть под №34 находилась вблизи Крестовоздвиженской церкви (Джварис мама), на нынешней Иерусалимской улице;

мечеть под №38 находилась на территории, прилегающей к сегодняшней Хлебной площади.

С целью полного описания существующих в Тбилиси мозделен считаем целесообразным предоставить информацию еще об одной мечети, которую в Тбилиси привезли из Аджарии, села Чикунети. Сегодня она стоит на территории Тбилисского этнографического музея. Нам неизвестна дата ее построения. Как передают сельские жители, она строилась три года. В советский период здание было преобразовано в склад. Нынешний внешний вид мечети напоминает простой сельский дом, однако ее интерьер украшен красивейшей резьбой и богатейшими орнаментами.





მ.ჩხიკვაძის ფოტოები, 2009წ.

Фото М.Чхиквадзе, 2009г.

Photo by M.Chkhikvadze, 2009.

თიანეთის სიონი

თბილისის გ.ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე დაცულია ასევე ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ადრეული ძეგლი – თიანეთის სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

ეკლესია იდგა სოფელი უჯარმის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე იორის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც დღეს სიონის წყალსაცავია. მდინარე იორზე წყალსაცავის მშენებლობის მასშტაბები ეკლესიას დატბორვის ზონაში აქცევდა, ამიტომ 1967 ტაძარი დაშალეს და გადმოიტანეს თბილისში, სადაც პირვანდელი სახით აღადგინეს ღია ცის ქვეშ მუზეუმში. ეკლესიის სიახლოვეს ასევე გადმოტანილია და თავდაპირველი სახითაა აღდგენილი აკლდამა, რომელიც სანახევროდ ფერდობშია ჩასმული.

თიანეთის სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა, აღმოსავლეთის შვერილი ხუთწახნაგა აბსიდით. მან ჩვენს დრომდე ნანგრევის სახით მოაღწია. მეცნიერთა აზრი ორად არის გაყოფილი. ნაწილის აზრით ბაზილიკის სამივე ნავს საერთო, ორკალთიანი სახურავი ჰქონდა,





The Sioni Temple of Tianeti

Tbilisi Ethnographical Museum of the Academician G.Chitaia preserves one of the most ancient monuments of the Georgian architecture – Sioni Church of the Dormition of the Most Holy Theotokos.

The temple stood in the village of Ujarma where it was taken apart and brought to the Tbilisi museum. It represents a three-nave basilica of the 8th-9th centuries. However, some scholars think the church belongs to a much earlier period.

Трианетский Сион

Один из ранних памятников грузинской церковной архитектуры храм Успения богоматери находиться на территории Тбилисского этнографического музея им. академика Г. Читаиа.

Церковь была перенесена сюда из села Уджарма 1967г. Она является трехнефной базиликой и датируется VIII - IX веками, однако некоторые ученые предполагают, что храм относиться к более раннему периоду.

რომელსაც ეკვროდა შვერილი აბსიდის დამოუკიდებელი გადახურვა. ნაწილი კი მის გადახურვას ოთხკალთიანად მიიჩნევს.

ტაძრის კედლები მსხვილი, კარგად გათლილი შირიმის კვადრების წესიერი რიგებით არის ნაშენი. კამარათა საბჯენი თაღები ეყრდნობოდა მონოლითურ მრგვალ სვეტებს, რომლებიც ანაწევრებენ შიდა სივრცეს. განსაკუთრებით საზეიმო იერს ატარებს საკურთხევლის მკაფიოდ გამოყვანილი ნალისებური სატრიუმფო თაღი. სვეტისთავები შემკულია გეომეტრიული და მცენარეული რელიეფებით. თაღის იმპოსტზე გამოსახულია სხვადასხვა ცხოველები და მცენარეები. შესასვლელთა არქიტრავებსა და საპირეებზე კი ორიგინალური ჩუქურთმოვანი კომპოზიციებია – ვაზის მტევნები და ფოთლები.

თიანეთის სიონის სამნავიანი ბაზილიკის აშენების თარიღზე სხვადასხვა მოსაზრებანი გამოითქვა. მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ ეს ძეგლი ე.წ. "გარდამავალი ხანის" რელიგიური ნაგებობაა და მისი თარიღი VIII-XIX საუკუნეთა მიჯნით უნდა განისაზღვროს.



ორთაჭალის ციხის ეკლესია. გ.ჯორჯიაშვილის ფოტო, 2009წ.
Церковь Ортачальской тюрьмы. Фото Г.Джорджиашвили, 2009г.
The Ortachala prison church. Photo by G.Jorjiashvili, 2009.

ორთაჭალის ციხის წმინდა გიორგის ეკლესია


პლ. იოსელიანი 1866 წელს თბილისის სიძველეთა აღწერისას მოიხსენიებს ორთაჭალის ციხის ეკლესიას: "Церковъ при городской Тюрьме в Ортачале." ორთაჭალის სატუსაღო პირველად 1867 წლის თბილისის გეგმაზეა აღნიშნული როგორც "Тюремный замокъ". ამიტომ, სავარაუდოა, რომ ეკლესია აშენდა XIX საუკუნის II ნახევარში და იგი ციხის კარის ეკლესიას წარმოადგენდა. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. XX საუკუნის ბოლოს ციხის საავადმყოფოს ტერიტორიაზე პატიმრების ინიციატივით აშენდა წმინდა გიორგის ახალი ეკლესია. „ქველმოქმედების მიზნით ტაძრის პროექტი შეადგინა არქიტექტორმა არჩილ მინდიაშვილმა. 1997 წელს ტაძრის საძირკველი აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. მშენებლობა 2000 წელს დასრულდა." – წერს ი.გუნია წიგნში „მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები ".

The Ortachala Prison Church of St.Giorgi

Platon Ioseliani mentions the Church of Ortachala Prison in his description of the historical monuments of Tbilisi, 1866. It is plotted on the 1867 chart of the city as a "prison castle". Thus, we presume that the temple was built in the second half of the 19th century and represented the court church of the prison. Further data about the Church is not available. At the end of the 20th century, on the initiative of the prisoners a new temple dedicated to St.Giorgi was built. "The architect Archil Mindiashvili designed the project of the church and donated it to the prison. In 1997 His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of All Georgia consecrated its basement. The erection of the temple was accomplished in 2000." – an extract from I.Gunia's book "The Temples of Mtskheta and Tbilisi."

Церковь св. Георгия Ортачальской тюрьмы

Пл. Иоселиани в 1866 году при описании древностей Тбилиси упоминает "Церковъ при городской Тюрьме в Ортачале." Ортачальская тюрьма впервые указана на карте Тбилиси 1867 года как "Тюремный замокъ". Поэтому предположительно, что церковь была построена во II половине XIX века и она являлась домовой тюремной церковью. Ее дальнейшая судьба нам неизвестна. В конце XX века на территории тюремной больницы по инициативе заключенных возвели новую церковь св. Георгия. «Она в благотворительных целях была построена по проекту Арчила Миндиашвили. В 1997 году фундамент церкви освятил Святейший и Блаженнейший, Католикос–Патриарх Всея Грузии Илья II. Строительство завершилось в 2000 году.» – пишет И.Гуниа в книге «Храмы Мцхета – Тбилисской епархии».



მედაბაღეების სამლოცველო
XX ს დასაწყისის ფოტო

Молельня кожевников (добахчей).
Фото начала XX в.

Tanners' chapel.
Photo of early 20th c.

გაუქმებული მედაბაღეების სამლოცველო
საბჭოთა პერიოდის ფოტო

Упраздненная молельня кожевников (добахчей).
Фото советского периода.

Closed Tanners' chapel.
Photo of the Soviet period.

მედაბაღეების სამლოცველო


მეტეხის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სამლოცველოს შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ შევძელით. შემორჩენილია მხოლოდ მისი ფოტოსურათი. 1800 წლის თბილისის გეგმაზე ამავე ადგილზე №95-ით აღნიშნულია „Часовня добахчей (кожевников)"ანუ მედაბაღეების (მეტყავეების) სამლოცველო.

Tanners' Chapel

On the opposite side of Metekhi Church, across the River Mtkvari stood a chapel. We could not find any information about this chapel but a photo of it has survived. On the 1800 chart of Tbilisi "Tanners' Chapel" is marked with number 95 on the same site.

Молельня кожевников

На противоположной стороне Метехской церкви, на правом берегу Куры находилась молельня кожевников. На плане Тбилиси 1800 года на этом месте под №95 указана «Молельня добахчей» (кожевников.) В советское время она была упразднена, сохранилась только ее фотография.



კომენტარები



ვახტანგ I გორგასალი

1 ვახტანგ I გორგასალი (დაახლ. 434–502.) - ქართლის (იბერიის) მეფე, მირდატ VIII-ის ძე. "გორგასალი" (სპარსულად – მგლისთავი) იმიტომ შეარქვეს, რომ მუზარადზე მგელი ჰქონდა გამოსახული. იგი შესანიშნავი სარდალი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე იყო, იბრძოდა ქართლიდან ირანელთა განდევნისათვის. ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა და ახალი საეპისკოპოსოები შექმნა. მან დედაქალაქი თბილისში გადმოიტანა. ვახტანგი ბროძლაში მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მცხეთაში, მის მიერ აგებულ საკათოლიკოსო ტაძარში. XIს. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ახალი ტაძარი, რომელშიც ერთი საფლავი ახლაც გორგასლისეულადაა მიჩნეული.

2 დვინის საეკლესიო კრება - სომხეთის საკათოლიკოსო რეზიდენციაში, ქ.დვინში 506 წელს ბიზანტიის ინიციატივით მოწვეული ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო კრება. ქართული ეკლესიის დელეგაცია 24 ეპისკოპოსისაგან შედგებოდა. მას ქართლის ეპისკოპოსი გაბრიელი ხელმძღვანელობდა. დვინის საეკლესიო კრებამ დაგმო ნესტორიანელობა და მიიღო ზენონ კეისრის დიოფიზიტ–მონოფიზიტთა შემარიგებელი "ჰენოტიკონი" ("ერთობა").

3 გუარამი (გურგენი) – ქართლის ერისმთავარი (VIს.) ქართული წყაროების "მოქცევაი ქართლისაის", "ქართლის ცხოვრების" და ვახუშტის მიხედვით. ჯუანშერის თანახმად კი, გუარამი ვახტანგ გორგასლის უმცროსი ძის, მირდატის დისწულია, ე.ი. ვახტანგის შვილიშვილი ქალის ხაზით. სუმბატ დავითის ძე გუარამს (გურგენს) ბაგრატიონთა გვარის მამამთავრად თვლის. ქართლის ფეოდალების შუამდგომლობით კეისარმა გუარამს კურაპალატის წოდება მიანიჭა.

4 კათოლიკოსი ბართლომე. საქართველოს კათოლიკოსი VIს. დასასრულსა და VIIს. დასაწყისში, ქართლის ერისმთავრების გუარამისა და სტეფანოზ I-ის დროს.



ალ იოსელიანი

5 პლატონ იოსელიანი (1809-1875) - 1934წ. დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. შემდეგ მუშაობდა თბილისის სემინარიაში ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად. 1845-1856 წლებში რედაქტორობდა რუსულ პერიოდულ გაზეთს „ზაკავკაზსკი ვესტნიკს", რომელიც თბილისში გამოდიოდა. 1849 წელს იმოგზაურა საბერძნეთში, მოინახულა ათონის ივერთა მონასტერი, შეისწავლა ქართული კულტურის ძეგლები. იოსელიანი იყო ათენის არქეოლოგთა საზოგადოების ნამდვილი წევრი. აქტიურად თანამშრომლობდა და კორესპონდენციებს გზავნიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. 1860-1875 წლებში გამოსცა ქართველოლოგიური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მრავალი ათეული ნაშრომი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლას, მათი წარმოშობის პრობლემებს. იოსელიანს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში. პლატონ იოსელიანი ანტონ I-ის ლიტერატურული სკოლისა და ენობრივი პოზიციის მიმდევარი იყო. ისტორიის საკითხების გაშუქებისას იოსელიანი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ფოლკლორულ მასალას, კრებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. იგი ქართული გამოცანების პირველ ჩამწერად ითვლება. შეადგინა კრებულები "გამოცანანი ქართულნი" და "ანდაზები და გამოცანები".

6 **ვახტანგ ბერიძე** (1914-2000). პროფესორი. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მის ნაშრომებში განხილულია ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები ადრინდელი ფეოდალური ხანიდან. მისი ნაშრომებია: "სამცხის ხუროთმოძღვრება - XIII-XVI საუკუნეები", "ზოგი ასპექტი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრებისა", "ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში", "ძველი ქართული ხუროთმოძღვრება", "თბილისის ხუროთმოძღვრება – 1810-1917 წლები" და სხვა. ვახტან ბერიძე დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

7 **ეგნატე იოსელიანი** - სასულიერო პირი, ისტორიკოსი. საქართველოს ბოლო მეფის გიორგი XII-ის სულიერი მოძღვარი, პლატონ იოსელიანის მამა. „ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა დასასრულისა, მეფის ირაკლიდან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ ... იყო ფარული მონაწილე 1832წ. შეთქმულობისა." – წერს კონსტანტინე მამაცაშვილი.

8 **ადარნასე** (603-639) - ქართლის ერისმთავარი VIIს. I ნახევარში, უფლისწულობაში „ვიპატოსი". ადარნასე მცხეთის ჯვრის წარწერებში სტეფანოზ I-ის ძედ არის დასახელებული, ხოლო ჯუანშერი მას ბაკურ მეფის ძედ მიიჩნევს (ბაკური ვახტანგ გორგასლის უფროსი ვაჟის, დაჩის შთამომავალი – კახეთის შტოს წარმომადგენელია). ადარნასეს საგარეო და სარწმუნოებრივი პოლიტიკა ბიზანტიური ორიენტაციისა იყო. მის დროს მოხდა საეკლესიო განხეთქილება ქართლსა და სომხეთს შორის. ადარნასეს პრობიზანტიური პოლიტიკური გეზი ქართლში ირანელთა ბატონობის დროსაც არ შეუცვლია, რის გამოც ერისმთავრობა დაკარგა. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ ერისმთავრად აღადგინეს. ადარნასე მცხეთის ჯვარის ერთ-ერთი აღმშენებელია.



ადარნასეს რელიეფი გამოსახულება წარწერით, მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე

9 **ევღენი** არქიეპისკოპოსი - ერისკაცობაში ალექსანდრე ბაჟენოვი (1785–1862). რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით 1834 წლის 1 სექტემბერს იგი დანიშნულ იქნა საქართველოს ეგზარქოსად. ევღენი ამ თანამდებობაზე 1844წ. მსახურობდა. იგი ცნობილი იყო თავისი სისასტიკით ხელქვეითების მიმართ. როდესაც ის მინსკში არქიეპისკოპოსის თანამდებობას ტოვებდა, მასთან გამოსამშვიდობებლად სამღვდელოებიდან არავინ მისულა, უფრო მეტიც, მინსკში ამ ფაქტთან დაკავშირებით სამადლობელი ლოცვა აღავლინეს.

10 **წმინდა იოანე მანგლელი** (1663–1751). იგი გარეჯის უდაბნოში აღიზარდა. სათნოებით გამორჩეული იოანე მღვდელმონაზონად აკურთხეს, შემდგომ კი მანგლისის კათედრაზე დაადგინეს ეპისკოპოსად. წმინდა იოანე მანგლელმა დაღესტანში, ასტრახანსა და ყიზლარში ეკლესიები ააგო. ოთხმოცს გადაცილებული წმინდა იოანე მანგლელი ყიზლარში აღესრულა 1751წ. და თავისსავე აგებულ მონასტერში დაიკრძალა. შემდგომ თეიმურაზ მეფის ბრძანებით მისი წმინდა მირონმდინარე ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს და სიონის ტაძარში მანგლისის ღვთისმშობლის ხატის წინ დაკრძალეს. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა იოანე მანგლელს 28 (10) მარტს მოიხსენიებს.




წმ.იოანე მანგლელი



დ.სარაჯიშვილი



მ.ვორონცოვი



ჯალალედინის პორტრეტი
უზბეკურ მონეტაზე



თემურ ლენგი

11 მიტროპოლიტი იონა (იოანე ვასილევსკი) - საქართველოს ეგზარქოსი 1821–1832წწ. 1828წ. აიყვანეს მიტროპოლიტის ხარისხში. საქართველოში ყოფნისას მან ხელი მოკიდა სასულიერო სემინარიის კეთილმოწყობას და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე სემინარიაში გახსნა საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისათვის. მისი საყვარელი საქმე იყო ძველი ეკლესიების აღდგენა–შეკეთება და ახლების აშენება. ამ საქმეს იგი საკუთარ ფულსაც სწირავდა.

12 დავით სარაჯიშვილი (1848-1911) - მან განათლება მიიღო პეტერბურგისა და გერმანიის უნივერსიტეტებში. 1871წ. მიიღო ქიმიის მეცნიერების დოქტორის ხარისხი. 1888წ. იწყებს პირველად საქართველოში კონიაკის წარმოებას. მისი ფირმის პროდუქცია მრავალჯერ აღინიშნა ჯილდოებით სხვადასხვა გამოფენებზე. დ.სარაჯიშვილი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას ხშირად მიმართავდნენ თეატრების, მუზეუმების, საგამომცემლო საქმიანობის, უნივერსიტეტის მშენებლობის, სტუდენტების სტიპენდიების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

13 მიხეილ ვორონცოვი (1782-1856) - თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, 1844-1854წწ. კავკასიაში მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი იყო. კავკასიაში იგი ემსახურებოდა ამ მხარის კოლონიზაციისა და იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, რასაც ძალზედ მოქნილად, მეთოდურად, უპირატესად კულტურული ღონისძიებებით აკეთებდა. მის დროს აღდგა ქართული თეატრი, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, ადგილობრივ თავადაზნაურთა შვილებს გზავნიდა რუსეთის სასწავლებლებში და სხვა. ვორონცოვი მეფის უერთგულესი მსახური იყო, სხვა მოხელეებისაგან გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, განათლებითა და გარკვეული ლიბერალიზმით.

14 ჯალალ ად-დინ მანგუბერდი, ჯალალედინი (გ.1231) - ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველი. 1220წ. ჩინგიზ ყაენის მიერ მამამისის დამარცხების შემდეგ ტახტზე ჯალალედინი ადის და თავს სულთანს უწოდებს. სპარსეთში ის საკუთარ ჯარს უყრის თავს და იმპერიას იბრუნებს. ჯალალედინი ძალაუფლების კონსოლიდაციას მაინც ვერ ახერხებს. საბოლოოდ, ის ძალაუფლებას სპარსეთში მონღოლებს უთმობს და კავკასიაში გარბის, სადაც ის 1226წ. ქალაქებს თებრიზსა და თბილისს იღებს. 1231წ. იგი სელჩუკების მიერ დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა.

15 თემურ ლენგი (1336–1405) - შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი, გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის შვილი. ახალგაზრდა თემურლენგმა სახელი გაითქვა ფეოდალურ შინაომებში. 1362წ. ფეხში დაიჭრა და ამის გამო "თემურლენგი" (კოჭლი თემური) შეარქვეს. თემურლენგის სახელმწიფო წარმოადგენდა ფეოდალურ სამფლობელოთა კონგლომერატს. თემურლენგი დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერულ და კულტურულ განვითარებას, დაპყრობილი ქვეყნებიდან მოჰყავდა ოსტატები და აგებდა სასახლეებს, მეჩეთებს, მავზოლეუმებს. მისი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო სამარყანდი. თემურლენგის პოლიტიკა მიმართული იყო, ერთი მხრივ, შუა აზიის გაერთიანებისაკენ, მეორე მხრივ კი, დაპყრობითი ომებისაკენ. თემურლენგის ლაშქრობები გამოირჩეოდა არნახული სისასტიკით. 1386-1403წწ. იგი ოთხჯერ შემოესია საქართველოს და უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოს.

16 ალექსანდრე I დიდი (1389–1443) - საქართველოს მეფე 1412-1442წწ., კონსტანტინე I-ისა და ნათია ამირეჯიბის ძე. მეფობის პირველსავე წლებში იძულებული გახდა მოეგერიებინა თურქმანთა შემოტევები. 1415წ. საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა და მეფემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქვეყნის აღდგენას. შეაკეთა მრავალი ციხე, საყდარი და მონასტერი. განაახლა უცხოეთის ქართული მონასტრები. გამეფების პირველსავე წლებში ალექსანდრე I-მა ალაგმა ურჩი მთავრები, ზოგიერთი ერისთავთერისთავი გადააყენა და მათ ადგილზე ბატონიშვილები დანიშნა. მათ პოლიტიკას, ძირითადად, დიდგვაროვანი ფეოდალების ინტერესები განსაზღვრავდა. სახელმწიფო ღონისძიებათა გატარებისას მეფე იძულებული ხდებოდა გაეთვალისწინებინა მათი და სამეფო ოჯახის სხვა წევრთა ნება-სურვილი, რამაც გამოიწვია ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება. 1442წ. ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა და ათანასეს სახელით ბერად აღიკვეცა.



ალექსანდრე I დიდი
ნაბახტევის ეკლესიის ფრესკა

17 ისმაილ I (1487-1524) - სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი. 1500-1501წწ. ყიზილბაში ტომების მხარდაჭერით თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა აზერბაიჯანი და თავი შაჰინ-შაჰად გამოაცხადა. XVIს. დასაწყისში ისმაილ I-მა ილაშქრა საქართველოში. 1518წ. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანთა სახელმწიფო ვასალები გახდნენ. იგი ხელს უწყობდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, მფარველობდა პოეტებს, მხატვრებს, სწავლულებს, თავადაც ცნობილი პოეტი იყო.



ისმაილ I

18 ღვთისმშობლის ძვირფასი თვლებით შემკული ხატი - პლ.იოსელიანი გადმოგვცემს თქმულებას ამ ხატის შესახებ – 1522წ., როცა შაჰ-ისმაილმა დაარბია სიონის ტაძარი, სიონის ღვთისმშობლის ხატი მტკვარში გადააგდებინა. კახეთის მეფე ლევან I-მა იპოვა იგი ნავთლულში, შეამკობინა და ისევ სიონის ტაძარში დააბრუნა. მეორე თქმულების მიხედვით, შაჰ-ისმაილის ბრძანებით ხატი მეტეხის ხიდზე დაასვენეს და თბილისის მაცხოვრებლებს უბრძანეს შეურაცხყოთ იგი. გადმოცემის თანახმად, მაშინ 100 000 ადამიანი ეწამა.

19 ელისე საგინაშვილი (თბილელი) - მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი, XVIIს–ში დაახლოებული იყო ქართლის მეფე როსტომთან და დედოფალ მარიამთან, რომლის „სულიერ მამად" ითვლებოდა. იგი იყო ცნობილი კალიგრაფი და გადამწერი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე, 1652წ. მეფის დავალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთ–საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობის პერსპექტივებზე.

20 ვახტანგ VI (1675–1737) - გიორგი XI-ის ძმის, ლევანის ძე, 1703-1714წწ. ქართლის გამგებელი (ჯანიშინი), 1716-1724წწ. ქართლის მეფე. მან სცადა ქვეყნის შიგნით წესრიგის აღდგენა, ალაგმა ურჩი თავადების თვითნებობა, სასტიკად ებრძოდა ტყვეებით ვაჭრობას, შექმნა ე.წ. "მცველთა ჯარი". ქართლისათვის შექმნა კანონთა წიგნი, რის გამოც მას "სჯულმდებელი" შეარქვეს. ვახტანგმა დიდი ყურადღება მიაქცია მეურნეობის აღდგენას, ააგო სასახლეები, ქარვასლები, განაახლებინა და შეაკეთებინა ტაძრები, ზრუნავდა გზებისა და ხიდების მოვლაზე. ვახტანგმა განაახლა სარწყავი არხები. ანთიმოზ ივერიელის დახმარებით დააარსა საქართველოში პირველი ქართული სტამბა. მასში დაიბეჭდა "ვეფხისტყაოსანი" თვით ვახტანგ მეფის კრიტიკულ-მეცნიერული გამოკვლევით, მოგვიანებით თარგმნა და გადმოაკეთა დიდაქტიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშები. ძველ ქართულ მწერლობაში ერთ-ერთმა პირველმა შექმნა პატრიოტული



ვახტანგ VI. მინიატურა

ლირიკის ნიმუშები. აღსანიშნავია ვახტანგ VI-ის ზრუნვა "ქართლის ცხოვრების" ტექსტის დადგენისა და გამართვისათვის. ვახტანგ VI–მ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაამყარა პეტრე I-თან, მათ გადაწყვიტეს ერთად გაელაშქრათ ირანის წინააღმდეგ. განრისხებულმა შაჰმა ქართლი გამაჰმადიანებულ კონსტანტინე კახთა მეფეს გადასცა, რომელმაც 1723წ. ლეკთა დაქირავებული ჯარით აიღო თბილისი. 1724წ. ივლისში ვახტანგ VI თავისი ოჯახის წევრებით რუსეთს გაემგზავრა. 1737 წ. ვახნტანგ VI გარდაიცვალა ქ. ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, მიძინების ტაძარში.

21 კონსტანტინე II, მაჰმად ყული-ხანი - კახეთის მეფე 1722-1732წწ., ერეკლე I-ის ძე. დაიბადა და აღიზარდა ისპაჰანში. მეფობა მიიღო ძმის, დავით II-ის გარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰისაგან. 1723წ. შაჰის მიერ ვახტანგ VI-ის გადაყენების შემდეგ ქართლი კონსტანტინე II-ს ებოძა. 1723წ. ოსმალები თბილისში შევიდნენ. ვახტანგ VI-მ შეძლო ფაშის მოქრთამვა, რის შედეგადაც ქართლის გამგებლობა ოსმალებმა ბაქარს მისცეს, ხოლო კონსტანტინე II დააპატიმრეს. მალე ბაქარის ფარული ხელშეწყობით კონსტანტინე II კახეთში გაიქცა, შემდეგ ბაქარიც განუდგა დამპყრობლებს და ოსმალებმა თბილისის გამგებლობა იესეს გადასცეს. კონსტანტინე II-მ და ბაქარმა მცხეთაში კავშირი შეკრეს ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გამო. კონსტანტინე II-ს იმედი ჰქონდა რუსეთის დახმარებისა. ამ მიზნით პეტრე I-ს სთხოვდა ქართლ-კახეთის მიღებას რუსეთის მფარველობაში, მაგრამ რუსეთი ოსმალეთთან ზავის დარღვევას ერიდებოდა. ვახტანგ VI-ისა და ბაქარის რუსეთში წასვლის შემდეგ ქართლ-კახეთის მოსახლეობის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე II. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე II იძულებული გახდა დაზავებოდა ოსმალებს. კახეთმა ოსმალეთისათვის ხარკის მიცემა იკისრა, მაგრამ არც ერთი მხარე არ ენდობოდა ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც ნადირ–შაჰმა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში წარმატებას მიაღწია, ამიერკავკასიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა ტალღამ იფეთქა. კონსტანტინე II ოსმალეთისათვის მთლად მიუღებელი აღმოჩნდა. კახეთში ლაშქრით მოსულმა ახალციხის ფაშამ უსუფმა კონსტანტინე II ზავზე მოსალაპარაკებლად ბეჟანბაღს (კახეთში) მიიწვია, სადაც ის 1729წ. ვერაგულად მოკლა ისაყ-ფაშას მსახურმა.

22 იესე ტლაშაძე - XVIIIს. პოეტი, ავტორია პოემის "ბაქარიანი", რომელშიც აღწერილია ვახტანგ VI–ისა და მისი შვილის ბაქარის ამბები, ქართლის აკლება სპარსელებისა და ოსმალების მიერ. პოემაში აღწერილია მტრისაგან აოხრებული თბილისი, დაქცეული და გაპარტახებული სიონი.


23 სიონის ღვთისმშობლის ხატის ასლი - დამზადებულია 1764წ. მოსკოვში. ხატის უკანა მხარეზე წარწერა გვამცნობს მის შემომწირავზე – მეფე ვახტან VI–ის შვილი გიორგი, მისი მეუღლე მარიამ დოლგორუკოვა და მათი შვილები იაკობი, ვასილი და ანა. პლ.იოსელიანი ამ ხატს ასე აღწერს: "...ვერცხლის მოოქროვილი ხატი. ღვთისმშობელს თავზე ადგას გვირგვინი, რომელიც შემკულია ძვირფასი ქვებით. მასზე მოთავსებული ჯვარის ბოლოები შემკულია აღმოსავლური ალმასებით... ჯვარის ბოლოს დიდი ზურმუხტია. საერთო ჯამში ხატი შემკულია 200 ლალით, 70 ალმასით, 90 ზურმუხტით, 70 ფირუზით, 600 მარგალიტით, მათ შორის 44 საკმაო დიდით და სხვადასხვა ძვირფასი ქვებით".

24 გიორგი ვახტანგ VI–ის ძე – გიორგი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1712 - 1786). მოსკოვის ქართული კოლონიის მეთაური XVIIIს. II ნახევარში, რუსეთის არმიის გენერალ-ანშეფი. 1724წ. მამასთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად რუსეთს გაემგზავრა და დამკვიდრდა მოსკოვში. აქ საიმპერატორო კარზე შეისწავლა ფილოსოფია, ისტორია, სამხედრო ხელოვნება, წერდა ლექსებსაც.

რუსეთ-შვედეთის ომის დროს გიორგი ბატონიშვილი ფლოტს მეთაურობდა. თავი გამოიჩინა რაინის კამპანიაში. დაჯილდოებული იყო ალექსანდრე ნეველისა და წმ.ნინოს ორდენებით. მოსკოვში მის სახლში თავს იყრიდნენ რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. თანამედროვეთა ცნობით, გიორგი ბატონიშვილი საქართველოში მეცნიერების გავრცელების დიდი მოსურნე და ნივთიერი ხელშემწყობი ყოფილა. დაკრძალულია დონის მონასტერში.

25 გივი ამილახვარი (1689-1754) – პოლიტიკური მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი. 1727წ. მეფე იესეს გარდაცვალების შემდეგ ოსმალებმა ქართლი რამდენიმე საგამგეო ერთეულად დაყვეს. ამილახვარი ზემო ქართლის გამგებლად დაინიშნა. იგი ოსმალებთან ერთად იბრძოდა მოთარეშე ლეკ ფეოდალთა წინააღმდეგ. ამასთან ერთად იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო ოსმალების ექსპედიციებში კახელთა წინააღმდეგ, თუმცა, კი ფარულად აჯანყებულ კახელებს ეხმარებოდა. თამაზ-ყული-ხანის ამიერკავკასიაში მოსვლის შემდეგ 1734წ. ამილახვარმა ყიზილბაშებთან ერთად დაიწყო ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. 1735წ. მოულოდნელი დარტყმით აიღო გორი და მონაწილეობდა თბილისიდან ოსმალების განდევნაში. თუმცა, ქართველთა ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ ხელს უწყობდა ირანელთა წარმატებებს, ნადირ-შაჰს არ მოსწონდა, რომ ქართველებში ფეხს იკიდებდა ქრისტიანული საქართველოს აღდგენის იდეა. ამიტომ მან დააპატიმრა ამილახვარი და სხვა ქართველი პატრიოტები. მალე ისინი ტყვეობიდან გაიქცნენ. 1736წ. ამილახვარი სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ აჯანყებას ქართლში. მალე ირანელებმა ვერაგობით შეიპყრეს ამილახვარი. 1737წ. ნადირ-შაჰმა ამილახვარი ავღანეთის ლაშქრობაში წაიყვანა. აქ მათ თავი გამოიჩინეს და შაჰმა გადაწყვიტა ქართველი ტყვეები სამშობლოში დაებრუნებინა და შანშე ერისთავის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ირანელებმა ადვილად დაიმორჩილეს ქსნის საერისთავო და ამილახვარს გადასცეს. 1741წ. შაჰმა ამილახვარი ქართლის ვექილად (გამგებლად) დანიშნა. შემდეგ ამილახვარი მონაწილეობდა ნადირ-შაჰის დაღესტნის ლაშქრობაში. მაგრამ მისი ირანოფილური პოლიტიკა დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი უკმაყოფილება გამოიწვია, ერთი მხრივ, ბაგრატიონთა კახური შტოს დაწინაურებამ ქართლში, მეორე მხრივ, ნადირ-შაჰის მძიმე საგადასახადო პოლიტიკამ, და იგი სათავეში ჩაუდგა ქართლის აჯანყებას ირანელთა უღლის წინააღმდეგ. 1744წ. აჩაბეთის ბრძოლაში ამილახვარი დამარცხდა და 1745წ. იძულებული გახდა დანებებოდა თეიმურაზ II-ს. დამარცხებული ამილახვარი ისპაჰანში გაგზავნეს. აქ ის ფორმალურად გამაჰმადიანდა, მიიღო შაჰ-ყული-ხანის სახელი და ირანის გვარდიის უფროსი (ყულარაღასი) გახდა. 1747წ. ნადირ-შაჰმა გადაწყვიტა დაესაჯა "ურჩი მეფეები" თეიმურაზ II და ერეკლე II. ამილახვარს დაავალა 30 ათასი კაცით საქართველოში შეჭრილიყო. ამ განზრახვას ხელი შეუშალა შაჰის სიკვდილმა. 1749წ. ამილახვარმა შემოიკრიბა ირანში მყოფი ქართველები, შეიარაღა და ხმლით გაიკაფა გზა საქართველოსკენ. ამილახვარმა არაერთი დანგრეული ციხე და ეკლესია აღადგინა ქართლში, იმერეთსა და მესხეთში, დიდი ფინანსური, მორალური და სამხედრო დახმარება გაუწია თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს.

26 ათანასე თბილელი (გ.1770) - ამილახვარი, საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, ღვთისმეტყველი, თბილელი მიტროპოლიტი. ერეკლე II-მ ათანასე თბილელს დაავალა აბდულა-ბეგთან მოლაპარაკება. 1752-1754წწ. ელჩად იყო რუსეთის იმპერატორთან სამხედრო დახმარებისა და მფარველობის სათხოვნელად. იგი ავადმყოფობის გამო საქართველოში აღარ დაბრუნებულა. 1726წ. მოსკოვში დააარსა ქართული სტამბა. თავისი ხარჯით ბეჭდავდა ქართულ საეკლესიო წიგნებს.





აღა მაჰმად ხანი

27 აღა მაჰმად ხან ყაჯარი (1741–1797) - ირანის მმართველი 1779—1797წწ., შაჰი 1796წ., ყაჯართა დინასტიის დამფუძნებელი. იყო ყაჯართა აზერბაიჯანული ტომის წინამძღოლის შვილი. მამამისი შაჰის შემოწყრომის გამო იძულებული გახდა გაქცეულიყო, ხოლო ექვსი წლის მაჰმადი დაასაჭურისეს. ფიზიკურმა ნაკლმა მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მას, რაც ხსნის მის ბოროტ და უმოწყალო თვისებებს. 1779წ. ყაჯართა წინამძღოლი გახდა. 1795წ. ილაშქრა საქართველოში მისი რუსეთთან კავშირის საბაბით და კრწანისის ბრძოლაში დაამარცხა ერეკლე II-ის ჯარი, რის შემდეგადაც დაეუფლა დედაქალაქს და მთლიანად დააქცია იგი. მისახლეობის უმეტესი ნაწილი ამოჟლიტეს, 22 ათასი ადამიანი კი ტყვედ წაიყვანეს. 1797წ. აღა მაჰმად ხან ყაჯარი საკუთარი მსახურების მიერ იქნა მოკლული.



პ.ციციანოვი

28 პავლე ციციანოვი, ციციშვილი (1754–1806) - რუსეთის არმიის გენერალი. ბუნებრივი ნიჭით და უნარით დაჯილდოებული, საკმაო განათლებით აღჭურვილი ცარიზმის ერთგული მსახური იყო. მეტისმეტად ამაყი, ჯიუტი და ფიცხელი ციციანოვი უმთავრესად ძალადობა-დაშინების გზით მოქმედებდა, მაგრამ ხშირად მახვილი დიპლომატიური მანევრებითაც აღწევდა მიზანს. "მრისხანე თავადი" იმპერატორის დიდი ნდობით სარგებლობდა. მას განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. იმპერატორმა ნება დართო, რომ თავისი საკუთარი მოსაზრებების მიხედვით გადაეწყვიტა სასწრაფო და რთული საქმეები და ადგილზევე დაეჯილდოებინა რუსეთის იმპერიის ორდენებით თავისი ღირსეული თანამშრომლები. 1806წ. დასაწყისში თავადი ციციანოვი ბაქოში მოკლეს, 1811წ. მისი ნეშტი გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს სიონის ტაძარში.



გრ.გაგარინი

29 გრიგოლ გაგარინი (1810-1893) - რუსი მხატვარი და ფერმწერი, რუსული არქეოლოგიური საზოგადოების წევრი. მისი საიმპერატორო უდიდებულესობის კარის ობერგოფმეისტერი, სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1848 წ. გაგარინი რამდენიმე წლით დასახლდა თბილისში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. მან მოხატა თბილისის სიონის ტაძარი და თავიდან ააშენა დაზიანებული კანკელი. მოხატა თბილისის საოპერო თეატრის დარბაზი და ფოიე. ქართულ თეატრში გააფორმა სპექტაკლები, ხატავდა პეიზაჟებს, XIXს. თბილისის ხედებს, საყოფაცხოვრებო სცენებს, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ქართველთა ტიპებს და სხვ.


30 ევსევი - ერისკაცობაში ალექსი ილინსკი. დაიბადა კურსკის გუბერნიაში, დიაკვნის ოჯახში. განათლება მიიღო კურსკის სემინარიაში და კიევის სასულიერო აკადემიაში. 1834წ. ბერად აღიკვეცა. 1858წ. საქართველოს არქიეპისკოპოსის, საქართველოს ეგზარქოსის ჩინი მიიღო და წმინდა სინოდის წევრი გახდა. „ბრაილის რუსული სასულიერო უწყებები" არქიეპიოსკოპ ევსევის ახასიათებს თავშეუკავებელ და ფუფუნებისკენ მიდრეკილ ადამიანად, რომელიც განსაკუთრებით ფულის სიყვარულით გამოირჩეოდა. ის არა მარტო არ მეთვალყურეობდა საეკლესიო ფასეულობების დაცვას, არამედ თვითონაც კი ეხმარებოდა სხვებს საპატრიარქო სალაროს, გელათის მდიდარი სალაროსა და საქართველოს სხვა ტაძრების დატაცებაში. იგი გარდაიცვალა 1879წ.

31 ალექსანდრე I (1777–1825) - რუსეთის იმპერატორი, იმპერატორ პავლე I-ს უფროსი ვაჟი. თავისი მმართველობის დასაწყისში გაატარა ზომიერი ლიბერალური რეფორმები. საგარეო პოლიტიკაში ლავირებდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის. წარმატებით აწარმოებდა ომებს თურქეთთან და შვედეთთან. ალექსანდრე I-ის დროს აღმოსავლეთ საქართველო, ფინეთი, ბესარაბია, აზერბაიჯანი, ყოფილი ვარშავის საჰერცოგოს ტერიტორიები შეუერთდა რუსეთს. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ხშირად გამოთქვამდა სურვილს უარი ეთქვა ტახტზე და „განრიდებოდა სოფელს", რამაც ტაგანროგში მუცლის ტიფით მისი გარდაცვალების შემდეგ დაბადა ლეგენდა „მოხუც თევდორე კუზმას ძეზე". ამ ლეგენდის თანახმად, დაასაფლავეს არა ალექსანდრე, არამედ მისი ორეული და მეფე კიდევ დიდხანს ცხოვრობდა ციმბირში განდეგილ-მოხუცად, რომელიც 1864წ. გარდაიცვალა.



ალექსანდრე I

32 წმ.ნინოს ჯვარი - წმ.ნინო საქართველოში ღვთისმშობლმა თავისი ლოცვა-კურთხევით სამოციქულოდ წარმოგზავნა. ღვთისმშობელმა მას ვაზის ჯვარი გადასცა. წმ.მისიით მიმავალი მორჩილების ნიშნად წმ.ნინომ მოიკვეცა თმა, შემოახვია ვაზის რტოებს და გამოეშურა საქართველოსკენ. წმ.ნინოს ცხოვრების მცხეთური რედაქციის მიხედვით, ეს ჯვარი წმინდანს ღვთისმშობელმა იერუსალიმში გადასცა. თუმცა, არსებობს სხვა რედაქციაც, რომელიც ვაზის ხის რტოთაგან შეკრულ ჯვარს თვითონ წმ.ნინოს მიაწერს, მას იგი თავისი თმებით მცხეთაში მოსვლის შემდეგ შეუკრავს. ჯვარი მემკვიდრეობით მეფე მირიანს ერგო. 541წ. იგი მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში იყო დაბრძანებული. ჯვარი მრავალჯერ ყოფილა გატანილი ქალაქიდან ქალაქში და ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამ გადატან-გადმოტანის დროს ჯვრის გარდი-გარდმო ნაწილი გადატეხილა, რის გამოც ჯვრის ფრთები დაშვებულია. Vს. ჯვარი აღმოჩნდა წმ.შუშანიკთან. მან ჯვარი გადასცა თავის მოძღვარს ანდრიას, რომელიც იძულებული გახდა სომხეთში დარჩენილიყო. დავით აღმაშენებლმა ანისის აღების შემდეგ ჯვარი დაუბრუნა მცხეთას. ისტორიული წყაროების მიხედვით, XI-XIIსს. წმ.ნინოს ჯვარი მცხეთის საკათედრო ტაძარში ესვენა. XVII-XVIIIსს., მტრების შემოსევის დროს ჯვარი გადაიტანეს მთებში, ჯერ ყაზბეგის წმ.სამების ეკლესიაში, მერე კი ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიაში. 1749წ. ჯვარი წმ.ნინოს ხატით საცავიდან წაიღო თბილისის მიტროპოლიტმა რომანოზმა (ერისთავმა) და მიართვა თავის დას მოსკოვში, სეფე-წულის ბაქარ ვახტანგის ძის მეუღლეს. სხვა ცნობის მიხედვით კი, წმ.ჯვარი ქართველთა მეფე არჩილს გაუტანია საქართველოდან 1688 წ. იმავე ცნობით, ჯვარი მოსკოვში ქართველ მეფეთა სასახლეში ესვენა. შემდეგ წმ.ნინოს ჯვარი სოფელ ლისკოვოში ქართველ დიდებულთა მამულში ვახტანგ VI-ის შთამომავალს, გიორგი ალექსანდრეს ძეს გადაუბრძანებია. 1801წ. კი ამ უკანასკნელს ჯვარი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-სათვის მიურთმევია, რომელსაც დაუბრუნებია საქართველოსთვის 1802წ. დღეს წმ.ნინოს ჯვარი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული.



წმინდა ნინოს ჯვარი

33 მადლის ქვა - ერთხელ წმ.მამა დავით გარეჯელი იერუსალიმის მოსალოცად გაეშურა, მაგრამ როცა ქალაქს მიუახლოვდა, თავი წმ.ქალაქში შესვლის ღირსად არ ჩათვალა, მხოლოდ შორიდან ხილვით დაკმაყოფილდა, კარიბჭესთან დადგა და მხურვალე ლოცვას შეუდგა. წამოსვლისას სამი ქვა აიღო და საქართველოსკენ გამოეშურა. იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: იერუსალიმის მოსალოცად ღვთის მონა დავითი მოვიდა და სარწმუნოებით მთელი იერუსალიმის მადლი მიაქვს, დაწიე მდევარნი და სამი ქვიდან ორი დაიტოვე, ერთი კი გაატანე, თუ არ გინდა, რომ ქალაქი სრულიად განიძარცვოს მადლისგანო. იერუსალიმის პატრიარქს მაშინვე გამოეცვიძა და ანგელოზის ბრძანებული აღასრულა. მამა დავითმა ორი ქვა პატრიარქს დაუტოვა, ერთი კი გარეჯის უდაბნოში ჩამოიტანა. ეს ქვა დღეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარშია და კურნების სასწაულებრივი მადლითაა აღვსილი.



წმ.მოციქული თომას თავის ქალა

34 წმ. თომა მოციქულის თავის ქალა - წმინდა მოციქული თომა ინდოეთში აღესრულა. შემდგომში თომა მოციქულის წმინდა ნაწილები 385წ. ქალაქ ედესაში გადაასვენეს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ინდოეთშიც დარჩა მისი ზოგიერთი ნაწილი. იმპერატორ ანასტასის ზეობისას თომა მოციქულის წმ.ნაწილები კონსტანტინოპოლში წააბრძანეს, ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის დროს უნგრეთის მეფემ ანდრია მეორემ წმ.თომას მარჯვენა თავის სამშობლოში გადაასვენა. თომა მოციქულის თავის ქალა კი საქართველოში, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარშია დასვენებული.


35 ეგვტერი, ეკვდერი – ორი მნიშვნელობა აქვს: 1) მცირე სამლოცველო სახლი; კერძო კარის სამლოცველო; 2) ეკლესიაზე მიშენებული მცირე სამლოცველო; ეკლესიაზე მინაშენი ან მახლობლად ცალკე აგებული მცირე ეკლესია - სამწირველო. შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესიებზე მიშენებული ეგვტერები უმთავრესად დიდ ფეოდალთა კერძო სამწირველო-ეკლესიები და იმავე დროს ამ ფეოდალთა საგვარეულო სასაფლაო იყო. აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში საეკლესიო კანონმდებლობა კრძალავდა სალოცავ ეგვტერში წირვის (ლიტურგიის) შესრულებას. მთავარი მიზეზი ამ აკრძალვისა იყო ეკონომიკური კონკურენციის თავიდან აცილება, რასაც ამ შემთხვევაში ეგვტერები უწევდნენ საერთო-კათოლიკე ეკლესიებს (ეკლესიას აკლდებოდა მწირველზე დაკისრებული შესატანი). VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680-681) ნება დართო ეგვტერებში წირვა შეესრულებინათ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანახმა იქნებოდა ადგილობრივი ეპისკოპოსი და ის ასეთ ეგვტერს ეკლესიად აკურთხებდა. საქართველოში ეს აკრძალვა IX-Xსს. იყო ძალაში. მაგ., ხანძთის მონასტერში წინამძღვარმა ბერებს წესად დაუდო ეგვტერები აეგოთ სენაკებთან მხოლოდ სამლოცველოდ, და არა საწირავად (ეკლესიად), მაგრამ XIს. საქართველოში ეგვტერები, როგორც სამწირველო - ეკლესიები, ფართოდ ვრცელდება. XVს. დიდ საეკლესიო სამონასტრო ცენტრებში - მცხეთაში, ალავერდში, შიომღვიმეში, გელათში, ბიჭვინთასა და სხვაგან შეიქმნა რამდენიმე საეგვტერო ფეოდალური ორგანიზაცია მცირე სენიორიების სახით. თითოეულ ეგვტერს მთავარი დიდი ეკლესიისაგან დამოუკიდებლად ჰყავდა საკუთარი წინამძღვარი და სხვა მსახური, ეგვტერში პატრონის, დიდი ფეოდალის - შემწირველის სახელზე სრულდებოდა სხვადასხვა სახის რიტუალი (წირვა-ლოცვა და სხვა). ეგვტერს დამოუკიდებლად ჰქონდა შეწირულება გლეხებისა და მამულების სახით, რომლის შემოსავალი მხოლოდ ეგვტერის საჭიროებას ხმარდებოდა. XVს. ეგვტერს ეწოდება აგრეთვე „საწინამძღვრო“.



კირიონ II

36 კირიონ II (1855–1918) - სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი 1917-1918 წწ., მღვდელმოწამე კირიონ II–მ (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი) განათლება მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში, თბილისის სასულიერო სემინარიასა და კიევის სასულიერო აკადემიაში. წმ.კირიონი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, აარსებდა სამრევლო სკოლებს, წიგნსაცავებს და ბიბლიოთეკებს, ამავე დროს ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ქართულ ლიტერატურაზე. 1897წ. მოწაზვნად აღიკვეცა კირიონის სახელით. საქართველოს საეგზარქოსომ შენიშნა, რომ წმ.მღვდელმთავრის ირგვლივ თავს იყრიდა განათლებული სამღვდელოება, რომელიც აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო.1908წ. კირიონს მთავრობის დადგენილებით ჩამოერთვა ეპისკოპოსის წოდება და დაპატიმრებულ იქნა. 1917წ., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ იგი არჩეულ იქნა კათოლიკოს-პატრიარქად. თუმცა, მის მიმართ ცილისწამება, პროვოკაცია, შანტაჟი, მუქარა არ შეწყვეტილა. 1918წ. წმინდა კირიონ კათოლიკოსი მოკლული იპოვეს მარტყოფის მონასტერში. წმ.სინოდის 2002წ. 17 ოქტომბრის სხდომაზე მოწამეობრივად აღსრულებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წმინდათა დასში შეირაცხა.

37 ლეონიდე II (1860-1921) - ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1918-1921წ., დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. 1888-1897წწ. ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას. იგი იყო კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი, საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრი, ქართული ბიბლიის გამსწორებელი კომიტეტის თავმჯდომარე. აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. 1918წ. გორის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, თბილისის მიტროპოლიტი. მას ეკუთვნის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის საკითხებზე შექმნილი არაერთი ნაშრომი.


ლეონიდე II

38 ამბროსი აღმსარებელი (1861-1927) - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927წწ., ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია, დაიბადა ზუგდიდის მაზრის სოფ. მარტვილში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1897წ. ჩააბარა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც აღიკვეცა ბერად ამბროსის სახელით. 1901წ. დაამთავრა აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1902წ. აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. ღირსი ამბროსი აღმსარებელი დაუღალავად იღწვოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. 1908წ. ბრალი დასდეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში, რისთვისაც გადასახლებულ იქნა რუსეთში. 1910წ. გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. 1917წ. ღირსი ამბროსი აღმსარებელი დაბრუნდა საქართველოში. 1921წ. მეუფე ამბროსი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. 1922წ. მისმა უწმინდესობამ, ამბროსი ხელაიამ გენუის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი საქართველოში ბოლშევიკების მხრიდან ტაძრების დარბევისა და მართლმადიდებლობის დევნის გამო, რისთვისაც იმავე წელს დააპატიმრეს საკათოლიკოსო საბჭოს 9 წევრთან ერთად. 1924წ, ამნისტიის ძალით ღირსი ამბროსი აღმსარებელი გაათავისუფლეს და ქაშუეთში წირვის ჩატარების უფლება მისცეს, თუმცაღა ღონემიხდილ მწყემსმთავარს შუაწირვის დროს, როდესაც ამბიონიდან მრევლს ჯვარს სახავდა, გული წაუვიდა და დაეცა. ღირსი ამბროსი აღმსარებელი გარდაიცვალა 1927წ. და დაკრძალულ იქნა სიონის საკათედრო ტაძარში. 1995წ. საქართველოს ეკლესიის გაერთიანებულ კრებაზე განიხილეს ამბროსი ხელაიას ცხოვრება და ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის წმინდანად შერაცხეს ამბროსი აღმსარებლის სახელით. ხსენების დღედ გამოცხადდა 16 (29) მარტი.


ამბროსი აღმსარებელი

39 ქრისტეფორე III (1873 –1932) - მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, ერისკაცობაში ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილი. სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1927-1932წწ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1895-1922წწ. მღვდლად იყო ჯერ იმიერკასპიის ოლქში, შემდეგ საქართველოს სოფლებში, თბილისის ვერის წმ.ნიკოლოზის ეკლესიაში. იყო საღვთო სჯულის მასწავლებელი, სამრევლო სკოლების მეთვალყურე. 1905წ. თბილისში თავმჯდომარეობდა არალეგალურ კრებას, რომელმაც შეიმუშავა მოთხოვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. გამოქვეყნებული აქვს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის გამოკვლევები და წერილები.


ქრისტეფორე III



კალისტრატე

40 კალისტრატე (1866-1952) - მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, ერისკაცობაში კალისტრატე ცინცაძე, ქართველი მეცნიერი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი. 1932-1952წწ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კიევის სასულიერო აკადემია. 1893წ. მღვდლად ეკურთხა. კალისტრატე ცინცაძე აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საკითხს მიუძღვნა წიგნი: „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია". აქვს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის მნიშვნელოვანი გამოკვლევები და წერილები.



მელქისედეკ III

41 მელქისედეკ III (1872–1960) - ერისკაცობაში მიხეილ ფხალაძე, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1952-1960წწ. დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1922-1924წწ. - თბილისის სიონის ტაძრის მღვდელი, 1924-1925წწ. - ანჩისხატის, 1925-1927წწ. - ალავერდის ეპისკოპოსი, 1927-1928წწ. - ცხუმის მთავარეპისკოპოსი. 1928-1935წწ. თბილისში ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი. 1935-1938 წწ. - ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. 1944-1952წწ. თბილისის დიღმის ეკლესიის წინამძღვარი.



ეფრემ II

42 ეფრემ II (1896–1972) - მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1960-1972წწ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილება. 1922წ. აღიკვეცა ბერად. 1944წ. ეკავა ქუთაის-გაენათის კათედრა. 1952წ. განაგებდა ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდის ეპარქიებს. 1960წ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი. იყო მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრი. მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.



დავით V

43 დავით V (1903-1977) - მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბოს ძე დევდარიანი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1972-1977წწ. 1928წ. ხარაგაულის ოლქის მთავარი ხუცესი. 1930წ. თბილისში მსახურობდა სიონის საკათედრო ტაძარში, 1932-1945წწ. თბილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, 1945-1947წწ. წმ.ნინოს ეკლესიაში. 1956წ. იყო ჯერ არქიმანდრიტი, შემდეგ ეპისკოპოსი. 1959-1972წწ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი.

კომენტარები

44 საბა სვინგელოზი – XII საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი. კარის (ყარსის) ეპისკოპოსი. მას მიაწერენ დავით აღმაშენებლის „ცხოვრებას" და ბერძნულიდან ძლისპირთა კრებულის გადმოღებას. ჩვენამდე მოღწეულია საბა სვინგელოზის „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი", რომლის აკროსტიქიდანაც ჩანს, რომ ეს გალობა დაწერილია ვარდან აბუსერისძის თხოვნით.

45 ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (1585–1658) - ნიკიფორე ირბახი–ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მწიგნობარი. 8 წლისა სწავლა-განათლების მისაღებად გააგზავნეს იტალიაში, სადაც კათოლიკეთა ბერძნულ სკოლაში მიებარა სასწავლებლად. იქვე აღიკვეცა კათოლიკე ბერად. დაახლოებით 1608წ. საქართველოში დაბრუნდა და კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი გახდა. თეიმურაზ I-ის დავალებით იგი მიემგზავრება ევროპაში და 1626-1629წწ. უკვე მოიხსენიება როგორც თეიმურაზის ელჩი პაპის ურბან VIII-ის კარზე. ამ პერიოდშივე იგი ეწვია ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს. რომში ყოფნისას მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ბეჭდვითი წიგნის გამოცემაში. 1629წ. მისი დახმარებით ჩამოისხა ქართული ანბანი. მან რომშივე შეიმუშავა და გამოსცა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი. 1629წ. ჩოლოყაშვილი საქართველოში დაბრუნდა. 1632წ., როდესაც თეიმურაზ I იძულებული შეიქმნა იმერეთის სამეფოსთვის შეეფარებინა თავი, ჩოლოყაშვილი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის უახლოესი თანამშრომელი და მისი ვრცელი პოლიტიკური გეგმების სულისჩამდგმელი გახდა. 1643-1649წწ. ჩოლოყაშვილი კვლავ იერუსალიმშია ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვრად. 1650წ. ის საქართველოში ბრუნდება. ჯერ იმერეთის სამეფოს კარზე იმყოფებოდა და 1656-1657წწ. სამეგრელოსა და აფხაზეთის კათოლიკოსი ხდება. 1657წ., ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ოდიშის ახალმა მთავარმა ვამეყ III-მ სხვა თავის მოწინააღმდეგეთა შორის ჩოლოყაშვილიც შეიპყრო და საპყრობილეში მოათავსა, სადაც იგი გარდაიცვალა.



ნიკიფორე ირბახი

46 იოსებ თბილელი (სააკაძე) (1620-1688) - საეკლესიო მოღვაწე, პოეტი, თბილისის მიტროპოლიტი. აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად. დაიღუპა როგორც გიორგი XI-ის მომხრე განდგომილ არაგვის ერისთავთან ბრძოლაში. მის პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული პატრიოტული ეპოსის თვალსაჩინო ძეგლს-პოემა "დიდმოურავიანს" (1681-1687), რომელშიც იოსებ თბილელმა ხოტბა შეასხა დიდ მოურავს გიორგი სააკაძეს; მან შექმნა მნიშვნელოვანი ისტორიული, აგრეთვე, სასულიერო შინაარსის თხზულებები: "ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღმრთისა", "წმინდათა კრებათათვის", "ქება და წამება წმიდისა მარინასი, თქმული შაირად"; აგრეთვე "ანბანთქება". იოსებ თბილელი ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი გამგრძელებელია (დაურთო 67 სტროფი). მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის სიონის ბიბლიოთეკის დაარსება, რომლისთვისაც იოსებ თბილელს მრავალი ხელნაწერი წიგნი შეუძენია.

47 ვახტანგ ვახუშტის ძე ორბელიანი (*1700-გარდ.წ.უცნობია) - მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე, ერეკლე II-ის პირველი ცოლის - ქეთევანის მამა. 1735წ. იყო ჯერ მოსკოვში, შემდეგ პეტერბურგში. 1738წ. დაბრუნდა საქართველოში. რუსეთში ყოფნისას დაწერა თავისი პირველი თხზულება - მოგზაურობის ჟანრის "პეტერგოფის აღწერა", რომელშიც გადმოსცა რუსეთის მეფეთა საგაზაფხულო რეზიდენციის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებანი. წერდა ლექსებს, ანბანთქებებს. ვახტანგ VI-ის კვინკლოსისთვის შეადგინა "კვინკლოსით სარგებლობის წესი".



მოსე

48 მოსე (1783-1834) - ერისკაცობაში მატვეი–მათე მიხეილის ძე ანტიპოვი. ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი, კიევის სემინარიის რექტორი და კიევის ძმათა მონასტრის არქიმანდრიტი. კიევის სასულიერო აკადემიის პირველი რექტორი, ღვთისმეტყველების დოქტორი. 1832წ. 12 მარტიდან ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი, წმ.სინოდის წევრი 1834წ–მდე. თანამედროვეთა გადმოცემით, ეგზარქოსი მოსე იყო "უკიდურესად თვინიერი, რბილი, გულღია და შემწყნარებელი მღვდელმთავარი". არქიმანდრიტი მოსე ეპისკოპოს ფილარეტის (დროზდოვი) მიერ ჩართული იყო ახალი აღთქმის რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში და ლუკას სახარების მისეული თარგმანი 1819წ. ოთხთავის პირველ რუსულ გამოცემაში შევიდა.


49 დაჩი უჯარმელი - ქართლის მეფე VIს. დამდეგს, ვახტანგ I გორგასლის ძე ვახტანგის პირველი ცოლის ბალენდუხტისგან, რომელიც ირანის შაჰის ასული იყო. მას დაჩისთან ერთად შეეძინა ტყუპის ცალი ასული. დედოფალი მშობიარობას გადაყვა. დაჩი უჯარმაში იზრდებოდა და ცნობილია უჯარმელის ზედწოდებით. ჯუანშერის ცნობით, დაჩიმ დაასრულა ვახტანგ გორგასლის დროს დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა და მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა, მცხეთა დარჩა საკათოლიკოსო ცენტრად.



გ.ჩუბინაშვილი

50 გიორგი ჩუბინაშვილი (1885-1973) - ხელოვნების ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი. სწავლობდა ლაიფციგისა და ჰალლეს უნივერსიტეტებში, ქართულ, სომხურ, სპარსულ ფილოლოგიას - პეტროგრადის უნივერსიტეტში. გახდა ფილოსოფიის დოქტორი და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრი. იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც დააარსა ხელოვნებათმცოდეობის კაბინეტი - საქართველოში ხელოვნების შემსწავლელი პირველი დაწესებულება და ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი. იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი. 1941წ. დანიშნეს ახლადშექმნილი საქართველოს სსრ–ის მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად და ამ თანამდებობაზე იყო გარდაცვალებამდე. დაკრძალულია თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.

51 ბაბილა – ბაბილე, საქართველოს კათოლიკოსი დაახლოებით VII ს. I მეოთხედში, ქართლში ადარნასეს ერისმთავრობის დროს.



52 ხატი მაცხოვრისა, ანჩისხატი - საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ხატის ისტორია ედესის მთავარ ავგაროზს უკავშირდება. მან, მძიმე ავადმყოფმა დაწერა წერილი, რომელშიც იესოს მოსვლას და განკურნებას სთხოვდა. ავგაროზმა მხატვარი იერუსალიმში გააგზავნა, რათა იესო ქრისტე დაეხატა მისთვის. მხატვარმა უფლის სახე ვერ გამოსახა ტილოზე. მაშინ იესომ გამოართვა ტილო მხატვარს, მიიფარა პირზედ და სასწაულებრივ გამოისახა ტილოზე მისი სახე. მომაკვდავი ავგაროზი ემთხვია ღვთის ხატს და მაშინვე განიკურნა. ამის შემდეგ ხატი-ტილო დააკრა ფიცარზედ და ქალაქის კარების თავზე დაასვენა, რათა ყველას თაყვანი ეცა მისთვის. აქ ესვენა ორასი წელიწადი. ქრისტიანების დევნის გამო ღვთის ხატი საიდუმლოდ დაკრძალეს ქალაქის კედელში. თითქმის ოთხასი წელიწადი იყო იგი დაფარული. 539წ. გადმოასვენეს ხატი და კონსტანტინოპოლში დააბრძანეს წმ.სოფიოს ტაძარში. VIII-IXსს. პირი ღვთის ხატი საიდუმლოდ გადმოასვენეს კაბადოკიის ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში. ამის შემდეგ, ხატი ესვენა ახალციხეში, გორში და სოფ. ჭალაში, ამილახვრის იოთამის სახლში. კათოლიკოსმა დომენტიმ ხატი ჩამოასვენა მცხეთაში და იქიდან თბილისში.

53 ანჩეთი – საეპისკოპოსო ისტორიულ კლარჯეთში. დაარსდა VI-VIIსს-ში. IX-Xსს. ანჩის საეპისკოპოსოს სამწყსო მოიცავდა: არტანუჯის მხარეს, კლარჯეთის უდაბნოებს (მონასტრებს), ლიგანის ხევის გაღმა-გამოღმა ტერიტორიას გონიომდე, მდ. ფორჩხისხევს. ამასიის ზავის (1555) მიხედვით, ეს მხარე საბოლოოდ თურქების ხელში გადავიდა. ოსმალთა ბატონობის დროს საეპისკოპოსო გაუქმდა.

54 ერეკლე II (1720 - 1798) - 1744-1762წწ, კახეთის, 1762-1798წწ. ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე. 1744წ. თეიმურაზ II ქართლში გამეფდა, ერეკლე II კი - კახეთში. ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ ნადირ-შაპის გარდაცვალების შემდეგ თბილისი ირანელებისაგან გაათავისუფლეს. თეიმურაზ II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართლ-კახეთში ერთმეფობის დამყარება საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. ერეკლე II-მ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სახელმწიფოში. ერეკლე II ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავდა მრეწველობის და კულტურის განვითარებისათვის, რის შედეგადაც გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები, სამთომადნო წარმოება. მანვე განაახლა ზარაფხანა, დააარსა სემინარიები. მეფის ირგვლივ შეიკრიბა განათლებისა და კულტურის მოღვაწეთა დასი, გახშირდა წიგნების ბეჭდვა. XVIIIს. 80-იანი წლებიდან ერეკლე II-ის სამეფო საბოლოოდ დაუკავშირდა რუსეთს, გაფორმდა 1783წ. რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი. სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ლაშქრობაში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. ხალხმა მას "პატარა კახი" უწოდა. ერეკლე II დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში.



ერეკლე II

55 ბექა ოპიზარი (XIIს. II ნახ.-XIIIს. დასაწ.) - ქართველი ოქრომქანდაკებელი. წარმოშობით ან შემოქმედებითი მოღვაწეობით ოპიზასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თავისი დროისათვის და შემდეგაც სახელგანთქმული ხელოვანი. ჩვენ დრომდე მოაღწია ბექა ოპიზარის მხოლოდ ორმა ნამუშევარმა - ანჩის ხატის ჩარჩოსა და წყაროსთავისათვის სახარების ყდის მოჭედილობამ. ბექა ოპიზარს შეუსრულებია, აგრეთვე, ანჩის სახარების ყდის მოჭედილობაც. 1895წ., როცა ეს სახარება ე.თაყაიშვილმა პირველად ნახა, მას მხოლოდ ხის ყდა ჰქონდა. ხელნაწერის ბოლოს დართულ ანდერძში ნათქვამია, რომ სოფრომ მწიგნობარმა წიგნის ყდა მოაჭედინა "...ღმრთისა მიერ კურთხეულსა ღირსსა ოქროსმქანდაკებელსა ბექასა". ბექა ოპიზარის ნამუშევრები დამახასიათებელია ქართული ოქრომჭედლობის განვითარების იმ ეტაპისათვის, როდესაც დეკორატიულმა ტენდეციებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

56 პოლიევქტოს კარბელაშვილი (1855–1936) - დაიბადა გორის მაზრაში, მღვდლის ოჯახში. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. პ.კარბელაშვილი მოღვაწეობდა ქ.თბილისში, ქ.გურჯაანსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფლებში. აქვს გამოცემული სხვადასხვა წიგნები: „ქართული საერო და სასულიერო კილოები" (1898წ.), „კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი" (1900წ.), „იერარქია საქართველოს ეკკლესიისა" (1901წ.) და „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში" (1902წ.). პ.კარბელაშვილის არქივში დაცულია მრავალი საინტერესო მასალა. საგულისხმო მონაპოვარია მის მიერ მიკვლეული „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი ქ.გურჯაანში. პ.კარბელაშვილი ეწვია დავითგარეჯის მონასტერს, შეისწავლა იქ არსებული ბიბლიოთეკა. მან გადმოიწერა და გაშიფრა ამ წიგნების „მინაწერები". მის ოჯახს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული საერო სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების მოძიება-შესწავლაში, ამიტომ ამ საგალობლებს მეორენაირად „კარბელაანთ კილოს" უწოდებენ. პოლიევქტოს კარბელაშვილი გარდაიცვალა 1936წ., იგი დაკრძალულია ქ. გურჯაანში.



პოლიევქტოს კარბელაშვილი


57 იოთამ პაპუნას ძე ამილახვარი - XVIIს. 30-50 წლების ქართლის დიდი ფეოდალი, პოლიტიკური მოღვაწე. ზურაბ არაგვის ერისთავთან ერთად ეურჩებოდა გიორგი სააკაძეს. ხან თეიმურაზ I-ს ებრძოდა, ხან როსტომ მეფეს. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, "სიტკენაც დრო დაახელოს, იქითკენ იყვის".



მეფე როსტომი

58 მეფე როსტომი (1565–1658) - როსტომ ხანი, ქართლის მეფე 1633-1658წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656წწ., დავით XI-ის ძე. აღიზარდა ირანში. როსტომის გამეფებით ირანისა და ქართლის ურთიერთობაში ერთგვარი კომპრომისი დამყარდა. როსტომმა ქართლში გამეფებისთანავე თბილისის ციხეში ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა, მოხელეებად თავისი მომხრეები დანიშნა. 1648წ. შაჰის დავალებით კახეთში ილაშქრა, თეიმურაზ I განდევნა და კახეთი დაიკავა. როსტომი ზრუნავდა ქალაქებისა და ვაჭრობის განვითარებაზე. როსტომის მეფობის წლებში სამეფო კარზე და მაღალ ფეოდალურ არისტოკრატიაში მაჰმადიანობა გავრცელდა. იგი ხელს უწყობდა მარიამ დედოფალს დანგრეული და დაზიანებული ეკლესიების აღდგენაში. 1653წ. როსტომის მემკვიდრედ აირჩიეს ბაგრატიონების გვერდითი შტოს მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი, რომელიც როსტომის ავადმყოფობის დროს ტახტს განაგებდა. როსტომი დაკრძალულია ირანში, ქ.ყუმში.

59 ნიკოლოზ კათალიკოზი – ნიკოლოზ IX, გვარად ამილახვარი, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1678-1688წწ. 1692-1695წწ. კახეთის მეფემ ერეკლე I-მა ორჯერ დაიკავა ქართლი, ორჯერვე გადააყენა ნიკოლოზ IX და მის მაგიერ თავისი ბიძა იოანე დანიშნა. ვახტანგ VI-მ 1705წ. სცადა ნიკოლოზ IX აღდგენა, მაგრამ იგი საეკლესიო წრეებმა უარყვეს. 1687წ. ნიკოლოზ IX-ს შეუდგენია თავისი ნაშრომ-ნაღვაწის აღმნუსხველი დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ მას მცხეთის მეურნეობის აღდგენისა და სასოფლო ეკლესიების მშენებლობისათვის დიდი სამუშაო შეუსრულებია: აღუდგენია სასახლეები, აუშენებია მარნები, წისქვილები, გაუშენებია ზვრები, ბაღები, გაუყვანია სარწყავი არხები, აღუდგენია ნასოფლარები და სხვა.




დომენტი III-ის ხელრთვა

60 დომენტი III (გარდ. 1676წ.) - აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1660-1676წწ., ქაიხოსრო მუხრანბატონის ძე. იყო ქართლის მეფის ვახტანგ V-ის პოლიტიკის მიმდევარი. ენერგიულად იბრძოდა ტყვეებით მოვაჭრე თავადთა წინააღმდეგ. მუსლიმანურ წეს-ჩვეულებათა საპირისპიროდ ცდილობდა ქართული ქრისტიანული ჩვეულებების აღდგენას. 1664წ. თბილისელი ვაჭრისაგან შეიძინა სამცხიდან ჩამოტანილი ანჩის ხატი და თბილისის ანჩისხატის ეკლესიაში დაასვენა. მანვე შეაკეთა და განაახლა ანჩისხატის ეკლესია, 1675წ. ააგო ახალი სამრეკლო. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისთვის ნასყიდობით შეიძინა სახნავ-სათესი მიწები და რამდენიმე კომლი გლეხი.

61 თბილისის სემინარია – საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სასწავლებელი. დაარსდა 1755წ. იანვარში თბილისში (ანჩისხატის ტაძრის ეზოში). თბილისის სემინარია სახელმწიფო ხარჯზე იყო. მის პირველ რექტორად დაინიშნა ფილიპე ყაითმაზაშვილი. ისწავლებოდა გრამატიკა, პიიტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია. სემინარიის მასწავლებელთა შორის იყო ანტონ კათალიკოსი, რომლის ორიგინალური თუ ნათარგმნი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ კიდეც. თბილისის სემინარია არსებობდა 1795წ. სექტემბრამდე - აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე.

62 **ანტონ I კათალიკოსი** (1720-1788) - ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი, 1738წ. ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში ანტონის სახელით. 1744წ. იგი აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. ანტონ I ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო და, განსაკუთრებით, დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს, შედეგად მცხეთის საგანგებო კრებამ ანტონი კათოლიკოსობიდან გადააყენა ამას მოჰყვა კათოლიკეთა დევნა 1755-1757წწ. 1756წ. ანტონ I რუსეთს გაემგზავრა, 1763წ. ერეკლე II-მ რუსეთიდან დააბრუნა იგი, ხოლო საეკლესიო კრებამ კვლავ აირჩია აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. 1772წ. ერეკლე II-მ საგანგებო მისიით გაგზავნა რუსეთში, სადაც ანტონ I-ს უშუალო მონაწილეობით მომზადდა ნიადაგი 1783წ. რუსეთ-საქართველოს ტრაქტატისათვის. ანტონ I ყოველნაირად უწყობდა ხელს კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის შექმნას, მხატვრობის, პოეზიისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას. გარდაქმნა ნახევრად კერძო ეპარქიული დაბალი სასწავლებლები სახელმწიფო ტიპის სკოლებად, მონაწილეობა მიიღო თბილისის სემინარიის დაარსებაში. მან მოჰკიდა ხელი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს, ანტონ I ასწავლიდა ფიზიკას თბილისის სემინარიაში. ანტონ I ღრმად იყო განსწავლული ბუნებისმეტყველებაშიც. მნიშვნელოვანია ანტონ I-ის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა და ისტორიული ნაშრომები.

63 **ეფთვიმე, ეფუემოს** - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIVს. I ნახევარში. გიორგი ბრწყინვალესთან ერთად ენერგიულად შეუდგა მონღოლთა ბატონობის შედეგად დარღვეული სახელმწიფო წესრიგის აღდგენას, მონაწილეობდა საკანონმდებლო დარბაზის მუშაობაში, რომელმაც მთის მოსახლეობისათვის კანონები შეიმუშავა. ეფთვიმე იღვწოდა მთიულეთ-ხევის მოსახლეობაში შერყეული ქრისტიანული-ზნეობრივი ნორმების მოსაწესრიგებლად. ზრუნავდა საზღვარგარეთის ქართული და არაქართული ქრისტიანული მონასტრების მატერიალურ-მორალური მდგომარეობის ამაღლებაზე. 1334წ. ეფთვიმემ პალესტინის საბაწმინდის მონასტერს შეწირულება გაუგზავნა. დაახლოებით ამავე დროს დაეხმარა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, რისთვისაც მას საუკუნო აღაპი დაუწესეს.



ეფთვიმეს ხელრთვა

64 **გოლგოთა** – (არამ. სიტყვასიტყვით-თავის ქალა), ბორცვი იერუსალიმის მახლობლად, სადაც დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ, სახარების მიხედვით - ქრისტეს ჯვარცმის ადგილი. გადმოცემის თანახმად, გოლგოთაზე დასაფლავებულია ადამი.

65 **წმ. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში** – შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი პალესტინაში. დააარსა გიორგი-პროხორე შავშელმა საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით XIს. გადმოცემოთ, 30-50-იან წწ. მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს. ჯვრის მონასტერი პალესტინის ქართულ სავანეთა აღიარებული ცენტრი გახდა. 1071წ. იერუსალიმის აღებისას მონასტერი დაარბიეს თურქ-სელჩუკებმა. XIIს. დამდეგს დავით აღმაშენებლის მხარდაჭერით აღადგინეს. თამარის მეფობის ხანაში არაერთხელ გაუწიეს დახმარება 1272წ. მონასტერი ჩამოერთვათ ქართველებს და მეჩეთად გადაკეთდა 1305წ. მეფე დავით VIII-ის მცდელობით იგი ქართველებს დაუბრუნდა. 1400წ. ჯვრის მონასტერი კვლავ დაარბიეს. XVს. მონასტერს მატერიალური დახმარება გაუწიეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა და მზეჭაბუკ ათაბაგმა. მონასტერში აღმშენებლობითი საქმიანობა გააჩაღა სერაპიონ კუმურდოელმა. XVIIIს. დიდი აღდგენითი



სამუშაოები ჩაატარა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა. სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის დახმარებით შეკეთდა ტაძარი. 1684წ. დავალიანებული მონასტერი დაიხსნა ქართლის მეფე გიორგი XI-მ. XVIIIს. დასასრულს ჯვრის მონასტერი სხვა ქართულ სავანეებთან ერთად იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა. 1855წ. აქ ბერძნული სასულიერო სემინარია გაიხსნა. ბერძნული სამღვდელოება მალავდა ჯვრის მონასტრის ქართულ კულტურასთან კავშირსა და ქართველთა მოღვაწეობის ფაქტებს, ფრესკები საგანგებოდ შეათეთრეს. გადმოცემით, აქ მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი. ჯვრის მონასტერი ფართოდ არის აღწერილი და შესწავლილი. ჯვრის მონასტერი მაღალი ზღუდით შემოვლებული ხუროთმოძღვრული კომპლექსია. ზღუდის შიგნით სამ და ოთხსართულიანი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია.



გიორგი XII

66 **გიორგი XII** (1746-800) - ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798-1800წწ.), ერეკლე II-ის ძე. XVIIIს. 60-იანი წლებიდან მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. 1765წ. მხარი არ დაუჭირა ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეთა მკაცრად დასჯას. ეს გამხდარა მამა-შვილს შორის უთანხმოების საფუძველი. ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამწვავებდა გიორგი XII-ის დედინაცვალი დარეჯან დედოფალი, რომელიც გიორგი XII-ეს საკუთარ შვილებს უპირისპირებდა. როცა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1798წ. იანვარში გიორგი XII გამეფდა, იგი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. მისი მეფობისას ქართლ-კახეთში მეტად რთული საშინაო და საგარეო ვითარება შეიქმნა. გიორგი XII ზრუნავდა ირანელთა 1795წ. შემოსევის შედეგად დანგრეული თბილისის აღდგენაზე. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთი მეფის რუსეთს შეუერთდა.



მ.ჯანაშვილი

67 **მოსე ჯანაშვილი** (1855–1934) - ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა საინგილოში, სოფელ კახში. 13 წლამდე სოფელში იზრდებოდა. ბავშვობაშივე სწავლობდა ინგილოურს, ეცნობოდა ინგილოების ყოფა–ცხოვრებას, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო მონოგრაფიას "საინგილო". სწავლობდა კახის სამრევლო სკოლაში, ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1897-1926წწ. იყო საეკლესიო მუზეუმის გამგე. 1884წ. მისი ავტორობით გამოვიდა საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო. იკვლევდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას. მიაკვლია და გამოსცა ბასილი ზარზმელის "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება". გამოაქვეყნა ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს გეოგრაფია". დიდი წვლილი შეიტანა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთსაცავის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციებისა და საეკლესიო მუზეუმის შექმნაში. იგი 60 წლის მანძილზე ნაყოფიერ მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. 1927წ. არჩეულ იქნა უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად. მოსე ჯანაშვილი დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

68 **სიმონ II**, ქართლის მეფე (1619-1631) - ირანში გაზრდილი, მაჰმადიანი, ბაგრატ VII-ის ძე. მცირეწლოვანი სიმონ II ქართლის ხანად დანიშნა ირანის შაჰმა აბას I-მა და მრჩევლად დაუყენა გიორგი სააკაძე, რომელიც ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა. 1625წ. მარტში გიორგი სააკაძის მეთაურობით ირანის წინააღმდეგ აჯანყების დროს სიმონ II ყიზილბაშებთან ერთად თბილისიდან გაიქცა და აღჯაყალის ციხეში ჩაიკეტა. ქართლ-კახეთში თეიმურაზ I გამეფდა. მარაბდის ბრძოლის (1625წ. ივლისი) შემდეგ შაჰმა სიმონ II აღადგინა ქართლის ხანად, მაგრამ მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა, ქართლის დანარჩენ ნაწილს თეიმურაზ I ფლობდა. ბაზალეთის ბრძოლის (1626) შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თეიმურაზ I შეუთანხმდა ზურაბ არაგვის ერისთავს და მოაკვლევინა სიმონ II.

69 თეიმურაზ ბერიძე – ისტორიკოსი, თბილისის ისტორიის მკვლევარი, დაიბადა 1932წ., მისი კვლევის საგანია თბილისის ისტორიის ყოფისა და კულტურის საკითხები.თეიმურაზ ბერიძე ს.ჯანაშიას საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. პროფესიით ისტორიკოსი, იგი IV-XIX ს. თბილისის ისტორიას იკვლევს. 1958-1980წწ. თეიმურაზ ბერიძე ი.გრიშაშვილის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) მეცნიერი მუშაკი იყო. 1980-1987წწ. ამავე მუზეუმის დირექტორის თანამდებობა ეკავა. 1971წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე –"ქალაქისპირა სოფლების ისტორია". 1990წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე –"საქართველოს დედაქალაქის აგლომერაციული გარემოს ფორმირების ისტორიული პროცესი". გამოცემული აქვს მონოგრაფიული ნაშრომი –"მხატვარი ვანო ხოჯაბეგოვი". 1970-1980წწ. გამოაქვეყნა მონოგრაფიები: "ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია", "აღმოცენდა თბილისი" და "ძველი თბილისის სურათები".



თ.ბერიძე


70 ნერსეს V (1770—1857) - ნერსეს ამტარაკეცი, ერისკაცობაში ტოროს შახაზიზიანი–კამსარაკიანი. სომხეთის კათოლიკოსი, სომხური ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე. 1814წ. ხელმძღვანელობდა სომხურ ეპარქიას საქართველოში. 1824წ. თბილისში მსახურობის დროს მან დააარსა სასულიერო სემინარია – „ნერსესიანი", რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა სომხური კულტურის განვითარებაში. სემინარიაში გახსნილი იყო როგორც დაწყებითი კლასები, ასევე უმაღლესი სასწავლებელი. ნერსეს V ხელს უწყობდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. შემდგომში იგი იყო ნახჭევანისა და ბესარაბიის არქიეპისკოპოსი, ხოლო 1843-1857წწ. სომხეთის კათოლიკოს – პატრიარქი. 1857წ. 14 თებერვალს იგი კალმით ხელში მოულოდნელად გარდაიცვალა.


ნერსეს V

71 ანტიოქიის საპატრიარქო - ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებლური ეკლესია. ანტიოქიის საპატრიარქო მოიცავდა 15 ეპარქიას. ანტიოქიის საპატრიარქოს მეთაური იწოდება "ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქად". VIIს. ანტიოქიის საპატრიარქოს გავლენა თანდათან შემცირდა, რაც ამ მხარეში მუსლიმანთა ხშირი ლაშქრობისა და ბატონობის შედეგი იყო. ანტიოქიის საპატრიარქოსთან საქართველოს ძველთაგანვე კულტურულ-რელიგიური ურთიერთობა ჰქონდა. აღსანიშნავია VIს. ანტიოქიიდან საქართველოში იოანეს მეთაურობით ასურელ მამათა მოსვლა და კულტურულ-საეკლესიო მოღვაწეობა. ძველი წყაროები მიუთითებენ Vს. ანტიოქიის საპატრიარქოსთან ქართული ეკლესიის იერარქიულ დამოკიდებულებაზე. ანტიოქიის საპატრიარქოს კათედრა ამჟამად ქ.დამასკოშია (სირია). იგი აერთიანებს ლიბანელ და სირიელ მართლმადიდებლებს მთელ მსოფლიოში. აქვს 6 ეპარქია სირიაში, 6 - ლიბანში, 3 - თურქეთში, თითო - აშშ, ბრაზილიასა და არგენტინაში.

72 წმიდა 13 ასურელი მამა - VIს. საქართველოში ჩამოვიდნენ წმ. მამები. მცხეთას მოახლოებულ მამებს წინ მიეგებნენ მეფე და კათოლიკოსი. პატრიარქის ლოცვა–კურთხევით, წმ.მამები ზედაზნის მთაზე დასახლდნენ. იქიდან ისინი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გაიფანტნენ: აბიბოსი - ნეკრესში მივიდა, ანტონი - მარტყოფში დასახლდა, დავით გარეჯელმა სამოღვაწეოდ გარეჯის უდაბნო აირჩია, ისე - წილკანში მოღვაწეობდა, იოსები - ალავერდში, შიო - სარკინეთის კლდეებს შორის მდებარე მღვიმეში, ამიტომაც მღვიმელი ეწოდა, ისიდორე სამთავისში ქადაგებდა, თადეოზი-სტეფანწმინდაში, სტეფანე–ხირსაში, ზენონი - იყალთოში, პიროსმა სავანე ბრეთაში დააარსა, მიქაელმა კი - ულუმბოში. წმ.მამები უდიდეს სასწაულებს ახდენდნენ და მრავალ ადამიანს იზიდავდნენ თავიანთი წმ.ცხოვრებით. მალე მათი სავანეები ბერებით აივსო.


წმ.13 ასურელი მამა



მამა დავით გარეჯელი

73 წმ.დავით გარეჯელი - შუამდინარეთის ასურეთიდან იყო. მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. იგი, ჯერ კიდევ ყრმა, სულიერი შვილი გახდა თანამემამულის, წმ.მამა იოანე ზედაზნელისა. მამა დავითმა თავიდან სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია, ქალაქის დასავლეთით მდგარი მთის ფერდობზე, გამოქვაბულში დასახლდა და იქვე პატარა სამლოცველო მოაწყო. წმ.მამასთან უამრავი ხალხი მიდიოდა, ხუთშაბათობით კი ქალაქში ჩადიოდა, ქადაგებით ამხნევებდა ხალხს და რწმენას განუმტკიცებდა. მამა დავითის ლოცვით მისი გამოქვაბულის ახლოს სასწაულმოქმედმა წყალმა ამოხეთქა. მამა დავითმა ბევრი ცეცხლმსახური მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მოგვები ხედავდნენ, რომ დავითი უფრო და უფრო დიდ სიყვარულს იხვეჭდა ხალხში და ყოველნაირად ცდილობდნენ შეებღალათ მისი სახელი. გულგატეხილმა ბერ ლუკიანესთან ერთად დატოვა ქალაქი. ღირსმა მამამ, განდეგილთა წესისამებრ, ხალხისგან მოშორებით ისურვა დამკვიდრება, რისთვისაც მან კახეთში, ყარაიას ველზე გადაშლილი გარეჯის უდაბნო ამოირჩია და ლუკიანესთან ერთად კლდეში გამოკვეთილ პატარა ქვაბულში მოაწყო სენაკი. ის გარდაცვალების შემდეგ მისმა მოსწავლეებმა თავისივე სენაკში დაასაფლავეს

74 ათონის წმინდა მთა - წმ.ათონი დამოუკიდებელი მონაზვნური რესპუბლიკაა. ის განსაკუთრებული მართლმადიდებლური მონაზვნური გაერთიანების მფლობელობაში იმყოფება. ათონზე უმაღლესი ეკლესიური ძალაუფლება ეკუთვნის არა ელადის, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქს, როგორც ბიზანტიურ ეპოქაში იყო. ათონის მთაზე მონაზვნების დასახლებასთან დაკავშირებული პირველი ცნობები VII-VIIIსს. განეკუთვნება. 971წ. ბიზანტიის იმპერატორმა ათონელ მონაზვნებს ნახევარკუნძულის მფლობელობა დაუმტკიცა „განუსაზღვრელი" დროით მონაზვნების მიერ სრული თვითმმართველობის უფლება იმპერატორის სიგელსი და წმ.მთის პირველ წესდებაში აისახა. ათონის წმ.მთაზე ქალის შესვლა მკაცრად იკრძალება. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, 999წ. ათონის მთასთან ზღვით მისცურა ივერიისად წოდებულმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატმა. წინასწარმეტყველებით კი, როდესაც ივერიის წმ.ხატი ათონის ნახევარკუნძულს დატოვებდა, ბერებიც სასწრაფოდ უნდა წასულიყვნენ ამ სავანედან, რამეთუ მას შემდეგ, რაც ხატი ამ ადგილს გაეცლებოდა, დამანგრეველი მიწისძვრებით ათონი ზღვაში შთაინთქმებოდა. ამით ღმრთისმშობელი მარიამი ქვეყანაზე ანტიქრისტეს გამეფებას აფრთხილებდა. ათონური წინასწარმეტყველების თანახმად, ათონის დატოვების შემდეგ ხატი ივერიაში (დღევანდელ საქართველოში) დაივანებდა.



ანტონ II

75 ანტონ II (1764–1827) - ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ძე. განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1783წ. ერეკლე II-მ გაგზავნა პეტერბურგში. ერეკლეს თხოვნით სინოდმა იმავე წელს აკურთხა ნინოწმინდის ეპისკოპოსად. 1788წ. აირჩიეს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. 1811წ. რუსეთის მთავრობამ ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია სინოდს დაუქვემდებარა, გააუქმა რა მისი ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) და კათოლიკოსობა. იმავე წელს ანტონ II რუსეთში გაიწვიეს. ცხოვრობდა ნიჟნი-ნოვგოროდში. დაკრძალულია იქვე, ხარების ტაძარში

76 თომა გრიგორაშვილი - კ.ცინცაძის ცნობით: "მღვდელი თომა გრიგორიევის მამა ყოფილა სომეხ-გრიგორიანი და ეჩმიაძინის არქიმანდრიტი, გვარად ფირალოვი; გრიგოლი, სამღვდელო ხარისხის ახდის შემდეგ, ჩამოსულა ტფილისში, შეურთავს ქართველი ქალი... სად სწავლობდა თომა ან როდის ეკურთხა მღვდლად, არა ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ ის ყოფილა მოძღვარი იულონ ბატონიშვილისა, რომელთანაც ერთად გამგზავრებულა პეტერბურგს... მამა თომა შემდგარა ბერად, ფილოთეოსის სახელით, დაბინავებულა დარიის ფერისცვალების მონასტერში და იქვე გარდაიცვალა."

77 არქიმანდრიტი ტრიფილე – XVIIIს. საეკლესიო მოღვაწე, ანტონ I კათოლიკოსის მოწაფე, იგი იყო მთარგმნელი სლავურიდან „სამადლობელი პარაკლისისა".

78 ალექსანდრე ერმოლოვი (1772-1861) - რუსი მხედარმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, მრავალი დიდი ბრძოლის მონაწილე,ინფანტერიის გენერალი, არტილერიის გენერალი. მსახურობდა ალექსანდრე სუვოროვის ხელმძღვანელობით. იყო 1794წ. პოლონეთის კამპანიის მონაწილე, 1816წ. მონაწილეობდა სპარსეთის ომში. 1816წ. ხელმძღვანელობდა ქართულ კორპუსს, ასევე ხელმძღვანელობდა საქართველოს, ასტრახანის და კავკასიის გუბერნიის სამოქალაქო ნაწილს, იყო აგრეთვე სპარსეთის ელჩი.



ალ.ერმოლოვი

79 ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი – გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა დასაკრძალავი ადგილი თბილისში, მთაწმინდის ფერდობზე, მამადავითის ეკლესიის შემოგარენში. მთაწმინდაზე პანთეონის დაარსების იდეა 1915წ. ა.წერეთლის დაკრძალვის დღეებში გაჩნდა; პანთეონი გაიხსნა 1919წ. აქ დაკრძალული ა.გრიბოედოვის გარდაცვალების მე-100 წლისთავზე.

80 თეიმურაზ II (1700–1762) - კახეთის მეფე 1709-1715წწ., გამგებელი 1733-1744წწ., ქართლის მეფე 1744-1762წწ. მოქნილი საგარეო პოლიტიკით შეძლო ქართლისა და კახეთის შემომტკიცება, კახეთში თავისი შვილი ერეკლე II გაამეფა, თვითონ კი ქართლი დაიჭირა და ამ გზით ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური წარმატება იყო ქართლ-კახეთის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოპოვებული უპირატესობა-ერევნის, განჯისა და ნახჭევანის ხანების საქართველოს მოხარკედ გახდომა. საგარეო პოლიტიკაში თეიმურაზ II რუსული ორიენტაციის მომხრე იყო. 1760წ. აპრილში იგი დახმარების სათხოვნელად გაემგზავრა რუსეთს. თეიმურაზ II მოითხოვდა დახმარებას ჯარით ან ფულადი სესხის სახით, რისი მეშვეობითაც რუსეთის მთავრობას ირანში ლაშქრობას და იქ რუსეთისათვის სასურველი შაჰის დასმას აღუთქვამდა. რუსეთი შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული და აქტიურად ვერ გამოეხმაურა თეიმურაზ II-ის წინადადებას. თეიმურაზ II გარდაიცვალა პეტერბურგში. დასაფლავებულია ასტრახანის მიძინების ტაძარში. თეიმურაზ II აღორძინების ხანის ქართული მწერლობის წარმომადგენელია. იგი იყო პოეტი და მთარგმნელი. თეიმურაზ II-ს ეკუთვნის იმხანად პოპულარულ თემაზე დაწერილი "ხილთა ქება", თავშესაქცევი და ფორმალისტური ხასიათის ანბანთქებები, კიდურწერილობა და ა.შ. მან სპარსულიდან თარგმნა იგავარაკების კრებული "თიმსარიანი"



თეიმურაზ II

81 ნიკოლოზ აბხაზი - გიორგი ალექსი-მესხიშვილის ოჯახში აღზრდილი და დახელოვნებული მხატვარი, მას ანანურის ტაძარიც მოუხატავს და მასვე განუახლებია ცამეტი ასურული მამის ფრესკები.

82 ვარლამი (1763–1830) - საქართველოს ეგზარქოსი 1811-1814წწ., ქსნის ერისთავის დავითის ძე. ეგზარქოსობამდე განაგებდა ახტალის ეპარქიას. 1801-1808წწ. იყო რუსეთის სინოდის წევრი. 1811წ. ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის გამო დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მმართველად. კავკასიაში რუსეთის ხელისუფალთა დავალებით ვარლამმა შეადგინა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც სასულიერო დიკასტერიის დაარსებას, საქართველოს საეგზარქოსოს შექმნას და რუსეთის სინოდისადმი მის დაქვემდებარებას ითვალისწინებდა. 1811წ. პროექტი მცირე ცვლილებით დაამტკიცა იმპერატორმა



ვარლამ ერისთავი

ალექსანდრე I-მა. ვარლამი გახდა ჯერ საქართველოს ეგზარქოსი და მასთან მიტროპოლიტი, შემდეგ 1814წ. საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის დაარსებასთან დაკავშირებით საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი. მაგრამ ახალი საეკლესიო კანონების გატარების დროს ვარლამმა ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოს მაღალი სამღვდელო წრეების წინააღმდეგობათა დაძლევა. სინოდმა იგი შეცვალა და იქ თეოფილაქტე (რუსანოვი) დაინიშნა. 1817წ. ვარლამი პეტერბურგს, სინოდში გაიწვიეს, სადაც 1825წ–მდე დარჩა. 1825-1830წწ. განაგებდა მოსკოვის დანიელის მონასტერს. ვარლამი ცნობილი იყო მჭევრმეტყველებით. მისი ქადაგებანი ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ ენაზე. რუსულად გამოაქვეყნა ქართული ენის მოკლე გრამატიკა, 1805წ. მოსკოვში გამართა ქართული სტამბა და დაბეჭდა "სადღესასწაულო", 1825წ. - "განმარტება სახარებისა". წერდა ლექსებსაც, რომლებიც დაცულია ხელნაწერების სახით.

83 **მარკოზ ტყემალაძე, პროტოპრესვიტერი** - დაიბადა 1859წ., დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, ტფილისის სემინარია და კიევის აკადემია. 1889წ. აკურთხეს დიაკვნად და მღვდლად. 1916წ. დაჯილდოვდა მიტრით, ხოლო 1932წ. პრესვიტერის რანგში იქნა აყვანილი. ავადმყოფობის გამო 1935წ. თავი გაანება სამსახურს, გარდაიცვალა 1937წ., დაკრძალეს სიონის გალავანში.



ლ.ბილფელდი

84 **ლეოპოლდ ბილფელდი** (XIX–XXსს.) - ეროვნებით გერმანელი თბილისელი არქიტექტორი. მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. 1883წ. მუშაობდა საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორად. ამასთანავე იგი რამდენიმე წლის მანძილზე მიხეილის საავადმყოფოს არქიტექტორიც იყო. ბილფელდის შემკვეთნი ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ, უმეტესად გერმანელი კოლონისტები.

85 **ედუარდ ანდრეოლეტი** (XIX–XXსს.) - ეროვნებით იტალიელი არქიტექტორი. მას თბილისში ჰქონდა მარმარილოს მხატვრული დამუშავების სახელოსნო. ანდრეოლეტის მიერ არის გაფორმებული თბილისის ბევრი შენობის ფასადი.

86 **ნეოფიტე დიმიტრის ძე აგლაძე** (1874-1956) - ქვის მხატვრულად დამუშავების ქართველი ოსტატი. 1887წ. სწავლობდა თბილისში იტალიელი ოსტატის ანდრეოლეტის სახელოსნოში. 1912წ. გახსნა საკუთარი სახელოსნო, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა ვლადიმერ, ნიკო და ლავრენტი აგლაძეებთან ერთად. მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის და სხვა არქიტექტურულ ნაგებობათა მხატვრულ გაფორმებაში, შეაკეთა სვეტიცხოვლის კარნიზები და ქვის სახურავი. ქვაში გამოკვეთა ქართველ მოქანდაკეთა მრავალი სკულპტურული ნამუშევარი. ხელი შეუწყო ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმის გაცოცხლებას თანამედროვე ეროვნულ არქიტექტურაში.

87 **ვლადიმერ დიმიტრის ძე აგლაძე** (1879–1959) - ქვის მხატვრულად დამუშავების ქართველი ოსტატი. სწავლობდა თბილისში იტალიელ ოსტატ ანდრეოლეტის სახელოსნოში. 1906წ. დააარსა ქვაზე მომუშავეთა პროფესიული ორგანიზაცია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა მშენებელთა კავშირის თავმჯდომარედ, სააქციო სამშენებლო საზოგადოების თავმჯდომარედ და სხვ. მონაწილეობდა თბილისში საქართველოს მთავრობის სახლის, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, ქალაქის ვაგზლის, "საქნახშირის" ადმინისტრაციული სახლის, მეტეხის ახალი ხიდის და სხვათა მხატვრულ გაფორმებაში.

ნიკოლოზ (ნიკო) დიმიტრის ძე აგლაძე (1884–1955) - ქვის მხატვრულად დამუშავების ქართველი ოსტატი. სწავლობდა თბილისში იტალიელი ოსტატის ანდრეოლეტის სახელოსნოში. მუშაობდა უფროს ძმებთან ერთად. შეისწავლა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ნიმუშები, დაეუფლა ქვის მხატვრულად დამუშავების ძნელ პროფესიას. მონაწილეობდა კულტურის ძეგლებისა და თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობათა შეკეთება-აღდგენასა და მშენებლობაში. მხატვრულად გააფორმა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (ახლანდელი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა), საქართველოს მთავრობის სახლი, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, ძველი კინოსტუდიის, რკინიგზის სამმართველოს შენობები, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი (სახურავი და კარნიზები), ვარციხის შამპანური ქარხნის შენობა და სხვ. ნეოფიტესთან ერთად მუშაობდა ირანში (1917).

ლავრენტი ალექსის ძე აგლაძე (1884–1958) - ქვის მხატვრულად დამუშავების ქართველი ოსტატი. სწავლობდა ბაქოში იტალიელ ოსტატ ფრანზის სახელოსნოში, 1913წ. იქვე მუშაობდა. მონაწილეობდა საზოგადოებრივ და კერძო ნაგებობათა ფასადების მხატვრულად გაფორმებაში. 1913წ. მუშაობდა თბილისში ნეოფიტე აგლაძის სახელოსნოში. მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (ამჟამად საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა), სასტუმრო "მაჟესტიკის" (ამჟამად "თბილისი"), ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, თბილისის ფუნიკულიორის ზედა სადგურის, კინოთეატრ "რუსთაველის", ბ.პაიჭაძის ეროვნული სტადიონის (ორივე თბილისში) მხატვრულ გაფორმებაში.

88 **ზაქარია ფალიაშვილი** (1871-1933) - ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი. მამამისი ეკლესიის გუნდის მომღერალი იყო. მუსიკოსები იყვნენ, აგრეთვე, ფალიაშვილის ოთხი ძმა და ერთი და. თავდაპირველი მუსიკალური განათლება უფროსი ძმის ხელმძღვანელობით მიიღო ქუთაისში. სწავლობდა ფორტეპიანოსა და ორგანზე დაკვრას წმ.მარიამის მიძინების კათოლიკურ ეკლესიაში, მღეროდა იგივე ეკლესიის გუნდში, 1887წ. კი თბილისში ლ.აღნიაშვილის გუნდში. 1891წ. თბილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა ვალტორნაზე დაკვრას. 1896წ-იდან დაიწყო ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერა და დამუშავება. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის კონსერვატორიაში. იგი იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი. შექმნა ოპერები - "დაისი", "აბესალომ და ეთერი", "ლატავრა", "საზეიმო კანტატა" და სხვა.



ზ.ფალიაშვილი

89 **ლადო გუდიაშვილი** (1896-1980) - ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართველოს სახალხო მხატვარი (1950), შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1966), პროფესორი. დაიბადა თბილისში 1896 წლის 18 მარტს რკინიგზის მუშის ოჯახში. სწავლობდა თბილისში, კავკასიის ნატიფი ხელოვნების საზოგადოების ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. 1916 წელს სხვა მოღვაწეებთან ერთად დააარსა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება; 1917 წელს მონაწილეობდა ე.თაყაიშვილის მიერ მოწყობილ სამხრეთ საქართველოს ექსპედიციაში - გაეცნო ქართულ ძეგლებს, იღებდა ფრესკების პირებს. 1919-1926 წლებში პარიზში მეცადინეობდა რონსონის ე.წ. "თავისუფალ აკადემიაში". მონაწილეობდა გამოფენებში პარიზში, ბელგიაში, ამერიკასა და სხვაგან. 1926-1932 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიაში გუდიაშვილი ასწავლიდა მონუმენტურ-დეკორატიულ მხატვრობას, აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი, გრაფიკოსი (წიგნების გაფორმება, ილუსტრაციები), თეატრისა და კინოს მხატვარი, მონუმენტალისტი. 1946 წელს მან ქაშვეთის ეკლესიის კედლები მოხატა, რისთვისაც ის კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და თბილისის სამხატვრო აკადემიდან, სადაც 1926 წლიდან ასწავლიდა, დაითხოვეს. გუდიაშვილი ასევე მუშაობდა, როგორც წიგნების ილუსტრატორი, კინოსა და თეატრის დეკორატორი.



ლ.გუდიაშვილი

90 ალექსანდრე როგოისკი (გ.1912წ.) – თბილისში მოღვაწე პოლონელი არქიტექტორი, კავკასიის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების განათლების მუდმივი კომისიის წევრი, თბილისის სახაზინო თეატრის ტექნიკური და სამხატვრო ნაწილის გამგე. ადგენდა მცირე საცხოვრებელი სახლების, დიდი შემოსავლიანი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა პროექტებს. თანაბრად მიმართავდა როგორც რენესანსა და ბაროკოს, ისე „რუსულ" სტილსა და მოდერნსაც. მისი უმთავრესი ნამუშევრებია ყოფილი სასულიერო სემინარია ვაკეში, თიბისი ბანკის შენობა, ყოფილი საბებიო ინსტიტუტი კოსტავას ქუჩაზე. იგი თბილისის ეჩმიაძინელების სურბ გევორქის ეკლესიის სარესტავრაციო კომისიის წევრიც იყო.



გრ.ორბელიანი

91 გრიგოლ ორბელიანი (1804-1883) - ქართველი რომანტიკოსი პოეტი და სამხედრო მოღვაწე. გრიგოლის მამას, დიმიტრის საქართველოს უკანასკნელ მეფეებთან უმსახურია, დედა, ხორეშანი, ერეკლეს II-ის ქალის, ელენეს ასული იყო. სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ ახლად გახსნილ საარტირელიო სკოლაში. მომავალი ოფიცერი შედის იუნკერად 21-ე საარტილერიო ბრიგადაში. იგი მონაწილეობას იღებს გრაფ პასკევიჩის ექსპედიციაში და ჭარ-ბელაქნის ლეკებს აშოშმინებს, მონაწილეობს ზაქათალის აღებაში. გრ.ორბელიანს აპატიმრებენ, პოეტს ბრალდებოდა კავშირი თავად-აზნაურთა იმ შეთქმულებასთან, რომელიც 1829წ. მზადდებოდა საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. გრ.ორბელიანს აშკარა დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს საქმის საბოლოო გამოძიების დამთავრებისთანავე. ავლაბრის ყაზარმებში სამი თვის პატიმრობის შემდეგ იგი, როგორც მეშვიდე კატეგორიის „მცირე" დამნაშავე, „კავკასიის ხაზზე" მოქმედ ჯარში იქნა გაგზავნილი. 1857წ. გრ.ორბელიანმა იერიშით აიღო უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი სალათაურში. მრავალი ორდენით დაჯილდოებული თბილისში გადმოჰყავთ გრ.ორბელიანი ქართული რომანტიზმის წარმომადგენელია.



დავით ბატონიშვილი

92 დავით ბატონიშვილი (1767-1819) - ბაგრატიონი, გიორგი XII-ის უფროსი ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801წწ., მწერალი, მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი. აღიზარდა თავისი პაპის ერეკლე II-ის კარზე. სწავლობდა და მსახურობდა რუსეთში. 1803წ. ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად პეტერბურგში გადაასახლეს. დავით ბატონიშვილი ქართველ ვოლტერიანელთა პირველი წარმომადგენელი იყო. ქართულად თარგმნა ვოლტერიანული თხზულება. იგი ეწეოდა ლექსიკოგრაფიულ მუშაობას. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას" დაუმატა ცალკეული სიტყვები, შეავსო განმარტებანი, მიუწერა სომხური, თურქული და რუსული შესატყვისები. დიდ ყურადღებას უთმობდა საილუსტრაციო მასალის შევსება-დამატებას. პეტერბურგში შეუდგა სტატიების შედგენას ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, 1814წ. ქართულ ენაზე გამოცემული მისი ისტორიული ნაშრომი დაწერილია ქართლის ცხოვრების სქემის მიხედვით და წარმოადგენს ვახუშტის ისტორიის გაგრძელებას. რუსულ ენაზე დაწერილი მისი ნაშრომები მოიცავენ საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIXს. დასაწყისამდე. 1800წ. მან მოახდინა ქართული სამართლის კოდიფიკაცია, შეადგინა კრებული, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „სამართალი ბატონისშვილის დავითისა". მასვე ეკუთვნის რუსულ ენაზე დაწერილი „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა". დავით ბატონიშვილმა შეისწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. 1818წ. მან დაასრულა „შემოკლებული ფისიკა" და საქართველოში გამოგზავნა გასამრავლებლად. იგი, ძირითადად, იზიარებდა სითბოს კინეტიკური თეორიის იდეებს, განიცდიდა მ.ლომონოსოვისა და ევროპის მოწინავე ფიზიკოსების გავლენას.


93 ჰენრიკ ჰრინევსკი - დაიბადა 1869წ. ქალაქ ქუთაისში. იგი საქართველოში მცხოვრები პოლონელი ემიგრანტების შთამომავალი იყო. საფრანგეთში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და სამხატვრო აკადემია, ფლორენციაში მიიღო უმაღლესი განათლება, ხოლო გერმანიაში დაეუფლა არქიტექტორის სპეციალობას. 1898წ. საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო დეკორატიული ხელოვნების სფეროში. დიდია მისი დამსახურება ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების აზომვასა და ნატურიდან ჩანახატების შესრულებაში. 1912წ. მან მოხატა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობის ინტერიერი (დღევანდელი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კ.). ჰ.ჰრინევსკი არჩეული იქნა პროფესორად და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. ჰ.ჰრინევსკი, ისევე როგორც არაერთი საზოგადო მოღვაწე, 1937წ. დააპატიმრეს და დახვრიტეს. ჰ.ჰრინევსკი საფუძვლიანად იცნობდა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, კერძოდ, ქვაზე ნაკვეთ უმდიდრეს ჩუქურთმებს. მოგზაურობდა საქართველოში, იხატავდა ძეგლებს. თავისი ცოდნა მან პრაქტიკულად გამოიყენა, როდესაც არქიტექტორ ა.კალგინთან ერთად შექმნა თბილისის სათავადაზნაურო – საადგილმამულო ბანკის შენობის პროექტი. ჰ.ჰრინევსკის ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ერთტომეულის მთლიანი გაფორმება – ტიტული, უამრავი თავსართი და ბოლოსართი, საზედაო ასოები. მისი მეუღლე მარია პერინი იყო იტალიელი, ცეკვის პედაგოგი, მან დიდი როლი შეასრულა ქართული საბალეტო სკოლის შექმნაში. 30-იან წწ. მისი მოღვაწეობაც შეწყდა. ის საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს.



ჰ.ჰრინევსკი

94 ნიკო ჩუბინაშვილი (1788-1845) - ლექსიკოგრაფი,არქეოლოგი, მთარგმნელი. აღწერა პალესტინაში ჯვრის მონასტრის სიძველეები, მონასტრის ფრესკიდან გადმოიღო შოთა რუსთაველის პორტრეტი. შეადგინა "ქართული ლექსიკონი რუსული თარგამანითურთ", "ქართულ-რუსულ სასაუბროები" და სხვ.

95 თამარ მეფე – მეფე გიორგი III-ისა და ბურდუხანის ქალიშვილი. მეფე გიორგიმ თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა მისი გარდაცვალების შემდეგ უთანხმოებების წარმოქმნისგან თავის ასარიდებლად. 1184წ. მამის გარდაცვალების შემდეგ ერთმმართველი გახდა. 1185წ. გავლენიან ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა შერთო ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი იური. თამარი მალევე განქორწინდა. მან თანდათან განიმტკიცა პოზიციები და მაღალ თანამდებობაზე თავისი მომხრეები დააწინაურა. დაახლოებით 1187წ. (ან 1189) იქორწინა დავით სოსლანზე, რომლისგანაც შეეძინა ორი შვილი - ლაშა და რუსუდანი. XIIს. 90-იანი წლებიდან საქართველომ ფართო ფრონტით შეუტია მტრებს. 1195წ. შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, 1203წ. დაამარცხეს რუმის სულთნის ლაშქარი, 1201-1203წწ. აიღეს სომხური ქალაქები, რის შედეგადაც ჩრდილოეთ და ცენტრალური სომხეთი საქართველოს შემოუერთდა. 1204წ. აიღეს ყარსი, იმავე წელს შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია, რომელიც შემდეგ საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 1208-1209წწ. ქართველებმა ილაშქრეს ხლათზე, არჭემზე, არდებილზე, 1210წ. დალაშქრეს ჩრდილოეთ ირანი. XIIს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIIIს. დასაწყისში ფეოდალურმა საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ლეგენდის თანახმად, თამარი უდიდესი განძითურთ საიდუმლო ადგილას უნდა იყოს დაკრძალული. ხოლო ქართველ მკვლევართა მოსაზრებით, თამარი გელათის ერთ-ერთ ნიშაში უნდა იყოს დამარხული. დღემდე მისი საფლავის მოკვლევა ვერ მოხერხდა.



მეფე თამარი



მეფე რუსუდანი

96 რუსუდანი (დაახ. 1194-1245) – საქართველოს დედოფალი 1223-1245წწ., თამარ მეფის ასული. 1223წ. იქორწინა სულთნის თოღრულ შაჰის ძე მოღის ედდინიზე, რომელიც პირობის თანახმად წინასწარ გაქრისტიანდა. 1125წ. გარნისის ბრძოლაში ჯალალედინმა დაამარცხა საქართველოს ლაშქარი და თბილისს მიადგა. რუსუდანი და სამეფო კარი ქუთაისში გადავიდა. ჯალალედინმა თბილისი აიღო. რუსუდანმა თავისი ხუთი წლის ვაჟი დავითი თანამოსაყდრედ აკურთხებინა ქუთაისში. 1233წ. რუსუდანი და სამეფო კარი თბილისში გადავიდნენ. 1235წ. მონღოლებმა აიღეს საქართველოს ყმადნაფიცი განჯა და თბილისისკენ წამოვიდნენ. რუსუდანმა და მთავარსარდლობამ ვერ გაუწიეს მონღოლებს ორგანიზებული წინააღმდეგობა. 1239წ. რუსუდანმა რომის პაპს სთხოვა დახმარება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და დაიწყო საზავო მოლაპარაკება მონღოლებთან. ამავე დროს მან ბათო-ყაენთან გაგზავნა მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი არსენი, რომლის დაბრუნების შემდეგ მონღოლებს დაუზავდა. 1242–1243წწ. რუსუდანი და მისი ძე დავითი თბილისში გადავიდნენ, საიდანაც დავითი ყაენთან გაგზავნეს. დასნეულებული რუსუდანი მის მოლოდინში გარდაიცვალა.

97 მეფე დემეტრე II - წმ.მეფე დემეტრე თავდადებული (+1289წ.), მეფე თამარის შვილთაშვილი იყო. ჩვილი იყო, როდესაც მონღოლებმა დედა - უსათნოესი გვანცა დედოფალი მოუკლეს. ათი წლისას მოუკვდა მამა - დავით ულუ. 11-12 წლის ყრმა დემეტრე ქართველმა დიდებულებმა აბაღა ყაენს მიჰგვარეს ურდოში და სთხოვეს საქართველოს მეფეთ-მეფედ დაემტკიცებინა. ყაენმა მეფობის დასტური უბოძა დემეტრეს. 15 წლის მეფეს პოლიტიკური მოსაზრებით ცოლად შერთეს ტრაპიზონის კეისრის ასული. მან ააშენა და განაახლა ეკლესია-მონასტრები, გაამაგრა რამდენიმე ციხე-სიმაგრე. მიიღო მონაწილეობა ყაენის ბრძოლებში, საიდანაც განახევრებული ჯარით ბრუნდებოდა. ქვეყნის ინტერესებმა კვლავ მსხვერპლი მოითხოვა მეფისაგან, ამჟამად მონღოლთა ნოინის ასული სოლღარი შეირთო ცოლად. სხვის ომებში სისხლისგან დაცლილი საქართველო ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, დაიწყო შინაბრძოლები. მან მოიტაცა ბექა ჯაყელის ასული ნათელა. მისგან დემეტრე მეფეს შეეძინა გიორგი V, ერისგან ბრწყინვალედ წოდებული. მეფე გარეგნულად თითქოს მონღოლებს მორჩილებდა, მონაწილეობას იღებდა მათ ლაშქრობებში გარეშე მტერთან, საქართველში კი კვლავ ეკლესიებს აშენებდა, ღამ-ღამობით გამოდიოდა, საკუთარი ხელით ურიგებდა გლახაკთა მოწყალებას. აბაღა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. ერთ-ერთი შეთქმულების მეთაურობა დაბრალდა ბუღას, რომელიც მძახლად ეკუთვნოდა დემეტრეს. ყაენმა შეიპყრო და თავი მოჰკვეთა მას. ყაენის კარზე დაიბარეს მეფე დემეტრე. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლებმა დემეტრეს ბრალი ვერ უპოვეს, ყაენმა იგი მაინც სიკვდილით დასაჯა. კათოლიკოსმა და მოსე მღვდელმა ფარულად გამოიხსნეს ცხედარი და თბილისელი მეთევზეების დახმარებით საქართველოში ჩამოასვენეს. წმ.მეფე დემეტრე დაასაფლავეს მცხეთას, სვეტიცხოველში.



ვახტანგ V

98 ვახტანგ V, შაჰნავაზი – ქართლის მეფე 1658-1675წწ., ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი. როსტომ მეფემ იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. 1654წ. ირანში მაჰმადიანობა მიაღებინეს და შაჰნავაზი უწოდეს. ვახტანგ V-ის პოლიტიკის მიზანი იყო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. საგარეო პოლიტიკაში ვახტანგ V ირანის ვასალად აღიარებდა თავს და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვას ცდილობდა. საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ ხელი შეუწყო ქართლის მოშენებას და ეკონომიკურ წინსვლას. ვახტანგ V-მ კახეთი თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. ისარგებლა რა იმერეთის სამეფოში მომხდარი არეულობით, მისი დიდი ნაწილი დაიკავა და თავისი უფროსი ვაჟი არჩილი იმერეთის ტახტზე აიყვანა (1661). დადიანად ვახტანგ V-მ თავისი

მომხრე დასვა და საკუთარი ძმისწული თამარი შერთო, გურიელთან მეგობრული კავშირი დაამყარა, აფხაზეთის მთავარმაც მორჩილება განუცხადა და, ამრიგად, თითქმის მთელი საქართველო ვახტანგ V-ის ხელქვეით გაერთიანდა. მაგრამ მალე ოსმალების მოთხოვნით ვახტანგ V იძულებული გახდა იმერეთიდან გაეყვანა არჩილი. ვახტანგ V შეეცადა არჩილი კახეთის მეფედ დაესვა, მაგრამ მის მეტოქედ კახეთის სამეფო ტახტზე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე (შემდეგში ერეკლე I) გამოვიდა, რომელმაც ირანის ხელშეწყობით კახეთი დაიკავა. ვახტანგ V-ის მეორე ვაჟი ლუარსაბი ახალციხეს გაიქცა, რათა იქიდან ოსმალეთის დახმარებით იმერეთის ტახტი დაეკავებინა. ამის გამო 1675წ. ირანის შაჰმა ვახტანგ V თავისთან დაიბარა. ირანს მიმავალი მეფე გზაზე ავად გახდა და გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ.ყუმში.

99 ერეკლე I, ნაზარალი-ხანი – ქართლის მეფე 1688-1703წწ., თეიმურაზ I-ის ძის დავითის შვილი. ერეკლე I სიყმაწვილიდან რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა და იგი ნიკოლოზის სახელითაა ცნობილი. 1662წ. საქართველოში ჩამოვიდა და კახეთში გამეფებას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. ქართლის მეფე ვახტანგ V-მ კახეთის მეფედ 1664წ. თავისი ძე არჩილი დასვა. ერეკლე I რუსეთში დაბრუნდა. 1674წ. ისევ ჩავიდა კახეთში და შაჰის მოთხოვნით ირანში გაემგზავრა. კახეთის სამეფო ტახტზე გამეფების პირობად შაჰმა მას გაპმადიანება მოსთხოვა. ერეკლე I ერთხანს უარზე იყო, მაგრამ ბოლოს მაპმადიანობა მიიღო და ნაზარალი-ხანის სახელით შაჰმა ქართლის მეფედ დაამტკიცა. 1688წ. ერეკლე I ქართლში მოვიდა. გადაყენებული მეფე გიორგი XI იძულებული გახდა იმერეთს გადახვეწილიყო. 1691წ. გიორგი XI ქართლში გადავიდა და დაიწყო ბრძოლა ტახტის დასაბრუნებლად. ქართლის თავადების ერთი ნაწილი ერეკლე I-ს უჭერდა მხარს, მეორე - გიორგი XI-ს. ბოლოს გიორგი XI იძულებული გახდა ირანს წასულიყო, სადაც შაჰის ნდობა მოიპოვა და 1703წ. შაჰმა მას ქართლის სამეფო დაუბრუნა, ხოლო ერეკლე I კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამასთან, შაჰმა იგი ირანს მიიწვია, ხოლო კახეთში მეფის მოადგილედ მისი ვაჟი დავითი გამოგზავნა. ერეკლე I ირანში დარჩა და იქვე გარდაიცვალა. ერეკლე I-მა სცადა ზოგიერთი ცვლილება შეეტანა სახელმწიფოებრივ წყობილებაში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქალაქო ცხოვრების მოწესრიგებას. მან მტკიცედ განსაზღვრა ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, შეიმუშავა თბილისის ხელოსანთა ამქრის წესდება და სხვ.



ერეკლე I

100 ცურტავი, ვრაც-დაშტი (სომხ. ქართველთა ველი) - გეოგრაფიული ტერმინი, რომლითაც ძველი სომეხი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ ქვემო ქართლის ერთ მხარეს, კერძოდ, მდინარე დებედის, ხრამისა და მისი შენაკადების ქვემოთს. სომეხი ისტორიკოსის უხტანესის (X ს.) მიხედვით, ვრაც-დაშტში იყო ქვემო ქართლის პიტიახშის - ვარსქენის (V ს.) რეზიდენცია - ცურტავი.

101 მაჯდ-ოს-სალტანე – ირანელი გენერალი, „ქალაქ თბილისის აღწერის" ავტორი, ყაჯართა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. მის შესახებ მწირი ცნობებია ჩვენამდე მოღწეული. ცნობილია, რომ იგი ურმიიდან მთელი ოჯახით თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ამის მიზეზად ის თავის ქვეყანაში სწავლა-განათლებისათვის არასაკმარის პირობებს ასახელებდა. კ.კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია სპარსული ხელნაწერი წიგნების მნიშვნელოვანი კოლექცია, რომლის საფუძველს შეადგენს მაჯდ-ოს-სალტანეს მიერ შეკრებილი ხელნაწერები. ეს კოლექცია ფრიად საყურადღებო ერთეულებს შეიცავს. კოლექციაში მოიპოვება თვით მისი მფლობელის და შემკრების ნაწარმოებები, რომლებიც ახასიათებენ მათ ავტორს, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ირანელს.

102 სალომე რევაზის ასული ამილახვარი – XVIIIს. შუა წლების აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მოღვაწის ქალიშვილი, იულონ ბატონიშვილის მეუღლე.



იულონ ბატონიშვილი

103 იულონ ბატონიშვილი (1760-1827) - ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილი, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი. გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, რუსეთიდან მოითხოვდა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას მალე სოლომონ II-თან გაიქცა იმერეთში და ახალციხის ფაშის მეოხებით მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან ცარიზმის წინააღმდეგ დახმარების თაობაზე. 1805წ. რუსეთში გადაასახლეს. ცხოვრობდა პეტერბურგში. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში სხვა ქართველ ბატონიშვილთა გვერდით.



ბოდბის დედათა მონასტერი

104 ბოდბის საეპისკოპოსო, ბოდბის ეპარქია - საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო აღმოსავლეთ საქართველოში. დაარსებული უნდა იყოს Vს. (506წ. ბოდბელი მღვდელმთავარი ლაზარე აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან ერთად დვინის საეკლესიო კრებას ესწრებოდა). მოიცავდა ქიზიყს სოფელ კონდოლის ხაზამდე. XVს. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის სამეფოს ისტორიაში. XVს. დასასრულს და XVIს. დასაწყისში კახეთის მეფეებმა ბოდბელ ეპისკოპოსს ერთ-ერთი სადროშოს მეთაურობა ჩააბარეს. ბოდბის საეპისკოპოსო დიდძალ ყმა-მამულს ფლობდა. 1751-1764წწ. მის განკარგულებაში იყო დავით გარეჯის მონასტერი, რომლის არქიმანდრიტ-წინამძღვრად ბოდბელი ითვლებოდა. XIXს. დასაწყისში საეპისკოპოსოში 100-ზე მეტი სამრევლო ეკლესია ირიცხებოდა. 1811წ. საქართველოში რუსეთის მმართველობის მიერ ჩატარებული საეკლესიო რეორგანიზაციის შედეგად ბოდბის საეპისკოპოსო გაუქმდა და ახლად ჩამოყალიბებულ კახეთ-ალავერდის ეპარქიაში შევიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე განახლებულად ჩაითვალა ბოდბის საეპისკოპოსოც. მისი მართვა დროებით შეთავსებული ჰქონდა ალავერდელ მღვდელმთავარს. 1925წ. საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით ალავერდის ეპარქიას ბოდბის ეპარქია გამოეყო.

105 იოანე საბანისძე – VIIIს. მწერალი, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების "აბო თბილელის წამების" ავტორი. ეს არის ჩვენთვის ცნობილი პირველი ნაწარმოები, რომელიც შესაძლოა თბილისში იყოს დაწერილი. თბილისი იხსენიება თხზულების სრულ სათაურში–"წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოსი, რომელი იწამა ქართლისა შინა, ქალაქსა ტფილისს, ხელითა სარკინოზთაითა, გამოთქმული იოვანე, ძისა საბანისი, ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაითა." ძეგლი გვიქმნის წარმოდგენას ძველი თბილისის ცხოვრებაზე. იოანე საბანის ძე გვაწვდის რამდენიმე ტოპოგრაფიული ხასიათის მონაცემს თბილისის შესახებ.



ს.კაკაბაძე

106 სარგის კაკაბაძე (1866–1967) - ქართველი ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი. სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი. კითხულობდა ლექციებს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, საქართველოს საისტორიო არქივის გამგე, იმავე არქივის ძველი აქტების განყოფილების გამგე. ხელმძღვანელობდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს. გამოქვეყნებული აქვს შრომები

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, დამხმარე ისტორიის დისციპლინების, ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიის საკითხებზე. შეისწავლა და გამოაქვეყნა მრავალი ისტორიული დოკუმენტი. მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსანი ვრცელი გამოკვლევებით, ჩახრუხაძის „თამარიანი", შავთელის „აბდულმესიანი" და „ამირანდარეჯანიანი". მუშაობდა ეთნოგენეზის, ისტორიული გეოგრაფიისა და დემოგრაფიის, ადმინისტრაციული დაყოფისა და მმართველობის საკითხებზე. იყო „საისტორიო მოამბის", „საისტორიო კრებულის" რედაქტორი.

107 ლეონ მელიქსეთ-ბეგი (1890-1963) - სომეხი მეცნიერი, არმენოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებებში. მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში. გარდაცვალებამდე იყო თსუ-ის არმენოლოგიის კათედრის გამგე. მუშაობდა ლიტმცოდნეობის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, სამართლის, ბიბლიოგრაფიისა და სხვა საკითხებზე. ავტორია შრომების: „ქართველების ნათესაობა ესპანელებთან ძველი წყაროების მიხედვით", „მეგალითური კულტურა საქართველოში", „საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები", „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ", „სომეხი მწერლები და საქართველო" და სხვ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც (თარგმნიდა სომხურიდან ქართულზე და პირიქით). ავტორია რამდენიმე სახელმძღვანელოსი.

108 ბერძენხანა ერქვა ბერძნებით დასახლებულ თბილისის ქვემო უბნის ტერიტორიას, რომელიც დაახლოებით ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან თათრის (ახლანდელი ვახტანგ გორგასალის) მოედანი, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შეითანბაზარი (ვახტანგ გორგაალის და აბანოს ქუჩები), დასავლეთიდან სამღებროს ქუჩა. ამ ადგილას იდგა ბერძენთა არქიმანდრიტის სასახლე. მრავალჯერადი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შედეგად ძველი ბერძენხანიდან აღარაფერი შემორჩა.

109 ილია II - საქართველოს პატრიარქი, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი დაიბადა 1933წ. 4 იანვარს, ქ.ორჯონიკიძეში. ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი. 1956წ. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია, 1960წ სასულიერო აკადემია. 1959წ. ბერად აღიკვეცა თბილისში. იმავე წელს იეროდიაკონი, მღვდელ-მონაზონია ზაგორსკის მონასტერში, 1960წ. კი იღუმენი. 1963წ. შემოქმედის ეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. 1967წ. ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, 1969წ. - მიტროპოლიტი. 1963-1972წწ. მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი. 1960წ. ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია - „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია". 1977წ. 23 დეკემბერს ხელდასხმულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად. 1979-1981წწ. მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი. მონაწილეობდა მშვიდობის დაცვის რამდენიმე საერთაშორისო ფორუმში. მინიჭებული აქვს ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი. ილია II დაჯილდოებულია საქართველოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიების უმაღლესი ჯილდოებით. იგი არჩეულია ნიუ-იორკის წმ.ვლადიმერის სახელობის მართლმადიდებლუ-



ილია II

რი სასულიერო სემინარიის და პენსილვანიის წმ.ტიხონის სახელობის სასულიერო აკადემიის (აშშ) საპატიო დოქტორად, კრეტას მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად. მას ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომები ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ისტორიისა და თეოლოგიის დარგში.

110 **ვახუშტი ბატონიშვილი** (1696-1770) - ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის შვილი. თბილისში მცხოვრებმა კათოლიკე-მისიონერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ბატონიშვილის სწავლა-აღზრდის საქმეში. ქართულის გარდა, ვახუშტიმ იცოდა მრავალი უცხო ენა, მათ შორის: ლათინური, ფრანგული, ბერძნული, თურქული, რუსული, სომხური. 1724წ. ვახტან VI-ის რუსეთში გამგზავრებისას მას თან გაჰყვა ვახუშტიც. ემიგრაციაში მან რუსულიდან თარგმნა სამეცნიერო-სასწავლო წიგნები, აღადგინა მოსკოვში ქართული სტამბა, ქართულად გადმოთარგმნა „მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო", მონაწილეობდა ქართულ-რუსული ლექსიკონის შექმნაში. ვახუშტი, ასევე, მონაწილეობდა მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. რუსეთშივე მან გამოსცა საქართველოს გეოგრაფიული დახასიათება „აღწერა სამეფოსა საქართველოისა". ვახუშტი სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. იგი გარდაიცვალა მოსკოვში 1770წ. და დაკრძალეს იქვე დონის მონასტერში.



ვახუშტი ბატონიშვილი

111 **ლეონტი მროველი** - XI საუკუნის მოღვაწე. იგი რუისის ეპისკოპოსი გახლდათ. იყო ფრიად განსწავლული პიროვნება: ჩინებულად იცოდა საერო, საისტორიო და საეკლესიო მწერლობა, ფლობდა ბერძნულ და სპარსულ ენებს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის იგი ცნობილია, როგორც „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ავტორი. ნაწარმოებში შედის ვრცელი ისტორიული მოთხრობა „ცხოვრება მეფეთა", სადაც ნაჩვენებია ქართველთა თავგადასავალი მსოფლიო ისტორიასთან კავშირში უძველესი ხანიდან VI საუკუნემდე. ისტორიული ნაწარმოებების გარდა, ლეონტი მროველი ქმნიდა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს, რომელთაგან ცნობილია: „ნინოს ცხოვრება" და „წამება არჩილ მეფისა". ეს უკანასკნელი ეხება საქართველოში VIII საუკუნეში განვითარებულ მოვლენებს. ლეონტი მროველი მუშაობდა თარგმანებზეც. მან ბერძნულიდან თარგმნა წმინდა მამის - ეფრემ ასურის თხზულების „განძთა ქვაბის" ერთ-ერთი რედაქცია, რომელიც საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დასაკავშირებლად ესაჭიროებოდა და უხვადაც გამოიყენა „მეფეთა ცხოვრებაში".

112 **დაკრძალვის წესი** - ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი ზოროასტრიზმის მიმდევრებისათვის წმინდა სტიქიებია. მათთვის მთავარი იყო მიცვალებულის სხეული არ შეხებოდა მიწას, წყალს და მცენარეებს. იმის გამო, რომ გვამით მიწა არ შეებილწათ მიცვალებულებს არ ასაფლავებდნენ. თავდაპირველად ისინი მიცვალებულებს სადმე დაუსახლებელ ადგილას, ქვებზე ტოვებდნენ, სადაც გვამს ცხოველები და ფრინველები ასუფთავებდნენ ხორცისაგან. მზეზე გამომშრალ ძვლებს აგროვებდნენ და ხშირად სახლის იატაკის ქვეშ ინახავდნენ უკვე შემდგომ პერიოდში ძვლებს ათავსებდნენ სპეციალურ თიხის ჭურჭელში – ოსუარიებში და ასე ინახავდნენს. შუა საუკუნიდან ზოროასტრები თავის მიცვალებულებს უკვე სპეციალურად აშენებულ კოშკებში ათავსებდნენ, ამ კოშკებს – დაკმას ან „მდუმარების კოშკებს" ეძახდნენ. გარედან ამ შენობას ცილინდრული ფორმა ჰქონდა, შიგნით კი ტერასული ფორმის იყო, რომლის შუაში ჭა იყო ამოთხრილი. ამჟამად ამ რელიგიის მიმდევრებს სპეციალურ დაბეტონებულ აკლდამებში ასაფლავებენ.



დაკმა

113 ჟან შარდენი (1643–1713) - ფრანგი იუველირი, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე და მოგზაური. მისი ათტომიანი კრებული "სერ ჯონ შარდენის მოგზაურობა" სპარსეთსა და ახლო აღმოსავლეთში ადრეული დასავლური კვლევების საუცხოო ნიმუშად ითვლება. ახალგაზრდა შარდენი 1665წ. სპარსეთსა და ინდოეთში მიემგზავრება. მან საფავიდი მონარქის შაჰ აბას II-ის პატრონაჟი მიიღო, 1671წ. მოგზაურობს სმირნაში, კონსტანტინოპოლში, ყირიმში, კავკასიაში, სამეგრელოსა და ქართლ-კახეთში. 1711წ. იბეჭდება შარდენის ნაშრომი "ბატონი რაინდი შარდენის მოგზაურობები სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა მიწებზე". თხზულების გარკვეული ნაწილი საქართველოს ეხება, სადაც მან 1672-1673წწ. იმოგზაურა. მან მოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა, პირადი შთაბეჭდილებები შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან და წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან. აქვე ვხვდებით ძველი თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატს, რომელიც შარდენის თანამგზავრის მხატვარ გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული.


ჟ.შარდენი

114 ტურნეფორი, ჟოზეფ პიტონ (1656-1708) - ფრანგი ბოტანიკოსი, ბოტანიკის პროფესორი პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ექიმი. დაიბადა სამხრეთ საფრანგეთში და დაწყებითი განათლება მიიღო იეზუიტების სკოლაში. მშობლები მას საეკლესიო პირად ზრდიდნენ, მაგრამ მამის ადრეული გარდაცვალების შემდეგ მან თავი მედიცინას და ბოტანიკას მიუძღვნა. ლუდოვიკო XIV-ს დავალებით მან იმოგზაურა ევროპაში და შეაგროვა დიდი კოლექციები. 1700-1702წწ. მან იმოგზაურა საქართველოში. ის პირველი ევროპელი მეცნიერია, რომელმაც საქართველოს ბოტანიკის შესწავლა დაიწყო. საინტერესოა მის მიერ საქართველოს საერთო მდგომარეობის დახასიათება, თბილისის აღწერილობა, ნახატები.


ჟ.ტურნეფორი

115 რუსთავი – საქართველოს ერთ-ერთი ახალი და ამავე დროს უძველესი ქალაქია. იგი წერილობით წყაროებში სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენება: ბოსტანქალაქი, რუსთავი, ნაგები. ისტორიული წყაროს მიხედვით, რუსთავი ანტიკური პერიოდის ქალაქია, რომელმაც აყვავებას ადრეფეოდალურ ხანაში მიაღწია. იგი საეპისკოპოსო ცენტრი იყო. რუსთავი, როგორც ქალაქი, განადგურდა 1256წ. მონღოლების შემოსევის შედეგად. XXს. ორმოციან წლებამდე ოდესღაც აყვავებულ ქალაქისაგან მხოლოდ ქალაქის ციხის ნანგრევებმა მოაღწია. 1944წ. ისტორიული ნაქალაქარის ტერიტორიაზე დაიწყო მეტალურგიული გიგანტის მშენებლობა. თითქმის მაშინვე საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქალაქის მშენებლობასაც. 1948წ. 19 იანვარს რუსთავმა ქალაქის სტატუსი მიიღო.

116 თეოფილაქტე (1765-1821) - ერისკაცობაში თეოდორე რუსანოვი, კახეთისა და ქართლის მიტროპოლიტი. 1817წ. საქართველოს ეგზარქოსი. იგი იყო უდაოდ ნიჭიერი ადამიანი, მისი თანამედროვეების გადმოცემით: „ცოცხალი, მაღალი წრის წარმომადგენელი, განათლებული, ბრწყინვალე ორატორი". მან მოხიბლა მთელი პეტერბურგის საზოგადოება თავისი ქადაგებებით და ფრანგული ენის ცოდნით. თუმცა, ამავდროულად იყო პატივმოყვარე, იგი არ იყო კეთილგანწყობილი მონაზვნური ცხოვრებისადმი, თუმცა აღიკვეცა ბერად, რადგან იმ პერიოდში ბერებს ეკავად უმაღლესი ჩინები ეკლესიის იერარქიაში და სულიერ-სასწავლო სამყაროში. თეოფილაქტე ბერის სამოსშიც თავს თავისუფლად გრძნობდა. იგი გემოვნებით იცვამდა. მას ჰქონდა კარგი კავშირები მაღალ საზოგადოებაში, განსაკუთრებით პატივცემული იყო მანდილოსანთა წრეში. უყვარდა ფუფუნება და პომპეზურობა როგორც სახლში, ასევე ჩაცმულობაში, ტაძარში და ღვთისმ-


თეოფილაქე

სახურებაში. როდესაც თეოფილაქტემ მიიღო ეგზარქად დანიშვნის ბრძანება, მან მოიპოვა დაფინანსება ქართველ სასულიერო პირთათვის. თეოფილაქტემ ასევე გამოაცოცხლა მისიონერული საქმიანობა ოსეთის კომისიაში. ახლადმოქცეულთა რიცხვი 40 000 ადამიანს აღწევდა. თუმცა, მას ეს მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა, იგი ითხოვდა ისევ რუსეთში დაბრუნებას. 1821წ. ივლისში კახეთის ეკლესიების შემოვლისას იგი გაცივდა, დაავადდა ტიფით და გარდაიცვალა. თეოფილაქტე დასაფლავებულია ბოდბის მონასტერში.

117 **თ.კვირკველია** (1924-1994) - არქიტექტორი, არქიტექურის დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი და წიგნები: "თბილისის არქიტექტურა", "ძველი თბილისი" და მრავალი სხვა.


118 **კალა**–შუა საუკუნეების თბილისის ციხე-სიმაგრე და უბანი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის ბირთვი, მისი მთავარი უბანი მტკვრის მარჯვენა მხარეს. მოიცავდა ტერიტორიას: მდ. წავკისისწყლის მარცხენა მხარეს-ახლანდ. შ.დადიანის ქუჩის, თავისუფლების მოედნის, ა.პუშკინის, ნ.ბარათაშვილის ქუჩებისა და მტკვრის კალაპოტის გაყოლებით. ერთი მხრივ, "კალა" გეოგრაფიული სახელია, მეორე მოსაზრებით კი "კალა" მომდინარეობს არაბული სიტყვიდან "ყალა"(ციხესიმაგრე). კალას დღევანდელი განაშენიანება (საცხ. სახლები) მთლიანად XIX ს. ჩამოყალიბებული ძველ ნაგებობათა საფუძველზე.

119 **ტფილისი-სეიდაბადი** ანუ "საკუთრივ ტფილისი" - ქალაქის უძველესი მინერალური წყლების რაიონი; ძველი უბანი მდინარე წავკისის წყლის მარჯვენა მხარეს. მისი ადრინდელი სახელია "ტფილისი". ვახუშტის სიტყვებით: "ხოლო აწ უწოდებენ.... ტფილისს სეიდაბადს..." ისტორიულად "ტფილისს" სეიდაბადი შეერქვა XVIIს. 30–იან წლებში როსტომ მეფის მიერ სპარსეთიდან სეიდების ჩამოსახლების გამო. სეიდაბადს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა მდინარე წავკისისწყალი, სამხრეთ-დასავლეთით - თაბორის მთა, სამხრეთით - სოფელი კრწანისი, აღმოსავლეთით - მტკვარი. სეიდაბადს XVIII-XIXსს. მიჯნაზე შეერქვა მეორე სახელი -ხარფუხი. სეიდაბადი თბილისის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბანი იყო.

120 **ისანი** – ძველი თბილისის უბანი, მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ქალაქის აღმოსავლეთით. ამ ადგილზე, სანამ ისანი - შეერქმეოდა,VIIIს. იდგა სადილეგო (სატუსაღო). 853წ. ბუღა თურქმა ფიჭვის ხით ნაშენი "სოღდებილის მედინა (ციხე)" გადაწვა, რის შემდეგადაც მის ადგილას IXს. არაბებმა ააგეს მაგარი, ძნელად ასაღები ციხესიმაგრე "ისან-ჰისარი". შემდგომში, ციხესიმაგრის სახელი ციხის მიმდებარე ტერიტორიასაც დაერქვა და იგი ადგილის საკუთარ სახელად იქცა. 1185წ. ყუთლუ-არსლანმა ისნის ველზე დადგა სასახლე, XIIს. ისანში მეტეხთა ღვთისმშობლის სახელზე ააგეს ეკლესია, რის გამოც ამ ადგილს ახალი საკუთარი სახელი გაუჩნდა - "მეტეხი" და ისნის უბანი, ისევე როგორც "ისნის ციხე", გვიანდელი შუა საუკუნეების მეტეხის სახელით იხსენიება, ხოლო "ისნის ველმა" "ავლაბრის" სახელი დაიმკვიდრა.

121 **ავლაბარი** – თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი, მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს - რიყეს, ჩუღურეთს, ელიასა და ნავთლუღს შორის. ავლაბარს XI-XIIIსს. ისტორიულ წყაროებში „ისანი" ეწოდება. სიტყვა „ავლაბარი" XIVს. ჩანს დამკვიდრებული, თუმცა „ავლაბრის" პარალელურად „ისანი" შემდეგაც იხმარებოდა. ავლაბრის მთავარი უბნები იყო სოღდებილი და მეტეხი. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ავლაბრის ტერიტორია ძვ.წ. I ათასწლეულიდან ყოფილა დასახლებული. XVIIIს. ავლაბარს ორი გალავანი ჰქონდა: ერთი - ავ-

ლაბრის გალავანი, რომელიც მთელ ავლაბარს ერტყა გარს, და მეორე - თბილისის ანუ ქალაქის გალავანი - ისან-ავლაბრის მარჯვენა მხარეს მდებარე კალა-თბილისის ციხე-გალავნის გაგრძელება იყო და ფეოდალური ხანის ქალაქის რთულ თავდაცვით სისტემაში შედიოდა. კალა-თბილისსა და ავლაბარს შუა მტკვარზე უძველესი დროიდან გადებული იყო მეტეხის ანუ ავლაბრის ხიდი, ე.წ. ავლაბრის კარიდან იწყებოდა კახეთის გზა.



122 გარეთუბანი, გარეუბანი – ფეოდალური ხანის თბილისის უბანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კალას ჩრდილოეთითა და დასავლეთით, მისი გალავნის გარეთ. გარეუბნის უკიდურესი ზღვარი ჩრდილოეთით იყო ახლანდელი ვერის პარკის (ყოფ. კიროვის სახელობის პარკის) მიდამოები. XVI-XVII ს. გარეთუბნის ტერიტორია ქალაქის გალავნიდან ქაშვეთის ეკლესიამდე უკვე მჭიდროდ იყო დასახლებული. გარეთუბანი იყოფოდა რამდენიმე მიკროუბნად:

- მუხრანბატონიანთ უბანი - ავანაანთხევის ორივე მხარეს, მტკვრის პირიდან ახლანდელი ჩახრუხაძისა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხემდე და ვანქის უბნამდე;
- ვანქის უბანი - ვანქის მონასტრის მიდამოები (ახლანდელი გიორგი ათონელის ქუჩა);
- ორბელიანთ უბანი - ვანქის უბნიდან „გარეთუბნის მეიდნამდე" ანუ ყაბახამდე (ასპარეზი) ჩრდილოეთით და მტკვრამდე აღმოსავლეთით;
- შუა კარის უბანი - „დიღმის გზისა" და „შუა კარის გზის" მიდამოები - ახლანდელი პუშკინისა და გუდიაშვილის ქუჩებს, რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედანს შორის მოთავსებული ტერიტორია.

XVIIIს. 20-იან წწ. ოსმალებმა გააპარტახეს გარეუთბანი, აქაური მოსახლეობა კი ქალაქში გადასახლდა. XVIIIს 60-70-იან წწ. იწყება გარეუთბნის ხელახალი დასახლება. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ ქალაქის ტერიტორია სამ ნაწილად დაიყო, ერთი მათგანი იყო გარეთუბანი; ამ დროიდან გარეთუბანში აგებენ ევროპული ტიპის შენობებს. უბნის ცენტრი ქმნიდა მოედანს (ახლანდელი თავისუფლების მოედანი). 1859წ. ადრინდელი ყაბახის ადგილას გაშენდა პარკი (ახლანდელი 9 აპრილის სახელობის პარკი; ყოფ. კომუნარების სახელობის პარკი). ამ დროისათვის გარეთუბანი ახლანდელი კაკაბაძეების (ყოფ. გ.ლეონიძის) ქუჩამდე აღწევდა. XIXს. 60-იანი წლებიდან ქალაქის ოფიციალურ ტოპონიმიკაში გარეთუბანი აღარ იხსენიება.

123 სიდონი – ძველი ფინიკიური ქალაქი (თანამედროვე საიდა). სიდონი დაარსდა IV ათასწლეულში ჩვენს ერამდე. იგი მდებარეობს ლივანის დასავლეთ მხარეს.

124 ჟოზეფ ფრანსუა მიშო (1767–1839) - ფრანგი ისტორიკოსი, "ჯვაროსნული ომების ისტორიის" ავტორი, რომლის ტექსტიც ნოვატორული იყო. ამ ნაწარმოებიდან დაიწყო ჯვაროსნული ომების შესწავლა.

125 თაბორის მთა. თაბორის მთის სიმაღლე 588 მეტრია, მდებარეობს ნაზარეთის სამხრეთ–აღმოსავლეთში, ისრაელში, სადაც იესომ ფერი იცვალა. თაბორის მთაზე და მის ძირში უამრავი ქრისტიანული ეკლესიაა. მთის მწვერვალი წაგრძელებული, ოდნავ ჩაღრმავებულია. თაბორის მთა აღმართულია სრულიად განმარტოვებით და არ უერთდება არც ერთი მთების ჯაჭვს. მოციქულთასწორმა ელენემ თაბორის მთაზე უფლის ფერისცვალების ტაძარი ააშენა, რომლის საძირკველიც დღემდე შემორჩა. დღეისათვის თაბორის მთაზე აშენებულია ორი ახალი მონასტერი – ბერძნული და კათოლიკური.

126 **ბაგრატ IV** (დაახლ. 1020 – 1072) - საქართველოს მეფე 1027წ. ბაგრატ IV-ის უმთავრესი ამოცანა იყო სახელმწიფოს დაცვა ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკი დამპყრობლებისაგან, ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან აზნაურთა წინააღმდეგობის დაძლევა და საქართველოს ერთიანი სამეფოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთება. ბაგრატ IV-მ შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და დიდგვარიან ფეოდალთა წინააღმდეგობის დაძლევა. მის დროს მომზადდა ნიადაგი თბილისის საამიროსა და კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. ბაგრატ IV დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს, მისი მოწვევით 1060-1065წწ. საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ნაყოფიერი მოღვაწეობა გაშალა, არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატ IV-ს ეკუთვნის კანონები, რომლებიც ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელწოდებითაა ცნობილი. ბაგრატ IV გარდაიცვალა ქართლში. ანდერძის თანახმად დაასაფლავეს ჭყონდიდში.

127 **ყიზილბაშები** – „წითელთავიანები", თურქული მომთაბარე ტომების გაერთიანება მცირე აზიასა და აზერბაიჯანში (ტერმინი „ყიზილბაშები" XVს. II ნახევარში მიიღეს). ეს სახელი დაერქვა ვრცელი სპექტრის ექსტრემისტ შიიტ მეომართა დაჯგუფებებს, რომლებაც დიდი წვლილი მიუძღვით ირანში სეფავიდთა დინასტიის დაფუძნებაში. მათი წითელი თავსაბურავი შედგებოდა 12 ნაკეცისაგან, რაც სიმბოლურად 12 შიიტ იმამს აღნიშნავდა. ყიზილბაშები თავს ესხმოდნენ მეზობელ არამუსლიმან ქვეყნებს. XVIს. დასაწყისში ისმაილ I-ის მეთაურობით ყიზილბაშებმა გაანადგურეს აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო და 1502წ. ისმაილ I შაჰად გამოაცხადეს. ასე შეიქმნა სეფიანთა სახელმწიფო, სადაც XVIს. დასასრულამდე ყიზილბაშების ზედა ფენას ეჭირა გაბატონებული მდგომარეობა. სეფიანთა სახელმწიფო გაძლიერდა შაჰ-აბას I-ის სამხედრო რეფორმის შემდეგ, მომდევნო ხანაში კი ქვეყნის პოლიტიკური მნიშვნელობა საგრძნობლად დაეცა. XVII-XVIIIსს. ქართულ ისტორიულ წყაროებში ყიზილბაშები ერქვათ ირანის მეომრებს, ზოგჯერ კი თვით ქვეყანას.

128 **აბდულა ბეგი, არჩილი** - ქართლის მეფის იესეს (ალიყული-ხანის) ძე, სამეფო ტახტის პრეტენდენტი. 1737წ. აბდულა-ბეგი ირანელებმა ქართლის გამგებლად (ნაიბად) დანიშნეს, მაგრამ იმავე წელს უკან გაიწვიეს. 40-იანი წლების დამდეგს ნომინალურად ისევ ქართლის გამგებლად ითვლებოდა, ფაქტობრივად კი თბილისში მჯდომი ირანელი ხანის მრჩეველი იყო. 1744წ. ქართლში თეიმურაზ II-ისა და კახეთში ერეკლე II-ის გამეფების შემდეგ საუფლისწულოდ გადასცეს ქვემო ქართლი. 1747წ. თეიმურაზ II ირანს გაემგზავრა და ქართლის მმართველობა ერეკლე II-ს დაავალა, ხოლო აბდულა-ბეგი დამხმარედ დაუტოვა. აბდულა-ბეგმა გამეფება მოინდომა, გამაგრდა თავის რეზიდენციაში - სამშვილდის ციხეში, დამხმარედ მიიწვია დაღესტნელი მოთარეშენი, მიიმხრო თბილისის ციხეში მყოფი ყიზილბაშები და ერეკლე II-ს შეებრძოლა. ბრძოლა მთელ წელიწადს გაგრძელდა და 1748წ. ერეკლეს გამარჯვებით დამთავრდა.

129 **ქართლის ამირთამირა აბუსალანი** – XIIს. მიწურულს საქართველოს სამეფოს დიდი მოხელე, ერისთავთერისთავი, ამირთამირა, თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი. აბუსალანის რჩევით თამარის ქმრად მოიყვანეს ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი იური (გიორგი). იურის განდევნის შემდეგ აბუსალანი თამარმა შერისხა, ჩამოართვა მეჭურჭლეთუხუცესობა და რუსთავი. ამის შემდეგ ისტორიულ წყაროებში აღარ იხსენიება.

130 ალექსანდრე ჩიჭოვი (1869-1883) - საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორი. ვახტანგ ბერიძის აზრით, „მან უმსგავსოდ დაამახინჯა თბილისის ლურჯი მონასტერი, რომელიც მისი პროექტით აღადგინეს სამოცდაათიან წლებში. მის მიერ დამატებული გუმბათის ყელი და სხვა ნაწილები სრულიად უცხოა სხეულისათვის".

131 ვერე (ვერა) - ერთ-ერთი ძველი უბანია თბილისში, ქალაქის დასავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს. სახელი ეწოდა მდინარე ვერეს მიხედვით. ქალაქისპირა ისტორიული დასახლების ვერის ადრინდელი სახელია სკვირეთი (სკორეთი). ვერე წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIIIს. აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა ცხადყოფს, რომ ეს ადგილები უფრო ადრე იყო დასახლებული. ვერეზე გადიოდა თრიალეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო-საქარავნო გზა. XVIIIს. ამ გზას იცავდა საგანგებო რაზმი, ე.წ. "ვერის ხევის ყარაული". XVII-XVIIIს. ვერე მოიცავდა ტერიტორიას ახლანდელი ელბაქიძის დაღმართიდან და გაბაშვილის ქუჩიდან ბაგებამდე. XIXს. აქ ახალი უბნები გაჩნდა - ვარდისუბანი, ვაკე, საბურთალო, ახალშენი.

132 დიდუბე – თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი ძველად, ქალაქის ტერიტორიული ნაწილი XIXს. 70-იანი წლებიდან. მდებარეობს მდინარე მტკვრის ნაპირის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე. წარმოდგა სახელწოდებიდან "დიდი დუბე" ე.ი. დიდი ვაკე, დაცემული ადგილი. ამ მიდამოების უძველესი სახელწოდებაა "ცხენის ტერფი". XIIს. დიდუბე სამეფო დომენი იყო. აქ იდგა მეფის ერთ-ერთი სასახლე და კარის ეკლესია. 1818წ. დიდუბის ჩრდილოეთ ნაწილში დაასახლეს გერმანელი კოლონისტები. ამ დროიდან დიდუბის ამ ნაწილს ალექსანდერდორფი ეწოდა. 1872წ. თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის გამო დიდუბის ტერიტორია ორად გაიყო. რკინიგზის მუშები უნებართვოდ სახლდებოდნენ რკინიგზის გადაღმა მდებარე დიდუბის მიწებზე, ამიტომ ამ ტერიტორიას ნაძალადევი (რუსულად "ნახალოვკა") დაერქვა.



დავით სოსლანი

133 დავით სოსლანი († დაახლ. 1203 ან 1204წ.) - წყაროს ცნობით, დავით სოსლანი იყო თამარის მამიდის, რუსუდანის "გაზრდილი" და "თვისი". მემატიანე ახასიათებს როგორც ზნეობრივი და რაინდული თვისებებით შემკულ, სასიამოვნო გარეგნობის კაცს. დავით სოსლანი სარდლობდა ქართველთა ლაშქარს თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში. როგორც თანამეფე, სოსლანი სახელმწიფოს გამგებლობაშიც მონაწილეობდა. მის წარმომავლობაზე არ არსებობს ერთიანი აზრი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ დავითი იყო ოსეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მკვლევართა აზრით, ეს შტო მომდინარეობს გიორგი I-ისა და ალანთა ტომის ასულის ალდე დედოფლის ვაჟის დემეტრესაგან. ვახუშტის ცნობით, დემეტრეს დარჩა ძე, რომელიც თავის ბებია ალდესთან ერთად ოსეთში გაიქცა, იქ იქორწინა მეფის ასულზე და თვითონაც ოსთა მეფედ იწოდა. დავით სოსლანი მისი შთამომავალი იყო. დავით სოსლანს ბაგრატიონად მიიჩნევს "ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც". ზოგი მკვლევარის მოსაზრებით, დავით სოსლანი ცარაზონთა ოსურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები საისტორიო წყაროებში არა ჩანს და ეს თვალსაზრისი ზეპირ ვარაუდად რჩება.



დედოფალი ბერდუხანი

134 დედოფალი ბერდუხანი - (გურანდუხტი) საქართველოს დედოფალი, გიორგი III-ის მეუღლე, ოსეთის მეფის ხუდანის ქალიშვილი.



გიორგი III

135 **გიორგი III** (†1184წ.) - საქართველოს მეფე 1156 წ., დემეტრე I-ის ძე. მისი მეფობის პერიოდი თამართან ერთად საქართველოს ისტორიაში ოქროს ხანად მოიხსენიება. ეს იყო იმპერიის, დიპლომატიური წარმატების, სამხედრო ტრიუმფისა, განათლების, კულტურის, სულიერი და ხელოვნების აყვავების ერა საქართველოში. გიორგი III აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდა. 1178წ. გიორგი III-მ საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ქალი თამარი. მამა-შვილის ერთობლივი მეფობა გიორგი III-ის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. მეფე გიორგის უმცროსი ქალიშვილი, რუსუდანი მანუელ კომნენუსს გაჰყვა.

136 **ბესარიონ ზედგენიძე** – „დაიბადა 1845წ., სწავლობდა ახალციხის სამაზრო სკოლაში და ახალციხის მიძინების ტაძარში. 1853წ. გაუმწესებიათ ტფილისის სამების ეკლესიის წიგნისმკითხველად, 1856წ . გადაუყვანიათ კალოუბანში, სადაც ხელდაუსვამთ დიაკვნად. 1856წ. უკურთხებიათ ორბელიანთ ეკლესიის მღვდლად. პ.იმნაძესთან ერთად შესდგომია დიდუბის ეკლესიის განახლებას, გარდაიცვალა 1893წ". (კ. ცინცაძე)

137 **პეტრე იმნაძე** – „დაიბადა 1823წ., დაამთავრა ტფილისის სემინარია. ხელდასმულია დიაკვნად ტფილისის წმ.მარინეს ეკლესიაში 1850წ,. გადაყვანილია სიონში 1852 წ., შემდეგ წმ.ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც დარჩა სიკვდილამდე 1888წ. იგი სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში ქართული ენისა და ყველა საგნის მასწავლებელი იყო, ...კაცი მხნე და მომჭირნე". (კ.ცინცაძე)




ალ.ბანძელაძე

138 **ალექსანდრე ბანძელაძე** (1927–1992) - ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი. საქართველოს დამსახურებული მხატვარი. 1947 წელს ალ.ბანძელაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იგი ინტენსიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალების რადაქციებთან, აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში, მუშაობდა წიგნის გრაფიკაში. ერთნაირი გატაცებით მუშაობდა ფერწერასა და გრაფიკაში. ალ.ბანძელაძის შემოქმედებაში მოხატულობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან 1978 წელს მოხატა პატრიარქის რეზიდენცია, ხოლო 1979 წელს დიდუბის ეკლესია. დიდუბის ეკლესიის მოხატულობათა საერთო კომპოზიცია მონუმენტური ხასიათისაა. მხატვარი ცდილობს იმგვარად განალაგოს კომპოზიციები, რომ მოახერხოს მოხატულობის კომპოზიციური ერთიანობის შენარჩუნება. მთლიანობაში მიიღება მოხატულობით სრულიად დატვირთული ეკლესიის ზედაპირი. გუმბათქვეშა სიბრტყის თითოეული კომპოზიცია კომპაქტურობით ხასიათდება. ყოველ მათგანში კომპოზიციის ცენტრს ქმნის ქრისტეს ფიგურა, რომლისკენაც არის მომართული ყველა დანარჩენი გამოსახულება. დიდუბის ეკლესიის ოთხ კუთხეში არსბული ნიშების კედლები მთლიანად მოხატულია. საკურთხევლის მარჯვნივ მდებარე ნიშაში ღვთისმშობლის ციკლის ვრცელი სახით წარმოდგენა, რომელიც ღვთისმშობლის მიძინებით მთავრდება, გამართლებულია იმით, რომ ეკლესია ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. მარცხენა ნიშაში წმ.ნინოს ცხოვრების სცენების ჩვენება ეკლესიის საერთო იდეური ჩანაფიქრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. დასავლეთით, მარჯვენა ნიშაში – წმ.გიორგის, ხოლო მარცხენაში – წმ.ნიკოლოზის ცხოვრების ამსახველი სცენებია. დიდუბის ეკლესიის მოხატულობათა კომპოზიციების უმრავლესობა პეიზაჟისა თუ არქიტექტურის ფონზე ვითარდება.

139 დიდუბის პანთეონი – გამორჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა დაკრძალვის ადგილი თბილისში. XIXს. 80-90წწ. დიდუბეში, ღვთისმშობლის შობის ეკლესიის შემოგარენში შეიქმნა დიდუბის პანთეონი, რომელსაც მეურვეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. შემდგომში აქ კრძალავდნენ ნაკლებად ცნობილ პირებს და პანთეონმა თანდათან დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. 1938წ. გაუქმდა დიდუბის სასაფლაო; სასაფლაოს ნაწილი, სადაც გამორჩენილ პირთა საფლავები იყო, შემოიფარგლა. 1939წ. გაიხსნა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი.

140 ლევან ბატონიშვილი (1756–1781) - ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II-ის ძე. აღიზარდა სამეფო კარზე. ლევან ბატონიშვილი ანტონ I-თან ერთად გაიგზავნა რუსეთში მფარველობის მიღების სათხოვნელად. ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან რუსეთი მოერიდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებას. ლევან ბატონიშვილის ნიჭი და უნარი მთელი ძალით გამომჟღავნდა მორიგე ჯარის ხელმძღვანელობისას. მისი თაოსნობით აილაგმა დაღესტნელ ფეოდალთა თარეში. ლევან ბატონიშვილი 1781წ. ვეჟინში ყოფნისას ფრიად გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მას მიეწერება რამდენიმე სამიჯნურო და ეპისტოლური ლექსი.

141 ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი - მისი სახელი მომდინარეობს ამავე სახელწოდების მთისაგან, რომელიც მდებარეობს მდინარე ტიბრის მახლობლად. 1150წ. პაპმა ევგენი III-მ სასახლე ააგო. თვითონ მთის სახელი უკავშირდება "ვატიცინატიო"-ს, რაც „წინასწარმეტყველებას" ნიშნავს. პოლიტიკური ერთეული-ვატიკანი მდებარეობს ქალაქ რომის ტერიტორიაზე და წარმოადგენს კათოლიკური ეკლესიის ცენტრს. ფართობი - 0.44 კვ.კმ. ვატიკანს ქალაქ რომის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ეკუთვნის სამი ტაძარი, სასახლეები და ვილები. სახელმწიფო სისტემა - თეოკრატიული მონარქია. სახელმწიფოს მეთაური - 2005 წ. რომის პაპი ბენედიქტე XVI. სახელმწიფო ჩამოყალიბდა 1929წ. 1947წ. იტალიის კონსტიტუციით დადასტურებულ იქნა ვატიკანის სუვერენიტეტი.



ვატიკანის გერბი

142 კირონ I - ქართლის კათოლიკოსი 599–616წწ. იგი ჯავახეთის სოფელ სკუტრიდან იყო. სიყმაწვილეში 15 წლისა ტყვედ თუ მძევლად იყო სომხეთის ბერძნულ ნაწილში. აქ მან მიიღო ბერძნული განათლება და დიოფიზიტობა. ქართლის პრომონოფიზიტურად და სპარსოფილურად განწყობილი ძალების ხელშემწეობით იგი მცხეთის საკათოლიკოსო ტახტზე ავიდა. მისი აქტიურობითა და წარჩინებულთა მხარდაჭერით ქართლში საბოლოოდ გაიმარჯვა დიოფიზიტობამ, ხოლო ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის კურსი ბიზანტიისაკენ წარიმართა. მისი მთავარი იდეა იყო ახლად აღდგენილი სასაზღვრო პროვინციების შერეული მოსახლეობის საეკლესიო მსახურებაში ქართული ენის დამკვიდრება და სხვადასხვა ქრისტიანული მრწამსის მიმდევართა ქალკედონიტობაზე დასაყოლიებლად ქრისტიანული დოქტრინის შემუშავება. ამ ნიადაგზე ქართლის კათალიკოსსა და ცურტავის მონოფიზიტ ეპისკოპოს მოსეს შორის მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა, რომელიც საბოლოოდ კავკასიის ეკლესიების გათიშვით დამთავრდა. ქართული ეკლესია დიოფიზიტურ მრწამს დაადგა, სომხური-მონოფიზიტობის ერთგული დარჩა. კირონ I ფართო საერთაშორისო ურთიერთობაში იყო ჩაბმული. მას რელიგიისა და ეკლესიის ორგანიზაციულ საკითხებზე მიმოწერა ჰქონდა რომის პაპთან, იერუსალიმისა და სომხეთის პატრიარქებთან, სპარსეთის სამეფოს უმაღლეს მოხელეებთან. ამ წერილების მიხედვით ჩვენ წინაშე წარმოდგება დიდად განათლებული, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებისა და სტილის მქონე ადამიანი, თავდაჭერილი პოლემიკოსი, გონიერი და მტკიცე დიპლომატი, გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე.

143 მეფე დემეტრე II (825-861) - აფხაზთა სამეფოს მეფე, ლეონ II-ის ძე. ენერგიულად იბრძოდა ახლად შექმნილი სამეფოს დამოუკიდებლობის დასაცავად. IXს. 40-იან წლებში არაერთხელ დაამარცხა დასავლეთ საქართველოში შემოსული ბიზანტიელთა ლაშქარი. 853წ. წინ აღუდგა საქართველოში შემოჭრილ არაბთა სარდალს ბუღა თურქს. იგი შემდეგშიაც განაგრძობდა ბრძოლას ქართლიდან არაბთა განდევნისა და საქართველოს გაერთიანებისათვის. დემეტრე II-ის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გავლენის განმტკიცება. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ხელშეწყობით IXს. I ნახევარში დასავლეთ საქართველოში გრიგოლ ხანძთელის მიერ ქართული მონასტრის დაარსებაც.



ილარიონ ქართველი

144 ილარიონ ქართველი (822-875) - ქართველი სასულიერო მოღვაწე. დაიბადა კახეთში, დიდგვაროვან ოჯახში. დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის განვითარებაში. ილარიონ ქართველის ქტიტორული მოღვაწეობა დაკავშირებულია კახეთის სამ ძეგლთან-ფერისცვალების ეკლესია დავითგარეჯის ლავრაში, ე.წ. ილარიონ ქართველის ფილიალი იმავე ლავრაში და აკურის მამადავითის დედათა მონასტერი. ილარიონ ქართველის სახელზე თხზულებების მთელი ციკლია შექმნილი - ცხოვრებები და საგალობლები, სადაც ილარიონ ქართველი წარმოგვიდგება როგორც მონასტერთა მაშენებელი, წინამძღვარი, კახეთში დედათა და მამათა მონასტრების წესის და კანონის დამდები. დაკრძალულია კონსტანტინოპოლის მახლობლად ჰრომანის ქართველთა მონასტერში.



მ.თამარაშვილი

145 მიხეილ თამარაშვილი (1858–1911)- ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი. დაიბადა ახალციხეში, ქართველ კათოლიკეთა მრავალშვილიან ოჯახში. დაწყებითი სასულიერო განათლება თამარაშვილმა მიიღო ახალციხეში, ე.წ. "ქვემო ეკლესიის" სამრევლო სკოლაში, სადაც მას მეურვეობდა პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამაძე. მისივე რჩევით, 1878წ. თამარაშვილი გააგზავნეს სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სასწავლებელში. იქიდან ქართველ კათოლიკეთა ძმობის დაფინანსებით გაემგზავრა ესპანეთში, სადაც სასულიერო სემინარიაში დაჰყო სამი წელიწადი. შემდეგ დაბრუნდა სტამბოლში, სადაც მღვდლად ეკურთხა. სტამბოლიდან იგი გაემგზავრა პარიზში, სადაც 1888წ. დაამთავრა წმ.ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი. 1888წ. მიხეილ თამარაშვილი ისევ სტამბოლში ჩავიდა, შემდეგ კი თბილისში, სადაც კათოლიკეთა მიძინების ტაძრის მღვდლად იქნა გამწესებული. მისი პროქართული ქადაგებანი აუტანელი იყო თბილისის ცარისტული მმართველებისთვის და იგი გააძევეს თბილისიდან, ჩამოართვეს მღვდელმსახურების უფლება. 1889წ. თამარაშვილი კვლავ ჩავიდა სტამბოლში. 1891წ. იგი გაემგზავრა რომში და სწავლა განაგრძო სასულიერო აკადემიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1894წ. და ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მოიპოვა. მალე დაინიშნა ამავე აკადემიის პროფესორად. ამ ხნის განმავლობაში აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში თამარაშვილმა გამოავლინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი დოკუმენტური მასალა. აქედან თამარაშვილმა მოასწრო საქართველო-ევროპის ურთიერთობის და, კერძოდ, საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებასთან დაკავშირებული მასალების დამუშავება და გამოცემა. ესენია: "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", "პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას", ხოლო მისმა წიგნმა "საქართველოს ეკლესიის ისტორია" დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპის სამეცნიერო წრეებში. ამ გამოცემას ვატიკანის სპე-

ციალური პრემია მიენიჭა. თამარაშვილმა აღმოაჩინა სიცილიაში კრისტოფორო დე კასტელის სურათების ალბომი, მას დიდი წვლილი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ მასალების მოძიებაში. თამარაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას. 1911წ. 16 სექტემბერს იტალიის სოფელ სანტა-მარინელასთან სახელოვანი მეცნიერი დაიღუპა სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მცდელობისას. მაშინ ის 53 წლის იყო. 1978წ. იტალიის ქ.ჩივიტაკიიდან მიხეილ თამარაშვილის ნეშტი გადმოსვენებულ იქნა თბილისში, დასაფლავებულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

146 ზვიად გამსახურდია (1939-1993) - მეცნიერი-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გამსახურდიას და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში. წლების მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დოცენტად. 1973წ. მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991წ. - მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. 1972-1977 და 1983-1990წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ.რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,1970-1977წწ. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მას გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები (მათ შორის ოთხი მონოგრაფია) რუსთველოლოგიის, ქართული კულტურის ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, თეოლოგიის, ამერიკული პოეზიის ისტორიის საკითხებზე. გამოცემულია მისი ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, აგრეთვე, შექსპირის, ბოდლერის, გოგოლის და სხვათა თხზულებების მისეული თარგმანები.



ზ.გამსახურდია

147 სოლოლაკი, სალალაკი - არის თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი. არაბების ბატონობის ხანაში „ციხის ბაღის" მოსარწყავად აღადგინეს სარწყავი არხი (არაბულად „სულუ-ლაჰ"). მოგვიანებით სულულაჰ ეწოდა მთის კალთას, რომელზეც ეს უბანია გაშენებული. XIXს. ასე დაერქვა თავად უბანსაც. ადრე მას „ავანაანთხევი" ერქვა და აქ ქართველ დიდებულთა ბაღები იყო გაშენებული.

148 ქრისტეფორე II ურდუბეგის ძე ამილახვარი - აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1638-1660წწ. იგი კათოლიკოს-პატრიარქად დასვა როსტომ მეფემ. მან როსტომს ხელახლა დაამტკიცებინა მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ძველად კუთვნილი მამულები: გარეჯის უდაბნო და რამდენიმე სოფელი, ამას გარდა, შემოაწირვინა ახალი მამულებიც. ქრისტოფორე II მწიგნობარი იყო, წერდა მცხეთაში პატრიარქის წყალობის საბუთებს; მასვე დაურთავს კომენტარები იოანე პეტრიწის "განმარტების" ტექსტისათვის.

კომენტარები



მ.ბროსე

149 **მარი ფელისიტე ბროსე** (1802-1880) - ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი. დაიბადა ხელმოკლე ვაჭრის ოჯახში. შეისწავლა ჩინური ენა და ლიტერატურა, შემდეგ ხელი მოჰკიდა ქართულს და სომხურს. შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი, აგრეთვე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. მან 1847-1848წწ. იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა დიდძალი ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური და სხვა მასალა. ფრანგულად თარგმნა და დაბეჭდა "ქართლის ცხოვრება", ვახუშტის "ისტორიის" გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები. ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა იმ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებები, რომლებსაც მოეპოვებათ ცნობები საქართველოს შესახებ. ბროსეს სახელთან დაკავშირებულია მთელი ეტაპი ევროპის ქართველოლოგიაში.

150 **კრწანისი** – თბილისის უბანი, შუა საუკუნეების სოფელი. წყაროებში პირველად 1392წ. შედგენილ სვეტიცხოვლის კუთვნილმამულთა ნუსხაში იხსენიება. XIVს. ბოლოს იგი საკათოლიკოსო სოფელი იყო და დაწინაურებულ სასოფლო–სამეურნეო რეგიონს წარმოადგენდა. გვიანდელ შუა საუკუნეებში თაბორამდე და სეიდაბამდე აღწევდა.



თეიმურაზ I

151 **თეიმურაზ I** (1589-1663) - კახეთის მეფე 1606-1648წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632წწ. იგი გამეფდა 16 წლისა. მისი მცირეწლოვნების გამო სამეფოს ერთხანს დედამისი ქეთევანი განაგებდა. 1614წ. ირანის შაჰის აბას I-ის ქართლსა და კახეთში ლაშქრობის დროს თეიმურაზ I იძულებული გახდა იმერეთში გახიზნულიყო. 1625წ., როდესაც ქართლი და კახეთი ისევ აღდგა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ მიიწვიეს. მრავალწლიანმა ბრძოლამ აიძულა შაჰ-აბას I დათმობაზე წასულიყო და ფაქტობრივად თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ ცნო. მაგრამ თეიმურაზ I განაგრძობდა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის. ამის გამო 1632წ. შაჰმა სეფი I-მა ქართლის ტახტი გამაჰმადიანებულ როსტომს გადასცა. მის მიერ მოსკოვში დახმარების სათხოვნელად არაერთხელ გაგზავნილმა ელჩობამ შედეგი ვერ გამოიღო. 1620წ. დაუახლოვდა კათოლიკე მისიონერებს და 1626წ. თეიმურაზ I-მა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად ელჩად გაგზავნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. 1658წ. თვითონ გაემგზავრა რუსეთს სამხედრო დახმარების სათხოვნელად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1661წ. ბერად აღიკვეცა. მალე ირანში გაიწვიეს და აღუთქვეს კახეთის სამეფო ტახტის დაბრუნება, თუ მაჰმადიანობას მიიღებდა, რაზედაც თეიმურაზ I-მა უარი თქვა. ამის გამო შეიპყრეს და ასტრაბადის ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც გარდაიცვალა.



ალავერდის ტაძარი

152 **ალავერდის ტაძარი** - ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი და საკათედრო ტაძარი, ალავერდის ეპარქიის ცენტრი. ალავერდის მონასტერი VIს. შუა ხანებში დააარსა იოსებ ალავერდელმა. XIს. დასაწყისში კვირიკე კახთა მეფემ ალავერდის წმ.გიორგის პატარა ეკლესიის ადგილას ააგო საკათედრო ტაძარი, რომელიც უმთავრესად ალავერდის სახელწოდებითაა ცნობილი. ტაძარი ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში. შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის სამი, ერთმანეთს ტოლი მკლავი ნახევარწრიული აბსიდებით მთავრდება.

153 გიორგი IV ლაშა (1192-1223) - საქართველოს მეფე 1213წ. თამარ მეფის და დავით სოსლანის ძე. 1207წ. თამარმა თანამოსაყდრედ დაისვა და ამ დროიდან მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვასა და ლაშქრობებში. თამარის გარდაცვალების შემდეგ გიორგი IV ერთპიროვნული მმართველი გახდა, მისი სურვილი იყო განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება, შეენარჩუნებინა სახელმწიფოს მთლიანობა და შემოემტკიცებინა ყმადნაფიცი ქვეყნები, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს ვასალობისაგან გათავისუფლებას. XIIIს. 10-იან წწ. გიორგი IV-მ გაილაშქრა ვასალის - განძის ათაბაგის წინააღმდეგ. საქართველოს ლაშქარმა განძას ალყა შემოარტყა. ათაბაგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა გიორგი IV-ს. განძა კვლავ საქართველოს მოხარკედ დარჩა. იარაღის ძალითვე დაიმორჩილა გიორგი IV-მ გამდგარი ვასალები - ხლათის, არზრუმისა და ნახჭევანის თურქი მფლობელები. 1220 ან 1221წ. გიორგი IV დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა იერუსალიმის სელჩუკთაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ ამ დროს საქართველოს საზღვრებს მოულოდნელად მონღოლები მოადგნენ და ეს გეგმა ჩაიშალა. გიორგი IV მონღოლებთან ბრძოლაში (1221 ან 1222წ.) დაიჭრა, დასნეულდა და გარდაიცვალა.

154 ზაქარია ჭიჭინაძე (1854–1931) - საზოგადო მოღვაწე, ქართული მწერლობისა და ისტორიის მკვლევარი. ზაქარია ჭიჭინაძე იდეური მიმართულებით იყო ხალხოსანი და სოციალისტ-უტოპისტი 1872წ. თანამშრომლობდა თბილისის ჟურნალ-გაზეთებში. მეწიგნე, გამომცემელი, ქართველ მაჰმადიანთა გულშემატკივარი, სემინარიელებზე მზრუნველი, არალეგალურ წიგნთა მცველი და გამავრცელებელი, მუშა-ხელოსანთა მასწავლებელი და აღმზრდელი, ქართული ენისა და მწერლობის ქომაგი. თვითონ გაჭირვებული, ყველას უშურველად უმართავდა ხელს, მაგრამ მან ერთი განსაკუთრებული და გამორჩეული მიზანი და მოვალეობა იტვირთა: ის იყო ქართველ კათოლიკეთა, ქართველ მაჰმადიანთა, ებრაელთა და გრიგორიანთა ეროვნული ერთიანობის მქადაგებელი და მათზე მზრუნველი.



ზ.ჭიჭინაძე

155 ეჩმიაძინი - უწმინდესი ქალაქი სომხეთში და სომხური სამოციქულო ეკლესიის კათალიკოსის საბრძანებელი. ქალაქი დააარსა სოფ.ვარდკესავანის ადგილას სომხეთის მეფე ვაღარშმა და მას ვაღარშაპატი დარქვა, IV საუკუნემდე იგი სომხეთის დედაქალაქი იყო. 1945წ. ქალაქს ეჩმიაძინი ეწოდა. ისტორიულად ქალაქის დედაბოძი ეჩმიაძინის ტაძარი იყო. სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით, აქ თავადპირველად ეკლესია 301–303წწ. აუგია წმ.გრიგოლ ბრწყინვალეს, რომელსაც უფალი ზეციდან გამოეცხადა და ტაძრის ასაშენებელი ადგილი მიუთითა.



ეჩმიაძინი

156 ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) -ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ივ.ჯავახიშვილმა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე. იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართული და სომხური ფილოლოგიის კათედრის



ივ.ჯავახიშვილი

პრივატ-დოცენტი. ხელმძღვანელობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. 1918წ. მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. იგი იყო ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის რექტორი. მისი მეცნიერული მოღვაწეობის მთავარ მიმართულებებს წარმოადგენდა საქართველოსა და კავკასიის ისტორია და ისტორიოგრაფია, ქართული ეკონომიკისა და სამართლის ისტორია, კავკასიის ეთნოლოგია, საქართველოს ეთნოგრაფია, კავკასიური ენები, საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორია. ითვლება ისტორიული წყაროთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლად. არის 170-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. არ დარჩენილა ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელშიაც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ დაეტოვებია. მან შეისწავლა ძველი სომხური საისტორიო მწერლობა და სომხურ ისტორიოგრაფიასაც მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო. ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში.



საიათ-ნოვა

157 **საიათ-ნოვა, არუთიუნ საიათიანი** (1712-1795) – სომეხი პოეტი, აშუღი, მომღერალი. დაიბადა თბილისში. დედა თბილისელი ჰყავდა, მამა კი წარმოშობით ან ალეპოდან ან ადანადან უნდა ყოფილიყო. საიათ-ნოვა განთქმული იყო საკუთარი ლექსებით, სიმღერითა და კამანჩეზე დაკვრით. ის ერეკლე II-ის კარის მომღერალი და მუსიკოსი იყო და, გადმოცემით, დიპლომატის ფუნქციასაც ასრულებდა. მეფის ქალიშვილის სიყვარულის გამო კარის სამსახური დაკარგა და დანარჩენი ცხოვრება გზაში ხეტიალსა და სიმღერაში გალია. 1768 წ. ბერად შედგა ახპატში, დროდადრო თბილისს უბრუნდებოდა. ლეგენდის თანახმად, დაიღუპა 1795წ. სექტემბერში აღა-მაჰმად ხანის არმიის მიერ თბილისის აოხრების დროს.



გ.გაშინჯაღიანი

158 **გევორქ გაშინჯაღიანი** (1857-1925) - სომეხი მხატვარი, დაიბადა და ბავშვობა გაატარა ქ.სიღნაღში. გევორქ გაშინჯაღიანი იყო კავკასიაში პირველი სომეხი მხატვარი, რომელმაც მიიღო სპეციალური განათლება პეტერბურგის ხელოვნების აკადემიაში. მისი პირველი პერსონალური გამოფენა 1883წ. თბილისში მოეწყო. გევორქ გაშინჯაღიანი ასევე საინტერესო მწერალია მისი ნახატების დიდი ნაწილი კერძო კოლექციებში და სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული.

159 **ნაძალადევი** – ძველი უბანი თბილისში, ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, ახლანდელი ნაძალადევის რაიონში. საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის (1872) შემდეგ დიდუბის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო; რკინიგზის გაღმა, აღმოსავლეთით, მუშახელი საცხოვრებლად უნებართვოდ იკავებდა მიწებს და სახლდებოდა, ახალმა უბანმაც აქედან მიიღო სახელწოდება.

160 **მარკო პოლო** (1254–1324) - ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური, ერთ-ერთი პირველი ევროპელთაგანი, რომელმაც აბრეშუმის გზის გავლით ჩინეთს მიაღწია. მისი მოგზაურობა აღწერილია რუსტიჩელო პიზელის ნაწარმოებში, რომელიც მარკო პოლომ თავად უკარნახა ავტორს 1298–1299წწ. გენუაში ციხეში ყოფნისას. მიუხედავად იმ უნდობლობისა, რომელიც გაჩნდა წიგნის დაბეჭდისთანავე და რომელიც ეხლაც გრძელდება, მარკო პოლოს ეს ნაშრომი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამიერკავკასიის და სხვა ქვეყნების შუასაუკუნეების გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის შესწავლისას. ამ წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა XIV—XVI საუკუნეების მოგზაურებზე, კარტოგრაფებზე, მწერლებზე. ინდოეთში მიმავალ ქრისტოფორე კოლუმბს მარკო პოლოს წიგნი თან ჰქონდა გემზე.



მარკო პოლო

161 **მინა მედიჩი** – ვენეციის ძმობის წევრი მინაც ბჟიშკიანცი, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში ცნობილია მინა მედიჩის სახელწოდებით (ლ.მელიქსედ–ბეგი).

162 **გაბრიელ სუნდუკიანი** (1825–1912) - დაიბადა ვაჭრის ოჯახში. 1838-1846წწ. თბილისის სხვადასხვა პანსიონსა და გიმნაზიაში სწავლობდა. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი 1850წ. სამსახური დაიწყო თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, შემდეგ მუშაობდა კავკასიის გზათა სამმართველოს სამეურნეო განყოფილების უფროსად და სამოქალაქო გენერლის ჩინს მიაღწია. სუნდუკიანი მხარში ამოუდგა თბილისის ამქრებს სოციალური უფლებებისათვის ბრძოლაში, მონაწილეობდა ქალაქის საბჭოს მუშაობაშიც. ლიტერატურული საქმიანობა 1860-იან წლებში დაიწყო. მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სომხურ თეატრთან, რომლის ერთერთი ორგანიზატორიც თვითონ იყო. სუნდუკიანის პირველი კომედია „საღამოს ცხვირი ხეირია" დაიდგა 1863წ. სუნდუკიანი წერდა, ძირითადად, სომხური ენის თბილისურ დიალექტზე, რომელიც მრავლად შეიცავს ქართულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ფართოდ იყენებდა თბილისურ ფოლკლორს. ყოველივე ამან განაპირობა მისი ენის თავისებურება. სუნდუკიანის პიესები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. ქართულად თვითონ ავტორი თარგმნიდა. მისი სახელი მინიჭებული აქვს ერევნის დრამატულ თეატრს.



გ.სუნდუკიანი

163 **ალექსანდრე მანთაშევი** (1842–1911) - ნავთობის მაგნატი, დაიბადა თბილისში, ბავშვობა და სიყრმის წლები მან გაატარა სპარსეთის ქალაქ თავრიზში, სადაც მისი მამა ეწეოდა მანუფაქტურულ ვაჭრობას. იგი ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. 1887წ., მამის გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრემ შეისყიდა თბილისის ცენტრალური სავაჭრო ბანკის აქციები და იგი ხდება ბანკის უმსხვილესი მოწილე, შემდგომში ხდება ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე. ალექსანდრე მანთაშევი რუსეთის იმპერიაში ყველაზე მდიდარ კაცად იყო ცნობილი. მას ნობელთან და როტშილდთან ერთად ყველაზე დიდი ნავთობსარეწები ჰქონდა.

თორმეტ თამამოაზრესთან ერთად მან თბილისში დააარსა „სომხური საქველმოქმედო ფონდი კავკასიაში". მან გამოყო 300 ათასი მანეთი ე.წ. ნერსეს სასულიერო სემინარიის ახალი შენობის ასაშენებლად. 1910წ. მან წმ.ეჩმიაძინს შესწირა 250 ათასი მანეთი, რომლითაც აშენდა სომხეთის პატრიარქის დღევანდელი სამკვეთლო. მან, ასევე, დააფინანსა 50 ნიჭიერი სომეხი ახალგაზრდა უცხოეთის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. ა.მანთაშევს არ უყვარდა თავისი ქონების და საქმიანობის აფიშირება და ძვირფასეულობის ტარება. ალექსანდრე მანთაშევი პეტერბურგში გარდაიცვალა. იგი მატარებლით ჩამოასვენეს თბილისში და დაასაფლავეს მეუღლის გვერდით ვანქის საგვარეულო აკლდამაში.



ალ მანთაშევი

164 ჩუღურეთი – თბილისის ერთ-ერთი უბანი ძველი ქალაქის ჩრდილოეთით, მტკვრის მარცხენა მხარეს. ადრე სამეფო ქალაქისპირა სოფელი იყო. მას ორად ყოფდა ავლაბრის კარიდან წამოსული, რუსეთისაკენ მიმავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა - "ავჭალის დიდი გზა". ჩუღურეთის საზღვრები იყო: სამხრეთიდან–ჩუღურეთის ხევი, დასავლეთიდან-მტკვარი, ჩრდილოეთიდან – სოფელი კუკია, დიდხევი: აღმოსავლეთიდან - სამგორის მინდვრები. 1824წ. სოფელი ჩუღურეთი ქალაქს შეუერთდა.

165 ვასილ ბარნოვი (1812-1876) - მღვდლის შვილი, დაამთავრა სასულიერო სემინარია, იყო სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი და შემდეგ ინსპექტორი. 1845წ. აკურთხეს ქაშვეთის დიაკვნად და მღვდლად. გარდაიცვალა კალოუბნის ეკლესიის დეკანოზად.

166 იოსებ ნამორაძე (1798-1866) – სწავლობდა დეკანოზ დიმიტრი ალექსი–მესხიშვილთან, 1833წ. ხელდასხმულია დიაკვნად ანჩისხატში, ხოლო 1847წ. - მღვდლად კალოუბნის ეკლესიაში, რომელიც მისი ინიციატივით აშენდა.

167 კათალიკოსი იოანე (1688-1703) – გვარად დიასამიძე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1688-1692წწ. და 1695-1700წწ. მხარს უჭერდა ერეკლე I-ს გიორგი XI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზრუნავდა მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეკონომიკური გაძლიერებისათვის. 1692წ. დავით-გარეჯის მონასტერს მცხეთის შემოსავლიდან დაუწესა ყოველწლიური ულუფა-ჯამაგირი სურსათის სახით.



შხსეი-ვახსეი

168 შაჰსეი-ვაჰსეი – შიიტი მუსლიმანების რელიგიური ცერემონია - თვითგვემა; ცერემონიის მონაწილენი თავსა და ტანზე იცემენ ხმალს ან ლახტს და იძახიან: «შაჰ ჰუსეინ, ვაჰ, ჰუსეინ!» და ამით გამოხატავენ ერთ-ერთი ხალიფის შვილის ჰუსეინის წამებას.

169 მეჩეთი, იგივე მიზგითი (არაბ. მასჯიდ – ლოცვის, მუხლის მოყრის ადგილი; საჯადა – ლოცვა) - მუსლიმანთა საკულტო სახლი, სალოცავი და საქადაგებელი, სასოფლო, საუბნო, ტაძრული, გუმბათიანი ან თაღებიანი, სვეტებზე ნაგები. გარედან კუთხეში კოშკებია – მინარეთები (ან ზედ სახურავზე, საიდანაც მუეძინი უქადაგებს მორწმუნეებს და მოუწოდებს მათ). ნიში უჩვენებს მექას გზას, იქვე ინახება ყურანი და სხვა წმ. ტექსტები. იქით, მიჰრაბისკენ უნდა იყოს მლოცველის სახე მიმართული, ე.ი. მექისკენ. მარჯვნივ კათედრაა, საიდანაც ყურანს კითხულობენ, კედლებზე ორნამენტებია ან ტექსტების წარწერები ყურანიდან.

170 კლდისუბანი – ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული მიკროუბანი, კალას დასავლეთი ნაწილის ე.წ. ქვემო უბნის ერთი მხარე. სახელწ. "კლდისუბანი" მოდის მისი მდებარეობიდან - შეფენილია სოლოლაკის ქედის კლდოვან კალთაზე. კლდისუბანი თავისი ძნელად მისადგომი მოუხერხებელი მდებარეობის გამო ქალაქის ღარიბი მოსახლეთა უბანი იყო.

171 სიმონ ბატონიშვილი (1683–1740) – ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ვახტანგ VI-ის ძმა. აქტიურად მონაწილეობდა სამეფო კარის საქმიანობაში, როდესაც ვახტანგი სპარსეთში გაემგზავრა, სიმონ ბატონიშვილი ქართლის გამგედ დატოვა (1712-1716). მეფე იესეს დროსაც გამგედ იყო. შემდეგ თან გაჰყვა ვახტანგ VI-ს რუსეთში, სადაც გარდაიცვალა (დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში). სიმონ ბატონიშვილის განკარგულებითა და ხარჯით თბილისში დაიბეჭდა ერთ-ერთი პირველი ქართული წიგნი "კურთხევანი" (1713).

172 დედოფალი მარიამი (ციციშვილი) – გიორგი XII-ის მეუღლე. მისი სიკვდილის შემდეგ 1800წ. ბაგრატიონების სამეფო გვარში დიდი არეულობა დაიწყო ქართლ–კახეთის დასაკავებლად. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა პრობლემების ასაცილებლად ბრძანა მეფის ოჯახის ყველა წევრი რუსეთში გადაესახლებინა. ამ ბრძანების შესრულება დაევალა ეროვნებით სომეხ, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორს ივანე ლაზარევს. დედოფალმა მარიამმა ბავშვებთან ერთად გაქცევა დააპირა. მაგრმ ეს ამბავი გენერალ ლაზარევისათვის ცნობილი გახდა. მან დედოფალს მოსთხოვა დაუყოვნებლივ რუსეთში გამგზავრება. კატეგორიული უარის მიღების შემდეგ ლაზარევი ეცადა ძალა გამოეყენებინა. განრისხებულმა და შეურაცხყოფილმა დედოფალმა ხანჯლით განგმირა იგი. დედოფალი დააპატიმრეს და ძალით გაუყენეს რუსეთისაკენ მიმავალ გზას. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I–ის ბრძანებით დედოფალი და უფლისწულები ბაგრატი, გაბრიელი, ილია, ოქროპირი, ირაკლი, თამარი და სამი წლის ანა ბელგოროდის შობის მონასტერში გაამწესეს. მონასტერში ცხოვრება თითქმის ციხის რეჟიმს გავდა, მათი ყოფნის პირველ წლებში მათ მონასტრიდან გასვლის უფლება არ ეძლეოდათ. ერთი წლის შემდეგ იმპერატორმა უფროს უფლისწულებს ნება დართო პეტერბურგში ეცხოვრათ. ორი წლის შემდეგ დედოფალ მარიამს ნება დართეს დაცვის თანხლებით ცოტა ხნით გამოსულიყო მონასტრის გარეთ 1811წ. დედოფალის გაუარესებული ჯანმრთელობის გამო იმპერატორმა ნება დართო მას მოსკოვში გადასულიყო საცხოვრებლად. 1850წ. ოთხმოცი წლის ასაკში დედოფალი მარიამი გარდაიცვალა. 1850წ. 17 ივნისს დედოფლის ცხედარი მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძარში დაასაფლავეს.


დედოფალი მარიამი

173 რაფი, აკოპ მელიქ-აკოპიანი (1835–1888) – ცნობილი სომეხი მწერალი, ისტორიული რომანების, მხატვრულ–ეთნოგრაფიული ნაწარმოებების და ლექსების ავტორი. იგი დაიბადა სპარსეთში, სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, იყო ვაჭრის შვილი. ბევრს მოგზაურობდა სპარსეთში, რუსეთსა და თურქეთში. 1870–იანი წლებიდან მოიპოვა დიდი პოპულარობა როგორც რომანისტმა. მისი ნაწარმოებები გადათარგმნილია მრავალ ენაზე. რაფი თბილისში გარდაიცვალა, მის დასაფლავებას ყველა ფენის მრავალი წარმომადგენელი დაესწრო. მისი დასაფლავებით ხოჯა–ვანქის სასაფლაოზე საფუძველი ჩაეყარა სომეხთა საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა პანთეონს.


რაფი

174 ოვანეს თუმანიანი (1869–1923) - სომეხი პოეტი და მწერალი, საზოგადო მოღვაწე. დაიბადა მღვდლის ოჯახში, განათლება მიიღო ე.წ. ნერსეს სასულიერო სემინარიაში თბილისში. მისი მოღვაწეობა 1880წ. იწყება. მან თბილისში შექმნა ლიტერატურული წრე „ბერნატუნი", რომელშიც გააერთიანა სომეხი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. მინიჭებული აქვს „ყოველ სომეხთა პოეტის" წოდება. საბჭოთა პერიოდში ხელმძღვანელობდა დახმარების კომიტეტს. გარდაიცვალა მოსკოვის საავადმყოფოში სიმსივნისაგან. მის საპატივცემულოდ სომხეთში ერთ-ერთ ქალაქს ეწოდა მისი სახელი. ერევანში გახსნილია ოვანეს თუმანიანის მუზეუმი.


ო თუმანიანი



ლ.ბერია

175 ლავრენტი ბერია (1899–1953) - საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. იყო სტალინის უახლოესი გარემოცვის წევრი. დაჯილდოებული იყო უამრავი საბჭოთა ორდენებითა და მედლებით. იყო მარშალი და მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. როგორც სახალხო კომისარიატის შინაგან საქმეთა ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებდა 1930–1940-იან წლების რეპრესიებში. განაგებდა მნიშვნელოვან სფეროებს, მათ შორის ატომური იარაღის შექმნას. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953წ. ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

176 სმირნა, იზმირი - ქალაქი დასავლეთ თურქეთში, იზმირის ყურის (ეგეოსის ზღვა) ნაპირზე. იზმირის ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი. დაარსდა ძვ.წ. II ათასწლეულში როგორც ბერძნულ-ეოლოელთა კოლონია და მას სმირნა ეწოდა.

177 სულთანიე, სულთანია – ქალაქი ირანის ჩრდილო-დასავლეთში. მისი მშენებლობა XIIIს. ილხან არღუნის დროს დაიწყო და 1313წ. დასრულდა. სულთანიე ოლაითუ ყაენის სატახტო ქალაქი იყო. სულთანიამ მალე დაკარგა დედაქალაქის ფუნქცია, მაგრამ ხელსაყრელი მდებარეობის გამო კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა ირანის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქის ფუნქციას

178 ისპაჰანი ან ესფაჰანი - მდებარეობს თეირანიდან 340 კმ-ში, ისპაჰანის პროვინციის დედაქალაქი და ირანის სიდიდით მესამე ქალაქი (თეირანის და მაშხადის შემდეგ). ირანის ყოფილი დედაქალაქი, XVI-XVII სს.. ისპაჰანის ნაღყმ-ი ჯაჰანის მოედანი იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი. ქალაქში, ასევე, მრავლადაა XI საუკუნის და გვიანდელი ისლამური არქიტექტურის ნიმუშები. მისი მოსახლეობის ეროვნულმა და რელიგიურმა სიჭრელემ არქიტექტურაში და მის მხატვრობაში ქრისტიანული და ისლამური კულტურის საინტერესო სინთეზი მოგვცა. ისპაჰანის სილამაზეს და არქიტექტურულ ხიბლს გარკვეულწილად განსაზღვრავს მდინარე "ზაიანდე რუდი" და მასზე გადებული ხიდები, რომელთა შორის აღსანიშნავია "პოლ-ე ხაჯუ" და "სიოსეპოლი". ეს უკანასკნელი (რომლის თარგმანი იქნება "ოცდაცამეტი ხიდი") შაჰ აბასის სეფაჰსალარის ალავერდიხან უნდილაძის აშენებულია.



გიორგი XI

179 გიორგი XI (1651-1709) – ქართლის მეფე 1676-1688წწ. და 1703-1709წწ ვახტანგ V-ს ძე. მისი მეფობის ხანა ხასიათდებოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებით. გიორგი XI ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას და ირანელთა ბატონობის მოსპობას ქართლში, დახმარების მისაღებად დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან. 1687წ. დათარიღებულ წერილში თავისი და მისი შვილის ბაგრატის სახელით ერთგულებას უცხადებს რომის პაპს ინოკენტ XI-ს, აცხადებს თავს კათოლიკედ და პაპს სთხოვს, რომ ბრძანება გასცეს საქართველოს მხედრობისათვის. პაპის საპასუხო წერილებიდან ჩანს, რომ იგი მას კათოლიკე მეფეთა სიაში მოიხსენებს. თუმცა, პრაქტიკულ დახმარებაზე არ არის საუბარი. გიორგი XI სათავეს უდებს ქართლის სამეფო შტოს ერთი ნაწილის პროევროპულ პოლიტიკურ მიმართულებას საგანმანათლებლო და რელიგიური თვალსაზრისით. ინტენსიური ურთიერთობა მისიონერებთან, პაპებთან და ევროპელ მონარქებთან, რომელიც გიორგი XI-მ და მისმა მომხრეებმა, პირველ რიგში, მისმა ძმამ ლევანმა და სულხან-საბა ორბელიანმა ერთად დაიწყეს, და რომელიც მკაფიოდ გამოიხატა ლევანის შვილების ქაიხოსრო მეფისა და ვახტანგ VI-ის პოლიტიკაში, გასტანს საუკუნეს და დასრულდება ლევანის შვილიშვილის ანტონ I-ის

სიკვდილით. 1688წ. გიორგი XI ჯანყდება ირანელების წინააღმდეგ. აჯანყება მარცხით დამთავრდა, რადგან გიორგი XI-ს ულალატეს ადგილობრივმა ფეოდალებმა და ვერც ოსმალეთიდან მიიღო შეპირებული დახმარება. შაჰმა გიორგი XI ტახტიდან გადააყენა და მის ადგილზე ერეკლე I დასვა (1688). გიორგი XI-მ იმერეთს შეაფარა თავი და ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. ამასობაში ირანში გაუარესდა შინაპოლიტიკური მდგომარეობა. ირანის იმპერიის შორეულ რაიონებში გაიზარდა მისწრაფება პოლიტიკური განკერძოებისაკენ. განსაკუთრებით დაძაბული ვითარება შეიქმნა ავღანეთში. შაჰ-ჰუსეინმა გადაწყვიტა შერიგებოდა გიორგი XI-ს, რათა მისი სამხედრო ცოდნა და ქართველთა ჯარი ავღანელთა წინააღმდეგ გამოეყენებინა. თავის მხრივ, გიორგი XI-ს სურდა ტახტი დაებრუნებინა და გაეგრძელებინა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ამიტომ იგი დათანხმდა წინადადებას და 1696წ. ისპაჰანში გაემგზავრა. შაჰმა გიორგი XI კვლავ დაამტკიცა ქართლის მეფედ და დაავალა ავღანელთა დამორჩილება. გიორგი XI-მ აჯანყებულები მალე დაიმორჩილა, მაგრამ ავღანელებმა იგი ღალატით მოკლეს.

180 **ზემო უბანი** – კალას ნაწილი, მდებარეობს კალას ცენტრალური არტერიის – შუა ბაზრის, შემდგომში სომხის ბაზრის (ახლ. კ.აბხაზის, ყოფ. ლესელიძის ქუჩა) ჩრდილო აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრისკენ. სახელი "ზემო უბანი" მოდის მტკვრის დინების მიხედვით, ამ უბნის ზემო მდებარეობის გამო, ქვემოუბნის საპირისპიროდ ზემოუბანი შემოსაზღვრული იყო ახლანდელი კ.აბხაზის ქუჩით, ბარათაშვილის ქუჩითა და მტკვრის კალაპოტით. ამ უბნის ცენტრს მეფის მოედანი წარმოადგენდა

181 **კიკოს კვიპროსული მონასტერი** - კვიპროსზე ქართველების ყოფნა შეიძლება აიხსნას კუნძულის სიახლოვით ჩრდილოეთ სირიასთან, კერძოდ, ანტიოქიის დასავლეთ რაიონებთან, სადაც Xს. ბოლოდან XIII საუკუნემდე ქართველები ფლობდნენ დაახლოებით 13 მონასტერს. მათ დახმარებას უწევდნენ თანამემამულენი, რომელთაც პასუხსაგები ადმინისტრაციული თანამდებობა ეკავათ ამ რეგიონში ან ბიზანტიელთა სამსახურში იმყოფებოდნენ; მათ შორის იყვნენ გრიგოლ ბაკურიანის ძე, მისი ძმა აბასი, რომელიც ფლობდა დიდ მამულებს ანტიოქიაში. გარდა ამისა, ადრეული პერიოდიდან კვიპროსი ექვემდებარებოდა ანტიოქიის ეკლესიას. მისი მიტროპოლიტები კურთხევას იღებდნენ ანტიოქიაში. ცნობილია აგრეთვე, რომ ლათინელთა მმართველობის დროს ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე, ანტიოქიის დასავლეთით მდებარე ზოგიერთი მონასტერი აქტიურად ვაჭრობდა კვიპროსთან. ქართულ-კვიპროსული ურთიერთობანი შემდგომშიც გაგრძელდა. 1780წ. ქართველთა მეფე ერეკლე II-მ კიკოს მონასტერს შესწირა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი და პერგამენტი, რომლებიც დღესაც დაცულია იქ. ამავე დროს კიკოს მონასტრის წინამძღვარმა იოაკიმემ მიმართა მეფე ერეკლე II-ს მატერიალური დახმარებისათვის, რათა აღედგინა დამწვარი მონასტერი. თხოვნა შესრულებულ იქნა. ვარძიის მონასტრის შემოსავლის მესამედი გადაეცა კიკოს მონასტერს. თვითონ იოაკიმე საქართველოში ჩამოვიდა 1780წ. იგი მიიღო ერეკლე II-მ. იოაკიმე დასახლდა ვარძიაში, სადაც გააგრძელა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა.



კიკოს მონასტერი

182 **მეიდანი** – მაიდანი, ქვემო მეიდანი, თათრისმოედანი, ციხის მეიდანი, შაითან ბაზარი მდებარეობდა ახლანდელი ვახტანგ გორგასლის მოედნის ადგილზე.

183 **ჯოვანი საუდიერი** (1816-1851) – ჩამოსული იტალიელი არქიტექტორი, სწავლობდა ქ.პადუის უმაღლეს საიმპერატორო–სამეფო სასწავლებელში. 1847-1851წწ. დღევანდელი თავისუფლების მოედნის შუაგულში ააშენა პირველი სათეატრო შენობა, რომელიც ქარვასლასაც შეიცავდა.

184 **ტიმოთე ბელოი** – თბილისის საგუბერნიო არქიტექტორი. 1827წ. იგი ჩამოვიდა კავკასიაში და ჩაირიცხა კავკასიის საოლქო სამმართველოს შტატში. მას სპეციალური განათლება არ მიუღია, მან მხოლოდ პრაქტიკულად შეიძინა სახუროთმოძღვრო ცოდნა. იგი თვალსაჩინო როლს ასრულებდა თბილისში წარმოებულ არქიტექტურულ საქმიანობაში: ადგენდა საცხოვრებელ და სხვა დანიშნულების ნაგებობათა პროექტებს, მონაწილეობდა საექსპერტო კომისიებში და სხვ. თბილისში მას საკუთარი სახლი ჰქონდა და ცოლიც ქართველი ჰყავდა. მისი ვაჟიშვილიც, ევგენი ბელოი თბილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიაში მუშაობდა.

185 **ამქარი** (სპარს. ჰამქარ-თანამოსაქმე) - ერთი ან მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანება შუასაუკუნეების ქალაქებში. ამიერკავკასიაში ამქრის შესატყვისი ტერმინი XVII-XVIIIსს. იყო ასნაფი, ესნაფი. უფრო ადრე ხელოსანთა გაერთიანებას საქართველოში თაბუნი ეწოდებოდა. სიტყვა ამქარი საქართველოში საყოველთაოდ გავრცელდა მხოლოდ XIX ს. არსებობდა წესდება, სადაც აღნუსხული იყო ამქრის ფუნქციები, წევრთა უფლება-ვალდებულებანი, წარმოების პირობები, ხშირად წარმოების საშუალებებიც, სახელოსნოს, როგორც საწარმოს, ორგანიზაცია და სხვ. ამქარს ჰყავდა უხუცესი (უსტაბაში), ჰქონდა სალარო, ალამი და სხვ. თბილისში ამქარის დაარსების ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოდ, მას „არაბობის" დროს ჩაეყარა საფუძველი. ეს არ იყო მხოლოდ ხელოსნური გაერთიანება, ის არეგულირებდა ურთიერთობებს სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის, ომის დროს ამქრები ბრძოლაში გამოდიოდნენ, მაგალითად, კრწანისის ბრძოლაში მონაწილეობდა მემუსიკე მაჩაბელი. ამქარის წევრები უვლიდნენ ხეიბარ წევრებს, ქვრივებს და ობლებს. ყველა ყარაჩოღელს ჰქონდა დიდი ვერცხლის ქამარი, რათა მისი გარდაცვალების შემდეგ ქამარი გაეყიდათ და კუბო შეეკრათ. საქართველოში ამქართა არსებობა რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ დასრულდა.

186 **იესე, ალიყულ-ხანი** (*დაახ.1681-†1727) – ქართლის მეფე 1714-1716წწ., ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა. 1705-1714წწ. ირანში შაჰის სამსახურში იყო. ებრძოდა შაჰის წინააღმდეგ აჯანყებულ ავღანელებს ჯერ ბიძამისის - ქართლის მეფე გიორგი XI-ის, ხოლო შემდეგ ძმის - ქართლის მეფე ქაიხოსროს მეთაურობით. 1708წ. გიორგი XI-მ ქირმანის (ქალაქი და ისტორიული ოლქი ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) ნაიბად დაინიშნა, 1709წ. (გიორგი XI-ის დაღუპვის შემდეგ) შაჰმა ქირმანის ბეგლარბეგობა უბოძა. იესეს მუსლიმანური სახელი ალიყული-ხანი ეწოდა. 1711წ. დაინიშნა თოფჩიბაშად (არტილერიის უფროსი). 1714წ., როცა ვახტანგმა (შემდეგში ვახტანგ VI) უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე, შაჰმა იესე ქართლის მეფედ დაამტკიცა. ქართლის ჯარით ეხმარებოდა კახეთის მეფე დავით II-ს (იმამყული-ხანს) ლეკების შემოსევათა მოგერიებაში. 1716წ., როცა ქართლის მეფობა ვახტანგმა მიიღო, იესე თელავს გაიხიზნა, მაგრამ შეიპყრეს და გადასცეს ბაქარს, რომელიც ქართლს განაგებდა. თბილისის

სასახლეში პატიმრად ყოფნის დროს იესემ უარყო მაჰმადიანობა და ქრისტიანობას დაუბრუნდა. 1721წ. ვახტანგ VI-მ იესე გაათავისუფლა, დაუბრუნა წართმეული ქონება, და მსაჯულთუხუცესობა (მდივანბეგობა). 1723წ., როცა შაჰ-თამაზ II-მ ქართლის მეფობა კახეთის მეფე კონსტანტინე II-ს (მაჰმადყული-ხანს) მისცა და მან თბილისი დაიკავა, იესე ვახტანგ VI-ის დავალებით ბაქართან ერთად მიეგება თბილისის ასაღებად მოსულ ოსმალთა ჯარს. ოსმალები თბილისში შევიდნენ, კონსტანტინე დააპატიმრეს და ქართლის გამგებლობა ბაქარს გადასცეს. 1724წ. იესე ოსმალებს მიემხრო, კვლავ გამაჰმადიანდა და მას მუსტაფა ეწოდა. თუმცა, ოსმალებმა ქართლის გამგებლობა იესეს მისცეს, ფაქტობრივი მმართველი ოსმალთა ფაშა იყო. იესე მტერთან ერთად ებრძოდა ვახტანგ VI-სა და ბაქარს.

187 დავით VIII (დაახლ. 1273– 1311) – საქართველოს მეფე 1293-1311წწ., დემეტრე II თავდადებულის ძე. 1284 წლიდან იზრდებოდა ტარსაიჭ ორბელის სახლში. 1289წ. დემეტრე II-მ ის ილხანთა ურდოში წაიყვანა. 1291 წ. ათაბაგი ხუტლუბუღა შეეცადა ვახტანგ II-ის (დავით ნარინის ძე) მაგიერ დავით უფლისწული გაემეფებინა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1291(1292)წ. მონაწილეობდა ქეღათუ-ყაენის მიერ რუმის (მცირე აზია) აჯანყების ჩასაქრობად მოწყობილ ლაშქრობაში. ამის შემდეგ ყაენმა დავით VIII მეფედ დაამტკიცა დავით VIII ფაქტობრივად აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყო, დასავლეთ საქართველოს კი კონსტანტინე I, დავით VI ნარინის ძე განაგებდა. დავით VIII ცდილობდა ილხანსა და ნოინებს შორის ბრძოლა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1295წ. მან კავშირი შეკრა ქეღათუ-ყაენის მოწინააღმდეგე თუქალ-ნოინთან. 1297წ. დავით VIII ყაზან-ყაენმა ურდოში იხმო. ვაზირთა რჩევის მიუხედავად, მეფე არ ეახლა მას, აჯანყდა და მომხრე ფეოდალებთან ერთად მთიულეთში გამაგრდა. დავით VIII-მ ყაზანის წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირი შესთავაზა ორქოს ურდოს ყაენს - მას თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი გაუგზავნა ელჩად და ირანში შესასევად უმოკლესი დარიალის გზის მიცემას დაჰპირდა. ამ კავშირის ჩაშლის მიზნით ყაზან-ყაენი შეეცადა დაზავებოდა დავით VIII-ს, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ყაზანმა ჯარები გამოგზავნა ურჩი ვასალის დასამორჩილებლად. როდესაც ამ გზითაც ვერაფერს გახდა, 1299წ. მეფედ დაამტკიცა დავით VIII-ის უმცროსი ძმა, შემდეგში გიორგი V ბრწყინვალე. მონღოლთა განუწყვეტელი შემოსევები ქვეყანას ანადგურებდა. დავით VIII-ის მომხრე მსხვილ ფეოდალთა უმრავლესობა დარწმუნდა, რომ ბრძოლის გაგრძელება უაზრო იყო და ყაენს დამორჩილდა. დავით VIII კვლავ მთიულეთში გამაგრდა და საქართველოს იმ მხარეებს არბევდა, რომლებიც ყაენის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. მალე დავით VIII თავის ძმას ვახტანგსაც გადაემტერა, ვახტანგი იძულებული გახდა ყაენს ხლებოდა. 1302წ. ყაენმა ვახტანგი საქართველოს მეფედ დაამტკიცა. დიდი სამხედრო ძალის მიუხედავად, მონღოლებმა ვერ შეძლეს მთიულეთში შესვლა, რამაც მათ ძლევამოსილებას სახელი გაუტეხა. მაგრამ მონღოლთა ლაშქრის ყოველწლიურმა თარეშმა აღმოსავლეთ საქართველო მთლიანად გააპარტახა. ბრძოლებს თან შიმშილი მოჰყვა, ქართლის მოსახლეობა სამცხეში გარბოდა.

188 დარეჯან დედოფალი (* დაახლ.1726-1807) – ქართლ-კახეთის დედოფალი, მეფე ერეკლე II-ს მესამე ცოლი (1750-დან), კაცია I დადიანის ასული. დარეჯანი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სამეფო ტახტზე თავისი შვილები დაემკვიდრებინა. ამ მიზნით ერეკლე II-ს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კანონიც კი მიაღებინა, რომლის ძალითაც გიორგის (ერეკლეს უფროსი ვაჟი მეორე ცოლისაგან) შემდეგ მეფობა მის უფროს ვაჟზე კი არა, ძმაზე - დარეჯანის შვილ იულონზე უნდა გადასულიყო (ეს წესი შემდეგ ერეკლე II-მ თვითონვე გააუქმა). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1803წ. დარეჯანი ოჯახის წევრებთან ერთად რუსეთში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ტაძარში.



დედოფალი დარეჯანი



ილია ჭავჭავაძე

189 **ილია ჭავჭავაძე** (1837–1907) - დიდი ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს 1861-1907წწ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ილიამ სიცოცხლეშივე მოიპოვა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის საერთო აღიარება, უღრმესი პატივისცემა და დაფასება, ხოლო მისი მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ თანდათან სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ბუმბერაზი მოაზროვნისა და მხატვრის ნამოღვაწარის, მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების მაღალი ღირებულება, იმ დიდმნიშვნელოვანი მისიის ჭეშმარიტი აზრი, რომელიც მან ქართველი ხალხის სულიერ და გონებრივ აღორძინებაში შეასრულა. დაკრძალულია თბილისში, საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 1987წ. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა: „ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნეს წმიდანად და ეწოდოს მას ილია მართალი".

190 **კავკასიის მეფისნაცვალი** – პირველად ეს თანამდებობა 1785წ. შემოიღეს. თავდაპირველად მეფისნაცვალი ერთდროულად ხელმძღვანელობდა ასტრახანის და კავკასიის გუბერნიებს. 1796წ. ეს თანამდებობა გაუქმდა. 1844-1883წწ. კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა ისევ აღადგინეს.

191 **ოტო იაკობ სიმონსონი** (1829-1914) - ხუროთმოძღვარი, აკადემიკოსი, თბილისში დამკვიდრებული არქიტექტორი. დაიბადა დრეზდენის სინაგოგის მცველის ოჯახში. განათლება მიიღო დრეზდენის სამხატვრო აკადემიაში. გარკვეულ ხანს იგი გერმანელ არქიტექტორ გოთფრიდ ზემპერის სახელოსნოში მუშაობდა. ახალგაზრდა სიმონსონმა მონაწილეობა მიიღო ლაიფციგის სინაგოგის მშენებლობაში. იგი თბილისში ჩამოვიდა 1858წ. მისი პროექტებით თბილისში მრავალი შენობა აშენდა, მათ შორის თბილისის სასამართლო პალატის, საოლქო სასამართლოს ყოფილი შენობები და თბილისის ობსერვატორიის მთავარი შენობა. მას თბილისში მრავალი კერძო და შემოსავლიანი სახლი აქვს აგებული.




შამილი

192 **შამილი** (1797-1869) - დაიბადა ავარიის სოფელ გიმრში. მამა, ყუმიხელი ამირხანის ჩამომავალი ყოფილა. მისი გვარი ცნობილია ვაჟკაცობით. სხვა ისტორიული ცნობით, რომელსაც შამილის ეპოქის არაერთი მეისტორიე დაბეჯითებით იმეორებს, შამილი, თითქოსდა, მეფე ერეკლე II-ს შვილიშვილი და ალექსანდრე ბატონიშვილის შვილია. იმამი შამილი კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი გახდა, როდესაც XIXს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმოებდა. წარმოშობით დაღესტნელი შამილის მიერ დაარსებულმა მოძრაობამ - მიურიდიზმმა დაღესტანი და ჩეჩნეთი რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისათვის გააერთიანა. შამილი თავის ბრძოლაში რელიგიურ, ადმინისტრაციულ და სამხედრო ძალაუფლებას იყენებდა. მისი ავტორიტეტი არც მაშინ შელახულა, როდესაც 1835-1836წწ. რუსეთის არმიასთან რამდენიმე სამხედრო მარცხი იწვნია, მაგრამ 1837წ. წარმატებით წარმოებულმა მომდევნო სამხედრო კამპანიებმა მას სახელი კვლავ გაუთქვეს. მისი გავლენა ვრცელდებოდა ჩეჩნეთსა და კავკასიის სხვა მუსულმანურ ქვეყნებშიც, სადაც მას "მთიელ არწივს" უწოდებდნენ. შამილის საბოლოო მიზანს სრულიად კავკასიის დაპყრობა და ისლამური რჯულის დამკვიდრება წარმოადგენდა, ხოლო ასეთი მუსულმანური სახელმწიფოს ცენტრი საქართველოს დედაქალაქი თბილისი უნდა ყოფილიყო. 1859წ. დაქანცული და უამრავ გასაჭირში მყოფი შამილი რუსებს დანებდა. იგი დაღესტანში, სოფელ გუნიბში ჰყავდათ, მაგრამ მალე იგი სანკტ-პეტერბურგში ხელმწიფე ნიკოლოზ მეორესთან შესახვედრად წაიყვანეს. ამის შემდეგ იგი მოსკოვის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ კალუგაში გადაასახლეს. მოგვიანებით მას უფლება მისცეს კიევში დასახლებუ-

ლიყო, სადაც რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ მდიდრული საცხოვრებელი მოუწყო. 1869წ. მას უფლება მიეცა მექაში მომლოცველად წასულიყო. იგი 1869წ. გარდაიცვალა მედინაში.

193 **კუკია** – შუასაუკუნეების ქალაქისპირა სოფელი. XVII-XVIII ს. ახალსოფლის სახელით გვხვდება ვახუშტის თბილისის 1735წ. გეგმაზე. თეიმურაზ ბატონიშვილი სახელს "კუკიას" ასეთ ახსნას აძლევს: "კუკია. გაკუკებული ანუ წამომჯდარი". XVIIIს. ბოლოს კუკია სადედოფლო სოფელი იყო. 1824წ. კუკია ჩულურეთთან ერთად თბილისს მიაკუთვნეს.

194 **ნიკოლოზ I** (1796—1855) - ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი, პოლონეთის ბოლო გვირგვინოსანკურთხი მეფე 1825-1830წწ. და რუსეთის იმპერატორი 1825-1855წწ., პავლე I–ს მესამე ვაჟი. ტახტზე ასვლა აღნიშნა დეკაბრისტების აჯანყების განადგურებით და მათი მეთაურების სიკვდილით დასჯით. ნიკოლოზ I–ს მეფობა აღინიშნა აბსოლიტური მონარქიის აყვავებისა და ბიუროკრატიული აპარატის არნახული გაძლიერებით, ყველგან ყაზარმული რეჟიმის დამყარებით. მისი მეფობის დროს გამოიცა "რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული". სახალხო განათლების დარგში დაწესდა წოდებრიობის მკაცრი პრინციპი ნიკოლოზ I სასტიკად ახშობდა ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას, აძლიერებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას.


ნიკოლოზ I

195 **ალექსი I** - ერისკაცობაში ალექსი ალექსის ძე ოპოცკი, შემდგომში არქიეპისკოპოსი. დაიბადა პსკოვის გუბერნიის პატარა ქალაქ ოპოჩკაში, ღვთისმსახურის ოჯახში. მან, როგორც მისმა ძმებმა, განათლება მიიღო პსკოვის სასულიერო სემინარიაში, სწავლა გააგრძელა სანკტ– პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში. სრული აკადემიური კურსის დამთავრების შემდეგ მას მიენიჭა თეოლოგის კანდიდატის წოდება. 1901წ. იგი ხდება საქართველოს ეგზარქოსი, ქართლის და კახეთის არქიეპისკოპოსი, მან ამ თანამდებობაზე დაჰყო 1905 წლამდე. საკუთარი სურვილით იგი 1910წ. პენსიაში გავიდა, თუმცა იგი რჩებოდა მოსკოვის დონის მონასტრის წინამძღვრად. იგი გარდაიცვალა 1914წ., დასაფლავებულია ამავე მონასტერში.


ალექსი I

196 **გიგო ზაზიაშვილი** – თვითნასწავლი ქართველი მხატვარი, დაიბადა 1868წ. თბილისში, ძველი სიონის უბანში, აბრების მხატვარ (ცალმკლავას) ივანე როსტომის ძე ზაზიაშვილის ოჯახში. 90-იან წლებშო გიგო ზაზიაშვილი ოჯახით ქუთაისში გადადის საცხოვრებლად, სადაც განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას, აქ იგი ქმნის ისეთ მეტყველ პორტრეტს, როგორიც „იუხანა მათხოვარია". გიგომ მოხატა წყალწითელას, სიმონეთის და სხვა ეკლესიების კედლები. 1907წ. გიგო ზაზიაშვილი მუშაობდა მხატვარ-კარიკატურისტად აკაკი წერეთლის იუმორისტულ გაზეთში „ხუმარა", ასევე თამაშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში „შიკრიკი„, „ეკალი", „თეატრი და ცხოვრება", „შუამავალი" და სხვ 1912წ. დონის როსტოვში გამართულ სამრეწველო და სასოფლო-სამეშოდგომო გამოფენაზე მისმა შესრულებულმა ზეთის ტილომ ოქროს მედალი და დიპლომი მიიღო გიგო ზაზიაშვილის პროფესიულ ზრდასა და დაოსტატებაში დიდი როლი ითამაშა ქართული ფერწერის კლასიკოსმა გიგო გაბაშვილმა. გაბაშვილი იმდენად აფასებდა გიგოს, რომ ხშირად მიყავდა თავის სახელოსნოში დასახმარებლად. როდესაც 1922წ. საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა შეიქმნა, გიგო ზაზიაშვილი უსასყიდლოდ, დიდი ენთუზიაზმით ჩაება გალერეისთვის ექსპონანტების


გ ზაზიაშვილი

შეგროვებისა და შეძენის საქმეში. მისი პირადი მონაწილეობით აღმოჩენილი და შეძენილია სპარსული მინანქარი, ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატები და სხვ. გიგო ზაზიაშვილმა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა პორტრეტების მთელი გალერეა შექმნა. მისი ნამუშევრები საქართველოს ბევრ მუზეუმში, აგრეთვე, რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული. ღრმად მოხუცებული გიგო ზაზიაშვილი 1952წ. საკუთარ სახელოსნოში გარდაიცვალა.

197 **ჯუზეპე (იოსებ) ბერნარდაჩი** თავის ძმასთან, ჯოვანისთან ერთად 1822წ. რუსეთის იმპერიაში მოღვაწეობდა. ძმებმა შეადგინეს პიატიგორსკის გენერალური გეგმა, რომელიც 1830წ. დამტკიცდა. 1829წ. ჯუზეპე ბერნარდაჩი იალბუზის დასაპყრობად შემდგარ სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობს. კავკასიაში ყოფნის დროს მან შეისწავლა და აზომა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები.



ალ.ბარიატინსკი

198 **ალექსანდრე ბარიატინსკი** (1815–1879) - კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1662წწ., მრავალწლიანი სამხედრო სამსახურის პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა მებრძოლმა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II–მ იგი კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნა. სამი წლის განმავლობაში მან მოახერხა მთელი სამხედრო ძალების მობილიზება და შამილის ტყვედ აყვანა, რისთვისაც მიიღო რუსეთის იმპერიის ფელდმარშალის უმაღლესი სამხედრო წოდება. 45 წლის ასაკში ფელდმარშალ ბარიატინსკის თავდავიწყებით შეუყვარდა ქართველი ქალი, რომელიც თავისი ადიუტანტის, პოლკოვნიკ დავიდოვის მეუღლე იყო. 1860წ. მან დატოვა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და ელიზავეტა ჯამბაკურ–ორბელიანთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა. მათ ერთად 20 წელი გაატარეს. ბარიატინსკი ჟენევაში გარდაიცვალა, ანდერძის თანახმად, იგი კურსკის გუბერნიის, სოფელ ივანოვოში, საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს.



ალექსანდრე II

199 **ალექსანდრე II** (1818-1881) - რუსეთის იმპერატორი 1855-1881წწ., ასევე პოლონეთის მეფე და ფინეთის დიდი მთავარი 1855-1881წწ. რომანოვების დინასტიიდან. ნიკოლოზ I-ის და პრინცესა შარლოტა პრუსიელის შვილი. პოლიტიკური შეხედულებებით კონსერვატორი იყო, მაგრამ ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ შექმნილმა საშინაო ვითარებამ და რევოლუციურ სიტუაციდან გამომდინარე, მან გააუქმა ბატონყმობა და საერობო სასამართლო. საგარეო პოლიტიკაში ალექსანდრე II გერმანული ორიენტაციის მომხრე იყო. რუსეთის გავლენის გასაძლიერებლად აღმოსავლეთში დაიწყო ომი ოსმალეთთან. მისი მეფობის დროს რუსეთმა შეიერთა ბათუმი. იგი იყო რუსეთის ჯარების გენერალ–ფელდმარშალი. მას მიენიჭა განმათავისუფლებელის ეპითეტი. რუსეთის ისტორიაში შევიდა როგორც ფართომასშტაბიანი რეფორმების გამტარებელი.



ალექსანდრე III

200 **ალექსანდრე III** (1845-1894) - რუსეთის იმპერატორი 1881-1894წწ.. პოლონეთის მეფე და ფინეთის დიდი მთავარი რომანოვების დინასტიიდან. ალექსანდრე II–ს და გერცოგ ლუდვიგ I–ის პირველი ქალიშვილის მეორე ვაჟი. მისი უფროსი ძმის, ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა ტახტის მემკვიდრე. მან იქორწინა დანიის მეფის ქრისტიან IX–ს ქალიშვილზე დაგმარაზე, რომელსაც შემდგომ მარია ეწოდა. ალექსანდრე III სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გატჩინოს სასახლეში გაატარა. საშინაო პოლიტიკაში მისი იდეალი იყო შეურყეველი თვითმპყრობელობა და თავადაზნაურების მდგომარეობის განმტკიცება. მან გააუქმა სულადი გამოსაღები, შეამცირა სავალდებულო გამოსასყიდი. საგარეო პოლიტიკაში მის დროს გაუარესდა რუსეთ–გერმანიის ურთიერთობა და რუსეთი საფრანგეთს დაუახლოვდა, რასაც საფრანგეთ–რუსეთის კავშირის შექმნა მოჰყვა. მას მიენიჭა განსაკუთრებული ეპითეტი – მშვიდობისმყოფელი.

201 რიპარი შრანსუა ქსავიე – ფრანგი არქიტექტორი. მოღვაწეობდა თბილისში 1820-იანი წლებიდან. მის მიერ აშენებული კლასიცისტური სტილის შენობები გადარჩენილი არ არის. როგორც სინოდალური კანტორის არქიტექტორს ფრანსუა რიპარს 1840-1853წწ. სხვადასხვა საეკლესიო ნაგებობათა – ხირსის, თბილისის სიონის, ალავერდის, სამთავისის, სამთავროს, წილკნის, შიომღვიმის ტაძრების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება და შეკეთებაც უხდებოდა.

202 ივანე პასკევიჩ-ერივანსკი (1782 –1856) - წარმოშობით უკრაინელი, სამხედრო მეთაური რუსეთის იმპერიის სამსახურში. 1826წ. მას დაევალა სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლი რუსული ჯარის ხელმძღვანელობა. მისმა ტაქტიკამ სპარსელების წინააღმდეგ გაამართლა, მან გაანადგურა სპარსელები ელიზავეტპოლთან და ერევანის განთავისუფლებისათვის მას მიენიჭა "ერივანის თავადის" წოდება. ომის პირველივე წელს გაათავისუფლა ყარსი, ახალქალაქი, ახალციხე, რისთვისაც მიენიჭა გენერალ ფელდმარშალის წოდება. უკვე თავად პასკევიჩ-ერივანსკის წოდებით იგი 1831წ. გააგზავნეს პოლონეთში, სადაც მიღწეული გამარჯვებებისათვის მის წოდებას დაემატა "ვარშავსკი". 1849წ., ავსტრიაში მიღწეული წარმატებებისათვის მას მიენიჭა ავსტრიის ფელდმარშალის წოდება. 1854წ. მძიმედ დაიჭრა და მას შემდეგ ბრძოლებში მონაწილეობა აღარ მიუღია.


ივ.პასკევიჩ-ერივანსკი

203 დიმიტრი ერმაკოვი (1846-1916) - თბილისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პროფესიონალი ფოტოგრაფი. 1880წ. დ.ერმაკოვი ხსნის თბილისში საკუთარ ფოტოატელიეს და წარმატებით მუშაობს მრავალ ჟანრში. იგი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში, სადაც იღებდა ქალაქების ხედებს, პეიზაჟებს, არქიტექტურულ ძეგლებს, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. 1910წ. მან იმოგზაურა სვანეთში, სადაც გადაიღო ცხრაასამდე ფოტო, რომელთა შორის მრავალი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლია. მის მიერ გადაღებულ ძეგლთა შორის ბევრი ამჟამად აღარ არსებობს. მათზე წარმოდგენა ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მხოლოდ მისი ფოტოსურათების მიხედვით. დ.ერმაკოვი გარდაიცვალა 1916წ. 10 ნოემბერს თბილისში, კუკიის სასაფლაოზე.


დ.ერმაკოვი

204 ოქროპირ ბატონიშვილი (1795-1857) - გიორგი XII-ის ძე, 1832წ. შეთქმულების აქტიური მონაწილე. შეთქმულთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ოცნებობდა საქართველოს ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს აღდგენაზე. XIXს. 20-იანი წლებიდან ცხოვრობდა პეტერბურგში და ქართველ ახალგაზრდობას პროპაგანდას უწევდა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. 1829წ. თბილისში ჩამოვიდა და შეთქმულების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად აჯანყების გეგმებს აწყობდა. ამ მიზნით მან იმოგზაურა აღმოსავლეთ საქართველოში. შეთქმულების გაცემის შემდეგ იგი კოსტრომაში გადაასახლეს.


ოქროპირ ბატონიშვილი

პომენტარები

205 გრიგოლ ივანოვი– თბილისის ქალაქის არქიტექტორი 1852-1857წწ., არქიტექტურის აკადემიკოსი. მან დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია. 1846წ. დაინიშნა ეკლესიების მშენებელ არქიტექტორად დასავლეთ გუბერნიებში. ხოლო 1852წ. თბილისის ქალაქის არქიტექტორად.ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ძირითადად, ასრულებდა საცხოვრებელი სახლების პროექტებს, თვალყურს ადევნებდა მშენებლობის წესების დაცვას და სხვ.

206 ხარფუხი - XIXს. სოფლად იხსენიება. თ.ბერიძის აზრით, სოფელი ხარფუხი XVIIIს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში წარმოიქმნა. სოფლის სახით ხარფუხს დიდხანს არ უარსებია. საქართველოს მთავარმართებლის გენერალ ერმოლოვის დროს, კერძოდ 1819წ. იგი თბილისს შეუერთეს.თაბორის მთის ძირში, გორხანის, თათრების სასაფლაოს ახლოს იყო საკულტო დანიშნულების ქვა, მასზე იყო მისვენებული ხატი. თბილისის ქრისტიან მოსახლეობას, ძირითადად, ქალაქის ძველუბნელებს, სურდომეყრილი, ყივანახველით დაავადებული ანდა გაციებული ბავშვები ამ ხატთან მიყავდათ. მლოცველებს შესაწირავად თან მიჰქონდათ ქსოვილისაგან შეკერილი თოჯინა, რომელსაც მხარზე პატარა ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული, ხოლო ხურჯინის ჯიბეებში შაქრის ნატეხი ელაგათ, ამით ცდილობდნენ წმ.ხატის გულის მონადირებას და ბავშვის განკურნებას. თ.ბერიძის აზრით, სახელი–ხარფუხი წარმოიშვა ამ სალოცავი ქვიდან, რომელიც სომხურ ენაზე სურდოს ნიშნავს. ი.გრიშაშვილის აზრით კი – სიტყვა "ხარფუხი" წარმოდგება ქარბუქიდან, ან ხარპუტიდან, რაც ციხეს ნიშნავს.



აზალცმანი

207 ალბერტ ზალცმანი (1833 -1897) - თბილისელი არქიტექტორი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აღზრდილი და ამავე აკადემიის აკადემიკოსი. მისი პროექტით თბილისში ბევრი შენობა აშენდა. თბილისში ააშენა „დიდების ტაძარი", იგი გოლოვინის პროსპექტზე მდგარი მრავალი სხვა შენობის ავტორი იყო. მანვე ააშენა ქალთა გიმნაზიის შენობა, კავკასიის მუზეუმის კლასიცისტურ–რენესანსული სტილის ერთსართულიანი შენობა, საჯარო ბიბლიოთეკის ერთსართულიანი შენობა, სასტუმრო „ორიენტი", ხელმძღვანელობდა თბილისის ოპერის თეატრის მშენებლობას.




ალ.ყაზბეგი

208 ალექსანდრე ყაზბეგი (1848–1893) - ქართველი მწერალი. ალექსანდრე ყაზბეგი აღიზარდა სტეფანწმინდაში, ხევის მმართველის მიხეილ გაბრიელის ძე ჩოფიკაშვილისა (ყაზბეგის) და ელისაბედ თარხნიშვილის ოჯახში. მშობლებმა მიაბარეს თბილისში ჯერ ჰაკეს (1859), შემდეგ კანონიჩის (1862) პანსიონში. 1863-იდან სწავლობდა კლასიკურ გიმნაზიაში, 1867–1870წწ. - მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნებულმა ხელი მიჰყო მწყემსობას, რამაც მისი ახლობლობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 1879 წლამდე მეცხვარედ იყო და ზედმიწევნით გაეცნო მოხევეთა ყოფას, გლეხი ხალხის სატკივარს, მეფის ხელისუფალთა და ხალხის ურთიერთობას (ეს პერიოდი ასახა მოთხრობაში "ნამწყემსარის მოგონებანი", 1883). 1879 წლიდან თბილისში ცხოვრობდა. დაკრძალულია სტეფანწმინდაში.

209 **თედო სახოკია** – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი. 1884წ. თედო სახოკია სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მოსწავლეთა არალეგალურ წრეში მონაწილეობისათვის. მან სწავლა განაგრძო ჯერ ჟენევის, შემდეგ კი პარიზის სორბონის უნივერსიტეტში. თედომ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1888წ. ჟურნალ "ივერიაში". 1900წ. ის შევიდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში. მწერალი ბევრს მოგზაურობდა. 1901წ. რომში თანამშრომლობდა მიხეილ თამარაშვილთან, 1902 წ. კი საფრანგეთში მყოფი ქართველების არალეგალური გაზეთის "საქართველოს" თანარედაქტორი იყო. ამავე პერიოდში ის აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან ("დროება", "სახალხო გაზეთი", "ნოვოე ობოზრენიე", "კავკაზი"). თედო სახოკია რევოლუციის დასახმარებლად უცხოეთიდან საქართველოში იარაღის ჩამოტანის ბრალდებით დააპატიმრეს და 1908წ. ციმბირში გადაასახლეს, თუმცა მან გაქცევა და უცხოეთში წასვლა მოახერხა. 1916წ. ის საბოლოოდ ჩამოვიდა სამშობლოში, სადაც აქტიურად იღვწოდა ლიტერატურულ და პედაგოგიურ სარბიელზე. ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის უდიდესი შენაძენია თედო სახოკიას თარგმანები: ბოკაჩოს "დეკამერონი", ბარბიუსის "ცეცხლი", ვაზოვის "დამონებულნი", ასევე მოპასანის, ვოლტერის, ზოლას, დოდეს, მირბოს, ანდერსენისა და სხვათა თხზულებები. აღსანიშნავია ისიც, რომ სახოკიამ შეკრიბა და გამოაქვეყნა "ქართული ანდაზები", "ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი" და სხვ.


თ.სახოკია

210 **დიმიტრი ყიფიანი** (1814–1887) - ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური. 2007წ. საქართველოს საპატრიარქომ დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შეარაცხა. 1830წ. დ.ყიფიანმა დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი და იქვე დაინიშნა მასწავლებლად. 1832წ. შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ვოლოგდაში გადაასახლეს. აქ გუბერნატორის კანცელარიაში განაწესეს (1835). 1837წ. ის საქართველოში დაბრუნდა. ამ დროიდან 1864 წლამდე მსახურობდა მთავარმართლებლის კანცელარიაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1862 წლამდე მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, 1859-1867წწ. სამეგრელოს მთავრის ქონება-მამულის მეურვე. 1864-1870წწ. თბილისის გუბერნიის, ხოლო 1885-1886წწ. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. მონაწილეობდა საგლეხო რეფორმის პროექტის შედგენაში; სათავეში ედგა ქართველი თავადაზნაურობის ლიბერალურ ფრთას. 1876-1879წწ. იყო თბილისის ქალაქისთავი. 1886წ. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) ქართველი ერი დასწყევლა. ყიფიანმა მას საპროტესტო წერილი გაუგზავნა და საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო თანამდებობიდან გადააყენეს და იმავე წელს სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ღამით მძინარე მოკლეს. ქართულ საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ მკვლელობა რუსეთის პოლიციის აგენტებმა ჩაიდინეს. აკაკი წერეთელი წერდა, „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს". დაკრძალულია მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.


დ ყიფიანი

211 **ვასილ კარბელაშვილი** - საოჯახო განათლების მიღების შემდეგ ყმაწვილმა ვასილ კარბელაშვილმა გორის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა. სწორედ აქედან შეიგრძნო სწავლის ძირის სიმწარე: „... როზგისათვის წკეპლებს ჩვენვე გვაზიდინებდნენ ლიახვის ჭალიდან და დღეში ორჯერ და სამჯერ ვიწკეპლებოდით ხოლმე." - ვკითხულობთ მის მოგონებებში. სიყმაწვილის



კარბელაშვილები

წლებში ვასილი ძმებთან ერთად სოფლის ყოველდღიურ სამუშაოსაც ასრულებდა. ძმების ცხოვრება ისეთივე სადა და უბრალო იყო, როგორც ყოველი გლეხისა. მშობლებმა იგი სოფლის ყოველგვარ სამუშაოს შეაჩვიეს, მაგრამ შრომასთან ერთად, მათთვის სწავლა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. კარბელაშვილების ოჯახში შექმნილი საუკეთესო გუნდი ხშირად ატკბობდა მლოცველებს ტაძარში, როდესაც მამა გრიგოლი მწირველი მღვდელი იყო.მგალობელი ძმების დებიუტი 1864წ. შედგა, როდესაც ვასილი ექვსი წლისა იყო. საზეიმოდ თავმოყრილ საზოგადოების წინაშე 1 მაისს ცხვილოს ციხის ახლოს, სამი ძმა: ანდრია, პოლიევქტოსი და ვასილი გამოსულან ხალხური სიმღერების შესრულებით: „ყურშაო", „ვინცა კაცია", „ღიღინი", „გვიბრძანე", „ზამთარი", „თამარ მეფე", „შავლეგო", „ესო მესო" და სხვ. ზეიმზე მთელი საამილახვრო და საერისთავო ყოფილა თავშეყრილი, სადაც ძმებს დიდი მოწონება დაუმსახურებიათ. 1867წ. 9 წლის ვასილი ძმებთან ერთად მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს სასწავლებლად. ძმებმა ამხანაგების დახმარებით თბილისის სამინარიიდან დაიწყეს ქართლ-კახური სიმღერა-გალობის გავრცელება.



მ.თუმანიშვილი

212 **მიხეილ თუმანიშვილი** (1921-1996) - ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1949წ. დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. მუშაობდა რუსთაველის თეატრში მთავარ რეჟისორად. იყო საქართველოს ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთავარი რეჟისორი, კინოსტუდია "ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნოს მთავარი რეჟისორი, თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, პროფესორი. თუმანიშვილის დადგმები გამოირჩევა მკაფიო თეატრალური ფორმით, ემოციურობით, ლაკონიზმით, დახვეწილი გემოვნებით, მაღალი პროფესიული კულტურით. თუმანიშვილმა თავისი შემოქმედებითი გამოცდილება განაზოგადა წიგნში „სანამ რეპეტიცია დაიწყება" და რიგ საჟურნალო ნარკვევებში.



ზინობი მაჟუგა

213 **მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა** - ერისკაცობაში ზაქარია მაჟუგა დაიბადა 1896წ. ჩერნიგოვის გუბერნიის ქალაქ გლუხოვოში. ვინაიდან ზაქარია ობოლი იყო, ნათესავებმა ის გლინსკის უდაბნოს "შრომისმოყვარეობის სახლში" გააგზავნეს. მონასტრის სიახლოვემ გადააწყვეტინა მას ბერად აღკვეცილიყო. 1912წ. ზაქარია მორჩილი გახდა. მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ზაქარია და სხვა ახალგაზრდა მორჩილები ჯარში გაიწვიეს. დემობილიზაციის შემდეგ იგი ისევ გლინსკის უდაბნოში დაბრუნდა. 1917წ. იგი ბერად აღიკვეცა ზინოვის სახელით. 1922წ. უდაბნოს მონასტერი დახურეს. იგი საქართველოში ჩამოვიდა, მსახურობდა სოხუმში, მაგრამ ბოლშევიკების შევიწროების გამო იძულებული გახდა თავი შეეფარებინა აფხაზეთის მთებისათვის. ბოლშევიკებმა შეიტყვეს ამ არალეგარული მონასტრის არსებობა და ისიც დაარბიეს. მამა ზინობი იძულებული იყო ბერძნული სოფლისათვის შეეფარებინა თავი, სადაც კერვით ირჩენდა თავს. საქართველოს ხელისუფლებამ ის მაინც გააძევა ქვეყნიდან და იგი შემდეგ როსტოვში მსახურობდა. ხუთი წლის შემდეგ მან შეძლო საქართველოში დაბრუნება და მსახურება გააგრძელა მცხეთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, შემდეგ კი ბათუმში. 1950წ. იგი ხდება თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი. 1956წ. აყვანილ იქნა ეპისკოპოსის რანგში. 1960წ. საქართველოს პატრიარქმა ეფრემ I–მა მას თეთრიწყაროს ეპარქია ჩააბარა. იგი მრავალი წლის განმავლობაში დამაკავშირებელი იყო ქართული და რუსულ ეკლესიებს შორის. მამა ზინობიმ აღკვეცა ირაკლი შიოლაშვილი ბერად და მანვე უწინასწარმეტყველა, რომ იგი გახდებოდა საქართველოს პატრიარქი ილია II.

214 **ვიტალი სიდორენკო** (1928–1992) - მამა ვიტალი კრასნოდარის მხარეში დაიბადა. მერვე დღეს ტაძრად მიყვანისას მოძღვარმა წესისამებრ იგი საკურთხეველში შეიყვანა. საოცარი მადლი გარდამოვიდა ჩვილისგან. გადმოგვცემენ, რომ ნათლობისას ყრმა ემბაზში ფეხზე იდგა და იღიმებოდაო, ხორცის ჭამა სულ პატარას აუკრძალავს, ხოლო ოთხშაბათ-პარასკევს რძესაც არ აკარებდა პირს. კითხვა რომ უსწავლია, მისი საყვარელი წიგნი წმ.სახარება გამხდარა. ზარების რეკვას რომ გაიგებდა, სამუშაოს მიატოვებდა და ტაძრისკენ გარბოდა. მეშვიდე კლასში ყოფილა, რომ ნეკრასოვის „რკინიგზის" წაკითხვა უთხოვიათ, მას კი ასე წაუკითხავს: „სამყაროს მართავს მეფე დაუნდობელი. ეს მეფე სტალინიაო". მის რელიგიურ „დანაშაულს" პოლიტიკურიც მიემატა და სკოლიდან გარიცხეს. 16 წლის ვიტალიმ საბჭოთა პასპორტი დახია, რადგან მხოლოდ ზეცის მოქალაქეობა სურდა. ერთხანს წმიდა სერგის ლავრაში ცხოვრობდა, ომის შემდეგ რომ გაიხსნა, მაგრამ იქ მისი უსაბუთოდ გაჩერება არ მოხერხდებოდა, ამიტომ მამებმა გლინის უდაბნოში წასვლა ურჩიეს. მერე მისი გლინის უდაბნოში დამალვაც გაჭირდა და მოძღვრის კურთხევით ტაგანროგში გადავიდა. იქ გარს შემოიკრიბა მორწმუნენი, რომლებიც მერე მისი სულიერი შვილები გახდნენ. ხშირად იჭერდნენ, სცემდნენ, შეურაცხყოფდნენ. ამ შეჭირვებაში ტუბერკულოზი დაემართა. მამებმა ვიტალი ბერად აღკვეცეს და აფხაზეთის მთებში გაუშვეს. იმხანად იქ მრავალი ბერი მოღვაწეობდა. მილიციამ რამდენჯერმე დაარბია იქაურობა. ბერებმა აკურთხეს მამა ვიტალი და ისიც თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, სადაც იმხანად მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა მოღვაწეობდა. ვიტალიმ ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაიწყო მსახურება. 1976წ. მღვდლად აკურთხეს. მეუფე ზინობის კურთხევით მოიხსნა ჯაჭვები, რომელსაც ჩვიდმეტი წელი ფარულად ატარებდა. დიდუბეში, ერთ პატარა ქოხში დასახლდა. მიტროპოლიტ ზინობის კურთხევით შეეძლო აქვე შეეწირა უსისხლო მსხვერპლი ან მონაზვნები აღეკვეცა. მალე მისი სახლი მონასტრად იქცა. მთელი ქვეყნიდან მოდიოდნენ მასთან ნუგეშის მისაღებად. მასთან შესვლისას „ღირს არსს" ილოცებდი და მოძღვარს კურთხევას სთხოვდი, ის კი პასუხად მუხლს მოიდრეკდა შენს წინაშე, ხელზე გეამბორებოდა და აქეთ გთხოვდა კურთხევას. შემდეგ დაგსვამდა, თვითონ იატაკზე მოირთხამდა ფეხს და საათობით იჯდა გაუნძრევლად, გისმენდა, მერე წიგნს აიღებდა და მამათა ნაწერებს გიკითხავდა. ცხოვრებაზე მოწუწუნეს ანუგეშებდა. სიკვდილის წინ ერთი ნუგეშის სიტყვა დაუტოვებია: „მოდით ჩემს საფლავთან, თქვენს გასაჭირზე მომიყევით, როგორც ცოცხალს და დაგეხმარებითო", - ამიტომაც არის, რომ ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში, საკურთხევლის წინ, მის საფლავზე არასოდეს წყდება მლოცველთა დენა. ისიც მრავალს შეეწევა, მრავალსაც გამოცხადებია და ნუგეში უცია.



მამა ვიტალი

215 **მიხეილ რომანოვი** (1832—1909) - დიდმთავარი, რუსეთის არმიის გენერალ – ფელდცეხმაისტერი. რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის მეოთხე შვილი. მას მოფერებით – ძია მიხის ეძახდნენ. 1862-1881წწ. კავკასიაში მეფინაცვალი, ასევე კავკასიის არმიის მთავარსარდალი იყო. 1903წ. იგი ჯანმრთელობის გამო ჩამოცილდა სახელმწიფო საქმეებს და საცხოვრებლად გადავიდა სამხრეთ საფრანგეთში, თავის ვილაში კანში.



მ.რომანოვი

კომენტარები

216 ზუბალაშვილები – ქართველი მრეწველები და ვაჭრები. მათი წარმომადგენლები ქართულ საისტორიო საბუთებში XVIIს. 80-იანი წლებიდან გვხვდებიან. შემდგომში ისინი ფართოდ ებმებიან ვაჭრულ-ხელოსნურ და კულტურულ საქმიანობაში. ბევრმა მათგანმა კათოლიკობა მიიღო. ვახტანგ VI-ის დროის მოღვაწე მღვდელი გიორგი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი, მწიგნობარი და ქართული სტამბის გახსნის მონაწილე იყო. შემდეგში ვახტანგს გაჰყვა რუსეთში.

ერეკლე II-ის დროს მოღვაწე რომანოზმა კარგად იცოდა სასტამბო საქმე, ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ იმერეთში გადასახლდა და იქ განაგრძო წიგნების ბეჭდვა (1811 წლამდე). მისი საქმიანობა გააგრძელეს მისმა შვილებმა დავითმა და გიორგიმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებასთან დაკავშირებით ზუბალაშვილები დაწინაურდნენ.

ფართო ვაჭრობას ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთში, ირანსა და ინდოეთში სტეფანე ზუბალაშვილი. 1808წ. იგი ინდოეთში მცხოვრებ სომეხ და ქართველ ვაჭრებს დაუახლოვდა და 1815წ. იქ დასახლდა საცხოვრებლად.

XIXს. 20-იან წწ. სავაჭრო საქმიანობაში დაწინაურდნენ დავითი, გრიგოლი და მიხეილი, რომლებმაც რუსეთში გააჩაღეს ვაჭრობა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დიდმა ვაჭარმა და მრეწველმა იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილმა (1792-1864). მას არყის სახდელი ჰქონდა ქუთაისში და მის მიდამოებში. 1837 წ. თბილისში საფუძველი ჩაუყარა ამხანაგობას, რომელმაც დააარსა ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა. ქარხნის მაქსიმალურმა ბრუნვამ 186 ათ. მანეთს მიაღწია. აქ 50 დაქირავებული მუშა და 10-ზე მეტი ოსტატი და ზედამხედველი მუშაობდა. ქარხანამ 7-8 წელი იარსება და დაიხურა უმთავრესად რუსეთიდან შემოტანილი შაქრის კონკურენციისა და ადგილობრივი ნედლეულის უქონლობის გამო.

60-70-იან წწ. ცნობილი იყო კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი (1828-1901), რომელმაც დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი, შევიდა სამხედრო სამსახურში და მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში. 1850წ. მიიღო შტაბის კაპიტნის წოდება. 1856წ. ავადმყოფობის გამო თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ხელი მიჰყო კომერციას. ფინანსურ დახმარებას უწევდა კათოლიკურ და ქართულ სკოლებს, გაზეთებს.

სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილების მიერ გაღებული თანხით აშენდა თბილისში "სახალხო სახლი" - ქართული თეატრის შენობა, თავადაზნაურთა გიმნაზიის შენობა, კათოლიკური ეკლესია ბათუმში, ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთსა და უცხოეთში.



ისიდორე

217 ისიდორე (1799-1892) - ერისკაცობაში იაკობ ნიკოლსკი, რუსი მართლმადიდებელი მწერალი, ბიბლიის სინოდალური თარგმნის ერთ–ერთი მოქმედი მონაწილე. დაიბადა ტულაში, სასულიერო პირის ოჯახში, განათლებაც ტულის სასულიერო სემინარიაში მიიღო, სადაც სწავლის დამთავრების შემდეგ დატოვეს სამუშაოდ. მას მინიჭებული ჰქონდა დოქტორის წოდება. 1844-1856 წლამდე იგი საქართველოს ეგზარქოსის ფუნქციებს ასრულებდა. მან 13 წელი იმსახურა საქართველოში, რისთვისაც 1845წ. მიიღო წმ.ვლადიმერის ორდენი, ხოლო 1850წ. ბრილიანტის ჯვარი. 1856წ. მას მიენიჭა მიტროპოლიტის წოდება.

218 **ფლავიანე** - ერისკაცობაში ნიკოლაი გოროდეცკი, დაიბადა 1841წ., საეკლესიო მწერალი. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ ბერად აღიკვეცა. შეისწავლა ჩინური ენა და ხელმძღვანელობდა ჩინეთის მისიას. 1898-1901წწ. იყო საქართველოს ეგზარქოსი. 1901წ. გადაიყვანეს ხარკოვის არქიეპისკოპოსად.



ფლავიანე

219 **იოჰან დიცმანი** (1878-1923) - გერმანელი სამოქალაქო ინჟინერი, ბათუმელი მეორე გილდიის ვაჭრის ვაჟი, 1899 წ. თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იმპერატორ ნიკოლოზ I სამოქლაქო ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ X კლასის ჩინის ინჟინერის წოდება მიიღო. წმ.ელისაბედის წითელი ჯვარისა და იმპერატორ ნიკოლოზ II წმ.სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი, ტიტულარული მრჩეველი იოჰან დიცმანი კავკასიაში აღმშენებლობითი სამუშაოების კარგად წარმოების გამო დაჯილდოვდა. ი.დიცმანი სამშენებლო სამუშაოებისას ხარაჩოზე დაიღუპა. მისი აშენებული სამშობიარო სახლი თარხნიშვილის ქუჩაზე მდებარეობს.



ი.დიცმანი

220 **პალადი** (1827–1898) - ერისკაცობაში პავლე რაევი. დაიბადა ნიჟეგოროდის ეპარქიის მღვდლის ოჯახში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. სწავლა გააგრძელა ყაზანის სასულიერო სემინარიაში. 1861წ. დაქვრივების შემდეგ ბერად აღიკვეცა. მალევე იგი აიყვანეს არქიმანდრიტის წოდებაში. იყო სანკტ–პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი. 1887წ. იგი საქართველოს ეგზარქოსია. საქართველოში მან რესტავრაცია ჩაუტარა საეკლესიო ისტორიულ ძეგლებს, დააარსა საეკლესიო ჟურნალი "გრუზინსკი ვესტნიკ".

221 **ვლადიმერი** (1848-1918) - ერისკაცობაში ვასილი ბოგოიავლენსკი, საეკლესიო მწერალი და მქადაგებელი, აყვანილია წმინდანის რანგში. დაიბადა ტამბოვის გუბერნიაში, მღვდლის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ტამბოვში, ხოლო უმაღლესი განათლება კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც მას მიენიჭა ღვთისმეტყველის კანდიდატის წოდება. 1892წ. იგი დაინიშნა ქართლის და კახეთის არქიეპისკოპოსის და საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობაზე. მისი საქართველოში ყოფნის პერიოდში ამენდა ასზე მეტი ტაძარი და სამასამდე ეკლესიასთან გაიხსნა სამრევლო სკოლა. კავკასიაში ხოლერის მძვინვარების დროს თბილისის ეკლესიებთან გაიხსნა უფასო სასადილოები ღატაკებისათვის. 1895წ. იგი დააჯილდოვეს ბრილიანტის ჯვარით. 1898წ. ის მოსკოვში გადაიყვანეს.



ვლადიმერი

კომენტარები



რ.გედიკე

222 **რობერტ გედიკე** (1828-1910) – არქიტექტორი, პროფესორი, რუსეთის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, ალექსანდრე ბრიულოვის მოწაფე.




223 **ნიკოლოზის ჯვარი** - 1896 წელს გამოცემულ ბროშურაში „Тифлисъ и его окрестности" ვკითხულობთ, რომ „...მდ. ვერეს ხიდზე გამავალი საქართველოს სამხედრო გზა გადის ქალაქის იმ ნაწილში, რომელსაც ასევე ვერა ეწოდება. შემდეგ ეს გზა ციცაბო აღმართზე ადის, რომლის ერთ–ერთ შესახვევში კვარცხლბეკზე აღმართულია ჯვარი წარწერით 1837 წელს იმპერატორ ნიკოლოზის თბილისიდან გასვლისას ეკიპაჟიდან გადმოვარდნის დროს მისი გადარჩენის აღსანიშნავად».



ინოკენტი

224 **ინოკენტი** (1862–1913) - ერისკაცობაში ივანე ბელიაევი, სასულიერო მწერალი და მქადაგებელი. დაიბადა ვლადიმერის ეპარქიის მღვდლის ოჯახში. განათლება მიიღო ვლადიმერის სასულიერო აკადემიაში, შემდეგ ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც მას მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის წოდება. 1909წ. იგი ინიშნება ქართლის და კახეთის არქიეპისკოპოსის და საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობაზე. 1910წ. იგი დააჯილდოვეს ბრილიანტის ჯვრით.

კომენტარები



გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები. თბ. 1978.

ალექსიძე ზ. საქართველო-სომხეთის დიპლომატიური ურთიერთობა VI-VII სს-ში. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი, N2, 1996.

აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ. 1963.

აფრასიძე გ. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს.). თბ. 1984.

ახალშენიშვილი დ. დიმიტრი ზაქარაიას ძეს ბაქრაძეს. დროება, 1878 (2 სექტ.), N177,

ერეკლე II-სადმი მიძღვნილი ლექსის ტექსტი მეტეხის ტაძრის კედელზე.

"ახალი სამხედრო ტაძარი..". ივერია,1897 (2 აპრ.), N63.

არველაძე ბ. "სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!. თბ. 1996.

არველაძე ბ. ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება... თბ. 2006.

ბერიძე ვ. XVIIIს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით. თბ. 1947.

ბერიძე ვ. XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება. თბ. 1994.

ბერიძე ვ. ძველი ქართველი ოსტატები. თბ. 1967

ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლებში. ტ. II, თბ. 1962.

ბერიძე ვ. თბილისის "მეტეხი". თბ.1969.

ბერიძე ვ. ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები. თბ. 1956წ.

ბერიძე ვ. XVI-XVIIIსს. ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. 1983.

ბერიძე ვ. თბილისის მეტეხი. –"მეგზური", თბ. 1969.

ბერიძე ვ. თბილისის "ლურჯი მონასტერი", ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II.- 1947.

ბერიძე თ. ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან. ცისკარი, 1975, N 12.

ბერიძე თ. ძველი თბილისის მიკროტოპონიმიკიდან (დიდუბე). მნათობი, 1971, N8.

ბერიძე თ. ...და აღმოცენდა თბილისი. თბ. 1977.

ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბ. 1978.

ბერიძე თ. ძველი თბილისის სურათები. თბ. 1980.

ბარდაველიძე ნ. კათოლიკური ეკლესია საქართველოში. თბ. 2004.

ბარდაველიძე ნ. ეკუმენიზმის საზღვრები. თბ. 2006.

ბერძენიშვილი ნ., ბერძნიშვილი მ. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. თბ.1962.

ბულია მ., ჯანჯალია მ. საქართველოს ძველი ქალაქები. თბ. 2002.

ბოსტანაშვილი შ. სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში. თბ. 1998.

ბოსტანაშვილი შ. საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნე. თბ. 1998.

ბერძნიშვილი მ. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში. თბ. 1965.

ბალახაშვილი ი. ძველი თბილისი. თბ. 1956.

ბერძნიშვილი მ. თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში. თბ. 1965.

ბაბუნაშვილი ზ, ნოზაძე თ. მამულიშვილთა სავანე. თბ. 1995.

ბალახაშვილი ი. ძველი თბილისი. თბ. 1981.

გაბაშვილი ვ. თბილისი XVI-XVII სს. აღმოსავლურ წყაროებში. თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, ტ. 99, 1962.

გამსახურდია თ. თბილისის ციხის უძველესი სახელწოდებისათვის. მნათობი, 1968, N4.

გენგიური ნ. კუპელჰალე. თბ. 2005.

გვრიტიშვილი დ., მესხია შ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა. თბილისის ისტორია. თბ. 1958.

გრიშაშვილი ი. თბილისის ისტორიისათვის. ლიტერატურული ნარკვევები, თბ. 1957.

გრიშაშვილი ი. საიათ-ნოვა. ტფ. 1918.

გრიშაშვილი ი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტფ. 1927.

გაბაშვილი ვ. თბილისი 1089-1122 წლებში. ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, 1973.

"გუშინ, ამ თვის 12-ს მეტეხის ციხეში..". ივერია, 1890-N1213, გვ.1.

გრძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ახალი ძეგლები თბილისიდან. შრომები (ისტ. ინსტ.) ტ. 5, ნაკვ. 1,- 1960.

გენგიური ნ. საქართველოსა და სომხეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ზოგიერთი თავისებურება. კავკასიის მაცნე, 2004. N9.

გუნია ი. თბილისის მართლმადიდებლური ტაძრები. თბ. 2001.

გუნია ი. მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები. თბ. 2002.

გოცირიძე გ. მუსლიმანური დღესასწაული "მოჰარამი" თბილისში. თბ. 1988.

გაბაშვილი მ. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1981.

გოზალიშვილი დ. თბილისის შემოგარენი. თბ. 1976.

გვრიტიშვილი დ., მესხია შ. თბილისის ისტორია. თბ. 1952.

გაბაშვილი მ. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1981.

გერსამია თ. ძველი თბილისი. თბ. 1984.

გვრიტიშვილი დ. თბილისის თავგადასავალი. თბ. 1991.

გურგენიძე ვ. კათოლიკობა საქართველოში. კრიტიკა 1990, N4.

გურგენიძე ვ. ქართველი გრიგორიანები. მნათობი, 1990, N10.

დავლიანიძე ლ. ხაზართა ლაშქრობა თბილისსა და ალბანეთში მოსე კალანკატუელის "ალბანთა ისტორიის" მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. I, 1965.

დიონიჯო ჰ. თბილისის აღწერა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 29. თბ. 1951.

დონდუა დ. სამი სურათი ძველი თბილისის ცხოვრებიდან. მნათობი, 1957, N9.

ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები. თბ. 1988.

ზაქარაია პ. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIIIსს. თბ. 1990.

თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან. თბ. 1995.

თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ. 1902.

თამარაშვილი მ. პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას. თბ. 1904.

თბილისი (რედ. ვ ჯაოშვილი). თბ. 1989.

თბილისის ისტორია, ტ. I, თბ. 1990.

თბილისი [გამომც. მარინე ბულია და მზია ჯანჯალია] – თბ. 2002.

თბილისი-საქართველოს დედაქალაქი. ავტ. – შემდგ. ლია შალვაშვილი. თბ. 2004.

თოფჩიშვილი რ. ეთნოისტორიული ეტიუდები. თბ. 2005.

თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნიკური კულტურის საკითხები. თბ. 2008.

კარბელაშვილი მ., კინწურაშვილი ს., ჯანბერიძე ნ. თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. თბ. 1958.

კაშმაძე შ. ზაქარია ფალიაშვილი. თბ. 1947.

კაკაბაძე ს. ტფილისის მოსახლეობის აღწერის ნუსხა 1780-1781წწ. საისტორიო მოამბე. თბ.1925წ.

კაკურია შ. ქ.თბილისის მოსახლეობა 1803-1970წწ. თბ. 1979.

კვარაცხელია ი. ხის ეკლესიები საქართველოში ძეგლის მეგობარი. 2000. N21(109).

კარბელაშვილი პ. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, ტფ. 1902.

კაკაბაძე ს. ქ. ტფილისის აღწერა 1803წ. საისტორიო მოამბე, 1925, წ. II.

კვირკველია თ. თბილისის არქიტექტურა, თბ. 1982.

კვირკველია თ. ძველთბილისური დასახელებანი. თბ. 1985.

კვირკველია თ. ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში. არქ. გზამკვლევი, თბ.1989.

ქრისტოფორე დე პასტელი. ცნობები და [ჩანახატების] ალბომი საქართველოს შესახებ. თბ. 1976.

კუტალია გ. ლუთერანობა საქართველოში. სკოლა და ცხოვრება. 1990, N12.

პ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი. კრებული, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წ. 1, 1935.

ლორთქიფანიძე მ. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოლდებილი). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ. 1954.

ლორთქიფანიძე მ. თბილისის ციხე. თბ. 1955.

ლომთათიძე გ. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. თბ. 1945.

ლომთათიძე გ. თბილისის დედაციხის არქეოლოგია. ძეგლის მეგობარი, 1971, N25.

ლომაშვილი ჯ. რატომ ქვია თბილისის ციხეს "ნარიყალას ციხე". მნათობი, 1968, N9.

ლომოური ნ. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, III საუკუნეში და IVს. დასაწყისში. თბ. 1975.

ლომსაძე შ. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. თბ. 1984.

"მეტეხის ციხის ძირში.." ივერია, 1898 (25 სექტ.), N206, გვ.2. ცნობა წმინდა შუშანიკის, წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის სახელობის ნიშის აგების შესახებ.

მელიქსეთ-ბეგი ლ. მასალები ტფილისისა და "სომხითის" ისტორიისათვის. ჩვენი მეცნიერება, 1923, N1.

მელიქსეთ-ბეგი ლ. თბილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის. თსუ მოამბე, IV, 1924.

მანჯგალაძე გ. სექტანტური მოძრაობა ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებში. რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, ნაკვ. 1, 1968.

მანჯგალაძე გ. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბ. მეცნიერება, 1974.

მშვენიერაძე. დ. საქართველოს უძველეს გამოქვაბულთა ნაგებობანი. დროშა.1954- N5.

მესხია შ. საისტორიო ძიებანი. III ტომი.

მანია მ. ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ. 2006.

მამისთვალიშვილი ე. ქართველ ებრაელთა ისტორია. თბ. მეცნიერება, 1995.

მაჯდ-ოს -სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა. თბ. 1971.

მეტრეველი რ. ებრაელები საქართველოში. თბ. 2003.

მეტრეველი გ. კათოლიკე მისიონერები საქართველოში. დროშა, 1982.

მაისურაძე გ. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები IV-XVIIIსს. თბ. 1999.

მაისურაძე გ. ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში. თბ. 2002.

მაისურაძე რ. ლუთერანები საქართველოში. საქართველო – ჰუმანიტ. მეცნ. ჟურნალი. 1998, N3.

მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. თბ. 1984.

მაჭარაშვილი ნ. აღწერა მთა-წმიდის ეკლესიისა და წმ.მამა დავითის ცხოვრებისა. ტფ., 1895.

მეფისაშვილი გ., იაკობაშვილი ს. საქართველოში მოღვაწე ებრაელები. ქუთაისი, 1994.

მენაგდიშვილი ვახტანგ. კათოლიკობა საქართველოში. ქუთაისი, 2005.

ნალბანდიანი ვ. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში. თბ. 1959.

ნინიძე დ. წმინდა გიორგის კულტის ისტორიიდან საქართველოში. მნათობი, N11-12, 1991წ.

პაპუაშვილი ნ. რელიგიის კარიბჭე. თბ. 1996.

პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XXსს. თბ. 1995.

პოლიევქტოვი მ., ნათაძე გ. ძველი ტფილისი. ტფ. 1930.

პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში. თბ. 2002წ.

როგავა გივი. კათოლიკობა საქართველოში. თბ., 1996.

სანიკიძე გ. ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში. თბ. 1999.

სონღულაშვილი ა. გერმანელები საქართველოში. თბ. 1995.

სონღულაშვილი ა. საქართველოს ქალაქების საგარეუბნო ზონათა ისტორია. თბ.1997.

სონღულაშვილი ა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. თბ. 2002.

სონღულაშვილი ა. გერმანელები საქართველოს შესახებ. თბ. 1997.

სონღულაშვილი ა. ბერძნები საქართველოში. თბ. 2004.

სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბ. 2003.

ტყეშელაშვილი ო. თბილისი. მოკლე ცნობარი-მეგზური. თბ. 1967.

ტატიშვილი ლ. ვეფხისტყაოსნის გადამწერნი. თბ. კოპენჰაგენი, 2000.

ტყეშელაშვილი ო. მთაწმინდის პანთეონი, თბ. 1980.

ტყეშელაშვილი ო. თბილისის ქუჩები. თბ. 1986.

ტურნეფორი ჯ. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბ. 1988.

შანჯიკიძე თ., ყანდარელი თ. რელიგიური ცხოვრება საქართველოში, თბ. 2006.

შურიერი ა. თბილისის პეტრე – პავლეს ეკლესიის ისტორიიდან. თსუ შრომები, ტ. 310. 1992

შერაძე ვ. ერეკლე II-ის დამოკიდებულება კათოლიკობის მიმართ. საისტორიო ვერტიკალები. 2005, N9.

ქართველიშვილი ვ. მეტეხი. ჯვარი ვაზისა, 1988.

ქორიძე დ. გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი). საქ. სახ. მუზ. მოამბე, 1954.

ქადაგიშვილი დ. ძველი თბილისი და ქუთაისი უცხოელების თვალით, თბ. 2008.

ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1956; ტ. II, თბ. 1959. ტ. IV, თბ. 1973.

ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1956.

ქართული ეკლესია და მისი სიძველეები (1810-1825 წ. წ.) [რედ. ბ. კალანდაძე; მთარგმნ. თამაზ ბერაძე] – თბ. ნობათი, 1992.

შარდენი ჟანი. მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თბ. 1975.

შავგულიძე ქ. თბილისის კლასიკური გიმნაზია. თბ. 1997.

ჩხეტია შ. ტფილისის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ. 1938.

ჩოჩიშვილი დ. ებრაულ-ქართული ურთიერთობების ისტორია ძვ. წ. აღ. VI ს-დან ახ. წ. აღ.-ის IV ს.-მდე. თბ. 2006.

ცქიტიშვილი ო. ძველი თბილისის ისტორიიდან (ისანის საკითხისათვის). საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1963, N6.

ცინცაძე ქ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია ტფილისში. თბ. 1994წ.

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი – "შევინარჩუნოთ ძველი თბილისი", თბილისის ისტორიული ნაწილი. "ბეთლების უბნის" შენობათა ჯგუფის რევიტალიზაცია. მრავალდისციპლინარული კვლევის შედეგები. თბ. 2000

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა (ყოფილი სინაგოგა). საარქივო და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა. თბ. 2003.

წერეთელი ალ ებრაელების ძველი ისტორია. ტფ. 1935.

წმინდანთა ცხოვრება. თბ. 2001.

ჭაბაშვილი მ. მოგონებები. თბ. 2006წ.

ჭიჭინაძე ზ. ძველი ტფილისი, აღწერანი და მცხოვრებთა რაოდენობა. გაზ. საქართველო, 1917, NN 153, 154

ჭიჭინაძე ზ. კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში. თბ. 1903.

ჭიჭინაძე ზ. ქართველ კათოლიკეთ საშშობლო ქვეყნის მოღვაწეები. თფ. 1912.

ჭიჭინაძე ზ. ქართველთ კათოლიკენი და საქართველოს დაკარგული სოფლები. თბ.1904.

ჭიჭინაძე ზ. კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში. ტფ. 1903.

ჭიჭინაძე ზ. ქართველთ ებრაელნი საქართველოში. თბ. 1904.

ჭიჭინაძე ზ. ქართული ტიპიკონის ამბავი. ტფ. 1920.

ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I, თბ. 1968; ტ. II, თბ. 1970.

ხუციშვილი ნ. საჯვარისმამო საკუთრება თბილისში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნემდე. მაცნე, 1997, N1-4.

ხუციშვილი ნ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი ეკლესიები საქართველოში. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1997.

ხუციშვილი გ. ჩემი თბილის-ქალაქი. თბ. საბჭ. საქართველო, 1980.

ჯანაშვილი მ. საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი. ქუთაისი, 1899.

ჯაფარიძე ა. ქართლ – კახეთი. ქართველთა გასომხება. თბ.1999.

ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1966.

Асатрян М. Памятники средневековой армянской архитектуры в Тбилиси. Ереван. 1978.

Анчабадзе Ю., Волков Н.
Старый Тбилиси – город и горожане в XIX в. М. 1990.

Бакрадзе Д., Бердзенов Н. Тифлис в историческом и этнографическом отношениях. СПб. 1870.

Беридзе В., Курдиани З., Рчеулишвили Л.
Тбилиси. М. 1951.

Бадриашвили Н. Тифлис. кн. 1.
От основания города до XIX в. Тиф. 1934.

Бадриашвили Н. Тбилиси. Тб. 1957.

Гуайта Джовани. 1700 лет верности. М. 2002.

Герценштейн В. А. Иллюстрированный спутник по Тифлису и его окрестностям. Тиф. 1899.

Джанберидзе Н., Мачабели К. Тбилиси. Мцхета. Художественные памятники. Тб. 1981.

Иоселиани П. Города, существовавшие и существующие в Грузии, Тиф., 1856.

Иоселиани П. Описание Сионского храма. Тиф., 1856.

Иоселиани П. Гора св. Давида. Тиф., 1858.

Иоселиани П. Описание древностей города Тифлиса, 1866.

Иоселиани П. Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, 1871.

Квирквелия Т. Архитектура Тбилиси, Тб., 1982.

Какабадзе С. К истории названия г. Тифлиса. საისტორიო კრებული, წ. II, ტფ. 1928.

Краткий очерк деятельности" Епархиальнаго миссионерскаго духовно-просветительнаго братства въ городе Тифлисе". Тиф. 1909.

Мурадян П. М. Армянская эпиграфика Грузии. Тбилиси. Ереван, 1988.

Меликсет-Беков Л. О междусобице в Тифлисе 1197 г. по поводу "кривой Пасхи", Известия КИАИ. Тиф. 1925, т. III.

Меликсет-Беков Л. Старый Тифлис по описаниям А. Негри (1817 г.) и М. Медичи (1824-1830 гг.). Тиф. 1918.

Меликсет-Беков Л. Тифлис, его основание и краткий исторический очерк. Тифлис, 1925.

Москвичъ Г. Иллюстрированный практический путеводитель по Кавказу. С-Петербрг, 1888г.

Полиевктов М., Натадзе Г. Старый Тифлис в известиях современников. Тиф., 1929.

Путеводитель по Тифлису, издание Бегичева, Тиф. 1896.

Справочная книга по гор. Тифлису. Приложение к Кавказскому Календарю на 1913 год. Тиф. 1912.

Тифлис и его окрестности. Путеводитель, Тиф. 1890.

Тифлис и его окрестности. Путеводитель, Тиф. 1913.

Тифлис и его окрестности. Путеводитель, Тиф. 1925.

Тифлис и его окрестности. Путеводитель, Тиф. 1896.

სარჩევი

წინასიტყვაობა	4	
სიონი, ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი	6	სიონის ქ. №4
ანჩისხატი, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია	16	ი.შავთელის ქ. №1
ჯვარის მამა	24	კ.აბხაზის ქ. №41
ფეთხაინის სინაგოგა	30	გომის III ჩ.
ბეთლემი (ფეთხაინი), მაცხოვრის შობის ეკლესია	32	ბეთლემის აღმ. №18
წმ.მთავარანგელოზთა ეკლესია	42	ერეკლე II–ის მოედ. მიმდ. ტერ.
წმ. მამა დავით გარეჯელის ეკლესია	44	მთაწმინდის ქ.
ქაშვეთი, წმ.გიორგის ეკლესია	54	რუსთაველის გამზ. №9
წმ.დოდოს საყდარი	66	მეტეხის კლდე
მეტეხი, ღვთისმშობლის შობის ეკლესია	68	მეტეხის აღ. №1
ავლაბრის წმ.მარინეს ეკლესია	78	დუშეთის ქ. №12
ჩუღურეთის კვირაცხოვლობის ეკლესია	82	ჩაისუბნის ქ. №7
ავლაბრის წმ. ნინოს ეკლესია	88	ღვინის აღ.
წმ.ორმეოცთა ეკლესია	90	ბოტანიკური ქ. №1
სასაფლაოს წმ.ბარბარეს ეკლესია.	98	ქინძმარაულის შეს.
ათონშგა, ცეცლხლთაყვანისმცემელთა ტაძარი	102	გომის ქ. №3
მაცხოვრის სამლოცველო	106	ალ.დიუმას ქ.
წმ.მარინეს ეკლესია	108	ვ.ჯორბენაძის ქ. №1
სეიდის ღვთისმშობლის ეკლესია	114	აბანოთუბანი
თაბორის ფერისცვალების ეკლესია	116	თაბორის მთა
ლურჯი მონასტერი	120	ლ.ქიაჩელის ქ. №25
დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია	126	ა.წერეთლის გამზ. №44
წმ.ეკატერინეს ეკლესია	134	მეიდანი
წმ.ევსტათი მცხეთელის ეკლესია	138	გ.ახვლედიანის ქ. №2
კათოლიკეთა პირველი ეკლესია თბილისში	142	პურის მოედნ. მიმდ. ტერ.

კვირაცხოველის ეკლესია	144	ნაკაშიძეების ქ.
პრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია	148	კრწანისის ქ. №82
კათოლიკეთა წმ.მარტინის მონასტერი	152	პურის მოედნ. მიმდ. ტერ.
სურბ გევორქის კათედრალური ტაძარი	154	სამღებროს ქ. №5
წმ.პანტელეიმონის ეკლესია	162	რჩეულიშვილის ქ. №12
ნარიყალას წმ.ნიკოლოზის ეკლესია	166	ნარიყალას ციხე
ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი	174	ე.მანჯგალაძის ქ. №1
ვანქი, ღვთისმშობლის მამათა მონასტერი	178	ათონელის ქ. №3
წმ.იაკობის და მაცხოვრის ეკლესია	186	ათონელის ქ. №3
თეთრაშენი, წმ.იოანე ნათლისმცემელის ეკლესია	188	სიონის ქ.
ყოველთა ქართველთა წმიდანთა ეკლესია	190	ე.ახვლედიანის აღ. №8
კალოუბნის წმ.გიორგის ეკლესია	196	რუსთაველის გამზ. №5
შაჰ-ისმაილის მეჩეთი	200	მეიდანი
კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესია	208	გომის III ჩ. №5
წმ.ილია წინასწარმეტყველის ეკლესია	214	ელიას მთა
როსტომის სამეფო მეჩეთი	216	ი.შავთელის ქ.
წმ.ხარების ეკლესია	218	ი.შავთელის ქ.
უფლის კვართის ეკლესია	220	ვერცხლის ქ.
კარის წმ.გიორგის ეკლესია	222	ი.შავთელის ქ. №4
ნორაშენის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია	226	კ.აბხაზის ქ. №41
ხოჯა-ვანქი, ღვთისმშობლის ეკლესია	232	ელიას მთა
კათოლიკური ეკლესია XVII საუკუნეში	240	პურის მოედ. მიმდ. ტერ.
ღვთისმშობლის კრების ეკლესია	242	ანჩისხატის ტერ.
წმ.კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია	244	მეიდანი
სურბ ნშანი	246	სულთნიშნის ქ. №6
სუნიტების მეჩეთი	254	ბოტანიკური ქ. №32
წმ.იოანე ნათლისმცემლის ორი ეკლესია	262	ერეკლე II-ის მოედ. ტერ.
ბეთლემის მაცხოვრის შობის (ქვემო) ეკლესია	264	ბეთლემის აღ. №3

ქამოაანთ სურბ გევორქის ეკლესია	270	რუსთაველის გამზ. №1
ღათინთ საყდარი	274	გ.აბესაძის ქ. №13
ორბელიანების სასახლის ეკლესია	276	ორბელიანის ქ.
მოღნის ორი ეკლესია	280	ახოსპირელის ქ. №8
შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესია	286	ფერისცვალების ქ. №21
ავლაბრის წმ.ფერისცვალების ეკლესია	292	ურბნისის ქ. №1
ჯვრის ეკლესია	298	ი.შავთელის ქ.
ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია	300	ქეთევან დედოფლის გამზ.
ჯიგრაშენი, ღვთისმშობლის ხარების ეკლესია	302	კ.აბხაზის ქ. №2
წმ. სამების ეკლესია	310	გრ.აბაშიძის №4
გორხანას მეჩეთი	312	ბოტანიკური ბაღის მიმდ. ტერ.
სურბ გევორქის ეკლესია	316	ფურცელაძის ქ. №30
იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, საჰაკაშენი	320	ლ.ასათიანის ქ.
კუკიის ღვთისმშობლის ეკლესია	332	საარბრუკენის მოედ. №2
ჩუღურეთის წმ.ნინოს ეკლესია	334	ნ.ჩხეიძის ქ. №32
წმ.ხარების კათოლიკური ეკლესია	338	გ.აბესაძის ქ.
წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია	340	მთავარანგელოზის ქ. №23
წმ. ალექსანდრე ნეველის სასახლის ეკლესია	342	რუსთაველის გამზ. №6
ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია	344	გ.აბესაძის ქ. №4
ეჩმიაძინელების სურბ გევორქის ეკლესია	352	არმაზის ქ. №3
ჩუღურეთის წმ.ნიკოლოზის ეკლესია	354	კ.ხეთაგუროვის ქ. №1
ჰოსპიტლის წმ.ალ.ნეველის ეკლესია	362	ჰოსპიტლის ქ.
სასულიერო სემინარიის ეკლესიები	366	ალ.პუშკინის ქ. №4
ღუთერანული ეკლესიები	368	კ.მარჯანიშვილის მოედ.
კათოლიკეების ჯვართამაღლების საყდარი	376	დ.ჭონქაძის ქ.
ეგზარქოსის რეზიდენციის ღვთისმშობლის ეკლესია	380	ორთაჭალა
წმ.ნიკოლოზის ტაძარი. და წმ.ალ.ნეველის სამლოცველო	382	9 აპრილის ბაღი
წმ.გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია	386	ქეთევან დედოფლის გამზ.

ვერის ბაღი	388	ვერის სასაფლაოს წმ.ნიკოლოზის ეკლესია
რუსთაველის გამზ. №10	392	გიმნაზიის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია
ი.შავთელის ქ.	396	სინოდალური კანტორის წმ.ხარების ეკლესია
მეტეხის კლდე	400	წმ.აბო თბილელის ნიში
პეტრე–პავლეს სასაფლაო	404	მოციქულთა თავთა წმ.პეტრესა და პავლეს ეკლესია
გ.აბესაძის №10	408	აშკენაზების "სამხედრო" სინაგოგა
ამაღლების გას. #1	414	ამაღლების ეკლესია
მ.ვეზიროვის ქ. №3	418	ორთაჭალის წმ.ნიკოლოზის ეკლესია
ბ.ხმელნიცკის ქ. №6	426	წმ. ბარბარეს ეკლესია
დ.უზნაძის ქ. №47	428	წმ.მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია
ავლაბრის რეზიდენცია	432	სამეგრელოს პოლკის წმ.ფერისცვალების ეკლესია
ივ.ჯავახიშვილის ქ. №69	434	ჩუღურეთის წმ. ალ.ნეველის რუსული ეკლესია
ივ.ჯავახიშვილის ქ. №55	438	წმ.პეტრე და პავლეს კათოლიკური ეკლესია
იერუსალიმის ქ. მიმდ.	446	ებრაელების მუნთუნაანთ დარბაზი
ი.გრიშაშვილის ქ.	450	სურბ სარქისის ეკლესია
შ.ჩიტაძის ქ. №9	456	წმ. ნინოს ეკლესია
ტ.გრანელის №17	460	ლუთერანული სასაფლაოს სამლოცველო
ანტონ კათოლიკოსის ქ. №3	462	აშკენაზების გუმბათოვანი სინაგოგა
ნავთლუღი	466	ჰოსპიტლის სასაფლაოს წმ.ნიკოლოზის ეკლესია
ა.ჩეხოვის ქ. #9	468	ირანელების სინაგოგა
რიყე	470	მისიონერების ღვთისმშობლის საშარველის I ეკლესია
კლდიაშვილის ქ. #10	476	მისიონერების ყაზანის ღვთისმშობლის ხატის II ეკლესია
ნორიოს აღ. №36	480	კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესია
დ.უზნაძის #52	486	თბილისის გიმნაზიების ეკლესიები
დ.უზნაძის ქ. №117	488	ჩუღურეთის წმ.მთავარანგელოზთა ეკლესია
ქეთევან დედოფლის გამზ.	490	ღვთისმშობლის გამოცხადების ეკლესია
კ.აბხაზის №43	492	სინაგოგა, „ცხინვალელების ლოცვა"
ვ.სარაჯიშვილის ქ. #2	494	წმ.თეოდორე ჩერნიგოველის ეკლესია

წმ.ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი	498	რუსთაველის გამზ. #8
წმ. ნინოს ეკლესია	506	შ.ჩიტაძის ქ. #4
წმ.იოანე ღვთისმეტყველის ტაძარი	508	ლ.ქიაჩელის ქ. №21
ბეით რახელი, აშკენაზების ბეით ქნესეთი	512	ტყავის შეს.
წმ.დავით აღმაშენებლის ეკლესია	516	ილ.ჭავჭავაძის №1
ვაკის წმ.ანდრია პირველწოდებულის ეკლესია	520	ილ.ჭავჭავაძის გამზ. ქ. #33
წმ. მიხეილ ტვერელის ეკლესია	524	ს.ზალდასტანიშვილის ქ №36
სინაგოგა (ახალციხელების ლოცვა)	528	კ.აბხაზის ქ.№41
წმ.ქრისტინეს ეკლესია	533	
ქრისტეს შობის ტაძარი	533	ანჩისხატის ტერ.
იულონ ბატონიშვილის სასახლის კარის ეკლესია	534	იერუსალიმის ქ.
წაღიქ ვანქი, სურბ გევორქის ეკლესია	535	წინანდალის ქ.
კუპიის წმ.იოანე ნათლისმცემლის ეკლესია	535	სურამის ქ.
ქრისტეს აღდგომის ეკლესია	536	ც.დადიანის ქ.
მალაქნების უბნის ტაძარი	537	ნ.გოგოლის ქ.
წმ.შუშანიკის, წმ.გიორგის და ღვთისმშობლის ნიში	537	რიყე
თბილისის მეჩეთები	538	
თიანეთის სიონი	540	ეთნოგრაფიული მუზეუმი
ორთაჭალის ციხის წმ.გიორგის ეკლესია	542	ვ.გორგასლის ქ.
მედაბაღეების სამლოცველო	543	მტკვ. მარჯ. სანაპ.
კომენტარები	544	
გამოყენებული ლიტერატურა	606	